ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0182—599 X

ცნობები

3

1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობები

წელიწადი 66-ე № 3 მარტი, 1990 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ახალი აღთქმა — სახარება ლუკასი. თარგმანი ძველბერძნულიდან 3

პროზა, პოეზია

მარი აბრამიშვილი — ლექსები 47
მერაბ კოსტავა — ლექსები 51
სტეფანე კასრაძე — თარი-არალე. რომანი. წინასიტყვაობა გურამ შარაძის 56
ლადო სულაბერიძე — წიგნიდან: „კლდის სული". ლექსები 85
ემზარ კვიტაიშვილი — თავშესაფარი. ლექსი 83
ნინო დაბრუნდაშვილი — ხარის თვალი. მოთხრობა. 98
ალექსანდრე დიდებაშვილი — ლექსები 111
თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა — თავგადასავალი ლევან გოთუასი. გაგრძელება 113

მეცნიერება

კოტე გრიგოლია — ზოგიერთი მოსაზრება კავლე ინგოროყვას ნაშრომის — „გიორგი მერჩულის", გამო 127
ნოდარ კანდელაკი, გურამ ცერცვაძე — ქორონიკონი: მისი ადგილი და როლი ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის . . . 132
ეკვთიმე თაყაიშვილი — ქართული სიძველენი ევროკიელ ანტიკვარებთან 147

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გიორგი მერკვილაძე — რეკვიემი მიხეილ ჯავახიშვილისა 152
ლია არჩვაძე — ჯანსულ ჩარკვიანი 158
დავით გოგოფური, ივანე ლიკოკელი — ფრთხილად, ეროვნული გმირებია! 165

საზღვარგარეთის ლიტერატურა

ეთერ თოფურიძე — ფაუსტის სახის გაგებისათვის უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში 170

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. გერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გოგიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლეგანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. ფულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი აღთქმა

სახარება ლუკასი

თავი პირველი

1. რაკი მრავალმა მიჰყო ხელი იმ
ამბების დალაგებით გადმოცემას, რო-
მლებიც ჩვენში მოხდა,

2. როგორც გადმოგვცეს მათ, ვინც
იმთავითვე თვითმხილველნი იყვნენ და
სიტყვის მსახურნი,

3. მეც მართებულად მივიჩნიე, ყვე-
ლაფრის თავიდანვე გამოწვლილვით
განხილვის შემდეგ, თანმიმდევრულად
აღმეწერა ისინი შენთვის, ღირსეულო
თეოფილე,

4. რათა შეიცნო იმ მოძღვრების უმ-
ცდარობა, რაც გისწავლია.

5. იუდეის მეფის ჰეროდეს დღეებში
იყო ერთი მღვდელი, აბიას წყებისა,
სახელად ზაქარია, და მისი ცოლი,
აარონის ასულთაგანი, სახელად ელი-
საბედი.

6. ორივენი მართალნი იყვნენ ღმე-
რთის წინაშე, და უმწიკვლოდ ასრულე-
ბდნენ უფლის ყველა მცნებასა და გა-
ნაწესს.

7. და არ ჰყავდათ შვილი, ვინაიდან
ელისაბედი უნაყოფო იყო, და ორივენი
ხანშიშესულნი იყვნენ.

8. ერთხელ, როცა თავისი წყების
წესისამებრ, მღვდელმსახურებდა იგი
ღმერთის წინაშე,

9. მღვდელთა მსახურების ჩვეულე-
ბისამებრ, წილად ხვდა მას საკმევლის
კმევა, და შევიდა უფლის ტაძარში.

10. ხოლო ხალხის მთელი სიმრავლე
გარეთ ლოცულობდა საკმევლის კმე-
ვისას.

11. მაშინ მოეევლინა მას უფლის ან-
გელოზი, სასაკმევლე საკურთხევლის
მარჯვნივ მდგომარე.

12. და მის ხილვისას შეძრწუნდა ზა-
ქარია და თავზარი დაეცა.

13. ხოლო ანგელოზმა უთხრა მას:
ნუ გეშინია, ზაქარია, ვინაიდან შესმე-
ნილ იქნა შენი ვედრება, და შენი ცო-
ლი ელისაბედი გიშობს ძეს, და უწო-
დებ მას სახელად იოანეს.

14. და იქნება შენი სიხარული და
სიხალისე, და მრავალნი გაიხარებენ
მისი შობით.

15. ვინაიდან დიდი იქნება უფლის
წინაშე, ღვინოსა და სიკერას არ და-
ლევს, და სულით წმიდით აღივსება დე-
დის საშოშივე.

16. და მრავალ ძის ისრაელისას მო-
აქცევს უფლის — მათი ღმერთის მი-
მართ.

17. და უწინამძღვრებს მათ ელიას სუ-
ლითა და ძალით, რათა მოაქციოს მა-
მების გული შვილების მიმართ, ხოლო
ურჩნი — მართალთა გონიერების მი-
მართ, და, ამრიგად, განუმზადოს უფალს
მზადმყოფი ხალხი.

18. და უთხრა ზაქარიამ ანგელოზს:
მერედა, რითი გავიგებ ამას? რადგან
მე მოხუცი ვარ და ჩემი ცოლიც ხან-
შია შესული.

19. მიუგო ანგელოზმა და უთხრა
მას: მე ვარ გაბრიელი, ღმრთის წინა-
შე მდგომელი, და მოვლინებული ვარ,
რათა გითხრა და გახარო ეს.

20. და აჰა, დადუმდები და სიტყ-
ვას ვერ დასძრავ იმ დღემდე, როცა
ახდება ეს, ვინაიდან არ ერწმუნე ჩემს

გაგრძელება. „იხ. „მნათობი", № 1, 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვებს, რომლებიც აღსრულდება თავის დროს.

21. ხოლო ხალხი ელოდა ზაქარიას და უკვირდა მისი დაყოვნება ტაძარში.

22. და როდესაც გამოვიდა, ვერ შეძლო, ხმა გაეცა მათთვის, და მიხვდნენ, რომ ხილვა ეხილა ტაძარში. მხოლოდ ანიშნებდა მათ, და იყო უხმოდ.

23. ხოლო როდესაც გავიდა მისი მღვდელმსახურების ყავლი, სახლში დაბრუნდა.

24. იმ დღეთა შემდეგ მუცლად იცო ელისაბედმა, მისმა ცოლმა, ხუთი თვე იმალებოდა და ამბობდა:

25. ასე მიყო უფალმა იმ დღეებში, როცა მომხედა, რათა წარეხოცა ჩემი სირცხვილი კაცთა შორის.

26. ხოლო მეექვსე თვეს მოვლინებულ იქნა გაბრიელ ანგელოზი ღმერთის მიერ გალილეის ქალაქში, რომელსაც ეწოდება ნაზარეთი,

27. ქალწულთან, რომელიც დანიშნული იყო კაცზე, და სახელი მისი — იოსები, დავითის მოდგმისა, ხოლო სახელი ქალწულისა — მარიამი.

28. შევიდა ანგელოზი მასთან და უთხრა: გიხაროდეს, მადლით მოსილო! უფალი შენთანაა; კურთხეული ხარ ასულთა შორის.

29. ხოლო ის, როცა იხილა ანგელოზი, შეძრწუნდა მის სიტყვაზე და ფიქრობდა: ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს ეს მოკითხვაო?

30. და ანგელოზმა უთხრა მას: ნუ გეშინია, მარიამ, რადგანაც ჰპოვე მადლი ღმერთის წინაშე.

31. და აჰა, მუცლად იღებ, და შობ ძეს, და უწოდებ მას სახელად იესოს.

32. დიდი იქნება იგი, და უზენაესის ძედ იწოდება, და მისცემს მას ღმერთი მამამისის დავითის ტახტს.

33. და იმეფებს იაკობის სახლზე საუკუნოდ, და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა.

34. ხოლო მარიამმა უთხრა ანგელოზს: როგორ იქნება ეგ, მამაკაცი რომ არ ვიცი?

35. მიუგო ანგელოზმა და უთხრა მას: სული წმიდა გადმოვა შენზე, უზენაესის ძალა მოგაჩრდილებს, და ამიტომაც ღმერთის ძედ იწოდება წმიდა შობილი.

36. ეს აჰა, ელისაბედმაც, შენმა ნათესავმა, მუცლად იღო ძე სიბერის ჟამს, და ეს მეექვსე თვეა მისთვის, ვინც უნაყოფოდ იყო ხმობილი.

37. რადგან ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი.

38. ხოლო მარიამმა თქვა: აჰა, მხევალი უფლისა! მეყოს მე შენი სიტყვისამებრ! და განეშორა ანგელოზი მას.

39. და ადგა მარიამი იმ დღეებში, და სასწრაფოდ მიაშურა მთიანეთს, იუდას ქალაქს.

40. შევიდა ზაქარიას სახლში და მოიკითხა ელისაბედი.

41. როგორც კი გაიგონა ელისაბედმა მარიამის მოკითხვა, ყრმა შეიძრა მის მუცელში; და აღივსო სულით წმიდით ელისაბედი;

42. და შეღაღადა ხმამაღლა და თქვა: კურთხეული ხარ შენ ასულთა შორის, და კურთხეულია შენი მუცლის ნაყოფი!

43. ვინ გამხადა იმისი ღირსი, რომ ჩემთან მოვიდა უფლის ჩემის დედა?

44. რადგან, როგორც კი ჩემს ყურს მოსწვდა შენი მოკითხვის ხმა, სიხარულით შეიძრა ყრმა ჩემს მუცელში.

45. ნეტარია მორწმუნე, რადგანაც აუსრულდება ყველაფერი, რაც ეუწყა უფლის მიერ.

46. და თქვა მარიამმა: ადიდებს ჩემი სული უფალს,

47. და გაიხარა ჩემმა სულმა ღმერთის, ჩემი მაცხოვრის გამო,

48. ვინაიდან მოხედა თავისი მხევლის სიმდაბლეს; რადგან აჰა, ამიერიდან ნეტარად შემრაცხავს ყოველი მოდგმა;

49. რადგანაც დიდი სიკეთე მიყო ყოვლადძლიერმა, და წმიდაა მისი სახელი.

50. და წყალობა მისი თაობებიდან თაობამდე ღმრთისმოშიშთა მიმართ.

51. მოავლინა სიმტკიცე თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკლავისა, და გაჰფანტა ქედმაღალთა გულის ზრახვანი.

52. დაამხო ტახტთაგან ძლიერნი და აამაღლა მდაბალნი.

53. სიკეთით აავსო მშიერნი და ხელცარიელი გაისტუმრა მდიდარნი.

54. შეეწია ისრაელს, მონას თვისას, წყალობის მოსახსენებლად,

55. როგორც აუწყა ჩვენს მამებს, აბრაამს და მის შთამომავალთ უკუნისამდე.

56. და დაჰყო მარიამმა ელისაბედთან სამი თვე, და წავიდა თავის სახლში.

57. ხოლო ელისაბედისთვის მოაწია შობის ჟამმა, და შობა ძე.

58. და გაიგეს მეზობლებმა და ნათესავებმა, რომ უფალმა განადიდა თავისი წყალობა მის მიმართ, და ხარობდნენ მასთან ერთად.

59. და მერვე დღეს მოვიდნენ ყრმის წინადასაცვეთად, და უნდოდათ მამის სახელი დაერქმიათ მისთვის, ზაქარია.

60. მაგრამ დედამისმა თქვა: არა, არამედ იოანე ერქმევა მას.

61. და უთხრეს მას: არავინა გვყავს გვარში ისეთი, რომ ეგ სახელი ერქვას.

62. და ნიშნებით ეკითხებოდნენ მამამისს, რა სურდა დაერქმია მისთვის.

63. ხოლო მან მოითხოვა ფიცარი და დაწერა: იოანეა მისი სახელი. და უკვირდა ყველას.

64. და მაშინვე ამოიდგა ენა, ხმა ამოიღო და აკურთხებდა ღმერთს.

65. შიშმა მოიცვა ყველა მეზობელი, და იუდეის მთელს მთიანეთს მოედო ეს ამბავი.

66. და ყველამ, ვინც გაიგო, გულს ჩაიბეჭდა, და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: რა გამოვა ეს ბავშვი? და იყო ხელი უფლისა მასთან.

67. და ზაქარია, მამა მისი, აღივსო სულით წმიდით, წინასწარმეტყველებდა და ამბობდა:

68. კურთხეულია უფალი ღმერთი ისრაელისა, ვინაიდან მოხედა და იხსნა თავისი ხალხი.

69. და აღგვიმართა რქა ხსნისა ვისი მონის, დავითის სახლში,

70. როგორც გვაუწყა თავის წმიდა წინასწარმეტყველთა პირით, რომელნიც უკუნისიდან იყვნენ:

71. რომ გვიხსნის ჩვენი მტრებისგან და ყველა ჩვენი მოძულის ხელიდან;

72. რომ მოწყალე იქნება ჩვენი მამების მიმართ, და გაიხსენებს თავის წმიდა აღთქმას;

73. თანახმად ფიცისა, რომლითაც შეჰფიცა მამას ჩვენსას აბრაამს, რომ მოგვცემს ჩვენ,

74. მას შემდეგ, რაც დაგვიხსნის ჩვენი მტრების ხელიდან, — მის მიმართ უშიშრად,

75. და მის წინაშე სიწმინდითა და სიწრფელით, მსახურების ნებას, მთელი ჩვენი სიცოცხლის მანძილზე.

76. და შენ, ყრმაო, უზენაესის წინასწარმეტყველად იწოდები, რადგანაც წინ წარუძღვები უფალს, რათა გაამზადო მისი გზა,

77. და მათი ცოდვების მიტევებით მისცე მის ხალხს ხსნის შემეცნება.

78. ღმერთის ჩვენის გულმოწყალებით, ვისი მეოხებითაც მოგვხედა ჩვენ აღმოსავლეთმა მაღლით,

79. რათა გაენათლებინა სიბნელესა და სიკვდილის ჩრდილში მსხდომნი და მშვიდობის გზით წარემართა ჩვენი ნაბიჯი.

80. ხოლო ყრმა იზრდებოდა და მტკიცდებოდა სულით, და იყო უდაბნოში, იმ დღემდე, როცა გამოეცხადა ისრაელს.

თავი მეორე

1. იმ დღეებში გამოქვეყნდა კეისარ ავგუსტუსის ბრძანება, აღწერა ჩაეტარებინათ მთელს ქვეყანაში.

2. ეს იყო პირველი აღწერა სირიაში კვირინუსის გამგებლობისას.

3. და ყველამ თავ-თავის ქალაქს მიაშურა ჩასაწერად.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. წავიდა იოსებიც გალილეიდან, ქალაქ ნაზარეთიდან, იუდეაში, დავითის ქალაქში, რომელსაც ჰქვია ბეთლემი, ვინაიდან დავითის სახლისა და გვარისა იყო,

5. რათა ჩაწერილიყო მარიამთან, თავის დანიშნულთან ერთად, რომელიც ფეხმძიმედ იყო.

6. და იქ ყოფნისას მოაწია მისი მშობიარობის ჟამმა.

7. და შობა ძე თვისი პირმშო, ჩვრებში შეახვია და ბაგაში ჩააწვინა, ვინაიდან ფუნდუკში ადგილი არ იყო მათთვის.

8. და იყვნენ იმ მხარეში მწყემსები, რომლებიც ველად იდგნენ და თავიანთ ფარას დარაჯობდნენ ღამით.

9. და აჰა, უფლის ანგელოზი წარუდგა მათ და გამოუბრწყინდა მათ დიდება უფლისა, და შეშინდნენ ისინი დიდი შიშით.

10. და უთხრა ანგელოზმა მათ: ნუ გეშინიათ; აჰა, მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც იხარებს მთელი ხალხი,

11. რადგან დღეს, დავითის ქალაქში, დაიბადა თქვენი მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი.

12. და აი, თქვენი ნიშანი: იპოვით ყრმას შეხვეულს, და მწოლარეს ბაგაში.

13. და ანაზდად გაჩნდა ანგელოზთან ციურ მოლაშქრეთა სიმრავლე, ადიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ:

14. დიდება მაღალთა შინა ღმერთს, და მშვიდობა ქვეყნად, და სათნოება კაცთა შორის.

15. და როცა ანგელოზები ზეცად ამაღლდნენ მათგან, მწყემსებმა ერთმანეთს უთხრეს: წავიდეთ ბეთლემს და ვნახოთ, რა მოხდა, როგორც გვაუწყა უფალმა ჩვენ.

16. სასწრაფოდ მივიდნენ და იხილეს მარიამი და იოსები, და ბაგაში მწოლარე ყრმა.

17. და როდესაც იხილეს, შეიცნეს სიტყვა, რომელიც ყრმისთვის ეუწყა მათ.

18. და ყველა მსმენელ[illegible] მწყემსების ნაამბობი [illegible]

19. ხოლო მარიამი იმახსოვრებდა თითოეულ მათ სიტყვას და გულში იმარხავდა.

20. და გაბრუნდნენ მწყემსები, და ადიდებდნენ და აქებდნენ ღმერთს ყოველივე იმის გამო, რაც იხილეს და ისმინეს, როგორც ეუწყა მათ.

21. და როცა გასრულდა მისი წინადაცვეთის რვა დღე, უწოდეს მას სახელად იესო, დედის საშოშივე დარქმეული ანგელოზის მიერ.

22. და როცა გასრულდა მათი გახწმენდის დღენი, თანახმად მოსეს რჯულისა, იერუსალემში წაიყვანეს იგი, რათა წარედგინათ უფლის წინაშე,

23. როგორც დაწერილია უფლის რჯულში: საშოს გამხსნელი ყოველი წული უფლის წმიდად იწოდებაო;

24. და რათა მიერთმიათ შესაწირავი, როგორც ნათქვამია უფლის რჯულში: ორი გვრიტი, ანდა ორი ხუნდი მტრედისა.

25. და აჰა, იყო ერთი კაცი იერუსალემში, სახელად სიმონი, და იყო იგი მართალი და ღვთისმოსავი, მოელოდა ნუგეშისცემას ისრაელისას, და სული წმიდა იყო მასზე.

26. და ნაუწყები ჰქონდა სულის წმიდის მიერ, რომ არ იხილავდა სიკვდილს, ვიდრე არ იხილავდა ქრისტეს უფლისას.

27. და სულით წმიდით აღძრული მოვიდა ტაძრად; და როცა მშობლებმა მოიყვანეს ყრმა იესო, რათა აღესრულებინათ მის მიმართ ყველაფერი, რაც დაწესებული იყო რჯულით,

28. ხელში აიყვანა იგი, აკურთხა ღმერთი და თქვა:

29. აწ განუტევებ მონას შენსას, მეუფეო, თანახმად შენი სიტყვისა, მშვიდობით.

30. რადგანაც იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარი შენი,

31. რომელიც განამზადე ყველა ხალხის წინაშე,

32. ნათელი წარმართთა გასანათლე-

ბლად და შენი ხალხის ისრაელის სადიდებლად.

33. ხოლო იოსები და იესოს დედა განცვიფრებულნი იყვნენ ყრმის მიმართ ნათქვამი სიტყვით.

34. და აკურთხა ისინი სიმონმა და უთხრა მარიამს, იესოს დედას: აჰა, წევს იგი მრავალთა დამამხობლად და აღმადგინებლად ისრაელში, და განხეთქილების ნიშნად.

35. და თვით შენც სულში გაგივლის მახვილი, რათა გამჟღავნდეს მრავალი გულის ზრახვანი.

36. იყო იქ აგრეთვე წინასწარმეტყველი ანა, ფანუელის ასული, ტომით ასერი; ძალზე მოხუცებულს შვიდი წელი ეცხოვრა ქმართან, რომელსაც გაჰყოლოდა სიქალწულეში;

37. ოთხმოცდა ოთხი წლის ქვრივი, რომელიც ტაძარს არ შორდებოდა და დღე და ღამ მარხვითა და ლოცვით ემსახურებოდა ღმერთს.

38. სწორედ იმ ხანად მოვიდა, და ადიდებდა ღმერთს და ყრმაზე ელაპარაკებოდა ყველას, ვინც ხსნას ელოდა იერუსალემში.

39. და როცა უფლის სჯულისამებრ აღასრულეს, ყველაფერი, გალილეაში დაბრუნდნენ, თავიანთ ქალაქ ნაზარეთში.

40. ხოლო ყრმა იზრდებოდა და მტკიცდებოდა სულით, და ივსებოდა სიბრძნით, და იყო მადლი ღმრთისა მასზე.

41. და მისი მშობლები ყოველ წელიწადს პასექის დღესასწაულზე მიდიოდნენ იერუსალემში.

42. და როცა თორმეტი წლისა გახდა, ჩვეულებისამებრ, იერუსალემში დღესასწაულზე წავიდნენ ისინი.

43. ხოლო დღესასწაულის შემდეგ, უკან რომ გამობრუნდნენ, ყრმა იესო იერუსალემში დარჩა; და ვერ შენიშნეს იოსებმა და დედამისმა;

44. არამედ ეგონათ სხვებთან ერთად მოდისო, მაგრამ ერთი დღის სავალი გზა რომ გალიეს, ძებნა დაუწყეს ნათესავებსა და ნაცნობებს შორის;

45. და რაკი ვერსად იპოვეს, იერუსალემში დაბრუნდნენ მის საძებნელად.

46. და სამი დღის შემდეგ ტაძარში იპოვეს იგი; მოძღვრებს შორის ჩამჯდარიყო, უსმენდა და კითხვებს აძლევდა მათ.

47. ყველა მსმენელს უკვირდა მისი გონიერება და სიტყვა-პასუხი.

48. და როცა დაინახეს, განცვიფრდნენ, და დედამისმა უთხრა მას: შვილო, ეს რა გვიყავი? აჰა, მე და მამაშენი დავდივართ და გულშემოყრილნი დაგეძებთ შენ.

49. და უთხრა მათ: მერედა რას მეძებთ? ნუთუ არ იცით, რომ მე მმართებს იქ ყოფნა, სადაც ყველაფერი ეკუთვნის მამაჩემს?

50. მაგრამ მათ ვერ გაიგეს მისი სიტყვები.

51. და წაჰყვა მათ, და მივიდა ნაზარეთში; და იყო მათი მორჩილი, ხოლო დედამისი გულში იმარხავდა ყველა ამ სიტყვას.

52. ხოლო იესოს ემატებოდა სიბრძნე და ასაკი და მადლი ღმრთისა და კაცთა წინაშე.

თავი მესამე

1. ტიბერიუს კეისრის მმართველობის მეთხუთმეტე წელს, როცა პონტიუს პილატე იუდეის მთავარი იყო, ჰეროდე — გალილეის მეოთხედმთავარი, ფილიპე, მისი ძმა, — იტურეისა და ტრაქონიტის მხარის მეოთხედმთავარი, ხოლო ლისანია — აბილენეს მეოთხედმთავარი,

2. და როცა მღვდელმთავრები იყვნენ ანა და კაიაფა, გაისმა სიტყვა ღმრთისა იოანეს, ზაქარიას ძის მიმართ, უდაბნოში.

3. და მოიარა იორდანეს მთელი შემოგარენი, და ქადაგებდა ნათლის ცემას სინანულისას ცოდვათა მისატევებლად.

4. როგორც დაწერილია ესაია წინასწარმეტყველის სიტყვათა წიგნში: ხმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდაბნოში მღაღადებლისა: გაამზადეთ
გზა უფლისა, გაასწორეთ მისი ბილიკ-
ნი.

5. ყოველი ხევი ამოივსება, და ყო-
ველი მთა და ბორცვი დამდაბლდე-
ბა; მრუდე გასწორდება და ფლატე გა-
ვაკდება.

6. და ყოველი ხორცი იხილავს
მხსნელობას ღმრთისას.

7. და ეუბნებოდა მის მიმართ ნა-
თლის ღებად მიმავალ ხალხს: იქედნეს
ნაშიერნო, ვინ გასწავლათ, გაექეცი-
თო მომავალ რისხვას?

8. მაშ, გამოიღეთ ნაყოფი, ღირსი
სინანულისა; და ნუ ეტყვით თქვენსა-
ვე თავს: მამად გვივისო აბრაამი; რად-
განაც გეუბნებით თქვენ: ღმერთს ხე-
ლეწიფება თვით ამ ქვათაგანაც აღუ-
დგინოს ძენი აბრაამს.

9. ვინაიდან აწ უკვე ცული ხეების
ფესვთან დევს. ყოველი ხე, რომელიც
არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, მოიჭ-
რება და ცეცხლს მიეცემა.

10. და ეკითხებოდა მას ხალხი: ჩვენ
რაღა ვქნათო?

11. მიუგო და უთხრა მათ: ვისაც
ორი ხელი სამოსი აქვს, მისცეს არმ-
ქონეს; და ვისაც საჭმელი აქვს, ასევე
მოიქცეს.

12. მოვიდნენ მებაჟენიც ნათლის
ღებად და უთხრეს მას: მოძღვარო,
ჩვენ რაღა ვქნათ?

13. და მიუგო მათ: ნურაფერს აი-
ღებთ თქვენთვის დაწესებულზე მეტს.

14. და მეომრებმაც ჰკითხეს: ჩვენ
კი რა ვქნათო? და უთხრა მათ: ნურა-
ვის შეურაცხყოფთ, ნურც ცილს დას-
წამებთ და დასჯერდით საფასურს თქვე-
ნსას.

15. და როცა ხალხი მოლოდინში
იყო, და გულში ყველა ამას ფიქრობ-
და იოანეზე, ქრისტე ხომ არ არისო
იგი,

16. მიუგო იოანემ და უთხრა მათ:
მე განათლავთ თქვენ წყლით. მაგრამ
მოდის ჩემზე უძლიერესი, და მე იმის
ღირსიც არა ვარ, რომ შევხსნა მისი ხა-
მლის საკვრელი. და ის მოგნათლავთ
თქვენ სულით წმიდითა და ცეცხლით.

17. მას ხელთ უპყრია ფანარი, ფანა-
ნადი, და გაწმენდს თავის კალოს, და
შეინახავს ხორბალს ბეღელში, ხოლო
ბზეს მისცემს უშრეტ ცეცხლს.

18. და მრავალ სხვა რამესაც ამბარე-
ბდა და შეაგონებდა ხალხს.

19. ხოლო ჰეროდემ, მეოთხედმთავა-
რმა, რომელსაც ამხილებდა იოანე ჰე-
როდიადას, მისი ძმის, ფილიპეს ცოლი-
სა და ყველა იმ ბოროტების გამო, რაც
ჩაედინა ჰეროდეს,

20. ყველაფერს ისიც მიუმატა, რომ
საპყრობილეში ჩააგდო იოანე.

21. და როცა ნათელს იღებდა მთელი
ხალხი, და იესო, ნათელღებული, ლო-
ცულობდა,

22. გაიხსნენ ცანი, და სული წმიდა
გადმოვიდა მასზე, ხორციელი სახით,
როგორც მტრედი, და გაისმა ხმა ზე-
ცით, რომელმაც თქვა: შენა ხარ ძე ჩე-
მი საყვარელი; შენში კეთილად გამოვ-
ჩნდი მე.

23. ხოლო იესო ამ დროისათვის იყო
ოცდაათი წლისა, და იყო, როგორც
ეგონათ, ძე იოსებისა, ელისა,

24. მატთატისა, ლევისა, მელქისა,
იანაისა, იოსებისა,

25. მატათიასი, ამოსისა, ნაუმისა, ეს-
ლისა, ნაგესი,

26. მაათისა, მატათიასი, სემეისა,
იოსებისა, იუდასი,

27. იოანასი, რესასი, ზორობაბელი-
სა, სალათიელისა, ნერისა,

28. მელქისა, ადისა, კოსამისა, ელ-
მოდამისა, ერისა,

29. იოსესი, ელიეზერისა, იორეიმი-
სა, მატთატისა, ლევისა,

30. სიმეონისა, იუდასი, იოსებისა,
იონანისა, ელიაკეიმისა,

31. მელეასი, მაინანისა, მატათასი,
ნათანისა დავითისა,

32. იესესი, იობედისა, ბოოსისა, სა-
ლმონისა, ნაასონისა,

33. ამინადაბისა, არამისა, ესრომისა,
ფარესისა, იუდასი,

34. იაკობისა, ისააკისა, აბრაამისა,
თარასი, ნაქორისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. სარუქისა, რაგავისა, ფალეკისა, ებერისა, სალასი,

36. კაინანისა, არფაქსადისა, სემისა, ნოესი, ლამეკისა,

37. მათუსალასი, ენოქისა, იარედისა, მადელეილისა, კაინანისა,

38. ენოსისა, სეთისა, ადამისა, ღმრთისა.

თავი მეოთხე

1. სულით წმიდით აღვსილი იესო გამობრუნდა იორდანედან, და სულის მიერ გაყვანილ იქნა უდაბნოში,

2. ორმოცი დღის განმავლობაში გამოიცდებოდა ეშმაკის მიერ, და არაფერი უჭამია იმ დღეებში, ხოლო მათი გასრულების შემდეგ მოშივდა.

3. და უთხრა მას ეშმაკმა: თუ ძე ხარ ღმრთისა, უთხარი ამ ქვას, რომ პურად იქცეს.

4. ხოლო იესომ მიუგო და უთხრა მას: არა მხოლოდ პურით იცოცხლებს კაცი, არამედ ღმერთის ყოველი სიტყვით.

5. და აიყვანა იგი ეშმაკმა მაღალ მთაზე, და უჩვენა მას სამყაროს ყველა სამეფო დროის ერთ წამში.

6. და უთხრა მას ეშმაკმა: მოგცემ შენ ყოველივე ამის ხელმწიფებას და დიდებას, ვინაიდან მე მაქვს მოცემული, და ვისაც მინდა, მივცემ მას.

7. თუ დაემბობი და თაყვანს მცემ მე, ყოველივე ეს შენი იქნება.

8. მიუგო იესომ და უთხრა მას: გამშორდი, სატანა, რადგანაც დაწერილია: უფალს ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე.

9. და მიიყვანა იერუსალემში, დააყენა ტაძრის ფრთედზე და უთხრა მას: თუ ძე ხარ ღმრთისა, გადავარდი აქედან.

10. რადგან დაწერილია: თავისი ანგელოზებისათვის უბრძანებია შენი დაცვა,

11. და აგიტაცებენ ხელში, რათა არსად წამოჰკრა ქვას ფეხი შენი.

12. მიუგო იესომ და უთხრა მას: ნათქვამია: არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი.

13. და ყველა გამოცდა [illegible] თავრა, ეშმაკი დროამდე გაშორდა მას.

14. და დაბრუნდა იესო სულის ძალით გალილეაში; და მოედო მისი ამბავი მთელს არე-მარეს.

15. და ასწავლიდა მათს სინაგოგებში, განდიდებული ყველას მიერ.

16. და მოვიდა ნაზარეთში, სადაც აღზრდილიყო, და როგორც სჩვეოდა, შაბათ დღეს შევიდა მათს სინაგოგაში და წამოდგა წასაკითხავად.

17. და მისცეს მას ესაია წინასწარმეტყველის წიგნი; გადაშალა წიგნი და იპოვა ადგილი, სადაც ეწერა:

18. სული უფლისა ჩემზე, რომლისთვისაც მცხო მე და მომავლინა გლახაკთა მახარებლად და გულით შემუსვრილთა მკურნალად,

19. ტყვეთათვის განთავისუფლების მაუწყებლად, ბრმათა თვალის ამხელად, ტანჯულთა განსატევებლად და უფლის კეთილსასურველი წლის მქადაგებლად.

20. და დახურა წიგნი, მისცა მსახურს და დაჯდა. და მთელი სინაგოგა მისჩერებოდა მას.

21. და დაუწყო ლაპარაკი მათ: დღეს აღსრულდა ეს ნაწერი, რომელიც მოისმინეთ.

22. და ყველანი ემოწმებოდნენ, და უკვირდათ სიტყვა მადლისა, მისი პირით გამომავალი, და ამბობდნენ: განა იოსების ძე არ არისო?

23. და უთხრა მათ: ცხადია, თქვენ მეტყვით ანდაზას: მკურნალო, განიკურნე შენი თავი; აქაც, შენს მამულშიც მოახდინე ის, რაც მოგიხდენია კაპერნაუმში, როგორც გვეუწყა ჩვენ.

24. და თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არცერთი წინასწარმეტყველი არ შეუწყნარებიათ თავის მამულში.

25. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ბევრი ქვრივი იყო ელიას დროს ისრაელში, როცა სამ წელსა და ექვს თვეს დაიხშო ცა, და იყო დიდი შიმშილობა მთელს ქვეყანაში.

26. მაგრამ არავის მოვლინებია ელია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ერთი ქვრივი ქალისა სიდონის სარეპტაში.

27. და მრავალი კეთროვანი იყო წინასწარმეტყველ ელისეს დროს ისრაელში, მაგრამ არცერთი არ განწმენდილა, ნეემან სირიელის გარდა.

28. ამის მოსმენისას, რისხვით აღივსო ყველა, ვინც იყო სინაგოგაში.

29. ადგნენ და ქალაქიდან გააძევეს იგი, და აიყვანეს მთის თხემზე, რომელზედაც გაშენებული იყო მათი ქალაქი, რათა გადაეგდოთ იგი.

30. მაგრამ მან მათ შორის გაიარა და წავიდა.

31. და ჩამოვიდა კაპერნაუმს, გალილეის ქალაქში, და შაბათობით ასწავლიდა მათ.

32. და უკვირდათ მისი მოძღვრება, ვინაიდან ძალმოსილებით იტყოდა სიტყვას.

33. და იყო სინაგოგაში უწმინდური სულით შეპყრობილი კაცი, რომელმაც ხმამაღლა შეჰყვირა და თქვა:

34. ეჰა, რა ჩვენა და შენ, იესო ნაზარეველო? ჩვენს დასაღუპად მოსულხარ! გიცნობ, ვინცა ხარ, ღმერთის წმიდაო.

35. მაგრამ შერისხა იგი იესომ და თქვა: ხმა გაკმინდე და გამოდი მაგისგან. და დასცა იგი შუა სინაგოგაში უწმინდურმა სულმა, და ხმამაღლა ყვირილით გამოვიდა მისგან, ისე რომ არაფერი უვნია მისთვის.

36. შეძრწუნდა ყველა, და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: რა არის ეს სიტყვა, რომ ხელმწიფებითა და ძალმოსილებით უწმინდურ სულებსაც უბრძანებს, და გამოდიან?

37. და მოედო მისი ამბავი მთელს არე-მარეს.

38. ადგა და გამოვიდა სინაგოგიდან, და შევიდა სიმონის სახლში. ხოლო სიმონის სიდედრი საშინელ ცხელებას შეეპყრო; და სთხოვეს მისთვის.

39. თავს დაადგა, შერისხა ცხელება, და მანაც დაუტევა იგი; მყისვე წამოდგა და ემსახურებოდა მათ.

40. ხოლო მზის ჩასვლისას ყველამ, ვისაც სხვადასხვა სენ[illegible] ვდა, მიჰგვარა ისინი [illegible] თითაოდ დაადო ხელი და განკურნა ისინი.

41. და მრავალთაგან გამოვიდნენ ეშმაკნი, და ღაღადებდნენ და ამბობდნენ: შენა ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა. და უკრძალავდა მათ ლაპარაკს, რადგან იცოდნენ, რომ ის არის ქრისტე.

42. და როდესაც გათენდა, წამოვიდა იქიდან და უდაბურ ადგილას მივიდა; ხალხი კი ეძებდა მას, მივიდნენ და აკავებდნენ, რომ არ დაეტოვებინა ისინი.

43. მაგრამ იესომ უთხრა მათ: სხვა ქალაქებსაც ხომ უნდა ვაბარო ღმრთის სასუფეველი, რადგან ამისთვის ვარ მოვლინებული.

44. და ქადაგებდა გალილეის სინაგოგებში.

თავი მეხუთე

1. ერთხელ, როცა ხალხი აწყდებოდა ღმრთის სიტყვის მოსასმენად, ხოლო თავად გენესარეთის ტბასთან იდგა,

2. დაინახა ტბის პირას მდგომი ორი ნავი; მებადურები კი გადმოსულიყვნენ და ბადეებს რეცხავდნენ.

3. და შევიდა ერთ-ერთ ნავში, რომელიც სიმონისა იყო, სთხოვა, ნაპირს გაშორებოდა, და დაჯდა და ნავიდან ასწავლიდა ხალხს.

4. ხოლო როცა ლაპარაკს მორჩა, სიმონს უთხრა: ღრმად შედი და ბადე ისროლე დასაჭერადო.

5. მიუგო სიმონმა და უთხრა მას: მოძღვარო, მთელი ღამე ვშრომობდით და ვერაფერი დავიჭირეთ, მაგრამ შენი სიტყვისამებრ ვისვრი ბადეს.

6. ასეც მოიქცნენ და დაიჭირეს იმდენი თევზი, რომ ბადე ეხეოდათ.

7. და ანიშნეს მეორე ნავში მყოფ მეგობრებს, მოგვეშველეთო, და ისინიც მოვიდნენ და ისე გაავსეს ორივე ნავი, რომ ჩაძირვა იწყეს.

8. ეს რომ დაინახა, სიმონ-პეტრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფებებში ჩაუვარდა იესოს და უთხრა: გამშორდი, უფალო, ვინაიდან ცოდვილი კაცი ვარ.

9. რადგან მასაც და ყველა მასთან მყოფსაც თავზარი დასცა მათ მიერ დაჭერილი თევზის სიმრავლემ;

10. ასევე სიმონის მეგობრებს, იაკობს და იოანეს, ზებედეს ძეთაც, და უთხრა იესომ სიმონს: ნუ გეშინია, ამიერიდან კაცთა მებადური იქნები.

11. და როდესაც ნავები ნაპირზე გამოათრიეს, მიატოვეს ყველაფერი და გაჰყვნენ მას.

12. და მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ ქალაქში ყოფნისას, აჰა, მოვიდა ერთი კეთრით სავსე კაცი, და იესო რომ დაინახა, პირქვე დაემხო და შეევედრა: უფალო, თუ გნებავს, შეგიძლია განწმენდა ჩემი.

13. გაიწოდა ხელი, შეეხო მას და უთხრა: მნებავს, განიწმინდე, და მყისვე გაეყარა მას კეთრი.

14. და უბრძანა არავისთვის ეთქვა, არამედ წასულიყო, სჩვენებოდა მღვდელს და შეეწირა შესაწირავი, რაც დააწესა მოსემ მათ სამოწმებლად.

15. მაგრამ მისი ამბავი სულ უფრო ედებოდა მთელს ქვეყანას, და აწყდებოდა დიდძალი ხალხი სასმენად და თავიანთ სნეულებათაგან განსაკურნავად.

16. ხოლო ის განმარტოვდებოდა უდაბნოში და ლოცულობდა.

17. და ერთ დღეს იესო ასწავლიდა ხალხს, და ისხდნენ იქ გალილეისა და იუდეის ყოველი კუთხიდან და იერუსალემიდან ჩამოსული ფარისეველნი და რჯულის მოძღვარნი, და იღწვოდა ძალა უფლისა მათ განსაკურნავად.

18. და აჰა, რამდენიმე კაცმა სარეცლით მოიყვანა დავრდომილი, და ცდილობდნენ შინ შესულიყვნენ და მის წინაშე დაედოთ იგი.

19. მაგრამ რაკი ხალხმრაველობის გამო ვერსაით გაიკაფეს გზა, სახურავზე ავიდნენ და ჭერიდან ჩაუშვეს დავრდომილი იესოს წინაშე.

20. და მათი რწმენა რომ იხილა, დავრდომილს უთხრა: კაცო, მიტევებულ შენი ცოდვანი.

21. ხოლო მწიგნობრებმა და ფარისეველებმა ბჭობა გამართეს და ამბობდნენ: ვინ არის ეს ღვთისმგმობი? ვის შეუძლია ცოდვათა მიტევება, გარდა ერთის — ღმერთისა?

22. მაგრამ იესომ შეიცნო მათი ზრახვანი და უთხრა მათ: ამას რას ფიქრობთ თქვენს გულში?

23. რა უფრო ადვილია: ამისი თქმა: მოგეტევოს შენი ცოდვანი; თუ ამისა: აღდეგ და წადი?

24. მაგრამ რათა თქვენ იცოდეთ, რომ ძეს კაცისას ძალი შესწევს ამ ქვეყნად ცოდვების მიტევებისა, — ასე უთხრა დამბლადაცემულს: შენ გეუბნები: აღდეგ, აიღე შენი სარეცელი და წადი შენს სახლში.

25. ისიც მაშინვე აღდგა მათ თვალწინ, აიღო, რაზედაც იწვა, და წავიდა თავის სახლში, და ადიდებდა ღმერთს.

26. განცვიფრებამ შეიპყრო ყველა, ადიდებდნენ ღმერთს და თავზარდაცემულნი ამბობდნენ: საოცრებანი ვიხილეთ დღეს.

27. ამის შემდეგ გამოვიდა იესო და დაინახა მებაჟე, სახელად ლევი, რომელიც საბაჟოში იჯდა, და უთხრა მას, გამომყევიო,

28. მანაც მიატოვა ყველაფერი, წამოდგა და გაჰყვა მას.

29. და გაუმართა მას ლევიმ თავის სახლში დიდი წვეულება; და იყო იქ მებაჟეთა და სხვათა კრებული, რომლებიც ინახად ისხდნენ მასთან.

30. ხოლო მწიგნობრები და ფარისეველები დრტვინავდნენ და მის მოწაფეებს ეუბნებოდნენ: რატომ ჭამთ და სვამთ მებაჟეებსა და ცოდვილებთან ერთად?

31. მიუგო იესომ და უთხრა მათ: კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფთ.

32. მართალთა სახმობლად კი არ მოვედი, არამედ ცოდვილთა სინანულად.

33. ხოლო მათ უთხრეს მას: რატომაა, რომ იოანეს მოწაფეები ხშირად

მარხულობენ და ლოცულობენ, ასევე ფარისევლებისაც, შენი მოწაფეები კი ჭამენ და სვამენ?

34. ხოლო იესომ მიუგო მათ: განა შეგიძლიათ ამარხულოთ მექორწილენი, ვიდრე მათთანაა სიძე?

35. მაგრამ დადგება დღე, როდესაც სიძე აღარ ეყოლებათ, და მაშინ, იმ დღეებში, იმარხულებენ.

36. და უთხრა მათ იგავიც: არავინ ადებს ახალი სამოსიდან ახეულ საკერებელს ძველ სამოსს; თორემ ახალიც დაიხევა და ვერც ძველი მოიხდენს ახალს.

37. არც არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში; თორემ დახეთქს ახალი ღვინო ტიკებს, და თვითონაც დაიქცევა და ტიკებიც უვარგისი გახდება.

38. არამედ ახალი ღვინო უნდა ჩაისხას ახალ ტიკებში, და ორივე შეინახება.

39. და ძველი ღვინის არცერთი მსმელი არ ისურვებს მაშინვე ახალს; რადგანაც იტყვის: ძველი სჯობსო.

თავი მეექვსე

1. ერთხელ, შაბათს, ყანაში მიდიოდა იესო. და დაიწყეს მისმა მოწაფეებმა თავთავების კრეფა; ხელით ფშვნეტდნენ და ჭამდნენ.

2. და ზოგიერთმა ფარისეველმა უთხრა მათ: რატომ აკეთებთ იმას, რაც ნებადართული არ არის შაბათს?

3. ხოლო იესომ მიუგო მათ: არ წაგიკითხავთ, როგორ მოიქცა დავითი, როცა მოშივდა მასაც და მასთან მყოფთაც?

4. როგორ შევიდა ღმერთის სახლში, და აიღო და შეჭამა შესაწირავი პური, რისი ჭამის ნებაც არავის ჰქონდა, გარდა მღვდლებისა, და მისცა მასთან მყოფთაც?

5. და უთხრა მათ: ძე კაცისა შაბათის უფალიც არის.

6. ხოლო მეორე შაბათს შევიდა სინაგოგაში და ასწავლიდა ხალხს; და იყო იქ კაცი, რომელსაც მარჯვენა ხელი გამხმარი ჰქონდა.

7. და უთვალთვალებდნენ მას მწიგნობრები და ფარისევლები, განკურნავდა თუ არა შაბათს; რათა ბრალდების საბაბი ეპოვათ მისთვის.

8. მაგრამ მან იცოდა მათი ზრახვანი, და უთხრა ხელგამხმარ კაცს: ადექი და შუაში გამოდი! ისიც ადგა და გამოვიდა.

9. და უთხრა მათ იესომ: თქვენ გეკითხებით: რისი ქმნა შეიძლება შაბათს: კეთილისა თუ ბოროტისა? სულის ცხონება თუ წარწყმედა?

10. და გადახედა ყველა მათგანს, და უთხრა კაცს: აბა, გაიწოდე შენი ხელი! მანაც გაიწოდა და გაუმრთელდა, როგორც მეორე.

11. ხოლო ისინი გაცოფდნენ, და ერთმანეთს ეუბნებოდნენ: რა ვუყოთ იესოსო.

12. და მოხდა ისე, რომ იმ დღეებში სალოცავად ავიდა მთაზე, და მთელი ღამე იქ დაჰყო, ღმრთის მიმართ მლოცველმა.

13. და როდესაც გათენდა, მოუხმო თავის მოწაფეებს, და ამოარჩია მათგან თორმეტი, რომლებსაც მოციქულები უწოდა:

14. სიმონი, რომელსაც დაარქვა პეტრე, და მისი ძმა ანდრია, იაკობი და იოანე, ფილიპე და ბართლომე,

15. მათე და თომა, იაკობი, ალფესი და სიმონი, ზელოტედ წოდებული,

16. იუდა იაკობისა და იუდა ისკარიოტელი, რომელიც გამცემი გახდა.

17; და ჩამოვიდა მათთან ერთად, და ვაკეზე დადგა, და იყვნენ იქ მისი მოწაფეები და დიდძალი ხალხი მთელი იუდეიდან და იერუსალემიდან და ტიროსისა და სიდონის ზღვისპირეთიდან;

18. რომლებიც მოსულიყვნენ მის მოსასმენად და თავიანთ სნეულებათაგან განსაკურნავად, და აგრეთვე უწმინდური სულებით ვნებულნი; და იკურნებოდნენ.

19. და მთელი ხალხი ცდილობდა როგორმე შეხებოდა მას; ვინაიდან ძალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდიოდა მისგან, და კურნავდა ყველას.

20. ხოლო ის, თავისი მოწაფეების მიმართ თვალმიპყრობილი ამბობდა: ნეტარნი ხართ გლახაკნი სულითა, ვინაიდან თქვენია ღმრთის სასუფეველი;

21. ნეტარნი ხართ მშიერნი ამჟამად, ვინაიდან გაძღებით; ნეტარნი ხართ მოტირალნი ამჟამად, ვინაიდან გაიცინებთ;

22. ნეტარნი ხართ, როცა მოგიძულებენ და მოგიკვეთენ კაცნი, და შეურაცხგყოფენ თქვენ, და სათრეველად აქცევენ თქვენს სახელს, როგორც უკეთურს, კაცის ძისათვის.

23. იხარებდეთ და ილხენდეთ იმ დღეს, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური ცაში. ასევე ექცეოდნენ წინასწარმეტყველთაც მათი მამები.

24. მაგრამ ვაი თქვენ, მდიდარნო! რადგან უკვე მიიღეთ თქვენი ნუგეში.

25. ვაი თქვენ, მაძღარნო ამჟამად, ვინაიდან დაიმშევით; ვაი თქვენ, მოცინარნო ამჟამად, ვინაიდან ატირდებით და აქვითინდებით;

26. ვაი თქვენ, როცა კარგს იტყვის თქვენზე ყოველი კაცი: ვინაიდან ასე ექცეოდნენ ცრუწინასწარმეტყველთაც მათი მამები.

27. ხოლო თქვენ, ჩემს მსმენელთ გეტყვით: გიყვარდეთ თქვენი მტრები და კეთილი უყავით თქვენს მოძულეთ;

28. აკურთხეთ თქვენი მაწყევარნი და ილოცეთ თქვენსავ შეურაცხმყოფელთათვის.

29. ვინც ყვრიმალში შემოგკრას, მიუშვირე მეორეც, და ვინც მოსასხამს წაგართმევს, მიანებე პერანგიც.

30. ყველას, ვინაც გთხოვს, მიეცი, და ვინც შენსას წაიღებს, უკან ნუ მოსთხოვ.

31. და როგორც გინდათ, რომ გექცეოდნენ კაცნი, თავადაც ისე მოექეცით მათ.

32. თუ გეყვარებათ თქვენი მოყვასნი, რას მიითვლით მადლად? რადგან თავიანთი მოყვასნი ცოდვილთაც უყვართ.

33. და თუ კეთილს უყოფთ თქვენს კეთილისმყოფელთ, რას მიითვლით მადლად? რადგან ცოდვილნიც ასეევიან.

34. და თუ ასესხებთ იმათ, ვისგანაც დაბრუნების იმედი გაქვთ, რას მიითვლით მადლად? რადგან ცოდვილნიც აძლევენ სესხს ცოდვილთ, რათა დაიბრუნონ ერთი იმდენიც.

35. ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, კეთილი უყავით და სესხი მიეცით მათ, ისე, რომ არაფერს მოელოდეთ სანაცვლოდ; და დიდი იქნება თქვენი საზღაური, და იქნებით უზენაესის ძენი; რადგან ის კეთილმოწყალეა თვით უმადურთა და უკეთურთა მიმართ.

36. მაშ, იყავით გულმოწყალენი, ისევე როგორც გულმოწყალეა მამა თქვენი.

37. ნუ განსჯით, და არ განისჯებით; ნუ დაკგმობთ, და არ დაიგმობით; მიუტევეთ და მოგეტევებათ;

38. გაეცით და მოგეცემათ: კეთილი, დაბეკნილი, დატენილი და თავდადგმული საწყაულით თქვენსავ წიაღში მოგეწყვებათ; ვინაიდან რომელი საწყაულითაც მიუწყავთ, იმითვე მოგეწყვით თქვენ.

39. უთხრა მათ იგავიც: განა შეიძლება ბრმა წინ უძღოდეს ბრმას? განა ორივენი ორმოში არ ჩაცვივიან?

40. არ არის მოწაფე, თავის მოძღვარზე უმეტესი; არამედ ყველა, თვითონ სრულქმნილიც, იქნება როგორც მისი მოძღვარი.

41. რას ხედავ ბეწვს შენი ძმის თვალში, ხოლო შენსაში დირესაც ვერა გრძნობ?

42. ან როგორ შეგიძლია უთხრა შენს ძმას: ძმაო, მოდი ამოგიღო ბეწვი თვალიდან, და შენს თვალში კი დირესაც ვერა ხედავ? თვალთმაქცო, ჯერ შენი თვალიდან ამოიღე დირე და მერეღა ნახავ, როგორ ამოიღო შენი ძმის თვალიდან ბეწვი.

43. ვინაიდან არ არის ვარგისი ხე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმელმაც გამოიღოს უვარგისი ნაყოფი, და არც უვარგისი ხე, რომელმაც გამოიღოს ვარგისი ნაყოფი.

44. რადგანაც ყოველი ხე თავისი ნაყოფით იცნობა; იმიტომ რომ არც ეკალზე კრეფენ ლეღვს, და არც ნარისაგან მოისთვლიან ყურძენს.

45. კეთილ კაცს თავისი გულის კეთილი საუნჯიდან გამოაქვს კეთილი, და ბოროტ კაცს თავისი გულის ბოროტი საუნჯიდან გამოაქვს ბოროტი, რადგანაც გულის სისავსისგან მეტყველებს მისი ბაგე.

46. რად მეუბნებით: უფალო, უფალო! და ჩემს ნათქვამს კი არ ასრულებთ?

47. ყველა, ვინც მოდის ჩემთან და ისმენს ჩემს სიტყვებს და ასრულებს მათ, გიჩვენებთ, ვისა ჰგავს:

48. ჰგავს იგი სახლის მაშენებელ კაცს, რომელმაც ამოთხარა, ამოაღრმავა და კლდეზე დადო საძირკველი, და წყალდიდობისას ეკვეთა მდინარე ამ სახლს, მაგრამ ვერ შეარყია იგი, ვინაიდან კლდეზე იყო დაფუძნებული.

49. ხოლო ვინც ისმენს და არ ასრულებს მათ, იმ კაცსა ჰგავს, მიწაზე უსაძირკვლოდ რომ დადგა სახლი, და როგორც კი ეკვეთა მდინარე, მყისვე დაინგრა, და დიდი იყო ნგრევა იმ სახლის.

თავი მეშვიდე

1. და როდესაც დაასრულა თავისი სიტყვა ხალხის წინაშე, კაპერნაუმში შევიდა.

2. და ერთი ასისთავის მონა, რომელსაც პატრონი დიდ პატივს სცემდა, ავად იყო და სულს ებრძოდა.

3. იესოს ამბავი რომ გაიგო, იუდეველი უხუცესნი მიუგზავნა, რათა ეთხოვათ მისთვის, მისულიყო და განეკურნა მისი მონა.

4. ხოლო ისინი მივიდნენ იესოსთან, დაბეჯითებით სთხოვეს და უთხრეს: ღირსია იმისა, რომ ეს [illegible] მას.

5. ვინაიდან უყვარს ჩვენი ხალხი, და სინაგოგაც აგებინა.

6. და წასულა იესო მათ. და როცა სახლს მიუახლოვდნენ, ასისთავმა მეგობრები შეაგება და შეუთვალა: ნუ ეწვალებინ, უფალო! ვინაიდან არა ვარ იმისი ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე.

7. ამიტომ არც იმის ღირსად ჩავთვალე თავი, რომ თავად გელებოდი. არამედ მხოლოდ სიტყვა თქვი და განიკურნება ჩემი მონა.

8. ვინაიდან, თუმცა სხვისი ქვეშევრდომი ვარ, თავადაც ხელქვეითებად მყვანან მეომრები; და ვეტყვი ერთს: წადი, და მიდის; და მეორეს: მოდი, და მოდის; და ჩემს მონას: გააკეთე ეს, და აკეთებს.

9. ეს რომ გაიგონა, განცვიფრდა იესო, მიუბრუნდა უკან მომავალ ხალხს და თქვა: თქვენ გეუბნებით, ისრაელშიც არ შევხვედრივარ ამნაირ რწმენას.

10. გაგზავნილები მიბრუნდნენ სახლში, და განკურნებული დაუხვდათ მონა.

11. და მოხდა ისე, რომ ამის შემდეგ იესო წავიდა ქალაქში, რომელსაც ჰქვია ნაინი, და თან ახლდნენ მისი მოწაფეები და დიდძალი ხალხი.

12. და როცა ქალაქის ბჭეს მიუახლოვდა, აჰა, გამოასვენეს მკვდარი, დედისერთა ჭაბუკი, ხოლო დედამისი ქვრივი იყო, და დიდძალი ხალხი მოაცილებდა ქალაქიდან.

13. ქალი რომ დაინახა, უფალს შეებრალა იგი, და უთხრა მას: ნუ სტირი.

14. მივიდა და შეეხო კუბოს; ხოლო ისინი, ვისაც კუბო მოჰქონდათ, შედგნენ; და თქვა: ჭაბუკო, შენ გეუბნები, აღდეგ!

15. მკვდარი წამოჯდა და ალაპარაკდა; და მისცა იგი დედამისს.

16. ყველანი შიშმა მოიცვა, ადიდებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: დიდი წინასწარმეტყველი წარმოსდგა ჩვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის, და მოიხილა ღმერთმა თავისი ხალხი.

17. და მოედო ეს ამბავი მთელს იუდეას, და მთელს არემარეს.

18. და ყოველივე ეს მისმა მოწაფეებმა აუწყეს იოანეს.

19. ხოლო იოანემ მოუხმო თავის ორ მოწაფეს, იესოსთან გაგზავნა და შეუთვალა: შენა ხარ მომავალი, თუ სხვა ვინმეს უნდა ველოდეთ?

20. ისინიც მივიდნენ და უთხრეს მას: იოანე ნათლისმცემელმა შენთან გამოგვგზავნა საკითხავად: შენა ხარ მომავალი, თუ სხვა ვინმეს უნდა ველოდეთ?

21. ხოლო იმ ხანად მრავალნი განკურნა სნეულებათაგან, სალმობათა და უკეთურ სულთაგან, და მრავალ ბრმას მიჰმადლა ხედვა.

22. და მიუგო მათ იესომ: წადით და უთხარით იოანეს, რაც იხილეთ და ისმინეთ: ბრმანი ხედავენ, კოჭლნი დადიან, კეთროვანნი იწმინდებიან და ყრუნი ისმენენ; მკვდარნი აღდგებიან და გლახაკნი სახარებით ხარობენ.

23. ნეტა მას, ვინც არ შემცდარა ჩემში.

24. ხოლო იოანეს მაცნეთა წასვლის შემდეგ, იოანეზე ჩამოუგდო სიტყვა ხალხს: რისთვის დადიოდით უდაბნოში? ქარისაგან რხეული ლერწმის ხილვად?

25. რისთვის დადიოდით თქვენ? ლბილი სამოსით მოსილი კაცის ხილვად? მაგრამ ლბილი სამოსით მოსილნი და განცხრომით მყოფნი მეფეთა დარბაზებში არიან.

26. რისთვის დადიოდით თქვენ? წინასწარმეტყველის ხილვად? დიახ, გეტყვით თქვენ, წინასწარმეტყველისა და უფრო მეტისაც.

27. ეს არის იგი, ვისთვისაც დაიწერა: აჰა, მე ვგზავნი ჩემს ანგელოზს შენს წინაშე, რომელიც განამზადებს შენს გზას შენსავ წინაშე.

28. რადგანაც გეუბნებით თქვენ: დედისაგან შობილი არცერთი წინასწარმეტყველი არ აღმატებია იოანეს; ხოლო ღმრთის სასუფეველში უმცირესი მასზე უმეტესია.

29. და მისმა მსმენელმა მთელმა ხალხმა და მებაჟეებმაც ადიდეს ღმერთი, და ნათელ იღეს იოანეს ნათლის ცემით.

30. ხოლო ფარისევლებმა და რჯულის მოძღვრებმა უარყვეს ღმრთის ნება მათ მიმართ, და ნათელი არ იღეს მისგან.

31. და თქვა უფალმა: ვის შევადარო ამ მოდგმის კაცნი? ან ვის ვამსგავსო ისინი?

32. ვამსგავსებ მათ მოედანზე მსხდომ ბალღებს, ერთმანეთს რომ უყვირიან და ამბობენ: თქვენთვის ვუკრავდით, და არ იცეკვეთ; თქვენთვის ვგოდებდით, და არ იგლოვეთ.

33. ვინაიდან მოვიდა იოანე ნათლისმცემელი: არც პურს ჭამს და არც ღვინოს სვამს; და ამბობთ: ეშმაკი ჰყავსო.

34. მოვიდა ძე კაცისა: კიდეც ჭამს და კიდეც სვამს; და ამბობთ: აჰა, კაცი მჭამელი და ღვინის მსმელი, მებაჟეთა და ცოდვილთა მეგობარიო;

35. და გამართლდა სიბრძნე მისი შვილებისაგან.

36. ერთმა ფარისეველმა სთხოვა, მასთან ერთად ეჭამა პური. და შევიდა ფარისევლის სახლში და ინახად დაჯდა.

37. და აჰა, ქალაქში ერთმა ცოდვილმა ქალმა, როცა გაიგო, ფარისევლის სახლში ზისო, ალაბასტრის ჭურჭლით მოიტანა ნელსაცხებელი;

38. ფერხთით დაუდგა უკნიდან, ტიროდა, ცრემლით ულტობდა ფეხებს და თმებით უმშრალებდა, უკოცნიდა ფეხებს და ნელსაცხებელს სცხებდა.

39. ამის შემყურე ფარისეველმა, მისმა მასპინძელმა, გულში თქვა: ეს რომ წინასწარმეტყველი იყოს, ხომ მიხვდებოდა, ვინ ეხება, ან რანაირი ქალი ეხება, ვინაიდან ცოდვილიაო.

40. ხოლო იესომ მიუგო და უთხრა მას: სიმონ, სიტყვა მაქვს შენთვის სათქმელი. და მან უთხრა: მოძღვარო, სთქვი!

41. ერთ მევალეს ორი მოვალე ჰყავდა: ერთს ხუთასი დინარი ემართა მისი, მეორეს — ორმოცდაათი;

42. მაგრამ რაკი გადახდის თავი არ ჰქონდათ, ორივეს აპატია. ახლა მითხარი, რომელს უფრო ეყვარება იგი?

43. სიმონმა მიუგო: ჩემის აზრით, იმას, ვისაც მეტი აპატია. ხოლო მან თქვა: მართლად განსაჯე.

44. მიუბრუნდა ქალს, და უთხრა სიმონს: მე შემოვედი შენ სახლში, და ფეხსაბანი წყალიც არ მომეცი, ხოლო ამან ცრემლით დამილტო ფეხები და თავისი თმებით შემიმშრალა.

45. შენ ერთხელაც არ მეამბორე, ხოლო ეს, აქ შემოსვლის შემდეგ, განუწყვეტლივ მიკოცნის ფეხებს.

46. შენ ზეთიც არა მცხე თავზე, ხოლო ამან ფეხებზე მცხო ნელსაცხებელი.

47. ამიტომაც გეუბნები შენ: მიეტევა მას დიდძალი ცოდვა, ვინაიდან დიდია მისი სიყვარული; ხოლო ვისაც მცირედი მიეტევება, მცირედია მისი სიყვარული.

48. ქალს კი უთხრა: მოგეტევა შენი ცოდვანი.

49. ხოლო მისი თანამეინახენი გულში ამბობდნენ: ვინ არის ეს, ცოდვებსაც რომ მიუტევებსო?

50. მაგრამ იესომ უთხრა ქალს: შენმა რწმენამ გიხსნა შენ. წადი მშვიდობით!

თავი მერვე

1. ამის შემდეგ დადიოდა ქალაქებსა და სოფლებში, ქადაგებდა და ახარებდა ღმრთის სასუფეველს, და იყვნენ მასთან თორმეტნი,

2. და რამდენიმე ქალი, რომლებიც უკეთურ სულთა და სალმობათაგან განეკურნა: მარიამი, მაგდალელად წოდებული, ვისგანაც გამოსულიყო შვიდი ეშმაკი,

3. და იოანა, ჰეროდეს ეზოსმოძღვრის ქუზას ცოლი, და სუსანა, და სხვა მრავალიც, რომლებიც თავიანთი საბადებლით ემსახურებოდნენ მას.

4. ხოლო როდესაც დიდძალი ხალხი შეგროვდა და ქალაქების მცხოვრებნიც მოვიდნენ მასთან, უთხრა, მათ, იგავით:

5. გამოვიდა მთესავი თავისი თესლის თესვად. და თესვისას ზოგი მარცვალი გზის პირას დავარდა და გაითელა, და ცის ფრინველებმა აკენკეს ისინი.

6. ზოგი კლდეზე დავარდა და აღმოცენებისთანავე გახმა, ვინაიდან სინესტე აკლდა.

7. ზოგი კიდევ ეკალ-ბარდებში ჩაცვივდა, და მათთან ერთად ამოვიდა ეკალი, და ერთიანად მოაშთო ყველა.

8. ხოლო ზოგი პოხიერ ნიადაგზე დაეცა, და აღმოცენდა და ნაყოფიც გამოიღო ასმაგად. ეს რომ თქვა, შეღაღადა: ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინოს!

9. და მოწაფეებმა ჰკითხეს მას: რას უნდა ნიშნავდეს ეს იგავი?

10. ხოლო მან თქვა: თქვენ მოგეცათ ღმრთის სასუფევლის საიდუმლოთა ცოდნა, ხოლო დანარჩენთ იგავებით ეთქმის, რათა მხედველნი ვერას ხედავდნენ, და მსმენელთ არა ესმოდეთ რა.

11. აი, რას ნიშნავს ეს იგავი: თესლი სიტყვაა ღმრთისა;

12. გზის პირას დაცვენილი მარცვლები მსმენელები არიან, ხოლო შემდეგ მოდის ეშმაკი და იტაცებს სიტყვას მათი გულიდან, რათა არ იწამონ და არა ცხონდნენ;

13. კლდეზე დაცვენილი მარცვლები ისინი არიან, რომლებიც სიტყვის მოსმენისთანავე სიხარულით იღებენ მას, მაგრამ ფესვი არა აქვთ, და ამიტომაც დროებით სწამთ, ხოლო განსაცდლის დროს განდგებიან;

14. ხოლო ეკალ-ბარდებში ჩაცვენილი მარცვლები ისინი არიან, რომლებიც ისმენენ სიტყვას, მაგრამ მიდიან და ზრუნვით, სიმდიდრისა თუ ამქვეყნიური განცხრომის სურვილით მომშთვარნი, უნაყოფონი რჩებიან.

15. პოხიერ ნიადაგზე დაცვენილნი კი ისინი არიან, რომლებიც ისმენენ სიტყვას და კეთილსა და სუფთა გულში იმარხავენ მას, და ნაყოფიც გამოაქვთ მოთმინებით.

16. არავინ ანთებს სანთელს და დგამს საწყაოს ოუ საწოლის ქვეშ, არამედ სასანთლეზე დგამენ მას, რათა შემომსველელნი ხედავდნენ ნათელს.

17. ვინაიდან არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს, და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს და გაცხადდეს.

18. მაშ, დაუკვირდით, როგორ ისმენთ: რადგან ვისაც აქვს, მას მიეცემა, და ვისაც არა აქვს, მაგრამ ასე ჰგონია, მაქვსო, მას წაერთმევა.

19. და მივიდნენ მასთან დედა და მისი ძმები, მაგრამ ხალხმრავლობის გამო ვერ შესძლეს ახლოს მისვლა.

20. და უთხრეს მას: დედაშენი და ძმები შენი გარეთ დგანან და შენი ნახვა სურთ.

21. ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: დედა ჩემი და ძმები ჩემი ისინი არიან, რომელნიც ისმენენ ღმრთის სიტყვას და ასრულებენ მას.

22. და მოხდა ისე, რომ ერთ დღეს თავის მოწაფეებთან ერთად ჩაჯდა ნავში, და უთხრა მათ: ტბის გაღმა ნაპირს გავიდეთო, და გაცურეს.

23. ხოლო ცურვისას ჩაეძინა, და ამოვარდა გრიგალი ტბაზე; წყლით ივსებოდა ნავი და ჩაძირვას უქადდა მათ.

24. მივიდნენ, გააღვიძეს იგი და უთხრეს: მოძღვარო, მოძღვარო, ვიღუპებით. ხოლო ის წამოდგა, შერისხა ქარები და ზღვის ღელვა; და დაცხრნენ და სიმყუდროვემ დაისადგურა.

25. და უთხრა მათ: სად არის თქვენი რწმენა? ხოლო ისინი, დამფრთხალნი და განცვიფრებულნი, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ვინ არის იგი, ქარებს და ზღვას რომ უბრძანებს, და ისინიც მორჩილებენ მას?

26. და მიადგნენ გადარელთა მხარეს, გალილეის გაღმა.

27. და ხმელეთზე გადმოსულს შემოხვდა ერთი ქალაქელი კაცი, რომელსაც დიდი ხანია, ეშმაკნი ჰყავდა, და შიშველ-ტიტველი, სახლში კი არ ცხოვრობდა, არამედ სამარხებში.

28. იესო რომ დაინახა, შეჰყვირა, მის წინაშე დაემხო და შეჰლაღადა: რა მე და შენ, იესო, ძეო მაღალ[illegible] საო? გევედრები, ნუ მტანჯ[illegible]

29. რადგანაც უბრძანა უწმინდურ სულს, გამოსულიყო ამ კაცისაგან, ვინაიდან დიდი ხანია სტანჯავდა მას, ისე რომ ჯაჭვით კრავდნენ და ბორკილებს ადებდნენ. მაგრამ ამსხვრევდა ბორკილებს და, ეშმაკისაგან დევნილი, უდაბნოში გარბოდა.

30. ჰკითხა მას იესომ: რა გქვია სახელად? ხოლო მან მიუგო: ლეგიონი; ვინაიდან მრავალი ეშმაკი შესულიყო მასში.

31. და ევედრებოდნენ იესოს: ნუ გვიბრძანებ უფსკრულში დანთქმასო.

32. იქვე, მთაზე, ბალახობდა ღორების დიდი კოლტი. და შეევედრნენ: ნება დაგვრთე, მათში შევიდეთო. და ნება დართო მათ.

33. და გამოვიდნენ ეშმაკნი კაცისგან და შევიდნენ ღორებში. და მთელი კოლტი მიაწყდა კბოდეს და ტბაში ჩაიხრჩო.

34. ამის მხილველი მეღორეები გაიქცნენ და ქალაქსა და სოფლებს მოსდეს ეს ამბავი.

35. და გამოვიდნენ, რათა ეხილათ, რაც მოხდა. და იესოსთან მისულებმა იხილეს კაცი, ვისგანაც გამოსულიყვნენ ეშმაკნი, იესოს ფერხთით მჯდომარე, ჩაცმულ-დაბურული და გონს მოგებული, და შეძრწუნდნენ.

36. ხოლო მხილველებმა უამბეს მათ, როგორ განიკურნა ეშმაკეული.

37. და გადარელთა მხარის მთელმა ხალხმა სთხოვა, გასცლოდა მათ, ვინაიდან შიშით თავზარდაცემულები იყვნენ. და ჩაჯდა ნავში და უკანვე გამობრუნდა.

38. ხოლო კაცმა, ვისგანაც გამოეიდნენ ეშმაკნი, სთხოვა, თან წამიყვანეო, მაგრამ იესომ გაისტუმრა იგი და უთხრა:

39. დაბრუნდი სახლში და უამბე შენიანებს, რა გიყო ღმერთმა. ისიც წავიდა და მთელს ქალაქში ქადაგებდა, რა უყო იესომ.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

40. და მოხდა ისე, რომ იესოს დაბრუნებისთანავე მიიღო იგი ხალხმა, ვინაიდან ყველანი ელოდნენ მას.

41. და აჰა, მოვიდა ერთი კაცი, სახელად იაეიროს, სინაგოგის წინამძღვარი, ფეხქვეშ ჩაუვარდა იესოს და სთხოვა, სახლში წამომყევით,

42. რადგანაც ერთადერთი ასული ჰყავდა, თორმეტი წლისა, და ისიც უკვდებოდა. წაჰყვა, და ხალხი აწყდებოდა მიმავალს.

43. და ერთმა ქალმა, რომელიც თორმეტ წელიწადს სისხლის დენით იტანჯებოდა, და ექიმებისთვის გადაეგო მთელი თავისი საბადებელი, მაგრამ ვერავის განეკურნა,

44. ზურგიდან მოუარა და მისი სამოსის კალთას შეეხო; და მაშინვე შეუწყდა სისხლის დენა.

45. და თქვა იესომ: ვიღაც შემეხო მე; და რაკი ყველამ უარყო, პეტრემ და მისმა თანამდგომებმა უთხრეს: მოძღვარო, ხალხი გაწყდება და გავიწროებს, და შენ ამბობ, ვინ შემეხოო?

46. მაგრამ იესომ თქვა: ვიღაც შემეხო მე, რადგანაც ვიგრძენი, რომ ძალა გავიდა ჩემგან.

47. და რაკი მიხვდა ქალი, რომ ვერ დაიმალა, კანკალით მიუახლოვდა, ფეხქვეშ ჩაუვარდა და მთელი ხალხის წინაშე აღიარა, რატომ შეეხო და რა უცებ განიკურნა.

48. ხოლო იესომ უთხრა მას: მხნედ იყავ, ასულო, შენმა რწმენამ გიხსნა; წადი მშვიდობით.

49. ამას რომ ამბობდა, ერთი კაცი მოვიდა და სინაგოგის წინამძღვარს უთხრა: შენი ასული მოკვდა; ნუღარ აწუხებ მოძღვარს.

50. მაგრამ იესომ, ეს რომ გაიგონა, უთხრა მას: ნუ გეშინია, შენ მხოლოდ გწამდეს, და გადარჩება.

51. ხოლო სახლში მისვლისას არავის დაანება მასთან ერთად შესვლა, პეტრეს, იაკობის, იოანესა და ბავშვის დედ-მამის გარდა.

52. ყველანი ტიროდნენ და მოთქვამდნენ; ხოლო მან თქვა: ნუ ტირით, კი არ მომკვდარა, არამედ სძინავს.

53. და ისინი დასცინოდნენ, [illegible] დგანაც იცოდნენ, რომ მოკვდა.

54. ხოლო მან გარეთ გამოყარა ყველა, ხელი მოჰკიდა გოგონას, შეღაღადა და თქვა: პატარავ, აღდეგ!

55. და მოიქცა მისი სული, და მაშინვე აღდგა. ხოლო მან ბრძანა, საჭმელი მიეცითო.

56. მშობლები გაოგნებულნი იყვნენ. ხოლო იესომ უბრძანა მათ, არავისთვის ეთქვათ ეს ამბავი.

თავი მეცხრე

1. და მოუხმო თავის თორმეტ მოწაფეს, და მისცა მათ ყველა ეშმაკის დათრგუნვისა და სალმობათა განკურნვის ხელმწიფება და ძალა.

2. და წარგზავნა ისინი ღმრთის სასუფევლის საქადაგებლად და სნეულთა განსაკურნავად.

3. და უთხრა მათ: ნურაფერს წაიღებთ გზაში: ნურც არგანს, ნურც აბგას ,ნურც პურს, ნურც ვერცხლს, ნურც ორ ხელ სამოსს.

4. და რომელ სახლშიც უნდა შეხვიდეთ, იქ დადექით, გამოსვლამდე.

5. ხოლო თუ სადმე არ მიგიღონ, იმ ქალაქიდან გამოსვლისას, მათდა სამოწმებლად ჩამოიბერტყეთ თქვენი ფეხიდან მტვერი.

6. ისინი წავიდნენ, და დადიოდნენ სოფლებში. ახარებდნენ და ჰკურნავდნენ სნეულთ ყველგან.

7. და გაიგო ჰეროდე მეოთხედმთავარმა ყველაფერი, რაც ექმნა იესოს, და საგონებელში ჩავარდა, ვინაიდან ზოგიერთნი ამბობდნენ: იოანე აღდგა მკვდრეთითო.

8. ზოგიც: ელია მოგვეევლინაო, ზოგი კიდევ ამბობდა, რომ ერთი ძველი წინასწარმეტყველთაგანი აღდგა.

9. და თქვა ჰეროდემ: იოანეს მე მოვკვეთე თავი. მაშ, ვინ არის ეს, ვისზე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც ამგვარი რამ მესმის? და უნდოდა, ეხილა იგი.

10. დაბრუნდნენ მოციქულები, და აუწყეს მას ყველაფერი, რაც გააკეთეს. ხოლო მან წაიყვანა ისინი და უდაბურ ადგილას განმარტოვდა, ბეთსაიდად წოდებული ქალაქის მახლობლად.

11. მაგრამ გაიგო ხალხმა და გაჰყვა მას; და შეიწყნარა ისინი. და ღმრთის სასუფევლისათვის ელაპარაკებოდა მათ, ხოლო ვისაც განკურნება სჭირდებოდა, ჰკურნავდა.

12. და როდესაც დღემ გადახრა იწყო, მივიდნენ თორმეტნი და უთხრეს მას: გაუშვი ხალხი ახლომახლო სოფლებსა თუ დაბებში, ღამის გასათევად და საჭმლის საშოვნად, ვინაიდან აქ უდაბურ ადგილას ვართ.

13. და უთხრა მათ იესომ: თქვენ თვითონ მიეცით საჭმელი. ხოლო მათ თქვეს: არაფერი გვაქვს, ხუთი პურისა და ორი თევზის გარდა, თუ არ წავალთ და ვიყიდით საჭმელს მთელი ამ ხალხისთვის.

14. რადგანაც იყო იქ ხუთი ათასამდე კაცი. მაგრამ მან თავის მოწაფეებს უთხრა: რიგ-რიგად დასხით ისინი, თითო რიგში ორმოცდაათი კაცი.

15. ასეც მოიქცნენ, და დასხეს ყველა.

16. ხოლო მან აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცად აღაპყრო თვალნი, აკურთხა, დატეხა და მისცა თავის მოწაფეებს ხალხისათვის ჩამოსარიგებლად.

17. და ჭამა ყველამ და გაძღნენ; და გაავსეს ნარჩენებით თორმეტი კალათი.

18. და მოხდა ისე, რომ ერთხელ, როცა განმარტოებით ლოცულობდა, მოწაფეები იყვნენ მასთან, და ჰკითხა მათ:

19. რას ამბობს ხალხი, ვინ ვგონივართ მე? ხოლო მათ მიუგეს და უთხრეს: ზოგს იოანე ნათლისმცემელი ჰგონიხარ, ზოგს — ელია, ზოგი კიდევ ამბობს, ერთი ძველი წინასწარმეტყველთაგანი აღდგაო.

20. და უთხრა მათ: თქვენ თვითონ ვინღა გგონივართ მე? მიუგო პეტრემ და უთხრა: ქრისტე ღმრთისაგან.

21. მაგრამ მან მკაცრად უბრძანა მათ, არავისთან გამთქვათო,

22. და უთხრა მათ, რომ ძეს კაცისას ელოდა ბევრი ჭირისა და შეურაცხყოფის დათმენა უხუცესთაგან, მღვდელმთავართა და მწიგნობართაგან, სიკვდილით დასჯა, და მესამე დღეს აღდგომა.

23. და მიმართა ყველას: ვისაც სურს, მე მომსდიოს, განუდგეს თავის თავს, აიღოს თავისი ჯვარი და გამომყვეს მე.

24. რადგან ვისაც სურს სულის ხსნა, დაჰკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისთვის დაჰკარგავს სულს, ის ჰპოვებს მას.

25. რას გამორჩება კაცი, თუ მოიგებს მთელს ქვეყანას, და თავის თავს კი დაღუპავს, ანდა წარწყმედს?

26. რადგან ვისაც ვერცხვინები მეცა და ჩემი სიტყვებიც, ძეც კაცისა სამარცხვინოდ მიიჩნევს მას, როდესაც მოვა თავისი და მამის თვისისა და წმიდა ანგელოზთა დიდებით.

27. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ზოგიერთი აქ მყოფთაგანი არ იგემებს სიკვდილს, სანამ არ იხილავს ღმრთის სასუფეველს.

28. და მოხდა ისე, რომ ამ საუბრიდან რვა დღის შემდეგ, წაიყვანა პეტრე, იოანე და იაკობი, და სალოცავად ავიდა მთაზე.

29. და ლოცვისას სახის ფერი იცვალა, და სამოსი მისი გახდა სპეტაკი და ელვარე.

30. და აჰა, ორი კაცი ესაუბრებოდა მას; ესენი იყვნენ მოსე და ელია,

31. დიდებით მოვლენილნი და მისი გასვლისათვის ესაუბრებოდნენ იესოს, რაც უნდა აღსრულებულიყო იერუსალემს.

32. ხოლო პეტრე და მასთან მყოფნი დამძიმებულნი იყვნენ ძალით. და როდესაც გამოიღვიძეს, იხილეს მისი დიდება და მასთან მდგომარე ორი კაცი.

33. და როცა დააპირეს, გასცლოდ-

ნენ მას, უთხრა პეტრემ იესოს: მოძღვარო, რა გვიჯობს აქ ყოფნას? მოდი, გავაკეთოთ სამი კარავი: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას, რადგან არ იცოდა, რას ამბობდა.

34. სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ გამოჩნდა ღრუბელი და ჩრდილით დაბურა ისინი; და შეშინდნენ ღრუბელში შესვლისას.

35. და გაისმა ხმა ღრუბლით, რომელმაც თქვა: ეს არის ძე ჩემი საყვარელი; უსმინეთ მას.

36. და რა გაისმა ეს ხმა, იესო მარტო დარჩა. ხოლო ისინი დადუმდნენ და არავის უთხრეს იმ დღეებში, რაც ეხილათ.

37. და მეორე დღეს ჩამოვიდნენ მთიდან, და შემოეგება მათ დიდძალი ხალხი.

38. და აჰა, ერთმა კაცმა შეჰყვირა ხალხში: მოძღვარო, გევედრები, მოხედე ჩემს ძეს, ვინაიდან ერთადერთი მყავს.

39. შეიპყრობს სული და მაშინვე ყვირილს დაიწყებს, მიწაზე დასცემს და ისე სტანჯავს, რომ დუჟს ადენს, და ძნელად თუ ანებებს თავს ნაგვემ-ნაწამებს.

40. შევევედრე შენს მოწაფეებს, განდევნეთ-მეთქი, მაგრამ ვერ შესძლეს.

41. ხოლო იესომ პასუხად თქვა: ო, ურწმუნო და უკეთურო მოდგმავ; როდემდის ვიქნებით თქვენთან? როდემდის მოგითმენთ თქვენ? მომგვარე აქ შენი ძე.

42. ჯერ არც კი მისულიყო მასთან, რომ ეშმაკმა მიწას დაანარცხა და კრუნჩხვა დააწყებინა. მაგრამ იესომ შერისხა უწმინდური სული, განკურნა ყრმა და მისცა იგი მამამისს.

43. და უკვირდა ყველას ღმრთის სიდიადე; და ყველას აკვირებდა, რაც მოიმოქმედა იესომ; ხოლო მან თავის მოწაფეებს უთხრა:

44. ყურად იღეთ ეს სიტყვები: ძე კაცისა მიეცემა კაცთა ხელში.

45. მაგრამ მათ ვერ გაიგეს ეს სიტყვა; და იყო დაფარული იგი, მათგან, ასე რომ, ვერაფერს მიხვდნენ; [illegible] შეეშინდათ, რომ ეკითხნ[illegible] [illegible] რას ნიშნავდა ეს.

46. მაგრამ ერთი აზრი დაებადათ: ვინ იყო უდიდესი მათ შორის.

47. ხოლო იესომ შეიცნო მათი გულის ზრახვა, მოიყვანა პატარა ბავშვი, წინ დაიყენა,

48. და უთხრა მათ: ვინც შეიწყნარებს ამ ბავშვს ჩემი სახელით, მე შემიწყნარებს; და ვინც მე შემიწყნარებს, ჩემს მომავლინებელს შეიწყნარებს; რადგან თქვენს შორის, უმცირესი — უდიდესი იქნება.

49. მიუგო იოანემ და უთხრა მას: მოძღვარო, ვიხილეთ კაცი, რომელიც შენი სახელით აძევებს ეშმაკთ, და ავუკრძალეთ მას, ვინაიდან ჩვენ არ მოგვდევს.

50. და უთხრა მას იესომ: ნუ უკრძალავთ, რადგან ვინც ჩვენს წინააღმდეგ არაა, ჩვენს მხარესაა.

51. ხოლო როდესაც მოახლოვდნენ მისი ამაღლების დღენი, გადაჭრით იბრუნა პირი იერუსალემს წასასვლელად.

52. და წინასწარ გაგზავნა მაცნენი; ხოლო ისინი წავიდნენ და შევიდნენ სამარიტელთა სოფელში, რათა სადგომი გაემზადებინათ მისთვის.

53. მაგრამ იქ არ მიიღეს იგი, ვინაიდან იერუსალემს წასასვლელად ებრუნა პირი.

54. ეს რომ იხილეს, მოწაფეებმა იაკობმა და იოანემ თქვეს: უფალო, თუ გნებავს, ვიტყვით, რომ ცეცხლი გადმოხდეს ზეცით და მოსრას ისინი, როგორც მოიქცა ელია.

55. მიუბრუნდა იესო, შერისხა ისინი და თქვა: არ იცით, რომელი სულისანი ხართ.

56. რადგან ძე კაცისა ადამიანთა სულების წარსაწყმედად კი არ მოვიდა, არამედ სახსნელად. და სხვა სოფელში წავიდნენ.

57. მოხდა ისე, რომ გზაში ვიღაცამ უთხრა მას: სადაც უნდა მიდიოდე, თან გეახლები, უფალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

58. და უთხრა მას იესომ: მელიებს სოროები აქვთ, და ცის ფრინველებს — ბუდეები: ძეს კაცისას კი არა აქვს, სად მიიდრიკოს თავი.

59. ხოლო მეორეს უთხრა, გამომყევიო. მან კი თქვა: უფალო, ნება მიბოძე, ჯერ მივიდე და დავმარხო მამაჩემი.

60. მაგრამ იესომ უთხრა მას: აცალე მკვდრებს თავიანთი მკვდრების დაძარხვა: შენ კი წადი და ღმრთის სასუფეველი ახარე ხალხს.

61. ერთმა სხვამაც უთხრა: მე გამოგყვები, უფალო, მაგრამ ნება მიბოძე, ჯერ მივიდე და ჩემიანებს გამოვეთხოვო.

62. მაგრამ იესომ უთხრა მას: არცერთი კაცი, ვისაც ხელი უდევს სახნისზე და უკან კი იყურება, არ ივარგებს ღმრთის სასუფეველისთვის.

თავი მეათე

1. ამის შემდეგ აირჩია უფალმა სხვა სამოცდაათი მოწაფეც და წინასწარ წარგზავნა ისინი წყვილ-წყვილად იმ ქალაქებსა თუ სოფლებში, სადაც თვითონ აპირებდა მისვლას.

2. და უთხრა მათ: სამკალი ბევრია, მაგრამ ცოტანი არიან მომკალნი. მაშ, ევედრეთ სამკალის უფალს, რათა მუშაკნი მოაველინოს თავის სამკალში.

3. წადით! აჰა, მე გგზავნით თქვენ, როგორც კრავებს მგლებს შორის.

4. ნუ წაიტანებთ ნურც ფუთას, ნურც აბგას, ნურც ფეხსაცმელს, და ნურავის მიესალმებით გზაში.

5. და რომელ სახლშიც უნდა შეხვიდეთ, თავდაპირველად თქვით: მშვიდობა ამ სახლს.

6. და თუ იქნება იქ ძე მშვიდობისა, მასზე დაივანებს თქვენი მშვიდობა; თუ არა და — თქვენავე დაგიბრუნდებათ.

7. იმავე სახლში დარჩით, ჭამეთ და სვით, რაცა აქვთ, რადგანაც ღირსია მაშვრალი თავისი საზღაურისა. ნუ გადახვალთ სახლიდან სახლში.

8. თუ რომელიმე ქალაქში შეხვიდეთ და მიგიღებენ თქვენ, ჭამეთ, [illegible] დაგიდებენ.

9. განკურნეთ იქაური სნეულნი, და უთხარით მათ: მოგიახლოვდათ ღმრთის სასუფეველი.

10. ხოლო თუ რომელიმე ქალაქში მიხვალთ და არ მიგიღებენ თქვენ, ქუჩაში გამოსვლისას თქვით:

11. თვით მტვერს, რომელიც თქვენს ქალაქში მოგვეკრა, ჩამოვიბერტყავთ და თქვენ გიტოვებთ: მაგრამ იცოდეთ, რომ მოგიახლოვდათ ღმრთის სასუფეველი.

12. გეუბნებით თქვენ: განკითხვის დღე სოდომისათვის უფრო ადვილი იქნება, ვიდრე იმ ქალაქისათვის.

13. ვაი შენდა, ქორაზინ! ვაი შენდა, ბეთსაიდა! რადგან ტიროსსა და სიდონს რომ მოვლენოდა თქვენში მოვლენილი სასწაული, რა ხანია ძაძასა და ნაცარში მსხდომნი შეინანებდნენ.

14. ამიტომ განკითხვის დღე ტიროსისა და სიდონისთვის უფრო ადვილი იქნება, ვიდრე თქვენთვის.

15. და შენ, კაპერნაუმ, თვით ზეცამდე ამაღლებულო, ჯოჯოხეთამდე დაემხობი.

16. თქვენი მსმენელი მე მისმენს, და თქვენი უარმყოფელი მე უარმყოფს; ხოლო ვინც მე უარმყოფს, უარყოფს ჩემს მომავლინებელს.

17. სამოცდაათნი სიხარულით დაბრუნდნენ და თქვეს: უფალო, ეშმაკნიც კი გვმორჩილებენ შენი სახელით.

18. და უთხრა მათ: ვხედავდი სატანას, ელვასავით რომ ვარდებოდა ციდან.

19. აჰა, მოგცემთ თქვენ ხელმწიფებას გველთა და მორიელთა დათრგუნვისა, და მტრის ყოველი ძალისა: და ვერაფერი გავნებთ თქვენ.

20. მაგრამ ის ნუკი გახარებთ, რომ სულები გმორჩილებენ, არამედ ის გახაროდეთ, რომ თქვენი სახელები დაიწერა ცაში.

21. მაშინ გაიხარა იესომ სულით და თქვა: გაღიარებ, მამაო, ცისა და მიწის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფალო, ვინაიდან ბრძენთა და გამგებთ დაუმალე ეს და გაუცხადე ჩვილ ბალღებს. დიახ, მამაო, ვინაიდან ასე კეთილინებე შენ.

22. ყველაფერი მამისაგან მომეცა მე, და არავინ იცის, ვინ არის ძე, გარდა მამისა, და არც ის, ვინ არის მამა, გარდა ძისა და იმისა, ვისთვისაც ძე ინებებს გამოცხადებას.

23. და მიუბრუნდა მოწაფეებს, და განცალკევებით უთხრა მათ: ნეტარ არიან თვალნი, რომელნიც ხედავენ იმას, რასაც თქვენ ხედავთ.

24. რადგანაც გეუბნებით თქვენ: მრავალ წინასწარმეტყველსა და მეფეს სურდათ ეხილათ ის, რასაც თქვენ ხედავთ, და ვერ იხილეს; და ესმინათ ის, რასაც თქვენ ისმენთ, და ვერ ისმინეს.

25. და აჰა, ერთი რჯულის მოძღვარი წამოდგა და საცდუნებლად უთხრა მას: მოძღვარო, რა უნდა ვქნა, რომ დავიმკვიდრო საუკუნო სიცოცხლე?

26. და უთხრა მას: რა სწერია რჯულში? როგორ ამოიკითხავ?

27. ხოლო მან პასუხად თქვა: გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით და მთელი შენი სულით და მთელი შენი გონებით; და: მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.

28. და უთხრა მას: სწორად მიპასუხე; ეგრე მოიქეცი და იცოცხლებ.

29. ხოლო მან თავის გასამართლებლად ჰკითხა იესოს: კი მაგრამ, ვინ არის ჩემი მოყვასი?

30. მიუგო იესომ და უთხრა მას: ერთი კაცი იერუსალემიდან იერიხონს მიდიოდა და ყაჩაღებს ჩაუვარდა ხელში, რომლებმაც გაძარცვეს, დაჭრეს და გაიქცნენ, და ცოცხალ-მკვდარი დააგდეს.

31. შემთხვევით ერთმა მღვდელმა ჩამოიარა ამ გზაზე, და დაინახა იგი, მაგრამ გვერდი აუქცია.

32. ასევე ერთმა ლევიტელმაც ჩამოიარა იქვე, დაინახა და გვერდი აუქცია.

33. მერე ერთმა გზად მიმავალმა სამარიელმა ჩამოიარა, დაინახა და [illegible] რალა იგი:

34. მივიდა, ზეთითა და ღვინით მიჰბანა ჭრილობები და შეუხვია; თავის სახედარზე შესვა, სასტუმროში მიიყვანა და უპატრონა მას.

35. ხოლო მეორე დღეს, გამგზავრებისას, ამოიღო ორი დინარი, მეფუნდუკეს მისცა და უთხრა: მიმიხედე, და თუ მეტი დაგეხარჯება, აქეთობისას გადაგიხდიო.

36. როგორ გგონია, ამ სამთაგან რომელი იყო მისი მოყვასი, ვინც ხელი ჩაუვარდა ყაჩაღებს?

37. მან მიუგო: ის, ვინც მოწყალება გამოიჩინა მის მიმართ. და უთხრა მას იესომ: წადი და შენც ასევე მოიქეცი.

38. და მოხდა ისე, რომ გზად მიმავალი ერთ სოფელში შევიდა, და ვიღაც ქალმა, რომელსაც სახელად ერქვა მართა, თავის სახლში შეიპატიჟა იგი.

39. ამ ქალს ჰყავდა და, სახელად მარიამი, რომელიც იესოს ფერხთით ჩამოჯდა და ისმენდა მის სიტყვას.

40. მართა კი დაფუსფუსებდა, ვინაიდან ბევრი საზრუნავი ჰქონდა სამასპინძლოდ; მივიდა და უთხრა მას: უფალო, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩემმა დამ მარტო მე მომანდო მასპინძლობა? უთხარი, ხელი შემაშველოს.

41. მიუგო იესომ და უთხრა მას: მართა, მართა, ბევრ რამეზე ზრუნავ და შფოთავ;

42. მაგრამ საჭირო მხოლოდ ერთი რამ. მარიამმა კი უკეთესი წილი ირჩია, რომელიც არ წაერთმევა მას.

თავი მეთერთმეტე

1. და მოხდა ისე, რომ ერთ ადგილას ლოცულობდა, და როცა დასრულა ლოცვა, ერთმა მოწაფეთაგანმა უთხრა მას: უფალო, გვასწავლე ლოცვა, როგორც იოანემ ასწავლა თავის მოწაფეებს.

2. და უთხრა მათ: როცა ლოცულობთ, თქვით: მამაო ჩვენო, რომელიც ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი; მოვიდეს სუფევა შენი; იყოს ნება შენი როგორც ცაში, ისე ქვეყანაზედაც.

3. პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ ყოველდღე.

4. და მოგვიტევე ჩვენ ცოდვები ჩვენი, რადგან ჩვენც მივუტევებთ ყველა მოვალეს ჩვენსას. და ნუ შეგვიყვან ჩვენ საცდუნებელში, არამედ გვიხსენ ბოროტისაგან.

5. და უთხრა მათ: ერთ-ერთ თქვენგანს რომ ჰყავდეს მეგობარი, და მივიდეს მასთან შუაღამისას და უთხრას: მეგობარო, მასესხე სამი პური,

6. ვინაიდან გზად მიმავალმა მეგობარმა შემომიარა, და მე კი არაფერი მაქვს, რომ გავუმასპინძლდე. —

7. ხოლო მან შიგნიდან მიუგოს: ნუ მაწუხებ, ვინაიდან კარი უკვე დაკეტილია და ბავშვები ჩემთან ერთად წვანან საწოლში. არ შემიძლია ავდგე და მოგცე.

8. თქვენ გეუბნებით: მეგობრობის გამოც რომ არ ადგეს და არ მისცეს პური, თუ არ მოეშვა, მაშინ მაინც ადგება და მისცემს იმდენს, რამდენიც სჭირდება.

9. ამასაც გეუბნებით თქვენ: ითხოვეთ და მოგეცემათ; ეძებეთ და ჰპოვებთ; დააკაკუნეთ და გაგიღებენ,

10. რადგან ყველა მთხოვნელს მიეცემა, მძებნელი ჰპოვებს და ვინც აკაკუნებს, გაუღებენ.

11. რომელი მამაა თქვენს შორის, შვილმა რომ პური სთხოვოს და ქვა მისცეს მას; ან თევზი სთხოვოს და თევზის ნაცვლად გველი მისცეს მას?

12. ან კიდევ კვერცხი სთხოვოს და მორიელი მისცეს მას?

13. ხოლო თუ თქვენ, უკეთურთ, შეგიძლიათ კეთილ მისაცემელთა მიცემა თქვენი შვილებისათვის, რაოდენ უფრო მეტ წმიდა სულს მისცემს მამა თქვენი ზეციერი იმათ, ვინცა სთხოვს?

14. და განდევნა ერთხელ ეშმაკი, რომელიც იყო მუნჯი. და რ[illegible] ვიდა ეშმაკი, მუნჯმა ენა ა[illegible] უკვირდა ხალხს.

15. ხოლო ზოგიერთმა თქვა: ეს ბელზებულის, ეშმაკთა მთავრის შეწევნით აძევებს ეშმაკთ.

16. ზოგი კი, საცდუნებლად, სასწაულს მოითხოვდა მისგან ზეცით.

17. მაგრამ ის მიხვდა, რას ფიქრობდნენ ისინი, და უთხრა მათ: ყოველი სამეფო, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, გაპარტახდება; და ყოველი სახლი, თავისი თავის წინააღმდეგ გაყოფილი, დაიქცევა.

18. და თუ სატანა თავის თავს განეყოფა, როგორღა გაძლებს მისი სამეფო? თქვენ კი ამბობთ, რომ მე ბელზებულის შეწევნით ვაძევებ ეშმაკთ.

19. მაგრამ მე თუ ბელზებულის შეწევნით ვაძევებ ეშმაკთ, ვისი შეწევნითღა აძევებენ მათ თქვენი ძენი? ამიტომ ისინი იქნებიან თქვენი მსაჯულნი.

20. ხოლო თუ მე ღმერთის თითით ვაძევებ ეშმაკთ, მოუწევია კიდეც თქვენამდე ღმრთის სასუფეველს.

21. როცა ძლიერი შეჰურვილი იცავს თავის კარ-მიდამოს, არაფერი ემუქრება მის საბადებელს.

22. მაგრამ როცა უფრო ძლიერი დაესხმის თავს, დაამარცხებს, აჰყრის საჰურველს, რომლის იმედიც ჰქონდა, და ანაწილებს ნაძარცვს.

23. ვინც ჩემთან არაა, ჩემს წინააღმდეგაა; და ვინც ჩემთან არა კრებს, — ფანტავს.

24. როდესაც უწმინდური სული გამოვა კაცისგან, უწყლო ადგილებს დაეძებს განსასვენებლად, მაგრამ ვერ ჰპოვებს მას; და მაშინ იტყვის: დავბრუნდები ჩემს სახლში, საიდანაც გამოვედი.

25. და როცა მივა, ჰპოვებს მას დაგვილსა და დამშვენებულს.

26. მაშინ წავა, და მოიყვანს შვიდ სხვა სულსაც, მასზე უბოროტესს, და შევლენ და დაემკვიდრებიან იქ; და ამ კაცისთვის უკანასკნელი პირველზე უარესი იქნება.

27. ამას რომ ამბობდა, ერთმა ქალმა აიმაღლა ხმა ხალხში, და უთხრა მას: ნეტარ არს მუცელი, რომელმაც გიტვირთა შენ, და ძუძუნი, რომელთაც სწოვდი!

28. ხოლო მან თქვა: ნეტარ არიან, რომელნიც ისმენენ ღმრთის სიტყვას და იცავენ მას.

29. და როდესაც დიდძალი ხალხი შეგროვდა, დაიწყო ლაპარაკი: უკეთურია ეს მოდგმა, და სასწაულს ეძებს; მაგრამ სასწაული არ მიეცემა მას, გარდა იონა წინასწარმეტყველის სასწაულისა.

30. ვინაიდან როგორც იონა იყო სასწაული ნინეველთათვის, ასევე იქნება ძეც კაცისა ამ მოდგმისათვის.

31. სამხრეთის დედოფალი აღდგება განკითხვისას კაცთა ამ მოდგმასთან ერთად და შეაჩვენებს მათ; ვინაიდან ქვეყნის დასალიერიდან მოვიდა სოლომონის სიბრძნის სასმენად, და აჰა, აქ სოლომონზე უმეტესია.

32. ნინეველნი აღდგებიან განკითხვისას ამ მოდგმასთან ერთად და შეაჩვენებენ მას; ვინაიდან შეინანეს იონას ქადაგებისგან, და აჰა, აქ იონაზე უმეტესია.

33. არავინ ანთებს სანთელს და დგამს მას დაფარულ ადგილას, ან საწყაოს ქვეშ, არამედ სასანთლეზე, რათა შემომსვლელნი ხედავდნენ ნათელს.

34. სხეულის სანთელი არის თვალი; თუ შენი თვალი წმინდაა, ნათელი იქნება მთელი შენი სხეულიც. ხოლო თუ ის უწმინდურია, ბნელი იქნება შენი სხეულიც.

35. მაშ, უყურე: ბნელი არ იყოს ნათელი, რომელიც არის შენში.

36. ხოლო თუ მთელი შენი სხეული ნათელია, და არა სცხია რა ბნელის, ერთიანად ნათელი იქნება, თითქოს სანთელი გინათებდეს თავისი ალით.

37. ამას რომ ამბობდა, ერთმა ფარისეველმა სთხოვა, მასთან ეჭამა პური, და შევიდა და დაჯდა.

38. ხოლო ფარისეველმა დაინახა და გაუკვირდა, რომ ჭამის წინ არ დაიბანა.

39. მაგრამ უფალმა უთხრა: ეამად თქვენ, ფარისეველნო, ბოლოებს წმენდთ სასმისსა და ჯამს, მაგრამ კი სავსენი ხართ ნაძარცვითა და ნაოხარით.

40. უგუნურნო, განა გარეგანის შემქმნელმა არ შექმნა შინაგანიც?

41. მაშ, გაეცით მოწყალებად, რაც გაგაჩნიათ, და აჰა, ყველაფერი წმინდა გექნებათ.

42. მაგრამ ვაი თქვენდა, ფარისეველნო, რომელნიც იბდით მეათედს პიტნისას, ტეგანისას და ყოველი მწვანილისას, და უგულებელყოფთ ღმრთის სამართალს და სიყვარულს. ეს უნდა გექნათ, და არც ის მიგეტოვებინათ.

43. ვაი თქვენდა, ფარისეველნო, ასე რომ გიყვართ სინაგოგებში წინა რიგში ჯდომა და საკრებულოებში სალმის ძღვნა.

44. ვაი თქვენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, თვალთმაქცნო, ასე რომ ჰგავხართ უჩინო საფლავებს, რომლებსაც ფეხით თელავენ კაცნი და არ კი იციან.

45. მიუგო ერთმა რჯულის მოძღვარმა და უთხრა მას: მოძღვარო, მაგას რომ ამბობ, ხომ ჩვენც გვაგინებ?

46. მაგრამ მან თქვა: და თქვენც, სჯულის მოძღვარნო, ვაი, რადგან ძნელად სატვირთველ ტვირთსა ჰკიდებთ ხალხს, ხოლო თავად ცალ თითსაც კი არ შეაშველებთ ტვირთს.

47. ვაი თქვენდა, ვინაიდან აშენებთ წინასწარმეტყველთა სამარხებს, ხოლო თქვენმა მამებმა დახოცეს ისინი.

48. ამით ემოწმებით და იწონებთ კიდეც თქვენი მამების საქმეებს, ვინაიდან მათ დახოცეს ისინი, ხოლო თქვენ სამარხებს უშენებთ.

49. ამიტომაც თქვა სიბრძნემ ღმრთისამ: მოვუვლენ მათ წინასწარმეტყველთა და მოციქულთა, და ზოგ მათგანს მოჰკლავენ და ზოგს განდევნიან.

50. რათა მოეკითხოს ამ მოდგმას სამყაროს შექმნიდან დათხეული ყველა წინასწარმეტყველის სისხლი,

51. აბელის სისხლიდან ვიდრე სისხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამდე ზაქარიასი, რომელიც მოკლულ იქნა საკურთხეველსა და ტაძარს შორის. დიახ, გეუბნებით თქვენ, მოეკითხება ამ მოდგმას.

52. ვაი თქვენდა, რჯულის მოძღვარნო, რადგანაც დამალეთ ცოდნის კლიტენი: არც თქვენ შეხვედით და არც სხვებს დაანებეთ შესვლა.

53. ამას რომ ეუბნებოდა მათ, მწიგნობრებმა და ფარისეველებმა გააფთრებით შეუტიეს, კითხვებს აყრიდნენ და აიძულებდნენ ეპასუხა,

54. რათა მაზე დაეგოთ, რაიმე დაეცდენინებინათ, და, ამრიგად, ბრალი დაედოთ მისთვის.

თავი მეთორმეტე

1. ამასობაში შეიყარა ურიცხვი ხალხი, ისე რომ ლამის ერთმანეთი გადაეთელათ, და დაიწყო ლაპარაკი, თავდაპირველად თაეისი მოწაფეების მიმართ: ერიდეთ ფარისეველთა საფუარს, რომელიც არის თვალთმაქცობა.

2. ვინაიდან არ არსებობს დაფარული, რომ არ გამოჩნდეს, და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს.

3. ამიტომ, რაც სიბნელეში თქვით, სინათლეზე გაიგონება, და რაც შინ ჩასჩურჩულეთ ყურში ერთმანეთს, ერდოებზე იქადაგება.

4. და გეუბნებით თქვენ, ჩემს მეგობრებს: ნუ გეშინიათ იმათი, რომელნიც ჰკლავენ ხორცს, მაგრამ სხვას ვეღარას გავნებენ თქვენ.

5. არამედ გიჩვენებთ, ვისი გეშინოდეთ: გეშინოდეთ იმისა, ვისაც თქვენი მოკვლის შემდეგ, შეუძლია ჩაგაგდოთ გეენას. დიახ, გეუბნებით თქვენ, მისი გეშინოდეთ.

6. განა ხუთი ბეღურა ორ ასარად არ იყიდება? მაგრამ ერთი მათგანიც არ არის დავიწყებული ღმერთის წინაშე.

7. ხოლო თქვენს თავზე ყოველი ღერი თმაც დათვლილია: მაშ, ნუ შიშობთ, ვინაიდან ყველა ბეღურაზე უმჯობესნი ხართ.

8. ამასაც გეუბნებით თქვენ: ვინც მაღიარებს კაცთა წინაშე, ძეც�sისა აღიარებს ღმერთის ანგელოზთა წინაშე.

9. ხოლო ვინც უარმყოფს კაცთა წინაშე, თავადაც უარიყოფა ღმერთის ანგელოზთა წინაშე.

10. და ყველას, ვინც იტყვის სიტყვას კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება; მაგრამ ვინც იტყვის გმობას სულის წმიდის წინააღმდეგ, არ მიეტევება.

11. და როდესაც მიგიყვანენ სინაგოგებში, მთავრებისა და მეფეების წინაშე, ნუ იზრუნებთ, როგორ მივუგოთ, რა მივუგოთ, ანდა რა ვთქვათო.

12. რადგანაც სული წმიდა გასწავლით მაშინ, რა უნდა თქვათ.

13. და ხალხიდან ვილაცამ უთხრა მას: მოძღვარო, უთხარი ჩემს ძმას, რომ გამიყოს სამკვიდრებელი.

14. ხოლო იესომ მიუგო მას: ვინ დამაყენა მე, კაცო, თქვენს მსაჯულად, ანდა გამყრელად?

15. და უთხრა მათ: ფხიზლად იყავით და ეკრძალეთ ანგარებას, ვინაიდან კაცს შეიძლება ყველაფერი უხვად ჰქონდეს, მაგრამ სიმდიდრით როდი ცოცხლობს იგი.

16. და უთხრა მათ იგავი: ერთი მდიდარი კაცის ყანაში ზღვა მოსავალი მოვიდა;

17. და საგონებელში ჩავარდნილმა თქვა: რა ვქნა, სად წავიღო ამდენი მოსავალი?

18. და გადაწყვიტა: აი, რას ვიზამ: დავშლი ჩემს ბეღლებს და უფრო დიდებს ავაგებ, და შევინახავ იქ მთელ ჩემს მოსავალს და სარჩო-საბადებელს.

19. და ვეტყვი ჩემს სულს: სულო, მრავალი სიკეთე გაქვს დაგროვილი და მრავალი წლის სამყოფი; განისვენე, ჭამე, სვი და იმხიარულე.

20. უთხრა მას ღმერთმა: უგუნურო, ამაღამვე ამოგართმევენ სულს; ვისღა დარჩება შენი სარჩო-საბადებელი?

21. ასე მოუვა ყველას, ვინც თავისთვის იხვეჭს სიმდიდრეს და არა ღმრთისათვის.

22. და უთხრა თავის მოწაფეებს: ამიტომაც გეუბნებით თქვენ: ნუ ზრუნავთ თქვენი სულისათვის, რა ვჭამოთო, ნურც სხეულისათვის, რით შევიმოსოთო;

23. ვინაიდან სული უმეტესია, ვიდრე საჭმელი, და სხეული — ვიდრე სამოსელი.

24. შეხედეთ ყორნებს: არც თესავენ, არც მკიან; არც საკუჭნაო აქვთ და არც ბეღელი; და ღმერთი არჩენს მათ. მერედა, რამდენად სჯობიხართ ფრინველთ?

25. ან რომელ თქვენგანს ხელეწიფება, ბევრიც ეცადოს, თუნდ ერთი ციდით მოიმატოს სიმაღლე?

26. და თუ უმცირესიც არ შეგიძლიათ, რაღასა ზრუნავთ დანარჩენისათვის?

27. შეხედეთ, როგორ იზრდებიან ველის შროშანნი, არც შრომობენ, არც ართავენ; მაგრამ გეუბნებით თქვენ: თვით სოლომონი, მთელი თავისი დიდებით არ იყო ისე შემოსილი, როგორც თვითეული მათგანი.

28. ხოლო თუ ველის ბალახს, რომელიც დღეს არის და ხვალ თონეს შეენთება, ასეთნაირად მოსავს ღმერთი, განა თქვენ უკეთ არ შეგმოსავთ, მცირედ მორწმუნენო?

29. მაშ, ნუ კითხულობთ, რა ვჭამოთ, ანდა რა ვსვათო, და ნურცა შფოთავთ.

30. ვინაიდან ყოველივე ამას ეძებენ საერონი, და ვინაიდან მამამ თქვენმა იცის, რომ ყოველივე ეს გჭირდებათ.

31. მაშ, ეძიეთ ღმრთის სასუფეველი, და ყოველივე ეს მოგეცემათ.

32. ნუ გეშინია, პატარა სამწყსოვ, ვინაიდან მამამ თქვენმა კეთილინება, რომ მოგეცეთ სასუფეველი.

33. გაყიდეთ თქვენი საბადებელი და გაეცით მოწყალება; გაიმზადეთ უცვეთი ქისები და ულევი საუნჯე ცაში, სადაც მპარავი ვერ იპარავს და მღილი ვერ ღრღნის მას.

34. ვინაიდან სადაც არის საუნჯე თქვენი, იქვე იქნება გული თქვენი.

35. დე, იყვნენ თქვენი წელნი ძოსარტყლულნი და თქვენი სანთლები ანთებულნი.

36. და იყავით თქვენ იმ კაცთა მსგავსნი, რომელნიც მოელიან თავიანთ ბატონს, როდის დაბრუნდება ქორწილიდანო, რათა დარეკვისთანავე გაუღოს მას.

37. ნეტა იმ მონებს, რომლებსაც, მოსვლისას, ფხიზლად ჰპოვებს მათი პატრონი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სარტყელს მოირტყამს, დასხამს მათ, და მოვა და ემსახურება მათ.

38. და მეორე, გინდა მესამე გუშაგობის ჟამსაც რომ მოვიდეს და ამნაირად ჰპოვოს ისინი, ნეტა იმ მონებს.

39. ესეც გახსოვდეთ: სახლის პატრონმა რომ იცოდეს, რომელ საათზე მოვა ქურდი, უეჭველად იფხიზლებდა და ძირს არ გამოათხრევინებდა სახლისთვის.

40. ამიტომ თქვენც მზად იყავით, ვინაიდან, როცა არ ელით, სწორედ იმ საათს მოვა ძე კაცისა.

41. უთხრა მას პეტრემ: უფალო, ჩვენ გვეუბნები ამ იგავს თუ ყველას?

42. და თქვა უფალმა: ვინ არის ერთგული და გონიერი მნე, რომელიც პატრონმა მიუჩინა თავის მსახურთ, რათა დროულად მისცეს ულუფა მათ?

43. ნეტა იმ მონას, რომელსაც ამნაირად მოქმედს ჰპოვებს მისი პატრონი, როდესაც მოვა.

44. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მთელს თავის სარჩო-საბადებელს მეთვალყურედ მიუჩენს მას.

45. მაგრამ თუ ის მონა თავის გულში იტყვის: აგვიანებს ჩემი პატრონი მოსვლას; და დაიწყებს მსახურებისა და მოახლეების ცემას, და ჭამას, სმასა და ლოთობას,

46. მაშინ მოვა მონის პატრონი, იმ დღეს, როდესაც არ ელის, და იმ საათს, რომელიც არ იცის, და შუა გაკვეთს, და ურწმუნოებთან დაუდებს წილს.

47. ხოლო ის მონა, რომელმაც იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თავისი პატრონის ნება, მაგრამ არ აღასრულა იგი და არ დახვდა მზად, საშინლად იგვემება.

48. ის კი, ვინც არ იცოდა, მაგრამ ისე მოიქცა, რომ სასჯელი დაიმსახურა, ნაკლებად იგვემება. რადგან ვისაც ბევრი მიეცა, ბევრი მოეთხოვება, და ვისაც მეტი მიენდო, მეტი მოეკითხება.

49. მოვედი, რათა ცეცხლი მოვდო ამ ქვეყანას, და სხვა რა მსურს, გარდა იმისა, რომ ახლავ იფეთქოს!

50. ნათლისღებით მმართებს ნათლისღება, და როგორ ვეწამები, ვიდრე აღსრულდება.

51. იქნებ გგონიათ, რომ მოველ, რათა მშვიდობა მომეტანა ამ ქვეყნად? არა, გეუბნებით თქვენ, არამედ განხეთქილება.

52. რადგან ამიერიდან ერთ სახლში ხუთი განუდგება ერთმანეთს: სამი — ორს და ორი — სამს:

53. დიახ, განდგება მამა ძისაგან და ძე — მამისაგან; დედა — ასულისაგან და ასული — დედისაგან; დედამთილი — რძლისაგან და რძალი — დედამთილისაგან.

54. და უთხრა ხალხსაც: როდესაც ხედავთ დასავლეთიდან ამომავალ ღრუბელს, მაშინვე ამბობთ: წვიმა მოვაო; და ასეც ხდება.

55. და როცა სამხრეთის ქარი ქრის, ამბობთ: გვალვა იქნებაო; და ასეც ხდება.

56. თვალთმაქცნო, ცის ფერსა და მიწის ფერს არჩევთ, და ამ დროის გარჩევა კი არ შეგიძლიათ?

57. ან რატომ თქვენდა თავად არ განსჯით, თუ რა არის სამართლიანი?

58. და როცა შენს მომჩივანთან ერთად მიდიხარ მსაჯულთან, ეცადე, გზაშივე დაიხსნა მისგან თავი, რათა არ მიგიყვანოს მსაჯულთან, ხოლო მსაჯულმა არ მიგცეს მანდატურს, და მანდატურმა არ ჩაგაგდოს საპყრობილეში.

59. გეუბნები: ვერ გამოხვალ იქიდან, სანამ არ გაიღებ უკანასკნელ წვლილს.

თავი მეცამეტე

1. ამ დროს მოვიდნენ მასთან და აუწყეს იმ გალილეველთა ამბავი, რომელსაც სისხლიც შერთო პილატემ მათსავე მსხვერპლთ.

2. მიუგო იესომ და უთხრა მათ: იქნებ გგონიათ, რომ ეს გალილეველნი ყველა გალილეველზე უფრო მეტად ცოდვილნი იყვნენ, რაკიღა ასე ევნენ?

3. არა, გეუბნებით თქვენ: მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით.

4. ან იქნებ გგონიათ, რომ ის თვრამეტი კაცი, რომლებსაც დაეცა სილოამის გოდოლი და გასრისა ისინი, უფრო მეტად ბრალეულნი იყვნენ, ვიდრე იერუსალემის ყველა მკვიდრი?

5. არა, გეუბნებით თქვენ; მაგრამ თუ არ მოინანიებთ, ყველანი მათსავით დაიღუპებით.

6. და უთხრა მათ ეს იგავი: ერთ კაცს ლეღვის ხე ედგა თავის ვენახში; და მივიდა ნაყოფის საძებნად, მაგრამ ვერაფერი იპოვა.

7. და უთხრა მევენახეს: აგერ უკვე სამი წელია მოვდივარ და ნაყოფს ვეძებ ამ ლეღვის ხეზე, მაგრამ ვერ ვპოულობ. მაშ, მოჭერი: სულ ტყუილად იკავებს ადგილს.

8. ხოლო მან მიუგო და უთხრა: ბატონო, წლეულსაც აცალე, ძირს შემოვუბარავ და ნაკელს დავუყრი, —

9. იქნება ივარგოს; თუ არა და, გაისად მოჭერი.

10. ერთ-ერთ სინაგოგაში ასწავლიდა იგი შაბათს.

11. და იყო იქ თვრამეტ წელიწადს უძლურების სულით შეპყრობილი ქალი, და იყო იგი მოკუნტული, და არ შეეძლო წელში გამართვა.

12. იესომ რომ დაინახა, მიიხმო და უთხრა მას: ქალო, დახსნილი ხარ შენი უძლურებისაგან.

13. და დაადო ხელი და მყისვე გაიმართა, და ადიდებდა ღმერთს.

14. მაშინ განრისხდა სინაგოგის წინამძღვარი, ვინაიდან იესომ შაბათს გა-

ნკურნა სნეული, და უთხრა ხალხს: ექვსი დღეა, როცა შეიძლება საქმის კეთება; თქვენც მაშინ მოდით განსაკურნავად, და არა შაბათს.

15. მიუგო უფალმა და უთხრა მას: განა ყოველი თქვენგანი არ ახსნის შაბათს ბაგაზე დაბმულ ხარსა თუ ვირს, და არ მიჰყავს დასარწყულებლად?

16. ხოლო ეს ასული აბრაამისა, რომელიც თვრამეტ წელიწადს შეკრული ჰყავდა სატანას, არ უნდა დაგვეხსნა ამ საკრველისაგან შაბათს?

17. და ამას რომ ამბობდა, რცხვენოდა ყველას, ვინც ეურჩებოდა მას; და მთელი ხალხი ხარობდა ყოველივე იმის გამო, რასაც ესოდენ სახელოვნად იქმოდა იგი.

18. ხოლო მან თქვა: რისი მსგავსია ღმერთის სასუფეველი, ან რას ვამსგავსებ მას?

19. მსგავსია იგი მდოგვის მარცვლისა, რომელიც აიღო კაცმა და დათესა თავის ბაღში; გაიზარდა და დიდი ხე გახდა, და მოფრინდნენ ცის ფრინველები და მის ტოტებზე დაიბუდეს.

20. და კვლავაც თქვა: რას ვამსგავსებ ღმრთის სასუფეველს?

21. მსგავსია იგი საფუარისა, რომელიც აიღო ქალმა და მოზილა იმით სამი ბათმანი ფქვილი, ვიდრე მთელი ცომი არ ააფუა.

22. და დადიოდა ქალაქებსა და სოფლებში, ასწავლიდა და იერუსალემისაკენ მიიკვლევდა გზას.

23. და ვიღაცამ უთხრა იესოს: უფალო, ნუთუ ცოტანი ცხონდებიან? ხოლო მან პასუხად თქვა:

24. იღვაწეთ, რათა შეხვიდეთ ვიწრო ბჭით, რადგანაც გეუბნებით თქვენ: მრავალნი ეცდებიან შესვლას და ვერ შესძლებენ.

25. ვინაიდან ადგება სახლის პატრონი და ჩაკეტავს კარს, ხოლო თქვენ, გარეთ მდგომნი, დაიწყებთ კარზე კაკუნს და იტყვით: უფალო, უფალო, გაგვიღე ჩვენ! ის კი მოგიგებთ: არ ვიცი, ვინა ხართ და სადაურნი.

26. მაშინ დაიწყებთ [illegible] წინაშე ვჭამდით და ვსვამდით [illegible] მოედნებზე გვმოძღვრავდი.

27. მაგრამ ის იტყვის: გეუბნებით: არ ვიცი, ვინ ხართ და სადაურნი, განმეშოროს უსამართლობის ყველა მოქმედი.

28. და იქნება იქ ტირილი და კბილთა ღრჭენა, როცა იხილავთ აბრაამს, ისაკს და იაკობს და ყველა წინასწარმეტყველს ღმრთის სასუფეველში, ხოლო თქვენს თავს — გარეთ გამოყრილთ.

29. და მოვლენ აღმოსავლეთით და დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით, და ინახად დასხდებიან ღმრთის სასუფეველში.

30. და აჰა, არიან უკანასკნელნი, რომელნიც იქნებიან პირველნი, და არიან პირველნი, რომელნიც იქნებიან უკანასკნელნი.

31. იმ დღეს მოვიდა რამდენიმე ფარისეველი, და უთხრა მას: ადექი და გაეცალე აქაურობას, ვინაიდან ჰეროდე გიპირებს მოკვლას.

32. და უთხრა მათ: წადით და უთხარით მაგ მელას, აჰა, დღესა და ხვალ განვდევნი ეშმაკთ და დავასრულებ სნეულთა განკურნვას, ხოლო ზეგ თავად აღვესრულები.

33. თუმცა მე მმართებს წასვლა დღესაც, ხვალაც და ზეგაც, ვინაიდან არ ეგების, რომ წინასწარმეტყველი იერუსალემს გარეთ მოკვდეს.

34. იერუსალემ, იერუსალემ, წინასწარმეტყველთა მკვლელო და შენდამი მოვლინებულთა ქვებით ჩამქოლველო! რამდენჯერ ვცადე შემეკრიბა შენი შვილები, როგორც ფრინველი კრებს ბარტყებს თავის ფრთებქვეშ, და არ ისურვე.

35. და აჰა, გრჩებათ თქვენი სახლი ოხრად. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვეღარ მიხილავთ, სანამ არ მოვა დრო, როდესაც იტყვით: კურთხეულია მომავალი უფლის სახელით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეთოთხმეტე

1. მოხდა ისე, რომ შაბათ დღეს, ფარისეველთა ერთ-ერთი მთავრის სახლში მივიდა იესო პურის საჭმელად, ხოლო ისინი უთვალთვალებდნენ მას.

2. და აჰა, წარსდგა მის წინაშე წყალმანკით სნეული კაცი.

3. მაშინ იესომ უთხრა რჯულის მოძღვრებს და ფარისეველებს: შეიძლება თუ არა კაცის განკურნვა შაბათს?

4. ხოლო ისინი დუმდნენ. ის კი შეეხო ,განკურნა იგი და გაისტუმრა.

5. და უთხრა მათ: რომელიმე თქვენგანს ვირი ან ხარი რომ ჩაუვარდეს ჭაში, განა დაუყოვნებლივ არ ამოიყვანს შაბათს?

6. ხოლო ამაზე ვეღარაფერი მიუგეს მას.

7. და როცა დაინახა, როგორ ირჩევდნენ სტუმრები საპატიო ადგილებს, იგავით უთხრა მათ:

8. ვინმემ რომ ქორწილში დაგპატიჟოს, ნუ დაჯდები სუფრის თავში; იქნებ შენზე საპატიო სტუმარიც ჰყავს;

9. და მოვიდეს შენი და მისი მასპინძელი, და გითხრას: ადგილი დაუთმე ამ კაცს! და მოგიწევს შერცხვენილს სუფრის ბოლოში გადაჯდომა.

10. არამედ, როცა დაგპატიჟებენ, მიდი და სუფრის ბოლოში დაჯექი, რათა მოვიდეს მასპინძელი და გითხრას: მეგობარო, სუფრის თავში გადმობრძანდიო, და პატივი დაგედება თანამეინახეთა თვალში.

11. რადგანაც ყველა, ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება, და ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ამაღლდება.

12. და უთხრა თავის მასპინძელსაც: როცა სადილს თუ ვახშამს მართავ, ნუ მოიპატიჟებ ნურც შენს მეგობრებს, ნურც შენს ძმებს, ნურც შენს ნათესავებს, ნურც მდიდარ მეზობლებს, რათა მათაც არ დაგპატიჟონ და, ამრიგად, სანაცვლო მოგაგონ შენ.

13. არამედ როცა წვეულება გაქვს, დაჰპატიჟე გლახაკნი, საპყარნი, კოჭლნი და ბრმანი,

14. და ნეტარი იქნები, ვინაიდან რაფრით მოგაგებენ სანაცვლოს, ტომაც მოგეგება შენ მართალთა აღდგომისას.

15. ეს რომ გაიგონა, ერთმა თანამეინახემ უთხრა მას: ნეტარია, ვინც ჭამს პურს ღმრთის სასუფეველში!

16. ხოლო იესომ მიუგო მას: ერთმა კაცმა დიდი წვეულება გამართა და მრავალნი მიიპატიჟა.

17. და როცა პურობის დრომ მოაწია, გაგზავნა თავისი მონა წვეულთა დასაძახებლად: მობრძანდით, ყველაფერი უკვე მზად მაქვსო.

18. მაგრამ ყველამ ერთხმად ბოდიშის მოხდა დაიწყო. ერთმა უთხრა: ყანა ვიყიდე და უეჭველად უნდა მივიდე და დავხედო, გთხოვ, მაპატიო.

19. მეორემ უთხრა: ხუთი უღელი ხარი ვიყიდე და მათ გამოსაცდელად მივდივარ; გთხოვ, მაპატიო.

20. მესამემ უთხრა: ცოლი შევირთე და ამიტომ ვერ გეახლები.

21. და დაბრუნდა ეს მონა და ყველაფერი მოახსენა პატრონს. მაშინ განრისხდა სახლის პატრონი და უთხრა თავისს მონას: დაიარე სასწრაფოდ ქალაქის მოედნები და ქუჩები, და მომგვარე გლახაკნი, საპყარნი, კოჭლნი და ბრმანი.

22. და უთხრა მონამ: ბატონო, შევასრულე შენი ბრძანება, მაგრამ მაინც გვრჩება ადგილი.

23. და უთხრა ბატონმა მონას: გადი გზებსა და შუკებში და ძალით მორეკე წვეულნი, რათა აივსოს ჩემი სახლი.

24. რადგანაც გეუბნებით თქვენ: ვერცერთი იმ წვეულთაგანი ვერ იხილავს ჩემი სადილის გემოს.

25. მასთან ერთად გზას ადგა დიდძალი ხალხი, მიუბრუნდა და უთხრა მათ:

26. თუ ვინმე მოდის ჩემთან, და არ მოიძულებს თავის დედ-მამას, თავის ცოლ-შვილს, თავის და-ძმას და თავის თავსაც, ვერ იქნება ჩემი მოწაფე.

27. და ვინც არ აიღებს თავის ჯვარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არ გამომყვება უკან, ვერ იქნება ჩემი მოწაფე.

28. რადგანაც, თუ რომელიმე თქვენგანი კოშკის აგებას მოისურვებს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და გამოთვლის ხარჯს, რაც დასჭირდება მის დასრულებას?

29. რათა, საძირკველს თუ ჩაყრის, მაგრამ ვერ შესძლებს დაასრულოს მნახველებმა არ დაიწყონ მისი დაცინვა,

30. და არა თქვან: აი, კაცი, რომელმაც დაიწყო შენება და დასრულება კი ვერ შესძლოო.

31. ან რომელი მეფე აღიძვრის მეორე მეფის წინააღმდეგ, თუ თავდაპირველად არ დაჯდა და არ მოითათბირა, შეუძლია თუ არა ათი ათასით გაუმკლავდეს ოცი ათასიან მომხდურს?

32. და თუ არ შეუძლია, ელჩებს გაგზავნის, სანამ ჯერ კიდევ შორსაა მტერი და დაზავებას სთხოვს მას.

33. ასე, ვერცერთი თქვენგანი, ვინც არ განუდგება ყველაფერს, რაც აბადია, ვერ იქნება ჩემი მოწაფე.

34. კარგი რამ არის მარილი, მაგრამ თუ მარილი გამტკნარდა, რაღათი დაამარილებ?

35. აღარც სამიწედ ვარგა და აღარც სანეხვედ, არამედ — მხოლოდ გადასაყრელად. ვისაც ყური აქვს სმენად, ისმინოს!

თავი მეთხუთმეტე

1. იყო, მის ახლოს ყველა მებაჟე და ცოდვილი და უსმენდა მას.

2. ფარისეველები და მწიგნობრები კი დრტვინავდნენ და ამბობდნენ: ცოდვილებს იწყნარებს და მათთან ჭამსო.

3. და უთხრა მათ ეს იგავი:

4. ასი ცხვარი რომ გყავდეთ და ერთი დაგეკარგოთ, რომელი თქვენგანი არ მიატოვებს ოთხმოცდაცხრამეტს უდაბნოში, და არ წავა დაკარგულის საძებნად, ვიდრე არ იპოვის მას?

5. და როცა იპოვის, სიხარულით შეისვამს მხარზე,

6. და შინ მოსული დაუძახებს მეგობრებს და მეზობლებს: „მოდით, ერთად გიხაროდეთ ჩემთან ერთად, ვინაიდან ვიპოვე ჩემი დაკარგული ცხვარი.“

7. გეუბნებით თქვენ: ცაში უფრო დიდი სიხარულით მიიღებენ ერთ მონანიე ცოდვილს, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტ მართალს, რომელთაც არ სჭირდებათ სინანული.

8. ან კიდევ, ათი დრაქმა რომ ჰქონდეს და ერთი დაკარგოს, რომელი ქალი არ აანთებს სანთელს და არ დაიწყებს ოთახის დაგვასა და გულმოდგინედ ძებნას, ვიდრე არ იპოვის?

9. და როცა იპოვის, დაუძახებს მეგობრებსა და მეზობლებს და ეტყვის: ხარობდეთ ჩემთან ერთად, ვინაიდან ვიპოვე დაკარგული დრაქმა.

10. გეუბნებით თქვენ: ასევე ხარობენ ღმრთის ანგელოზნი ერთი მონანიე ცოდვილის გამო.

11. მერე თქვა: ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა;

12. და უთხრა უმცროსმა მამას: მამა, მომეცი ჩემი წილი, რომელიც მერგება სამკვიდრებლიდან. და გაუყო მათ თავისი ქონება.

13. ცოტა ხანმა რომ განვლო, შეკრიბა უმცროსმა ყველაფერი, შორეულ მხარეს გაემგზავრა და იქ გაფლანგა მთელი თავისი ავლა-დიდება, ვინაიდან თავაშვებულად ცხოვრობდა.

14. და როცა ყველაფერი შემოეხარჯა, დიდი შიმშილობა ჩამოვარდა იმ ქვეყანაში, და ძალიან გაუჭირდა.

15. წავიდა და ერთ იქაურ კაცს შეეკედლა, ხოლო მან მინდორში გაგზავნა ღორების მწყემსად.

16. ნატრობდა, ნეტავი ღორების საჭმელი რქით ამომავსებინა მუცელიო, მაგრამ ვინ აღირსებდა.

17. გონს რომ მოეგო თქვა: მამაჩემის რამდენ მოჯამაგირეს თავზე საყრელად აქვს პური და მე კი აქ შიმშილით ვკვდები.

18. ავდგები, მივალ მამაჩემთან და ვეტყვი: მამა, ვცოდე ცის მიმართ და შენს წინაშე,

19. და აღარა ვარ იმისი ღირსი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი ძე მერქვას, მაგრამ მოჯამაგირედ მაინც დამიყენე.

20. ადგა და მამამისისკენ გასწია. ჯერ კიდევ შორს იყო, რომ მამამ დაინახა და შეებრალა იგი; ხოლო ის გამოიქცა, კისერზე მოეჭდო და ჰკოცნიდა მას.

21. და უთხრა მამას: მამა, ვცოდეცის მიმართ და შენს წინაშე, და აღარ ვარ იმისი ღირსი, რომ შენი ძე მერქვას.

22. ხოლო მამამ თავის მონებს უთხრა: მოიტანეთ უკეთესი სამოსი და შემოსეთ იგი, გაუკეთეთ ბეჭედი ხელზე და ხამლები ჩააცვით მას.

23. მოიყვანეთ ნასუქი ხბო და დაკალით; ვჭამოთ და ვიმხიარულოთ.

24. რადგან ეს ჩემი ძე მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა. და დაიწყეს მხიარულება.

25. ხოლო უფროსი ძე ყანაში იყო, და როცა შინ მიმავალი მიუახლოვდა სახლს, შემოესმა სიმღერისა და ფერხულის ხმა.

26. მოუხმო ერთ მონათაგანს და ჰკითხა: რა ამბავია?

27. მან მიუგო: შენი ძმა მოვიდა და მამაშენმა ნასუქი ხბო დაკლა, რაკი საღ-სალამათი დამიბრუნდაო.

28. ხოლო ის გაბრაზდა და აღარ უნდოდა შესვლა. გამოვიდა მამამისი და მიიხმო იგი.

29. მაგრამ მან უთხრა მამას: აგერ, რამდენი წელია გემსახურები და ერთხელაც არ გადავსულვარ შენს მცნებას, და ან ერთი თიკანი თუ მოგიცია ოდესმე ჩემთვის, რომ მეგობრებში მომელხინა.

30. სამაგიეროდ, მოვიდა თუ არა ეს შენი ძე, რომელმაც მთელი თავისი ავლა-დიდება მეძავებს გადააგო, ხელად კვეხულა ხბო დაუკალი.

31. ხოლო მამამ მიუგო მას: შვილო, შენ ყოველთვის ჩემთანა ხარ და ყველაფერი, რაც მაქვს, შენია.

32. ამჯერად კი გვმართებს, ვიხაროთ და ვიმხიარულოთ, ვინაიდან ეს შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა და დაკარგული იყო და გამოჩნდა.

თავი მეთექვსმეტე

1. და თავის მოწაფეებსაც უთხრა: იყო ერთი მდიდარი კაცი და ჰყავდა მოურავი, რომელიც დააბეზღეს მის წინაშე, შენს ქონებას ანიავებსო.

2. მოიხმო იგი და უთხრა: ეს რა მესმის შენზე? ჩამაბარე შენი სამოურაოს ანგარიში, რადგანაც ამიერიდან აღარ გიწერია მოურაობა.

3. მაშინ მოურავმა თავის თავს უთხრა: რა ვქნა? აგერ ჩემი ბატონი მოურაობას მართმევს; თოხნა მე არ შემიძლია და თხოვნა კი მერცხვინება.

4. თუმცა, ვიცი, რაც უნდა ვქნა, რომ თავიანთ სახლებში მიმიღოს ხალხმა, როცა მოურაობას ჩამომართმევენ.

5. მოიხმო სათითაოდ თავისი ბატონის მოვალენი და ჰკითხა პირველს: რამდენი გმართებს ჩემი ბატონისა?

6. მან მიუგო: ასი კასრი ზეთი. და უთხრა მას: აჰა, ინებე შენი თამასუქი, დაჯექი სასწრაფოდ და დაწერე ორმოცდაათი.

7. ახლა მეორეს ჰკითხა: შენ რამდენილა გმართებს? და მან მიუგო: ასი კოდი პური. და უთხრა მას: აჰა, ინებე შენი თამასუქი და დაწერე ოთხმოცი.

8. და შეაქო ბატონმა ორგული მოურავი: გონივრულად მოიქეცი; ვინაიდან ამ სოფლის ძენი თავიანთ მოდგმაში უფრო გონიერნი არიან, ვიდრე ნათლის ძენი.

9. ამიტომაც გეუბნებით თქვენ: შეიძინეთ მეგობრები უსამართლო სიმდიდრით, რათა როდესაც გაღარიბდებით საუკუნო სამყოფელში მიგიღონ თქვენ.

10. მცირედში სანდო დიდშიც სანდოა, და მცირედში უნდო დიდშიც უნდოა.

11. და თუ ამ ცრუ და უსამართლო სიმდიდრეში უნდონი იყავით, ჭეშმარიტს ვინ განდობთ თქვენ?

12. ანდა თუ სხვისაში უნდონი იყავით, თქვენსას ვინ მოგცემთ თქვენ?

13. არცერთ მსახურს არ შეუძლია ორი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიძულებს და მეორეს შეიყვარებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს. ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც.

14. ისმენდნენ ყოველივე ამას ფარისევლები და დასცინოდნენ მას.

15. და უთხრა მათ: თქვენა ხართ, მართლებად რომ მოგაქვთ თავი კაცთა წინაშე, მაგრამ ღმერთი იცნობს თქვენს გულს, რადგან ის, რაც მაღალია კაცთა შორის, სიბილწეა ღმერთის წინაშე.

16. რჯული და წინასწარმეტყველნი — იოანემდე; ხოლო მას მერე ღმრთის სასუფეველი იხარება, და ყველანი ძალით შედიან მასში.

17. უმალ ცა და მიწა გადავლენ, ვიდრე თუნდაც ერთი წერტილი ამოვარდება რჯულიდან.

18. ყველა, ვინც გაუშვებს თავის ცოლს და სხვას შეირთავს, მრუშობს, და ყველა, ვინც ქმარგანაშვებს შეირთავს, აგრეთვე მრუშობს.

19. იყო ერთი მდიდარი კაცი, ძოწეული და ბისონი ეცვა და ყოველდღე შლიდა ბრწყინვალე სუფრას.

20. იყო ერთი გლახაკიც, სახელად ლაზარე, რომელიც მის ჭიშკართან ეგდო, მთლიანად დაწყლულებული.

21. და სურდა მდიდრის ნასუფრალით მოეკლა შიმშილი; ხოლო ძაღლები მოდიოდნენ და ლოკავდნენ მის წყლულებს.

22. მოკვდა გლახაკი და აბრაამის წიაღში აიტაცეს ანგელოზებმა. მოკვდა მდიდარიც და დამარხეს.

23. და ჯოჯოხეთში, წამებულმა, აღაპყრო თვალნი, და იხილა შორს აბრაამი, და ლაზარე მის წიაღში.

24. და შესძახა და თქვა: მამაო აბრაამ! მოწყალება მოიღე და მომივლინე ლაზარე, რათა თითის წვერი ჩააწოს წყალში და ენა გამიგრილოს, რადგან ვიდაგები ამ ცეცხლის ალში.

25. მაგრამ აბრაამმა უთხრა მას: შვილო, გაიხსენე, რომ შენსავე სიცოცხლეში მიიღე შენი სიკეთე, ლაზარემ კი — მხოლოდ ბოროტი. ამიტომაც ახლა ის ინუგეშება, შენ კი იტანჯები.

26. ეგეც არ იყოს, ჩვენსა და თქვენს შორის განმტკიცებულია დიდი უფსკრული, ასე რომ, გადმოსვლის მსურველი ვერც ჩვენგან თქვენსკენ გადმოვა და ვერც თქვენგან ჩვენსკენ.

27. ხოლო მან თქვა: გევედრები, მამაო, მამაჩემის სახლში მაინც გაგზავნე ეგ.

28. ვინაიდან ხუთი ძმა მყავს, მივიდეს და აუწყოს მათ, რათა ისინიც ამ სატანჯველში არ ჩაცვივდნენ.

29. უთხრა მას აბრაამმა: მოსე და წინასწარმეტყველნი ჰყავთ; მათ უსმინონ.

30. ხოლო მან თქვა: არა, მამაო აბრაამ; მაგრამ თუ მკვდართაგან მივა მათთან ვინმე, შეინანებენ.

31. და უთხრა მას აბრაამმა: თუკი მოსეს და წინასწარმეტყველთ არ უსმინეს, მკვდრეთითაც რომ აღდგეს ვინმე, არც მას ერწმუნებიან.

თავი მეჩვიდმეტე

1. და უთხრა თავის მოწაფეებს: შეუძლებელია, რომ არ მოვიდნენ საცდურნი, მაგრამ ვაი მას, ვისგანაც მოვლენ.

2. უჯობს წისქვილის დოლაბი დაჰკიდონ ყელზე და ზღვაში დანთქან, ვიდრე აცთუნოს თუნდაც ერთი ამ მცირეთაგანი.

3. დაუკვირდით თქვენს თავს: თუკი შენი ძმა შეგცოდავს, შერისხე იგი; და თუ შეინანებს, მიუტევე.

4. დღეში შვიდჯერაც რომ შეგცოდოს და შვიდჯერვე მოგიბრუნდეს და გითხრას — ვნანობო, მიუტევე მას.

5. და უთხრეს მოციქულებმა უფალს: გვიმრავლე ჩვენ რწმენა.

6. ხოლო უფალმა თქვა: მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენაც რომ გქონდეთ, და უთხრათ ამ ლეღვის ხეს: აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიფხვერი მანდედან და ზღვაში გადაინერგეო, გაგიგონებთ.

7. მონა რომ გყავდეთ ვინმეს, მხვნელი თუ მწყემსი, რომელი თქვენგანი ეტყვის მინდვრიდან დაბრუნებულს: მოდი, სუფრას მიუჯექიო?

8. თუ, პირიქით, ეტყვის მას: მომიმზადე ვახშამი, სარტყელი მოირტყი და მომემსახურე, სანამდის ვჭამ და ვსვამ, ხოლო შემდეგ თავადაც ჭამე და სვი.

9. ნუთუ მონის მადლიერი იქნება მხოლოდ იმიტომ, რომ მან ბრძანება შეუსრულა? არა მგონია.

10. ასევე თქვენც, როცა აღასრულებთ ყოველივე იმას, რაც ნაბრძანები გქონდათ, — თქვით: უვარგისი მონები ვართ, ვინაიდან ვქენით ის, რაც უნდა გვექნა.

11. და მოხდა ისე, რომ იერუსალემს მიმავალი მიდიოდა სამარიასა და გალილეას შორის.

12. და ერთ სოფელში შესვლისას შემოეგება ათი კეთროვანი კაცი, რომლებიც მოშორებით შედგნენ.

13. და შეღაღადეს: იესო, მოძღვარო, შეგვიწყალე ჩვენ!

14. ისინი რომ დაინახა, უთხრა: წადით და ეჩვენეთ მღვდლებს. წავიდნენ თუ არა, განიწმინდნენ.

15. ხოლო ერთი მათგანი, რომელმაც დაინახა, რომ განიკურნა, მობრუნდა და ხმამაღლა ადიდებდა ღმერთს.

16. იესოს ფერხთით დაემხო და მადლი შესწირა მას; და იყო იგი სამარიელი.

17. მიუგო იესომ და უთხრა მას: განა ათივე არ განიწმინდა? სადღა არიან ცხრანი?

18. არცერთი არ მობრუნებულა ღმერთის სამადლობლად, ამ უცხო თესლის გარდა.

19. და უთხრა მას: ადექ და წადი! შენმა რწმენამ გადაგარჩინა.

20. ხოლო როდესაც ფარისევლებმა ჰკითხეს, როდის მოვა ღმრთის სასუფეველიო, მიუგო და უთხრა მათ: ღმრთის სასუფეველი არ მოვა საამკარაოდ;

21. ვერ იტყვიან: აგერ, აქ არის, ან: აგერ, იქო; ვინაიდან, აჰა, ღმერთის სასუფეველი თვითონ თქვენშია.

22. და უთხრა თავის მოწაფეებს: მოვლენ დღენი, როცა ინატრებთ თუნდაც ერთი დღით იხილოთ ძე კაცისა, და ვერ იხილავთ.

23. და გეტყვიან თქვენ: აგერ, აქ არის, ან: აგერ, იქო; ნუ მიხვალთ და ნუ გაჰყვებით.

24. ვინაიდან როგორც ელვა იელვებს და გაიბრწყინებს ცის ერთი კიდიდან მეორემდე, ასე იქნება ძეც კაცისა თავის დღეს.

25. მაგრამ ჯერ სასტიკად უნდა ევნოს და უარყოფილ იქნეს ამ მოდგმისაგან.

26. და როგორც იყო ნოეს დროს, ისე იქნება კაცის ძის დროსაც.

27. ჭამდნენ, სვამდნენ, ცოლს ირთავდნენ და თხოვდებოდნენ, იმ დღემდე, როცა ნოე შევიდა კიდობანში, და მოვიდა წარღვნა და მოსრა ყველა.

28. ისევე, როგორც ლოტის დროს: ჭამდნენ, სვამდნენ, ყიდულობდნენ, ყიდიდნენ, რგავდნენ, აგებდნენ;

29. მაგრამ იმ დღეს, როცა ლოტი გამოვიდა სოდომიდან, ცეცხლმა და გოგირდმა იწვიმა ზეცით და მოსრა ყველა.

30. ასე იქნება იმ დღესაც, როცა გამოჩნდება ძე კაცისა.

31. იმ დღეს, ვინც ერდოზე იქნება, ხოლო მისი ნივთები — სახლში, ნუ ჩამოვა ძირს მათ წასაღებად; და ის, ვინც მინდვრად იქნება, ასევე ნუ მიბრუნდება უკან.

32. გაიხსენეთ ლოტის ცოლი.

33. რადგან ვინც ეცდება სულის ხსნას, დაღუპავს მას, და ვინც დაღუპავს თავის სულს, აცოცხლებს მას.

34. გეუბნებით: იმ ღამეს ორნი იქნებიან ერთ საწოლში: ერთი წარიტაცება, მეორე კი დარჩება.

35. ორნი იქნებიან წისქვილში: ერთი წარიტაცება, მეორე კი დარჩება.

36. ორნი იქნებიან ველად: ერთი წარიტაცება, მეორე კი დარჩება.

37. და უთხრეს მას: სად, უფალო? ხოლო იესომ მიუგო მათ: სადაც იქნება ლეში, იქვე შეიყრებიან არწივნი.

თავი მეთვრამეტე

1. და უთხრა მათ ერთი იგავიც იმისათვის, რომ ყოველთვის უნდა ლოცულობდნენ და არასოდეს მობეზრდეთ ლოცვა:

2. იყო ერთ ქალაქში ერთი მსაჯული, რომელსაც არ ეშინოდა ღმერთისა და არა რცხვენოდა კაცის.

3. იმავე ქალაქში ცხოვრობდა ერთი ქვრივი ქალი; მიდიოდა მასთან და სთხოვდა: ჩემი მომჩივნისაგან დამიცავიო.

4. მაგრამ დიდხანს არ თანხმდებოდა. ბოლოს კი გულში თქვა: თუმცა არც ღმერთის შიში მაქვს და არც კაცისა მრცხვენია.

5. მაგრამ, რაკი ეს ქვრივი მოსვენებას არ მაძლევს, დავიცავ მას, რათა აქ აღარ მოვიდეს და მომასვენოს.

6. და თქვა უფალმა: გესმით, რას ამბობს უსამართლო მსაჯული?

7. და განა ღმერთი არ დაიცავს თავის რჩეულთ, დღედაღამ რომ შეჰღაღადებენ და დიდსულოვანი არ იქნება მათ მიმართ?

8. გეუბნებით თქვენ: მალე დაიცავს მათ. მაგრამ ძე კაცისა, როდესაც მოვა, ჰპოვებს კი რწმენას ამ ქვეყნად?

9. ერთი ასეთი იგავიც უთხრა ზოგიერთს, რომლებსაც სწამდათ, მართალნი ვართო და სხვებს კი არად აგდებდნენ:

10. ორი კაცი შევიდა ტაძარში სალოცავად: ერთი ფარისეველი და ერთიც მებაჟე.

11. ფარისეველი დადგა და ასე ლოცულობდა გულში: ღმერთო გმადლობ, რადგან არა ვარ, სხვა კაცთა მსგავსად, მტაცებელი, უსამართლო და მემრუშე, და არც ამ მებაჟეს ვგავარ.

12. ორჯერ ვმარხულობ კვირაში, და ვიხდი შეათედს იმისას, რასაც ვიხვეჭ.

13. ხოლო მოშორებით მდგარ მებაჟე იმასაც კი ვერ ბედავდა, ლოცვად აღეპყრო თვალნი. არამედ მკერდში იცემდა მჯიღს და ამბობდა: ღმერთო, მილხინე მე, ცოდვილს.

14. გეუბნებით: სახლში ეს უფრო გამართლებული დაბრუნდა, ვიდრე ის, რადგან ყველა, ვინც აიმაღლებს თავის თავს, დამდაბლდება, და ვინც დაიმდაბლებს თავის თავს, ამაღლდება.

15. და მიჰგვარეს ბავშვები, რომ შეხებოდა მათ. ხოლო ამის შემყურენ მოწაფეები უშლიდნენ მათ.

16. მაგრამ იესომ მიიხმო ისინი და თქვა: მოუშვით ბავშვები, და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მათნაირებისაა ღმერთის სასუფეველი.

17. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც ბავშვივით არ მიიღებს ღმერთის სასუფეველს, ვერ შევა მასში.

18. და ჰკითხა მას ერთმა მთავართაგანმა: კეთილო მოძღვარო, რა მოვიმოქმედო, რომ დავიმკვიდრო საუკუნო სიცოცხლე?

19. იესომ მიუგო: რატომ მიწოდებ კეთილს? არავინაა კეთილი, გარდა ერთის — ღმრთისა.

20. იცი მცნებანი: არა იმრუშო; არა კაც-ჰკლა; არა იპარო; არა ცილი სწამო; პატივი ეცი მამას შენსას და დედას შენსას?

21. ხოლო მან თქვა: ეს ყოველივე დამიცავს ჩემი სიყრმითგან.

22. ეს რომ გაიგონა, იესომ უთხრა მას: ერთილა გაკლია: გაყიდე ყველაფერი, რაც გაბადია, და მიეცი გლახაკთ; და გექნება საუნჯე ცაში; მოდი და გამომყევ მე.

23. ხოლო ის დამწუხრდა ამის გაგონებისას, რადგანაც ძალიან მდიდარი იყო.

24. და როცა დამწუხრებული დაინახა, იესომ, თქვა: რა ძნელია მდიდართათვის ღმრთის სასუფეველში შესვლა.

25. რადგან აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა ღმრთის სასუფეველში.

26. ამის გამგონეთ თქვეს: კი მაგრამ, ვინღა ცხონდება?

27. ხოლო მან თქვა: კაცთათვის შეუძლებელი შესაძლებელია ღმერთისთვის.

28. და უთხრა პეტრემ: აი, ჩვენ მივატოვეთ ყველაფერი და შენ გამოგყევით.

29. ხოლო იესომ მიუგო მათ: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ არის კაცი, რომელმაც მიატოვოს სახლი, გინდა ძმები, გინდა ცოლი, გინდა შვილები ღმრთის სასუფევლისთვის,

30. და ახლავე არ მიიღოს გაცილებით მეტი, ხოლო მომავალში — საუკუნო სიცოცხლე.

31. და წაიყვანა თორმეტი მოწაფე და უთხრა მათ: აჰა, ავდივართ იერუსალემში, და აღსრულდება ყველაფერი, რაც დაწერილა წინასწარმეტყველთა მიერ კაცის ძისათვის;

32. ვინაიდან მისცემენ წარმართთ, და შეურაცხყოფენ, აგინებენ, აფურთხებენ,

33. სცემენ და მოკლავენ მას, და მესამე დღეს აღდგება იგი.

34. მაგრამ მათ ვერაფერი გაიგეს; დაფარული იყო მათთვის ეს სიტყვა და ვერ შეიცნეს თქმული.

35. ხოლო როდესაც იერიხონს მიუახლოვდა, ერთი ბრმა იჯდა გზის პირას და მოწყალებას ითხოვდა.

36. ხალხის ფეხის ხმა რომ შემოესმა, იკითხა, რა ამბავიაო?

37. უთხრეს, იესო ნაზარეველი მოდისო.

38. მაშინ შეღაღადა და თქვა: იესო, დავითის ძეო, შემიწყალე მე!

39. წინ მიმავალნი უბრძანებდნენ, დაჩუმდიო, მაგრამ ის უფრო ხმამაღლა ღაღადებდა: დავითის ძეო, შემიწყალე მე!

40. იესო შეჩერდა და ბრძანა, აქ მომგვარეთო; და როცა მიეახლა, ჰკითხა მას:

41. რას მოითხოვ ჩემგან? ხოლო მან მიუგო: თვალის ახელას, უფალო!

42. იესომ უთხრა: გაახილე თვალი, შენმა რწმენამ გადაგარჩინა.

43. მაშინვე აეხილა თვალი და გაჰყვა მას, და ადიდებდა ღმერთს. და ამის მხილველმა მთელმა ხალხმაც ადიდა ღმერთი.

თავი მეცხრამეტე

1. და შევიდა იერიხონში და გაიარა ქალაქი.

2. და აჰა, ერთ კაცს, სახელად ზაქეს, რომელიც იყო მებაჟეთა უფროსი და იყო მდიდარი,

3. სურდა ეხილა იესო, ვინ არისო, მაგრამ ხალხმრავლობის გამო ვერ მოჰკრა თვალი, ვინაიდან ტანმორჩილი იყო;

4. წინიდან მოურბინა და ავიდა ლეღვის ხეზე, რათა დაენახა იგი, ვინაიდან იქ უნდა გაევლო.

5. და როცა იმ ადგილს გაუსწორდა, იესომ აიხედა ზევით, დაინახა იგი და უთხრა: ზაქე, ჩქარა ჩამოდი ძირს, ვინაიდან დღეს შენს სახლში უნდა ვიყო.

6. ისიც საჩქაროდ ჩამოვიდა და სიხარულით მიიღო იგი.

7. ხოლო ამის მხილველნი დრტვინავდნენ და ამბობდნენ: ცოდვილთან შევიდაო.

8. ადგა ზაქე და უთხრა უფალს: აჰა, უფალო, ჩემი ქონების ნახევარს მივცემ გლახაკთ, და თუ ვინმეს ცილი ვწამე, ოთხმაგად ვუზღავ.

9. და უთხრა მას იესომ: დღეს მოევლინა ხსნა ამ სახლს, ვინაიდან ესეც ძეა აბრაამისა.

10. რადგან ძე კაცისა მოვიდა დაღუპულთა საძებნად და დასახსნელად.

11. ხოლო ისინი უსმენდნენ, და ერთი იგავიც მოაყოლა ამას, ვინაიდან იერუსალემთან ახლოს იყო, და ეგონათ, ახლავე მოაწევს ღმრთის სასუფეველი,

12. და თქვა: ერთი კეთილშობილი კაცი შორეულ ქვეყანაში გაემგზავრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა მეფობა მიეღო და უკანვე დაბრუნებულიყო.

13. დაუძახა თავის ათ მონას, ათი მნა მისცა და უთხრა მათ: ჩემს დაბრუნებამდე ამით ივაჭრეთ.

14. მაგრამ მოქალაქეებს სძულდათ იგი, ელჩები დაადევნეს კვალდაკვალ და დააბარეს: არ გვინდა რომ ეგ მეფობდეს ჩვენზე.

15. და როცა მიიღო მეფობა და უკანვე დაბრუნდა, ბრძანა ის მონები მიეგვარათ, რომლებსაც ვერცხლი მისცა, რათა გაეგო, ვინ როგორ მოიხმარა იგი.

16. მოვიდა პირველი და თქვა: ბატონო, შენმა მნამ ათი მნა მოიგო.

17. და უთხრა მას: კარგი, კეთილო მონავ! რაკი მცირედში სანდო იყავი, ათი ქალაქის მმართველობას მოგანდობ შენ.

18. მოვიდა მეორე და თქვა: ბატონო, შენმა მნამ ხუთი მნა მოიგო.

19. და უთხრა მასაც: ხოლო შენ ხუთ ქალაქს მოგანდობ.

20. მოვიდა მესამე და თქვა: ბატონო, აჰა, შენი მნა, რომელსაც ხელსახოცში გამოკრულს ვინახავდი,

21. რადგანაც მეშინოდა შენი, რაკიღა ვიცოდი, რომ სასტიკი კაცი ხარ: იღებ, რაც არ დაგიდევს, და მოიმკი, რაც არ დაგითესავს.

22. და უთხრა მას: შენივე პირით განგიკითხავ, უკეთურო მონავ! იცოდი, რომ სასტიკი კაცი ვარ: ვიღებ, რაც არ დამიდევს, და ვიმკი, რაც არ დამითესავს.

23. მერედა, რატომ ვაჭრებს არ მიეცი ჩემი ვერცხლი, რათა დაბრუნებულს მიმეღო ჩემი სესხი მონაგებითურთ?

24. და უთხრეს მის წინაშე მდგომთ: წაართვით მნა და მიეცით ათი მნის მქონეს.

25. და უთხრა მას: ბატონო, მას ხომ ათი მნა აქვს!

26. გეუბნებით თქვენ: ყველა მქონეს მიეცემა, ხოლო არმქონეს წაერთმევა ისიც, რაცა აქვს.

27. ხოლო ეს ჩემი მტრები, რომლებსაც არ უნდოდათ, რომ მათ ზედ ვყოფილიყავი, აქ მომგვარეთ და ჩემს თვალწინ დახოცეთ.

28. ეს თქვა და დაადგა იერუსალემისაკენ მიმავალ გზას.

29. და როდესაც მიუახლოვდნენ ბეთბაგეს და ბეთანიას, რომელსაც ჰქვია ზეთისხილის მთა, გაგზავნა ორი მოწაფე;

30. და უთხრა მათ: წადით თქვენს პირდაპირ მდებარე სოფელში და მასში შესვლისთანავე დაინახავთ დაბმულ ჩოჩორს, რომელზედაც ჯერ კაცი არ მჯდარა; ახსენით და აქ მომიყვანეთ.

31. და თუ ვინმე გკითხავთ, რატომ ხსნითო, ასე მიუგეთ: უფალს სჭირდება.

32. ხოლო წარგზავნილები წავიდნენ და ნახეს, როგორც მან უთხრა.

33. და როცა ჩოჩორს ხსნიდნენ, მისმა პატრონებმა ჰკითხეს მათ: რატომ ხსნით ჩოჩორს?

34. ხოლო მათ უთხრეს, იმიტომ რომ უფალს სჭირდება.

35. მიჰგვარეს იგი იესოს, და ზურგზე დაუფინეს სამოსი, და ზედ შესვეს იგი.

36. ხოლო როდესაც დაიძრა, გზაზე უფენდნენ თავიანთ სამოსს.

37. და როდესაც მიადგა ზეთისხილის მთის დაღმართს, მოწაფეთა მთელმა სიმრავლემ სიხარულით დაიწყო ღმერთის ხმამაღლა დიდება ყველა იმ სასწაულის გამო, რომლებიც იხილეს მათ;

38. და ამბობდნენ: კურთხეულია მეუფე, მომავალი უფლის სახელით! მშვიდობა ზეცას და დიდება მაღალთა შინა!

39. და ზოგიერთმა ფარისეველმა ხალხიდან უთხრა მას: მოძღვარო, შერისხე შენი მოწაფეები.

40. ხოლო იესომ მიუგო: გეუბნებით: ესენი რომ დადუმდნენ, ქვები დაიწყებენ ღაღადს.

41. და როცა მიუახლოვდა და დაინახა ქალაქი, ატირდა მის გამო,

42. და თქვა: ამ შენს დღეს მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ შეგეცნო, რა მოგანიჭებს მშვიდობას! მაგრამ ამჟამად დაფარულია ეს შენს თვალოაგან.

43. ვინაიდან მოგივლენ დღენი, როცა მტრები თხრილს შემოგავლებენ გარშემო, შემოგერტყმიან და შეგავიწროებენ ყოველი მხრიდან;

44. მიწასთან გაგასწორებენ, და შენს შვილებს მუსრს გაავლებენ შენში, და ქვას ქვაზედაც აღარ დატოვებენ შენში, ვინაიდან ვერ შეიცან შენი მოხილვის ჟამი.

45. და შევიდა ტაძარში და დაიწყო მყიდველთა და გამყიდველთა გამოყრა.

46. და უთხრა მათ: დაწერილია: ჩემი სახლი ლოცვის სახლია, თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი.

47. იყო იქ, და ყოველდღე ასწავლიდა ტაძარში; ხოლო მღვდელმთავრებს, მწიგნობრებს და ერისმთავრებს მისი დაღუპვა სურდათ;

48. მაგრამ ვერაფერს უხერხებდნენ, ვინაიდან მთელი ხალხი მონუსხულივით უსმენდა მას.

თავი მეოცე

1. და ერთ დღეს, როცა ხალხს ასწავლიდა ტაძარში და ახარებდა, მიადგნენ მღვდელმთავრები და მწიგნობრები, უხუცესებთან ერთად.

2. და უთხრეს: გვითხარი, რომელი ძალით იქმ ამას? ან ვინ მოგცა ეგ ძალა?

3. მიუგო და უთხრა მათ: მეც ერთ რამეს გკითხავთ და მიპასუხეთ:

4. ნათლისღება იოანესი ზეციდან იყო თუ კაცთაგან?

5. ხოლო ისინი ერთმანეთში ბჭობდნენ: თუ ვიტყვით: ზეციდანო, ის გვეტყვის, მაშინ რატომ არ ერწმუნეთ მას?

6. ხოლო თუ ვიტყვით: კაცთაგანო, მთელი ხალხი ჩაგვქოლავს, ვინაიდან სწამს, რომ იოანე წინასწარმეტყველია.

7. და მიუგეს: არ ვიცით საიდან.

8. ხოლო იესომ უთხრა მათ: მაშინ არც მე გეტყვით, რომელი ძალით ვიქმ ამას.

9. და უთხრა ხალხს ეს იგავი: ერთმა კაცმა ჩაყარა ვაზი, და მისცა იგი მევენახეებს, თვითონ კი დიდი ხნით გაშორდათ.

10. და როცა დრომ მოაწია, მონა გაუგზავნა მევენახეებს, რათა მოსავალი ჩაებარებინათ მისთვის; მაგრამ მევენახეებმა სცემეს და ხელცარიელი გაისტუმრეს იგი.

11. ახლა სხვა მსახური გაგზავნა; ხოლო მევენახეებმა ისიც სცემეს, შეურაცხყვეს და ხელცარიელი გაისტუმრეს.

12. და კვლავ გაგზავნა მესამეც; მაი კი დაჭრეს და გააგდეს იგი.

13. მაშინ ვენახის პატრონმა თქვა: რა ვქნა? მოდი, გავგზავნი ჩემს საყვარელ ძეს, იქნებ მისი რიდი მაინც დაიდოს.

14. მაგრამ როდესაც დაინახეს იგი, მევენახეებმა ბჭობა გამართეს და ერთმანეთს უთხრეს: აგერ მემკვიდრე; მოდი, მოვკლათ, რომ ჩვენ დაგვრჩეს მისი სამკვიდრო.

15. გაიყვანეს ვენახიდან და მოკლეს. მერედა, რას უზამს მათ ვენახის პატრონი?

16. მოვა და დაიოცავს ამ მევენახეებს, ხოლო ვენახს სხვებს მისცემს. და ამის მსმენელებმა თქვეს: ღმერთმა ნუ ქნას!

17. იესომ კი შეხედა მათ და თქვა: რას ნიშნავს ეს წერილი: ქვა, რომელიც დაიწუნეს მშენებლებმა, კუთხის თავად დაიდვა?

18. ყველა, ვინც ამ ქვაზე დაეცემა, დაიმტვრევა, ვისაც ის დაეცემა, გასრესს.

19. ხოლო მღვდელმთავრები და მწიგნობრები შეეცადნენ მაშინვე ხელი დაედოთ მისთვის, მაგრამ ხალხისა შეეშინდათ, ვინაიდან მიხვდნენ, რომ მათზე თქვა ეს იგავი.

20. და თვალყურის სადევნებლად მიუჩინეს ცბიერი მზირნი, რომლებსაც მართლებად მოჰქონდათ თავი, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით დაეგოთ მახე, და ამრიგად, მმართველობისა და მთავრის ხელმწიფებისათვის მიეცათ იგი.

21. და ჰკითხეს მას: მოძღვაო, ვიცით, რომ მართალს ამბობ და ასწავლი, და არ ეუყურებ სახეს კაცისას, არამედ სიმართლით გვასწავლი ღმრთის გზას:

22. გეშალრებეს თუ არა ხარკი ვაძლიოთ კეისარს?

23. ხოლო იესომ შეიცნო მათი მზაკვრობა, და უთხრა: რატომ მაცდუნებთ?

24. მაჩვენეთ დინარი: ვისი ხატია ზედ და ვისი წარწერა? მიუგეს: კეისრისა.

25. და უთხრა მათ: მაშ, მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა.

26. და ვერ შესძლეს სიტყვის მახე დაეგოთ მისთვის ხალხის წინაშე: და, მისი პასუხით განცვიფრებულნი, დადუმდნენ.

27. მიუახლოვდა რამდენიმე სადუკეველი, რომლებიც უარყოფენ მკვდრეთით აღდგომას, და ჰკითხეს მას:

28. მოძღვაო, მოსემ დაგვიწერა, რომ თუ ვინმეს მოუკვდება ძმა, რომელსაც ყავდა ცოლი, მაგრამ არ დარჩა შვილი, დაე, მისმა ძმამ მოიყვანოს მისი ცოლი, რათა აღუდგინოს თავის ძმას თესლი.

29. იყო შვიდი ძმა; პირველმა შეირთო ცოლი და უშვილოდ მოკვდა.

30. მოიყვანა მისი ცოლი მეორემ, და ისიც უშვილოდ მოკვდა.

31. და მესამემაც, ვიდრე მეშვიდემდე, და შვიდივე უშვილოდ გადაეგო.

32. ბოლოს ის ქალიც მოკვდა.

33. მერედა, აღდგომისას ამ შვიდთაგან ვისი ცოლი იქნება იგი? ვინაიდან შვიდივეს ცოლად ესვა.

34. იესომ პასუხად მიუგო მათ: ამ სოფლის მკვიდრნი ირთავენ ცოლს და თხოვდებიან:

35. ხოლო საუკუნო ცხოვრებისა და მკვდრეთით აღდგომის ღირსად შერაცხილნი არც ცოლს ირთავენ და არც თხოვდებიან:

36. და აღარც სიკვდილი [illegible] ეწოდებათ; ვინაიდან ანგელოზ[illegible] ღმრთის ძენი, აღდგ[illegible]

37. ხოლო მკვდარნი რომ აღდგებიან, მოსემაც გვიჩვენა — მაყვლოვანთან, რაგვლა ამბობს ღმერთს ღა ისაკის ღმერთს და იაკობის ღმერთს უწოდებს უფალს.

38. ღმერთი მკვდრებისა კი არ არის, არამედ ცოცხლებისა, რადგანაც ყველა ცოცხალია მისთვის.

39. მიუგო ზოგიერთმა მწიგნობარმა და უთხრა მას: მოძღვაო, კარგად თქვი.

40. და უკვე ვეღარ ბედავდნენ, რაიმე ეკითხათ მისთვის.

41. და უთხრა მათ: როგორ ამბობენ, რომ ქრისტე დავითის ძეა?

42. ხოლო თვითონ დავითი ამბობს ფსალმუნთა წიგნში: უთხრა უფალმა ჩემს უფალს: დაჯექი ჩემს მარჯვნივ,

43. ვიდრე ფეხებით დაგიმხობ შენს მტრებს.

44. ამრიგად, დავითი უფალს უწოდებს მას; როგორღა ეკუთვნის ძედ?

45. ხოლო როცა მთელი ხალხი უსმენდა, თავის მოწაფეებს უთხრა:

46. ეკრძალეთ მწიგნობრებს, რომლებსაც ნებავთ გრძელი მოსასხამებით სიარული და უყვართ საკრებულოებში სალმის ძღვნა, სინაგოგებში — წინა რიგები და წვეულებებზე სუფრის თავში ჯდომა;

47. რომლებიც ნთქამენ ქვრივთა სახლებს და თანაც პირმოთნედ ლოცულობენ დიდხანს. მით უფრო მძიმე იქნება მათი სასჯელი.

თავი ოცდამეერთე

1. და გაიხედა და დაინახა მდიდრები, რომლებიც შესაწირავს აგდებდნენ საგანძურში.

2. დაინახა ერთი საწყალი ქვრივი ქალიც, რომელმაც ორი ლეპტა ჩააგდო შიგ,

3. და თქვა: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ ამ საწყალმა ქვრივმა ყველაზე მეტი ჩააგდო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ვინაიდან ღმერთის ძღვნად ყველამ ჩააგდო ის, რაც ზედმეტი ჰქონდა, ხოლო მან თავისი სისაწყლით ჩააგდო, რაც ჰქონდა, — მთელი თავისი საბადებელი.

5. და როცა ზოგიერთები ამბობდნენ ტაძარზე, პატიოსანი თვლებითა და შესაწირავებით შემკულიაო, მან თქვა:

6. მოვლენ დღენი, როცა ყოველივე იმისაგან, რასაც ხედავთ, ქვა ქვაზედაც აღარ დარჩება, არამედ ყველაფერი დაინგრევა.

7. და ჰკითხეს მას: მოძღვარო, როდის მოხდება ეს? ან რა იქნება ნიშანი იმისა, რომ ეს უნდა მოხდეს?

8. ხოლო მან თქვა: ფხიზლად იყავით, რათა არ გაცდუნონ, ვინაიდან მრავალნი მოვლენ ჩემი სახელით, და იტყვიან: მე ვარ; და: მოახლოვდა ჟამი; ნუ შეუდგებით მათ კვლას.

9. და როდესაც გაიგებთ ომებისა და აშლილობების ამბავს, ნუ შეძრწუნდებით, ვინაიდან ეს უნდა მოხდეს პირველად, მაგრამ მაშინვე როდი დადგება აღსასრული.

10. და მაშინ უთხრა მათ: აღდგება ხალხი ხალხის წინააღმდეგ, და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ;

11. და იქნება დიდი მიწისძვრანი ადგილ-ადგილ, შიმშილობა და ჟამიანობა, საშინელებანი და დიადი სასწაულნი ზეცით.

12. ხოლო უწინარეს ყოვლისა, ხელს დაგადებენ და დევნას დაგიწყებენ თქვენ, და მიგცემენ სინაგოგებსა და საპატიმროებს, და მიგიყვანენ მეფეებისა და მთავრების წინაშე, ჩემი სახელის გამო.

13. და იქნება ეს თქვენდა სამოწმებელად.

14. მაშ, გულს ჩაიბეჭდეთ, რომ წინასწარ არ იზრუნებთ, რითი იმართლოთ თავი.

15. ვინაიდან მე მოგცემთ სიტყვას და სიბრძნეს, რომელსაც წინ ვერ აღუდგება და ვერც შეეპასუხება ვერცერთი თქვენი მოპირისპირე.

16. გაგცემენ თქვენ მშობლებიც და ძმებიც, ნათესავებიც და მეგობრებიც, ხოლო ზოგიერთ თქვენგანს მოკლავენ.

17. და მოგიძულებთ ყველა ადამიანი ჩემი სახელის გამო.

18. მაგრამ თქვენი თავიდან ერთი ღერი თმაც არ დაიკარგება.

19. მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენი.

20. ხოლო როდესაც იხილავთ ლაშქრით გარშემორტყმულ იერუსალემს, იცოდეთ, რომ მოახლოვდა მისი მოოხრების ჟამი.

21. მაშინ იუდეას მყოფნი მთებში გაიქცნენ, და მის შუაგულში მყოფნი გადაიხვეწონ, და ველად მყოფნი ნუ შევლენ მასში.

22. ვინაიდან ესენი არიან შურისგების დღენი, რათა აღსრულდეს ყოველი წერილი.

23. და ვაი ფეხმძიმეთ და მეძუძურთ იმ დღეებში, ვინაიდან მოიწევა მაშინ დიდი ჭირი ამ ქვეყნად და რისხვა ამ ხალხის თავზე.

24. და დაეცემიან მახვილის პირით, და ტყვედ წაისხმებიან ყველა ქვეყანაში; და იერუსალემი გადაიქცევა წარმართთა მიერ, ვიდრე არ აღსრულდება წარმართთა ჟამი.

25. და იქნება ნიშნები მზეზე, მთვარესა და ვარსკვლავეთში, ხოლო მიწაზე — ზღვის ღრიალითა და ტალღების ზათქით შეძრწუნებული ხალხის ურვა.

26. შიშით გახევდებიან კაცნი, სამყაროს თავზე მოწევნადი უბედურების მოლოდინში, ვინაიდან შეიძვრიან ციურნი ძალნი.

27. და მაშინ იხილავენ ძეს კაცისას, ღრუბელზე მომავალს ძალითა და დიდებით მრავლით.

28. და როცა დაიწყება ყოველივე ამის ახდენა, აღიმართეთ და მაღლა ასწიეთ თავი, ვინაიდან ახლოვდება თქვენი გამოხსნა.

29. და უთხრა მათ იგავი: შეხედეთ ლეღვს და ყველა სხვა ხესაც:

30. როცა ფოთლები გამოაქვთ, შეხედავთ და იცით, რომ უკვე ახლოა ზაფხული.

31. ასევე თქვენც, როცა იხილავთ, რომ ყოველივე ეს ხდება, იცოდეთ, რომ ახლოა ღმერთის სასუფეველი.

32. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გადავა ეს მოდგმა, ვიდრე ყოველივე აღსრულდება.

33. ცა და მიწა გადავლენ, ხოლო ჩემი სიტყვები არ გადავლენ.

34. ეკრძალეთ თქვენს თავს, რათა არ დამძიმდეს თქვენი გული განცხრომით, სიმთვრალითა და ამქვეყნიური საზრუნავით, და ანაზდეულად არ მოიწიოს თქვენზე ის დღე;

35. რადგანაც მახესავით დაეცემა მთელი დედამიწის ზურგზე მსხდომთ.

36. მაშ, იფხიზლეთ მარადჟამ და ილოცეთ, რათა ღირსნი იქმნეთ იმისა, რომ თავი დააღწიოთ ყველაფერს, რაც მოიწევა, და კაცის ძის წინაშე წარსდგეთ.

37. დღისით ტაძარში ასწავლიდა, ხოლო შემდეგ გამოდიოდა და ღამეს ათევდა მთაზე, რომელსაც ეწოდება ზეთისხილისა.

38. და მთელი ხალხი დილაუთენია მიეშურებოდა მისკენ, ტაძარში, რათა მოესმინა მისთვის.

თავი ოცდამეორე

1. ახლოვდებოდა უფუარობის დღესასწაული, რომელსაც ჰქვია პასექი.

2. და მღვდელმთავრები და მწიგნობრები ეძებდნენ ხერხს, როგორ მოეკლათ იგი, ვინაიდან ხალხისა ეშინოდათ.

3. და შევიდა სატანა იუდაში, რომელსაც უწოდებდნენ ისკარიოტელს, და რომელიც იყო ერთი თორმეტთაგანი.

4. და წავიდა და უთხრა მღვდელმთავრებსა და წინამძღვრებს, როგორ მიეცა მათთვის იგი.

5. ხოლო მათ გაიხარეს და დათანხმდნენ, ეერცხლი მიეცათ მისთვის.

6. ისიც შეჰპირდა და ეძებდა ხელსაყრელ დროს, რათა, ხალხის დაუსწრებლად, მიეცა იგი მათთვის.

7. და დადგა დღე უფუარობისა, [illegible] ცა უნდა დაეკლათ [illegible]

8. და გაგზავნა პეტრე და იოანე, და უთხრა მათ: წადით და მოგვიმზადეთ პასექი, რათა ვჭამოთ.

9. ხოლო მათ თქვეს: სად გნებავს, რომ მოგიმზადოთ?

10. და უთხრა მათ: აჰა, ქალაქში შესვლისთანავე შეგხვდებათ კაცი, რომელსაც დოქით მიაქვს წყალი, და გაჰყევით სახლამდე, რომელშიც შევა;

11. და უთხარით სახლის პატრონს: მოძღვარი გითვლის, სად არის დარბაზი, სადაც ჩემს მოწაფეებთან ერთად ვჭამ პასექს?

12. და გიჩვენებთ თქვენ ვრცელსა და გაწყობილ დარბაზს; იქ მოგვიმზადეთ.

13. ისინი წავიდნენ და ყველაფერი ისე დახვდათ, როგორც უთხრა მათ, და მოამზადეს პასექი.

41. და როცა მოაწია დრომ, დაჯდა, და თორმეტი მოციქული მასთან ერთად.

15. და უთხრა მათ: სურვილით მსურდა, ჩემს ვნებამდე, თქვენთან ერთად მეჭამა ეს პასექი.

16. რადგანაც გეუბნებით თქვენ: აღარ ვჭამ მას, ვიდრე არ აღსრულდება იგი ღმრთის სასუფეველში.

17. და აიღო სასმისი, მადლი შესწირა და თქვა: მიიღეთ და გაიყავით ერთმანეთს შორის.

18. რადგანაც გეუბნებით თქვენ: რომ აღარ დავლევ ყურძნის ნაყოფისაგან, ვიდრე არ მოიწევა ღმრთის სასუფეველი.

19. და აიღო პური, მადლი შესწირა, გატეხა, მისცა მათ და თქვა: ეს არის ჩემი ხორცი, რომელიც მოგეცათ თქვენ. ეს ჰყავით ჩემს მოსახსენებლად.

20. აგრეთვე სასმისი სერობის შემდეგ და თქვა: ეს სასმისი — ახალი აღთქმაა ჩემი სისხლის მიერ, რომელიც დაითხევა თქვენთვის.

21. და აჰა, ხელი ჩემი გამცემისა ჩემთან ერთად სუფრაზე.

22. თუმცა ძე კაცისა მიდის განჩი-

ნების თანახმად; მაგრამ ვაი იმ კაცს, ვის მიერაც გაიცემა იგი.

23. ხოლო მათ ერთმანეთში დაიწყეს გამოძიება, თუ ვინ იქნებოდა მათ შორის ამის ჩამდენი.

24. დავობდნენ იმაზეც, თუ ვინ უფრო დიდად უნდა შერაცხილიყო მათში.

25. ხოლო იესომ უთხრა მათ: ხალხთა მეფენი მბრძანებლობენ მათზე და კეთილისმყოფლებად იწოდებიან მათი მპყრობელნი.

26. ხოლო თქვენ ნუ იქნებით ეგრე, არამედ უდიდესი თქვენს შორის იყოს როგორც უმცირესი, და წინამძღვარი — როგორც მსახური.

27. რადგან ვინ უფრო დიდია: ვინც სუფრას უზის, თუ ვინც სუფრას ემსახურება? რა თქმა უნდა, ვინც სუფრას უზის; ხოლო მე ვარ თქვენს შორის როგორც მსახური.

28. თქვენ კი ხართ ჩემს განსაცდელში ჩემს გვერდით მყოფნი.

29. და მე აღგითქვამთ თქვენ, როგორც მე აღმითქვა მამამ ჩემმა სასუფეველი.

30. რათა ჭამდეთ და სვამდეთ ჩემს ტაბლაზე ჩემსავ სასუფეველში, და დასხდებით ტახტებზე, რათა განსაჯოთ ისრაელის თორმეტი ტომი.

31. და თქვა უფალმა: სიმონ, სიმონ! აჰა, სატანამ დააპირა თქვენი გაცხრილვა, როგორც ცხრილავენ ხორბალს.

32. მაგრამ მე ვილოცე შენთვის, რათა არ შემცირდეს შენი რწმენა; და როცა მოიქცევი, განამტკიცე შენი ძმები.

33. და უთხრა იესოს: უფალო, მზადა ვარ საპყრობილეშიც წამოგყვე და სასიკვდილოდაც.

34. ხოლო მან თქვა: შენ გეუბნები, პეტრე, დღეს, მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფ და იტყვი, რომ არ მიცნობ მე.

35. და უთხრა მათ: როცა მე წარგგზავნეთ უფუთოდ, უაბგოდ და უხამლოდ, თუ გაკლდათ რამე? და მათ მიუგეს: არაფერი.

36. კვლავ უთხრა მათ: ამჟამად კი, ვისაც აქვს ფუთა, წაიღოს, [illegible] აბგაც; ხოლო ვისაც არა აქვს [illegible] დოს სამოსი და იყიდოს მახვილი.

37. რადგანაც გეუბნებით: უნდა აღსრულდეს ჩემზე ეს წერილი: ბოროტმოქმედთა შორის შეირაცხაო. რადგან ის, რაც ჩემზე დაიწერა, დასასრულს უახლოვდება.

38. და მათ თქვეს: უფალო, აჰა, ორი მახვილი! ხოლო იესომ უთხრა მათ: საკმარისია.

39. და გამოვიდა და, ჩვეულებისამებრ, გაემართა ზეთისხილის მთისკენ; და მისდევდნენ მისი მოწაფეები.

40. და როცა თავის ადგილას მივიდა, უთხრა მათ: ილოცეთ, რათა არ შეხვიდეთ საცდუნებელში.

41. ხოლო თვითონ ქვის სასროლზე გასცილდა მათ, და მუხლმოყრილი ლოცულობდა,

42. და ამბობდა: მამაო, თუ გნებავს, ამაცილე ეს სასმისი! თუმცა იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი.

43. და მოევლინა ანგელოზი ზეცით, და განამტკიცებდა მას.

44. და, ურვილი, უფრო გულმხურვალე ლოცულობდა, და მისი ოფლი სისხლის წვეთებად ეპკურებოდა მიწას.

45. ილოცა, ადგა და მივიდა თავის მოწაფეებთან, და მწუხარებისაგან ძილად მივარდნილი ჰპოვა ისინი,

46. და უთხრა მათ: რად გძინავთ? ადექით და ილოცეთ, რათა არ შეხვიდეთ საცდუნებელში.

47. სიტყვა არ დაესრულებინა, რომ, აჰა, გამოჩნდა ხალხი, რომელსაც წინ მოუძღოდა ერთი თორმეტთაგანი, იუდად წოდებული, და საამბოროდ მიეახლა იესოს,

48. ხოლო იესომ უთხრა მას: იუდა, მაშ, ამბორით გასცემ კაცის ძეს?

49. და როცა მასთან მყოფებმა იხილეს, რაც უნდა მოხდეს, უთხრეს მას: უფალო, ხომ არ დავცეთ მახვილი?

50. და ერთმა მათგანმა დაჰკრა ხმალი მღვდელმთავრის მონას, და მარჯვენა ყური ჩამოათალა მას.

51. ხოლო იესომ თქვა: მოეშვით,

კმარა; და შეეხო მის ყურს და განკურნა იგი.

52. ხოლო მის შესაპყრობად მოსულ მღვდელმთავრებს, ტაძრის წინამძღვრებს და უხუცესებს იესომ უთხრა: როგორც ავაზაკს, მახვილებითა და წათებით მომიხტით;

53. დღენიადაგ თქვენთან ვიყავი ტაძარში და ხელი არ აღგიმართავთ ჩემზე; მაგრამ ახლა თქვენია დრო, და ბნელის მეუფება.

54. შეიპყრეს იგი, წაიყვანეს და მიიყვანეს მღვდელმთავრის სახლში, ხოლო პეტრე შორით მისდევდა.

55. და როდესაც ცეცხლი დაანთეს შუა ეზოში და გარს შემოუსხდნენ, პეტრეც მათ შორის ჩაჯდა.

56. ერთმა მოახლემ დაინახა ცეცხლთან მჯდომარე, დააკვირდა მას და თქვა: ესეც მასთან იყო.

57. მაგრამ მან უარყო და თქვა: ქალო, არ ვიცნობ მას.

58. ცოტა ხნის შემდეგ სხვამ დაინახა იგი და თქვა: შენც ერთი მათგანი ხარ. ხოლო პეტრემ მიუგო: არა ვარ, კაცო.

59. ასე, ერთი საათის შემდეგ, სხვა ვიღაცამაც დაიჟინა: ნამდვილად ესეც მას ახლდა, ვინაიდან გალილეველია.

60. ხოლო პეტრემ მიუგო მას: არ ვიცი, რას ამბობ, კაცო. ამის თქმაც იყო და იყივლა მამალმა.

61. მაშინ უფალი შემობრუნდა და შეხედა პეტრეს, და გაახსენდა პეტრეს უფლის სიტყვა, რომელიც უთხრა მას: მამლის ყივილამდე სამჯერ უარმყოფო;

62. და გამოვიდა პეტრე გარეთ და მწარედ ატირდა.

63. ხოლო იესოს შემპყრობნი დასცინოდნენ და სცემდნენ მას;

64. თავს უბურავდნენ, სახეში ურტყამდნენ და ეკითხებოდნენ: იწინასწარმეტყველე, ვინ დაგარტყა შენ?

65. და სხვასაც მრავალს ეტყოდნენ მისი მგმობელნი.

66. ხოლო როდესაც ინათა, შეიკრიბნენ ხალხის უხუცესნი, მღვდელმთავარნი და მწიგნობარნი, და [illegible] დრიონში მიიყვანეს [illegible]

67. და თქვეს: გვითხარი, შენ ხარ თუ არა ქრისტე? და უთხრა მათ: თუ გეტყვით, არ მერწმუნებით;

68. ხოლო თუ გკითხავთ, არ მიპასუხებთ და არ გამიშვებთ:

69. ამიერიდან დაჯდება ძე კაცისა ღმრთის ძლიერების მარჯვნივ.

70. და თქვა ყველამ: მაშ, შენ ხარ ძე ღმრთისა? და მიუგო მათ: თქვენ ამბობთ, რომ მე ვარ.

71. ხოლო მათ თქვეს: რაღად გვინდა მოწმობა? ვინაიდან თვითონვე მოვისმინეთ მაგისი პირით.

თავი ოცდამეხუთე

1. და ადგა მთელი ხალხი, და წაიყვანეს იგი პილატესთან.

2. და დაიწყეს მისი ბრალდება, და ამბობდნენ: ჩვენ ვნახეთ, რომ ეს აქეზებს ხალხს და უკრძალავს კეისრისთვის ხარკის მიცემას, და თავის თავს უწოდებს ქრისტეს, მეუფეს.

3. და ჰკითხა პილატემ მას: მაშ შენა ხარ იუდეველთა მეფე? ხოლო მან მიუგო და უთხრა: შენ ამბობ.

4. და უთხრა პილატემ მღვდელმთავრებს და ხალხს: მე ვერაფერ ბრალს ვპოულობ ამ კაცში.

5. მაგრამ ისინი დაჟინებით გაიძახოდნენ, რომ ის აშფოთებს ხალხს, და ასწავლის მთელს იუდეაში, გალილეადან მოყოლებული ვიდრე აქამდე.

6. გალილეა რომ გაიგონა, პილატემ იკითხა: მაშ, ეს კაცი გალილეველია?

7. და როდესაც გაიგო, ჰეროდეს სამფლობელოდან არისო, გაუგზავნა იგი ჰეროდეს, რომელიც იმ დღეებში თავადაც იერუსალემში იყო.

8. ხოლო ჰეროდემ ძალიან გაიხარა იესოს დანახვისას, ვინაიდან დიდი ხანია ეწადა მისი ხილვა, რადგანაც ბევრი რამ სმენოდა მასზე, და იმედი ჰქონდა, ეგებ რაიმე სასწაული მიჩვენოსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბევრი რამ გამოჰკითხა მას, მაგრამ იესომ არაფერი მიუგო.

10. მღვდელმთავრები და მწიგნობრები კი იდგნენ და თავგამოდებით ბოალს სდებდნენ მას.

11. ხოლო ჰეროდემ თავისი მეომრებითურთ შეურაცხყო იესო და მასხრად აიგდო იგი, და შემოსა ბრწყინვალე სამოსით, და უკანვე გაუგზავნა პილატეს.

12. და იმ დღეს დამეგობრდნენ პილატე და ჰეროდე, ვინაიდან მანამდე ერთმანეთს მტრობდნენ.

13. ხოლო პილატემ მოიწვია მღვდელმთავარნი, მთავარნი და ხალხი,

14. და უთხრა მათ: თქვენ მომიყვანეთ ეს კაცი, როგორც ხალხის წამქეზებელი, და აჰა, მე თქვენთან ერთად გამოვიძიე, და ვერ ვუპოვე ამ კაცს ვერცერთი დანაშაული, რასაც ბრალად სდებთ.

15. და ვერც ჰეროდემ, ვინაიდან მასთან გავგზავნე იგი; და აჰა, სიკვდილის ღირსი არაფერი უქნია მას.

16. მაშ, დავსჯი და გავუშვებ.

17. რადგან სადღესასწაულოდ უთუოდ უნდა გაეთავისუფლებინა ერთი პატიმარი.

18. მაგრამ მთელი ხალხი აყვირდა: მოკალი ეგ და გაგვითავისუფლე ბარაბა.

19. ხოლო ეს ბარაბა საპყრობილეში იჯდა ქალაქში მომხდარი არეულობისა და მკველობის გამო.

20. კვლავ აიმაღლა ხმა პილატემ, ვინაიდან იესოს გაშვება სურდა.

21. მაგრამ ისინი ყვიროდნენ: ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი იგი!

22. პილატემ მესამედაც იკითხა: კი მაგრამ, რა დააშავა მან? მე ვერაფერი ვუპოვე მას, სიკვდილით დასჯის ღირსი. მაშ, დავსჯი და გავუშვებ.

23. მაგრამ ისინი ხმამაღლა ყვიროდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ჯვარს ეცვათ იგი; და იმძლავრა მათმა და მღვდელმთავართა ხმამ.

24. და მათი თხოვნისამებრ განსაჯა პილატემ.

25. და გაუშვა ის, ვინც საპყრობილეში იჯდა არეულობისა და მკველობისა ბისათვის; ხოლო იესო მისცა მათ ნებას.

26. და როცა მიჰყავდათ იგი, შეიპყრეს ვინმე სიმონ კირენელი, მინდვრიდან მომავალი, და აჰკიდეს მას ჯვარი, რათა წამოელო იესოს კვალდაკვალ.

27. და მისდევდა მას უკან ურიცხვი სიმრავლე ხალხისა და ქალებისა, რომლებიც სტიროდნენ და გლოვობდნენ მას.

28. ხოლო იესო შემობრუნდა და უთხრა მათ: იერუსალემის ასულნო, მე კი ნუ დამტირით, არამედ დაიტირეთ თქვენი თავი და თქვენი შვილები.

29. რადგან აჰა, მოვლენ დღენი, როცა იტყვიან: ნეტარ არიან უნაყოფონი, და მუცელნი, რომელთაც არ უშობიათ, და ძუძუნი, რომელთაც არ უწოვებიათ.

30. და მაშინ ეტყვიან მთებს: თავზე დაგვემხეთ! და ბორცვებს: დაგვძარხეთ ჩვენ!

31. რადგან თუ ნედლ ხეს ასე ექცევიან, რაღას უზამენ ხმელს?

32. მიჰყავდათ მასთან ერთად სასიკვდილოდ ორი ბოროტმოქმედიც.

33. და როცა მიაღწიეს იმ ადგილს, რომელსაც ჰქვია თხემის ადგილი, ჯვარს აცვეს იქ ისიცა და ბოროტმოქმედნიც, ერთი მის მარჯვნივ და მეორე მარცხნივ.

34. ხოლო იესო ამბობდა: მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან. და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი.

35. და იდგა ხალხი და უყურებდა. და მათთან ერთად დასცინოდნენ წინამძღვრებიც და ამბობდნენ: სხვები იხსნა, და იხსნას ახლა თავისი თავი, თუკი ქრისტეა, ღმერთის რჩეული.

36. ასევე დასცინოდნენ მეომრებიც, და მიდიოდნენ და ძმარს აწვდიდნენ მას,

37. და ეუბნებოდნენ: თუ შენა ხარ იუდეველთა მეფე, იხსენი შენი თავი.

38. და იყო იქვე ბერძნული, ლათინური და ებრაული ასოებით დაწერილი წარწერა: ეს არის იუდეველთა მეფე.

39. ხოლო ერთი ჯვარცმული ბოროტმოქმედი აგინებდა მას და ამბობდა: თუ შენ ხარ ქრისტე, იხსენი შენი თავი და ჩვენც.

40. ხოლო მეორე რისხავდა მას და ეუბნებოდა: ღმერთის მაინც არ გეშინია, რადგანაც მისებრ დასჯილი ხარ?

41. ჩვენზე ახია; რაც დავთესეთ, იმასვე ვიმკით; ხოლო მას არაფერი ცუდი არ უქნია.

42. და უთხრა იესოს: მომიხსენე მე, უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში,

43. ხოლო იესომ მიუგო მას: ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში.

44. და იყო ასე ექვსი საათი, და წყვდიადმა მოიცვა მთელი ქვეყანა, მეცხრე საათამდე.

45. და დაბნელდა მზე, და შუა ჩაიხა ტაძრის ფარდა.

46. და ხმამაღლა შეღაღადა იესომ და თქვა: მამაო, შენს ხელს ვაბარებ ჩემს სულს; და ამ სიტყვებით განუტევა სული.

47. ხოლო ასისთავმა, რომელმაც დაინახა, რაც მოხდა, ადიდა ღმერთი და თქვა: ჭეშმარიტად ეს კაცი მართალი იყო.

48. და სეირის საყურებლად მოსული მთელი ხალხი, რომელმაც იხილა ყველაფერი, რაც მოხდა, მკერდში მჯიღის ცემით ბრუნდებოდა უკან.

49. ხოლო ყველა მისი ნაცნობი, და ქალები, რომლებიც გალილეადან მოჰყვებოდნენ იესოს, მოშორებით იდგნენ და უმზერდნენ ამას.

50. და აჰა, ერთი კაცი, სახელად იოსები, წარჩინებული მრჩეველი, კაცი კეთილი და სამართლიანი,

51. რომელიც არ მონაწილეობდა მათს თათბირსა და მათს საქმეში, და თავადაც მოელოდა ღმრთის სასუფეველს, იუდეის ქალაქ არიმათეის მკვიდრი,

52. მივიდა პილატესთან და გამოითხოვა იესოს სხეული.

53. ჩამოხსნა იგი და გაახვია ტილოში, და დაასვენა კლდეში გამოკვეთილ სამარხში, სადაც ჯერ კიდევ არავინ [illegible] ესვენებინათ.

54. და იყო დღე პარასკევი და თენდებოდა შაბათი.

55. და მიჰყვნენ გალილეიდან იესოსთან ერთად მოსული ქალებიც, და იხილეს სამარხიცა და ისიც, თუ როგორ დაიდო მისი სხეული.

56. ხოლო შემდეგ დაბრუნდნენ და მოამზადეს სურნელოვანი საკმეველი და ნელსაცხებელი, და, მცნებისამებრ, უქმად იყვნენ შაბათს.

თავი ოცდამეოთხე

1. ხოლო კვირის პირველ დღეს, გამზადებული ნელსურნელებით, დილაუთენია მივიდნენ საფლავთან, და იყვნენ მათთან სხვებიც.

2. მაგრამ ლოდი სამარხიდან გადაგორებული დახვდათ.

3. და შიგ შესვლისას ვეღარსად ნახეს უფალ იესოს სხეული.

4. და ამის გამო საგონებელში ჩავარდნილთ, აჰა, წარმოუდგათ მოელვარე სამოსით მოსილი ორი კაცი.

5. და რაკი ისინი შეშინებულნი იყვნენ და თავჩაქინდრულნი ჩაშტერებოდნენ მიწას, უთხრეს მათ: რად ეძებთ ცოცხალს მკვდრებში?

6. აქ აღარ არის, არამედ აღდგა; გაიხსენეთ, რას გეუბნებოდათ თქვენ, როცა ჯერ კიდევ გალილეაში იყო:

7. რომ ძე კაცისა უნდა მიეცეს ცოდვილ კაცთა ხელში, და ჯვარს ეცვას, და მესამე დღეს აღდგეს.

8. და გაახსენდათ მისი სიტყვები.

9. გამობრუნდნენ სამარხიდან და აუწყეს ყოველივე ეს თერთმეტთაც და სხვა დანარჩენთაც.

10. ესენი იყვნენ მარიამ მაგდალელი, იოანე და მარიამ იაკობისა და სხვებიც მათთან ერთად, რომლებმაც მოციქულებს აუწყეს ეს.

11. მაგრამ მათ ფუჭად მოეჩვენათ ეს სიტყვები, და არ ერწმუნნენ მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ხოლო პეტრე ადგა და საფლავს მიაშურა, და დაიხარა, მაგრამ დაყრილი ტილოების მეტი ვერაფერი ნახა; და წამოვიდა და უკვირდა, რაც მოხდა.

13. იმავე ღღეს ორი მათგანი მიდიოდა იერუსალემიდან სამოცი უტევანით დაშორებულ დაბაში, რომელსაც ჰქვია ემაუსი;

14. და ერთმანეთს ესაუბრებოდნენ ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა.

15. ამ საუბრისას და მსჯელობისას მიუახლოვდათ თვითონ იესო და დაეძგზავრა მათ.

16. მაგრამ მათ თვალები დასდგომოდათ, ასე რომ ვერ იცნეს იგი.

17. და უთხრა მათ: რა სიტყვებს ეუბნებით ერთმანეთს გზაში, ან რატომ ხართ ასე მწუხარნი?

18. ერთმა მათგანმა, სახელად კლეოპამ, მიუგო და უთხრა მას: ნუთუ შენ ხარ ერთადერთი უცხო იერუსალემში, და არ იცი, ამ ღღეებში რა მოხდა იქ?

19. და უთხრა მათ: მაინც რა? ხოლო მათ მიუგეს: რა და იესო ნაზარეველს, რომელიც იყო კაცი წინასწარმეტყველი, სიტყვითაც და საქმითაც მძლავრი ღმერთისა და მთელი ხალხის წინაშე, —

20. სიკვდილი მიუსაჯეს ჩვენმა მღვდელმთავრებმა და წინამძღვრებმა, და ჯვარს აცვეს იგი.

21. ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ სწორედ ის იყო, ვისაც უნდა ეხსნა ისრაელი; მაგრამ, აი, უკვე მესამე ღღეა, რაც ეს ამბავი მოხდა.

22. მაგრამ ჩვენი ქალებიდან ზოგიერთმაც გაგვაცვიფრა: ჩვენ: ადილათენია მივიდნენ სამარხთან,

23. და ვერ იპოვეს მისი სხეული, და მოვიდნენ და გვითხრეს, რომ უხილავთ ანგელოზები, რომლებსაც უთქვამთ, ცოცხალია.

24. და ზოგიერთი ჩვენგანიც მივიდა სამარხთან, და ყველაფერი ისე დახვდათ, როგორც ქალებმა თქვეს; ხოლო თავად ვერ იხილეს იგი.

25. ხოლო იესომ უთხრა მათ: ეჰა, უგონურნო და გულმძიმენო რწმენისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც ბობდნენ წინასწარმეტყველნი!

26. განა ასე არ უნდა ვნებულიყო ქრისტე და შესულიყო თავის დიდებაში?

27. და მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან მოყოლებული უხსნიდა მათ, რაც ითქვა მისთვის მთელს წერილში.

28. და მიუახლოვდნენ იმ სოფელს, სადაც მიდიოდნენ, ხოლო მან ისე დაიჭირა თავი, თითქოს უფრო შორი გზა ედო.

29. მაგრამ ისინი არ უშვებდნენ და ეუბნებოდნენ: დარჩი ჩვენთან, ვინაიდან უკვე ბინდდება და იწურება ღღე. და შევიდა, რათა დარჩენილიყო მათთან.

30. ხოლო როცა ისეთად დასხდნენ, აიღო პური, აკურთხა, გატეხა და მისცა მათ.

31. და აეხილათ თვალი, და იცნეს იგი. მაგრამ მაშინვე უჩინარი შეიქნა მათთვის.

32. და უთხრეს ერთმანეთს: განა არ გვიბურდა მკერდში გული, როცა გვესაუბრებოდა გზადაგზა და გვიხსნიდა წერილს?

33. და ადგნენ მაშინვე და გამობრუნდნენ იერუსალემში, და შეკრებილნი ჰპოვეს თერთმეტნი და სხვებიც მათთან ერთად,

34. რომლებიც ამბობდნენ, რომ ჭეშმარიტად აღდგა უფალი და ეჩვენა სიმონს.

35. მათაც უამბეს, რა შეემთხვათ გზაში, და როგორ იცნეს იგი პურის გატეხისას.

36. ამას რომ ამბობდნენ, თვითონ იესო ჩადგა მათ შორის, და უთხრა მათ: მშვიდობა თქვენდა.

37. ხოლო ისინი შეკრთნენ და შეძრწუნდნენ: ასე ეგონათ, სულსა ვხედავთო.

38. მაგრამ იესომ უთხრა მათ: რას ძრწიხართ, ან რა აზრები აღიძვრიან თქვენს გულში?

39. შეხედეთ ჩემს ხელებს და ჩემს ფეხებს: ეს მე ვარ თვითონ: შემეხეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დარწმუნდებით, რადგანაც სულს არც ხორცი აქვს და არც ძვლები, მე კი, როგორც ხედავთ, მაქვს.

40. ესეიგი თქვა. და ხელ-ფეები უჩვენა მათ.

41. მაგრამ რაკი სიხარულისაგან ვერ დაეჯერებინათ და განცვიფრებულნი იყვნენ, უთხრა მათ: საჭმელი თუ გაქვთ აქ?

42. და მისცეს მას შემწვარი თევზის ნაჭერი და ფეჭის თაფლი.

43. და აიღო და შეჭამა მათ თვალწინ.

44. და უთხრა მათ: აი, სიტყვები, რომელთაც ჯერ კიდევ თქვენთან მყოფი გეუბნებოდით: რომ უნდა აღსრულდეს ყველაფერი, რაც დაწერილია ჩემთვის მოსეს რჯულში და წინასწარმეტყველთა მიერ და ფსალმუნში.

45. მაშინ გაუხსნა მათ გონება, რათა შეეცნოთ წერილი.

46. და უთხრა მათ: ასე დაიწერა და ასე უნდა ვნებულიყო ქრისტე და სამე დღეს აღმდგარიყო მკვდრეთაგან.

47. და ქადაგებულიყო მისი სახელით სინანული და ცოდვათა მიტევება ყველა ხალხში, იერუსალემიდან მოყოლებული.

48. ხოლო თქვენნა ხართ ყოველივე ამის მოწმენი.

49. და აჰა, მე მოგივლენთ თქვენ მამის ჩემის აღთქმას, ხოლო თქვენ დარჩით ქალაქ იერუსალემში, ვიდრე არ შეიმოსავთ ძალას მაღლით.

50. და გაიყვანა ისინი ბეთანიამდე, და აღაპყრო ხელნი და აკურთხა ისინი.

51. და კურთხევისას დასცილდა მათ და ამაღლდა ზეცად.

52. ხოლო მათ თაყვანი სცეს მას, და დიდი სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალემს.

53. და იყვნენ მუდამ ტაძარში და ადიდებდნენ და აკურთხებდნენ ღმერთს. ამინ.

ინარგმანი ბულბერძნულიდან

□შემდეგ ნომერში: სახარება იოანესი□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარი აბრამიშვილი

დიდი სახლი

დედამიწა —
    თუ საერთო სახლია,
საქართველო —
    სასტუმრო ოთახია.
კედლებია — მთები შემოზღუდული,
ცა-ფირუზი — თაღია,
შემობრძანდით, შემობრძანდით,
    კეთილხო,
და სიმღერებს მბიარულს თუ ნაღვლიანს
აქ მოისმენთ —
    თითქოს ცაში გეფრინოთ,
ნახეთ, რა სიმაღლეა!
დედამიწა თუ საერთო სახლია,
ყველანი ვართ ბომ ამ სახლის პატრონი.
სიყვარული აქ რატომ არ ბატონობს,
ტყვიებს რისთვის აბლიან?
თუ სხვა სახლი აღარსად გვეგულება,
მაშ ეს მიწა სისხლიანი რად არი?
თავს რისხვად რად დავიტეხეთ
    ბუნება —
ჩვენი დიდი მბატვარი?
თუ ეს სახლი საერთოა,
    ერთია,
უთვალავნი ჩვენ ვყოფილვართ
    და-ძმანი.
ზოგს დედა გვყავს, ზოგსაც
    დედინაცვალი.
მაგრამ მამა —
    ერთი მამა — ღმერთია.

თუ პოეტი ხარ

თუ პოეტი ხარ —
    სულით ღარიბთა
უბადრუკობას უნდა სტიროდე
და ყოველ დილით
    შავი ღამიდან
მზესავით უნდა ამოდიოდე.
უნდა გაშალო ფრთები იქამდე,
მთლად ეს ქვეყანა
    შენად გტკიოდეს
და თუ ღრუბლებში მზე პირს იბანდეს,
ცრემლიც სხივებად ჩამოგდიოდეს.
თუ პოეტი ხარ
    (ვაი, საბრალოვ!),
ყოველ წუთს ლექსი უნდა გშიოდეს,
ორად გაყოფილ
    ცოდვილ სამყაროს
ამეგობრებდეს შენი სიობლე.
თუ პოეტი ხარ...
    თუ პოეტი ხარ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მუდამ ვუბმობდი,
მუდამ ველოდი,
მუდამ მიჭირდა სულით ობლობა,
მაგრამ ვერ ვთმობდი ვერსად,
ვეროდეს
სიმარტოვესთან ჩემს მეგობრობას.

მუდამ ვკარგავდი,
მუდამ ვეძებდი,
მუდამ ვიწყებდი ფიქრებს ბოლოდან—
ამდენ სიცოცხლეს მე ვით შევძლებდი,
შემწედ აკ ლექსი რომ არ მყოლოდა.

* * *

იმ კედლებს,
ცივ კედლებს,
შავ კედლებს —
ჩემი ლექსები აწერია;

რცხვენიათ,
მაშინ რომ ჩამკეტეს,
კაცს კი...
არაფრის არ რცხვენია.

ბნელი არქივების გახსნა

ღმერთო, შენ შემეწიე და
ნუღარ გამაგონებ ამას:
მამას შვილი გაეყიდოს
და შვილს გაეყიდოს მამა;
ნუღარ გამაგონებ, ღმერთო
(რაც გავიგე, ისიც მზარავს!),
ძმა რომ ძმისთვის ამზადებდეს
ყელის გამოსაჭრელ დანას;
რომ არაკაცს
კაცურ კაცის
მოეწყუროს სისხლი ღვარად,

მამულიშვილს აბეზღებდეს,
რაც სამშობლოს უდრის ღალატს.
ვინც ამ საქმეს სჩადიოდა,
ის ჩვენს გვერდით თურმე მდგარა,
მას სალამზე ვპასუხობდით,
ხელს ვართმევდით თურმე მტარვალს!
კაცის სახით მოარული,
ვაკ თუ, დღესაც დადის, გვპარავს, —
ღმერთო, შენ შემეწიე და
ნუღარ გამაგონებ ამას!

რ ი ს ხ ვ ა

ვით მშობელ დედას შეუბღალო
ლეჩაქი წმინდა
და მუხლებამდე დაუმოკლო კაბა
ქართული,
ეგრე გალალეს ფირუზები
ქართული ციდან,
ქართული მიწის
ეგრე ურცხვად
ყიდეს კალთები;

ამ საქმის მქმნელნი ხომ პირველნი
გარეკო უნდა
საქართველოდან,
რომ ვერ ნახონ
ამ მზის ნათელი,
რომ წყეულ იყოს
ის ქურდი, ვინც
სამშობლოს ქურდავს
რომ აღარ ერქვას მოღალატე ქართველს
ქართველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინსვლა

ხომ არის წინსვლა!
  დაბანგულთათვის
    გამოფხიზლება — ხომ არის
      წინსვლა;

ხომ არის წინსვლა!
  დანაშაულის
აღიარება — ხომ არის წინსვლა;
ხომ არის წინსვლა!
  სინდის-ნამუსი
    როცა გაჩერებს — ხომ არის
      წინსვლა;

ხომ არის წინსვლა!
  შემობრუნება,
    უკან დახევაც ხომ არის წინსვლა;
ხომ არის წინსვლა!
  ცუდად ნაგები
    შენობის ნგრევა — ხომ არის
      წინსვლა;

ხომ არის წინსვლა!
  რასაც შენ ფიქრობ,
    იმას რომ ამბობ — ხომ არის
      წინსვლა;

ხომ არის წინსვლა!
  წინ გადადგმული
    ერთი ნაბიჯი —
      ხომ არის წინსვლა!

ანკეტა

გვარი, სახელი,
  მამის სახელი...
ამ ქვეყნად მოსვლის წელი, თვე,
  რიცხვი...

და ეროვნება
  (ქართველი! ქართველი!)...
საით გავექცე არყოფნის სირცხვილს!
შევავსე უკვე მე ეს ფურცელი
და სისხლის მელნით დავათარიღე

ჩემი ცხოვრება —
  ველივით ვრცელი,
რომელიც მუდამ მთხოვდა ტარიგებს.
რა დამრჩა კიდევ?
  ეს ნარჩენებიც
მე შენთვის მინდა,
  თუ ღირს რაიმედ, —
სანამ ცოდვის შვილს შემაჩვენებდე,
რისი მადლობა?
  ოღონდ წაიღე!

გზად ჩემს სოფელში

მუხრანს

აი ეზო. ჩვენი სახლი აქ იდგა.
არემარე გადასხვაფერებულა...
კაკლის ხემაც თითქოს ფეხი აიდგა,
აღარც ის ჩანს,
  სიო ჰქრის ძველებურად.

როგორ მინდა, გამოვიდეს ვიღაცა,
სიხარულით სახლში შემიპატიჟოს. —
არც არავინ კალთას ხელი მიტაცა,
არც არავინ იმერულად ბოდიშობს.

როგორ მინდა, ვინმეს მაინც ახსოვდეს,
რომ პირველად აქ მიყვარდა
  უღმერთოდ. —
ერთ პოეტად ვეყოფოდი სხვა სოფელს,
მაგრამ არგვეთს —
  აბა რა მოვუხერხო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო, ლექსო ჩემო

მე და შენ —
შვება ვინ მოგვალირსოს,
მე და შენ —
ერთად ვდგავართ უღელ'ში.
ო, ჩემო ლექსო,
ლექსო ფაქიზო,
ცხოვრებამ როგორ გაგაუხეშა.
რისი იები, რისი ვარდები,
რისი სიმღერა,
მე რას მიმალავ,
სენი შეგყრია,
ვით გადამდები
ჩაბეირებული ზველა-ყივანა.
აწი შენ ვინღა მოგეკარება,
ტანზე გასხია ბასრი ეკლები, —
ნაზო, ლამაზო,
ცისფერთვალებავ,
დამნაშავე ვარ შენს წინ ეგების.
შენ ჩემი სუნთქვის იცი შენახვა
ჩასაბერავი გუდა-სტვირივით.
რაც ეს გულია,
ისიც შენა ხარ —
მხოლოდ ტკივილი,
მხოლოდ ტკივილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ კოსტავა

თვალი

გამოუთქმელო, ჩვენთან აღთქმა გაქვს დადებული.
თუ თანამდებთა მიტევებით დავბურეთ ვალი,
რომ აღარ დარჩეს ძველი მტრობის მცირედი კვალი
და აღვენთებით მოყვასისთვის თავდადებულნი.
რადგან მზერაში უხვად მზეა ჩაგუბებული,
სანთლად გვამისა სრულყოფილი მოგვმადლო თვალი.
უთვალოდ სმენა სამარცხვინო შიშია მხოლოდ,
გულისგასაბეთქ და შემზარავ ელდათ რომ იშვის,
სულმდაბლობა და სიმხდალეა იმისი ბოლო,
მხოლოდ მახვილი თვალი გახლავთ დამძლევი შიშის.
რამდენად ხედავ, იმდენადვე სწვდები და ბედავ.
რადგან თვალია გამორჩევის და სიბრძნის დედა,
ის რწმენას ძლიერს შარავანდედს ცოდნისას ადგამს,
განაგონს მუდამ დანახული ჯობია რადგან.
ბრმადშობილს ხვედრი უმძიმესი ლოდივით აწევს,
ვით ქოხს, უსხვენოს გამუდმებით ათოვს და აწვიმს,
შველს, სმენით მდიდარს, ლერწამივით თუ შიში არწევს.
მახვილი თვალი გულს ულაღებს ლომსა და არწივს.
თუკი სამყარო უმთავრესად მზერას უგალობს,
სახეობათა და ფორმათა უწყვეტ თარეშში,
მშვენიერებაც არ არსებობს მაშინ უთვალოდ,
თვით სიყვარული არ არსებობს თვალის გარეშე.
ეგ საღმრთო ტრფობა თუ გაგიჯდა ძვალსა და რბილში,
მაშინ სრულქმნილმან სიყვარულმან განდევნოს შიში.
უხსოვარ დროში დედამიწა სხვაგვარი გახლდათ,
ცნობიერების ბატონობდნენ სხვა უნარები,
ატავიზმისგან ხელყოფილი თუ არ განახლდა
და სამერმისოდ დვრიტად შენში თუ არ ჩასახლდა,
წარსულს სინედლის სიო თუ არ მიეკარება,
გადაშენებით დასრულდება გადაგვარება.
თუ სულის საზრდო არ იცვლება, ყოვნდება დიდხანს,
აშმორებული ჭაობივით ხდება ურგები,
წარღვნა იმიტომ მოევლინა მთვლემ ატლანტიდას,
დაღუპვისაგან ეხსნა შვილნი ნიბელუნგების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ღმერთმა ერთიანად შესძრა სამყარო,
როცა შესცვალა ელემენტთა თანაფარდობა,
გაზი და სითხე უტეხ ნებით როცა განყარა,
როცა სივრცეებს ჩამოჰგლიჯა მრუმე ფარდები,
როს დედამიწას განუზომელ რისხვად აწვიმა,
როცა დახაშმულ სახმელეთოს წყალმა უყელა,
იმის ნიშნად რომ კაცთა მოდგმა არ გაიწირა,
მჭვირვალ ღრუბლებში შემოიჭრა მყის ცისარტყელა.
და მისთა ფერთა ელვარებით ვინც მოიხიბლა,
გახდა მოწამე პირველ სხივთა წარმოჩენისა,
ახალშობილი ცისარტყელა ნოემ იხილა,
აღთქმულის ნიშნად ამა ქვეყნის გადარჩენისა.
მანამდე მნათობს ნისლის ზრქელი ფენა ჰფარავდა.
და სხივნი მისნი დედამიწას ვეღარ აღწევდნენ,
რადგან გარემო დაიწმინდა, დაანკარავდა,
ბრმადშობილობას მიწის შვილნი თავს დააღწევდნენ.
ბრმადშობილთათვის ეს სამყარო დარჩება ბნელი,
ცნობიერებას მათთვის აზრი არ ემეტება,
სინათლე გახლავთ ჭეშმარიტად თვალის შემქმნელი,
მის სიმახვილეს, წვდომის უნარს რა შეედრება,
როგორც გონების დასაყრდენი და საფუძველი,
ადამის მოდგმის განდიდებად გვეიმედება,
რომლისა თვალმან მოიწიოს აზრების სთველი,
ის ეზიაროს ღვთის იდუმალ შემოქმედებას,
ფორმების ჭვრეტა, აღტაცება იმათგან წრფელი,
მის ნათელ მზერას სამუდამოდ დაებედება.

• • •

შავი ჯოჯოხეთის კუპრი ხართ ნახადი,
თხემიდან ტერფამდე ხართ სინდის
ახდილი,
გინდათ რომ სიწმინდეს ნამუსი ახადოთ,
მაგრამ შურისგების გაგტეხავთ მახვილი,
მოდგმას ადამიტურს ჩაზრდიხართ
მარწუხად,
გინდათ რომ უკუსვლით ვიდოდეს
სამყარო,
გსურთ რომ დედამიწა, როგორც
ღორმა მუხა,
დედაბუდიანად გეზიდან ათხაროთ.
ეს რა ხვაშიადი ჩაითქვეს ერებმა,
უსისხლოდ გამართეს კაცთა სასაკლაო,
ბოროტს მიეყიდნენ და მეცნიერება
თავად დედამიწის ხდება მესაფლავე,
გონება ეფლობა სიბილწის სკორეში,
ირყვნება ბალღი ჯერაც უწიფარი,
ისე გადაეშვნენ სოდომის მორევში,
ურცხვი ეროსიც კი თვალზე ხელს
იფარებს.
ოდესღაც ჰყვაოდა რწმენის მისტერია,
ჰყვაოდა ბუნებაც, ციერთა ნასახი,
იცოდნენ, ფუტკარი მეუფის მწერია,
რომ თავად ქრისტე არის ვენახი.
დღეს მოწამლულია თაფლი და ღვინო,
ვერ ნახავ ორაგულს არაგვის ტალღებში,
გენიის ქეძაფმა როდემდე იდინოს,
როდემდე გასტანს გრძნობათ სიუხეშე
და ამგვარ ყოფას ვინაც იგუებს
და არ აღაშფოთებს სასტიკი პრესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმტკიცეს წარუღებს აშკარა სიცრუე,
შხამი და ბალღამი გამყიდველ პრესსის.
ჰა, მოიპარება ზვრებში მორიელი,

საიდან ინთხევა ესოდენ გესლი,
ვაჰ, თუ ჩაირაზა გზები სულიერ,
ვაჰ, თუ გაიწირა ადამის თესლი.

* * *

ვინ დაგაჭარგა ეგ ზედაზენი,
ვინ დაგაქსოვა ეგ მცხეთის ჯვარი,

რა სიწმინდენი, რა სინაზენი
ცით მობერილი ოცნების ქარი.

* * *

მჭვირვალ ეთერში ალეულო ტანო ოსტატის,
ჩვილ გუგებიდან აელვარდი ვით უკვდავება,
შენი ლოცვები სერობაა ანგელოსთათვის,
შენი ცრემლები ოცნებების ათავთავება,
უკვდავი სული — მზის არილი და ათინათი,
ფერმკრთალ ღაწვებზე არეკლილი ცეცხლის ღვთაება...
ჰოი აღდგომავ და ტრაპეზო ანგელოსთათვის,
იარებიდან მომსკდარ სისხლის გწვავს მოზღვავება.

* * *

ქარვა გაუხუნდათ ალვებს
წვეროთგამძარცველი ქარით,
წყეულს წავუღივარ ჭავლებს,
დავალ ზეზეურად მკვდარი.

ფეხით მითელავენ ამაგს,
სიკეთეს არავისგან ველი,
შვილივით სუყველგან დამაქვს
უბეში ჩაკრული გველი.

ო, ნურც ივაგლახოს გულმა
რომ რამეს დამაკლებს ეულს,
რა უნდა მოსწიოს კრულმა
სამსალით გაჟღენთილ სხეულს.

დაე, ისისინოს გველმა,
ძვლებიც სათითაოდ დახრას,
რა უნდა დააკლოს ჭრელმა,
ყაენის დაწყეველილ დამღას.

რა უნდა დააკლოს ავმა,
სიგიჟით აღვლეფილ თვალებს,
პერანგი — ხილვების გამმა,
ფერების სიალმით წამლეკს.

სასოწარკვეთილი დავალ,
მხრებზე ფრთაასხმული ცეცხლით
ლაგამს ამოვუყრი ლავას,
ზაფხულს მოვაცურებ მერცხლით.

მაინც ვერ ისვენებს გველი,
უბიდან ამოჰყრის კისერს,
გესლი აქვს ნემსივით მწველი,
ცოფიან სისინით მიმზერს.

მასაც არ ასვენებს ჩემებრ
სიბრძნის უჩინარი ტაბტი,
ღუზიდან ამოჰყრის გემებს,
ზღვაში გადარეკავს ლაჰტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვირთთა უზრუნველი მღერით,
სიშმაგის სამანებს მიღმა,
მრავალს ჩაუძახებს ფსკერით,
აიგლეჯს სიმშვიდის ნიღაბს.

მრავალს ჩაუძახებს ფსკერით,
და ცხედრებს შეაფლეთს თიხას,
მკვდრისავ დაედება ფერი
ცასა და ღრუბლების ჯიღას.

უამრავ დამლახვრელ ...
გველივით დაგრიხავს ...,
მეხთა გავეშებულ ზავთით
მოჰყვება ანძების ცელვას.

მხოლოდ გადარჩენილ გემებს,
მხოლოდ გადაუმსხვრევ ანძებს.
თრთოლვით დაუკოცნის ქიმებს
კრძალვით აარიდებს ხანძრებს.

* * *

ბროლის ბრალია განა
ირემს რომ მარილი მოსწყურდა?
ლოკა და ლოკა ხარბად,
რა ცივი იყო ბროლი...

მაგრამ გაათბო იგი
სულელი ირმის სისხლმა,
ზათქი და ბოლი.
ბრალია ბროლის?

* * *

დე. ჩამოიქცეს ტანჯულის ცრემლი
ცისკრის ნამივით,
ცისკრის ვარსკვლავმა მოჰხაზოს ბჭენი
და სოფლის გოგომ
მაშინ ნახირი მისდენოს ჭასთან.

ჭის წყვდიადიდან თუნდაც უნასი
აბრდღვიალებდეს თილისმა თვალსა,
თუნდაც წყეული უდგეს კრიჭაში,
მზე ჩაბრძანდება მაინც იმ ჭაში
და უნასს აქცევს უნაზეს ქალად.

ყველგან, ან არსად

მზე გადაიხარა...
მოშულართა იქნება შერიგება,
შურისგების
არცერთი მისხალი,
სისხლის არიდება!
ჩადგება ქარიშხალი
დარჩება...
მხოლოდ გარინდება.
ყოველი საწყისი სასრულს ჩაბარდება
შეწყდება სიკვდილი,

შეწყდება დაბადება,
ცდომილთა დუნე სიარული,
ყოველივე.
სიბრძნეც კი განქარდება
დარჩება...
მხოლოდ სიყვარული.
აღარც აქა და აღარც იქა,
არც საიქიოს, არც საააქაოს...
და რომ განმართლდეს ძველი იგავი
ან ნურსად იქნები,
ან ყველგან იყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ მოლოდინში

კვლავ მოლოდინში დაგვათენდება,
კვლავ შემოანგრევს რიჟრაჟი
სარკმელს,
სული ლოცვებში მოითენთება,
მხურვალე ცრემლით დაალტობს
კანკელს.

ოცნებას აშლის ზედაზნის ზეცა,
მცხეთისკენ თვალის შენავარდება,
მონასტერს კალთა რამ შეაკვეცა,
ან სული უფალს რად არ ბარდება?

დიდი ცარგვალის ლურჯ იმედებში
სვეტიცხოველი დაგვინთებს ედემს,
მარქვი, მონასტრის დახშულ
კედლებში
რატომ ვერ ვხედავ შავოსან დედებს?

რატომ ვერ ვხედავ მიმქრალ სახეებს,
მენელსაცხებლეს, ნიშის წინ დახრილს.
კდემით წართქმული წმინდა სახელი
რად არ მიშუშებს ტანჯვათა სახმლის?

სული ლოცვებში მოითენთება,
მდუღარე ცრემლი ეცემა კანკელს,
კვლავ მოლოდინში დაგვათენდება,
კვლავ შემოანგრევს რიჟრაჟი
სარკმელს.

* * *

რად გინდა საწუთროს ამაო დიდება,
მპარავი წაიღებს,
არ დაგერიდება.
უსაგნო მიზნისთვის ხელი რად გაიღე,
საწუთროს დარჩება,
ქურდივით წაიღებს.
ასეა ლამაზის ღიმილი მაცილი,
საწუთროს საცერში წყალია გაცრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტეფანე კასრაძე

თარი-არალე

რომანი

დიდი იმედების მომცემი ახალგაზრდა ნიჭიერი პროზაიკოსი სტეფანე კასრაძე 20-იან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მისი იმპრესიონისტული პროზაული ქმნილებანი იბეჭდებოდა ჟურნალ „ქართული მწერლობის" ფურცლებზე ნიკო ლორთქიფანიძის, ვასილ ბარნოვის, შალვა დადიანის, ლეო ქიაჩელის, მიხეილ ჯავახიშვილის და ქართული პროზის სხვა აღიარებულ დიდოსტატთა თხზულებების გვერდით. კერძოდ, ამ ჟურნალში გამოქვეყნებულია სტ. კასრაძის „გვართ-სამხილავი" (№ 2-3. 1926), „ზღვა" (№ 6-7. 1926), „უდაბურობა" (№ 3-4, 1927)...

უცხოეთში მოხვედრის შემდეგ სტეფანე კასრაძის კვალი გაქრა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მის ემიგრაციაში ყოფნისა და სამწერლო მოღვაწეობის შესახებ ძლიერ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ერთი ასეთი ცნობა გამოქვეყნებულია პარიზში, 1964 წელს, ჟურნალ „კავკასიონის" IX ნომერში (გვ. 34), ვ. ნ-ს [ვიქტორ ნოზაძის] ხელმოწერით, რომელიც წინ უძღვის აქვე დაბეჭდილ სტ. კასრაძის მოთხრობას „ბაჯადო" (გვ. 34-69). ვ. ნოზაძე წერს:

„სტ. კასრაძე დაიღუპა უკანასკნელი ომის დროს აღმოსავლეთის ფრონტზე. იგი დაბვრიტეს გერმანელებმა. მან და დათიკო ღუდუმიძემ თავის თავზე მიიღეს ის სამხედრო დანაშაული,* რაც ქართველმა ახალგაზრდებმა ჩაიდინეს და ამგვარად ათეული კაცი გადაარჩინეს. ეს იყო მათი მხრივ დიდი გმირობა და თავის განწირვა მოყვასისათვის...

სტეფანე კასრაძის ამ მოთხრობის „ბაჯადო" ორი თავიც კი არ დამთავრებულა. ხელთ შემრჩა მხოლოდ მისი ანაბეჭდი და ახლა, იმედი მაქვს, სრულად დავბეჭდავ. არ მსურს დავუკარგო (აქამდე, ჩემს ხეტიალში თან ვატარებდი!) მისი ნაწერი ამ ნათელ და თავდადებულ ადამიანს — ესაა მისი უკანასკნელი ნაშრომი".

„კავკასიონის" X ნომერში (პარიზი, 1965, გვ. 46-51) დასტამბულია სტეფანე კასრაძის მეორე მოთხრობაც „მწუხარების აღფრთოვანება". აქვეა დაბეჭდილი სტ. კასრაძის სურათი თავის საყვარელ ძაღლთან „ნეგრო", რომელზედაც მწერალი სევდიანი იუმორით წერს: „ჩემთან არის „ნეგრო". „ნეგრო" დიდი გონიერი ქმნილებაა, არის თაგვების მტერი და უყვარს შაქარი. მე „ნეგრო" მიყვარს მუდამ, ხოლო მას ეუყვარეარ მაშინ, როდესაც მაქვს შაქარი. ეს გულს მიკლავს, მაგრამ შერიგებული ვარ ქვეყნის უკუღმართობას. სოშო, 1939 — 21-7".

სტ. კასრაძის შემოქმედებით დაინტერესებულ მკვლევართა (იხ. ხ. კუპარეიშვილი, სტეფანე კასრაძე, „ლიტ. საქართველო", 2. VI. 1989. გვ. 7) ყურადღებას მივაქცევ იმ ფაქტზე, რომ მწერლის რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები გამოქვეყნებულია ბერლინში გამომავალ ჟურნალში „ქართველი ერი". სახელდობრ, რომანი „თარი-არალე" დაბეჭდილია ჟურნალის 1944 წლის № 6-7-ში, ხოლო „ბაჯადოს" ზოგიერთი ნაწილი „ქართველი ერის" იმავე წლის № 10-11-სა და № 15-ში. მაგრამ რაც ამჟამად ჩვენთვის ყველაზე მთავარია, სტ. კასრაძის რომანის „თარი-არალეს" პირველი ნაწილი ცალკე წიგნის სახით გამოცემული ყოფილა პარიზში 1939 წელს, რომელიც შარშან შემოდგომაზე საფრანგეთში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს მოვიპოვე და გესურს „მნათობის" მკითხველს მივაწოდოთ.

გურამ შარაძე

---

* **დაიბრალეს მკვლელობა საფრანგეთის არმიის (ეროვნებით რუსი) ოფიცრისა, რომელიც ქართველებს დევნიდა და ავიწროვებდა. შემდეგ სინამდვილე გაირკვა და დაბვრეტილებს ბოდიში მოუხადეს (რედაქცია).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ნაწილი

შავი ზღვის ნაპირად სძევს საქართველო. საქართველო პატარა და მშვენიერი ქვეყანაა. იქ ყველა მღერის, დიდი და პატარა მღერიან მუდამ.

ყოველ სიმღერაში მოძახილად ისმის: არალე! რასაც ხშირად თან ერთვის „ივრი" და „თარი".

„თარი-არალე", „ივრი-არალე"!

„არალე" თურმე სახელია წინა-აზიის უუძველეს ღმერთისა (ასურულ-ბაბილონური, ხეთური, გინა ბერძნული პანთეონიდან) და შეესაბამება ქვესკნელს ან ქვესკნელის სულს.

„ივრი" ბაბილონურად ნიშნავს: უფალთა-უფალს.

„თარი" სვანურად — მთავარს.

ამრიგად, გამოდის: უფალთა-უფალი ქვესკნელის სული ანუ მთავარი სული ქვესკნელისა.

I

სოლომონ ფერეულმა ისაუზმა ჩვეულებრივ თუ არა სთქვა: — მე მაკვირვებს რომ ოჯახში ჩვენ მოგვეპოვება თოფი და ამდენ ხანს იგი არ ჩაგვიბარებია მთავრობისათვის.

ოთახში იდგა ბუნდოვანი სინათლე ზამთრის დილისა. მაგიდა მორთული იყო ჩაისათვის. ორთქლავდა „სამოვარი" და იქვე „სამოვართან" იჯდა დიასახლისი, სოლომონის მეუღლე მატა, რომელიც უხმოდ სთავაზობდა ჩაის სოლომონსა და ოჯახში დარჩენილ პატარა მანანას. სოლომონი უკმაყოფილო სჩანდა.

ეს იქნებოდა 56 წლის კაცი. წვერულვაშიანი, შავგვრემანი და ოდნავ ჭაღარა. სახით იგი იყო საამური განსაკუთრებით სათნოებისა და პატიოსნების გამოხატულების გამო და მისი შემხედვარე მას წარმოიდგენდა იმ კაცად, რომელიც ადვილად ემორჩილებოდა ბედსა და გარემოებას: მხოლოდ ნაცადი თვალი შენიშნავდა გამოუმჟღავნებელ სულიერ ძალას, რაიც დაურვებული იყო, ხოლო კალაპოტად ამ დაურვებულ ძალას მიჩენილი ჰქონდა სიდარბაისლე.

სიდარბაისლე ოდნავი ცვალებადობით მოდიოდა ძველთაგან, უხსოვარ დროიდან და, რადგან ძველთაგანვე იგი მიჩნეული იყო უმჯობესად, ამიტომ მას იცავდნენ.

დღეს დილას სოლომონ ფერეული უკმაყოფილო სჩანდა. ასეთ დროს მან იცოდა უბრალო რაიმეზე საყვედურის თქმა, მაგრამ ეს არ შეეხებოდა ოჯახს. ოჯახი სცხოვრობდა თანხმობით.

წუხელის მთელი ღამე ქარი ჰქროდა; სადღაც თუნუქის სახურავი აეგლიჯა და იმისმა ხრაგუნმა სოლომონი რამდენჯერმე გამოაღვიძა. ამის გამო სოლომონს შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს სრულიად არ სძინებოდეს.

ქარი ეხლაც ღრიალებდა, მაგრამ არაფერი ისმოდა თუნუქისა, რომელზედაც ყოველ გამოღვიძებისას წვალებით ჰფიქრობდა სოლომონი, რომ საჭირო იქნება ოსტატების პოვნა და ადგება ალიაქოთი, თითქოს მას საზრუნავი აკლდეს. თოფის ამბავიც წუხელის მოაგონდა, თან გონებაში უკრთოდა სიბრალული თავისი თავისადმი, რომ მის გარდა ქვეყანას სძინავს.

„გონებამან ჩემმან, ვითა სვავმა მოშიებულმა განლრღნა და განკორტნა სხეული ჩემი"... გაიფიქრა მაშინ სოლომონმა და ოდნავ დამშვიდდა, თუმცა ვერ მოიგონა მისი შეთხზული იყო ეს წინადადება, თუ ოდესღაც წაკითხული მოაგონდა.

თოფის შესახებ სხვათა შორის სთქვა ეხლა სოლომონმა. ფიქრშიაც იყო გართული. ქალები გაოცდნენ:

— რატომ თოფი?!

სოლომონი ფიქრთაგან გაერკვა:

— როგორც გენებოთ! — ამბობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი. — მხოლოდ დღესვე უნდა წაიღოთ და მთავრობას თოფი ჩააბაროთ! მე იგი სახლში არ მჭირია. ყაჩაღი მე არა ვარ და არც თავდასხმას ველი ყაჩაღებისაგან...

სოლომონმა წასვლა დააპირა. იგი მიდიოდა ბანკში, სადაც მსახურობდა მოლარედ. მან ჰორტფელი ხელთ აიღო და იმ წუთშივე მოაგონდა, რომ წესია ჯერ პალტოს ჩაცმა. მანანასაც ესაუბრა. მანანამ მეორე ოთახიდან ჩოთქი შემოარბენია და მამას დაუწყო ფიჯაკის წმენდა. სოლომონი კი მიმოდიოდა: პალტო, ჯოხი, ქუდი, ყველაფერი უნდა მოეგროვებია; თუთუნის ქისა ავიწყდებოდა და მისმა მეუღლემ მატამ ხელში ჩააჩეჩა. ეხლა ამ კუდიან გოგოსაც უნდა გასჩერებოდა, თან ლაპარაკი იყო საჭირო და არც სამსახურში უნდა დაგვიანებოდა.

სოლომონის ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ მთავრობა მოუწოდებდა მოქალაქეებს, ჩაებარებინათ ყოველგვარი საომარი იარაღი, ვისაც რა გააჩნდა, ხოლო ვადა ჩაბარებისა გასული იყო, თუ დღეს გადიოდა.

ამაზე ქალები გაჯავრდნენ: — თუ ჩაბარების ვადა გასულია, სად ბრძანდებოდა ამდენ ხანს ვაჟბატონი? განა დაგვიანებულთ მოეფერებიან? მით უმეტეს ეხლა, ომის დროს! ან იქნებ, ამიტომაა კიდეც თოფის წაღება მას თვითონ არ სურს! იქნებ ეშინია, ნამდვილად ეშინია!

ეს მოსაზრება მანანას ეკუთვნოდა. მანანამ ტაში შემოჰკრა, გაიცინა და დედა-მისს გაუწყრა. სოლომონი, რომელსაც ხასიათი გამოსცვლოდა, იდგა და მშვიდობიანად ლაპარაკობდა:

— რაღა თქმა უნდა ცოტაოდენი დამნაშავე თვითონაც იყო, მაგრამ ვის შეეძლო ქუჩაში დგომა და განცხადებების კითხვა? მერე რამდენია განცხადებები! ან ძველსა და ახალს ვინ გაარჩევდა! ჯერ შარშანდელი პარტიათა მოწოდებები, ხმებს რომ ითხოვდნენ, რამდენი იყო! არა, გთხოვთ გამანთავისუფლოთ, მე იმათი კითხვა არ შემიძლია...

მამამ ხელები გაშალა და ეთამაშებოდ შენიშნა, ამდენს ხანს რომ რაღაც აწუხებდა. თურმე მანანა ყოფილა. სოლომონმა იყვირა:

— მომეშვი, გოგო, ნუ თუ ასე დასვრილი ვარ?!

მამის გაჯავრებაზე მანანას თავდაუჭერელი სიცილი წასკდა. მშობლებს ეს არ მოეწონათ. მათ ვერ გაეგოთ, რა იყო აქ სასაცილო და საზოგადოდ, მათ ბევრი რამ არ ესმოდათ; მაგალითად, მანანას მამის ფიჯაკიდან საამური სუნნელება სცემდა: არეული ვარდისა და თუთუნის; ხოლო ეხლა, ტუჩებს რომ ძალის-ძალად იკვნეტდა, მხოლოდ იმიტომ რომ სადაცაა დედა ამოიოხრებდა და იტყოდა: — ბეჩა მანანა, ვინ იცის შენი ძმები რომელი სადაა, შენ კი ასე კისკისობ! ამისი მოსმენა მანანას გულს სტკენდა, რადგან ვაჟიშვილებზე დედა ლაპარაკობდა ნაღვლიანად და მანანას ეჩვენებოდა, რომ სადღაც მზე ჩაჰქრა და საჭიროა ტირილი.

საბედნიეროდ, მამა მანანას მხარეზე დადგა და გაგრძელდა ბჭობა თოფის შესახებ. დედა ყოყმანობდა, იგი ამბობდა: — რა საჭიროა თოფის ჩაბარება; თოფი ოსმალურია, კოტემ ის ტრაპეზუნდიდან ჩამოატანინა ომის საამბსოვროდ და ლევანს აჩუქა. იმისი ტყვიები არ იშოვება, მაშასადამე მთავრობა მას ვერ მოიხმარს. მეორე მხრივ უეჭველია კოტესაც ეწყინება, ლევანსაც!

— ეწყინებათ?!

რაკი ეს მანანამ გაიგონა მიემხრო მამას; ამითი შეიძლებოდა ძმების გაჯავრება, ორივესი ერთად; გადაწყდა თოფის ჩაბარება, ხოლო მამას რომ სამსახურში არ დაჰგვიანებოდა, რადგან იგი მიდიოდა სხვა გზით, თოფი უნდა წაეღოთ დედასა და მანანას.

II

ეს იყო 1921 წლის თებერვალი, როდესაც საქართველოს, მაშინ დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებელ რესპუბლიკას. თავს დაესხა მტერი.

ეს მოხდა უმიზეზოდ და ხალხისათვის მოულოდნელად. ჯერ ამბობდნენ: საშიში არაფერია. ჩვენი მეზობლის ბრბოა, რაღაც „ბანდა", უთუოდ გაუგებრობაა, გამოირკვევაო. ამ ცნობებში, მეზობლად იგულისხმებოდა თითქმის ჩვენი თანამოძმე, ჩვენსავით პაწია რესპუბლიკა! სიტყვა „ბანდა" ადამიანს ამხნევებდა.

შემდეგ აღმოჩნდა: ბრბო მრავალრიცხოვანია და მოიწევს.

ცნობებს იძლეოდა დედა-ქალაქი და ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხე, რათა თადარიგი დაეჭირათ, მას ყურს უგდებდა. მალე გამოირკვა, რომ ბრბო არ იყო. მოდიოდა რუსეთის გაწვრთნილი, წითელი ჯარი. იგი გვიტევდა რამდენიმე მხრიდან. შავი ზღვის ნაპირითაც და სადაცაა, მტერი მოადგებოდა ტფილისს.

ტფილისმა ამოიგმინა.

მთელმა ქვეყანამ გაიგონა ეს გმინვა და სატახტოსაკენ იწყო დენა გაწვეულთა და მოხალისეთა ჯარებმა.

III

მამის წასვლის შემდეგ მანანამ იწყო ოთახებში სირბილი. ხან თოფი ჩამოიღო (ლევანს თავის ოთახში კედელზე ეკიდა); ხან საკეტი გასინჯა და თოფი დედას დაუმიზნა, თან დაუსრულებლივ ლაპარაკობდა. დედამ სთხოვა:

— დამასვენე, შვილო, თორემ ძალა დამელია. დავიქანცე!

დაქანცვა მანანას არ ესმოდა, მაგრამ დედის განწყობილებას წუთით დაემორჩილა.

— დიდ ხანს გაგრძელდება, დედა, ომი? საშშობლო განსაცდელშია, დედა, ხოომ? სასწავლებელში ქალბატონმა ნინომ გვითხრა, განსაცდელშიაო!

ამ სიტყვებზე დედას წარმოუდგა თავისი ვაჟები, ბედის ანაბარად მიმოფანტული. ორივე, კოტე და ლევანი, ასაკოვანი იყო და განსაცდელის წინაშე მათ უნდა ეგოთ პასუხი, [illegible] ისინი იყვნენ ქვეყანა; ეს იყო [illegible] და სიამის გრძნობასთან ერთად, დედამ ტკივილიც იგრძნო და თვალთ ცრემლები მოადგა.

დედის ცრემლებზე მანანა გაყუჩდა. მან იკითხა:

— ჩემი ბრალია ,დედა, დაგქანცე?...

დედამ მანანა გულში ჩაიკრა და არა უპასუხა რა.

სრულიად გათეთრებოდა თმა მატას და ეს თეთრი თმა სამკაულივით შვენოდა მის ფერმკრთალ სახეს და აძლევდა გამომეტყველებას სითბოსი და მწუხარებისა.

მანანა, მართალია, დამშვიდდა, მაგრამ ამ დამშვიდებაშიაც შფოთავდა იგი. მანანა იყო იმ ასაკში (თუთხმეტი წლისა), როდესაც ქალს ჯერ კიდევ არა აქვს პატივისცემა თავისი სხეულის და მოძრაობაშიაც მსუბუქია და თავისუფალი.

სოლომონ ფერეულის ოჯახში მანანა ყველაზე უნცროსი იყო და ვაჟიშვილებში ერთად ერთი ქალი. უწინ კიდევ ჰყავდათ ერთიც, მანანას უფროსი და", მაგრამ ის მოუკვდათ ოთხი წლისა. ამაზე ფერეულის ოჯახში არ ლაპარაკობდნენ, მხოლოდ როდესაც დედა, თავის გათეთრებულ თმას სარკეში დაინახავდა, ბავშვი აგონდებოდა.

ამ გარემოებათა გამო მანანას ანებივრებდნენ შინაურები, განსაკუთრებით მამას სიამოვნებას ჰგვრიდა მანანას ბავშვად ხილვა; თუმცა რამდენიმე ხანია დედას შეენიშნა რომ მანანას ხმა ეცვლებოდა და სიცილში სრულიად უსხლტებოდა; ეს იყო მოწიფულობის დასაწყისი.

ამის გამო ბევრი რამ სევდის აღმძვრელი მოაგონდა მატას, მოაგონდა შორეული განვლილი, როდესაც ირგვლივ სამყარო გალობდა და არ არსებობდა სურვილი არც ნატვრის, არც ცოდნისა, თუ მომავალში რას განუმზადებდა ბედი. ეხლა კი, მიმწუხრზე დაღლილ ფრინველივით მზად იყო დასასვენებლად

IV

ქალაქში ქარი ჰქროდა. ჰთოვდა აგრეთვე და ისმოდა მღელვარე ზღვის შფოთვა. დედა და შვილს, გარედ გამოსულთ, შესცივდათ. ისინი თავშალში შეხვეულიყვნენ და თვალები ღა უჩანდათ, მაგრამ ქარი პირდაპირ სცემდა და, თუმცა ხშირად ქარს ზურგს მიუშვერდნენ, მაინც ცრემლები სდიოდათ. მალე ფართე ხიდს შეუდგნენ.

აქ ქარი უფრო ძლიერი იყო და ყოველ მხრივ ქროდა. ხიდიდან ქარში და თოვლში ყველაფერი არეული სჩანდა: დათოვლილი ქალაქი, მდინარით შუა გაყოფილი, შორს ნისლი და ზღვა; ხოლო მდინარის ნაპირებზე გრძელი ხეები, რომელნიც უმწეოდ იზნიქებოდნენ.

— დედა, რა ლამაზი ქარიშხალია, ხომ!

დაიყვირა მანანამ, რომელსაც თოფი იღლიაში უმწეოდ გაჩრილი მოჰქონდა. მანანას სიტყვები დედამ გაიგონა, მაგრამ არა უპასუხა რა, მხოლოდ უკმაყოფილოდ გაიფიქრა: „რა უცნაური აზრები მოსდის ამ ბავშვს? რა არის აქ ლამაზი: უწესრიგობა, სისაძაგლე! ან რა გამოთქმაა — ლამაზი ქარიშხალი!"

ქალებმა ხიდი გაიარეს.

მიუხედავად ასეთი ამინდისა, ქალაქის მთავარ ქუჩაზე დიდ ძალი ხალხი გამოსულიყო. სავაჭროებიც ხალხით სავსე იყო. მოქალაქენი, რაღაც აღგზნებულნი, შეჰყურებდნენ მათ პირდაპირ ფართე ხეივანს, სადაც მწყობრად მიდიოდა ასიოდე შეიარაღებული, სხვა და სხვა ნაირად ჩაცმულ-დახურული ახალგაზრდები და ხნიერები. ეს იყო ნავარჯიშოდ გამოსული მოხალისეთა ერთი გუნდი. ასეთი გუნდები იყვნენ მრავალნი.

— ვაი ჩვენი ბრალი — მწუხარებით სთქვა ვიღაც მოხუცმა ქალმა, ჩვენთან ერთად ბუნებაც შფოთავს.

მოხუც ქალს ირგვლივ დაეთანხმნენ. მატამ უნებურად ამოიოხრა. დედა და შვილი გაეტაცნა ხალხის გულისთქმას და ამ სიცივეში იდგნენ ხალხით სავსე ფილაქანზე. ჯარს უნდა [illegible]

სანაპირო ქალაქი თა[illegible] ნაწილს უგზავნიდა ტფილისს; ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც ეხლა გაივლიდა, მიდიოდა ზღვის ნაპირების დასაცავად.

მატამ ფეხსაცმელში სინესტე იგრძნო; მანანასაც სასაცილოდ გასწითლებოდა ცხვირი.

— წავიდეთ, შვილო!

ჩუმი ხმით სთხოვა დედამ შვილს. მანანას დარჩენა უნდოდა:

— სულ ცოტა ხანი, დედილო! — ემუდარებოდა მანანა დედას, — გაცივების ნუ გეშინია. ამდენ ხალხში რა გამაცივებს!

დედამ, რათა არ გაღიმებოდა, წარბები შეიკრა.

მალე ქარმა მუსიკის ხმა მოიტანა და ხალხი შეირხა. ზოგი ქუჩაში გადავიდა. გრიალით გაიარა სამმა დახურულმა სამხედრო კამიონმა. შორს, ფილაქანზე მდგომმა ხალხმა შექმნა ტაშის ცემა და გამოჩნდა ჯარი. ჯარს მოუძღოდა სასულე ორკესტრი, რომელიც მხედრულ სასიარულოს ასრულებდა.

მუსიკა იყო ჩქარი; ჯარიც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა და რამდენადაც მიიწევდა იგი, მით უფრო მეტი ხალხი გადადიოდა ქუჩაზე.

მანანამ დაინახა, რომ ყოველი ქუჩაში გადასულთაგანი რაიმეს სთავაზობდა მიმავალ ჯარს. მანანას გული დაწყდა. მამას არაფერი უთქვამს, მათ კი ვერ გაითვალისწინეს ეყიდათ თამბაქო, ასანთი, ხელთათმანი.

ახლო იყო ჯარი.

უკვე გაიარა, მაღლა აშვერილი თვისი ლითონის საკრავებით, მუსიკოსთა გუნდმა. რამდენიმე ნაბიჯით უკან, მოდიოდა აგურისფერ, ქეჩის მაზარაში გამოწყობილი ჯარი და ჯარის წინამძღოლი წითურ ცხენზე. ცხენი ჰხტოდა, დორბლ-მორეული ატრიალებდა თვალებს, ხოლო მისი მხედარი, ჭარმაგი მაიორი, იყო მშვიდად.

რადგან მთელი ქუჩა მღელვარებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაუცხრომლად სცემდა ტაშს, სარდალს მარჯვენა ხელი აწეული ჰქონდა სამხედრო სალამის წესზე. პატივისცემის ნიშნად მას ხელთათმანები წაეძრო და ორივე ხელისა მარცხენაში ეჭირა.

ჯარიც მდუმარედ მიჰყვებოდა სარდალს.

რამდენი რამ უთავაზეს მოქალაქეებმა მიმავალთ.

არავინ იცინოდა, არც სტიროდნენ; მხოლოდ ასეთ ურთიერთობაში იყო რაღაც ფარული სიმართლე, რაღაც ამაღლებდა სულს. ასეთ დროსაა, ყოველივე წვრილმანთაგან თავდახსნილ ადამიანს რომ შეუძლია უშიშრად და პატივისცემით გაიფიქროს თავდადებაზე და სიკვდილზე.

მანანას თვალები ცრემლით ავსოდა და, რადგან ეგონა დასძრახავდნენ, დედას არ უცქეროდა.

მანანა მთელი სხეულით თრთოდა; იგი შეეპყრო გაურკვეველსა და უჩვეულო გრძნობებს.

ჯარი ილეოდა, როდესაც უკანა რიგებში მანანამ თვალი მოჰკრა ერთ მოხალისეს, მანანა აბორგდა:

— ეგერ, დედა, ონისიმე! შეხედე! შეხედე!...

— იძახდა მანანა; მან არ იცოდა რა ექნა და როდესაც ის მოხალისე მათ გაუთანასწორდა, მანანამ თავდავიწყებით დაიყვირა:

— ონისიმე!

ეს იყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი (27-28 წლისა), შავი, მოხრილი ცხვირით, რაიც მას მრისხანე გამომეტყველებას აძლევდა.

ონისიმემ ძახილი გაიგონა და უკმაყოფილო სახით, თითქმის გაჯავრებულმა მოიხედა, მაგრამ ირგვლივ ყველას ნაცნობს ხედავდა და არ იცოდა, თუ ვინ დაუძახა. მაშინ მანანამ დედას ხელში თოფი ჩააჩეჩა, ხოლო თვითონ, ქუჩაზე სწრაფად გადავიდა, თან ღაზლის ხელთათმანებს იძრობდა. ეხლა კი დაინახა ონისიმემ მანანა და მიხვდა, რომ ბავშვს მისთვის ხელთათმანის ჩუქება განეზრახა.

ონისიმემ მოინდომა და შესძლო, არც გაჰღიმებოდა, არც გაჯავრებულიყო.

— გმადლობთ, მანანა! — ბრალ-ხმით სთქვა მან — წადი დედას მიხედე, ჩემგან სალამი მოახსენე.

მანანას ეს არ გაუგონია; იგი იდგა ქუჩაში სხვებთან ერთად. ქარი ჰქროდა; დრო გამოშვებით ქარს შორიდან მოჰქონდა მუსიკის ხმა, მაგრამ იმდენად სუსტი, რომ შესაძლებელია იგი მხოლოდ მოგონება იყო. ჯარი წავიდა.

ონისიმეს ძალიან დიდი ხელები ჰქონია; ეს აღმოჩნდა, როდესაც მანანას ხელთათმანები ჩამოართვა. ამიტომ, გაშორდა თუ არა ჯარი იქაურობას, ონისიმემ ხელთათმანები მის გვერდით მიმავალ ჭაბუკს შესთავაზა. ჭაბუკი გაწითლდა.

— დიდად გმადლობ!

ენა დაბმით სთქვა მან. ხელთათმანები მისთვისაც პატარა აღმოჩნდა. ჭაბუკმა ისინი ჯიბეში ჩაიდვა და სთქვა:

— უთუოდ შემდეგ გამოვიყენებ... და კიდევ უფრო გაწითლდა.

ჭაბუკი ხშირად წითლდებოდა, ოდხავ ენა ებმოდა და სრულიად ბავშვი იყო.

მანანა აგზნებული მივიდა დედასთან და თოფი ჩამოართვა. დედას ყველაფერი დაენახა; იგი იყო მწუხარე, ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ხელი მოჰხვია მანანას და ქალებმა გზა განაგრძეს.

მოქალაქენიც უხალისოდ იშლებოდნენ.

ასეთ უჩვეულო მღელვარებათა შემდეგ ისინი უნებურად უნდა შესდგომოდნენ ყოველდღიურ საზრუნავთა ასრულებას; ეს გარემოება იყო ცოტათი შეურაცხმყოფელი; ეს იყო აგრეთვე აუცილებელი. მატამ უთხრა მანანას:

— თევზის ყიდვა არ დამავიწყო, შვილო!

მატას ხმა დასუსტებოდა და ხმაზევე ეტყობოდა, რომ გაცივებულიყო. ამის გამო, ამ დილა ადრიან მატა დაღლილობას გრძნობდა.

— რა უბედური ამინდია მაინც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ თოვლ-ჭყაპში, ქარი ბდღვინავდა და ღრიალებდა საშიშ მხეცივით, თითქოს დაეძებდა ადამიანს, რათა მისთვის ბრძოლა გაემართა. იბადებოდა ავი ფიქრები თავის თავად და მატა გულში მოსთქვამდა:

— ყველაფერი საბრალო ადამიანს ებრძვის! თვითონაც თავის თავს ეჭიდება; ეხლა კიდევ ერთმანეთში ომობენ.

აი, წავიდნენ მეომრები. ვინ იცის მათში ვინ გადარჩება და ვისი დედაც არ უნდა ატირდეს, ქვეყნად დატრიალდება უბედურება და ეს უბედურება შეეხება ყველას.

უთუოდ მატას ვაჟებიც იბრძვიან: კოტე და ლევანი. ონისიმეც ომში წავიდა და ახალგაზრდა ცოლი ონისიმესი. უთუოდ ეხვევა თავის პატარა ბავშვებს და სტირის.

ქალები, მატა და მანანა, მიუახლოვდნენ ერთ პარტიულ კლუბს, რომელიც. ისე, ვით სხვა კლუბები, მოხალისეებს ჰკრეფდა და რომელიც მთავარ ქუჩაზე დუქნის შენობაში თავსდებოდა. კლუბში მყოფთ მომავალი ქალები ფანჯრიდან დაინახეს, კარი გაიღო და რამდენიმე მოცინარე ახალგაზრდამ თავი გამოჰყო. ერთმა მათგანმა დაიძახა:

— სმენა! შეიარაღებული მანანა ფერეული მოდის მოხალისედ!

ახალგაზრდების უკან, სიღრმეში, გამოჩნდა ხნიერი მხედარი, ალბად უფროსი. ახალგაზრდები დადუმდნენ. მხედარმა ქალები იცნო, ღიმილით მიესალმა და ოთახში შეიწვია.

— დაგვიანება არაფერია, ქალბატონო! — ამბობდა მხედარი — თოფს მე ჩავიბარებ და მოგართმევთ ხელწერილს.

ბევრი თამბაქო მოეწიათ. კიდევ ეწეოდნენ. კვამლში სჩანდა ნორჩი სახეები; ესენი იყვნენ მოწაფეები და ნოქრები, აწ უკვე მილიციონერები, რომელთაც ევალებოდათ დღისით და ღამით ქალაქში წესრიგის დაცვა. დღეიდან ქალაქი გადადიოდა სამხედრო წესზე.

რა დედა-შვილი [illegible] ნენ, მატა უმწეოდ ჩაესვენა სავარძელში; მან რამდენჯერმე მშრალად დაახველა და შუბლზე ოფლი მოადგა.

მანანას ეს არ შეუმჩნევია; ის იყო აგზნებული. ჭილოფის კალათიდან სანოვაგეს ალაგებდა და დაუსრულებლივ ლაპარაკობდა. მანანას ყველაფერი აოცებდა, რადგან ბავშვი იყო და ქვეყნის მიმოქცევას პირველად ეცნობოდა.

გამგზავრებულ ჯარზე რომ ლაპარაკი მოათავა, (მოიგონა აგრეთვე ონისიმე და ხელთათმანი) მეხორცე ზაქარია წარმოიდგინა: მანანა მიმოდიოდა ვით მსუქანი და დიდ მუცლიანი კაცი, რომელიც დანებს ერთმანეთზე ლესავს და ქშენით ლაპარაკობს:

— „რა მოგართვათ, ქალბატონო მატა. სუკი, გვერდი, ჩალაჯი...“

სხვიმის ასეთ დროს მანანას შენიშნავდნენ, რომ ადამიანის დაცინვა არ ვარგა; საოცარია, ეხლა არაფერი უთხრეს.

ამის შემდეგ მანანას აკვირვებდა თევზის გამყიდველის საქციელი; მეთევზე ფერეულის ოჯახს იცნობდა და მან სთქვა: — „მე არა თუ მეომრის მშობლებს, არამედ, სანამ ომია, უბრალო მოქალაქესაც ფულს ვერ გამოვართმევ“-ო.

დიდი ვედრების შემდეგ, მეთევზემ ფული აიღო და უკმაყოფილო დარჩა:

— სამაგიეროდ აი შავ-ფორაჯებიანი კამბულა, რომელიც მამას უყვარს შემწვარი, ტყემლის ცხარე წვენში, ხომ დედა?!

მანანამ დედა დაინახა; აგზნებული თვალები ჩაუქრა და ლაპარაკი შესწყვიტა.

— ავათ ხარ დედა? მოვიყვანო ალექსი ბიძია?!

ალექსი ბიძია ოჯახის ძველი მკურნალი იყო; მისი მოყვანა ნიშნავდა ოთახებში ქაფურის სუნს და, რაც მთავარია, ეს იქნებოდა მომასწავებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისა, რომ დედა ძალიან ავადაა. რადგან მკურნალს უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდა დედა.

საბედნიეროდ დედამ უარი სთქვა.

მანანას ეს გაეხარდა და, რომ დედასაც ოდნავ სიხარული ეგრძნო, მანანამ იკისრა დღეისთვის ოჯახის გაძღოლა.

ქალბატონ ფერეულს, როგორც მრავალ ოჯახს იმ დროს ჩვენს ქალაქში, მოსამსახურე არ ჰყავდა, ამიტომ მანანას სადილი უნდა გაეკეთებია და ოთახები დაეგავა.

მატა ბუხრის წინ იჯდა.

დასუსტებული მანდილოსანი დაღლილი თვალებით მისჩერებოდა ცეცხლს, რომელიც გამოსცემდა უცნაურ ფერებსა და ხმებს, რასაც მიწყივ ერთვოდა გარედან ქარის გრიალი. დრო გამოშვებით, როდესაც დაახველებდა, მატას ექმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს იგი ისმენდა თავის სისუსტეს, რაც შესაძლებელია ისეთივე იყო, ვით სავარძლის სახელურზე დანდობილი მისივე ხელები, გრძელი, ოდნავ ყვითელი და ლურჯ ძარღვებიანი.

ცეცხლისა და ქარის ხმებს მატა მოეჯადოებიათ და იგი ისმენდა ამ ხმებს, გონებითა და გულისყურით თავის არსებაში ჩაძირული, სადაც წარმოდგებოდნენ მოგონებანი განვლილ დღეთა. ყოველივე ერთად, ხმები და მოგონებანი, ჰქმნიდნენ ზღაპრულ მუსიკას, რომელსაც სული შეეპყრო და აეღელვებია.

კარგი იყო ბავშვობა! მაგრამ ნეტავ ვინ იცის, თუ მართლა იყო იგი, რადგან მისი დასაწყისი იკარგებოდა ბურუსში. მართალია, არსებობდა სოფელი და სოფელში ძველი, ოდესღაც დიდკაცური სახლი, სადაც ბავშვობისას მატა სცხოვრობდა, მაგრამ არ არსებობდნენ სოფლის ძველი ბინადრები, თანამგზავრები მატას ბავშვობისა.

რა თქმა უნდა, ისინი ოდესღაც სცხოვრობდნენ. განსაკუთრებით ბებია და ბაბუ, აგრეთვე მამა და მრავალი ქალი და კაცი.

ბებია და ბაბუ, ღრმა მოხუცები, ისე დადიოდნენ თითქოს მათ ქარი ატარებდა. მატას შეეძლო, როგორც სურდა, მოქცეოდა ბაბუას თეთრ წვერებს.

მამას ჰყავდა ცხენი; მატას ეჩვენებოდა, თითქო ცხენი იყო უზარმაზარი და საშინელი. მამა ხშირად მატას ცხენზე აიტაცებდა და შიშისა და სიხარულისაგან მატას სული ეხუთებოდა.

ყოველ დილას ბალახებზე და მცენარეებზე კრთოდა ცვარი, მზე ამოდიოდა და გალობდნენ ფრინველები. ეხლა რომ იმ სოფელში იარო, შეხვდები ხალხს, უამრავს, უთუოდ კეთილსა და საამურს, ღმერთო შენით! მხოლოდ იმათ, ძველ ბინადრებს ველარ იპოვი.

და განა იმ გოგოს კი იპოვი, რომელიც ათის წლისა, ძველი ჩვეულების მიხედვით, დედათა მონასტერში მიაბარეს? გოგო დაქალდა, გათხოვდა.

მონასტრისა სამუდამოდ ჩარჩა სულში სიმშვიდე თუ გაურკვეველი კრთომა, და აი, ამავე ოთახში, რამდენიმე წლის უკან, არა ერთი ყოფილა დილა, როდესაც თვით ბავშვებს თავს დასტრიალებდა ისევე, როგორც სხვები მას ოდესღაც.

———

მატას ოთხი ბავშვი ეყოლა.

ბავშვები ჰქმნიდენ ხმაურს; მამა, ბატონი სოლომონ ფერეული, ხუმრობდა: — ამათი მეოხებით კედლებს ზანზარი გააქვთ, ველურები არიან. — დედას შენიშნული ჰქონდა, რომ დილაობით უფროსი ბიჭი კოტე მხოლოდ ქოჩორს ივარცხნიდა, ხოლო ლევანი (იძულება თორემ) პირის დაბანასაც გაურბოდა.

ყოველ დილას ბავშვები მიდიოდნენ სასწავლებელში, მამა სამსახურში. დედა, მანანა და მსახური ქალი რჩებოდნენ სახლში.

მანანა იყო ჩვილი.

იმ ხანებში, ოჯახს დააკლდა ერთი წევრი, მანანას უფროსი და^ და დედა ხშირად სტიროდა. დედას ეხლაც თვალწინ ედგა თვისი აცრემლებული მეუღლე და პაწია ცხედარი.

ბიჭები დავაჟკაცდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე ფერეულმა დაასრულა თუ არა გიმნაზია 1916 წელს, მსოფლიო ომის დროს, ტფილისში გაიპარა, სამხედრო სასწავლებელში შევიდა და 19 წლის ბავშვს ოფიცრის სამოსი ეცვა. ოჯახში შეიქმნა გმინვა. მართალია, ყელიან წაღებზე კოტე ატარებდა დეზებს და ეკიდა ხმალი და რევოლვერი, მაგრამ მაინც ბავშვი იყო.

ის ებრძოდა ოსმალოს. ომში დავაჟკაცდა. მას ჰქონდა ნიჭი გაერჩია და მოსწონებოდა მოვლენები, რომელიც შეექმნა იქ დიდ სულსა და გულს; ეს იყო ფერეულთა საერთო თვისება.

ჯარისკაცებს კოტე უყვარდათ.

რუსეთის რევოლუციის დროს (1917 წელს) ტრაპეზუნდით ჩვენს სანაპირო ქალაქში დაბრუნდა, ხოლო 1918 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიდგინა, ქართველ ჯარში ჩაირიცხა.

ამ ჟამად უფროსობდა გუნდს და განკარგულების მოლოდინში ოსმალეთის საზღვარზე იდგა.

მეორე ფერეულს, ლევანს, გარდა ცელქობათა, წარსულში არაფერი ჰქონდა; სწავლობდა ახლად დაარსებულ ტფილისის უნივერსიტეტში, თან როგორც უმრავლესობა სტუდენტებისა, მსახურობდა; მის დაწესებულებას (სამხედრო სააფთიაქო საწყობს) განაგებდა დედით ბიძა მისი, სამხედრო მკურნალი ნიკო თელია.

დედამ იცოდა, რომ უნივერსიტეტი დაიკეტა; თვით მოსწავლეებმა შესწყვიტეს მეცადინეობა და ომში გავიდნენ. უთუოდ ლევანიც გავიდოდა.

ამრიგად, ახალგაზრდა ფერეულები განსაცდელში იყვნენ!

ასეთმა აზრმა დედა შეაშინა; ამავე დროს, ისევ გამოკრთა პატარა ცხედრის ჩვენება.

ეს უთუოდ ცუდი ნიშანი იყო. დედამ ჯერ ლოცვა დაიწყო: „ღმერთო მშვიდობა ჰქენი". მაგრამ ჩვენება არ შორდებოდა და დედას შუბლზე ცივი ოფლი მოადგა. სად იყო ნეტავ მანანა? ამას წინად. სამზარეულოდან ყოველ წუთში შემორბოდა იგი; თავისი სუფითა და თევზით დედა არ მოასვენა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ მაგიდას მამა და მანანა მოუსხდნენ. მანანას ის აწუხებდა, მოუწონებდა, თუ არა, მამა სადილს. მაგრამ მამამ, გასინჯა თუ არა სუფი, სახეზე უკმაყოფილება გამოაჩინა. სუფი არ გაუთავებია, საინი ისე გადასდგა, თან შენიშნა:

— უთუოდ დედა-შენს ჩვენი დაშაშხვა უნდოდა!

ამაზე მანანა გაწითლდა და მამას შეედავა:

— არაფერიც არა! დედა რა შუაშია, სადილი მე გავაკეთე და სუფიც ძალიან კარგია!

— ااا!... — სთქვა მაშინ მამამ; თავი აიღო და ან თვალები უცინოდნენ და ან სათვალეებზე ასეთი შუქი დასთამაშებდა; მან კილო გამოსცვალა:

— რაღა თქმა უნდა — ამბობდა იგი — იშვიათი სუფია. მხოლოდ მე მადა არა მაქვს.

ხმაზე მამას სიმხნევე დაეტყო; ძან იანგარიშა, რათა მეორე ცოტაოდენი გადაეღო და როგორიც უნდა ყოფილიყო შეეჭამა.

— მატყვილებს, მატყვილებს!

იძახდა მანანა, რომელსაც მამის თაღლითობა შეენიშნა. თევზიც მარილიანი აღმოჩნდა; მანანა ჯავრობდა და მამა იცინოდა, ხუმრობდა:

— შიმშილით ვკვდები, მარილის მეტი არაფერი მიჭამია!

ნასადილევს, სოლომონმა პაპიროსი მოსწია და ავადმყოფ მეუღლესთან გავიდა.

მატას უთუოდ სიცხე ჰქონდა; თვალები დაჰბურვოდა, არ უელვარებდნენ და სახეზედაც წამოწითლებულიყო. მან დამნაშავესავით შეხედა სოლომონს; უსიტყვოდ იგი ითხოვდა ბოდიშს ასეთ დროს შეწუხებისათვის.

სოლომონმა გაიგო, კაცს გული აუჩვილდა; ავადმყოფის დასუსტებული და მხურვალე ხელი ხელთ აიღო. დიდხანს არაფერი უთქვამს; ბოლოს მღელვარება დასცხრა და სოლომონმა გულის-სიკეთით გაიღიმა:

— როგორ გეკადრება, ბეჭა-მატა! ოთახში მანანა შემოვიდა.

არასოდეს არ ჰქონია მანანას ამდენი სათქმელი, რაც დღეს და სწორედ დღეს უნდა გაჩუმებულიყო. სცადა დედისათვის შეეჩივლა, მამამ სადილი დამიწუნაო, მაგრამ დედა მამას უსმენდა. ავადმყოფი რომ არ დაექანცა, სოლომონი ლაპარაკობდა წყნარად:

— ამ საღამოს ის მოიყვანდა მკურნალს, ალექსი ბიძიას, მანამდე ძალიან კარგს იზამდა მატა, რაიმეს თუ შესჭამდა; დღეს რომ სამსახურიდან ბრუნდებოდა, ეგონა, რომ ონისიმეს ჯალაბობა აქ დახვდებოდა; რაკი არ მოვიდნენ, თვითონ მოიყვანს, რადგან ოჯახი უმამაკაცოდ დარჩენილა და ბავშვები შეშინდებიან... ჰო, კინაღამ დაავიწყდა, თუ ომის შესახებ ქალაქში რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა მოვიდა, ხალხის შესაკრებად კათედრალის დიდ ზარს დარეკავენ და არ უნდა შეშინდნენ; ეხლა კი წავა... მანანას დარიგება ზედმეტი არასოდეს არ არის და მამა მანანას არიგებს:

— დედა არ შეაწუხოს, ხომ აქვს რაღაც საქარგავი! ჰქარგოს ან იკითხოს.

მანანა დაეთანხმა და თითქოს ესეც წერილი ყოფილიყო, მამას ყუთში ჩასაგდებად დახურული წერილი გადასცა. წერილი დედის დავალებით მახანას დაეწერა და ეგზავნებოდა ტფილისში ლევან ფერეულს.

მამა მიხვდა: ლევანს ჩამოსვლას სთხოვდნენ; არაფერი სთქვა, მაგრამ მამას ეს არ ეამა; რამდენჯერ უთქვამს: — „მშობლების სიყვარულმა ბავშვები არ უნდა შებორკოს“. მატამ ეს იცოდა და, რომ სოლომონს მეუღლისათვის დაეფარა, თუ იგი ეხლაც ასევე ჰფიქრობდა, მან სთქვა:

— კეთილი, კეთილი! წასვლის დროა, და საათი ამოიღო.

VII

რესპუბლიკის მთავარი სამხედრო სამკურნალო ტფილისში თავსდებოდა რუსთაველის გამზირზე. სასახლის მახ-

ლობლად. საწყობის გამგე იყო მკურნალი ნიკო თელია, ქალბატონ მატა ფერეულის ძმა.

დღიდან ომის დაწყებისა, საწყობის შენობა მთელი დღე სავსე იყო ბრძოლის ველიდან ჩამოსულ მკურნალებით, ფერშლებითა და მოწყალების დებით.

საწყობის მსახურნი, უფროსნი თეთრ ხალათებში, ხელქვეითნი ყვითელში, სწრაფად და უხმოდ მუშაობდნენ.

ბრძოლის ველი მოითხოვდა აუარებელ შესახვევს, სადეზინფექციოს და ტკივილთა დასაურვებელს.

რამდენიმე დღეა, რაც ქალაქში ისმოდა ხმა ბრძოლის ველისა. ეს იყო ჩვენივე ზარბაზნები, რომელნიც ტფილისის მახლობელ სერებზე დაედგათ და სცემდა მტერს.

მტერი ავიწროებდა ტფილისს. იგი 15-დე კილომეტრით იყო დაშორებული ქალაქიდან. ზარბაზნის სროლა იწყებოდა დილაობით, ისმოდა ახლოდან, თითქოს ქვესკნელიდან მოხეთქავდა, იყო კადნიერი და ადამიანთაგან მოითხოვდა რაღაც მრავალს, გაურკვეველსა და საშიშს. ზარბაზნის ხმაზე მთელი ქალაქი მოზომილის ხანდაზმულობით იწყებდა რყევას.

ეს მოვლენა აღელვებდა სისხლს და აღაგზნებდა გულს, მაგრამ უთუოდ ამის გამომჟღავნებას საჭიროდ არა სცნობდნენ და ქალაქს ძალის-ძალად ტუჩები მოეკუმა და დამორჩილებულს საკუთარსავე ღონეს, ნელ-ნელა ისროდა.

მთელი მოსახლეობა ქუჩებში იყო ამ დღეებში. თუმცა ზამთარი ილეოდა, დარები იდგა მშრალი და შორს, ცაზე ხან და ხან პატარა და თეთრი მზე.

მოქალაქენი წარბ-შეჭმუხვნილნი ანახვებდნენ ბავშვებს ქალაქის მახლობელ ლურჯ სერებს, სადაც შავ წერტილებად მოძრაობდნენ ზარბაზნის მსახურნი.

დრო გამოშვებით მოქალაქეთა აგზნება მაინც მჟღავნდებოდა; ეს მაშინ როდესაც შენიშნავდნენ ვინმე დიდს, საქვეყნო გონებისა თუ სამხედრო საქმის ოსტატს; უფრო ხშირად კი ბრძოლაში მიმავალ ჯარს, „ოლ“ დაბრუნებულნენ.

ჯარს სთავაზობდნენ თამბაქოს.

ქალაქის მღელვარე ცხოვრება დაუცხრომლად იჭრებოდა მთავარ სამკურნალო საწყობში. საწყობის შენობა დაჭყურებდა გამზირს, და ყოველთვის, როდესაც გამზირზე ატყდებოდა „ვაშას“ და „გაუმარჯოს“ ძახილი და გაისმოდა მუსიკის ხმა, იცოდნენ, ველზე მიდიოდა მორიგი ჯარი და საწყობის სამდივნოს მსახური ქალები, თეთრ ხალათებით, გადმოდგებოდნენ ფანჯარაზე, სამდივნოს უფროსს, ბატონ ვიკტორ რაზმაძეს, ამაზე არაფერი ეთქმოდა. მისი თანამშრომელნი, რომელთაც თავი ვერ შეეკავებინათ, ჯარის დანახვაზე გაცხარებით ტაშსა სცემდნენ და იძახდნენ: გაუმარჯოს!

არაფერი ეთქმოდა ბატონ ვიკტორს, იმიტომ რომ ასე იქცეოდნენ სხვებიც, მკურნალები, ფერშლები, დები, ყველა, ვინც სამდივნოში შემთხვევით იყო; გარდა ამისა, დაწესებულება დღე და ღამ მუშაობდა და თანამშრომლებს მეტი არა მოეთხოვებოდათ. ამიტომ ბ-ნი ვიკტორი სათვალეების წმენდას შეუდგებოდა და, რა შენიშნავდა ჯარმა გაიარა, და თანამშრომლებიც ფანჯრებს შორდებიან, ის დაიძახებდა:

— ბავშვებო, ბავშვებო, დაიკავეთ ადგილები!

ბატონი ვიკტორი უყვარდათ, ის იყო მარტოხელა, შუა ხნის კაცი, ძეტად კეთილი და სმის მოყვარული. სახეზედაც ემჩნეოდა თავისი სისუსტე და სიკეთე.

„ბავშვები“ ადგილს იკავებდენ.

ვიკტორს მაგიდაზე ელსმენი ედგა.

———

— ალო, ვინა? ეხლავე!

ელსმენის ხმაზე რამდენიმე ქალმა თავი წამოჰყო. ფერეულს ეძახდნენ. ვიკტორს უნდოდა ფერეული ეხახა, ამიტომ ელსმენის გადაყვანის მაგივრად, თვით გაემართა ფერეულის დასაძახებლად. ფართე დერეფანი, ისე, ვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამდივნო. ხალხით სავსე იყო. იგივე სამკურნალო დარგის ქალები და კაცები; მათ დაჭრილები ჩამოეყვანათ ველიდან. აქ წამლებს მიიღებდნენ და ისევ ველზე უნდა გასულიყვნენ; მანამდე კი, ერთი მეორეს საჩქაროდ მოუთხრობდნენ ომის ამბებს.

დერეფანში წამლების მძაფრი სუნი იდგა. ვიკტორი აფთიაქის კარს მიადგა, სადაც პაწია ფანჯარა ჩაედგათ და დაიძახა:

— ლევან ფერეული!

— საწყობშია!

ვიკტორი იქვე, გვერდით, საწყობში შეავიდა.

აქ გამალებით მუშაობდნენ. არეული იყვნენ ერთმანეთში ხელქვეითნი თუ უფროსნი. სწონიდნენ. სინჯავდნენ. რამდენიმე კაცი თაროებზე კიბეებით მიმდგარიყო და რაღაც რბილს, ქაღალდში შეხვეულს იატაკზე ჰყრიდა. სჩანდა დიდი საწყობი და მისი სიღრმე, იატაკიდან ჭერამდე თაროებით დაყოფილი. თაროები იყო სავსე. ვიკტორმა სიღრმეში ერთი ჯგუფი შენიშნა; ჯგუფი დასტრიალებდა დიდს, წამლების ყუთს.

— ფერეული ლევან! — აქაც დაიძახა ვიკტორმა.

ტგუფმა თავი აიღო; მათში ერთი იყო მეტად დაღრეჯილი, თითქმის გამწყრალი და ასე წყრომით შემოსცქეროდა ვიკტორს. ეს იყო ლევან ფერეული.

— ელსმენზე გთხოვენ!

ხმა მაღლა სთქვა ვიკტორმა, ოდნავ გაიღიმა და ჯგუფისაკენ გაემართა.

ფერეულმა ჭირვეულად ისროლა.

— არ მცალია! — და მუშაობა გააგრძელა. ის ყუთზე სახურავს აჭედავდა.

— უგუნებოდ არის, მოუფრთხილდი!

— დაცინვით უთხრა ვიკტორს ერთმა ხნე მუშამ და მის დაცინვაში ფერეულისადმი ალერსი იგულისხმებოდა.

ყველამ იცოდა ლევანის უგუნებობა.

იცოდნენ, რომ ომის პირველ დღეებში, უნივერსიტეტის მოსწავლეებმა დაადგინეს სწავლა შეეწყვიტათ და ომში გასულიყვნენ. ამ დადგენილებას ყველა მხარს უჭერდა; აგრეთვე ლევანი ფერეული, სამკურნალო დარგის პირველი კურსის მოსწავლე. და აი, ლევანს ომში წასვლა უნდოდა, ის კი ავად იყო. გაკერპებული ახალგაზრდა ძალისძალა მუშაობდა, რომ იქნებ ავადმყოფობა დაეძლია. უთუოდ სადმე გაცივდა, სხეულში დამტვრეული იყო, ვერ სჭამდა და საღამოობით სიცხეს აძლევდა. მკურნალების რჩევით, ის ლოგიხში უნდა წოლილიყო და საოფლე მიეღო.

ფერეულს ამისი მოსმენაც არ ჰსურდა. მისი აზრით, შესაძლებელია, ასეთი წესით ავადმყოფობა გაარჯლებოდა და დიდხანს გაგრძელებულიყო, იქნებ ომის გათავებამდე (ომი უთუოდ ძალე გათავდებოდა!) და როგორ-ღა შეხვდებოდა ის ბრძოლა გადახდილ აძხანაგებს? ეს იქნებოდა დამარცხება, აგრეთვე სირცხვილი!

ლევანს ამისი წარმოდგენა სტანჯავდა; თან მორჩენის იმედიც ჰქონდა და, რადგან დღითი-დღე უარესად ხდებოდა, ის მოთმინებას ჰკარგავდა. იქამდე მივიდა, რომ „ომი გათავდებაო“ და ქართული ლაშქრის გამარჯვების ამბავიც აკრთობდა. ასეთი ფიქრი, თუმცა უნებური, თავის თავისადმი იწვევდა ცუდ გრძნობებს. თითქმის ზიზღს. ყოველ საღამოს, ის წვებოდა გადაწყვეტილებით რომ ხვალ, რაც უნდა მოხდეს, ომში გასულიყო.

ლევან ფერეული ასე წვალობდა.

თავდახრილი, უხმოდ მუშაობდა იგი. უწინ ხუმრობა უყვარდა; ახლა არა.

პატარა ბიჭი, რომელსაც იოსებ ჯავაშვილი ერქვა, ჰშველოდა მას. იოსები სოფლელი ბიჭი იყო. პირველად იგი ხშირად წითლდებოდა და ლევანმა უთხრა:

— იოსები ეკუთვნის დიდ კაცს, შენ კი, ძალიან პატარა ხარ, „ოსე“ გეყოფა, გესმის! ოსე!

იოსებ ჯავაშვილი დათანხმდა. გაიცინეს. დამეგობრდნენ. ხშირად ხუმრობდნენ.

ეხლა ოსე ლუსმნებს აწვდიდა, ლა-

მდენიმე დღეა მან შენიშნა: ხუმრობა არა სჭრის და სდუმდა. თუმცა რა იყო მისი ხუმრობა: ლევანი მუჯლუგუნს გაჰკრავდა, ამაზე ოსე გაგულისდებოდა:

— შენა, შენა, ქოჩორი რომ გადაგივარცხნია!... — მუშტებს შეჰკუმშავდა იგი; განრისხებული ოსე პაწია მაშალს ჰგავდა, რომელსაც ყივილის სურვილი დაებადა.

ლევანი იწყებდა სიცილს, შემდეგ ოსეც.

მუშაობაში ლევანს ქოჩორი თვალებზე ჩამოსცვენოდა. ვიკტორმა ქოჩორში ხელი ჩაავლო.

— ბალღო, ბიძა შენის სახლიდან გიხმობენ, წამო! ლევანი უხმოდ ადგა. გაჰყვა.

ლევანს თვალები, ცხვირის ნესტოები დასწითლებოდა, ხოლო როდესაც წამოდგა და თმების გადასაწყობად თავი გაიქნია, დაეტყო რომ თავის ტკივილი იგრძნო და უნებურად ხელი წაიღო, თავზე უნდა მოეკიდა, მაგრამ შეაჩერა და ტკივილი აიტანა. ვიკტორმა უთხრა:

— ბიჭო, რას იწვალებ თავს? დავწვებოდი ერთ-ორ დღეს და ეხლა კარგად ვიქნებოდი.

ვიკტორს ლევანისათვის მკლავში ხელი ჩაევლო და იღიმებოდა.

— ეგ შენ არ გეხება! — მკაცრად ჩაილაპარაკა ლევანმა. გაცივების გამო მას ხმა გაჰბოხებოდა. ეს ცოტათი სასაცილო იყო, აგრეთვე სასაცილო იყო მეგობრისადმი უხეში პასუხი, რაშიაც ჭაბუკური მოუთმენლობა სჩანდა.

ვიკტორს პასუხიც იამა, მაგრამ წესიერების აღსადგენად ლევანი უნდა დასჯილიყო და ვიკტორმა დაუწყო მკლავში ხელის მოჭერა; იცოდა ვერ ატკეხდა, ხელშიაც გრძნობდა ლევანის კუნთების სასიამოვნო სიმკვრივეს, თან მოგონილის გაჯავრებით სტუქსავდა:

— მაშ ვის ეხება შე რეგვენო ბალღო აჰ, მითხარი აჰ? ლევანი ხმას არ იღებდა, მხოლოდ ისმენდა ნელს, საამურ ხმას მეგობრისას, რომელიც ლამის კბილებს აღრჭიალებდა: მკლავი ვატკინოვო! ლევანი ცდილობდა ციენებოდა, რათა უხალისოდ გამოეჩინა თავი.

ლევანი იყო საამურად აგებული ახალგაზრდა კაცი; შუა ტანის, ფართე მხრიანი და თხელი. მას ზრდა ჯერ არ დაესრულებია. სიარულში სჩანდა ნავარჯიშევი და შეკრებილი სხეული. იგი დადიოდა ოდნავ ფეხებ შექცეული. ძეტად შავი თმა, უხვი წარბები და ისე, ვით ყველა ფერეულს, ოდნავ კეხიანი ცხვირი. ლაპარაკში დროგამოშვებით თვალები აენთებოდა, თითქოს ნაპერწკლებს ისროდნენ.

ღიმილი ჰქონდა ბავშვური და აგრეთვე ისეთი, რაიც წარმოადგენდა ოდნავ ჯიუტს, პირდაპირსა და სუფთა გულის კაცს.

VIII

სამდივნოში შესვლისას ლევანმა წარბები უფრო შეიკრა და დაღვრემილმა თავი დააქნია: ვისაც სურდა, შეეძლო მისალმებად მიეღო.

ისევ მრავლად იყვნენ სამდივნოში. ხმა დაბლა ლაპარაკობდნენ და იდგა ზუზუნი, რასაც დაუცხრომლად ჰკვეთდა საბეჭდ მანქანათა კაკუნი. თამბაქოს ეწეოდნენ. არეულიყო მელნისა და თამბაქოს სუნი.

ფერეულს ირგვლივ არ მიმოუხედია, მაგრამ უტყუარად იგრძნო, რომ იგი რამდენიმე ქალმა შენიშნა. ლევახს მახვილი თვალები ჰქონდა, რომელთაც არაფერი გამოეპარებოდათ, თუმცა დანახულს იგი ანგარიშს არ აძლევდა და თითქოს იცქირებოდა საგნებისა და მოვლენების გადაღმა.

— ალო, გისმენთ!

ლევან ფერეულმა მილი ხელთ აიღო და დაჯდა. იცოდა, ნინო იქნებოდა, ეს აუტანელი ბიძაშვილი, რომელიც ძუდამ მოუსვენარი იყო და სტყუოდა. ლევახს გადაწყვეტილი ჰქონდა ბიძაშვილთან უხეში ყოფილიყო.

— გისმენთ!

ელსმენში ლევანს ჯერ პატარა ძალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ყეფა მოესმა, რომელიც უთუოდ მეორე ოთახიდან მორბოდა. შემდეგ ახალგაზრდა ქალის სუფთა, ბავშვური სიცილი და, როდესაც ლევანი ძ'ხად იყო გასაჯავრებლად, ქალმა ლაპარაკი დაიწყო.

ლევანს მოესმოდა ქალწულებრივი ხმა, რომელიც მეტად ცვალებადი იყო; ხან ირონიული ხან სწორი, უეცრად დამცინავი. შემდეგ აცრემლებული.

— ლევან, როგორ ხარ?

— შენი საქმე არ არის!

— ბეჩა დედამ დამავალა.

— სტყუი!

— რა აუტანელი ხარ, ლევან! მამა მანდ არი?

—ნახვამდის! კერძო ლაპარაკი აკრძალულია!

— კარგი, მხოლოდ ამ საღამოს ჩვენსას შემოიარე, ანიკო იქნება.

ლევანმა საუბარი შესწყვიტა. ანიკო ბადრიძე, ვიზედაც ეხლა ლევანს თავისი ბიძაშვილი ესაუბრებოდა. იქვე მემანქანე ქალთან იჯდა. ის იყო ძოწყალების და" და სამკურნალო დარგის მოსწავლე; მას ქუდი სახეს უფარავდა. უჩნდა მხოლოდ სახის ქვედა ნაწილი, რომელიც ვარდის ფერად უღვიოდა. ეტყობოდა, ის ეხლახან შემოსულიყო. თავის მეგობარ მემანქანეს დაუცბრომლად რაღაცას მოუთხრობდა და მოუსვენრად ხელთათმანებს იხდიდა.

ლევანმა თვალი მოჰკრა, რომ ლაიკის თეთრ ხელთათმანებს ოდნავ ჭუჭყი დაჰკროდათ და კინალამ წამოსცდა: ხელთათმანებს სადალაქოებში რეცხავენ. კიდევ კარგი არაფერი სთქვა. ეს გამოვიდოდა უხეში ხუმრობა.

ლევანმა ქალებს უღიმილოდ სალამი მისცა და ჩაიარა.

ლევანი სამდივნოდან გადიოდა, როდესაც ვიღაცამ, ფანჯარასთან მდგომმა დაიძახა:

— გამგე მოვიდა!

ამავე დროს ლევანმა ყური მოჰკრა ნაცნობ მკურნალების საუბარს:

— ასეთმა ჯარმა რომ დაგვაძარცხოს — ამბობდა ერთი — დედა ცხვილი იქნება!

მკურნალები უთუოდ გუშინდელ შემთხვევაზე საუბრობდნენ, როდესაც შუა-დღისით გამზირზე სამასიოდე სამხედრო ტყვე ჩამოატარეს. ტყვეებს ირგვლივ გვარდიელები ერტყენ, რათა დაეცვათ, თუ ხალხი განრისხდებოდა.

ხალხით სავსე გამზირი შესდგა. შესცქეროდნენ ტყვეებს. ესენი იყვნენ ჭაბუკი რუსები, შიმშილისაგან გაძხდრები, სხვა და სხვა ნაირ, ძველ ტახსაცმელში გამოწყობილნი, რომელნიც ძლივს მიდიოდნენ.

ეს იყო უმწეო და შესაბრალისი სანახაობა; ამის გამო ხალხი მათ შეჰყურებდა მდუმარე და დაფიქრებული. ტყვეები კი, შიშ-ნარევ ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ გაძ'ზირს; ზოგი მათგანი სჭამდა თავის კერძს, ცოტაოდენ მოხარშულ სიმინდს, რაიც გააჩნდათ ტოპსიკებში. გუშინ ეს ლევანმაც ნახა და, რა თქმა უნდა, ძოსაუბრე მკურნალები მართალი იყვნენ.

ლევანმა ფანჯრიდან გამზირს გადახედა.

ღამდებოდა. ენთო ელექტრონი. მიმოდიოდა ხალხი და მათ მიმოქცევაზე ემჩნეოდა, რომ არ სცივოდა.

საწყობის შენობას ორმა ცხენოსანმა ჩამოუქროლა. დაწინაურებული, ახოვანი კაცი სჩანდა; ჯერ კიდევ გარბოდა ძისი ცხენი, როდესაც იგი მსუბუქად დაბლა დაეშვა, ხელის მტკიცე გაქნევით აღვირი მიჰყარა და საწყობისაკენ გაემართა.

ეს იყო ნიკო თელია, ლევანის ბიძა და საწყობის გამგე, რომელიც დილას წასულიყო და ეხლა ბრუნდებოდა. ბრძოლის ველიდან. მისი ცხენი შემდეგ დადგა და ოხშივარი ასდიოდა. ნიკო თელიას მხლებელს ორი ხრახნილი თოფი ეკიდა მხარზე.

ლევანმა თავისი ბიძის გამო სიამაყე იგრძნო და ერთსა და იმავე დროს იჭვმაც გაჰკრა, იქნებ ამ კაცის გამოა პატივს რომ მცემენო, თან ჰფიქრობდა: ვარგებული ცხენოსნობა გამბედაობაა;

პირველად უნდა გაჰბედო, შემდეგ გაძ-ბედაობასაც შეეჩვევი და ცხენოსნობა-საც.

სამდივნოში, გამგის მოსვლის გაძო, თითქო არაფერი შეცვლილა, მხოლოდ საუბრები დასცხრა და მანქანათა კაკუ-ნი ეხლა უფრო მკვეთრად გაისმოდა.

ლევანს ბიძის შეხვედრა არ უხდოდა და რათა საწყობში შეესწრო, სამდივ-ნოდან ჩქარი ნაბიჯით გავიდა. ის იყო ლევანმა დერეფანი გაჰლია, როდესაც დაბლა სართულიდან ამომავალი გაძოჩ-ნდა ნიკო თელია; მიუხედავად ხნოვა-ნებისა, ის კიბეებზე ჰხტოდა; ლევანი დაინახა, დაუძახა:

— შემოდი ჩემთან!

ლევანი მორჩილად შემობრუნდა.

გამგის მოსვლაზე დერეფანშიაც ამო-ძრავდნენ; ყველას გადაეცა ახლად მო-სულის რითმი, ჩქარი და მღელვარე.

თავის სამუშაო ოთახში ნიკომ ქუდი მოიხადა; ვაჟკაცური, შნოიანი სახე. ერთობ მოკლე, ჭაღარა ულვაშები, ბე-ლატი; შუბლზე ოფლი გამოსვლოდა. სახით იგი ჰგავდა თავის დას, მატას, სოლომონ ფერეულის მეუღლეს. მხო-ლოდ ნიკოს ბავშვობისას ცხვირი ჰქო-ნდა გატეხილი, როდესაც ათი წლის ბავშვი, გაჭენებულმა ცხენმა ზურგი-დან გადიგდო და შორს გასტყორცნა. ხნიერ კაცს ეს აჩნდა და გულადი კა-ცის იერს აძლევდა, თან ისეთის, რო-მელსაც ოდესღაც თავგადასავლები ჰქონია.

— გატყობ კიდევ ავად ხარ! — ეუბ-ნებოდა ნიკო ლევანს, თან მაგიდაზე ქაღალდებს სინჯავდა. ეტყობა, ის ხალ-ხის შემოსვლას ელოდა, რომ დისწულ-თან ლაპარაკს ჩქარობდა.

— დედა-შენისაგან წერილი მივიღე, ავად ყოფილა! უნდა წახვიდე! კოტესა-გან არაფერი მიგიღია? კარგი! გაძიგო-ნე, სანდრო დღეს დასჭრეს და ნახევა-რი საათია რაც სახლში გავგზავნე. სა-ში'ში არაფერია, დაჭრილია ფეხში. იხა-ხულე. ღამით ჩვენსას დარჩები... — ლევანი გაოცდა. სანდრო მისი ბიძა-შვილი იყო, ნიკოს ვაჟი. ... ვარება არ ემჩნეოდა.

კარებზე დაუკაკუნეს და შემოვიდნენ მკურნალები, მათ გაეგოთ ნიკოს ვაჟის დაჭრა.

— ხომ გახსოვს რაც გითხარი! — დაუძახა ნიკომ მიმავალ ლევანს და ახ-ლად შემოსულებს ორივე ხელი გაუ-წოდა.

IX

საღამოს, საათის ექვსზე ლევან ფე-რეული საწყობიდან გამოვიდა. რა კა-რგი იქნებოდა, ის რომ ჯანმრთელად ყოფილიყო. გაივლიდა სასახლის მხრივ, ხეივანში დაფენილ ფილაქანზე. ხეივანი ჩუმად იყო, ისე როგორც მთელი ქა-ლაქი. არ ისმოდა ზარბაზნების გრიალი (საღამოობით იგი მუდამ სწყდებოდა) და ხალხი მიმოდიოდა სიხარულით აღ-ვსილი იმის გამო, რომ დღეს ომის ტკი-ვილების ატანაში სულგრძელობა გაძო-იჩინა და რომ განსაცდელი განვლილია. ასეთი გრძნობა ჰბადებდა პატივისცემას თავისადმი.

ასეთ გრძნობებში ერი ჰპოულობდა თავის სახეს, აგრეთვე თავის სიდიადეს. ერი იზრდებოდა.

თბილოდა.

სასახლის ყველა ფანჯარა განათებუ-ლი იყო. აქ თავსდებოდა დამფუძნებე-ლი კრება, რომელსაც ამჟამად საგან-გებო სხდომები ჰქონდა.

მოქალაქენი ბრძოლის ამბების მოლო-დინში, სასახლის წინ, პაწია მოედანზე გროვდებოდნენ და როდესაც ახალი არაფერი იყო, გამოდიოდა სასახლიდან რომელიმე ძველი გვარდიელი და თა-ვაზიანად აცხადებდა:

— მოქალაქენო, გთხოვთ დაიშალოთ!

ლევანი ხეივნის ჩრდილში იდგა და პაპიროზს უნდილად ეწეოდა. ვერ გა-დაეწყვიტა: სახლში წასულიყო თუ და-ჭრილი ბიძაშვილი ენახა.

უეცრად, სასახლის წინ მდგომ ხალხ-ში ჩოჩქოლი შეიქმნა. ხალხი სადღაც გაეშურა და ლევანმა მიიხედა, კიდეც

ატყდა ტაშის ცემა. ეს იყო შეჯგუფული ხალხი, რომელსაც ყოველმხრივ ახალი ემატებოდა და რომელთა შორისაც ცხენოსანი ჯარისკაცი მოდიოდა.

— გამარჯვება, გამარჯვება! ხმა მაღლა იძახდა ცხენოსანი და ჰაერში ხიშტიან თოფს არყევდა, რაზედაც რუსული, ძაბრიანი ქუდი წამოეგო.

სასახლის წინ ცხენოსანი სასწრაფოდ ჩამოხტა. იგი სასახლეში შეიყვანეს.

წუთსაც არ გაევლო, მოედანი რომ ხალხით აივსო. ამავე დროს, სასახლის სართულზე აივნის კარი გაიღო და ხალხს წარმოუდგა ორი კაცი. ერთი მათგანი იყო მაღალი, მოღიმარი, თეთრ წვერ-ულვაშიანი.

როდესაც დაბლა მის გამოჩენაზე ზოგიერთებმა ტაშის დაკვრა სცადეს, მან ხელი გაიქნია. ეს იყო მთავრობის თავმჯდომარე. ხალხი მას სულგანაბული უსმენდა.

იგი ლაპარაკობდა გამარჯვებაზე მხიარულად, როგორც სჩვევიათ ოჯახში უფროს წევრებს; კიდეც იცინოდა, ოდნავ ენაც ებმოდა. მან ასე დაასრულა:

— ტფილისი გახდება მეორე ვერდენი და მტერი აქ იპოვის თავის დასასრულს!

ხალხმა დაიძახა: — ვაშა! გაუძარჯოს! დიდ ხანს გაგრძელდა ტაში და მთავრობის თავმჯდომარემ ხელები გაშალა და ისეთივე ოხუნჯური კილოთი, როგორც ლაპარაკობდა, ხალხს დაუცაცხანა:

— წადით ეხლა სახლში, წადით!

ხალხი იშლებოდა.

მტერი გადარეკილი იყო და არ იყო ცოდვა ხუმრობა; ერთი ხნე გვარდიელი ეუბნებოდა მეორეს:

— გითხარ, თუ არა, ძიაშვილო, აძ თოფს სახნისად გადავაკეთებ და მითი პურს მოვიწევ!

ამრიგად, მტრის დამარცხება მგონი აშკარა იყო. ამან იმოქმედა, თუ ხალხის სიხარული გადაეცა, ლევანმა მოულოდნელი სიმხნევე იგრძნო. ის უკვე ბიძის სახლის მიმართულებით მიდიოდა, როდესაც თავის თავს დაეთანხმა, რომ ამას კარგს შვრებოდა: ბიძაშვილს ინახულებდა და დაბრუნდებოდა ხლში. მიუხედავად სიმხნევისა, ლევანს თავი ისევ სტკიოდა. აძაში დარწმუნდა, როდესაც გასასინჯად თავი გააქნია. ამის აღმოჩენას ყველაფერი სჯობდა. მან დაიწყო ფიქრი დედაზე, რომელიც ავად ყოფილა. დედის ავადმყოფობას იგი არ აძლევდა მნიშვნელობას, მხოლოდ აბრაზებდა, რომ სახლში იბარებდნენ, წერილი კი არ მოუწერიათ. შემდეგ მოიგონა კოტე, აგრეთვე ანიკო. ანიკო უთუოდ ნინოსთან იქნებოდა და, საზოგადოდ, ძია ნიკოს სახლი ძალიან შორს იყო; ეს იმას ნიშნავდა, რომ ფიქრი კვლავ ავადმყოფობას უბრუნდებოდა; ეს კი არ ვარგოდა.

X

სანდრო თელიას, ჭაბუკ იუნკერს, ჭრილობა მიეღო მარჯვენა ბარკლის არეში. ტყვია გასულიყო.

როდესაც ეკითხებოდნენ, ღიმილით ამბობდა:

— რა მიშავს, ბატონო!

იგი ტკივილებს არ გრძნობდა; მხოლოდ სისხლის დაკარგვის გამო, დასუსტებული იყო. როგორც მისი სიტყვებიდან სჩანდა, ჭრილობა გვიან შეენიშნა წაღებში სისველე ეგრძნო. ეს მომხდარიყო შეტევის დროს, როდესაც შემდრკალი მტერი უკვე გარბოდა.

სანდროს მაზარის კალთა შემოეხია და ჭრილობის შეხვევა მოენდომებია. ამის მოგონება სანდროს ეხლა სცხვენოდა, რადგან, მისი აზრით, ასეთი საქციელი ბავშვურსა ჰგავდა:

— „ამა, წარმოიდგინე — ჰფიქრობდა იგი — შუა საქმეში ველზე დგეხარ და იხვევ; არა, ეს იყო გულუბრყვილო და საძაგელი გმირობა, ღირსი დაცინვისა! მეორეს მხრივ ძახილი: დაჭრილი ვარ, მიშველეთო!“

სანდროს ასეთმა საყვედურმა დედა მისი გააოცა:

— მაშ, რა უნდა გექნა, შვილო? — იკითხა დედამ.

სანდრომ ეგ არ იცოდა.

შემდეგ, როდესაც ველიდან გაეყვანათ და შარვალი და ყელიანი წაღები გაეჭრათ, სანდროს სისხლის დანახვაზე კინაღამ გული წასვლოდა. ესეც ლაჩრობა იყო. ამას ამხანაგები უთუოდ გაიგებდნენ; განა დაემალებოდათ რაჭე იმ ცუღლუტებს? და დასცინებდნეხ. ასეთი ნაღველი მორეოდა სანდროს მაშინ, როდესაც მისი ველის ამხანაგები, მის საქციელს სანიმუშოდ სთვლიდნეხ:

— სანდრო თელიამ მთელი შეტევა დაჭრილმა გადიხადაო!

ის იყო სანდროს წითელი ჯვრის კარავში ჭრილობა შეუხვიეს, რომ მამა მისიც გამოჩნდა.

სანდრომ არ იცოდა, თუ მამა ველზე იყო, არც ის, თუ შეტევაში მამამაც მონაწილეობა მიიღო.

მამა, ნიკო თელია, მოდიოდა საველე სამკურნალო წერტის უფროსი მკურნალის თანხლებით. მამა იყო აგზნებული და, ემჩნევა, კმაყოფილი თავისი თავის. მას გონებაში ვერ აღედგინა, თუმცა არც იყო საჭირო ამისი აღდგენა, თუ როგორ მოექცა სანგრებში ჭაბუკებს შორის. თვითონ მამა და მისი მხლებელი თევდორე იყვნენ ხნიერები.

როდესაც ბიჭებმა „ვაშა“ დასძახეს, მკვდარიც კი სანგრებიდან ამოვიდოდა. ნიკო თელიამ ბებერ ნადირივით იღძუვლა, როგორც იცოდა ბავშვობისას, უბელო ცხენს რომ მოედებოდა; იგი თოფს ხელს უჭერდა და გამხეცებული თვალებით დაეძებდა, ვისაც ხიშტით უნდა დასწეოდა:

— სისხლი მომეცი, ან ჩემი წაიღე!

ასე იქცეოდნენ ადამიანები უხსოვარ დროიდან.

ომ გადახდილი ნიკო თელია, თითქმის ყვირილით ლაპარაკობდა:

— როგორა ხარ, ჩემო ბიჭო! — ხმა მაღლა ჰკითხა მამამ შვილს და თახ ისეთი რამ დაურთო, რაც მამისაგან სანდროს არასოდეს არ გაუგონია. მამამ სთქვა:

— დაგჭრეს მაგ მამაძაღლებმა!

ასეთ ლანძღვაზე სანდრო [illegible] ვა და ეს სახეზე შეეტყო.

— არაფერია, არაფერი! — სთქვა მამამ და მკურნალის თანხლებითვე გაშორდა შვილს; მხოლოდ შვილმა ვერ გაიგო: ეს „არაფერია“ მტრისადმი მუქარა იყო, შვილის გასამხნევებლად ითქვა, თუ ბოდიშს წარმოადგენდა იმისა, რომ სალანძღავი სიტყვა შვილთან წამოსცდა.

როგორ არა, ამხანაგებში სანდროსაც ბევრჯერ შეუგინია. ამბობენ, ველზე ყოფნისას ქართველი მეფეებიც იგინებოდნენო...

როდესაც მამა შვილს ჰშორდებოდა, მამამ ბალახზე შედედებულ სისხლს მოჰკრა თვალი. ეს სანდროსი იყო და სანდრომ შენიშნა, თუ როგორ შეყოყმანდა მამამისი და სანამ თვალებზე ქუთუთოებს ჩამოუშვებდა, კინაღამ დაბრუნდა:

— ყოჩაღ მამა! — შვილისათვის ხიკოს ხელი არ მოუკიდია, სხვა დაჭრილებს მეტის მზრუნველობით ეკიდებოდა. მამის ასეთმა საქციელმა შვილი აღტაცებაში მოიყვანა.

ურთ-ერთისადმი სიყვარულის ძალით, მამა და შვილს ერთი მეორე ესმოდათ.

———

ყოველივე ამისი მოგონება სანდროს აღელვებდა.

ის ცალკე ოთახში დაეტოვებიათ, რათა არ ელაპარაკა და არც მოსმენით დაღლილიყო. ესეც მამის მოსვლამდე დაუთმეს, თორემ უნდა დაეწვინათ.

სანდროს ოთახი უბრალოდ იყო ძორთული. კედელზე ნახშირით შესრულებული რამოდენიმე ხედი ეკიდა.

ღია კარებში სანდრო ჰხედავდა ძეორე ოთახს: ეს იყო სასტუმრო დარბაზი, სადაც კედლების ჩუქურთმები შესრულებული იყო ზეთის ფერადებით მუქ ყავის ფერად. დანარჩენი ოთახებიც ზეთის ფერადებით იყო ნაწერი. სანდროს პირდაპირ, დარბაზის სიღრმეში, იდგა დახურული შავი როიალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც ისე ელვარებდა, თითქოს ელექტრონის კანდელიც შიგ ენთო და იქვე იდგა პალმა. სანდროს საყვარელი საფერფლე. დარბაზი ნივთებით დატვირთული არ სჩანდა.

დარბაზში დედისა და დის გარდა თავი მოეყარათ სტუმრებს, რომელნიც ხმა დაბლა საუბრობდნენ და საქმობდნენ.

ქალბატონი სალომე, ნიკო თელიას მეუღლე, დაჭრილთათვის საცვლებს ჰკერავდა. მას შველოდა თავისი 18 წლის ქალი ნინო, აგრეთვე მოდიოდხენ მეზობლები. ამათ გარდა, აქ იყვნენ მამაკაცები და მათ შორის ჩვენი ნაცხობი ვიკტორ რაზმაძე.

მამაკაცები ომზე საუბრობდნენ.

სალომეს საუბარი ესმოდა, როდესაც საჭირო იყო, ის, როგორც დიასახლისი, თავაზიანად იღიმებოდა, დროგამო'შვებით საუბარსაც ოდნავ შველოდა, მაგრამ გულითა და გრძნობით ფიქრებში იყო გართული.

სალომეს ემჩნეოდა, რომ ცხოვრების მკაცრი მღელვარებანი მას არ შეხებოდნენ და შერჩეხოდა მშვენიერება ქერა მანდილოსნისა, რის გამო გაზრდილ შვილებში ის მოსჩანდა ვით უფროსი და".

სალომე სწრაფად ატრიალებდა საკერავ მანქანას; ხშირად საკერავიდან ლამბს ამოიღებდა და ოდნავ შეთეთრებულ, ქერა თმაზე გადაიდებდა. სალომე შეჩვეოდა აზრს, რომ შვილი დაეკარგა; დარწმუნებულიც იყო, რომ ჭრილობა საშიში არ არის. მაგრამ ხან გამო'შვებით ის მაინც მიდიოდა სანდროსთან, რათა სიცხის გასასინჯად შუბლზე ხელი დაედო.

სანდროს ეს არ უხაროდა, დამხა'შავესავით იღიმებოდა. საყვედური რომ ეთქვა, ნინო იმუქრებოდა: ჩუმად იყავ, თორემ მამას დაურეკავ! მამა სხდომაზე იყო და შვილის ამბავს ელსმენით ტყობილობდა.

მიუხედავად საუბრისა, მამაკაცები სალომეს დარბაზში უხერხულობას გრძნობდნენ. ქალებს ისინი ვერ მიეჩვეოლებოდნენ, მხოლოდ უნდა ეცინოთ.

უდარდელად იყო მარტოოდენ ვიკტორ რაზმაძე. მას დალევა მოესწრო და მხიარულმა, რამდენჯერაც მიე'შველა ნინოს (ნინოსთან იჯდა და იატაკიდან ნაჭრები აჰკრიფა), მუდამ ფუჭად.

ნინოს ფეხთან, იატაკზე დაყრილ „ფლანელის" ნაჭრებში გამოხვეულიყო შავი ძაღლი: პაწია და მძინარე. მას ერქვა „ოსმან" და ეკუთვნოდა ნინოს.

ომზე საუბრობდნენ:

— მე ეს ვიცი — ამბობდა შუა ხნის კაცი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ბატონი კოტე, — რომ მთავარსარდალ'მა ჩვენი ისტორიის კარგი დღეები გაგვითენა:

— და ნუ დაგავიწყდებათ რომ მცირეოდენი რესურსით!

— აბა, აბა! მე მითხრეს ჯარები კამიონებით გადასხაო. მგონი საფრანგეთში ჰქნეს ასე.

ვიკტორის აზრით, მთავარსარდალი, მართალია, დიდი მხედარი იყო და იგი იწვევდა აღფრთოვანებას, მაგრამ ვიკტორს არ მოსწონდა საუბრის კილო, მსუბუქი და უდარდელი, თითქოს ომი მოგებული ყოფილიყო და საშიშროება გავლილი. გარდა ამისა, მისი აზრით, ასეთი დასკვნებისათვის საჭირო იყო საქმის ოსტატი და არ კმაროდა ლექსთა აგებულობის ცოდნა, არც ცოდნა იმისი, თუ როგორ იწერება რომანი. ყოველივე ეს, ვიკტორმა დაბნეულად და უნდილად გამოაცხადა და რადგან ამითი, თავის მეგობარ კრიტიკოსს წვდებოდა, მან (კრიტიკოსმა) ურჩია: იატაკიდან ნაჭრები აეკრიფა, ეს იქნებოდა უმჯობესი.

— გაიცინეს, ვიკტორმაც. ნინომ საუბარი გააგრძელა:

— მით უმეტეს — სთქვა ნინომ — მარინეტის აზრით ომი ხელოვნებაა. — ეს „მარინეტი" ბ-ნ კოტესათვის ამ წუთში საშინელება იყო. ვიკტორმა ნიშნის მოგებით გაიცინა.

— ხომ დაგწვათ თქვენმა შეგირდმა!

— წმინდა უბრალოება — სთქვა კოტემ.

ნინომ ეს გაიგონა, მხოლოდ ვერ ძიხვდა.

საუბარი პოეზიაზე და პოეზიის საშუალებით, ხშირი იყო მაშინ ტფილისში. ქუჩებშიაც იკრიბებოდნენ, უძეტესად ახალგაზრდობა და დაუსრულებელ კამათში, ისმოდა ქართულ ყურისათვის უჩვეულო სახელები: ფუტურიზმი, სიმბოლიზმი, მარინეტი, მალარმე და სხვ.

— დახე, დედა, ლევანი არ მოსულა! — ესეც ნინომ წამოიძახა. დიასახლისმა ისე ვით სტუმრებმა სანდროს ოთახისაკენ გაიხედეს. ლევანი სანდროს თავს დასდგომოდა და წარბ-შეკრული რაღაცას ლაპარაკობდა. ის შინაურულად უკანა კარებიდან შემოსულიყო, უთუოდ ერთი წუთით და პალტოც ეცვა და ქუდიც ხელთ ეჭირა. როდესაც შენიშნა რომ ის დაინახეს, ლევანმა პალტო გაიძრო, სკამზე დაადგო, ქუდიც გასტყორცნა, თან სანდროს ბოდიში სთხოვა და სასტუმროსაკენ გაემართა.

მას ბალახის ფერი საზამთრო ხალათი ეცვა.

სტუმრები ლევანს შეჰყურებდნენ, თუმცა საუბარი არ შეწყვეტილა და, როდესაც ლევანი სალომეს ესაუბრებოდა, სასტუმროს სიღრმეში გამოჩნდა ძიძა მაკა. ძიძა, თელიათა ბავშვების აღმზრდელი, სტუმრებს მდაბლად ესალმებოდა. ძიძამ ლევანი ღიმილით ძოიკითხა და დიასახლისს მოახსენა, რომ ყოველივე მზად არის. დიასახლისი წამოდგა.

— წამო, შვილო, აქ ვისაუბროთ! — მოიწვია სალომემ ლევანი და ‘ძეძდეგ სტუმრები მიიპატიჟა. სტუმრები წამოდგნენ.

— მაპატიე, ბიცოლა, ვერ დავრჩები! — ამბობდა ლევანი. მას შეენიშნა რომ სტუმრებში ანიკო არ ერია. ეს არ ეამა.

სასადილო ოთახის შუა გულში, დიდი მაგიდა ჩაისთვის მოერთოთ. სასადილოში, ყველაფერი, [illegible] კედლები, ისე მაგიდის [illegible] ჩაის ჭურჭლეულობა, იყო თეთრი, ძხოლოდ ლიბრედი, არა ბრჭყვიალა. აქ არ იყო არაფერი დაფერილი, ამიტომ ყოველი საგანი სჩანდა ვით ბუნებრივი. ქალბატონი სალომე თავის სასადილოში ვერ იტანდა ელვარებას.

ახალგაზრდა მსახურ ქალს, დიდი სინით შემოჰქონდა ჩაი.

სტუმრები დასხდნენ. ისინი გართულიყვნენ შემთხვევით საუბრით, რომელიც დახემსების წინ, ჩვეულებაა კაცთა და რომელიც მოულოდნელად სწყდება ან მეორე წუთში არ ახსოვთ.

— აი, ყვავილები! სთქვა ვიკტორძა.

სანოვაგის კარადაზე, ერთობ უბრალო თიხის სუროში, ეწყო ფერადი, ზამთრის ყვავილები. ყველა ჰხედავდა. ყვავილებს სუნი არ სდიოდათ და ეს იყო უჩვეულო მოვლენა, თითქოს ყოფილიყვნენ სხვა ქვეყნის მცენარეები.

ვიკტორს მურაბები მიაწოდეს და აღმოჩნდა, რომ მურაბებს ყველას პატივს სცემდა.

— მხოლოდ, (იგი ყვავილებზე ლაპარაკობდა) გონება ვერ ურიგდება, რომ ესენი არიან არა თუ ყვავილები, არამედ მცენარეებიც კი. ესენი თავისადმი აღძრავენ სიბრალულს და რომ ეს სიბრალული არა, მე ვიტყოდი, რომ ესენი არ არიან ყვავილები.

— მაშ რა? — ჰკითხეს ვიკტორს.

ვიკტორი ლაპარაკობდა ხუმრობითი მღელვარებით:

— ესენი, ვთქვათ, არიან მონები ათას ერთი ღამიდან, რომელნიც მტერს მოუნუსხავს, ყვავილებად უქცევია და ჩვენს დასაზვერავად მოუჩენია!

— რამხელა ბრალდებაა!

— საბრალო ყვავილები! — იცინეს.

— საოცარია — სთქვა ნინომ — არც მამას უყვარს ზამთრის ყვავილები.

საუბარში კოტეც ჩაერია:

— ეს მიტომ, რომ ჩვენს კაცს რეალობის გრძნობა და პატივისცემა აქვს.

დიასახლისმა ღიმილით ისაყვედურა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემს მდგომარეობას არავინ ჰკითხულობს.

სიცილით ბოდიში სთხოვეს.

იცინოდნენ, როდესაც ფეხის ხმა მოისმა; ოსმანმაც ყეფა ასტეხა და სასადილოში ნიკო თელია შემოვიდა. ნიკო იყო უღიმილო, მზრუნველობით დატვირთული. იქ მყოფთ მიესალმა და ჩაი ითხოვა.

სალომემ ქმარს ისეთი გამომეტყველებით შეჰხედა, რომელსაც ხახგრძლივი ოჯახური ცხოვრება ჰქმნის და რომელშიაც მოქცეულია ორივე ძმრისათვის გასაგები საუბარი. აღმოჩნდა, რომ საყურადღებო ურთ-ერთისათვის არაფერი ჰქონდათ.

ნიკო დაღლილი იყო. მის მოსვლაზე წუთით სიწყნარე ჩამოვარდა და მოისმა კედლის საათის ხმა.

გამოიცვალა საუბრის კილო.

ნიკოს ჰქონდა ბოხი ხმა, დარბაისელი, დამაჯერებელი:

— კიდევ ერთი ასეთი შეტევა და მტერი გატყდება — ამბობდა ნიკო. ერთი ჭიქა ჩაიც არ ჰქონდა მას დალეული, რომ მსახურმა ელსმენზე მიიწვია.

ნიკო ადგა. უთუოდ ისევ სხდომაა. დიახ!

ელსმენი საუბარს მორჩა, სახლს მანქანა მოადგა და ნიკო წავიდა. როდესაც იგი მეუღლეს უბარებდა, რომ შეიწროება სანდროსი (დაწვენა, კითხვისა და ლაპარაკის აკრძალვა) საჭირო არ იყო, რადგან ჭრილობა მშვენივრად ვითარდებოდა, სალომეს თვალებზე ცრემლი მოადგა და ნიკომ გაიღიმა;

ნიკოს ღიმილი იყო ოჯახური ბედნიერებისა ისე, ვით ოჯახური ბედნიერებისა იყო ცრემლები თვისი მანდილოსნის. სალომეს სტუმრები წასასვლელად ემზადებოდნენ.

XI

ადრე ბრუნდებოდა ლევანი სახლში. ღამის 8. ის გრძნობდა უკეთ იყო და უნდოდა კიდევ ერთი ღამე შეეწირა ამ „საძაგელ“ ბრძოლისათვის. კიდევ ერთჯერ ადრე დაწოლილიყო, რათა ხვალ თავი ეხილა ჯანმრთელად და მხნედ.

ტფილისის მთავარი ქუჩა, [illegible]ული და მღელვარე. ისევ ხალხით სავსე იყო. ჯგუფ-ჯგუფად მიმოდიოდნენ შეიარაღებულნი. ისმოდა ტრამვაების ზარი, ავტოთა საყვირი და შორს, მოხვეულში ტრამვაის ბორბლების ღმუილი.

ყოველივე ამას ლევანი ჰხედავდა; ლევანს ყოველივე ესმოდა, ზოგიერთ რაიმეს კიდეც აღნიშნავდა მისი გონება, მაგრამ უმთავრესად მას ართობდა დღევანდელ შთაბეჭდილებათა წარმოდგენები, რაიც უნებურად წარმოიშვებოდნენ და აღძრავდნენ ყოველხაირ გრძნობებს, ხან და ხან მეტად მწვავეს; ეს იყო აგრეთვე ცხოვრება, რასაც ეწოდება ფიქრი. ამრიგად, ლევანი თავისას ჰფიქრობდა:

„ბავშვობისას, რამდენჯერ უნატრია დაბადებულიყო უწინ, როდესაც ერს ბრძოლის დრო ჰქონია. ეხლაა ის დრო“.

„სანდრო თელია მეტად თავაზიანია. მან ლევანი შეიბრალა, არა თუ ბრძოლის თავგადასავალი არ მოუთხრო, დარცხვენითაც გამოიყურებოდა. ამის გამო, ლევანმა ხელი მაგრად ჩამოართვა“.

„როდესაც სტუმრები ჩაის დასალევად გაიკრიფნენ და ლევანი სანდროს ემშვიდობებოდა, ოთახში ვიკტორი შემოვიდა. მან ჯერ მიმოიხედა, უცხო ხომ არავინ არისო, და ჩვეულებრივ ლევახს მკლავი დაუჭირა:

— კაცო, მე იონა თავაძე ვნახე, შენ ხომ არ გინახავს?

ლევანმა წარბები შეიკრა.

— თავაძე? — იკითხა მან. შემდეგ დაუმატა: არ მინახავს.

იონა თავაძე, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე, 30 წლის კაცი იქნებოდა. ომის დაწყების წინა ხანებში იგი, როგორც ბოლშევიკი, საქართველოს საზღვრებიდან განდევნილ იქნა. თელიები მას იცნობდნენ. რამდენიმე ხანი ის იმალებოდა და გადასახლების წინა დღეები ლევან ფერეულის ოთახში გაატარა.

— შენ წარმოიდგინე, ქუდი ისე ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოეფხატა. თუმცა ღამე იყო, სახე არ უჩანდა...

ეს საუბარი ლევანისათვის მაშინ სასიამოვნო არ იყო; ეხლა ამისი მოგონებაც არ სურდა".

„ანიკო ამაყი ყოფილა. დღეს იგი თელიებისას უნდა მოსულიყო და არ მოსულა. ეს აღძრავდა ცნობისმოყვარეობას, აგრეთვე პატივისცემას".

ბავშვობისას ლევანმა დაინახა შველი.

ეხლაც ახსოვს: შველი იყო ისეთი ლამაზი, რომ ლევანს კინაღამ სული შეეხუთა. მან იყვირა და შველისაკენ ხელი გაიშვირა. შველი იყო ლამაზი თავისი ფეხებით, რომელნიც იზხიქებოდნენ, ქალწულებრივი, უბიწო თვალებით, წელით, ყბებით, შავი და სველი ნესტოებით და ის დადიოდა მსუბუქად, რადგან ლამაზი იყო, აგრეთვე იმიტომ რომ არ იცოდა, თუ რაოდენ ლამაზი იყო".

„ადამიანის სული ისეთია, რომ აღიძვრის სილამაზის დაუფლებისათვის და ლევანმა, მაშინ პატარა ბავშვმა, ხელი გაიშვირა.

ანიკო შველს ჰგავდა.

საოცარია, ამრიგად დღეს პირველად ჰფიქრობდა ლევანი ანიკოზე, რომელსაც მთელი წელია ბიძისას ჰხედავდა. უფრო საოცარი ის იყო, რომ ასეთი ფიქრი მას ჰგვრიდა უჩვეულო და სასიამოვნო მღელვარებას.

უთუოდ, კიდევ ცოტაოდენი რამ შემთხვევა იყო საჭირო იმისათვის, რომ ახალგაზრდა კაცს გული გაეღო გრძნობათათვის, რომელნიც დამორჩილებას მოითხოვდნენ.

ლევანს გამზირი შეუმჩნევლად გაელია და შეუმჩნევლადვე მამა-დავითის აღმართს შესდგომოდა.

XII

ლევანის ოთახი არასოდეს არ იკეტებოდა. ამხანაგები იქ თავისუფლად შედიოდნენ: ზშირად, განსაკუთრებით სიმთვრალის დროს, ღამესაც ათევდნენ.

წიგნებით დატვირთულ მაგიდაზე, ლევანმა შენიშნა და იქვე სკამზე მხედრული ჩახთა, ჩანთა ეკუთვნოდა ახალგაზრდა პროვინციელ ინჟინერს, კოლია ქარებაძეს, რომელიც ველზე გასულიყო, როგორც მესანგრე ოფიცერი. კოლია სტოვებდა ჩანთას და ამისათვის ითხოვდა ბოდიშს. გარდა ამისა კიდევ ორი წერილი: ერთი სახლიდან და ლევანმა უსწორმასწორო ანბანზე (მანანას ხელი იცნო, ხოლო მეორე კოტესაგან.

კოტე მუდამ საქმიანი და სხარტი იყო: მათი ათასეული ველზე გადიოდა. ბრძანება ამ წუთში მიეღოთ, და ლევანს ავალებდა მშობლებისათვის მიეხედა.

მანანას წერილს თითქმის ერთი კვირა დაჰგვიანებოდა. წერილი იყო გრძელი. ბავშვი იტყობინებოდა, რომ დედა ძალიან, ძალიან ავათაა, ხომ ხედავს ლევანი, დედამ წერილის დაწერაც კი ვერ შესძლო! და სთხოვს საჩქაროდ და აუცილებლად ჩამოვიდეს.

ამის შემდეგ და" ასწერდა სანაპირო ქალაქის ამბებს და ჯარის გამგზავრებას. მანანა ახსენებდა აგრეთვე რაღაც ხელთათმანს, რომელიც მას უთავაზეს, თუ მან უთავაზა ვილაცას, ეს გაუგებარი იყო, რადგან ხელთათმანთან დაკავშირებით ონისიმე იყო ნახსენები, რომელსაც უზარმაზარი ხელები ჰქონდა და მანანას პაწია ხელთათმანები მას რაში უნდა გამოსდგომოდა?

ერთი სიტყვით, მანანა, ცდილობდა ძმისათვის წარმოედგინა ამხედრებული მშობლიური ქალაქი. ლევანი იღიმოდა. იგი არ აძლევდა მნიშვნელობას დედის ავადმყოფობას, თუმცა ეს ცხობა მას ბუნდოვნად სტანჯავდა.

„მაშ ეხლა დაწოლა!"

ლევანი უთუოდ კარგად იყო, თავიც ნაკლებ სტკიოდა, მხოლოდ ამისი ხმა მაღლა გაფიქრებაც არ ვარგოდა, რათა ავადმყოფობა არ შემობრუნებულიყო.

ლევანმა საჩქაროდ ტანთ გაიხადა, ლოგინში ჩაწვა, ელექტრონი ჩააქრო. მეზობელ ბინიდან, სადაც მისი მასპინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლები სცხოვრობდნენ, ხმა არ ისმოდა.

საღამოობით ლევანი მათთან ვახშობდა, მაგრამ ეს უდრიდა ნახევარი საათის განმავლობაში ისეთ რამეების ლაპარაკსა და ისეთ რამეების მოსმენას, რაც ყველასათვის მეტის მეტად ცნობილია და რაიც ლევანს ვერ აეტანა.

სჯობდა მშიერი დაწოლა. ლევახს ხელათვე ჩაეძინა.

შუაღამის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ლევანის სახლის ალაყაფზე ვიღაც კაცი გადაძვრა, კედლების მიფარებით ხვეულ კიბეზე ავიდა, აივანი გაჭლია და ლევანის ოთახში მოექცა. ის მოძრაობდა სწრაფად და უხმაუროდ, რადგან მეეზოვის ეშინოდა. ოთახში, თვალებზე ჩამოფხატული ქუდი უცნობმა აიწია და ელექტრონი აანთო.

ლევანი პირაღმა იწვა. ელექტრონის შუქმა ის შეაწუხა და მან თვალები გაახილა. ლევანი თავის წინაშე ჰხედავდა გამხდარსა და გაუპარსავ კაცს, რომელიც უღიმილოდ იდგა; არც ირხეოდა, არც ლაპარაკობდა; ეს კაცი, სახით იოხა თავაძეს ჰგავდა, გადასახლებულ ბოლშევიკს, რომელიც ლევანმა ამას წინად რამდენიმე დღით შეიფარა, მაგრამ ეს იყო უთუოდ სიზმარი, შედეგი ვიკტორ რაზმაძის საუბრისა.

— რა მოგვიდა, ბიჭო, იონა ვარ! შემკრთალის ხმით, სთქვა ახლად ძოსულმა, მივიდა და ლოგინზე ჩამოჯდა, ქუდი მოიხადა.

— სხვა გზა მე არა მაქვს, კიდევ ერთი ღამე უნდა გავათიო შენსას, ამბობდა იგი თავდახრილი, გაწამებული ხმით.

ლევანი წამოიწია ისევე ჩუმად, როგორც თავაძე ლაპარაკობდა, მხოლოდ მკაცრად, მან სთქვა:

— თავაძე, შენ შეცდი ჩემთან რომ მოდი, წადი!

იონა თავაძე სწრაფად წამოდგა:

— ლევან, მხოლოდ ერთი ღამე! ითხოვა მან, ხელი ასწია, თითქოს თხოვნის დასამტკიცებლად და შესცქეროდა მწოლარე ახალგაზრდას, წასასვლელად გამზადებული.

— არც ერთი წუთი! ლევანმა ხელი ნი გადაიგდო, გაბრაზებული ქშინავდა და უჩანდა მკერდი.

— ამ ომში შენც გიდევს ბრალი! წადი!

ლევანის განრისხებას იონა თავაძე არ აუღელვებია; ეს იყო ერთი იმათთაგანი, რომლის სინდისსა, საქციელსა და სურვილს შორის თანხმობა არსებობს. მან ქუდი თვალებამდე ჩამოიფხატა და ოთახიდან გასვლისას ელექტრონი ჩააქრო.

ლევანი თვალებ გახელილი დარჩა ბნელში. მოდიოდნენ ფიქრები ტკივილთა და იქვთა აღმძვრელნი, რომელთაც თან ახლდათ სიტკბოება ჭაბუკ სხეულისა და გონების, სადაც ყოველივე ეს წარმოიშობოდა:

„განა ადამიანობაა კაცის ამგვარად გამეტება? ვსთქვათ, ის დაიჭირეს და დახვრიტეს, მიდევს თუ არა წილი მკვლელობაში? მაგრამ მასაც ხომ უდევს! მაშ, გაუმარჯოს მას, ვინც მოასწრებს! ფუჰ!"

არ იყო საჭირო ასეთ მოვლენათა გამომჟღავნება, რადგან ყველაფერი მართლა კი არ უნდა თქმულიყო, თუმცა ყოველივე იგულისხმებოდა და მათგან რჩებოდა საძაგელი უთანხმოება სინდისსა თუ მთელს არსებაში; და რომ ეს უთანხმოება შეემსუბუქებია, ლევახმა გონებაში იწყო ბესიკის ლექსთა კითხვა:

„სევდის ბაღს შეველ დანაღონები,
მოკრეფად მსურდა ვარდის კონები"...

ამ ლექსთა მთქმელს, ლევანი ოდნავ მფარველობით უღიმოდა ბნელში და ასე მოღიმარე კვლავ ეძლეოდა ძილს.

XIII

ლევანს დილით გამოეღვიძა და კარზედაც უკაკუნებდნენ. მალე კარის სახელური მოუთმენლად შეანჯღრიეს და ოთახში დაუკითხავად შემოვიდა თეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი მოხუცი, ბინის პატრონი, ძია ვალოდია გოევი.

ის ატარებდა თეთრ წვერ-ულვაშს და ხელში ეჭირა სათვალეები.

— არ უნდა ადგე, ლევან? იკითხა ძია ვალოდიამ.

ის ლაპარაკობდა სასიამოვნო ტფილისური კილოთი და ოთახში ისე მიმოდიოდა, რომ უეჭველია გრძნობდა: მას პატივს სცემდნენ. ეს იყო ოჯახის მამა და ტფილისის მოქალაქე.

— წერილები, ცხადია, მიიღე. ბხელა შენთან, ლაპარაკობდა მოხუცი. მან ფანჯრის რიდეები ასწია. ოთახში ოდხავ ინათლა. მაგრამ უთუოდ მოღრუბლული დღე იდგა. ფანჯრებშიც სჩანდა.

მიუხედავად გარეგნული უდარდელობისა, ძია გოევს ემჩნეოდა მოლოდინი რაღაცასი და ამის გამო ოდხავ კრთომა.

ყოველივე ეს ლევანისათვის ნაცნობი იყო და როდესაც ძია ვალოდია, რომელიც ფარულად ლევანს გულადობაში ეჯიბრებოდა, ასე ყოჩაღად გამოიყურებოდა, ლევანს თვალწინ გაურბინა იონა თავაძის წუბანდელმა სტუმრობამ.

უეცრად ოთახის კედლები ნელა შეირყა და გაისმა ზარბაზნის ხმა. სადღაც, დერეფანში, ჩამტვრეულმა შუშებმა ზრიალი მოიღეს.

მოხუცი გოევი შეფრთხიალდა:

— აი, კეთილ ინებეთ! იძახდა იგი და ეს იყო კრთომის ძახილი. ამავე დროს, მეზობელ ოთახში ქალების შეშინებული ხმა გაისმა: ძია ვალოდიას უძახდნენ. ძია ვალოდია წავიდა, მხოლოდ სანამ ოთახიდან გავიდოდა, დაუსრულებლივ ლაპარაკობდა:

— ბოლშევიკები ტფილისიდან რვა ვერსზე არიან. ეხლა რვა საათია! ლევანმა კეთილ ინებოს ადგომა და მათთან ჩაი მიირთვას!

ლევანი ლოგინიდან წამოვარდა.

იგი სისუსტეს ჰგრძნობდა და თავიც ოდნავ სტკიოდა. მაგრამ ისე, რომ ძალე უნდა გაევლო. ამან ლევანი გააძხნევა. საჩქაროთ ტანთ ჩაიცვა. ხელ-პირი დაიბანა და მასპინძლისკენ გაეშურა.

ფართე მაგიდას უჯდა ... ქალ-ნი გოევი. ორთქლავდა დიდი, ყვითელი სამოვარი და ფანჯარასთან მიმდგარი ჩიბუხს აბოლებდა ძია ვალოდია.

ეხლა განუწყვეტლივ ისმოდა ზარბაზნის ხმა, რაიც ამ ოთახში შიშსა ჰქმნიდა.

ლევანი დიასახლისს მიესალმა და მაგიდას მიუჯდა. ოთახი სავსე იყო ხივთებით: ყოველი ზომის და სხვა და სხვა დანიშნულების კარადები, პაწია, თაბაშირის ქანდაკებები, იაფ-ფასიანი, მდარე ხარისხის სურათები, ქოთნით ყვავილები და გალია, რომელშიაც ჩიტი აღარ იყო. ამ ნივთებ შორის, ბატონი და ქალბატონი გოევები ისე გამოიყურებოდნენ, ვით ნივთების გაგრძელება. ლევანმა გაიფიქრა:

— უთუოდ ადამიანი უფრო მეტს ემსახურება ნივთებს, ვიდრე ნივთები ადამიანს. ამათ ხომ მოვლა სჭირიათ!

დიასახლისმა ლევანს ჩაი მიაწოდა და მეორე ოთახში გასძახა: თამარა!

დიასახლისს, ყველა „დედას" ეძახდა. ბატონი ვალოდიაც და შვილებიც; ამიტომ ლევანმა ქალბატონ გოევის სახელი არ იცოდა. ქ-ნი გოევი თავისებურად გამოსთქვამდა „რ"-ს და მან დაიძახა: თამაღა! ოთახში შემოვიდა 14 წლის ქალიშვილი.

მის შემოსვლაზე ძია ვალოდიამ ლაპარაკი შესწყვიტა: ძია ვალოდია გახუწყვეტლივ ლაპარაკობდა და ამას ეჩვეოდნენ და არ გრძნობდნენ. ძია ვალოდიამ შვილს ღიმილით მიაშურა. ძია შეყოყმანდა, რადგან თამარა გამოსულიყო პიჟამით: შიშველ ფეხზე ფოსტლები, ფართე, ლილის ფერი შარვალი და ვარდებიანი იაპონური პენუარი, წელში დაუდევრად შებოჭვილი, როგორმე რომ ჰფარავდა ქალწულებრივ მკერდს.

— რა იყო, მამა? გაბუტვით იკითხა შვილმა და მამას ის ეამბორა. თამარა დედას ეამბორა. ლევანის პირდაპირ დაჯდა და, რადგან თვალებით ომი არ კმაროდა, მან ითხოვა საშაქრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევანი ჰფიქრობდა: „ქალები არიან ჯალათები!“

თამარამ ორივე ხელით ჩამოართვა ლევანს საშაქრე და ამ დროს პენუარი გაეხსნა და ოდნავ გამოუჩნდა ცალი მკერდი. ლევანი გაწითლდა, თვალთ აერია: ნუთუ ამდენად გულუბრყვილოა ეს ქალი თუ ამდენად ეშმაკი? — ჰფიქრობდა ლევანი.

თამარას ისეთი თეთრი და მახვილი კბილები ჰქონდა, თვალები შავი და ვიწრო, თან შავი, მღელვარე თმა, ხოლო ტუჩები წითელი და სველი, რომ ყოველივე ეს არ იყო სიმშვიდისა.

ლევანს ეჩვენებოდა, რომ იგი გრძნობდა ქალის სხეულის სითბოს.

— ფერეული ლევან! — დაიძახა ვიღაცამ ამ დროს დაბლა ეზოში და ლევანმა ხმაზე ოსე ჯავაშვილი იცნო.

ლევანი ადგა, გავიდა.

— რას ჰყვირი, ბიჭო?

— ვყვირი რა, გიბარებენ!

პატარა ოსეს ისეთი ბოხი და თავისთვის შეუფერებელი ხმა ჰქონდა, რომ იწვევდა ღიმილს.

ჩვეულებრივ დაილია ეს დღეც.

ქვეყანა იბრძოდა, ქალაქში ზარბაზნის ხმა ისმოდა.

მთავარ საწყობში მთელი დღე მუშაობდნენ, თვით ნიკო თელია ხელმძღვანელობდა საქმეს.

საჭირო იყო წამლებითა და მორთულობით ახალი სანიტარული მატარებლის მომარაგება; თან საავადმყოფოები დაჭრილებით ავსებული იყო და საწოლები არ ჰკმაროდა. ამის გამო გახსნეს სარდაფის საწყობები და დაუსრულებლივ გამოჰქონდათ და კამიონებითა და ჭაგრებით ჰგზავნიდნენ ლოგიხებს, წამლებს, ყველაფერს რაც შიგ მოიპოვებოდა.

ლევანი სხვა და სხვა მიზეზით, დღეს ხშირად შედიოდა სამდივნოში. იგი დაეძებდა ანიკოს. მას სურდა ენახა და მოესმინა ქალი, რომლის მოგონებაც კი მასში იწვევდა მოულოდნელ გულის ძგერას. მიუხედავად ამისა, ამ თავის სურვილს ლევანი თავის თავსაც ეფარებოდა.

დილით რომ ვიკტორ რაზმაძემ ლევანი დაინახა, ლოდინით დაუწყო ცქერა და ლევანი მიხვდა: იონა თავაძეს უთუოდ მასთან გაათია ღამე და ყოველივე უამბო.

ვიკტორისათვის ლევანს არაფერი უთქვამს; მიესალმა და მოიკითხა:

— ქეიფი ვიკტორ!

— გმადლობ!

ანიკო არ სჩანდა. ეს იწვევდა იმდენად აუტანელ წუხილსა და მოუსვენრობას, რომ ლევანი თავის თავს უბედურ კაცად სთვლიდა. ეს იყო უთუოდ სიყვარული, რომელსაც იმ ხანებში არა თუ მფარველობდნენ, არამედ ცოტათი კიდეც დასცინოდნენ. ლევანიც დასცინოდა: — სისულელე რაღაც, რა დროს ეგ არის! გაიფიქრებდა ლევანი და უხებურად გონებაში დაიჭერდა ქალის დარცხვენილსა და მშფოთვარე სახეს.

ასეთ მღელვარებათა თანაბრად ლევანს მოფიქრებული ჰქონდა, როგორ და სად უნდა წასულიყო ველზე.

ტაბახმელა-კიკეთის ხაზზე იბრძოდა მისი სკოლის ამხანაგი გივი ნადირაძე. გივი, როგორც ტყვიამფრქვევის მსახური, ჩამოჰყოლოდა ბათუმის გვარდიის ნაწილს.

ლევანს გადაწყვეტილი ჰქონდა გივისთან წასვლა. მართალია, ლევანს იარაღის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ამას ველზევე ისწავლიდა. ხოლო დანარჩენი ბედსა და შემთხვევაზე ეკიდა.

მაგრამ რა გამოვიდა: ნიკო თელიამ სასადილოდაც არავინ გაუშვა. ყველანი იქ ასადილა. ღამის ექვსზე ლევანი თავის მანქანაში ჩაისვა და საავადმყოფოები ჩამოიარა. დასასრულ, რკინის გზის სამმართველოში წავიდა. ხიკო ხმას არ იღებდა, მხოლოდ ერთჯერ უთხრა ლევანს:

— მე შევნიშნე, რომ შენ ქალებს ხელზე ჰკოცნი; ეს არ ვარგა. ბრიყვო. ტუჩებში უნდა აკოცო!

ამ დროს მანქანაში ისხდნენ. ლევანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწითლდა, თუმცა ნიკო ხუმრობდა. ნიკოს არ გაუცინია.

ლევანს ესმოდა რომ ბიძა მისი განგებ არ იშორებდა მას. ასეთი წესით ლევახს ხელი შეეშლებოდა და ველზე ვერ გავიდოდა. ლევანი ბრაზობდა; გონებაში იგი ბიძას ლანძღავდა და დასცინოდა, მხოლოდ პატივისცემით: „ერთი შემიხედეთ, როგორ უზარმაზარ ბუსავით დამჯდარა და ხმას არ იღებს, ეს ცხვირგატეხილი ესა!"

ღამის ათზე ნიკომ ლევანი დაითხოვა. ღამის 11-ზე ლევანს ეძინა. ხვალ დილით ლევანი აპირებდა ველზე და „თუ ძია ნიკო ამაზე განრისხდებოდა, შეეძლო ცივი წყალი დაელია".

XIV

ნიკო თელია ღამის პირველზე დაბრუნდა სახლში. შინაურებს ეძინათ, მხოლოდ სანდრო ლოგინში წიგნს კითხულობდა და როდესაც კი მოაგონდებოდა, ეს კი ხდებოდა ხშირად, აათამაშებდა დაჭრილ ფეხის კუნთებს, რათა, გაესინჯა; მორჩა თუ არა, სანდრო ჰგრძნობდა ტკივილს, რასაც ზედ ერთვოდა წუხილი: რომ ჯერ კიდევ არ შეიძლება ველზე დაბრუნება.

სხვიმის, ასეთ დროს დაბრუნებული ნიკო ჩუმად შედიოდა თავის საწოლ ოთახში, ეხლა კი მისი ნაბიჯები დაბლა სართულიდანვე მოისმა და ნაბიჯები მას არეული ჰქონდა, მაშასადამე აღელვებული იყო; თან ვიღაცას, მსახურს თუ ძიძას, ხმა მაღლა ელაპარაკებოდა ისე, თითქოს განკარგულებას იძლეოდა:

— რა თქმა უნდა, ეხლავე, დაუყოვნებლივ! ისმოდა ნიკოს ხმა.

სანდრომ გაურკვეველი შფოთი იგრძნო, კითხვა შესწყვიტა და დაიწყო ლოდინი: არა, ამ საღამოს მამა არაჩვეულებრივი იყო.

ახლოვდებოდა მისი ნაბიჯები. სახდრომ ფოსტლების ფრატუნიც გაიგოხა. ეს უთუოდ ძიძა მაკა მოსდევდა ნიკოს და ძიძამ შესძახა:

— უი, დამიდგეს თვალები!

სანდრო სწრაფად ადგა, შირვანელი ჩაიცვა და გააღო თუ არა კარები, ბისერენ მამა მოდიოდა. შვილის დანახვაზე მამამ გაღიმება სცადა, მაგრამ განზრახვა მყის დაავიწყდა და შუაღამისათვის შეუფერებელი ბოხი ხმით სთქვა:

— ტფილისი მტერს ჰბარდება!

სანდროს ქერა და სათუთი სახე ჰქონდა; ის სჩანდა თვინიერი, მაგრამ ამ ამბის გამგონემ წარბები შეიკრა და განრისხებული მამას მიაჩერდა. შემდეგ წამოიძახა:

— მამა, მე წავალ, აქ ვერ დავრჩები!

მამას ესმოდა ხმა შეურაცხყოფილი ჭაბუკისა, რომელიც ადვილად გასწირავდა თავს და ეს თავგანწირვა ძალღონეთა ლტოლვა იყო, რასაც, როგორც ამჟამად მთავარსა და უფრო ძლიერს ჭაბუკის არსებაში, მორჩილად მიჰყვებოდნენ: გონება და გრძნობანი.

მამამ განსაცდელი იგრძნო: დაჭრილი შვილი ისევ ველზე გადიოდა. ნიკომ შვილს სულის დათქმა აცალა და აუღელვებლად, დაბალი ხმით უთხრა:

— გეუბნები, როგორც მკურნალი: ველზე შენი გასვლა ჭრილობას გააძიზეზებს; შენ ვერ მოიტან სარგებელს, არამედ თვით შენ დაგჭირდება მოვლა. და რა შეატყო მამამ, რომ შვილმა შეთრთოლებით ამოისუნთქა და ძგონი ეთანხმებოდა, მამამ ისევ გულწრფელი კილოთი გააგრძელა:

— სამაგიეროდ, რა გინდა, შვილო, შევნიშნავ თუ არა შენს მორჩენას, ხელათვე გეტყვი, მე არ დაგაყოვნებ!

მამა და შვილი როს ასეთ საუბარში იყვნენ, სახლმა გაიღვიძა. ადგა ქ-ხი სალომე. ადგა ნინო. აქ იყო ძიძა მაკა. ისმოდა ოთახებში მსახურთა ფაცური; დროგამოშვებით, ტირილით ჰყეფდა ნინოს ოთახში ჩარჩენილი ოსმანი.

— არ შეშინდეთ, დამშვიდდით! ასეთი სიტყვებით მიეგება ნიკო თავის ძეუღლესა და ქალიშვილს.

ქ-ნ სალომეს თვალები ცრემლით აევსო. მას კიდეც რცხვენოდა თავისი ცრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლებისა და ვერც თავს მორეოდა; იგი ჰხედავდა, რომ ძიძაც იცრემლება და ამათი შემყურე ნინოსაც ტუჩები უთრთოდნენ. ნიკომ ერთხელ კიდევ სთქვა:

— დაყოვნების დრო არ არის! და რამდენჯერაც იტყოდა ასე, მუდამ დაყოვნებდა განკარგულებას: ბატონებო, აჰკრიფეთ ვისაც რა გაქვთ ძვირფასი და წავიდეთ; ბევრი არაფერია საჭირო, რადგან უთუოდ რამდენიმე დღეში დავბრუნდებით.

ამის შემდეგ, ლაპარაკში გართული ნიკო, თავისი მეუღლის ხელებს რაღაც უყურადღებო ალერსით თვის მკერდთან მიიტანდა, რადგან ისეთივე უყურადღებო თვალებით იგი ჰხედავდა, რომ სალომე დანანებით და ამ დანანებისაგან დამწუხრებული თვალებით შეჰყურებდა ოთახებს და ნივთებს, რომელნიც უნდა დაეტოვებია და რომელთანაც დაკავშირებული იყო განვლილი ცხოვრება.

სალომეს ამათი დატოვება უძნელდებოდა და ნიკოს ეს უნდა გაეადვილებია.

შემოდიოდნენ მსახურნი. ისიხი, მტრის მოლოდინით დამფრთხალნი და უჩვეულონი მდიდრულ ოთახებში, მიმოდიოდნენ ფრთხილად და ჩუმად. ისინი ეზიდებოდნენ სკივრებს. მათ გახაგებდა ნიკო.

მეეტლე შემოვიდა. მის დანახვაზე ნიკომ მაჯის საათს დაჰხედა; მას კილო გამოსცლოდა, როდესაც სთქვა:

— მოემზადეთ! ესა სთქვა რაღაც წყრომით, ბრძანებით, ყველას თვალი აარიდა და თავის სამუშაო ოთახში შევიდა.

სანდრომ ტანთ ჩაიცვა. მან ისე, როგორც დანარჩენმა შინაურებმა, მაძისაგან მოისმინა ყველაფერი, რისი თქმაც მამას შეეძლო. ირკვეოდა, რომ, მართალია, ხაზზე მებრძოლთ სიმხნევე არ აკლდათ, პირიქით, შემკრთალი უფრო მტერი სჩანდა; მხოლოდ მტრის ნაწილებს ქალაქის შემოვლა მოეხერხებიათ და იქმნებოდა დედაქალაქის შემოსალტვის საფრთხე! ეს რომ მტერს განეხორციელებია, მთელი ქალაქი ძალა-ვრობა და ჯარი მას ტყვედ ეყრა. ამ ჰბარებოდა. ამის გამო მთავარსარდალს ებრძანებინა ლაშქრის დახევა და დედაქალაქის დატოვება.

სანდროს მთავარსარდალი უყვარდა; სანდრო ვერ გაჰბედავდა მთავარსარდლის შედავებას, მისი მოვალეობა ჯერ კიდევ ბრძანების შესრულება იყო; მაგრამ მას ისევ განრისხებული სახე ჰქონდა, რადგან ჯერ კიდევ ვერ შეჰრიგებოდა აზრს ქალაქის დათმობისა.

უეცრად სანდრომ პაპიროსს აუკიდა და მისი ბოლი რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქა; დაღვრემილი სანდრო მსუბუქი კოჭლობით მამის ოთახისაკენ გაემართა.

მამა წასასვლელად მზად იყო. სახდრომ ჰკითხა:

— დავმარცხდით, მამა?

ასეთ კითხვაზე მამამ თვალები ოდნავ მიხუჭა:

— არა, შვილო! სთქვა მამამ.

ამას წინად, როდესაც იგი სანდროს ეუბნებოდა, რომ შეატყობს თუ არა მორჩენას, თვითონვე ომში გაჰგზავნის, სანდროს ესმოდა კილოს სიწრფელე და სჯეროდა, მხოლოდ ეხლა არა.

ნაშუადამევის სამის ნახევარზე, თელიასანნი ძიძითურთ ეტლში ჩასხდნენ. ქალებს ძალიან სციოდათ. ეტლში მსხდომნი ერთი მეორეს არ უცქეროდნენ.

დილის სამ საათზე, დაიწყო ტფილისიდან ქართული ლაშქრის დახევა.

XV

მშვიდად ეძინა ლევანს, როდესაც მის ოთახში კოლია ქარებაძემ ელექტრონი აანთო.

კოლია, ახალგაზრდა ინჟინერი, კოჯრიდან მოდიოდა. მას აქ დაეტოვებია საცვლებით სავსე თავისი ჩანთა. ჩანთა სკამზე იდვა და კოლიას ბავშვივით გაეხარდა. კოლია მეტად დაღლილი იყო.

რადგან ლევანს თავისით არ ეღვიძებოდა, კოლია სკამზე ჩამოჯდა და ქუდი მოიხადა. ეს იყო ერთობ ბელატი და მეტად უბრყვილო ახალგაზრდა კაცი.

მას უკვირდა, რომ ასეთ დროს ლევანს ეძინა და არ იღვიძებდა. მალე ლევანი შეიშმუშნა და თვალები დააჭყიტა. კოლია წამოდგა:

— უკაცრავად, ლევან, შეგაწუხეთ! მხოლოდ საქმე იმაში გახლავთ, რომ ტფილისს ვტოვებთ და ჩანთა მოვიკითხე.

ლევანი ვერ გამოერკვა.

— რა თქვით, ბატონო კოლია?!

— არაფერი, ტფილისს მტერს ვუტოვებთ და ჩანთისათვის გეახელით.

ლევანმა ერთბაშად წამოიძახა: — ერიჰა! სწრაფად წამოდგა და ტანთ იცვამდა.

— როგორ თუ ტფილისს ვტოვებთ! იქნებ ტყუილია, კაცო, არ ხუმრობდე!

ლევანი მღელვარებდა და რადგან კოლია ქარებაძეს ოთახის კარი ღიად დარჩენოდა, კარებში ღამე იდგა და აქ ღამეში ისეთი სიჩუმე იყო, როგორიც იცის იქ, სადაც ცხედარი ასვენია; აქ სიჩუმეში ლევანის ხმა ჰგავდა ქშენას ან ჩურჩულს, რომელიც შორიდან გამოძახილი ბრუნდება.

— არა, არ ვხუმრობ; ტფილისი დავტოვეთ! უმწეოდ სთქვა კოლიამ, უმწეოდვე გაიღიმა; შემდეგ იგი ითხოვდა ბოდიშს და ისეთ რამეებს ლაპარაკობდა, რაიც ასეთ პირობებს არ შეჰფეროდა:

— უკაცრავად ვარ რომ შეგაწუხეთ: ვატყობ, თქვენ ეს არ გცოდნიათ, ტფილისის დატოვების ამბავი. ბ'ბვიდობით, ბატონო ლევან! მე ეხლა წავალ! ვერ შეგთავაზებთ თანამგზავრობას, რადგან აქ საქმეები გექნებათ. გამარჯვებით, ბატონო ლევან!

ინჟინერმა კოლია ქარებაძემ ქუდი დაიხურა. ჩანთა იღლიაში ამოიდო და წავიდა.

რამდენიმე წუთში ლევანიც დაეშვა გამზირზე. იგი მიდიოდა ფეხაკრეფით და სწრაფად. ძნელი [illegible] იყო ქალაქის მტრისგან [illegible] კოლია ქარებაძემაც აღნიშნა ეს. სთქვა: რა თქმა უნდა, ქალაქს ერთ კვირაში დავიბრუნებთ, მხოლოდ საქმე ის არის, რომ ყველას ტყუილი ჰგონიაო.

ქალაქი ჰდუმდა. დრო გამოშვებით ოდნავ ჰთოვდა აგრეთვე, მაგრამ ვერც ეს ფიფქთა მსუბუქი ცვენა არღვევდა დუმილს და ვერც იშვიათ მოქალაქეთა სიარულის ხმა, რომელ მოქალაქეთა ხმა-დაბალი ლაპარაკიც ესმოდა ლევახს და ნაბიჯებიც, მაგრამ უთუოდ იმიტომ, რომ დუმილი უფრო ძალუმად გამომჟღავნებულიყო.

ლევანი საწყობში შევიდა. აქაც სიჩუმე იყო და ბნელოდა, მხოლოდ აფთიაქში, რომელიც ფანჯრებით ეზოს დაჰყურებდა, სინათლე ენთო. იქ, გახურებულ ღუმელს ხუთიოდე სანიტარი მიჰჯდომოდა და ხმა-დაბლა საუბრობდნენ. ლევანის შემოსვლაზე შეკრთენ და რა იცნეს, ერთი-მეორეს ლაპარაკში ეცილებოდნენ. გამოირკვა რომ ნიკო თელიას გაბკარგულებით საწყობი, ნახევარზე მეტი, ჭაგნებით მცხეთაში გადაეზიდათ. დიდი ხანია მას შემდეგ! ჭაგნები უკვე მცხეთაში იქნებოდნენ. ნიკოც თავისი ოჯახით იქვე იქნებოდა. ლევანთან ნიკომ ოსე ჯავაშვილი გაჰგზავნა, ნუთუ ოსე არ მისულა? არა?

ლევანი დაფიქრებული იდგა და სრულებით არ იცოდა რა ექნა. მხოლოდ უნდოდა სიარული, მოძრაობა.

— ერთი თოფი გამომიტანე, თუ კაცი ხარ, იცოდე ტყვიაც! ითხოვა მან. მსახური მორჩილად ადგა და ლევახს, საწყობიდან მოჰგვარა შაშხანა და ვაზნები. ლევანმა თოფში ვაზნები ჩაალაგა. მას სიამოვნებას ჰგვრიდა ხელში თოფის აღება. აგრეთვე ის, რომ სანიტრები მას ცნობისმოყვარეობითა და პატივისცემით შეჰყურებდნენ. წასვლისას ლევანმა სანიტრებს ჰკითხა:

— კარგი, მაგრამ აქ რას უცდით მაინც!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენც არ ვიცით! ერთმა სთქვა. მეორე პირველს შეედავა:

— როგორ თუ არ ვიცით! ღვთის ანაბარა საწყობს ხომ ვერ დავტოვებთ!?

ლევანი წავიდა. იგი მიდიოდა ბიძისას, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ იქ არავინ დახვდებოდა; დარწმუნებული იყო აგრეთვე, რომ თოფი მას არ დასჭირდებოდა, რადგან, მართალია, ლაშქარს დახევა დაეწყო, მაგრამ ჯერ მხოლოდ ზარბაზნები მოხსნილიყვნენ.

როგორც თოფს, ისე სიარულს მხოლოდ სიჭაბუკე ითხოვდა.

ლევანს მუხრანის ხიდზე შეხვდნენ ზარბაზნები; მათ ხმაურში მტკვრისა არაფერი ისმოდა, თუმცა მდინარე ადიდებული იყო და უთუოდ ღმუოდა. ცხენებს ოხშივარი ასდიოდათ; ჯარისკაცთა რიგებს ცხენოსანმა ჩამოუქროლა და ბრძანებდა: „ლაპარაკი, ბიჭებო!"

თელიასანნი წასულიყვნენ. ეს ამბავი შორიდანვე შეატყობინა ნაცნობმა მეეზოვემ. მეეზოვე ალაყაფში იდგა. იგი სახელოებში ხელებ შეყოფილი, იღლიაში დიდი ჯოხით, დაღვრემილი შეჰყურებდა გარემოს. უკვე გამოჩნდნენ ფეხოსანთა ნაწილები, რომელნიც ჩქარის ნაბიჯით, მაგრამ მწყობრად მოდიოდნენ.

ქუჩის მეორე მხარეზე ღვინის სარდაფიდან ღვინით სავსე დიდი კასრი გამოეგორებიათ. მას ეხვევნენ გვარდიელები, რომელნიც, როგორც უძეტესობა უფრო ხნიერები, მეტი შეღავათით სარგებლობდნენ.

სარდაფის პატრონი ითხოვდა:

— ბიჭებო, წაიღეთ, ნურც ერთ წვეთს ნუ დაუტოვებთ მაგ მურდლებს!

კასრის ირგვლივ ფუსფუსებდნენ, ჩქარობდნენ. ზოგი სვამდა, თანაც ბიჭქონდათ. ღვინო იღვრებოდა აგრეთვე ბევრი, წითელი კახური!

იმავე გზით ლევანი უკან დაბრუნდა. მან ხიდი გაჰლია, გაიარა საეკროების ოდგი, სადაც ერთი დუქნის შუაში ჩაემტვრიათ და ფილაქანზე, ტალახში ეყარა თამბაქოს ცარიელი გოლოგები.

XVI

ის იყო ლევანი გამზირისაკენ უხვევდა, როცა მოაგონდა: აქვე ახლოს ვიკტორ რაზმაძე იდგა.

ლევანს არსად ეჩქარებოდა და ვიკტორისაკენ შეუხვია.

ვიკტორი, ტანთჩაცმული, მაგიდას მიჰჯდომოდა, ღვინით ბოთლი წინ ედგა, და საკმაოდ დალეული, ისევ სმას განაგრძობდა.

ლევანის მისვლა მას არ გაჰკვირვებია, არც სხვა რამ გრძნობა გამოუჩენია; მთვრალი იყო. ლევანს კედლის კალენდარზე უხმოდ მიუთითა და უთხრა: ეს ასე დარჩება სამუდამოდ! თებერვლის დღეს 24...

ვიკტორი მიბრუნდა. ბნელოში დიდ ხანს რაღაცას დაეძებდა, ბოლოს ჭიქა მოიტანა და ლევანს ღვინო დაუსხა:

— დალიე! ამბობდა იგი; შემდეგ ლაპარაკობდა ბევრს, მაგრამ შეიძლებოდა ასე თქმულიყო: საზოგადოდ, ადამიანს თავის განწყობილებათა თანამგზავრად თამბაქო აურჩევია; ჩვენ კაცს კიდევ ამაზედ ღვინო დაურთავს; ტირილში ღვინო, ლხინში ღვინო, დალიე, ლევან! ვიკტორი იყო მთვრალი და სევდით აღსავსე. ემჩნეოდა, რომ ის ებრძოდა გრძნობებს და გრძნობები მას ებრძოდნენ. ეს იყო მძიმე სანახაობა.

— ვიკტორ, არ სტოვებ ტფილისს? ჰკითხა ლევანმა, მხოლოდ მიტომ, რომ იქნებ ვიკტორი ოდნავ მაინც გამოეფხიზლებია. ლევანს არ უყვარდა მთვრალი ხალხი. მას უნდოდა გასცლოდა ამ ოთახს, სადაც ცოტაოდენი სინათლე იდგა და სადაც ამ ნახევარ ბნელოში ოდნავ ირხეოდა ვიკტორ რაზმაძე.

ვიკტორს სათავლეები მოეხსნა და თვალებ დაწითლებული რხევით ამბობდა:

ძვირფასო ლევან ფერეულო, ძე

ტფილისს არ დავტოვებ! ნუ შეეხებით მტერს; მტრის ლანძღვა არ ვარგა, მხოლოდ მე უცხადებ ზიზღს იმ მამაკაცს, რომელი მამაკაციც ცოლსა სძულს, ხოლო მამაკაცი იგი, არა თუ ანთავისუფლებს ქალს. ძალით იპყრობს! არა, მე არ დავტოვებ ტფილისს!

ყოველივე ეს ვიკტორმა სთქვა წყრომითა და აღშფოთებით. შემდეგ შეიარაღებულ ლევანს თვალი მოავლო და გაუცინა.

— შენ ახალგაზრდა ხარ, ლევან, უნდა წახვიდე! იბრძოლე, ბიჭო, იქნებ რაიმე გამოვიდეს; დაიცა!

ვიკტორმა ჭიქები აავსო. უხმოდ დალია, ლევანსაც დაალევინა. შემდეგ სთქვა:

— წადი, ლევან! და დინჯად გადაჭკოცნა.

ლევანი დაღონებული გავიდა ვიკტორის ოთახიდან. რამდენიმე ხანი მან თავ-ჩაღუნული იარა. [illegible] რომ ქუჩებში ხალხი [illegible] მიმოიხედა; ის იდგა გამზირზე, საწყობის ახლოს. იქნებოდა დილის ხუთი.

ლევანმა გადასწყვიტა, თოფი საწყობში მიეტანა, თვითონ სახლში წასულიყო და მოეფიქრებია, თუ როგორ მოქცეულიყო. იგი არ იყო კმაყოფილი ამ გადაწყვეტილებისა და ამაზე მადლობა ჰმართებდა პატარა ოსე ჯავაშვილისათვის, რომელმაც დროზე ცნობა არ მოუტანა და ასეთ ყოფაში ჩაგდო. ლევანი საწყობისაკენ მიდიოდა, როცა ვიღაცის ძახილი მოესმა:

— ლევან, ლევან, მომიცადე!

ლევანისაკენ შესახვევიდან ხტომით წამოვიდა ახალგაზრდა ჯარისკაცი და ამ ჯარისკაცში ლევანმა გივი ნადირაძე იცნო.

□დასასრული იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

წიგნიდან: „კლდის სული“

* * *

მჭკნარ ყვავილებთან ვიწექი წუხელ, ღამე ვათიე
და გაბრუებულს მჭკნარი სურნელი მცემდა მათივე.
ყოველ მათგანში კაცის სული ჩუმად ფშვინავდა,
ვჭვრეტდი მჭლე ლანდებს საჩინოთა და უჩინართა,
მათ წითელ-ყვითელ ფერებს ვსვამდი ნექტარ-ღვინისებრ,
არცა ვყვაოდი, არცა ვჭკნებოდი... შემოვინისლე
ტკბილ მირაჟითა...
მჭკნარ ყვავილებთან ვიწექი წუხელ, ღამე ვათიე,
და გაბრუებულს მჭკნარი სურნელი მცემდა მათივე.

* * *

ამასაც მოვესწარ, ჩემო ლადო, პატარა ლელაო,
ეროვნულ დროშებით, — სამფეროვნებითა, — მიყელყელაობთ,
დამოუკიდებელსო გაუმარჯოსო საქართველოსო...
გელოცოთ, ნეტარნო, გადარჩენილ მამულისთვის გელოცოთ
აწ და მარადისად...
ამასაც მოვესწარ, ჩემო ლადო, პატარა ლელაო,
ეროვნულ დროშებით, — სამფეროვნებითა, — მიყელყელაობთ.

* * *

ვერ გაურღვევია ლეღვებს, ღოღნაშოებს ჯებირი ღობეთა,
მთვარე მთელი ღამე სანთლებს მიწვდიდა გაულღობელთა.
ბროწეულების დაბინდულ ყვავილებზე ციცინათელები
ცეცხლს ანთებდნენ და როს აციმციმდა სული თენების,
აღვივდა ის ცეცხლი...
ვერ გაურღვევია ლეღვებს, ღოღნაშოებს ჯებირი ღობეთა,
მთვარე მთელი ღამე სანთლებს მიწვდიდა გაულღობელთა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სად ციცინათელები გადაიმალნენ, გათენდა რაიღა?!
რამეღა დარჩა იმათი შუქისგან, თუ არარაიღა?!
რაღა მოუვიდა იმათ გაულევ ციმციმს ელვებრივს?!
იქნება შეადნენ ნაპერწკლებივით ციცინათელები
ვარვარა განთიადს?!
სად ციცინათელები გადაიმალნენ, გათენდა რაიღა?!
რამეღა დარჩა იმათი შუქისგან, თუ არარაიღა?!

* * *

უნდა გინამავდეს ჩალისფერ მზესთან წუნდა და რიცაო.
თორემ მაგ თმებსაც შემოეცრიცებათ ჩალისფერიცაო.
ჩემი სიყვარულის ჩქერებია რიცაც და წუნდაცა. —
გადავალივლივებ ჩამოშლილთაცა. ჩამოწნულთაცა
და იჩალისფეროს...
უნდა გინამავდეს ჩალისფერ მზესთან წუნდა და რიცაო.
თორემ მაგ თმებსაც შემოეცრიცებათ ჩალისფერიცაო.

* * *

ალვის კენწეროს პატრუქივით ვარსკვლავი წანთებია.
ღამეში ალვები შავებია, დილით მწვანდებიან.
ჩემი ბავშვობის ფიქრებია ალვებზე გარჩენილი.
ვარსკვლავის პატრუქივით მივაქრები. — აქვე გაჩენილი. —
ალვების კენწეროს...
ალვის კენწეროს პატრუქივით ვარსკვლავი წანთებია.
ღამეში ალვები შავებია. დილით მწვანდებიან.

* * *

დადუმებული სიმღერების სიზმრებს ვეედავდი.
უძრავ სიბნელის ნაზვავებში ვეფლე მხრებამდი.
და თავს ვაქნევდი აქეთ-იქით თითის ქნევაზე...
თიხას თიხაზე ვერა-მეთქი. ვეღარ შევაზელ
ჩემი სურისთვის...
დადუმებული სიმღერების სიზმრებს ვეედავდი.
უძრავ სიბნელის ნაზვავებში ვეფლე მხრებამდი.

* * *

სულიერ კრწანისში შეიხედე. კვლავ მღერის მაჩაბელი.
მაგ ხეს რად მიადექ. ურჯულო, რტოჩაკაფულს და ჩაბელილს?!
მარადი ხისკენ გაიხედე. კრწანისელთა სულიერ ტევრისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკალ და მაჩაბლის დამარცხებას მაინც ვერ ეღირსე.
კვლავ მღერის მაჩაბელი...
სულიერ კრწანისში შეიხედე. კვლავ მღერის მაჩაბელი.
მაგ ხეს რად მიადექ. ურჯულო. რტოჩაკაფულს და ჩაბელილს?!

* * *

სდექ!
წმინდანების ედემია ამის ზემოთა.
უსასოოთა სასოება და უმზეოთა.
მოწამებრივი გზა თავდება ამის ქვემორე.
მამულისათვის ის დააცხრა აქ პირქვე მორევს
და ცად განსრულდა...
სდექ!
წმინდანების ედემია ამის ზემოთა.
უსასოოთა სასოება და უმზეოთა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

თ ა ვ შ ე ს ა ფ ა რ ი

(ტაის სიმღერა)

I

სურვილს, ახირებას მოყვეს, რაც მოყვება, მოყვასო ჩემო,
გვიცდის, რა ხანია, აღმართს შეყოლილი, გზა ნელად სავალი.
მოვექცეთ წრეში, გასაქცევ წელიწადის მივენდოთ გორგალს.
ვიდრე დაგვეშლება ტან-ფეხი შიშვლებს, ტყემ უნდა გვიშველოს.
იგი ყველაზე გამძლე, საიმედოა იმათ შორის, რაც დღემდე გვიცავს.
(მანვე შეგვახსენა — ერთსა და იმავე ღროს ვართ და არცა ვართ).
იცრემლება, იცრება ტანში ქარდაკრული ფოთლების /კანკალი...
რად მიღირს, დავტოვო ამ გულქვა, წელგაწყვეტილი ქალაქის გაუვალობა —
ახორხლილი, ცემენტშერეული მაზუთი, ღორღი, სადაც არ გაიძლება.
მაქრობს საფიქრალი, ბნელ ცისკენ ხელაშვერილს, დამაშვრალს.
მე რომ დაუმსხვრეველ, ჭორფლიან სხვეხიდან ზაფრანის აცმასავით
გადაბრდღვიალებულ შუაღამის ვარსკვლავები დამაჩერდებიან
და ხმას ვერ ამომაღებინებენ, ერთი ღმუილიც არ დამცდება.
აღავლავებული სოფლის ძაღლების ყეფას არ წავბაძავ,
წარმოიდგინე, რა დღეში ვიქნები, რამდენად უნდა მიჭირდეს.
გავწიოთ დილითვე, გავწიროთ ცხოვრება ფუჭი, ნავსიანი
განსაჯოს ღმერთმა — რამხელა სასჯელი, რა სჯულის წყევლაა —
მარტომ ვიტანტალო, ვიარო, კისერზე, დაკაწრულ წელზე
დამთრევდეს გვირგვინის რბილი, რუხ-მწვანე ხვიარები.
ავყვებით აღმართს, საბადურის ტყე მკერდზე რომ იხვევს;
მზეს ვდიოთ ჩამსახველს, მან გადაგვიშალოს უბვი სანახავი...
დაგვხვდება აპრილი საპრალო, ცვრის ბროლით აბრიალებული,
აშრება ნაკეცი ლურჯ სასუტელების კაბებს სიფრიფანას.
გვანან სიზმრის შხეფებს, დგანან სუსტ /მუხლებზე, თავჩაქინდრულები.
შაშვის, მოჭახჭახის, შეგვიქცევს ცუქცუქი. ბარდებში ძრომიალი,
მთლად კუდად ქცეული, ბეწვი გაწელილი — იელვებს თრითინა;
ხრამის პირს, იქვე, ჩხიკვი გადაიფრენს, ფრთებაჭრელებული,
ცოტაც გავიჭირვოთ, ცოტაც და, მოდგება ნათელი, გავივაკებთ,
ყველაფერს, რასაც წავაწყდები, უკვე მუშტრის თვალით ვუმზერ,
ეს გრეხილიც, თიანეთს რომ აკრავს, სამი წლის წინათ დავიგულე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზე საძოვრისა. ჩემი მიკვლეული ტყე ხარობს იკვლიეის.
ალალი, ფარღალალა კარავი გავმართოთ იქ, ნეტარ მყუდროში,
ეგების ვიპოვოთ სადგომიც ბერის, კლდეში გამოჭრილი.
ჩვენ არ გავიმეტებთ. არ გავეკიდებით ნადირს მოსაკლავად.
ცეცხლთან ჩავიმუხლებ, ჩამქრალთან, ფურირემს მოვწველი ფაფუკს;
წიფელას. წაქცეულს. თეთრ სოკოს. შემჭკნარს. ავათლი ტანზე.
მოშიებულებს, ვიცი, გვეამება. დაგვიკბენს ენას —
ქალტამში შეყუჟული ქოლი .მაღალო დაბეჟილი...
ხანდახან მწირ საგზაღის ვაგვიყოფს მწყემსი. მოგვეწყურება და
გავკეცოთ ბუერას ფოთოლი ხორკლიანი. წყაროს. შევუშვიროთ.
ფრთხილი მაქვს ძილი, ას ნაბიჯზე ფიჩხის წკაპანსაც გავიგონებ.
ხიფათს ჩათვლემილი არ დავხვდები. არც გაცლას ვლამობ.
რამდენს და რასაც შეაჩვევ სხეულს, იმასვე მოგთხოვს.
თავზე ველური წყავის გასლიპულ. გრილ ფოთლებს შემოვიგარგნი;
საჩრდილობელს. შიგადაშიგ. ძმერხლის თქლაფი რტოები გაერევა —
ზურმუხტოვანი. წითელი მარცვლებით გაკერილი. დაწინწკლული.
აჯობებს — თმაშივე წერწეტა. ნოტიო ჩავიწნა გვიმრა —
ღეროზე აწყობილი. წყლის მაუწყებელი. ნიშანი გამრავლების.
იმაზე მეტისაც არა ღირს გაგება. ღირსი ვართ ვიდრე.
წაგვძლია სულმა ჯიბრიანმა — ბევრი მოვინდომეთ...
ამიტომ გვეკრობა თვალებზე ლიბრი. ნელნელა ვბრმავდებით;
ძველი ამბავია — კაცია სითავხედეს სასჯელი მოსდევს.

ყველაზე მომთმენი და სრულყოფილი ქმნილებები, რასაც (დასაბამიდან)
დედამიწის ხორკლიან ზურგზე ამოუხეთქავს — მუნჯი ხეებია.
ყველაზე მეტად ცისკენ წასულმა ხემ იცის — რა ფორმა მიიღოს,
როგორ შეეხამოს ჯორაკს ნაღვლიანს. მოწყენილ ხმებს.
ყველაზე ღირსეულად ნიავდაბერილი. შეწამული ცის ფონზე
(გათენებისას თუ საღამოს) ტყე დგას — მაღალი, ტანმოურღვეველი.
უნდა გვიხაროდეს — ჩვენი ტყე არ ქცეულა დავარცხნილ ბაღად;
არ ჩანან აქ — უაზროდ მზირალი. მარმარილოს მოქანცული სხეულები.
გრილ წიაღში არ გათლილა საფლავის დასრულებული მთლიანობა.
გაშლილია. ცახცახებს. ძნელად. რომ თავიდან ბოლოში გააღწიო.
არც რკინის ალაყაფი, არც რამე ურდული — გზათა ჩამკეტავი.
წუთისოფლის გამტიალებელ შარაზე რას არ შეესწრება კაცი;
მწერი იქნება თუ ხუთასწლიანი თელა. ყველაფერს დანახვა უნდა.
მთავარია, სურათი აფეთქდეს გაფეთქილ სივრცეში. გაიშრიალოს.
ამას კრიალა. დასვენებული თვალი ჭირდება. სუფთა გონება —
ვიდრე დაიარები, რამდენი რამეა ჩასაბეჭდი. თავმოსაყრელი...
თითქოს ცელი მომხვედროდეს მუცელში, დავიცალე. ეს მაინც ვიცი —
ცრუ ტომრებს ამოფარებული სახელი ჩემი, ჩემ სიკვდილს უცდის...
ტყემ ნაწილ-ნაწილ უნდა გამანდოს წმინდა საიდუმლო მისი
(გაიშხუილებს ნასროლი ქამანდი, გამათრევს, ყელზე მომეხვევა)...
თუ ჩავწვდი. არ არსებობს ამაზე დიდი სასწაული, შემიძლია —
საათობით ვუსმინო სისინს და ფართქალს ტოტებისას, დავისწავლო —
მძივად ასხმული შელოცვები, მოკაცცახე ფოთლები რომ გამოსცემენ.
ძირზე, მოკვეთილზე, დავხედავ, იკვეთება განცდილი — ნატვრა...
იელვებს ტყე და მეხსნება. ვატყობ. სუნთქვა მოჭერილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელთ თითქოს შხვართი, ხარის გასადენი, მეჭიროს ღვლეჭი
მოჭრილი შქერი, ნედლი, მონაგრეხი და ტარდაბზარული,
ქათქათა ფოჩები რომ უჩანს გულში — წვრილად დაჩეჩილი
(იგივე დაპყვება ბაზები მოხარშულ ქათმის ახლეჩილ ბარკალს),
კანი, მოწეწილი, აყვლეფია; ხორკლი უნაზესი, ყავისფერი,
ამშვიდებს მზერას. იფრქვევა სურნელი მძაფრი. იმის უამესს
ვერას შეიყნოსავს ნესტო ხორციელის, ნოტიო, დაგეშილი.

შავ ტყეს მიაშურა ბრძენმა ეფესელმა და შავს ფუღუროში
ჩასტოვა გრაგნილი, ძნელი გასაგებად, გამაოგნებელი, ნანობდა,
ნაღვლობდა კაცად გაჩენილი და ხეს დაემსგავსა წაქცეულს, —
კანი რომ დაუსკდა ხმელი... და შემოეხია ნაოხარ სხეულზე.
იგემა ხათქუნი ქარ-წვიმის, მეხის, გაიძრო ქერქი დაბეთქილი.
რამდენი იქუხა მის ქოხში, გამომწვარ ლერწმით დახურულში...
ტყეზედაც ბნელი იყო, ელვიან გონებაზე რაც მან ამოკაწრა.
მე მიუხვედრელი, ვერაფრით შევძლებ — ღმერთკაცის ვირგუნო ხვედრი.
თუ ჭუჭყიანი, ჭაღარა ქაფი — მასავით მოვუშვი წვერი,
გავწექი თანაც წაქანებულ ქიმზე — კორძიანი, ხავსშემოკრული,
ბებერი რცხილის ბრტყელი ტანისგან ვერავინ გამარჩევს. —
ცეცხლზედაც დამდონ. ვინღა წაიკითხოს სურვილი მდუღარე.
შავწვეტა ფრჩხილებით ამოღარული ჩემსავე ქერქზე...

დახედავ ჭრელ ფლატეს — გაგონებს პაწია. დაცხრილულ ქოლგებს
წიფლები ნორჩი — ნარჩევი, შორიახლო ამობეთქილები;
თითქოს უცდიანო ნიშანს — ფრთები გაისწორონ, გაფრინდნენ.
სად არის ძალა — ძილიდან ოავდახსნილ გაზაფხულს შეედაროს...
ჩაადნა უჩაგირს მთისას ოქრო მოჭიატე. აკვნესდა ჭოტი.
ბინდმა უდაბნოსამ ტოტები დამოსა შავად და მოსაღამოვდა.
დაგვხედავს მაღლით ბაკმამოვლებული მთვარე გაცრეცილი —
ბაც, მისჯილ უსასრულობაში ბარბაცებს აკვანი ვერცხლის.
დართვილულ ცაზე მოსრიალე. წვერწამახულ „გუთანს“
ამობრუნებული ექნება ელისეს სველი, გასუდრული მინდვრები...
გადმოგვეღერება უეცრად — შემკივნული ჩიტების ყივილი.
ამაოდ ვეწვალები, მაინც არ ამცდება ცვალება, ღვთის დანაწესები.
გაცლილი, თავბილომოკვეცილი, თვე თვეს ეკეცება, რათა —
ისევ მოვინატრო აპრილი, მიწისავ ნაპრალებში გაპარული.
ჯერ გაზაფხულია. ამ გზებს დაჰფოფინებს დედალი ოფოფივით
ყვავილთა მეუფე — ფლორა, ასხლეტილი, მოხატულ-მოსირმული.
თვალები მასხივარი, ხარისძირას დახვეულ კოკრებში იძირება.
მოხედავს ლამობს თითქოს თავი, ოდნავ მოქცეული გვერდზე,
მხრებთან, მოხრილი შროშანების, ერხევა საყურე თეთრი,
თეთრად ამობურცულ ფურცელს მაგნოლიის, შეუკრავს ნიკაპი,
ვერ იცილებენ ღიმილს, ლოყები სიმორცხვისგან ალეწილი,
მოღიავებულ იღლიებში ფესვები დაუგორგლავს ფუსფუსა იას,
წელს, მაღალ თაძოებს ზიზილა მოსდებია ნაირფერ კენჭებად,
ღიღილო, სოსანი, ტუხტი, ჭორიკანა — გრძელ კანჭებს ეტმასნება...
არ ამხელს; გრძნეულის ხელია ამხელა სასწაულის შემკონავი.
უეცრად მოგვეჭრა ჭრელი გაზაფხული, ელავს, მალევე გაილევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

I I

ხურდება ჰაერი. გაბმულს. ყურისწამღებს ასტეხენ ჭრიალს
ღრიჭოში. განაბული ჭრიჭინობელები. ტყეს კვამლი გაბოლავს.
ყველაზე მეტად ჯაგების შემტრუსავი ზაფხული მაშინებს —
იგი ჩასაფრებულ ხიფათთა. უსაშველო განშორებათა ქამია.
დათვლაც მიჭირს — რამდენმა წელიწადმა ჯაჭვის რგოლებივით
ჩაიხრიგინა შავ. პირმოუკრავ ხვრელში. დაგროვდა ფსკერზე.
ახლაც, ამ ჩახუთულ ზაფხულს. შეჩვეულ ხეობას მოვაშურე.
იგივე მინდორი. თვალწინ: ერთმანეთზე წაფენილი მუქმწვანე ქედები.
ფიქრში ჩავიყოლებ ნაძვებს. გამძვინვარებული. ვიშფოთებ მძინარეც.
ვერვინ წარმოიდგენს — რამოდენა სიკვდილს ვიტევ გამომშრალ.
შორიშორ გაშვერილ ქუსლებში. სანთლებად რომ გაყინულა.
ვგმინავ. ვერ დავგმანე ნაპრალი ვიწრო. ამაოდ ვიწრიალე.
წამებამ წამართვა მამაჩემის მოცვილული. დაუცველი ტანი.
წაქცევამ მისმა (შარშანდელ ზაფხულს) მე შუაში მომაქცია.
ვინ მიხსნის. თოფის გადახსნილ ლულაში ცქაფად შევსრიალდი.
საფეთქელში სასხლეტის დაკვრას ველოდები. რომ ავფეთქდე.
წრე გაწყვეტილი (ჯერჯერობით). ჩემით იხურება. ვხედავ:
სამფეხაზე შედგმული სპილენძის დიდი ქვაბი (ლეკის ნახელავი)
ხურს. სულ მალე ორთქლი აიკლაკნება ბუხრის თბილ ყელში.
ამ დროს მე ხუთი წლისა ვარ. მინდორში ნარბენი. გახვითქული.
გაწვენილს. თვალებამწვარს. შეწირული მამიდა მბანს. მამშრალებს.
რომ ზურგზე მომიკიდოს. ოდაში აყვანილი. ზეწარზე დამაგოროს.
კიბის უკან. ღარდაში. ტყაპანით გადაქცეულ ნაბან წყალს
თალხი ღამე ისრუტავს. ხორკლიან ტყემლებთან ჩაფენილი.
ორივე ტყემალს იმდენი ასხია მრგვალი. ყვითელი ნაყოფი.
გეგონება ვარსკვლავები გამოსკდნენო ყრუ. გაქცეულ ცაზე...
იმ ქვაბში ახლა ჩემი გაჩენის ცოდვა ხვარხვალებს. გაუნელებელი.

უკეთეს ალაგის სად შესძლოს მოძევა გამოძევებულმა...
შესაფერს მხოლოდ ტყეში თუ მონახავ თავშესაფარს.
უძლებს შემოტევას რამდენს ცარგვალის ძუძუ გამომშრალი.
მეც მიკვირს. ჯერ კიდევ მიცოცავს ღრუბელი ფიჭვის კენწეროზე.
ლაჟვარდმა მოციაგემ ნაჭედი ოქროს გვასმინოს წკრიალი —
მისგანვე ნაშობებს ციდან დაშვებული შეგვაბას შიბი.
ნიავის ბიძგი და... ქანაობს წიფელის ნამცეცა ბუძგები:
გული უმწიფდება ნაყოფს — საზრდოა ჩვენი სამომავლო.
არ შეკრთეთ. კამეჩებს თუ გადავეყრებით ტლაპოში ჩაყრილთ;
შუბლზე გასწოლიათ ფართოგავიანებს რქები დარხეული;
ნულარ დაგვაფეთებს იმათი (დასიცხულთა) ფრუტუნი. ფრთვინვა.
ერწევათ ტანი. ასე ირწეოდა პირველად მიწა. სველი. დაწურული.
ყველს ჰგავდა ამოყვანილს. წურწურით დასდიოდა ნაღვარი მღვრიე.
იღლება თვალი. ყური. ენაც... სანახავს ენაცვლება სანახავი:
გულამოცლილ. შეგულებულ კუნძზე ნადავლს დაიდებს ჟანგისფერი.
როყიოდ მყივარი ქორი; დაუმიზნებს კაუჭა ნისკარტს.
დაკორტნის. დასცხებს კლანჭებშივე გაგუდულს. დააძღება.
ხელებს ავიფარებ სახეზე. თავზარს მცემს სადილი სისხლიანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ მიაყენა ნაპერწკლებდახვეული, მობზრიალე სალესი ქვა —
იკლებს, იკლაკნება მოკლულ წყალში გვერდებმოცვეთილი მთვარე
ტვინი ჩემი, დაფხვნილი, დანამცეცებული, ფოსფორით იტენება,
ვკვნესი, თითქოს ტანში დანამცეცებული მუგუზალი შემიზილესო,
ავეგზნე, ალმასის მტვერი დანაყილი, დამსერავს, მაგორავებს,
დაბურღულს, ქვა-ღორღზე დამერღვევა ფერდები ნაღარი,
ვირევი, ვარვარა რვალის სხეულს შერჩენია მხურვალება...
ჟინი გაყიებულ ხორცშია დაფლული წითელი ჰურივით,
აპრილი სისხლის მოჭარბდა მაჭარი და უცხო სერობას,
მილეულ შუქზე დამცხრალი მთვარისა, ზემოდან დახედავ...
ზაფხულს, მინავლებულს, აცილებენ ატკრაციალებული ალები;
ერთი — მწვანეთვალება შავთმიანი — შეცვლილა და მაინც შევიცანი,
გლუვ, საფერებელ მხრებს მოსარკული ბუშტულები წყდება,
გაზნექილ ზურგზე აგორებული, ტერფებიდანვე აყოლილი,
გააპე თავით გუბე ვერცხლისფერი; მოწყდი, გაიღე დგაფუნი,
გაფინე ზოლი ქაფიანი, ნელნელა დაშრება შრიალი,
აიშლება ნაღეჭი შლამი, ირმის ნაჩლიქარში ჩალექილი...
ჩქოლებში ატყდება ჩქროლა და ჩოჩქოლი, სისხლი აჩქამდება,
გამქროლავო, იჩქარე, იჩქარე, სანამ გამქრალა მოჩვენება...
დამბალა ბიბლილა ტანდაბალი, თივა — დახვეული ბულულად...
წრიალებს მუხის ფოთლის ლანდი, მთვარეში მაღლიდან დაფენილი —
იტყვი, ცახცახებსო სალამანდრას დაკბილული თავ-კისერი;
ბრჭყალებით ჩასჭიდებია ნაურმალ მიწას, რომელსაც მერე,
(დამძიმებულს, ატალახებულს) მოწყვეტილი, მუცლით გაეკვრება...

არ მსურს განახლება თაკარის დახლილის; მზით განახელები
ლანდი მორაცრაცე, მხურვალე, ჩვენი, ქვებს ეცრიცებოდეს...
ავარდნილ კორტობზე სხვა მინდა გადმოდგეს მენალარე;
აღარ ირიდებენ სიყვითლეს შეპარულს ფოთლები დაღარული,
მიუვალ ციხეთა ამღები, წითლად დამღებავი, დაძრულა ღაშქარი...
მორჩილმა ვარჩიე — სული გარჩენილი ღრუბლებში — გადიქცეს ქარად,
ახვეტოს ზაფხულის ნამუსრევი, განელდეს დამბუთველი ხვატი,
მგზავრს — გვემულს, ოფლიანს — შუბლი გაუგრილოს, აგემოს შვება,
იცნოს ხორციელმა სთველი — სიტკბო, ჩამცვრეული მარცვალში,
დამალოს, შეაკავოს ბინდმა ჩრდილები კევივით გაწელილი;
დაბერა, სულ მალე სრბოლას შეარბილებს ბორბალი ბრიალა.

III

მკლავს მოღლილს ტყვიასავით ნაკრავი, მოტრიალებული კითხვა:
რა ვუყო ჩემს ძველთაძველ, შემოჩენილ მტერს — მარტოობას?
ბევრჯერ შემატოვა სადარდელს, უფრო ამ დროს იცის შემოტევა,
ვუსმინოთ, რას უსტვენს ქარში ღელი — ბუმბულა, ფოჩიანი,
რას გვეჩურჩულება ჩვენ — ჩალის, მოჩეხილის, ფაჩუნი...
საგანძურს აჩენდეს ქვეყანა, თვალის საამებლად გაჩენილი,
გადაღმა რთველია, მღვრიე ალაზანი მზეზე იზლაზნება,
კუდს იქნევს ცეცხლი, ტყავდება, იშიგნება საკლავი დახოცილი,
ბალახს შეახოცავს მოხუცი გლეხი, შავტარა, სისხლიან დანას;
ვის უნდა ნეტავ მსხვერპლი ამოდენა, რომელ ღმერთს შევტირო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაცის თავს ნაცრისფერს, წამოცმულს სარზე, შეკვრია კრიჭა,
ენას დაბჯენია კბილები საცოხნი, ვერ წაეტანება ნარგავს...
დოქს, დაცლილს ნახევრად, ტორს დაკრავს, გაუდის ჟრიალი,
დალოცავს მოსავალს მოსეულს ხელებდაკოჟრილი მეზვრე...
წამით წამოდგება სამების ქედი, ეზოში შემალული ოდა.
იღვრება ღია ტალავრიდან იზაბელას სურნელი წასაქცევი,
ვიქცევი კიდევაც. ნესტოებს ულიტინებს ჰაერი მთვრალი,
საწნახელს ეხლება გვერდები, ტკბილში ვარ გაწებილი.
გვიან მოვეგები გონს, რძიანა ჟვეროებში მოგორავე...
ველარ ვიგერიებ სიბერეს ყრუს, მტკივა ხერხემალი მაგარი.
აქ დავრჩეთ და გემოს შევიტყობთ ველური თაფლისას,
ვერ გვიხსნის სოფლის გახსენება, ტყეა უტყუარი სადგომი ჩვენი.
დახედავ ნაღვლიან მაღლობიდან, რა ხელმა დახატაო, იტყვი.
დახრამულ ფერდობზე, დახრილზე ცერად, თვალი ეხეტება,
მნათობს ეხუტება მთა დაცხავებული — მზეს მიფიცხებია...
თითქოსდა გვერდიგვერდ ტარით ჩარჭობილა ათასი ფუნჯი —
წითლად და ყვითლად ბეწვებწათხუპნული, ხასხასა მოლზე
შესამშრალებელი; ისევ წიფლებია — საბურველმორღვეული,
ფერნაცვალი, ტანში გაჯდომიათ — სიმწიფე, დამსერავი კანის.

წრემ — ხვრელმა მსახვრალმა — ბევრჯერ დამანახვა ყოფნის უაზრობა;
სხეულს მაცოცხლებელს, სისხლით გატიკნილი მოწყდება ტკიპა,
მრგვალი, მეწამული, სიმაძღრით მოკლული, ნაწამები;
ახლავს შემოდგომას ხვავრიელს სისავსე, გაჭრობის ნეტარება, —
გაწყდება სიმი დაჭიმული; მჭამელი უნდა მოკვდეს, წესია.
ვინაა გამგებელი ცის გარდა, ვერცრა შეაკავებს გარდაუვალს.
სელი ამოსულა სათესლე. სიგრილემ წყარო ამოსილა.
იღვიძებს სილენი. მეტია ახლა მასალა სამკობ-სამოსელი.
შეირხა ტოტი. ჭაბუკში ტანადი, მოქნილი იცნობა ადონისი.
ის შიშობს, იშმუშნება; შიშინებს დამღა — უკვდავთა ნიშანი.
მსგავსად სილენისა, მთლად დაეფოთლება, ჯიშიანს, მუხლები მაღლები,
ალმართში მოღლილები, არ გაედევნება ამალას ამოვლილს, ნაღვინევს...
ღუღუნა, გაღუნული, შესტირის ამოწვერილ, ალანძულ მთვარეს
თლილი თითების გაგრძელება — სირინგი მჩატე; სანთლით გაგლესილი...
ვაჰთუ არ ისურვოს გამოჩენა კისკისა ალმა, კაცთა საკვდავად გაჩენილმა,
დასვაროს შავსისხლმა წვიანები, სუროთი, დასერილ-დასვირინგებული.

მზეც ნელა იხრება, ჯაგნარში ვეება მოობრავს ტახი,
ჭრელს და გავეშებულს თავი აუშვია, ეშვები მრუდე
დინგს სალტედ ეკვლება და ქაფი ყვითელი შავ ლაშებს ალტობს...
წვრილ ტოტებს იგერიებს და კობრის ფხასავით აშლია ჯაგარი...
წამიც და მოღვედილი ჭაბუკის მან უნდა გაფატროს თეძო.
სუნთქვა შეაყენოს ამაყი, გაყინოს სახე გაბადრული...
თოკს ჩამოაცვამენ მკვლელსაც ბატარა მდევრები ფრთიანები...
ბარკალს მოთახთახეს შებორკავენ. მთას შეძრავს ხროტინი მისი.
იწყება ფოთიალი. გვხმობენ დაფდაფები მწუხარე. უნდა შეეგროვოთ
დაფეთებულებმა ღმერთის, დაღუპულის, ნაფლეთები, უნდა დავიტიროთ
სახე დაბზარული. მოზრიალე. თვალები ჩამქრალი. უაზროდ მაცქერალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიხატეს სახე ბახუსისა. ახლაც გაოცებს ბაჯბაჯი, დანახვა მისი
ჩაწნული მაჯებზე მტევნები საჯიშე, შავ-შავად დაცრემლილი
იჯერებ სიცხადეს ამ სასწაულისას, თუ ხელში მოჰყლიტე
და ჩამოიღვარა ბანგი, შემთხვევით გაშვერილ თითებზე, გასაქრობზე.
მინდა — დაწნეხილმა, წაბრილმა, მწუხარემ — თავს შემოვუძახო:
სიზმარი, მეტ-ნაკლები მოლანდებაა ყოველივე, მოჯიბრეკ ჯაბანო,
ტყუვდები. ნუ ფიქრობ — გადარჩე. შეხება თუ ამჯობინე ხილვას.

ღამდება ადრე. მზეს უყვარს საბუდარში ამ დროს დაბუდრება —
შევარდენს მძინარეს, მქროლავს, დასცვივა ცრემლები ოქროსი.
საზრუნავს უჩენს ძალა უჩინარი ბუნებას ორსულს,
ტოკავს მომლოდინე ალერსის, ჭანარი ჯილეში გალურსული.
ირწევა ჭანჭრობი. გვსუსხავს ბუსუსები ბებერი ჭინჭრის.
ჭყლაპუნობს გუბე — გვიახლოვდებიან აჭყლოპინებული ელფები;
ფოსფორის ანათებს ღველფი, აზელილ თიხაში ეფლობიან.
მოთხვრილ ფეხისგულებს დათხრილი ფესვები სოკოსი, წვრილი,
ევლება გვირისტად, მიწა დაგლესია პაწია კვირისთავებს.
იმატა გნიასმა. გადიხსნა ვარდებში იმათი დედოფალი;
მას სძინავს. მწადს ვიხსნა უხმო და უხვი. მოვხვიო ხელები
და ავხსნა გრძნება ჯადოქრული. გამქრალ ყვავილებში იქროლოს
მემართა წვეულება ღმეროების. ღრეობა აქ უნდა გავმართო...

აუწერელი საოცრება ჩაიმარცვლება ოქტომბრის მიწურულს;
გადაბმულ გორებს ხანძარს შეუნთებენ თრიმლის ყინყღილები.
დამცხრალა მზე ცხარე, მარცხიანი, უფრო და უფრო იცხრილება —
ყღალი, აფოფრილი ფოთლების აფრა, მზისკენვე გასაფრენი;
ჭრელ კალთებს გიშრიალებს, გიშერმა ქარვა შეირია.
ნიადაგს ნაშალს, ყამგადასულს, ყანგად მოსდებია ნეშო.
შეშვენის ქმნილებას ღვთიურს, შიშველი მკლავების მოქნილობა,
ვაზებს, საადრიოს, ედრებიან კუნელს ჩაკონილი დრიადები...
რა უნდა მოეფიქრა ზენას მცენარის ენაზე უნაზესი.
დრომ შეკრა ეს ბურთი მიწისა, ოთხ მხარედ მოხარა;
მან გადმოგვანთხია, ჩანთქმასაც დრო ითხოვს, ოთხად გახლეჩილი.

სად ჩარჩა ის წლები, ალი რომ ასდიოდა გაკვერილ ბეჭებს.
მზეზე გაფიცხებულ, გადაჭრილ ნამჯასავით მიხურდა მკერდი.
რამ შებოჭა გაგრიალებული სისხლი, ასე რამ გააგრილა...
ეშვება ჩაზნექილ ყაფაზიდან, ამობრუნებულ ჭიპთან იმალება,
დასაფუშ ფაშვზე, ვიწრო, შავად აკვამლული ბაწარი ბეწვისა —
გადავრჩეთ შემცივნებას მცენარედ ქცეული მცონარენი.
გრიგალს ცივად დაგრაგნილ ღრუბელში გაუყრია ფესვი.
იქედან ეშვება და ტანში წურავს მოწრიალე ალვას;
ვიდრე ციტატებს, ტოტებს ჩამოლეწილს წელზე ულაწუნებს...
ამ შუღლის, ამ შეხლის, შეუღლების — ძნელია დაწუნება.
იცლება ქეჩა წვიმის, გამურული, შხივის ქონიანი ტაფა —
შაშხი აშიშხინდა; აუშვა შვავმა რუხი ობშივარი.
დაუშვებს ყგეთი — იტეხენ კისერს ახალგაჩენილი წვეთები,
ნემსად ეყრებიან ერთმანეთს, ივსება შეშვერილი პეშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძანძალებს ყავარი აყრილი, გაუჯდა სიშავე დაძენძილ საბელს,
ბრწყინდება დამსკდარი ბუშტები წყლისა. ისმის ღაპა-ღუპი.
ასე იღუპება ნაყოფი მწიფე, ტალახში ყუნწით ჩასობილი.

დამდაგავს დამდეგი ნოემბრისა; ქარდაკრულ სუროს კანკალი.
ბინდი მომენატრა. დღის ნათელს გავეყრები ყარყუმისბეწვიანს.
ხმა მეტყვის უტყუარი: თანვე ჩაიყოლე, მალავდი რასაც,
არ ღირს მზის ყურება, ყურყუმა ღამეში ჩაყურყუმელავდი.
დავუსვამ ხელისგულს ხეების მონატრებულ, გატრუნულ ტანს.
ნაღველი — დამღალავი, გაუქარვებელი — ქარს მინდა გავატანო.
აღარ მსურს მახსოვდეს — საწუთრო მუქი და ბედის მუქარა.

დაშლამულ ბილიკზე ახლა გულსაკლავი იშლება სურათი:
წიფელას წაქცეულს, სიგრძივ აჭრელებულს, ეტყობა დაშლა,
თეთრ მუცელს ხავერდად ხავსი გადაკვრია — ხასხასა, თხელი,
თითქოს დაყურებდე მკვდარ ზვიგენს ვეებას, სილაზე გამორიყულს, —
შეგაყენებს ნაოჭა, გაყინულ ყელთან ჩამარყუეებული ფარფლები. —
მატლი ჩაჯდომია ტიტველი, ექავება დალაქავებული ქერქი.
ქანაობს ჭალა დატბორილი. ზურგს არ გამოაჩენს შავად —
წყალში ჩამალული მეჩეჩი ჩემი. ვიცი, ქრიალა იალქანი
ტოტებდავარცხნილ, ვერცხლისფერ ვერხვის, ჩამომეჩეჩება თავზე.
ენის წვერს წვავს დაფნის ფოთოლი — მჭრელი, ნაღეჭი, დაფლეთილი...
მეყნოსა სიმძაფრე მწარე, მარცვლებად დაგორებულ თხის კურკლის.
ცაც მალე ჩამოყრის მერეხს. ვატყობ, აქ ახლოს თავღია ფარეხია.

საკვირველია — სხვისი ტკივილი მე უფრო მჭირს, ვიდრე იმ სხვას;
მგლეჯს, მჯიჯგნის, აღარ მეშვება, თუნდაც საუკუნე გასტანოს.
ბოლოს რაღა მეშველება, გაფიჩხულს, აღარაფერი რომ არ გავა.
ვინ დაიტრიალებს დანას, ვინ იტირებს სხვების სატირალს...
ყველა სიკვდილმა (უკლებლივ) მე უნდა ამიწვას გულ-ღვიძლი.
მაშხალებიანი მდინარის შხუილი მაინც ჩამესმის შუალამისას.
ბევრი გაიფიქრებს — ვინ რჯის, თავს რაზე იტანჯავსო.
ისედაც ქვესკნელის არჩევი ვარ, წამებაში ვარჩიე გაქრობა.
ძირი ძირზე მაქვს გადასკვნილი, მაინც მერამდენედ ვკვდები.
ვჯაჯგურობ. მიწას ვპოტნი. არადა, იქედან თუ გამოხედავ —
მოსვენებაც კარგია; იგი (სამწუხაროდ) გასვენებას მოსდევს.
თავიდანვე ვინ გამომიხმო, გამომტყუა არყოფნას ასე დატენილი...
მიწას უხვს, მაწიერს ამ ერთი ცხოვრებით ჩვენ გამოვეყავით,
მერე სამუდამოდ რომ ვიყოთ მასთან, ჩავუწვეთ, ჩავეწვეთოთ.
სიცოცხლის დამლევს, ნიადაგში უბრად ჩაბრუნებული თესლი
თავს არ დამალავს; გაილანდება ალზე კვერცხი დამამლული.

რქამ იცის — როგორ ამოხეთქოს (ორგან) კვინიხი მოზვრის,
რკომ იცის — დაკენკილი საყელო როგორ მოურგვალოს ნაყოფს,
როგორ ჩამოაცვას პრიალა თავზე. დაკუთხული წიწიბოც
შემოიცლის ბოლოს ანატკენ კანს, თეთრ გულს გამოაჩენს.
გაბურღავს საშოს და საკანს ეკლებიანს გადახსნის წაბლი.
მე უბედურს რა ღმერთი გამიწყრება. ისე რა შემიკრავს ხელს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან რა დამაწყნარებს, ამ საწყალობელ, დამეწყრილ მიწაზე
ჩემი უხმო, დათავთავებული ტკივილები რომ არ დავაწყო.

IV

კარზეა მომდგარი მზისა და მთვარის გამასტუმრებელი მისტერია.
აღარას მივტირი, ყველაფერი ისედაც ხომ უნდა განჭარდეს.
ბედი უცვლელია, ყველას თავ-თავისი ეცლება იმედი.
უ ეოთლო, გაჩხოტილ ტოტებში გადი-გამოდიან ფიფქები;
მოლანდებასავით გამკრთალი, მსუბუქი, ქარს თავის ნებაზე დააქვს.
სრიალებს ირგვლივ ჟამი უსასრულო, ჩამქოლი, შემმუსრავი,
ჩქარია, ვისაც ჩაჩოქილს ჩაუქროლა, ჩაუქრო სიჩაუქე,
დატორა, დატოვა ბორცვი, ჩუმი ფანტელებით ჩაჩუმქრული.
სიცოცხლეს — ხსოვნაში ჩარჩენილ უჩინარ სრბოლას ჩვენსას —
როგორ შემოვავლოთ რკინის ჩარჩო — უფსკრულთა შემკრავი;
ძნელია, გულს — ქვებში გაპექილს, მფეთქავს — არ ექნეს გასაქანი.

ერთი მარტოკაცი (ბუდას მიმდევარი) რვაასი წლის წინ
ამ სოფელს განერიდა, სიმივით მისი მე ჩამესმის კვნესა.
დილის მომლოდინე, გუნებაწამხდარი, იჯდა და წუხდა:
ტყე-ღრეს მივაშურე — „გზა" გამესრულებინა, სული მეხსნა;
ვერ გადავარჩინე, ლაფსა და უწმინდურებაში ჩავეფალიო.
იწვალა. ვერც ლოცვა აღავლინა, მე რაღა მეთქმის.
მანამდეც, ვინ მოსთვლის, უცდია რამდენს ელვაში დამალვა.
თავს როგორ ვეკვეთო, დავფქვა თავისქალა საკუთარი.
დაუმცხრალ, ცხელ სისხლზე გადადგმული. მე ვარ წისქვილი;
უნერჩო, ოხრად დარჩენილი, ქედს ეხრი და ვხრიალებ.
არ მინდა, აღმომსკდეს მოთქმა, ამოვაყოლო ჩაყეყილ ყელს:
„უფალო, წყალივით დავიღვარე, ძვლები შეიმუსრა ჩემი,
ცვილივით დამიდნა გული, ჩემსავე შიგნეულში ჩაიწურა".

დამდნარ, გამოფიტულ სახსრებს ტკაცატკუცი რომ აუტყდება, —
იდაყვებიდან თავს ამოყოფენ ტყავგადაკრული, ხმელი ჯოხები,
ფოტრო — რუხ და ყავისფერ ჯოყრებად ამოიყრება ლავიწები,
ქასრის მოდრეკილ, დატეხილ ფიცრებად გადავთვლი თხელ ნეკნებს,
აბედა სოკოებად მექცევა მჭკნარი, ნიყარებდახვეული ყურები,
ყელზე ორი მუჭისტოლა, გაყვითლებული ლიმონი გამომებმება,
დაოსებულს წითური, წელგანასკვული ჭიანჭველები დამესევიან,
გაჟიჟინდება დატოტვილი, ყვითელ გუგებში გაჟონილი სისხლი —
უკვე თავდებიო, მაუწყებს მტვერი, დაბზარულ კოჭებში ჩამკვდარი,
მოწყურებულ გველეშაპს შეუსვამს მოუღლელი ღელე — სვე ჩემი.

ცამ ჩამცა მახვილი, ჩამწარებულია (თუ იყო) სიამე ყოველი,
იყივლა მამალმა, იწყება მოსაწყენი, თავბოლომოუკრავი ტანჯვა
(რომც გავხმე, მე ზარს არ შემოვკრავ, არც ვუხმობ არავის),
რაღაც საშინელი, უსაშველოდ დიდი დანაშაული აქვს ჩადენილი
მატყუარა ტყავში ჩატენილ ადამიანს (თუნდაც ის, რომ გაჩნდა),
თორემ აქამდე ხომ გამოჩნდებოდა საიდანმე პატარა საშველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ დავთვლი. მათრობელა საწუთრომ რა ცოდვებს მომასწრო.
უდროობას ვწუწუნებ. თუმცა ათასი წელიც რომ ეჩუქებინათ.
მაშინაც ვერ მოვასწრებდი მეათასედის თქმას და დალაგებას;
თვალწინ ნაკუწ-ნაკუწი. ძუნწი. კონწიალა სურათებია...
აღარ მსურს — მესეოდეს ასე უსასრულოდ ხილვები უსუსური.
მიჭირს. არც გამომდის ჭრელ-ჭრელი ნაჭრების გადაბმა. გამთელება.
ურჩხულებს გვანან დაშიშვლებული. ხელებგაფარჩხული ფესვები —
ქსელავს. მორგებია მორგვებს კიდეებმორღვეული ძველი გრავიურა.
ვირევი. სურათში თვითეულში ღვთის ხელი (უხილავი) ურევია.
ეს ღამეც გავათენე. გათელილს. ნათრევს მექცა სანატრელად —
გასრულდეს სიზმარი — სათუთი. მჩატე. ვერცხლის სათითეში ჩატეული.
რა არ დაიხვია მჭლე თითისტარივით დაბზრიალებულმა წელიწადმა;
ჩვენც დაგვღლის. ძარღვებდაბერილებს. მის კვალდაკვალ ბორიალი...
აჩნია მკერდზე მუხას ხანიერს ნაჭდევები. დგას ნაჭიდავები
ათას ქარიშხალთან; მისი ჩავინერგოთ. ვირგუნოთ ჯიში — უკვდავება.

ფუთფუთა. შეფუთული. გადნება წკვარამი და შეგვეფეთება
კორომი ნაძვისა — მწვანე. წაწვენილი. დალმართში გაქცეული
(წამით თუ გადაუსწრო სასწაულმა. უფსკრულის პირას შეაჩერა).
ვიგრძნოთ გაავდრება ნაადრევად და დროც შევარჩიოთ გასავარდნი.
ცვარს იკრავს აცრემლებულს. მუხლამდე ასორსლილი სურო.
წყავის ტოტებზე — დაგრეხილზე — ნიკაპი. ხელ-ფეხი გვიცურდება.
წვეთების წკაპუნი გულს — ასაფეთქებელს — შემართავს წკიპზე.
გაცრილი საოცრების მხილველი — უეცრად ფართოვდება თვალები —
სოველი ვერ იგნებს სავალს. ვერც მალავს გაოგნებას
(ულხვება ყინულის იარა. ყველაზე ღონიერი ახლაა მიწა).
გუგუნა. მოსრიალე. გადივლის ნისლი და... ჩვენც ავიკრიფებით;
ტალახი. ლოხი გალახული. ვეღარ შეიხახავს ნაკვალევს ჩვენსას.

ჰა. სახლი. სალხინოდ მოსახმარი. მართალი ყვავილებით მორთული.
ეგებ ჩემს აღსასრულს ვეგებები. ეგებ გადავშორდი სამანებს..
შევიძელ. რისი აშენებაც მასალამ უბრალომ დამანება.
ორად გაუყვია ბუნება ჩვენი დაბნეული. ნებაა უფლის —
ბოლო გზას გაუყვეს კეთილიც. უგვანიც. გვიან თუ მალე.
შექმნილო. შექმნაში (თავიდანვე) დაშლა და ოღვევაა დამალული.

ვეხეტე მოღლილი. მეწადა მოხატვა მაღალი საკურთხევლის...
ვის ახსოვს. არც არას თხულობს — ოფლი და სისხლი დანთხეული.
მოსინჯულია. გულდაგულ. ოთხი კარი. ოთხივე კედელი.
ავზნიან თავზე გამოვცადე — ჯზა კოდვილთა არსაით მიდის.
ვიხილე ნახული ათასჯერ. მწუხარე ფრეში ვართ ჩაწნეხილი.
ვეძებე საბაბი არსებობის. ვწუხვარ. არ ამოხმეს ძირი.
ბადეში მოხვედრილი. სიმწრით იბადება ყოველი ეაცი.
ვარსკვლავსაც ყოველს. ცაში აქვს თავისი ბუდე ცეცხლოვანი.
ციდანვე ჩამომძახის საყვირი. დაწყებას დამთავრება უყვარს.
რას არგებს განწირულს წამალი. წამებას ამაოდ ვემალები.
ვიგემე მე. მიუხვედრელმა. ხვედრი ნაადრევი. მწარე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნინო დაბრუნდაშვილი

ხარის თვალი

მოთხრობა

დიტომ წვალებით მოთრეული ბოლო გოდრიდან ყურძენი საწნახელში ჩაყარა. ფეხები სპილენძის თასში ჩაიბანა და თავისი უხეში ტერფებით დაუწყო ყურძენს ჭყლეტა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საწნახელში ჩაკრულ ცოცხალ არსებას გვეძდა... ჯერ ცდილობდა ნელა უმტკივნეულოდ ეჭყლიტა, მერე გახელდა და დაუზოგავად დაუწყო სრესა. გრძნობდა ფეხქვეშ როგორ სკდებოდნენ ამობურცული, სისხლითგატიკნული სისხლძარღვები და ახლა ერთი სურვილი ჰქონდა, ისე დაეწურა ქვეშ გაგებული ხორცი სისხლისგან, რომ ერთი წვეთიც კი არ შეერჩინა. ოფლად გაღვრილი დაღლასაც კი ვერ გრძნობდა. ფეხები მუხლებამდე წითლად შეეღება... აი ძაგის ჯანი კი შეგემატოს დიტო!

სოფელ სახარიაში სულ რამდენიმე მოსახლეს შემორჩა ვაზი, და იმათაც ყურძენი წვენების „დამზადებაში" თავისი ფეხით მიატანინეს. დიტომ ნაწილი ჩააბარა და ნაწილი გადამალა ღვინის დასაყენებლად. მის წინაპრებს ყურძნის წვენი არ უსვამთ და არც ის დალევს. ხარისკაცებმა რომ გაუგოს, დასჯიან ურჩობისათვის, მარტო იმათა აქვთ ღვინის დაყენების და სმის უფლება. მხოლოდ ხარისკაცებს შეუძლიათ გაუმკლავდნენ ღვინის ბოროტ ძალას. დანარჩენებს აშინებენ, ფრთხილად იყავით, ერიდეთ ვაზს! მის მტევნებში ავი სულია დაბუდებული და ცეცხლზე თუ არ წამოდუღდა და გასუფთავდა, ის ავი სული თავისით ადუღდება, შიგ დაიბუდებს, სისხლში გაგიჯდებათ, მოგწამლავთ და თავგზას აგიბნევთო... მაშ, საკვირველი არ არის, რომ უცეცხლოდ ბუყბუყებს და დუღს. ამიტომაც სოფელ სახარიაში დიდი ხანია ვაზი და ხეხილი გაჩეხეს, სიმინდის ყანები რომ დაეთესათ და გაემრავლებინათ. ახლა დილიდან საღამომდე სიმინდს დასტრიალებენ თავზე და უვლიან. ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი მოსავალი მოიწიონ, სოფლის შუაგულში მდგარი ხარისკოშკი, რომ აავსონ სიმინდის მარცვლით. შეიძლება ამიტომაც ხედავენ სახარიელები ძილში ყოველ ღამე ერთი და იგივე სიზმარს. ზურგზე გოდორაკიდებულები ადიან ხარისკოშკის გვერდით აძავალ კიბეებზე და ყრიან სიმინდის მარცვლებს შიგნით. სძინავთ და მაინც შრომობენ ძილში... გამთენიისას კი ხარისკაცები სწორედ მაშინ აღვიძებენ დოლის ბრახუნით და ზურნის ჭყვიტინით, როდესაც სულ ცოტა რჩებათ ხარისკოშკის ავსებამდე... მერე მთელი დღე სიმინდის ყანებს დასტრიალებენ თავზე და ისევ მომავალი ღამის და სიზმრის იმედითღა ცხოვრობენ. ან ცხადში ან სიზმარში მაინც ხომ ააესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ იმ გაუმაძღარ ხარისკოშკს. სხვა სიზმარი არ არსებობს მათთვის და არც სჭირდებათ, ყველა ერთნაირად შრომობს და ერთი მომავალი ასულდგმულებთ...

სურწყუნისის თვეში დიტომ თვითონაც არ იცის, რა ჭირი დაეტაკა და რატომ ნახა ის უცნაური სიზმარი, რამდენიმე დღე გარეთ არ გამოსულა. მერე დიდხანს შეშინებული დადიოდა და იყურებოდა გარშემო. ეგონა სახარიაში ყველამ იცოდა მისი შერცხვენის ამბავი. მართალია. მალე დაწყნარდა. მაგრამ სიზმარმა თავი არ გაანება... ისევ განმეორდა... მკვდარი მამამისი ეხლა თითქმის ყოველ ღამე ჩამოდიოდა სიზმარში სხვენიდან. ძველი დოქი ჩამოჰქონდა და უხმოდ აძლევდა შიგ დამალულ, გასანთლულ ქაღალდს, რომელზედაც ღვინის დაყენების წესი ეწერა. დღისით დიტო ცდილობდა არ ეფიქრა თავის სიზმარზე, მაგრამ ღამით მაინც შიშით წვებოდა დასაძინებლად და სიცივეატანილი ეკვროდა ცირას. გრძნობდა, როგორ ელეოდა ნებისყოფა დღითი-დღე, წვეთ-წვეთობით და ბოლოს ისიც იგრძნო, რომ სულმთლად დაეცალა...

დიდი დღესასწაულის, „ბოსლობის" ბოლო ღამეს ავიდა სხვენზე, იპოვნა ის ძველი დოქი და შიგ დამალული გასანთლული ქაღალდი... დიდხანს შიშით დასცქეროდა... იცოდა, ამ ქაღალდმა დალუპა მამამისი, ვინ იცის, ეგებ იმანაც ნახა უცნაური სიზმარი და მოძებნა ძველი ხელადა... დიტო მაშინ პატარა იყო. ცოცხალი მამამისი არც კი ახსოვდა. სამაგიეროდ მისი სიკვდილი დაამახსოვრდა კარგად. ხარისკაცებს ვიღაცამ ამბავი მიუტანა, ღვინო დააყენა თქვენგან მალულადო და თავისივე ნამოქმედარს საბრალო ზედ წააკლეს. დღისით, მზისით მოუცვივდხენ... დიტოს ახსოვს, როგორ მიათრევდნენ მიწაზე, რომ ქვევრში ჩაეხრჩოთ...

— ბიჭი... ბიჭი გაიყვანეთ აქედან, თქვე ოხრებო, ნუ დაანახებთ ავკაცობას... დიდი ცოდეაა შვილმა მამის სიკვდილით დასჯა თავისი თვალეთა ნახოს. დაამახსოვრდება და გააწვალებს ბრიალებდა მამამისი. მაგრამ ყური არავის უგდია. უზარმაზარ ღვინით სავსე ქვევრში ჩააგდეს და ზემოდან კომბალი დრუზეს, რომ არ ამოყურყუმალავებულიყო. მერე დამხრჩვალი ამოათრიეს და თუთის ხეზე დაკიდეს... მხოლოდ მეორე დღეს მისცეს უფლება დედას, მამა რომ დაემარხა. ისე დაასაფლავეს, ცრემლი არავის გადმოუგდია. სოფელ სახარიაში ტირილი აკრძალული იყო...!

მართალს ამბობდა მამამისი, შვილმა არ უნდა უყუროს მამის სიკვდილით დასჯას, თორემ ერთხელ ნანახი მთელი ცხოვრება მოწამლავს და შურისძიების გრძნობით აავსებს. მამამ საკუთარ ტყავზე გამოსცადა და იცოდა. მაგრამ დიტოს აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მამამისს სწორედ ამის ეშინოდა. რადგან კარგად იცოდა, დაკნინებულ ქვეყანაში, როცა სამართალი დუმს, მონადაქცეული ადამიანი მხოლოდ შურისძიების გრძნობით ივსება. ვერც იმას ხვდებოდა დიტო, რომ მამამისი თავისი ნებით არ მოვლენია ძილში და რომ წლების მანძილზე იზრდებოდა და მწიფდებოდა თვითონ დიტოში ის უცნაური სიზმარი, რომელსაც შურისძიება ერქვა. ერთი რამ კი ზუსტად იცის ბიჭმა, თუ გაუგეს ხარისკაცებმა, ძვირად დაუსვამენ ურჩობას. ცხრა პირ ტყავს ააძრობენ ზურგზე... იმათი სინდისი კი გაწყდაო, უნდოდა გაეფიქრა, მაგრამ ვერ გაბედა... ცდილობდა მალე მოეთავებინა თავისი საქმე, იქაურობა მიელაგებინა, რომ დანაშაულის კვალი არ დარჩენილიყო. ახლა მარტო იმის ეშინოდა, მაჭრის ბუყბუყს არ გაეცა, ან ღვინის სუნს არ დაესმინა. იცოდა ახლადდაწურულ ყურძნის წვენს გაუჭირდებოდა თავის დამალვა. მერე, როცა დაღვინდება და დაწყნარდება, ვერავინ გაუგებს. მთავარია, ახლა მიჩქმალოს როგორმე თავისი „ურჩი" საქმე.

მეორე დღეს ისევ ღამით ჩავიდა და

ქვევრში გადაიღო დაწურული ყურძენი ჭაჭიანად. სარდაფში მძაფრი მოტკბო-მომჟავო სუნი იდგა. ახლა მთავარია დაღვინდეს და მერე ისე გადააფარებს მიწას ქვევრს, რომ ეშმაკიც კი ვერ მოძებნის.

რამდენიმე დღეში მაჭარი ადუღდა. ქვევრის კედლებში ვერ დაეტია, ამოიწია, გასივდა და ჩენჩო ამოანთხია შიგნიდან. დიტოს შიშით არ შეშინებია. იცოდა ასეთი იყო ღვინის წესი. ყოველ ღამით ჩადიოდა და საგულდაგულოდ უვლიდა ბურტყუნა მაჭარს: წმენდდა. ამშვიდებდა...

ბოლოს, როგორც იქნა გახედნა, დაწყნარა და ქვევრის კედლებში ჩაკეტა. ესეც შენი ეშმაკეული სული, იბორგა, იხვნეშა და გაქრა. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა დიტომ, რომ ის სული არსად არ წასულა, უბრალოდ მიყუჩდა, ჩაუსაფრდა და შესაფერის დროს დაელოდა...

ნელ-ნელა ღვინობისთვეც მიიწურა. ეს დიტომ იცოდა, რომ ღვინობისთვე იყო ,(იმ გასანთლულ ქაღალდზე ეწერა ასე), თორემ სოფელ სახარიაში დიდი ხანია არავის ახსოვდა ძველი სახელწოდება და ყველა ხარისშობისთვეს ეძახდა... ამ თვეში დაიბადა მათი მფარველი ხარი ხარება... ამ დროისათვის იტეხებოდა სიმინდი ყანაში და ყოველ წელს სწორედ ამ დროისთვის ელოდნენ მის მობრძანებას... მართალია ამჯერადაც ისე მიიწურა ხარიშობისთვე ხარება არ გამოჩენილა...

ჰინკობისთვის მიწურულში დიტოს მაჭარი დაღვინდა... ჩუმად ჩასული სარდაფში დიდხანს იდგა ქვევრის თავთან და ვერ ბედავდა დალევას.

ბოლოს გაბედულება მოიკრიფა ჭიქით ამოხაპა ღვინო და თვალებდახუჭულმა მოსვა... იგრძნო, ყელი როგორ მოუშხამა სქელმა, მჟახე სასმელმა. პირველად იუცხოვა, არ ესიამოვნა... გადაწყვიტა, უცბად გადაეკრა ღვინო, იგრძნო შიგანში როგორ ჩაეღვარა ცივი, მოტკბო სასმელი და ცოტა ხანში კუნთები მოუდუნა... გზადმოკრეფილი ოხრახუში მკლავზე დაიბ[illegible] მოდგინედ დაკეცა. ერ[illegible] ხვია და პირში ჩაიტენა. მეორე ჭიქა ისე ძალიან აღარ ემჟავა. პირიქით, სიტკბო უფრო შეიგრძნო. გული დასწყდა, რომ შესატანებლად პური არ წამოიძღვანია. მესამე და მეოთხე ჭიქა ღვინომ დიტოს ტანი გაუთბო. მოდუხებული კუნთები დაუჭიმა, სიმღერის და სიყვარულის გუნებაზე დააყენა... ხარისკაცებსაც კი აპატია ხარისკაცობა... ხე... ხე, ნახეთ რა არ ხდება ამ ქვეყნად, ჯადო ძალა მიეპარა, შეუჯდა კაცს. ვაზის ძალა მომეცაო, გაიფიქრა, კარები საგულდაგულოდ გადარაზა და ფრთხილად ავიდა სახლში. მიუწვა უკვე ჩაძინებულ ცირას, მაგრამ მოჭიმული სხეული არ მოეშვა. ჯერ კიდევ იქ იყო, სარდაფში და ღვინოსა სვამდა, მოეჩვენა, რომ ცირასაც იმ ღვინოსავით მსუყე, მომჟავო სუნი ასდიოდა. დიტოს უკვირდა თავისი უცნაური ყოფა და ვერ მიმხვდარიყო, რა დაეშართა. ვინ იცის მართლა ავი სული ზის ყურძენში და ადამიანებსა სწამლავს. ეგებ მართლები არიან ხარისკაცები. ღვინის სმას რომ კრძალავენ, მაშ ეს უცნაური ალი რატომ ედება ტახზე და ქალისაკენ იზიდავს. არა... არა... რა დროს ეგ არის, ჯერ გაზაფხული არ დამდგარა. ტახტის თავზე ჩამოკიდებულ ხარის თვალს არაფერი გამოეპარება... მთელ სახარიაში მარტო გაზაფხულზე ისახება სიცოცხლე, მათი მფარველი ხარი ხარებაც სურწყუნისის თვეში ჩაისახა. იმის შემდეგ არავისა აქვს სხვა დროს ჩასახვის უფლება. ამიტომაც იბადება სუყველა მხოლოდ ხარისშობის თვეში... მართალია, ხარისკაცები მაშინ იბადებიან, როცა მოესურვებათ, რადგან მხოლოდ მათ შეეწიათ ხარებას მადლი. მარტო ხარისკაცებმა იციან, როგორია მათი მფარველი ხარის სახება, დანარჩენებს ხარის თვალი ერგოთ წილად, მაგრამ სამაგიეროდ ის თვალი ყველაფერს ხედავს და ფხიზლად უთვალთვალებს ყოველ მათგანს...

ELIBRARY.GE

საბარიაში არავის არასოდეს ენახა არც ძროხა და არც ხარი.

— ხარებამ მაშინ აქცია ზურგი ჩვენს წინაპრებს, როცა ქვეყანა სიმინდის ნაცვლად ვაზით გააშენეს. ტაძრების ჩუქურთმად ყურძენი და ვაზის ფოთოლი ამოჭრეს. სიკვდილი და დაბადება ღვინით აღნიშნეს. მშიერი პირუტყვი ვაზს წააკლეს. საბრალო დიდხანს დადიოდა, საჭმელსა და შველას ითხოვდა, მაგრამ არავინ შეიცოდა. სანამ ის იყო ჩვენი მფარველი, ყველაფერი თავზე საყრელად გვქონდა. სიმინდით იყო სავსე ბეღლები და ჩალით საბძლები. — ქადაგებდნენ ხარისკაცები და ყველას სჯეროდა, რომ ისევ აივსებოდა ქვეყანა ბარაქით, თუკი მინდვრებზე სიმინდის ყანებს დათესავდნენ. დაუფასებთ გარჯას და პატივს ხარება... მაშ ტყუილად ხომ ა[illegible] დაკოვა თავისი თვალი. დაუნახავს სიკეთე[illegible]ლხს, აბა რას იზამს. მთავარია, მხიარულად იმუშაოთ. ცრემლი და ტირილი სასტიკად აკრძალულია, რომ ხარება არ დააფრთხოთ თქვენი დარდითა და ნაღველით. ღიმილითა და სიხარულით უნდა შეხვდეთ!

ვაზი თითქმის სულ ამოძირკვეს და რაც დარჩა, ისიც ხარისკაცებს ეკუთვნოდათ... მხოლოდ ისინი უმკლავდებოდნენ ვაზის ავ სულებს და ხალხს არწმუნებდნენ, თქვენი გულისთვის ვეწამებით და ვსვამთ, თორემ საშინელი მწარე გემო აქვს ღვინოს და შიგანს გვწვავსო...

ახლა სოფელ საბარიაში დილიდან დაღამებამდე შრომობდნენ, თავზე დაჰკანკალებდნენ სიმინდს. მართალია ღამე უშლიდათ ხელს მუშაობაში და ღამეს რომ ვერაფერი დააკლეს, ძილი შეიმცირეს... რა დროს ძილია, როცა წინ ბედნიერება და სიხარული ელით. მუშაობისაგან ინთილაგამოცლილები ძლივს მიდიოდნენ საწოლამდე და მკვდრებივით იძინებდნენ. ხედავდნენ სიზმარში იმ აუვსებელ ხარისკოშკს, რომელიც სოფელში საგანგებოდ ააგეს დიდი ხნის წინ. ახლა ყოველ წელს ყრიდნენ შიგ მარცვალს და ემატებოდა სიმინდი სიმინდს. როცა სულ ცარიელ[illegible]ბოდა მის ავსებამდე. რატ[illegible]ვისით უმაღლდებოდა ხარისკოშკს კედლები და ყოველწლიურად იზრდებოდა სიმაღლეში სიმინდის მარცვალი და მასთან ერთად კოშკიც. არავინ იცოდა, რამდენი წლის ნაგროვები სიმინდი იყო შიგ. ეს უზარმაზარი შენობა სოფლის შუაგულში იდგა და ყველა ორღობე თუ ბილიკი მისკენ მიდიოდა. ზედ გამოსახული ხარის თვალი კი ფრთხილად დარაჯობდა სიმინდს. იქვე გვერდით ჩამოუდიოდა მდინარე ხარისწყალა, რომელიც სურწყუნისას თვე'ში ივსებოდა მდნარი თოვლის წყლით და წვიმებით, დიდდებოდა და კალაპოტიდან გადმოდიოდა. სწორედ მაშინ ხდებოდა სასწაული! ჩვეულებრივი წყალი ფერს იცვლიდა და წითლდებოდა. მოღელავდა ადიდებული ხარისწყალა და მოაგორებდა სისხლისფერ ტალღებს. ლოკავდა წითელი ენით ნაპირებს და თუკი სადმე ცოცხალს რასმე მოიხელთებდა, თავის გაუმაძღარ ფაშვში იტენიდა. ნელ-ნელა ცოხნიდა, ინელებდა... და ყველამ იცოდა მაშინ საბარიას ქვეყანაში, რომ სადღაც შორს, მდინარის სათავესთან ჩამოვიდა ხარება, ნაომარი დაჭრილი, თავისი იარები მდინარეში ჩაიბანა და წყალი გააწითლა. ეს თქვენთვის ეწამა ხარება, ვაზის ბოროტ სულებს შეებრძოლა, რომ ხალხისთვის შვება მიეცა. ახლა იხარეთ და იმრავლეთ...! სწორედ ამ დროს იწყება საბარიაში დიდი დღესასწაული „ბოსლობა"... ყველა ოჯახში ინთება შუაცეცხლი და კერიის ირგვლივ ცოლ-ქმარი ერთდებიან, რომ ახალი სიცოცხლე ჩასახონ და ხარისშობის თვეში შვან. სამი დღე და ღამე გრძელდება „ბოსლობა". ვისაც სინდისი სუფთა აქვს, იმას შეეწევა ხარება...

დიტოს სძულდა „ბოსლობა"... სამი ღამე უშედეგოდ დაბოხავდა კერიის გარშემო, თავის თავსაც ტანჯავდა და ცირასაც. დაბადებას იწყევლიდა და სიმწრისაგან ფრჩხილებს იკვნეტდა. ბავშვობაში არასოდეს ჰქონია ეს უცხა-

ური ჩვეულ. ცოლის შერთვის შემდეგ დასჩემდა, როგორც კი აიშლებოდა, მაშინვე ფრჩხილებს იკვნეტდა. განახევრებული ფრჩხილებიდან ხანდახან სისხლიც კი სდიოდა. ტკიოდა... წვალობდა და ვინ იცის მერამდენედ აძლევდა პირობას თავის თავს, მეორედ არ ვიზამო. მაგრამ როგორც კი ნერვები აეშლებოდა, ავიწყდებოდა თითების ტკივილი და ისევ უაზროდ, დაუნდობლად იწყებდა ფრჩხილების კვნეტას.

„ბოსლობა" ძალიან მოხერხებული დღესასწაული იყო. ხარისკაცებს მშვენივრად ჰქონდათ საქმე აწყობილი — სურწყუნისში ჩასახულები ერთდროულად იბადებოდნენ ხარისშობის თვეში. ერთმანეთის ტოლი და სწორნი იყვხენ და ერთნაირ სიზმრებსაც იმიტომ ხედავდნენ. სხვანაირი გამრავლება ვერც წარმოედგინათ და არც იცოდნენ. სწორედ „ბოსლობის" მერე იყო პირველად მამამისი რომ დაესიზმრა დიტოს და შესცოდა. ახლა ერთ ცოდვას მეორე გინდა მიუმატო, დიტო? გონება ხომ უკვე მოიშხამე ღვინით და ეხლა მაინც შესდექი...! რას ფიქრობ, ვინ გაპატიებს ამდენჯერ სულის წაწყმენდას...?

— რა დროს ეგ არის. შეხედე შენს გვერდით მწოლარე ცირას, რა კარგი და მადის აღმძვრელია. გაზაფხულამდე რა მოგაცდევინებს. აჰა შენს გვერდით წევს და გელოდება. — ჩასჩურჩულებს ყურში ვაზის სული.

ქალი ძილ-ღვიძილში გრძნობს კაცის ძლიერ მკლავებს და იძაგრება. გაზაფხული ჰგონია და ჯერ ვერ გამორკვეულა ამ უცნაური სიზმრიდან. ტანი ვაზის მტევნებივით აქვს დატიკნული და დიტოს ერთი სურვილი აქვს, დაწუროს... დალიოს და დაიბანგოს. ვინა თქვა, არ შეიძლებაო? მაშ ბორცი რატომ უღვივის და უხურს... ფილტვები საბერველივით ქშენენ, რომ გარეთ გამოიტანონ შიგანის სიმხურვალე და დაწვან. დაფერფლონ ფეხქვეშგაგებული ქალი. ამ ჭინკობისთვის ღამეს რაცა ხდება, ყველაფერი მათია, დიტოსი და ცირასია. არც აკოტრებაა საჭირო და არც „ბოსლობა". ეს [illegible] ნის კუდიანი სულები [illegible] სადღაც შორს... უსასრულობისკენ და ცდილობენ ქალსაც შეეპარონ გათქვირულ თეძოებში. უნდათ იმასაც აუშალონ ჭკუა... თავბრუ დაახვიონ... ძალუმად ეტანებიან და მტკივნეულად სჭიმავენ, გრეხენ... დიტოს ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს, აქამდე ნაცარქექია, დევის ძალა ჩაუჯდა მუხლებში. ასე ჰგონია, რომ მოინდომოს, მთასაც გადააბრუნებს და ეს ყველაფერი იმ ვერანა ღვინის ბრალია...

...ორივე ერთად ეწამა იმ ღამეს, მაგრამ ცოდნით კი არც ერთმა არ იცოდა, რომ იმ ღამეს აქამდე მიძინებულ საშოში სიცოცხლე ჩაისახა... თუმცა ორივეს შეეშინდა, რადგან გაზაფხულამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო და ვერაფრით ვერ ხვდებოდნენ, რატომ უყივლა სისხლმა ასე უდროოდ. შეიძლება მართლები არიან ხარისკაცები, ვაზს რომ სპობენ. შეიძლება... თუმცა დიტო ახლა უკვე ხვდებოდა, რომ რაღაც დამალულს მიაგნო, მხოლოდ ჯერ არ იცოდა რას...

სურწყუნისის თვეში მდინარე ხარისწყალა ზამთრის ძილიდან გამოერკვა, გაიზმორა... გაიწია და ხარბად დაეწაფა პატარა ნაკადულებს. გაუმაძღარმა, მადაშლილმა დაკარგა ზომიერების გრძნობა. ზედმეტი წყალი ფაშვში ვერ დაიტია და ამოანთხია ნაპირებზე... ეტყობა, ხარებამაც იყნოსა გაზაფხული და მდინარის სათავესთან ჩასაფრებულ, გათავხედებულ ვაზისულებს დაერია... შეებრძოლა. ჩლიქებით დატკვირა და კიდევ ერთხელ ჩაიბანა ბრძოლაში დაჭრილმა სისხლიანი იარები მდინარის წყალში... კიდევ ერთხელ გააწითლა ხარისწყალა...

მოვიდა... დიდი „ბოსლობა" მოვიდა, იმრავლეთ, იხარეთ, მაგრამ ჯერ თქვენი წინაპრების ცოდვები გაიხსენეთ, ყური დაუგდეთ მდინარის წყლის ხმაურში არეულ ხარებას ღრიალს, კერიის ცეცხლთან დაჩოქილებმა კიდევ ერთხელ სთხოვეთ პატიება... ხარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდსულოვანია... დაიოთხეთ შუაცეცხლთან და აიკოტრეთ... მაშინ გაიგებთ, რომელ თქვენგანს შეუნდო ცოდვები. ხარისშობის თვეში ახალდაბადებულ ბავშვთან ერთად დალოცეთ ხარება და მაშინ კიდევ ერთხელ შეგეწევათ იძისი მადლი. მანამდე კი არ დაგავიწყდეთ სიმინდის მარცვლების გადარჩევა სათითაოდ. მხოლოდ საუკეთესო უნდა შეინახოს ხარისკოშკში.

გახსოვდეთ! ის ვინც მეტ მოსავალს მოიწევს, განსაკუთრებული პატივი და სიყვარული ელის. სწორედ მის ჩალასა და სიმინდის მარცვალს აკურთხებენ ხარისკაცები და მდინარე ხარისწყალას სათავესთან აგებულ ბოსელში მიიტანენ წმინდა საკვებს ხარებისათვის.

რაც მეტს დათესავთ, მით უფრო მეტ სიკეთეს მოიმკით!

მთელი დღე და ღამეები სხედან ჭრაქის შუქზე ჭადით და ღომით მუცელგამოტენილები, ფშვნიან ტაროებს და არჩევენ სიმინდის მარცვალს. ყველას პირველობა უნდა. ხარისკაცებმა იციან თავისი ხალხის გულმოდგინება და ხელს უწყობენ. ბრძოლას უცხადებენ ღამეს და ძილს. არც ერთი წუთი არ უნდა დაიკარგოს უქმად! პირველად აქ სახარიაში შექმნიან ახალ ცხოვრებას ღამის და ძილის გარეშე. გიჭირთ?... ძნელია...? ხარისკაცები დაგეხმარებიან. მთელი დღე და ღამე ივლიან ქუჩებში დოლის ბრახუნითა და ზურნის ჭყიპინით... ოღონდ თქვენ არ დაიძინოთ და მხიარულად იმუშავეთ.. თავს არ დაზოგავენ... მთელი სოფელი ააყვავეთ სიმინდის ყანებით და აბა რა გული გაუძლებს ხარებას, რომ არ მოგხედოთ... მხოლოდ იცოდეთ დარდი და ნაღველი ახლოს არ გაიკაროთ.

დიტომ კიდევ ერთხელ აიკოტრა „ბოსლობა" დღეს და სამი ღამე ეხოხა კერიის გარშემო ოთხზე დამდგარმა. მუხლების თავები გადაეყვლიფა, მაგრამ მაინც ვერ იკაცა. ცირამ კიდევ ერთხელ დასწყევლა თავის გაჩენა და ვაზისულები...

— იმათი ბრალია ჩვენი უშვილობა. სულ შენმა ყურძენმა და ღვინომ დაგვატანა თავზე ეს უბედურება, — ბოს თქვამდა ქალი უცრემლოდ. რადგან ტირილი აკრძალული იყო.

„ბოსლობის" მესამე ღამეც ჩაათავეს ტანჯვასა და წამებაში. დილით... უძილობისაგან გათანგული ცირა საწოლიდან წამოხტა. ხელები მუცელზე მიიდო და შეჰკივლა... ორივე მიხვდა, რომ ქალს მუცელი ეძრა, მაგრამ იმდენად წარმოუდგენლად მოეჩვენათ თავიანთი ბედნიერება. პირველად ვერც კი დაიჯერეს. ცირა გაოცებული აყურადებდა თვალით უხილავ, ამოძრავებულ ბავშვის გულის ცემას და გრძნობდა პატარა სიცოცხლის ფართხალს.

ხედავ, ცირა, რა ტყუილად კრულავდი ვაზის სულებს! მაშ ტყუილად არ უწვალია დიტოს და დაუყენებია ღვინო.

გახარებით კი გაეხარდათ ორივეს, მაგრამ მალე მიხვდნენ, რა ნაადრევი იყო მათი სიხარული. სახარიაში ყველა ხარისშობის თვეში იბადებოდა... ამათ კი ჭინკობისთვეში მოინდომეს სიყვარული. მარტო ცირამ და დიტომ იციან, როგორ ელოდნენ ამ დღეს, როგორ ნატრობდნენ და ახლა აღარ იციან, იცინონ თუ იდარდონ.

ვაზისულებმა აჯობეს ხარებას და მარიამობის თვეში შეიპირეს ბავშვი... ნუ ეგედრები შველას ხარებას, ცირა! მაინც ვერაფერს გახდები. ქალი დიდი ხანია გარეთ არ გამოდის. თავს იავადმყოფებს და ლოგინში წევს. შიშით დაჰყურებს თავის მუცელს და იცის, ვერაფერი შეუშლის ხელს მისი ნაყოფის ზრდას. გრძნობს, ჯერ დაუბადებელი ბავშვი თადარიგს როგორ იჭერს და დღითი დღე უმძიმებს ხსენით ძუძუებს. სარჩოს იმზადებს თავისთვის წინასწარ, ეშინია დაბადებული მშიერი არ დარჩეს და დედის რძე არ მოაკლდეს...

...და ღამით, საწოლის თავთან ჩამოკიდებული ხარის თვალი მოწმე გახდა უდროოდ ჩასახული ბავშვის დაბადების... ოფლში გაღვრილმა ქალმა იგრ-

ძნო, როგორ დაიძრა თვეობით ნაკვები უხილავი სიმძიმე. ჯერ თითქოს გაიზმორა... მერე ადგილი იცოტავა. კედლებს მიაწყდა. დიდხანს იბორგა და გამოსასვლელს დაუწყო ძებნა... გაამწარა ქალი და საკუთარ ოფლში ამოავლო... გვიან ღამით დაიბადა და ბრაზიანად ატირდა. ყველაფერი უცბად მოითხოვა — სითბო, ჭამა და ალერსი. ცირას საწოლთან დაყუდებული დიტო, რომელიც ძალზე მოუხერხებლად შველოდა თავის ცოლს და მშობიარობის დროს ხან მუცელზე აწვებოდა, ხან ეხვეწებოდა ჩუმად იყვირეო, გაკვირვებული უყურებდა ვინ იცის საიდან მოვლენილ ამ პატარა გაბრაზებულ ბიჭს, რომელსაც ახლახან გადაუჭრა ჭიპი და ვერ იჯერებდა, რომ ეს ასავსავებული არსება მისი შვილი იყო... ბიჭი დაებადა დიტოს, ბიჭი! შენი დღეგრძელობისა იყოს, პატარა ილო, შენი!...

იმ დღეს დიტომ კიდევ ერთხელ დალია ღვინო და დალოცა ბიჭის დაბადება... მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ სახარიაში უდროოდ ჩასახვა და უკანონოდ დაბადება არავის ეპატიებოდა. მარიამობისთვეში ბავშვის გაჩენა იმდენად უჩვეულო ამბავი იყო, რომ პირველად არავის დაუჯერებია. სამაგიეროდ ხარისკაცებმა თავისი ყურით გაიგონეს ჩვილის ტირილი და საკუთარი თვალითა ნახეს ახლადდაბადებული ბალღი, როდესაც დილით თავზე დაადგნენ დიტოს დოლის ბრახუნითა და ზურნის ჭყვიტინით... გაბოროტებულებმა მთელ ქვეყანას მოსდეს ეს ამბავი. აი, დასწყევლოს იმისი გაჩენა ღმერთმა! რას არ მოიგონებენ... უძილობისაგან გათანგული ხალხი მუშაობაში დღეს და ღამეს ასწორებს, ამათმა კი ბავშვი გააჩინეს. თანაც ცირამ ისე კი არ შვა ბავშვი, როგორც ნორმალურ დედაკაცს შეჰფერის, კუდიანივით ჭიპი გახსნია და იქედან დაუბადებია ის ჭიხკის კუდი... კი, ნამდვილად ასე იყო, მთელმა სახარიამ გაიგო მათი ამბავი. ორივე შეაჩვენა და დასწყევლა.

იმ წელს სიმინდის დიდი მოსავალი მოვიდა. მთელ სახარიაში მოჭრილი-ყრილი სიმინდის ძირები, ბებერი, ყაბილა, ყბილა ბევრით იყვნენ ამოჩრილები. გაბოლილები თითქოს ჩიფჩიფებდნენ, ილანძღებოდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ წაართვეს გემრიელი ლუკმა და სიმინდის ტაროები ღეროებიანად პირიდან რატომ გამოსტაცეს. მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა ყანებს შორის გადარჩენილი პატარა ზვრები, სადაც ყურძენი, დიდი ხნის დამწიფებული, მომკრეფს ელოდა. ყველგან სიცოცხლე და სითბოა. შემოდგომის მზე ზამთრის წინ გარეთ იტყუებს ყველაფერ ცოცხალს და უკანასკნელად ეხვევა და კოცნის...

საბარიელები ხარებას გამოჩენას ელოდებოდნენ. მაგრამ ხარი არც იმ წელს გამოჩენილა. იმ კუდიანი ქალის ბრალია ყველაფერი... მოიბრუნებდა გულს ხარება, ამხელა ცოდვა რომ არ ჩაედინათ და ვაზისულები არ გაეხარებინათ... წყევლა-კრულვას უთვლიდნენ, მაგრამ ის კი უკვირდათ „ბოსლობის" გარეშე რანაირად მოახერხეს ბავშვის ჩასახვა... ან ხარის თვალი რას უყურებდა... მართალია ხარისკაცები არწმუნებდნენ, მოიცადეთ, მოვა გაზაფხული და ხარება ორივეზე შურს იძიებსო, მაგრამ მათი დანაქადნი არ გამართლდა. გაზაფხულიც დადგა, პატარა ილოს კი თითიც არ წამოსტკენია... ეს კია, იმ ზამთარს ცოტა თოვლი მოვიდა, მოსავლისთვის ცუდიაო, ხალხი ამბობდა. იმასაც ამბობდნენ, ხარისკაცები გვიმალავდნენ, თორემ „ბოსლობის" გარეშეც შეიძლება ბავშვის გაჩენაო... ცოდნით ეს უკვე იციან, მაგრამ შურისძიების გრძნობა დღითი-დღე უფრო ღვივდება. უძილობისაგან გამოჭმულებს ერთი სული აქვთ თავისი თვალითა ხანონ სამაგიერო როგორ მიეგებათ, უნდათ დარწმუნდნენ, ორმ ტყუილად არ წვალობენ და მათ მცდელობას ადრე თუ გვიან ხარება დაინახავს...

გაზაფხულზე თოვლი დადნა, მაგრამ ხარისწყალა არ ადიდებულა. სურწყუნისი მოვიდა და მდინარეს ფერი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესცვლია. ეტყობა ვაზისულები დაერივნენ სოფელს და ხარისწყალას არ აადიდებს, ვინ იცის უკვე სასიკვდილოდ დაჭრილი უხილავი ხარება გდია სადღაც შორს და სისხლისაგან იცლება, შველას ითხოვს.

— მერე ვისი ბრალია მისი ასეთი ტანჯვა-წამება?

ცირასი და დიტოსი. — ჩასსისინებენ ხალხს ყურში ხარისკაცები — მხოლოდ შურისძიება გააცოცხლებს ხარებას... ცოდვას განწმენდა უნდა...

მზის ამოსვლისთვის იკრიბება მდინარის პირას ხალხი. რჩეულ ხარისკაცს მოჰყავს ხელში ატატებული ილო, რომელიც იცინის და წვერში ეტანება.

სხვები ცირას და დიტოს მოათრევენ... კუდიანები, დაწყევლილები!

— მე დამსაჯეთ, ჩემი ბრალია ყველაფერი, ილოს და ცირას ხელი არ ახლოთ, ბოსლობა ღამეს ხარებას მადლი გამიწყრა... ჩანჩალ კაცად ვარ დაბადებული, ვერ ვიკოტრე... ცოდვა ჩავიდინე... მე მომკალით, — ყვიროდა დიტო.

ბრბომ დასცინა.

— თუკი კაცობის არაფერი გცხია, ეტყობა ვაზისულებმა გიცდუნეს ცოლი და ეგ ბავშვიც იმათია... სიკვდილი მას! — იყვირა მთავარმა ხარისკაცმა და პატარა ბიჭი გაატიტვლა. ილო ტირის... იქაჭება. სითბოსა და საჭმელს ითხოვს...

— სიკვდილი... სიკვდილი მაგას, ჩვენი ძაღლური ყოფა, სწორედ მაგის ბრალია. — გუგუნებს უძილობისაგან გაოგნებული ბრბო.

ილოს დედა უნდა! დედა კი არა, ჯანდაბა და დოზანა უნდა... — ბრაზობს ბრბო. ვიღაცას სარი მოაქვს. — აბაზე... აბაზე ააცვით ეგ კუდიანი, უდროოდ ჩასახული და უკანონოდ დაბადებული, უბრალო სიკვდილი ცოტაა მაგისთვის... — ყველას თავისი თვალით უნდა ნახოს, როგორ ჩამოაცმევენ სარზე პატარა ილოს და მერე მდინარეში ჩააბრჩობენ... ხარისწყალა ხელა მოედინება... მხოლოდ ერთ ადგილზე წითლდება, ოდნავ წყალი ჰგავს ხარა ილოს სისხლით, რომელიც კვლავ ვით კნავის...

ცირას და დიტოს დაანახეთ! დაე, თავისი თვალით ნახონ, როგორ გასწირეს საკუთარი შვილი... ამ ორმა სულიერმა დაბადა საწამებლად საკუთარი შვილი. საბარიელები აქ არაფერ შუაში არიან, უსირცხვილოები... კუდიახები! მაგათი... მაგათი ბრალია ყველაფერი!

ცირა და დიტო მდინარის პირას დაყრილები ტირიან... ჰო... ჰო, ტირიან. თვალებიდან მლაშე, თბილი ცრემლები გადმოსდით. შეშინებული და კიდევ უფრო მეტად გაბოროტებული საბარიელები მათ გარშემო ჯგუფდებიან.

— ეხლა კი ნამდვილად დააფრთხობენ ხარებას თავისი ცრემლით და მერე სულ აღარ მოვა.

— ბ...ფთ, ბ... ფთ — თავზე აფურთხებენ წარწყმედილებს და ნელ-ნელა იშლებიან.

...იმ ღამეს მეხი დაეცა დიტოს სახლს... ქარიშხალი ამოვარდა და თქეში დაატყდა სოფელს თავზე. ეტყობა ვაზისულები დაერივნენ სოფელს შურის საძიებლად. ცხრა დღე იბრძოლეს... ცხრა ღამე იბორგეს. უნდოდათ დაემარხათ სახარია, მაგრამ ვერ მიაროვეს. მფარველმა ხარებამ სძლია... გარეკა და იხსნა ქვეყანა. შიშისაგან თავზარდაცემული სახარიელები მხოლოდ დილით მოეგნენ გონს.

— სურწყუნისის თვეში ეგეთი ჭექა-ქუხილი ჯერ არავის გაუგონია.

— ნამდვილად დავიღუპებოდით, ხარების მადლი რომ არა...

— კინაღამ არ დაგვღუპეს იმ წარწყმედილებმა. — გუგუნებდა ბრბო და ნაბევრადდამწვარ ნასახლარისკენ მიდიოდა. გარშემო ჯერ კიდევ ნესტის სუნი იდგა, აბრჩოლებული სარდაფის წინ ცირა უსულგულოდ ეგდო. არანაირი ჭრილობა არ აჩნდა, თითქოს სძინავსო. ბრბომ რკალი შეკრა ნასახლარის გარშემო. უკანმდგომები ფეხისწვერებზე იწეოდნენ... კისრებს იგრძელებდ-

ნენ... ყველას საკუთარი თვალით უხდოდა ენახა ხარებას შურისძიება.

— ხალხო, შეხედეთ, ეს ქალი ნამდვილად კუდიანია. ეტყობა სულმა დროებით დატოვა სხეული და სახეტიალოდ წავიდა... დასწვით, სანამ უკან მობრუნებულა. — იყვირა ვიღაცამ ბრბოში და გვამი იქვე გაჩაღებულ კოცონში გადაუძახეს. მკვდარი დიტო სარდაფში იპოვნეს მოხდილი ქვევრის თავთან.

— აი სადა ჰყავდა დამწყვდეული ვაზისულები.

— ეხლაც იპარპაშონ... აჯობა ხარებამ თუ არა.

—გადაასხით ეგ ვერანა, თორემ სუყველას დაგვწამლავს. — ყვიროდნენ მხდალები.

— რას ამბობ, კაცო, ეხლა რაღას დაგვაკლებენ, მაშ ტყუილად ხომ არ ვიძიეთ შური. ხარისკაცებიცა სვამენ, მაგრამ ვაზისულები ვერას ერჩიან, იმიტომ, რომ ხარება იმათ მხარეზეა, ჩვენც ხომ დავუმტკიცეთ ჩვენი ერთგულება. ეხლა ვერაფერსაც ვეღარ გვიზამენ. — იძახდა ბრძენი სახარიელი.

— მართალია... მართალი, — ბანს აძლევდა ბრბო — გემო მაინც გავუსინჯოთ, დაე იცოდნენ ვაზისულებმა, რომ არ გვეშინია იმათი, ფეხებით დავჯეჯგავთ და ამ მუშტებით გავუმკლავდებით.

დიდი დოქებით, სათლებით, ხელადებით ამოხაპეს ღვინო, დაიტაცეს... გაძიძგნეს უპატრონოდ დაგდებული ნანადირევივით...

იმ საღამოს ადიდებული ხარისწყალა გაწითლდა. მაშ ტყუილად კი არ მიუტანიათ მსხვერპლად სარზე აცმული ილო. აჯობა... ხარებამ აჯობა... მოვიდა „ბოსლობა"... მოვიდა. ეხლა სამი დღე იმხიარულეთ და გამრავლდით, რაც იყო... იყო.

ხარისკაცებმა გაიგეს ღვინის დატაცების ამბავი, მაგრამ დაიგვიანეს, სახლის კარები ჩაიკეტა და ჩაირაზა. დაიხოთო შუაცეცხლი... აიკოტრა სოფელმა. მაგიდაზე ღვინით სავსე ჭურჭელს ალმური მოედო...

— ცოტა კიდევ, ცოტა მოსულიყავი, რა კარგი რამე ყოფილა [illegible] ბოდა ქმარი ცოლს. ქალი ხელებს ასავსავებდა უარის ხიშნად და სულმოუთქმელად სვამდა.

დოქში დამწყვდეულმა ვაზისულებმა გამოიღვიძეს... ქშენა-ქშენით გამოვიდნენ თავიანთ საუფლოდან. უხილავ ალქაჯებად იქცნენ და შუაცეცხლის გარშემო ბობღვით მოარულ ცოლ-ქმარს მიეპარნენ. იმათთან ერთად აიკოტრეს... თავბრუ დაასხეს... გაიზარდნენ... გადიდდნენ, ოთახი იცოტავეს. ჩაკეტილ-ჩარაზულ სახლის კარებს მიაწვნენ, გაანგრიეს და გარეთ გაიჭრნენ... ადრეკილაი... ადრეკილაი...!

გარეთ... სუყველა გარეთ... ქონდრისკაცები ბაყბაყ დევებად იქნენ და სახლში ვეღარ ეტევიან, ქუჩებში უზარმაზარი კოცონები დაანთეს და ალქაჯებს უკმიეს საკმეველი. ლაჯაბეული კუდიანები დევებს გადაასხდნენ და შორს... სადღაც უსასრულობისკენ გააჭენეს, ხარისკაცები ცდილობდნენ გონს მოეყვანათ ეს აღვირახსნილი ბრბო და ბოლო მიეღოთ ამ ვაკხანალიისთვის, მაგრამ ყურს არავინ უგდებდა. პირიქით შეუტიეს, სახეში შეაორთქლეს ღვინის ოხშივარი და უხეში სიტყვებით შეამკეს.

— ბოსლობა მოვიდა, ადრეკილაის გაუმარჯოს! — ყვიროდა შიშველი ჯადო ქალი და ხელში ატატებულ უშველებელ გრძელ ჭოკს ატრიალებდა.

—აქეთ, აქეთ მოიტა ეგ ადრეკილაი და დაჰკარი ამ ოხრისშვილებს, ეგებ მაშინ მაინც დაგვანებონ თავი. — იყვირა ვიღაცამ და სანამ ხარისკაცები გონს მოვიდოდნენ და მიხვდებოდნენ რას უპირებდა ეს გავეშებული ბრბო, მთელი სხეული აუწვეს ცემა-ტყეპით...

— ეჰე... ჰე... ჰე... ჰე — ყვიროდნენ თავგზააბნეულები და ვნებით ცეცხლმოკიდებულები იფერფლებოდნენ... არც დასაწყისი ჰქონდა მათ ნდომას და არც დასასრული. წლიდან წლამდე ბოსლობას ელოდნენ... უძილობისგან დაოსებულები სიმინდს ელოლია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებოდნენ. იმისთვის ცხოვრობდნენ და იბადებოდნენ, რომ ხარისკოშკი გაეძღოთ... მაინც ვერ გააძღეს. ღომითა და ჭადით მუცელამოყორილებმა, მხოლოდ დღეს დაიოკეს შიმშილის გრძნობა...

გამთენიისას დაფერფლილ კოცოხებთან ეყარნენ. ერთმანეთში არეული დედისშობილა ადამიანები. ეხლა უკვე ძილში განაგრძობდნენ თავიანთ უცხაურ ქროლვა-ჭენებას და პირველად ხედავდნენ მათთვის უჩვეულო, უცხაურ, ნაირ-ნაირ სიზმრებს. არავის უნდოდა გამოღვიძება სახარიას ქვეყანაში. წლობით უძილოებსა და ვნებააშლილებს ვერაფრით ვერ აღვიძებდნენ გაბოროტებული ხარისკაცები თავიანთი ზურნების ჭყვიტინითა და დოლების ბრაბუნით. ხარებას მადლი გაგიწყდეთო. წყევლიდნენ და ქოლავდნენ...

ეტყობა. ხარება მართლა გაუწყრათ... მეორე დღეს უზარმაზარი სიმინდით სავსე ხარისკოშკს ცეცხლი წაეკიდა. წლების მანძილზე ტონობით ჩაპრესილი, უჰაერობისგან დახუთული სიმინდის მარცვალი შველას ითხოვდა, იხრჩობოდა. მიწაში ჩაგდებას იმუდარებოდა... მაგრამ ხმა ვერავის მიაწვდინა... ნელ-ნელა ჩალპა. ჩახურდა და თავისით მოიკიდა ცეცხლი... აბა რა იცოდა სულელმა მარცვალმა, რომ დიდი საქმისთვის ინახავდნენ.

ახლოს ვერავინ ეკარებოდა. ხარისკოშკში ჩაბუდებული ცეცხლი დინჯად ღეჭავდა სიმინდის მარცვლებს, ზედ გამოსახულ ხარის თვალს. ნელ-ნელა ძალას იკრებდა და დაცინვით უყურებდა ხალხს.

ხარისკაცები სოფელს გადაშენებით ემუქრებოდნენ. ყველა უნაყოფოდ ამოწყდებით ასეთი საშინელი მკრეხელობისთვისო, ყვიროდნენ... ჰაერში დაბრაკული სიმინდის სუნი იდგა... სახარიაში ყველამ იცოდა ამ ჯოჯოხეთური კოცონის ფასი... ეს მათი უძილო ღამეები იწვოდა... ბოსლობა იწვოდა... ვაი... ვაი თქვენ! ვაზისულებმა დაწვეს თქვენი ნაშრომი, არწმუნებდნენ ხარისკაცები. შეშინებულებმა მხოლოდ ესღა მოისაზრეს, ვინც დაგვსაჯა, შეიძლაც იმას უნდა ვთაყვანოთ... რადგან ხარისწყალა ჯერ კიდევ წითელ ტალღებს მოაგორებდა, გადაწყვიტეს თავიანთი ფეხით მისულიყვნენ მდინარის სათავესთან ჩამოსულ დაჭრილ-დაჩეხილ ხარებასთან.

ხარისკაცებს მართალია ჭკუაში არ დაუჯდათ მათი ახირება, მაგრამ ხელი არ შეუშლიათ. მათ გარდა მაინც არავინ იცოდა მთელ სახარიაში, როგორი იყო ხარის სახება და, რომც ეპოვნათ, მაინც ვერ იცნობდნენ... წადით... ეძებთ... რასაც მოსძებნით დაინახავთ!

მეორე დღეს აიყარნენ სახარიელი კაცები და გზას გაუდგნენ მდინარის სათავისკენ. ცხრა დღე არაფერი უჭამიათ. ღომისა და ტყლაპის მეტი. ღამით ხის ძირებში მიყრილები ძილში დაქროდნენ აქამდე უცნაურ გრძნობას აყოლილები... არ უნდოდათ, მაგრამ თავს ვერ იხედნიდნენ. ძილში ხტოდნენ. ბურტყუნებდნენ... ესიზმრებოდათ ვენახი, რომელშიც ქარი დაჰქროდა და აშრიალებდა. ბრტყელ, მწვანე ფოთლებში მიმალული ვაზის თხელი დრეკადი ტანი იგრიხებოდა, ქერქს იცილებდა და ქალადქცეული მათკენ მოეშურებოდა. ბურანში გახვეულ კაცებს ახლა მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდათ, ფეხქვეშ მოეგდოთ ეს ხორციანი. მწიფე ყურძენივით გატიკნული სხეული და კიდევ ერთხელ დაეწურათ... დილით ერთმანეთს თვალებში ვერ უყურებდნენ სირცხვილით. ყოველი იძათგანი თავს დამნაშავედ გრძნობდა, ეგონა მხოლოდ თვითონ იყო ყველაზე ტკივილიანი...

ცხრა დღის მერე, როგორც იქნა, მიაღწიეს მდინარის სათავეს. მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო... თვალწინ გადაეშალათ უზარმაზარი მდელო, რომელზეც გაველურებული ვაზი იზრდებოდა... ვინ იცის რამდენი წლის მანძილზე გაუსხლავი ვაზი. ეტყობა, ჯერ ადამიანებს ელოდა, რომლებმაც დიდი ხანია მიატოვეს... ეხვეოდნენ ნახევრად ძირგამომპალ სარებს... წაქცევა არ უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდათ. მაგრამ მალე დაინახეს საშველი არსაიდან იყო და ერთმანეთს ისე ჩაეკონენ, თითქოს ჭირში ცდილობდნენ გამაგრებასა და ერთმანეთისათვის ნუგეშის მიცემასო. არც არავინ სალავდა და არც არავინ აჭრიდა ნაყოფს. მტევნები მოკვეთილი ძუძუებივით პირდაპირ მიწაზე ცვიოდა... ახლა მიწას აწოვებდა ძუძუს და კვებავდა თავისი ტკბილი რძით... რაც მეტი დრო გადიოდა, ვაზი მით უფრო ველურდებოდა. მარცვალი დაუპატარავდა და ნაყოფი გაუმეავდა. ახლა ერთმანეთს ჩახვეულები დაბლა იყვნენ გაწოლილები და ვინ იცის, ვის ან რას ელოდნენ...

სახარიელები გაოცებული უყურებდნენ ამ გაუვალ ბარდნალს.

— ხალხო, აქა მივაგენით თუ არა იმ ვერანა ვაზისულების საუფლოს — იყვირა ვიღაცამ. — უყურეთ... უყურეთ რაგორ გვიკეტავენ გზას მდინარის სათავისკენ.

— მართალს ამბობს, მართალს.

— სწორია... სწორი, — ბანი მისცეს დანარჩენებმა.

— ამოვძირკოთ, მოვსპოთ... ამან დაგვღუპა... ამან, წალდი ხომ არავის წამოგიღიათ?

— არა... რად გვინდა წალდი, ხელები აქა არა გვაქვს? ხელებით დავგლიჯავთ.

ბევრი არ უფიქრიათ, ისე შეესივნენ ვაზებს... ხელებით მოეჭიდნენ, ფეხებით შესდგნენ, გასწიეს — გამოსწიეს. მაგრამ ვერაფერი დააკლეს, აქერცლილი, მოქნილი ვაზის ტოტები ერთმანეთსაც კი ვერ დააცილეს... ხელები გადაუტყავდათ, უცნაური სანახავი იყო... გაშლილ მინდორზე, ერთმანეთს ებრძოდა ადამიანი და უსულო ვაზი, სისხლის ნაცვლად ოფლი და ღვარძლი იღვრებოდა, დაჭრილი სხეულის მაგივრად ფეხქვეშ თოთო ფოთლები ეგებოდნენ... კვნესის სანაცვლოდ გულსაკლავი ჭრიალი და ტკაცა-ტკუცი ისმოდა. მაინც ვერაფერი დააკლეს ვაზს, თუმცა მიწასთან გასწორებით კი გაასწორეს... ფეხებით გადაჯეგეს და მდინარის სათავისკენ გასწიეს.

წინ... სახარიელებო, წინ! იბრძოლეთ, ოომ ცოდვები დროზე მოინანიოთ, მოუყევით ხარებას ვაზის საუფლოს როგორ გადაუარეთ. ჩქარა, გელოდებათ... ხედავთ? ხარისწყალა ჯერ კიდევ სისხლივით წითელია.

როგორც იქნა თავი „დააღწიეს" ამ ჯოჯო ადგილს და ბორცვებს შორის მოქცეული ნაკადულის სათავესთან მოვიდნენ... შორიდანვე დაინახეს წვრილი გრძელი ძელებით შემოლარტყული ბოსელი, დიდხანს ვერ ბედავდნენ ახლოს მისვლას... გაისუსნენ, სუნთქვა შეიკრეს და ყური მიუგდეს ხარებას ბღავილს... ხმა არასაიდან ისმოდა...

— ეგებ ის ვერანა, ვაზისულები დაესხნენ თავსო, წამო მივეშველოთ!

ნელა მიუახლოვდნენ ბოსელს...

— ხარება, შენი სულის ჭირიმე, გამო, შენდობა უნდა გთხოვოთ და ჩვენი ცოდვები მოვინანიოთ, — იხვეწებოდნენ მუხლებზე დამდგარი სახარიელები, მაგრამ პასუხს არავინ სცემდათ, მაშინ მათ შორის ყველაზე გაბედული კარებთან მივიდა. დიდხანს აწვალა, აჯანჯღარა სანამ გააღო და ყველამ თავისი თვალით დაინახა, სადგომში გარედან შეჭრილმა მზის სხივმა, როგორ გაანათა უზარმაზარი ხარის თვალი...

— აქ არის აქა...

— მაგისი ჭირიმე... მაგისი, — ყვიროდნენ სახარიელები და ერთმანეთს აწვებოდნენ, უჯიკავებდნენ. ყველას უნდოდა ახლოს ენახა მფარველი, მაგრამ ხარის თვალი ადგილიდან არ იძვროდა, დაყინებით იყურებოდა შიგნიდან და ხმას არ იღებდა... დიდხანს ელოდნენ მოთმინებით...

რას დაიმორცხვეთ, სახარიელებო! რასაც ეძებდით იპოვნეთ... შიგნით შედით ნუ გეშინიათ...

...შეცბუნებული ხალხი გაშტერებული უყურებდა ბოსლის კედელზე გამოსახულ უზარმაზარ ხარის თვალს, სწორედ იმის მსგავს, როგორიც თვითონ ჰქონდათ სახლებში შენახული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგა ცარიელი იყო, არსად სჩანდა არც წმინდა სიმინდი და არც წმინდა ჩალა. აშკარად ეტყობოდა, რომ ამ სადგომში არც არავის უცხოვრია და არც არავინ შემოსულა მისი აშენების დღიდან. ისე გამოვიდნენ ბოსლიდან, ხმა არავის ამოუღია, ერთმანეთის ეშინოდათ... ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ თვითონ მიაგნო რაღაც დამალულს... სათითაოდ ჩავიდნენ წყაროსთან და გამშრალი ყელი დაისველეს.

— ეს წყარო განა ხარისწყალას სათავე არ არის, — გაიოცა უცებ რომელიღაც სახარიელმა.

— ხარისწყალა, რომ იყოს, წითელი იქნებოდა...

— აბა, მაშ ხარებას ბოსელი რატომ დგას ამ ნაკადულთან?

მართალია... მართალი. მოდი გავყვეთ ამ ნაკადულს და მაშინა ვნახავთ რა წყალიც არის, — დაიძახეს სახარიელებმა და ქვებზე მოხტუნავე ნაკადულს გაჰყვნენ... ცოტა იარეს თუ ბევრი, გზამ დიდ ზეგანზე გაიყვანა და სწორედ აქ იპოვნეს ის, რასაც ეძებდნენ... დაინახეს მოპირდაპირე მხარეს ამართული მთიდან როგორ ჩამოწოლილიყო მეწყერი... ირგვლივ ყველაფერი წითელი იყო. წყალიც და მიწაც... უყურებდნენ ამ უცნაურ სანახაობას და ეჩვენებოდათ, რომ ეს ყველაფერი დროებით ზმანება იყო... ახლა იდგნენ და ელოდნენ, როდის გაქრებოდა ეს უცნაური მოჩვენება. მაგრამ ზმანება არ გაქრა.... მაშინ ყველაზე გულადი სახარიელი ჩავიდა ნაკადულთან და ხელით მოსინჯა ჯერ წყალი, მერე მიწა.

— წითელი თიხა მიწაა... — ამოსძახა ქვემოდან. დიდხანს ვერავინ ბედავდა მიახლოებას.

— მიწაა... წითელი თიხა მიწაა მეთქი. — იძახდა მდინარეში შესული კაცი და ხედავდა, როგორ ლბებოდა წყალში წითელი თიხა... იხსნებოდა.. აწითლებდა... აჯერებდა გამქვირვალე, ფანცქალა ნაკადულს.

— მაშ ხარება სადღაა...? — იკითხა ვიღაცამ. — შეიძლება სწორედ ეს წითელი მიწაა ხარება, აქეთ გადმოდგა ფერი მოიწოო, შე ცოდვის შვილო.

—ხარება, რომ იყოს თვალები ექნებოდა, — არ დაეთანხმა ვიღაც.

— რა თვალი, რის თვალი, გაგიჟდით ხალხო? გეუბნებით მიწა, მეთქი.. მიწა.

— ჰა... ჰა... ჰა თვალი უკვე ვნახეთ... ეხლა ტანი ეძებეთ... კარგად, ეძებეთ ეგებ სადმე იპოვნოთ, — გაისმა ვიღაცის გაბედული ხმა. — ვერა ხედავთ, რომ მოგვატყუეს ჰა... ჰა... ჰა...

— რა სთქვა?

— ვინა სთქვა?

— ჩშ... ჩშ... — იყო პასუხი, თუმცა ყველამ იცოდა რომ ეს ხმა მხიარულ ბიჭს ჩანტრეს ეკუთვნოდა...

როგორც იქნა გაბედეს და ჩავიდნენ ნაკადულთან, თან ქოთქოთებდნენ.

— სულ ეს არის რასაც ვხედავთ... სულა? — არ უნდოდათ დაეჯერებინათ ის, რასაც თავისი თვალითა ხედავდნენ. მათი ყვირილი ეხლა ერთი კაცის გმინვას უფრო ჰგავდა, წყალში შეტოპეს და თავისი უმწეობისგან გაბოროტებულებმა ფეხებით დაუწყეს ნაკადულს ცემა-ტყეპა... ვერაფერი დააკლეს, მხოლოდ წყალი აამღვრიეს და დიდ წითელ გუბედ აქციეს... ერთმანეთი დაწუწეს და მოთხუპნეს... ეხლა იდგნენ წითელ თიხა წყალში ამოვლებულები, თითქოს ბრძოლის ველიდან ეს ეს არის გამოვიდნენო. დიდხანს თუბთუხებდნენ დაუოკებელი შურისძიების გრძნობისგან ადუღებულები.

— ჰა... ჰა... ჰა... — იცინოდა ბიჭი ჩანტრე.

ხალხი ერთ გუნდად შეიკრა, გამაგრდა. ახლა უკვე იცოდნენ რაც უნდოდათ. იცოდნენ ვისზე და რაზე იძიებდნენ შურს.

— სათავისკენ... სათავისკენ.

— ბოსლისკენ... ბოსლისკენ, — ბობოქრობდნენ იმედმოცემულები, გაწითლებულები და ტყაპატყუპით მიდიოდნენ წყალში.

...ჭიანჭველებივით შეესიენ ხარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგომს და კომბლით დაუწყეს ცემა და რღვევა.

— დაჭკა ეგეც მაგას, — იძახდნენ მადააშლილები და კომბლებს იქნევდნენ. ასე ეგონათ ხარისკაცებს ურტყამდნენ თავში.

ისე დაშალეს და დაანგრიეს ბოსელი, რომ მისგან კვალიც კი არ დარჩენილა... მთელი დღის ოფლი და წითელი ჭუჭყი იქვე წყაროში ჩაიბანეს... ეხლა ის აამღვრიეს და გააწითლეს, მერე დიდხანს უყურებდნენ ამ მჩქეფარე ნაკადულს და ხედავდნენ, მათ თვალწინ რომ იწმინდებოდა... უყურებდნენ და ვერ იჯერებდნენ, რომ ის დიდი, მძლავრი მდინარე ხარისწყალა ამ პატარა წყაროდან იღებდა სათავეს და ახლა სადღაც ზემოთ სოფელ სახარიასთან ელოდათ. სწორედ მაშინ, ვინ იცის რატომ, პირველად გაიხსენეს პატარა ბიჭი ილო, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ სარზე აცმული დაანრჩვეს მის ტალღებში... თვალებზე ცრემლი მოერიათ და პირველად თავის სიცოცხლეში ატირდნენ... ისხდნენ და გულს იოხებდნენ ტირილით.

უკანდაბრუნებულები დაშლილ ბოსლის სარებით, ხმალმომარჯვებულებივით მოდიოდნენ. უნდოდათ სახარიელ ქალებისათვის ეჩვენებინათ ის, რაც გადარჩა ხარებას წმინდა ბოსლისაგან, მაგრამ როდესაც გაველურებული ვაზით გაშენებულ მინდორს მიუახლოვდნენ, მისდაუნებურად შედგნენ... ეტყობა დიტოს დოქში დამწყვდეული ვაზისული ისევ გარეთ გამოიჭრა, თითოეულ მათგანს შეუჯდა სულსა და ხორცში და ცოდვების მონანიება მოსთხოვა... იდგნენ სახარიელები მუხლებზე დაჩოქილები მიტოვებულ, გაველანებულ ვაზის ძირებთან ხარებას ბოსლის სარებს უდგამდნენ და აკრავდნენ. ზედმეტ გამხმარ ტოტებს ატეხავდნენ.

მართალია ყველაფერ ამას ძალზე მოუხერხებლად აკეთებდნენ და ვაზი უფრო აჯოჯეს ვიდრე ააკრეს, მაგრამ სამაგიეროდ უკვე ყოველმა მათგანმა იცოდა, რასაც იზამდა სოფელ სახარიაში დაბრუნების მერე. რაო... რაო სახარიაო...? ნეტავი რა ერქვა მათ სოფელს ადრე, სახარიამდე?...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე დიდებაშვილი

დიდი დღის საღამო

ბაცად გაიცრიცა
ფარჩა დაისისა.

ნიშატი დამშრალა...
და დღეც დაილია...
წყალ — ჭალას,
გზა — შარას
სბვანი ჩაივლიან.

დარჩა მცირედილა
მანძილი დაშვების,
რეკავს იმედის ხმა, —
მოდიან ბავშვები.

ყოფნის მწველი წუთი
ფასობს მიწურვილი.
გვალვის ცხელი სუნთქვით
მძაფრდება წყურვილი.

მზე ჩადის მთვლემარე,
ხანია შვებისა,
სხივი ჰკრა მწვერვალებს
გამოთხოვებისა.

მივაგნებ მონასტერს? —
თავდება დალმართი.
მოვასწრებ?..
მოვასწრებ?..
აგერ, ა, დავლამდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სულ ცოტახნის წინ:
ზვავს ვიცილებდით
მოვარდნილს.
სულ ცოტახნის წინ:
არ ჩამოქონდა
თოვლს მჭვარტლი.
სულ ცოტახნის წინ:
არა ვსუნთქავდით
მწარე ბოლს.
სულ ცოტახნის წინ:
არა კვნესოდა გარემო,
სულ ცოტახნის წინ:
არ მივირთმევდით შხამიანს...
სულ ცოტახნის წინ:
არ ვშიმშილობდით,
ძამია.
სულ ცოტახნის წინ:
კამკამა წყაროს გვასმევდი...
სულ ცოტახნის წინ:
მეც როდი გახლდით ასეთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ გოთუა, ალექსანდრე გოთუა

თავგადასავალი ლევან გოთუასი

1928 წლის ზაფხულში ლევანს თავისუფალი გადასახლების ვადა უთავდებოდა. ის შელავათები, რაც უნდა ჩაეთვალათ სოლოვკებში ყოფნის დროს, არ ჩაუთვალეს. ძლიერი ღელვითა და ნერვიულობით უცდიდა ამ ნანატრ დღეს. ეს ხომ მისი ცხოვრების, არსებობის სამკვდრო-სასიცოცხლო პირობა იყო.

ახალგაზრდული კეთილი იმედებით გამსჭვალულმა, გაძლიერებული გულის ძგერით, დანიშნულ დღეს „ჩეკას" მიაკითხა. მამა გიორგის შვილი ვახტანგ ნათაძეც გაჰყვა. დახეთ, ისევ უბედურება დატრიალდა, იგოხებდა ვახტანგი, — ლევანს გამოუცხადეს, რომ მექანიკურად ისევ 3 წლით თავისუფალი გადასახლება გაუხანგრძლივეს და ამ რეჟიმში ყოფნა დაუტოვეს.

ეს შემზარავი სიტყვა ტყვიასავით მოხვდა გულში. ლევანი გაფითრდა, გაშრა, გაშეშდა, სხეულში ჟრუანტელმა დაუარა, თვალები დაუბნელდა, ეს კერ დაიჯერა. ძლიერ გამწარებულს და აღზნებულს გულზე ბოლმა მოადგა, თვალზე ცრემლი. რატომ? რისთვის? გაჰკიოდა ის.

— ჩვენ არაფერი ვიცით, — უპასუხეს გაჯავრებულმა ჩეკისტებმა. — ჩვენ საერთოდ არაფერი ვიცით, შენ რა ბრალი მიგიძღვის და რატომ იყავი სოლოვკებში, იმ უბედურებაში. არც ის ვიცით, რატომ გაგიგრძელეს ვადა. ჩვენ მოწერილობა მოგვივიდა და ამას ვასრულებთო. ერთი შეგვიძლია გითხრათ, რომ შენ სამშობლოში, საქართველოში არ გიშვებენ, იქ არ უნდათ შენი მიღებაო. ალბათ შენთვის ეხლა არ სცალიათო.

ლევანისათვის ეს ყოველივე მომაკვდინებელი იყო. ბევრი იდარდა, განიცადა, ძაგრამ რას გააწყობდა.

მიხვდა, რომ ნამდვილად ვადის გაგრძელება ისევ საქართველოდან მოდიოდა. იძა ბაც ნაღვლობდა, რომ თავიდანვე ქალაქ ვლადიკავკაზში წამოსვლა და აქ დამკვიდრება ალბათ დიდი შეცდომა იყო. წასულიყო სადმე რუსეთის ქალაქში, სადმე ქარხანაში. მუშის სამუშაოს ყოველთვის იშოვიდა, შესაძლებელია რამე შელავათიც ჰქონოდა. რაც მთავარია, ამდენ ხანში უმაღლესს დაამთავრებდა და სპეციალობა ხელში ექნებოდა.

შინაგანად ბევრი ინერვიულა და ფიქრებს ძალა დაატანა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი გამოენახა. საბოლოოდ მაინც გადაწყვიტა აქედან თავის დაღწევა. თავისი განზრახვა მამა გიორგის გაანდო. მამა გიორგიმ ლევანი დააწყნარა.

— სამი ნელინადი დიდი დრო არ არის შვილო. შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, ჭკვიანი, ბევრი იმუშავე. გაერთე. წლები კი ხომ ხედავ როგორ სწრაფად გარბის. მერე ვერაფერს ვეფარ იზამენ და გაგიშვებენო. მშობლებს ჯერ ნურაფერს ნუ შეატყობინებ. ისინი თვითონ მიხვდებიან. ხომ ხედავ საქართველოში როგორი რეპრესიები და დაჭერები მიდის. არცერთი ღირსშესანიშნავი ოჯახი ალარ დარჩა დაურბეველი, ვინ იცის, შესაძლებელია უკეთესიც არის რომ შენ აქა ხარ გამოხიზნულიო. საწყალი ლევანი რალას იზამდა, საბოლოოდ ისევ თავის უბედურ ბედს დაეყრდნო. ჩემი სრული ბედნიერებისათვის საჭიროა სამშობლო და გარემოს სიყვარული. ეს კი ამ ბოლო ხანებში ჩემთვის მიუღწეველიაო, — ხშირად იმეორებდა.

ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში მუშაობით ლევანმა ქართულ კლუბშიაც გაითქვა სახელი, შეიძლება ითქვას, რომ ლევანმა იქ დაიწყო სერიოზული ლიტერატურული მოღვაწეობა და მეორეც, ლევანი ძალიან კარგად ხატავდა და კლუბში კარგი მხატვრის სახე-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი", №1, 2.

8 „მნათობი", № 3.

ლიც დაიმსახურა. მერე ძერწვაც დაიწყო. მისი გამოძერწილი შოთა რუსთაველი დიდხანს ამშვენებდა სკოლის დარბაზს. ამრიგად ლევანმა ყოველ მხრივ უფრო დაიტვირთა თავი. მამა სულ მუდამ მის საქმიანობას თვალ-ყურს ადევნებდა, ძალიან ხშირად მისგან პატარ-პატარა ბარათებიც მოდიოდა.

ლევანი წერდა მამას: ვლადიკავკაზში ყოფნამ საგრძნობლად გარდაქმნა ჩემი ცხოვრება. დავეწაფე მწერლობას. დავწერე რამდენიმე მოთხრობა, ლექსები, ესკიზები, პიესები, დრამები, ვნახოთ რა გამომივა. კალამს ქარქაში არ გააჩნია, ის ან ბასრად ცხოველმყოფელია ან გატეხილიაო. ვნახოთ ჩემს ხელში რას იზამს, როგორ გამიმართლებსო.

მახსოვს ერთხელ მამამ გაზეთი „კომუნისტი" სიხარულით შემოიტანა, — იგოხებს თინა. გვაჩვენა საკმარისად დიდი სტატია, რომელშიაც დაწვრილებით ეწერა ვლადიკავკაზში არსებული ქართული კოლონიის შესახებ, მის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, ქართული სკოლის არსებობაზე, იქ აღზრდა-განათლებაზე, კლუბის არსებობაზე და სხვა ნვრილმანზე, მაგრამ აქვე იყო ძალიან დეტალურად გარჩეული მთელი რიგი ეკონომიური საკითხებიც. ქვევით კი ხელმოწერა ლ. გ. ვლადიკავკაზის ქართული სკოლის მასწავლებელი.

მამას ძალიან უხაროდა ლევანის გატაცება ლიტერატურით. ის ხომ ჯერ კიდევ ბავშვობაში და სტუდენტობის დროს ამჟღავნებდა ამის ნიჭს, ეხლა კი ეს უდაო ხდებოდა. ლევანის ლიტერატურული ნიჭი ვულკანივით ამოფეთქავსო, — ხშირად იმეორებდა მამა.

მამა წინასწარმეტყველებდა ლიტერატურაში ლევანის ბრწყინვალე მომავალს, მის დიდ მწერლობას. სანყალი მამა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სულ ამაზე ოცნებობდა, მაგრამ ვეღარ მოესწრო.

როგორც აღინიშნა, ლევანმა ლიტერატურული მოღვაწეობა ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში ის ლექსების წერით იყო გატაცებული. ბევრი დაწერა კიდეც. სამწუხაროდ, არცერთი იმ დროინდელი ნაწარმოები არ შემორჩა. დასანანია ის ფაქტიც, რომ ლევანის მიერ ვლადიკავკაზში და ბიისკის ოლქში გადასახლების დროს, სულ ადრეულ ახალგაზრდობის პერიოდში დაწერილი ლექსების, მოთხრობების, ესკიზების და სხვა ნაწარმოების უმრავლესობა განადგურდა ბევრჯერადი ჩხრეკისა და სხვადასხვა მიზეზებისა და გარემოების გამო. გულდასაწყვეტია ისიც, რომ ბევრი კარგი ლექსი თვით ლევანმა მოსპო. ბევრი აღარ მოეწონა უკვე კარგად მომწიფების ხანაში. ამჟამად ლევანის არქივში შემორჩა რამდენიმე იმდროინდელი ლექსის ხელნაწერი ნარკვევები და ნაწარმოებ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვინდა შემოგთავაზოთ, იმ ნაწარმოებთა არასრული სია და შემორჩენილი ზოგიერთი ლექსიც. ამ ლექსების ყოველი სტრიქონი ლევანის გულის თქმა არის, ასახავს იმდროინდელ განცდასა და ნუხილს. ლექსები დაწერილია ვლადიკავკაზში (ძაუგი) 1928-1930 წლებში: სიტყვა ალალი, ნასპასალარი, რითმა შერეული, ნახირი ქალაქში, სიმფონია, აპპ, აუუუ ბეშტაუ, კარავი იალქანივით, თასმა ასონანსი, თეთრი მძორები, სულ უბრალო ღამე, ინვები, არც ანთებაა, მრავალ ხალხისა, მე ჯალათი ვარ; ო, ოლეგოვა, უთავბოლო, ფიქრია მცირე, ახალ სახური მინდა ვიტირო, ათას ფერხულად; ჰეი, ჰეხის მტრად, ძილისპირული, და სხვა ლექსები. საბავშვო პიესები: „აღელვებული მებალე", „ცელქი გმირები", პიესები: „დრამა პრეისტორიული" 5 მოქმედებად, „ხეთა დაეცა", „მზეო ჰან-დალიბ", დრამა თეთრ ლექსად. მოთხრობები: „ლოთი ლათაი", „ბასრი ხარ-ხარი", მოთხრობა „ძველად უთქმელი", „ღმუილ, ღმუილ, ნისლი გაცრილი".

ნარკვევები, ნოველები, ესკიზები: დრამა, ლეგენდები: მთა მაგიდა, ურმული, ბედი ჯებირის, ლირიკული დრამა ესკიზი. Momento mori სივრცე მურაზი. ქურდი დარიალში და სხვა. დანარჩენ ნაწარმოებებზე შემდეგ შევჩერდებით თანამიმდევრობით.

ზოგიერთი სტრიქონები ლექსიდან
„მთა მაგიდა":

აუუ ძაუგი, ლრიალებს თერგი
თან მოაქვს... მთის სიმალხაზე და ხალისი,
მოხტის როგორც აბულრავებული
მოზვერი
ო-ო შენ დენას რა შეანელებს??
შენ დენას რა შესწყვიტავს?
— ალბათ ზღვა კასპიის.

———

თერგი სხარტია როგორც კალმახი.
თერგი სულია მთის,
თერგი — ამბოხიც და სერენადა,
თერგი სენია გადამდები უთუოდ —
მეც თერგდალეული
მის ავადმყოფობით შენაპყარი,
ალბათ მიტომ თუ მიზიდავს მთები

———

კავკასიონი თუ ქედია,
სამხედრო გზა არის მისი სარტყელი,
უზარმაზარი ხნული და ორი გველი
შიგ ჩაწოლილი —
თერგი და გზა,
გზა ნაბეჩსავალი ურიცხვ მოდგმათა,
გზა და გამზირი ისტორიაში,
მონმე მონამე უკუღმართ ბედის —

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო შარა საქართველოსი.
ღამე ეუფლება კლდეებს და ფერდობებს,
მზე ჩაიძირა ლოდივით გუბეში.
მძვინვარედ იმლება
ღამის ოკეანე
და იძირება მის არქიპელაგში —
ილვრება მელანი
ჭვარტლი და ძური,
ღრუბლები ჰბორგავენ შავი მხედრებივით,
ჩრდილოეთიდან მოდიან ჯანღები
და მთიურ მაგიდის მკერდს ეხეთქებიან.
მხოლოდ ღა მყინვარი აგდია ქეჩაზე,
ქვევით კი
ბნელეთი, ბნელეთი, ბნელეთი...
ალბანი თუ ამზადებს ახალ აჯანყებას,
ამაყი მყინვარი
და იმის იქით
მთელი საქართველო
უ... უ... უ... მყინვარი
ეჰა — საქართველო.

ნლები მართლაც რომ სნრაფად გარბოდა. ვლადიკავკაზში ყოფნამ ლევანს მთებიც შეაყვარა და ალპინისტობაც დააწყებინა. ის სნერდა მამას: ყოველ დღე შევყურებ დიდებულ კავკასიონს, თვალი გამირბის, დაკმაროს ზვიად სივრცეში. ჩემი მზერა უცნაური ძალით ივსება. შეუდრეკად ვჭვრეტ შარადიულის ყინვით დაფარულ ‹ბუმბერაზ› მწვერვალებს, რომელიც უჩვეულოდ ბიტაცებს.

მისი უკუ მხარე კი, ეჰეი გულის ტკივილით მხიბლავს, მიძახის ჩემი სამშობლოს მინა-წყალი. ამაყი საუკუნოვანი ციხე-კოშკების ნანგრევები, ბევრის მთქმელი და ძველი ისტორიული ნარსულით გამოჭედილი. ქვევით კი ტყეშეფეთქილი შინდით, ტყემლით, ნასოფლარებით, ნასაყდარებით და სხვა ნანგრევებით ის არის ყველა უპატრონოთა და ეხლა ჩემი ჭირისუფალი.

ჯერ ლევანმა ვლადიკავკაზის გარშემო მთები და შემოგარენი შემოიარა, შემდეგ კი „ჩეკაში" აღრიცხვიდან აღრიცხვამდე არალეგალურად თავისუფალ დროს, განსაკუთრებით ზაფხულში, მწვერვალების დალაშქვრა დაინყო, რამდენჯერმე სხვადასხვა გვარით არალეგარულად.

1930 წელს გაზაფხულზე მესტიაში გაიხსნა ჰტეს-ს ტურისტული ბანაკი, რომლის გამგე საუკეთესო ოსტატი მთამსვლელი სანდრო გვალია იყო.

ტაეერის მყინვარის ბოლოსთან ტურისტული თავშესაფარის მშენებლობაზე მუშაობდა იმ დროს უმცროსი ტექნიკოსი, ამჟამად, საუკეთესო მთამსვლელი, დამსახურებული პროფესორი ლევან მარუაშვილი, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას მესტიაში იყო და ლევან გოთუასთან დაკავშირებით ყველაფერ ამბებს შეესწრო.

ბანაკში ხალხმრავლობა იყო. ... ფები ანარმოებდნენ სხვადასხვა მწვერვალის დასალაშქრავ ნინასწარ მოსამზადებელ წვრთნას.

— ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად — იგონებს ლევან მარუაშვილი, — ბანაკს მოადგა ერთი ზორბა, ბრგე ვაჟკაცი, გახოთლებული და გასიებული ცხვირით. სანდრო და მე იმწუთშივე მივხვდით, რომ ამ კაცს მყინვარზე ახლახან ევლო.

ყიზლარის ქართული სკოლის მასწავლებელი ცაბოლაშვილი ვარო, — ნარმოგვიდგინა თავი უცნობმა. ჩვენ ორივეს გაგვიკვირდა ასეთი უცნობი გვარის ალპინისტი, არც სანდროს და არც მე იგი კავკასიონის მწვერვალების დალაშქვრაში არ გვახსოვდა.

— გაქვთ თუ არა რაიმე გამოცდილება ალპინიზმში და რომელი მწვერვალები დალაშქრეთო? — შეეკითხა გაკვირვებული სანდრო. — მთამსვლელობაში მე დიდი გამოცდილება არა მაქვს, მაგრამ მაქვს დიდი სურვილიო — განაცხადა უცნობმა. ხომ შეიძლება როდისმე მთამსვლელობა დავინყოო. მერე მოგვიყვა, რომ იალბუზის კალთებზე შეხვდა ვინმე ინჟინერ რაკოვსკის.

ამ მთამსვლელს სანდრო გვალიაც და მეც კარგად ვიცნობდით. ის განსაკუთრებით მწვერვალ იალბუზის დიდი მოტრფიალე იყო, ბევრჯერ უსინჯია დიდებული კავკასიონის ამ გოლიათის დალაშქვრა, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ასვლის ნინა დღეებში ძალიან ღელავდა და დამამშვიდებელ ნამლებს იღებდა. სწორედ მწვერვალზე ასვლის წინ კი ცუდად ხდებოდა. ცაბოლიშვილს თურმე რაკოვსკისათვის უთხოვია მისი ჯგუფში ჩარიცხვა და იალბუზის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება.

რაკოვსკის ცაბოლაშვილისთვის შეუხედია და არ მოსწონებია მისი სამთო მონყობილობა, განსაკუთრებით იმერული მესტები მწვერვალზე ასასვლელად, თანამგზავრად მიღებაზე უარი უთქვამს.

— გეტყობა გამძლე კაცი ხარ, მაგრამ ჩაცმულობით არა ხარ სათანადო მომზადებულიო.

ცაბოლაშვილი მერე მიჰყედლებია სხვა ჯგუფს და 11 აპრილს ეფიმოვთან და ბეჩოელ მეგზურ გრიგოლ უშხვანთან ერთად სამს დაულაშქრიათ იალბუზის აღმოსავლეთი მწვერვალი. ცნობა ამის შესახებ ვ. სემენოვის წიგნში „საბჭოთა კავშირში ალპინიზმის განვითარების მიმოხილვაშიც" არის მოცემული. ეს წიგნი მერე ქართულ ენაზე ლევან

მარუაშვილმა თარგმნა თავისი დამატებებით და შესწორებებით.

სანდრო გვალიას ცაბოლაშვილი მოეწონა, ის ბანაკში ჩარიცხა და ერთერთი მნვერვალის ასაღებ სავარჯიშო ჯგუფში გაამწესა.

რამოდენიმე დღის შემდეგ ცაბოლაშვილი გამოგვეთხოვა, მწვერვალზე ასვლა ახლო მომავალში არ არის გათვალისწინებული, მე კი დღეები არ მყოფნის, უნდა წავიდეო.

ეს საიდუმლო ჭაბუკი როგორც ასე საეჭვოდ მარტო, ჩუმად მოვიდა, ასევე საეჭვოდ მარტო, ჩუმად წავიდა.

გავიდა რამდენიმე ხანი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნულ განყოფილების სხდომაზე, რომელიც საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში ჩატარდა ლევან მარუაშვილი შემთხვევით შეხვდა „ცაბოლაშვილს", რომელიც ლევან გოთუად გააცნეს. მე გაკვირვებულმა შევძახე მას:

— აკი ცაბოლიშვილი იყავი მესტიაში?!

ლევანმა გაიღიმა და მიპასუხა:

— შენც სუ და მეც, ხან ცაბოლაშვილი ვარ და ხან გოთუა. მან საიდუმლოდ უამბო მარუაშვილს, რომ თბილისში არალეგალურად არის ჩამოსული ჩრდილო კავკასიიდან. შორი გზის მოვლით გაიარა ნალჩიკი, იალბუზი, მესტია, ტყვარჩელი და თბილისი. ამ დღეებში კი უკან ვბრუნდებიო. ძალიან არ მინდა, მაგრამ რა ვქნაო.

ქვევით გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე ლექსი დაწერილი იმ დროს, ქალაქ ვლადიკავკაზში.

ქურდი დარიალში

გზა პირსახოცი,
სამხედრო შარა საქართველოსი.
მივალ მალული და ჩუმად,
ფარული ზრახვით შეზარხოშები,
გზას მავთულივით ავეკვიატე
და თერგის ტალღებს ალერსით ვზომავ.
მთებმა მოსწურეს თანდათან ხევი
და ხეობაში გზა და თერგია,
ორივე შფოთი და ანაგრეხი
დები, შვილები კავკასიონის,
უცებ გზა და თერგი გადაიჯვარა,
ხიდი საზღვარია, აქით საქართველოა.
თვალები ეძებენ საზღვრის საგუშაგოს,
დანგრეულია ნეტავ როდემდის?
გრძნობის სისავსემ ღაწვები დალეკა
ოცნებამ აშალა განცდების ფარდაგი,
გული უჩვეულო ძგერით გაილურსა
და დიდხანს ვიდექი ხიდის შუაგულში.
ჩემი თვალები იწევდნენ თერგისაკენ
და იძირებიან ამღვრეულ მორევში,
ჩემში მორევია, მძაფრი მორევი,
მოვკრიბე ოცნების სირმა ბილიკები.
ნდობით გადავლახე სამშობლოს
საზღვრები. ნდობით [illegible]
და თითქოს ყოველი [illegible]
მშობლიურ მიწა-წყალს ცნობილობს
გუმანი.
მინდა ლოდებს ანდერძი მოვტაცო,
გზის პირს გავენართხო ფერხით...
საქართველოს.
ქართველი... მთიურ ჰაერს ვეხარბები,
დავთვრები: ოცნების ცხადებით... ხილვით
მოქანცულ ტერფებმა იხარეს სიამე
ოო! რა ტკბილია მიწა მშობლიური,
და გახურებულ შუბლს ესუმბულება
საქართველოსი წამი და ქარი.
ღრუბელი იშლება კლდეებში და
ნაპრალებში
ვარდება სხივი,
ეს სულ სხვა მზეა, უფრო სხივოსანი,
ეს არის მზე საქართველოსი.
დიდხანს ვიდექი საქართველოს ხიდის
ყურეში,
მეხსიერება ირწეოდა როგორც აკვანში
და იქმნებოდა სახეები წარსულ განცდისა
იყო ომები... იერიში, სისხლი და ტყვია
პირსისხლიანი შემოვარდნა უცხო
ტომების,
იყო თავდაცვა მამაცური და
თავგანწირვა,
იყო ნაკადები სისხლ შენაფერები
და ათასი სხვა რამ დაუნდობლობა,
ბედის სიმუხთლე, ჟამის ვარამი,
იყო ჯანყები, ბრძოლა და მსხვერპლი,
ყოველი კუთხე სისხლით ანალესი
იყო და იქნება და მაინც,
საქართველო, შენი ცისარტყელა
ისევ შვიდი ფერია,
მასში სამფერი კი უმთავრესი,
ისევ ჯვარედინი თერგი და შარა,
საზღვარი.
აქა-იქ მოთხრილი საგნები,
თხემზე დანგრეული საზღვრის საგუშაგო.
ნეტავ როდემდის??
დიდხანს ვიჯექი საქართველოს
ხიდის ყურეში,
ჩემი ოცნება ეკლებოდა ნაცნობ სახეებს.
მიმძიმს დატოვება მშობლიური კალთის...
დარიალასი, თამარის ციხე...
მიმძიმს და მაინც უნდა წავიდე.
გულს შემოესია სევდა ხეიბარი,
გრძნობა და იმედი ხიდზე ,ჭედია
მოდიან სილრმიდან აუგი გულები
ნუთუ ვერ ვიხილავ მეტად
საქართველოს???
დაძაბულ სხეულში თრთის უნასანსალა
უიმედობა... მარცხის მოლოდინი.
ნუთუ ჩვენი ხვედრი კიდევ...
და ძვლებურად მიგორავს თერგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარის ! ...ონია კლდეს ეხმატკბილება.
ოო ასე ტკბილია აქ ყოფნა მარადის
მაგრამ!???
მე ჩუმად ვარ აქ შემოპარული
და უნდა წავიდე ისევ ფარულად.
დიახ, მე ქურდი ვარ დარიალში,
მაგრამ მომისმინე... თამარის ციხეე
და შენ, უპოვარო დარიალო:
— მე კიდეე მოვალ
მკერდით და ალმით
და შენ ალაყაფში იჭექებს ჰიმნი:
— გამარჯობა!
დიახ, გამარჯვება.
სიტყვა ჩამოვარდა ვით ხმლის მოქნევა
და გამინაპირა სევდაში წარსული,
ვილაცამ გვერდში დინჯად ჩამიარა,
მიამა სალამი და სიტყვა ქართული.
მანაც გამოიცნო ჩვენი ქართველობა
და იქნებ ფიქრებიც...
ეროვნებას აქვს თავის ინტუიცია,
ეროვნებას აქვს თავისი ინსტიქტი,
ეროვნებას აქვს თავის ანდამატი.

თეთრ ლექსად

1926 წ. კავკაკი 7-8/XII ღამეები.

საცაა მალე დაგვიზამთრდება,
თოვლი დაბურავს ამ არემარეს.
ამ ღრმა ხევებში ჩანევება ზვავი,
და უღრან ტყეში წარიშლება გზა
ნატამალი.
ჩვენ კი მივდივართ, არც გზა, არც კვალი.
მივდივართ საით თვითონ არ ვიცით
და ჩვენს ხეტიალს არც უჩანს ბოლო.
მზემ დაამთავრა ზღაპარის თხრობა,
ეხლა დაიწყო ღამის ზღაპარი,
ამბობენ ღამით ყველა ბრმავდება
და ბრმაც მეტყველებს, ტყე, მინა, ბარი.
ნიავი მეტყვის შორეულ ამბებს
და ტყეში ჩუმად გაიხიზნება
და ბრმა ოცნება ფრთა შენაყარი
თვალებს ამიხელს ელვის სისწრაფით.

ლევანს უკანასკნელ ხანებში „ჩეკაში" შეღავათი მისცეს. რეგისტრაციაზე არა კვირაში ერთხელ უნდა გატარებულიყო, როგორც იყო მთელი აქ ყოფნის პერიოდში. არამედ თვეში ერთხელ. ამასთან ერთად, უნდა წარმოუდგინა წერილობითი დეტალური ანგარიში დღეების მიხედვით თუ სად და როგორ გაატარა თვე.

ის ვლადიკავკაზიდან იკარგებოდა და არალეგალურად სად არ დადიოდა — მთაში თუ ბარში, რამდენჯერმე თბილისშიაც ჩამოვიდა. ჩუმად მამა და სანდრო ხვდებოდა, სახლში კი არ მოსულა. ღამეს ისევ ფავლენიშვილის ოჯახში რჩებოდა. „ჩეკას", რა თქმა უნდა, მისი ხშირი დაკარგვა არ [illegible] რადღების გარეშე და მალე მას [illegible] ცვალეს რეჟიმი, ყოველ კვირეულ [illegible] ბაზე გადაყვანით.

ეს რეჟიმი ლევანს პირდაპირ ჰკლავდა. ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა, მიჯაჭვული იყო „ჩეკას" და ისე მობეზრდა ეს ამბავი, რომ უკვე ველარ იტანდა. არალეგალურად მოგზაურობისათვის ერთი კვირა აღარ ჰყოფნიდა, ზოგჯერ ძლივს ახერხებდა დიდი ხერვიულობისა და ფიზიკური გადატვირთვის ხარჯზე.

ლევანი ცოტახანში ისევ ყიზლარის სკოლაში გადავიდა სამუშაოდ. უნდოდა თავისუფალი დრო მეტი ჰქონოდა და წერისათვის აქტიურად მოეკიდა ხელი. იმდროინდელ ლევანის კალამს ეკუთვნის რამდენიმე დრამა, ორი საბავშვო პიესა, მოთხრობები და ათიოდე ლექსი: მზე ნაბუზარკალევი, ჯიხვის დავლური, ჯაოს ბალდახინი, ქარი უმთვაროდ და სხვა.

მშობლებს ლევანის გადაწყვეტილება ძირითადად მოეწონათ. არ ესიამოვნათ მისი ასეთ ყრუ სოფელში სამუშაოდ გადასვლა. ამის თაობაზე დედამ საყვედურიც კი მისწერა ლევანს. საპასუხო ღია ბარათიც მოვიდა.

ყიზლარი, 1 იანვარი, 1930 წ.

ჩემო კარგებო! გილოცავთ ახალ წელს, მწამს, რომ ის ჩვენი ოჯახისათვის, უფრო ბედნიერი იქნება. მიიღეთ ჩემგან საუკეთესო სურვილები, დაესწარით მრავალს.

საყვარელო დედა, შენი წერილი მიღებული მაქვს. ჩემი ამ სოფელში წამოსვლა — რა თქმა უნდა, ვერაფერი კარგი საქმეა, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა... ინერები ჩვენი ნახვა არ გინდათ?! თითქოს ჩემგან იყოს დამოკიდებული... მეზობელთან უხეში საუბარი (შენ რომ ინერები) არ არის მართალი. არ ვიცი, რად დასჭირდა ამის თქმა. პირიქით, მე მითხრა „ვეცდები მოგეხმარო, რომ დროებით მაინც გამოგიშვან თბილისშიო..."

მამა ხომ კარგად არის? იქვე მსახურობს? მე კარგად მოვეწყვე. შედარებით რა თქმა უნდა! ძალიან პატივს მცემენ. სანდრომ დაამთავრა თუ არა მეურნეობის ელექტროფიკაცია? თუ დაბრუნდა თბილისში? ბავშვები როგორ სწავლობენ? დიდი მოკითხვა და მილოცვა მეგობრებს და ნათესავებს.

გკოცნით ლევანი.

ლევანმა მტკიცედ გადაწყვიტა რუსეთის რომელიმე საუნივერსიტეტო ქალაქში წასულიყო. ჩაებარებინა გამოცდები და სწავლა განეგრძო. ეს მამას მოსწერა.

14/IV — 1930 წ. ყიზლარი
საყვარელო მამა!

შენი წერილი მივიღე საკმაოდ დაგვიახლებით. ერთგვარ ყოყმანში ვარ, რა თქმა უნდა სიშორე მე სრულიადაც არ მაშინებს. მზადა ვარ ნავიდე უფრო შორს, მაგრამ: ამ სწავლის დროს სკოლის მიტოვება უხერხულად მიმაჩნია.

ერთგვარ მორალურ კმაყოფილებას ვგრძნობ, რომ აქ ქართველ ხალხს შეძლებისდაგვარად ვიცავ გადაგვარებისაგან. ადვილი რომ იყოს სხვა მასწავლებლის შოვნა, ხომ რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა. თან — რაღაც 3 თვე დარჩა სწავლის დამთავრებას.

მეორეს მხრივ ასეთ შემთხვევის გაძვება არ მინდა, ვფიქრობ რომ იქიდანაც ჩქარა მოვა პასუხი. ამიტომ მაინც ეხლავე მინდა მივწერო, და ყველაფერი დავაზუსტო. თან ამ მოკლე ხნის შემდეგ შესაძლებელია ვეღარც გავძლო ამ სოფელში ისე ამაღელვა უმაღლესში მოწყობის შესაძლებლობამ.

მე კარგად ვარ, მოკითხვა ბავშვებს, მოიწერონ.

გულითადი მოკითხვა ყველას. ველი პასუხს.

გკოცნით ლევანი.

მამამ და ლევანმა ბევრი იმსჯელეს ძიწერ-მოწერით ლევანის უმაღლესში სწავლის გაგრძელების შესახებ, არჩიეს ქალაქებიც და ბოლოს ისევ სარატოვზე შეჩერდნენ. გაიგზავნა განცხადება და ცნობები. ესე იგი, სკოლაში სწავლის დამთავრების შემდეგ ლევანი ვლადიკავკაზიდან განთავისუფლდებოდა და იმ ქალაქში გადავიდოდა. ძალიან სერიოზულად მეცადინეობდა — ვინცობაა დაძჭირდეს გამოცდების ჩაბარებაო. ლევანი სახლში ჩაიკეტა, დღე და ღამე ასწორებდა, არსად აღარ დადიოდა, იმეორებდა ეკონომიკის სხვადასხვა საგნებს. გარემო ცხოვრებას მთლიანად ჩამორჩა.

ლევანის გადასახლების მეხუთე წელიც მიიწურა ასე უფერულად, უშედეგოდ. ძძიძე განცდებითა და ღრმა სევდით აღსავსე. თითქოს ობობას ქსელში ვარ გახვეული და მსხვერპლს ველიო — თვითონ ლევანი ასე თვლიდა. დარჩა უკანასკნელი ერთი წელი დაუშრეტელი ოცნებისა, დიდი იმედისა და კეთილი მოლოდინისა, მაგრამ მაინც უნდობლობის და შიშის გრძნობით.

ლევანი უკვე 25 წლის გახდა, ნიჭითა და ენერგიით სავსე. აწმყოს სულ სხვა თვალით უყურებდა. ამდენი ხნის მანძილზე მიჯაჭვული „ჩეკას" ვეღარ იტანდა. ვერც ქალაქში და ვერც სოფელში ადგილს ვერ პოულობდა, დამწყვდეულ ლომსა ჰგავდა.

ქალაქ სარატოვში გადასვლას და უმაღლესში სწავლის გაგრძელების სურვილთან დაკავშირებით ძალიან აფორიაქდა. დარჩენილ ამ ერთ წელს მნიშვნელობას ანიჭებდა და ამდენ დაკარგულ წლებში [illegible] ანად თვლიდა.

ცოტახანში უმაღლესის [illegible] თად გადაწყდა, საჭირო გახდა „ჩეკასთან" შეთანხმება. საბუთების გადატანა და სარატოვში საცხოვრებლად გადასვლა.

მამას და ლევანის აზრით ეს საქმე „ჩეკაში" იოლად გადაწყდებოდა, თვითონ უკვირდათ, რად იყვნენ ამაში დარწმუნებულნი. ლოგიკურად ასეც უნდა ყოფილიყო, ბოლოს და ბოლოს, ეს თავისუფალი გადასახლებაა და არა პატიმრობა. მათ მიერ არჩეულ ქალაქში საცხოვრებლად გადასვლა არ უნდა ყოფილიყო ძნელი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. „ჩეკაში" ლევანს უარი მიახალეს ქალაქიდან ქალაქში გადასვლა საერთოდ აკრძალულიაო, სადაც დაიწყეთ პატიმრობის ვადის დაფარვა, იქ უნდა ჩაათავოთო. ვადის დამთავრებამდე ვერსად ვერ წახვალთო.

პასუხმა ლევანს პირდაპირ ლახვარი ჩასცა. — მე ერთი ვადა უკვე დავამთავრე და მეორეს მამთავრებინებენ, რა ვქნა, როგორ მოვიქცეო, როდესაც საყვავეთი ზეიმობს ირგვლივო. სამშობლოზე ჯალათები და ყვავ-ყორნები მტრულად ბორიალობენ და დაძრნიანო, არც გაზაფხული და არც მარცხის მძლეები მერცხლები არსად სჩანანო და არც ახლო მომავლის იმედი მაქვსო — სწერდა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ლევანი. ზოგჯერ თვითონ იმშვიდებდა თავს, მაინც ლოდინის თვალი ორმაგიაო. მეორე ვადის დამთავრების შემდეგ იქნებ მეღირსოს თავისუფლებაო.

ლევანს ნამდვილად არაფერში ბედმა არ გაუღიმა. ყველგან უმტყუნა, „ჩეკადან" ყოველნაირად ავიწროებდნენ. — ეს რა ორომტრიალში მოვხვდი, იქედან თავის დაღწევა აღარ შემიძლია. ეს რა დაუკმაყოფილებელი მისწრაფებებითაა ავსილი ჩემი ცხოვრებაო. მიუღწევლობით გამონვეული შინაგანი ნუხილი სცილდება ყოველგვარ გრძნობის საზღვრებსო. რა დავაშავე ამისთანა ცხოვრებაში, ნამდვილი ტყვე ვარ „ჩეკასი". ცოტახანში ლევანმა სულ მთლიანად დაკარგა იმედი და საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

მამა შიშობდა, სულ ეხვეწებოდა — ეს ერთი წელიც როგორმე გაიტანეო, ნუ აურევ გუნება-განწყობას, ბევრი სწერე, იმუშავე, ლიტერატურას გაჰყევი და წელიც ძეუმჩნეველად გაფრინდებაო. მე მაინც — სწერდა მამა, — გულის სიღრმეში კეთილი იმედით ვარ გამსჭვალული. ამჯერად შენი დაბრუნება უდაო იქნებაო.

ეს წელიც გავიდა საშინელი განცდებითა და გაჭირვებით, და ისევ უბედურება დატრიალდა, ლევანს ისევ მექანიკურად კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 წელი მოუმატეს. ლევანი დიდ სასონარკვეთილებაში ჩავარდა. განსაკუთრებით იმას სწუხდა, რომ ამდენი ხნის მოლოდინმა მას არაფერი კარგი არ მოუტანა. ყოველ კვირა „ჩეკაში" სიარულმა კი გატეხა მორალურად. თითქოს ნელი წამებით სიკვდილი მაქვს მისჯილი და მე ამ წამების ხანგრძლივ გზას სამ-სამ წლიანი სიჩქარით გავდივარ კიდეცო. ვლადიკავკაზში დარჩენა არაფრით აღარ უნდოდა.

— ველარ შევძლებ ცხოვრებას ასეთ მრავალგანცდათა სამყაროში, ცრუ იმედებით სულ ღელვაში და გაჭირვებაშიო. ამ მთავრობის არაფერი აღარ მჯერაო, — გულხაკლულად იმეორებდა ის. თუ სამშობლოში არ მიწერია ცხოვრება, მაშინ სხვაგან რა მინდა? საბოლოოდ გადაწყვიტა გასცლოდა ამ საშინელ წყობას, რომელიც დღითი დღე სპობდა მის ვაჟკაცობას, ხასიათის სიმტკიცეს, მორალურ თუ ფიზიკურ სულისკვეთებას. ლევანი დაუკავშირდა ამხანაგებს, გაიგო, რომ ისინიც ასეთივე მდგომარეობაში იყვნენ. ესე იგი, მთავრობის საყოველთაო წესკანონი ყოფილა მოსპოს, გარიყოს საქართველოდან საუკეთესო ნიჭიერი ახალგაზრდობა, თუ ვინმე რამეს წარმოადგენს, — ვაი, ვაი, რომ სახელმწიფოს სათავეში ჯალათები დგანან.

ამ პერიოდში დაწერილი მისი ლექსები გამოხატავენ გულის ტკივილს, ღრმა სევდას და მწუხარებას:

მინდა ვიტირო

მინდა ვიტირო, მოჰკალი ჩემში
სიყმაწვილე.
მინდა ვიტირო,
ო, ო, ეს თვალები დასანაყი, მარტო
მტვერია
აღარ მსურს ვიყო გმირი ნაქები,
ცრემლი მომინდა,
რომ ჩემი ფიქრი უფირქუში შიგ
ამოვავლო...
მოჰკალი ჩემი სიყმანვილე,
მინდა ვიტირო.
იქნებ ვარ ღმერთი და არ ვიცი ჩემი
სინმინდე,
იქნებ გავერთე. დამავიწყდა, რომ
მოველ ციდან,
იქნებ მიწიდან ამობერნეს და მწირი
ინვის
ამოთხრილი საქართველოდან.
ან თუ ვარ ცუდი, გაუგებარ ხმაურებს
ვროშავ
ოო, მეტად ცოტა სათქმელი მაქვს
ლექსის გარეშე
იქნებ არაა გამართული ჩემი მსჯელობა,
უნდა დავიწვა უხერხული და უკალამო.

ფიქრია მცირე

ლევან გოთუა, განვედი ჩემ[illegible]
მიან რუტია
შენი ნუხილი სევდა უთუოდ
შენ ჩამაგონე.
ეხლაც ვბოროტობ როგორც წუხელის,
ისევ უძილო,
გრძნობა დამხმარი.
უთუოდ სადმე ქარნი ზმუიან.
მე ვარ კუნძული
დაკარგულ მხარის
და ჩემი სევდა
რობინზონია.
ისევ უნებურ გამონანირი
კვლავ უდიდეს სევდას მივენდე
და მონაპარი ფიქრია მცირე
იქნებ მოვიდეს
ჩემი „იმედი".

* * *

სიმფონია აპჰჰ!
ისმოდა ნიავის ულბუნი ს...ს...ს...ს
სუროთა სევდის შრიალი შ...შ...შ...შ
სტროდა ტევრებთან სუმბული უ...უ...ე
უთუოდ ივსება ფიალა აპ...ჰ...ჰ...ჰ.
ავდივარ დევნილი და მათუსალა,
ავდარი მომელის მითოსის ალით,
აურაცხელი განცდები მოდიან
ო...ო... რა ცხელია
ტყვია უსახელო
თუ გული ისევ დასაკოდია.

იწყება

მზიდან მოვა სხივი და ჩრდილოეთძი
მინვდება
ფიქრიც მოვა მეხივით, ნუთუ სული
ინვება?
იქნებ დამიგვიანდა ნების შეკონინება
ო! ნუ ჰფარავ, გამენდე. ნუთუ სული
ინვება?!

* * *

ათას ფერხულად
ხომ წამოვა დარი ნათოვი,
უსათუოდ ზამთარი და იანვარი.
და საგულეში თუ რამემ გაიფართხალა.
ეს სიმარტოვე და მომსკდარნი ქარნი
არიან...

ჩემი მუქარით
თავის დროზე ყოველივე დაიწერება,
მოვა მაისი პირთვა უზარმაზარი
თბილი, უქარო... და მეწყერები.
და თუ მუხლებმა აინყვიტეს მინის
ჩაირი,

ელვა მეხურით დაიჭექება მაშინ თავთავი,
ჩამოვა თემა ხელუხლები და საშაირე
იცოდეთ მაშინ მარტოობა მეც გავთავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალ სახური
მომკვეთეთ ენა უჭიანო
და ძაღლის კერპი...
მოდრიკეთ ჩემი სიჯიუტე,
გამცხრილეთ ქარზე,
ჩაპკალით ჩემში დანართი
და მოგონება.
გადამატარეთ იარათა
ლეგიონები...
გამიჩანაგეთ შუბლი ავი
გული — ბოროტი
მომიშხამეთ ფიქრთა — სათავე
დამტოვეთ მარტო
დამიხარეთ ხედვა
დაშლილ სხეულის
გადამაზვინეთ წამებათა
ათასეული,
ო, ო, მაშინ მოვალ უხილავი
ქვეყნის დოლებით
მაშინ გამხელთ თუ ელავენ
მზის გოლილები.
მაშინ მოვალ
თვით ნება,
ახალ სახურით
ურგულებში ჩავებმები
და მიმსახურეთ

უთავბოლო

არის უთუოდ ფიქრი საფეიქრო
ათი-ათასი ყაისნაღებით,
არის უთუოდ სევდის სევადი
და ურდულები უგასაღებო!
არის ზეცაზე ობოლი დილა,
გაუკითხავი მათხოვარივით,
არის სიერცეში წათხარი მხარე,
გადასულ ჟამთა ნახუმარევი.
არის ქვეყანა უძირო, მდორე,
ნაიარევით ჩამოსტამბული,
არის სამყარო უკეფო აბრა
ფხა შერეული და უთავბოლო.

პეტრე კურცხალია, ლევანთან ერთად სოლოვეტებიდან ვლადიკავკაზში რომ ნამოვიდა, თავის დაღწევის მიზნით სულ ახალ და ახალ გეგმებს ანყობდა.

— ჩვენ თუ მძიმე დანაშაული წარსულში გვქონდა ჩადენილი, — აღშფოთებით იმეორებდა ის, — „სამეულმა“ შორეულ ჩრდილოეთში პატიმრობის სამი წელი მოგვისაჯა, შემდეგ რატომ გადმოგვიყვანეს თავისუფალ გადასახლებაში? ესე იგი, არ ვიყავით დიდი „პოლიტიკური მოღვაწეები“ და დამნაშავეები. თავისუფალი გადასახლება ისევ „ჩეკის“ მძიმე რეჟიმით ჩაგვატარებინეს. არალეგალურ ცხოვრებას მიგვაჩვიეს ქურდულად. შემდეგ რაღას გვერჩოდნენ, სამი წელი ძალიანიკურად რომ დაგვიმატეს, თითქოს „სამართლიანი ურდოებით“ თანდათან რომ გვანადგურებდნენ. აბა, ესეც [illegible] ნათლად და რა გამოვიდა, [illegible] სამი წელი! რისთვის? [illegible] იძლება უსასრულოდ წლები მოგვიმატონ და მოგვიმატონ, სამშობლოში მისადგომი აღარც გზა და აღარც ხიდი დაგვიტოვონ, მუდმივ პოლიტიკურ პატიმრებად გამოგვაცხადონ, სამშობლოს ურჩ მოღალატეებად ჩაგვთვალოს ხალხმა. მთავრობაში ვინ არის ამის გამკითხველი. მათ ეს აძლევეთ ხელს. ჩვენ ამ პერიოდში ისე დაგვაკნინეს, ალბათ ადამიანებად აღარ გვთვლიან, რასაც უნდათ იმას გვიშვრებიან, ცოცხლად გვკლავენ. ალბათ საქართველოში ცოცხლები ევღარ დავბრუნდებით. საშინელ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მათი პოლიტიკა არ გვესმის და ვერც გავიგებთ. თავისუფალი გადასახლების რეჟიმი მახრჩობელა გველივით ტანს გვეკვრის და თანდათანობით სისხლისაგან გვცლის.

— რამდენმა ჩვენნაირმა ახალგაზრდამ ისე გაათავა თავისი სიცოცხლე — და ცხოვრება, რომ არსებითად ჯერ არც კი დაუწყია. რამდენი სამშობლოსათვის კარგი საქმე გაუძღვანებელი დარჩათ ვინ მოსთვლის. სწორედ ყველაზე უფრო ამის შეშინონოდა, ალბათ ჩვენც ეს გველის. აქამდე სხვისი უნდობლობა გვჭირდა, ახლა კი ჩვენი თავისაო, — იმეორებდა ლევანი. თავის ხიჭში და კეთილკაცობაში ეჭვიც კი შეეპარა, ასე რომ გაგრძელებულიყო შეიძლება თვით მკვლელობამდე მისულიყო საქმე.

შეიკრნენ აღშფოთებული და იმეტყველებული გაჭირვებული ერთ ბედს ქვეშ მყოფი მეგობრები: ისევ ფაველენიშვილი, პეტრე კურცხალია, ბესო ვაშაკიძე და ლევანი. თავიანთი ფიქრი და აზრი შეუპირისპირეს ერთმანეთს. ჭირვარამი ურთიერთ გაიზიარეს. ბევრი იფიქრეს, ბევრი ინაღვლეს ცხოვრებაზე, რწმენაზე, რეალობაზე ყოველგვარ იძედაკარგულებმა. სამშობლოს მიღმა ასეთი „ჩეკის“ თავისუფლებით გაჯახირებული ცხოვრება არაფრად მიაჩნდათ და ყველაფერზე გულ-აცრუებულნი მძიმედ განიცდიდნენ.

მდგომარეობის გამოსწორების რეალური საშუალება საერთოდ უიმედოდ ჩათვალეს.

ყველაფერი, რაც საქართველოსთან საყვარელ სამშობლოსთან და თანამემამულეებთან იყო დაკავშირებული დაკარგულად, შორეულ ფიქრებში უკვე გასულიერებულ და შესაგრძნობ ნადებად გაუხდათ. მისი კეთილ-დღეობის და მომავალი მბრუნველობის ოცნებები და ზრახვები სამუდამოდ ჩაუწყდათ.

— ჩემ ცხოვრებაში სინამდვილე და ოცნება, ანმყო და — [illegible] ძალიან შეკილდა ერთმანეთს, — ჰატარა ბარათში სწერდა მამას ლევანი. — ჩვენ ღირსეული მამული. შვილები გვინდოდა [illegible] სამშობ-

ლოში. ამის საშუალება კი „ჩეკამ" ყოველ მხრივ დაგვიხშო, დავიბუნით, როგორ მოვიქცეთ შემდგომში. არ ვიცით.

ვაჟკაცები ამოქმედდნენ. ახალგაზრდული შემართებით, დაუფუფულებელი განაჩენი გამოუტანეს თავიანთ თავს, საზღვარგარეთ გაქცევა გადაწყვიტეს, — საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გამოსწორებამდე ჩვენ საქმეს ალბათ ვერაფერი უშველისო.

სასწრაფოდ შეაგროვეს ფული, იშოვნეს გამყოლი, რომელიც თურქეთში გაიყვანდა, დაიხურეს „უჩინმაჩინის ქუდი" და შეტად მძიმე და სახიფათო გზას გაუდგნენ.

თავდაპირველად თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ხარობდნენ ახალგაზრდები.

დღე დუმდა, სირთულეები, მართალია ღელვით, მაინც დასაძლევი აღმოჩნდა. ბუნებამაც ხმარი აუბა. ჯერ ვიწრო ბილიკით ღრმა ხეობას გაპყვნენ, შემდეგ მთა-გორაკები და მავთულ-ხლართები გადაიარეს. მერე მდორედ ძომდინარე დაკლაკნილ ჭოროხის პირველი მუხლი გადაცურეს და ასე, შემდეგ, როდესაც მდინარის უკანასკნელ მერვე მუხლში ჩატოპეს და ახალგაზრდებს ეგონათ, რომ თავს უშველეს, უკვე სამშვიდობოს არიან და ხელში აქვთ თავისუფლება, სწორედ მაშინ უმუხთლა ბედმა, საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა: მესაზღვრეებმა ტყვიის წვიმა დაუშინეს, გრიალ-ზუზუნმა ყურთასმენა წაართვა, ვაჟკაცები მოულოდნელობისაგან დაიბნენ ,დაგეშილმა ძაღლებმა წყალში ისინი კინალამ დაგლიჯეს.

მათ წინ წუთში გაიელვა უკიდურესად მძიმე არჩევანმა: საბედისწერო წინ გაქცევა, თავისუფლება ან წყალში სიკვდილი და, მეორე, არც თუ ისე უფრო ადვილი, უკან დახევა, მართალია სიცოცხლის შენარჩუნებით, მაგრამ ისევ ციხე, უფრო მძიმე, უფრო სასტიკი წამება-წვალება. პირველი გზის დასასრული თუ საბედისწერო იყო — ან თავისუფლება, ან სიკვდილი, მეორე გზა მათ ისევ ნელ სიკვდილს სთავაზობდა, ისევ ციხეში და გადასახლებაში.

ყოველივე ეს ისე ელვის სისწრაფით მოხდა, რომ გაფიქრებისა და მომავლის არჩევის საშუალებაც აღარ შემორჩათ. ზოგს ჩვენთაგანს შესაძლებელია ერჩია პირველი გზა კიდეც, მაგრამ ყოველივე უკვე გვიანი იყო. ყოველ მხრივ ალყა შემოკრული ვიყავით. პეტრე კურცხალია მძიმედ დაჭრილი წყალში იხრჩობოდა.

გაირკვა ისიც, რომ თურმე ჩვენი დაჭერის პროცესი ნიხასნარ მომზადებულ სცენარით გათამაშებული ,წარმოდგენა ყოფილა, ჩვენ ,გამყოლს, თავიდანვე გავუყიდივართ. მათ, შესაძლებელია, აწყობდნენ კიდეც უკანასკნელ ზღურბლზე ვაჟკაცების სიკვდილი, [illegible] ჩვენი თავიდან მოშორება.

ბიჭებმა წარმოუდგენელი გულ[illegible] ,ტკივილი გადაიტანეს, ორი დღე ბათუმის ციხეში გაატარეს უკვე ,სამმა. პეტრე ,კურცხალიაზე ვერა გაიგეს რა. იქ ისინი მორალურადაც და ფიზიკურადაც საშინლად შეურაცხყვეს. იმდენი ურტყეს, რომ სული ,ძლივს მოათქმევინეს. შემდეგ თბილისის „ჩეკაში" ჩამოიყვანეს და უკვე თვითეული ცალ-ცალკე ბნელ სარდაფებში ჩაამწყვდიეს. აქ ,კი სამშობლოს უტყუარ მოღალატეებად მონათლეს და სულ ჯაშუშები უძახეს. მიზეზი, თუ რატომ ჩაიდინეს ეს ამბავი, არავის არ აინტერესებდა, ლევანი და მისი თანამოზიარენი ამას მიჰყავდა საშინელ აღშფოთებამდე. ან რატომ ფიქრობდნენ საწყალი ბიჭები, რომ „ჩეკაში" კარგად გაარკვევდნენ მათი ასეთი გადახვეტილების მიზეზს და თავზე ხელს გადაუსვამდნენ.

ჩვენ სამშობლოს მოღალატეები არასდროს ვყოფილვართ და არც ვიქნებითო. ამ საშინელი რეჟიმის და წყობის წინააღმდეგები ვართ. რატომ არ გინდათ ჩვენი საქმის თავიდან ბოლომდე გარჩევა კარგად და ჩვენი ,გაგება — იხვეწებოდნენ ახალგაზრდები. ამასობაში კი „ჩეკაში" შეჩმახეს საშინელი ოქმი და დაჟინებით ,ითხოვდნენ მასზე ხელის მოწერას, რაზედაც სამივე პატიმარმა უარი განაცხადა.

ისევ „სამეულმა" ყოველგვარი დაკითხვის გარეშე 5 ნლით შორეულ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა და ციხეში გადაიყვანეს.

ვიღაცამ მამას შეატყობინა ლევანის ბათუმში დაპატიმრება, მერე კი თბილისში „ჩეკაში" გადმოიყვანა.

ისევ მძიმე ტრაგედია დატრიალდა ჩვენსას. მოულოდნელობისაგან ყველა გაშეშებული და ენაჩავარდნილი ვიყავით. გასაკვირი ის იყო, რომ არც მამის და არც დედის მხრივ ლევანის მიმართ საყვედური არ თქმულა, პირიქით, თანაუგრძნობდნენ მის უბედურებას.

საწყალი მშობლები, გატეხილი მორალურად და სულიერად ერთმანეთს შესცქეროდნენ და სიტყვის თქმისა ეშინოდათ. ბოლოს ცრემლმორეულმა დედამ ისღა თქვა — კიდევ კარგი, რომ გადარჩა, თორემ ხომ შეიძლება ტყვია მოხვედროდა და ისე გამქრალიყო, ჩვენ მისი გზა-კვალი არც კი გვცოდნოდა.

გულჩათხრობილმა მამამ წამოიძახა — „საწყალი ბიჭი! ცუდ დროს მოუნია ლევახს დავაჟკაცება. ვერ აიტანა ის უსამართლობა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება და, რაც ძთავარია, გამოსავალიც არსაიდან ჩანს. უსამართლოდ ამდენი ხნით გამომწყვდეულმა „ჩე-

ამ რეჟიმი ველარ აიტანა, რა არ გადაიტანა ლევანმა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მის საშველს მე უკვე ველარ ვხედავ.

ბავშვები შეშფოთებული შევცქეროდით მძიმბლებს, რომლებიც თავს ძლივს იკავებდნენ. საწყალი ლევანი! მისი სამშობლოში დაბრუნების ოცნება და იმედი მთლიანად გადაიწურა, — გულჩათხრობილი იმეორებდა ტასო.

მამამ გაიგო, რომ რამდენიმე ხანს ლევანი თბილისის ციხეში დაჰყოფდა. აქ იმდენი პოლიტიკური პატიმარი იყო გადასახლები სათვის გამზადებული, რომ ვაი საცოდაობას, ეტაპში გასაგზავნად ცოცხალი რიგი იყო შექმნილი.

მამას ძალიან დაეხმარნენ. თინა ამ პერიოდში მე-2 კურსის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო და ციხეში ექთნად მოაწყეს ლევანთან კონტაქტის დასამყარებლად.

— თავდაპირველად, — იგონებს თინა, — ციხეში შესვლისა და გასვლის დროს სასტიკად მჩხრეკავდნენ და მამონმებდნენ ყოველდღიურად, შემდეგ კი მიმეჩვიენ და ძალიან სანდო ვეგონე. ამიტომ ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად დავდიოდი და საწყალ პატიმრებს შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი, ნერილები გადამქონდა.

ციხის მკაცრი რეჟიმიდან თავის დაღწევის მიზნით საავადმყოფოში მოხვედრა ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

საავადმყოფოში სულ სხვანაირი ვითარება იყო. აქ იყო პატიმრებთან ნორმალური დამოკიდებულება, სათანადო მკურნალობა, შერბილებული ციხის რეჟიმი და გაუმჯობესებული კვება. და, რაც მთავარია, ერთადერთი, საავადმყოფოში ციხის ყიდაზე ფუფუნების ნაგანს რკინის საწოლი წარმოადგენდა, თხელი ლეიბით, სუფთა ზეწრით და საცვლებით. რა თქმა უნდა, შედარება არ შეიძლებოდა ხის ნარებთან, სადაც ერთდროულად პირშექცევით უამრავი ნახევრად ტიტველი პატიმარი ინვა. — პატიმრები ისედაც ავადმყოფები არიან, მოშლილი თუ აღგზნებული ნერვიული ფსიქიკით. თავში და გულში იმდენი საფიქრალი და ტკივილი აქვთ, რომ საწყლებს სტკივათ ყველაფერი, — ხშირად იმეორებდა თინა. წარმოიდგინეთ მათ რომ დაემატებათ ნამდვილი ანთება, ინფექცია, ან სხვა დაავადება, ეს ხომ პირდაპირ საცოდაობაა.

ინფექციურ ბარაკებში სულ სხვანაირად იყო საქმე.

ციხეში მძვინვარებდა ტიფი და ტუბერკულოზი. ეს ბარაკები შემაძრწუნებელი სახახავია: უპაერო და აგურით ამოშენებულ ფანჯრებიან საკანში 3 ნყებად ახოხიალებულ ნარებზე ნევს ერთმანეთში არეული სხვადასხვა ეროვნების, რჯულისა და ასაკის ავადმყოფი. მათი დაავადების მიმდინარეობაც სხვადასხვა სტადიაშია, ზოგი ოფლში ბორგავს, ზოგი აღგზნებაშია, ზოგი დეპრესიაში უგონოდ ჩავარდნილი... ოფლის, შარდის და განავლის სუნით აყროლებული. სანიტარიაზე და კვების რეჟიმზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება. თითოეული ავადმყოფი ცალკეულ მომსახურე პერსონალს მოითხოვს, მაგრამ სად არიან საერთოდ სანიტრები! ამ მოვალეობას პატიმრები ასრულებენ დიდი შიშითა და მორიდებით, თვითდაზღვევით. რამდენი განათლებული, პატიოსანი და უდანაშაულო ადამიანი უპატრონოდ იღუპება აქ. რაც შეეხება ტუბერკულოზით დაავადებებს, ეს ხომ ცოცხალი ჩონჩხები, ზოგი აღგზნებით, ზოგი კი ჩუმად ესალმება თავის წუთისოფელს. მოკლედ საავადმყოფოს ეს ბარაკები არაადამიანურ საშინელებას წარმოადგენს სრული ამ სიტყვის მნიშვნელობითო, ამბობდა აღელვებული თინა.

თერაპიულ განყოფილებაში ნამდვილ ავადმყოფებთან ერთად შემოხიზნული და უკვე გამოჯანმრთელებული ხალხიც იწვა. ისინი უდანაშაულო პოლიტიკური პატიმრები იყვნენ და საჭირო იყო მათი დროებით მაინც გადარჩენა. თინას ჩანაწერებში 10 ასეთი ავადმყოფიდან მხოლოდ ორი გვარი შემორჩა. ეს იყო მეტად სწავლული და განათლებული პროფესორი ნიკიფორე იმნაიშვილი, რომელმაც 7 ენა იცოდა თავისუფლად და სწორედ ეს თითქოს მისი განათლება და სწავლულობა იყო მისი პოლიტიკური დანაშაული. პროფესორი ნერეთელი არა ნაკლებად განვითარებული და სწავლული კაცი. სუყველა ეს შუა ხნის, განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანები თავის ინტელიგენტობას და ხასიათის სიმტკიცეს აქაც ინარჩუნებდნენ მიუხედავად მიყენებული ბევრი წამებისა და ფიზიკური შეურაცხყოფისა.

ციხეში დიდი სიფრთხილით და რისკით მათ ვილაცა ეხმარებოდა. ბევრჯერ გადაარჩინეს სასტიკ ეტაპს.

ერთ დღეს სრულიად შემთხვევით თინა საიდუმლო საკანში შეიყვანეს, ეს „სმერტნიკების“ — განწირულების სარდაფები ყოფილა. ოთხი კაცი საშინელ პირობებში ნახევრად ტიტველი და ფეხშიშველა სველ ცემენტის იატაკზე იჯდა. ოთხივე ქართველი იყო, გასაცოდავებული და ცოცხალმკვდარი, შუა ხნის სასიამოვნო შეხედულების ვაჟკაცები გაჭაღარავებული, წვერმოშვებული და ნაღვლიანი თვალებით. ერთერთ პატიმარს კბილი ტკიოდა და მე ტკივილდასაყუჩებელი ნამალი მივეცი. საშინლად შევწუხდი, მინდოდა რაიმე თანაგრძნობა მეთქვა კიდეც, მაგრამ აბა რას ვიზამდი. მაინც ვერ მოვითმინე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოვიძახე რა დააშავეს ასეთი, რომ ასე არაადამიანურად სიკვდილით ისჯებიან. „საშშობლოს მოღალატეები" არიან და „სმერტნიკებიო". „შენ ენა გააჩერე და არაფერი თქვაო", — მუჯლუგუნი მკრეს და გაძიჯავრდნენ ზედამხედველები. თინა შენუხებული და შეძრწუნებული ყოველ დღე, ყველას თანდასწრებით, ციხის ამბებს, ნანახს, განცდილს და იქაურ საცოდაობას გვიყვებოდა.

მამა ამხნევებდა თინას, სულ იმას ეხვეწებოდა, ცოტაც მოეთმინა და შესაძლებელია ლევანს შეხვედროდა. „სმერტნიკებზე" კი მაძა საშინლად აღელდა — პოლიტიკური პატიმრების დასჯა სიკვდილით, ეს ბარბაროსობაა. მარტო ჩვენს ქვეყანაში ხდებაო. ვინ მისცათ მათ ამის უფლება? სად არის სამართალი? სიკვდილი შეიძლება მიუსაჯო მკვლელს, რომელიც უდანაშაულოდ ჰკლავს ადამიანსო. მაშინ დარწმუნებული ვარ მკვლელობები საერთოდ აღარ იქნებაო.

ლევანი და მისი ამხანაგები ციხეში სხვადასხვა სარდაფებში ისხდნენ. თინამ ჯერ ვერ შესძლო მათი ვერც ნახვა, და ვერც ამბის გაგება.

თვითონ ბიჭები კი როგორლაც დაუკავშირდნენ ერთმანეთს და გადაწყვიტეს შიმშილობა გამოეცხადებინათ. ეს იყო მათი საბოლოო, საბედისწერო, უკანასკნელი ზომა. მოითხოვდნენ საქმის გადახედვას და მათ გასამართლებას ყოველგვარი წესის დაცვით. თავდაპირველად ციხის ადმინისტრაციამ მათ ყურადღება არ მიაქცია. შემდგომში მოშიმშილეების რიცხვი გაიზარდა, მათ აჰყვნენ სხვა პატიმრებიც სოლიდარობის მიზნით და ასე, დღითი დღე, მოშიმშილეების რიცხვი ციხეში მატულობდა. ციხეში განგაში ატყდა. ბევრი იმ ნუთშივე დაპირებებით დააშოშმინეს და შიმშილობა შეაწყვეტინეს.

ლევანი და მისი ამხანაგები განაგრძობდნენ შიმშილს. ისინი შიმშილობის მე-14 დღეს საავადმყოფოში გადმოიყვანეს.

იასე ფავლენიშვილი საკაცეთი მოიყვანეს, სისუსტის გამო ველარ დადიოდა, ნერვიული აშლილობაც საგრძნობლად მძიმედ ჰქონდა გამოხატული. ლევანი გამხდარი, გაფერმკრთალებული, სისუსტისაგან ძლივს იდგა ფეხზე, ლასლასით მოდიოდა. ბესო ვაშაკიძე კი ვაუკაცურად მოაბიჯებდა და მაგრად იყო მისი შემხედვარე იტყოდა — ადამიანს საკვები არ სჭირდება, მარტო წყლით შეიძლება არსებობაო, — ყვებოდა სახლში აღელვებული თინა. თინამ ლევანი ძლივს იცნო, ისე იყო შეცვლილი. თავი გაპარსული, სახეზე დიდი შაკი ნვერ-ულვაშით, აბურძგნული, ნახევრად ტიტველი და ფეხშიშველი. ტერფები და ნვივები იმდენად ჩამომდნარი ჰქონდა, რომ ჩონჩხსა ჰგავდა. ენა გასიებული, გამშრალი ფაფარი პირში ძლივს ეტეოდა. თინა და სხვა საავადმყოფოს თანამშრომლები საშინლად შეწუხებული და შეძრწუნებული შესცქეროდნენ მოშიმშილეებს. თინამ დაიწყო მათი დახმარება, სულ მათ გარშემო ტრიალებდა. ყველას გვიკვირდა, მამამ როგორ წინასწარ განჭვრიტა ლევანს რა ელოდა. ეჭვიც კი შეგვეპარა, რომ მამამ ალბათ იცოდა ყველაფერი. თინამ მეორე დღესვე ლევანს მამას თხოვნა გადასცა:

ლევან! არაფერი არ გამოვა, შენ უკვე გონიერი და ჭკვიანი კაცი ხარ. მთელი ცხოვრება ჯერ წინა გაქვს და თავს ტყუილად ნუ მოიკლავ. მაგ საძაგლები არ იმსახურებენ იმას, რომ თქვენ, ქართველმა ბიჭებმა, პატრიოტებმა თავი შეაკლათ. ბრძოლის საშუალება სხვა აირჩიეთ.

ლევანისა და მის თანამოზიარე ჯგუფის გარშემო მეტად აღელვებული სახეებით თავდახრილი დოსტაქრები ტრიალებდნენ. საერთოდ იქაური მთავარი ექიმი და მის მიერ შერჩეული სამედიცინო პერსონალი სინდისისა და სიკეთის განსახიერება იყვნენ. აბა, წარმოიდგინეთ თქვენ, ასეთი მძიმე და საშინელ დროში შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ საავადმყოფოში და ციხეში დამწყვდეულ ყველა პატიმარს, აკეთებდნენ დიდ საგმირო საქმეებს. მთავარი ექიმის მეტმა არავინ იცოდა, რომ ლევანი თინას ძმა იყო. ის ყოველ დღე ანუგეშებდა შეშინებულ თინას და იმედის თვალით შეჰყურებდა ლევანს.

ვაუკაცების გადაწყვეტილება მტკიცე იყო: ცოცხალ-მკვდარი განაგრძობდნენ შიმშილს და გარშემო ყველას შიშსა ჰგვრიდნენ. ლევანმა მამის თხოვნა არ შეასრულა. დღეები გადიოდა, ექიმები და მათ შორის მეც, — იგონებს თინა, — აღშფოთებული და შეძრწუნებული, თვალცრემლიანი შევყურებდით სიკვდილის პირას მისულ ბიჭებს. კინაღამ გაიგეს ჩემი ამბავი, იმდენად ვლელავდი და თავში ვირტყამდი. ყველასაგან შეელას ვითხოვდი. მთავარი ექიმი სულ უფროსებში დარბოდა.

მე-20 დღეს ციხის უფროსმა გამოუცხადა მათ, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა და იმ შემთხვევაში დაიწყებენ საქმის გადახედვას, თუ შიმშილობას შეწყვეტენ. არ ვიცი მათ შეგნებამდე მივიდა თუ არა, ისე სუსტად იყვნენ. ჩვენ წამოვიძახეთ მათ მაგიერ, რომ თანახმა არიან. სწრაფად დავესიეთ და ძალით პირში წვენი ჩავუსხით. შემდეგ დაიწყო მძიმე პერიოდი თანდათანობითი ხელოვნური და ბუნებრივი კვებისა. თინა სულ ლევანთან და მის ამხანაგებთან

ტრიალებდა, ლევანს თვითონ პირველად ერთი ჭიქა თბილი რძე ძლივს დაალევიხა, ყლაპვა უჭირდა.

ამ დროს კი ჩვენ ოჯახში მძიმე ვითარება იყო, მშობლები საშინლად ნერვიულობდნენ. თინას გულის ტკივილი დასჩემდა, რაც უსაზღვროდ მოქმედებდა მათზე, მთლიანად გამოჰყავდა ისინი წონასწორობიდან. მშობლებს არაფრის თავი არ ჰქონდათ. დედას ნერვები ჰქონდა მოშლილი, მამას კი მუშაობა აღარ შეეძლო. ოჯახი ნგრევის პირას იყო მისული. მე არ ვიცი, — ამბობდა თინა, — ვინ უფრო ჰგავს მოშიმშილეებს? მშობლები, რომლებიც საშინლად გახდნენ, დაგლახაკდნენ და დაჩაჩანაკდნენ თუ ლევანი და მისი ამხანაგები, რომლებიც ეხლა გამოკეთების გზას ადგანან.

იმ პერიოდში მძიმე ეკონომიურ გაჭირვებასაც განვიცდიდით.

ბაზარში ფასები გაორკეცდა, ლევანის გადასახლებასთან დაკავშირებით ოჯახს ახალი, დიდი ხარჯი უნდა გაეღო თბილი ტანსაცმლისა და სო[illegible] შესაძენად. სახლის ყოველდღიურ ხარჯზე ვინღა ფიქრობდა.

ბედად ამ დროს ოჯახის ბურჯად სანდრო იქცა. უკანასკნელ წლებში უფროსი შვილების — არჩილის და ლევანის ტრაგიკული ამბავი ტრიალებდა. უმცროსებს ნაკლები ყურადღება რჩებოდათ. სანდრომ თითქმის თვითონ გაიკვლია გზა, დაამთავრა უმაღლესი, ძალიან ყოჩაღი, ენერგიული. პატიოსანი, მშრომელი ახალგაზრდა სპეციალისტი გახდა. ის დღე და ღამე ახალგაზრდული შემართებით მუშაობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ობიექტებზე. მხარში ამოუდგა მამას მატერიალურად და მორალურად. უმცროსების მოვლა-პატრონობის მთელი სიმძიმეც მას კისერზე დაანვა და ისიც პირნათლად ეწეოდა ამ ჭაპანს.

ციხის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ბევრი ეცადა, რომ ეს ბიჭები თავისთან რაც შეიძლება უფრო დიდხანს გაეჩერებინა, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, სრულიად მოულოდნელად ისინი ციხეში გადაიყვანეს, იქ დაქსაქსეს და გადასახლებისათვის გაამზადეს. „ჩეკას" დაპირება საქმის გადახედვაზე და გასამართლებაზე, რა თქმა უნდა, ტყუილი გამოდგა.

— „ჩეკაში" სიმართლეს და ტყუილს ერთი ფასი აქვსო. — იმეორებდნენ გაჯავრებული პატიმრები.

— ეს როგორი უკუღმართობაა ჩემს თავზე, — ხშირად იმეორებდა ლევანი, — საშშობლო ყველაზე უფრო მეტად მიყვარს, ქართველ ბრძენ ხალხს ვეთაყვანები და ამ ურჯულოებმა სამშობლოს და ხალხის მოღალატეთ მომნათლეს. თავიდანვე უსამართლოდ მომექცნენ, შემდგომშიაც ასე მექცეოდნენ და ეხლაც იგივე გაიმეორეს. დაბ[illegible] ში მოვექეცი, საიდანაც თავის [illegible] შუალება ვერადავერ ვიპოვნე.

თინა ნამდვილად მოწყალების დის როლს ასრულებდა დიდი გულით, გრძნობით და ვაჟკაცობით. ბიჭების დახმარების მიზნით ბევრი კეთილი საქმე გააკეთა. თბილი ტახისამოსით, ფულით და სხვა საჭირო საგნებით და საქონლით თანდათანობით მოამარაგა. წარმოიდგინეთ, ზაფხულის სიცხეში ტანზე შემოხვეული მამაკაცის თბილი ჯემპრებით თუ საცვლებით, ჩანთაში საუზმესთან ერთად გახვეული ფეხსაცმლით, საპნით, შაქრით და სხვა მათთვის საჭირო ნივთებით მომარაგება. გულის ფანცქალით გაივლიდა საგუშაგოს. რომ გაეჩხრიკათ დაპატიმრებას ვერ აცდებოდა.

თინამ დიდი საქმე გააკეთა, პატიმრების მშობლებსა და ნათესავებს აწყნარებდა, ბარათები მიჰქონდა და მოჰქონდა. იგი ყურადღებიანი იყო არა მარტო ლევანის მიმართ, — პატიმრის უნერილობის დროს სხვა თვალი და სხვა გული აქვსო, ვის რა უჭიროს და გული უკვდებაო. ძალიან მეცოდებაო ყველა გაჭირვებული, აქ ისე მივეჩვიე მათ სუყველას, რომ ჩემი ნათესავები მგონიაო. მათი ბარათები თუ სიტყვიერი თხოვნა აქეთ-იქით გადაჰქონდა და დიდ მადლობას იმსახურებდა.

მამა თინას გამო საშინლად ღელავდა, ძას ვერ წარმოედგინა, რომ მშობლებისათვის მაინც პატარა გოგონა ისეთ დიდ გულადობას, ვაჟკაცობას და საზრიანობას გამოიჩენდა. ასე უშიშრად შეასრულებდა ამ მძიმე არეულ დროში ნამდვილად სახიფათო დავალებებს. მამა ამაყობდა კიდეც თინას ადამიანობით, კეთილქალობითა და გამძლეობით. თინას ამ სამსახურიდან გათავისუფლების დღეებს მაინც თვლიდა.

ლევანის გადასახლების დღეც დადგა. ციხეს მოადგა დიდი, დახურული ხორცის გასაზიდი მანქანა. მანქანაში იმდენი პატიმრები შეატიეს, რომ ზედახორა მოაწყეს. იმ მანქანაში ლევანიც მოხვდა. სანდრო და თინა ამ მანქანას დარაჯობდნენ, მერე გაჰყვნენ მას, რომელმაც ნავთლულის სადგურისკენ გადაუხვია.

ტუსაღები სადგურში სხვა მხრიდან აიყვანეს, ჩვენი მანქანა იქით აღარ გაუშვეს.

სანდრომ და თინამ დასტაცეს გადასაცემ ბარგს ხელი და მატარებელის ძებნა დაიწყეს. ბევრი ირბინეს, იტრიალეს აქეთ-იქით, მაგრამ მატარებელი ვეღარ იპოვნეს. მატარებელი ისე წავიდა, რომ ვერაფერი ლევანს ამ[illegible] ცეს.

ოჯახში ისევ დიდი ტრაგედია ტრიალებდა, საწყალი მშობლები ამ პერიოდში ისე შეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვალნენ და ისე ცუდად გამოიყურებოდნენ, რომ ადამიანის ფერი და იერი აღარ ჰქონდათ. იმდენი სულიერი ტანჯვა, წყენა, გულის ტკივილი, სინანული გადაიტანეს, რომ თავგზაარეულები იყვნენ.

სანდრო, თინა და ჩვენ, უმცროსები, შეშფოთებული თავს ვევლებოდით და მათ გამოჯანმრთელებას ღმერთს ვევედრებოდით.

მეორე დღეს თინა სამსახურიდან განთავისუფლდა, მამას დახასიათება აჩვენა. მამა მოეფერა, გადაკოცნა და იმდენი უძახა ჩემი ჭკვიანი ყოჩაღი გოგო, ჩვენი იმედი და სიცოცხლე ხარო, რომ თინა მოლბა, გული აუჩუყდა და ცრემლები ღვარად წამოუვიდა. უმცროსებმა რომ დავინახეთ თინას ცრემლი, ჩვენც ავტირდით. ტირილში დედაც ჩაერთო, მამა და სანდრო ცრემლს ფარავდნენ.

ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ეს გლოვა, საშინელი ნივილ-ტირილი, ამოხეთქილი ბოლმა და გულის ტკივილი იყო, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ გრძნობაში და გულში უჩუმრად დაყუჩებულ-დაგროვილიყო, ეხლა კი ამოფეთქა, ვულკანივით აბოხეთქა.

— ბავშვებო, დაწყნარდით, ეხლა თქვენ არ გაგვიხეთქოთ გული, — შემოგვეხვეწა ცრემლისაგან თვალებდანისლული მამა. როგორც ერთი, იმავე წუთში ყველა გავყუჩდით.

— ეხლა სანდროა ჩვენი ბურჯი და მარჩენალი, — თქვა მამამ. — ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი შენ და თინას გაბარიათ, აბა თქვენ იცით, თქვენ მოხუც მშობლებს და პატარებს როგორ გვანუგეშებთ და მოგვივლით.

დრო მიდიოდა, ცხოვრება გაჭირდა, მაგრამ ამას არაფრად არ ვაგდებდით. დაჭიმული გრძნობით და დიდი ღელვით ლევანის წერილს ვუცდიდით, რომელიც საგრძნობლად იგვიანებდა. ლევანის მეორედ გადასახლების შემდეგ მწუხარება და გლოვა უფრო გაძლიერდა და გაგრძელდა.

სწორედ მაშინ, როდესაც შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საჭირო იყო დედისა და მამის ნუგეშისმცემელი და გამამხნევებელი, მხარის დამჭერი ვინმე ახლობელი — არავინ არ ჩანდა. ჩვენი სახლის კარი ჩაიკეტა და ჩაკვდა.

მატერიალურად საგრძნობლად გვიჭირდა, მამა სხვა სამუშაოზე გადავიდა, ჯამაგირი შეუმცირდა. თინა სტუდენტი იყო. ჩვენ, თამარი და მზია კი სკოლის მოწაფეები. საარსებო წყარო შრებოდა მით უფრო, რომ პირველ რიგში ყველაფერი ლევანისთვის იყო გამიზნული, ფულის, ამანათების, წიგნების, გაზეთების გაგზავნა და სხვა ხარჯები.

მთელი სიმძიმე სანდროს დაანვა. მუშაობაში იგი დიდ წარმატებებსაც აღწევდა, თუმცა სანდროს არ უყვარდა საკუთარ [illegible] ტებებზე ლაპარაკი. დღე და ღ[illegible] რებდა შრომაში და ჯამაგირს მამას აძლევ[illegible] და.

მამას თავის ცხოვრების მანძილზე ბევრი ნათესავის თუ ნაცნობ-მეგობრისათვის გაჭირვების ჟამს დახმარების ხელი გაუწვდია. ჩვენთვის არსაიდან დახმარება არ ჩახ[illegible] ჩვენს მშობლებს არც რ[illegible] მე პრეტენზია გამოუცხადებიათ, რადგან ირგვლივ სიდუხჭირე მძვინვარებდა. ნაცნობები თვითონ დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. დაშინებულნი და გასაცოდავებულნი, თავიანთ უბედურებაში ჩაფლულიყვნენ.

ბაზარი კი თანდათან ძვირდებოდა, ფული ღირებულებას პკარგავდა.

დავიწყეთ ძვირფასი ფასიანი ნივთების ნახევარფასად სახლიდან გატანა.

მამა სულ იმას ამბობდა, საჭიროა საკვები გვქონდეს და ჯანმრთელობა შევინარჩუნოთ, ნივთები მეორეხარისხოვანია, მათი შეძენა ყოველთვის შეიძლებაო.

ლევანის წერილი იგვიანებდა. ესეც მეტად მოქმედებდა მშობლებზე, დედა ხომ ნამდვილად დაავადდა. მამას კი ეტყობოდა გადაღლა და ავადმყოფური იერი ჰქონდა.

ჩვენთან სამარისებული სიჩუმე და ჩურჩულით ლაპარაკი გამეფდა. ერთ დღეს სრულიად მოულოდნელად მოვიდა ლევანის წერილი:

საყვარელო დედა და მამა!

24/XII — 31 წელი

მე უკვე ორი წერილი გამოგიგზავნეთ. ეს მესამეა, პასუხი ჯერ თქვენგან არ არის, არ ვიცი რას მივაწერო. დღეს მივიღე თქვენი გამოგზავნილი ამანათი, შიგ რატომღაც წერილი არ იყო. შესაძლებელია ამოიღეს. ჩვენ შესახებ ალბათ მოგიყვებოდათ აქედან განთავისუფლებული ტუსაღი, ქორიძე, დამპირდა თქვენთან მოსვლას. შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. აქ ისევ მძიმე ციხის პირობებში ვარ. ჩამოვედი, ჯერ კიდევ გზაში ავად ვიყავი, მე მეგონა გავცივდი. სისუსტე, თავის ტკივილი და აღგზნებულობა საერთოდ ნერვიულ მდგომარეობას მივაწერე. ბევრი განვიცადე და გადავიტანე თბილისის ციხეში. თუ გინდ ამდენი ხნის შიმშილობა, მერე გზაში თუ მის შემდეგ აქ. ავადმყოფობამ შემომიტია. დღითი-დღე გამწვავდა, დამეწყო მაღალი ტემპერატურა და იძულებული გახდნენ საავადმყოფოში დავეწვინე. მე ძებრუნებული თუ პარატიფი აღმომაჩნდა, თურმე მძიმე ფორმით. გამახსენდა თბილისის საავადმყოფო და იქაური ინფექციური ბარაკები. წარმოიდგინეთ აქ უფრო მძიმე პირობებში მოვხვდი. თინა გამიგებს. ბედზე გადავრჩი, რკინის სხეული მქონია თურმე.

საავადმყოფოდან თავი მალე დავაღწიე. ვიცრუე, კარგად ვარ-მეთქი. ტემპერატურა დაემალე, სხვანაირად არ შეიძლებოდა, იქ დარჩენა ხომ ნამდვილად მეორედ ტიფის შეყრას მიქადდა. დავბრუნდი მე-2 განაყოფის ციხეში. მეორე დღეს ყველაფერმა ისევ შემიბრუნა და ისევ საავადმყოფოში მოვხვდი. მართალი გითხრათ შემეშინდა კიდეც ისე ცუდად ვიყავი, ეჰეი, კარგად შევსუსტდი, ვამჩნევდი მუხლების მოფოლხვებას. სიცოცხლის ფასი მხოლოდ ეხლა შევიგრძენი, რომელიც სიკვდილის წინ იზრდება თურმე, მეც ასე დამემართა.

ეხლა უკეთ ვარ. ალბათ მალე გამწერენ საავადმყოფოდან, რახან ცოცხალი გადავრჩი, ეხლა თავს კუნტლი, რამდენადაც შემიძლია, ამიტომ ჩემი დარდი ნუ გექნებათ. ფულს გამოგზავნას არავითარი მოსაზრება არ აქვს. ჩამოსვლისთანავე ჩამომართვეს, მხოლოდ 10 მანეთს გვიტოვებენ და მერე გვატყუილებენ, დანარჩენი თქვენს ანგარიშზე ჩავრიცხეთო. ასე, რომ დახმარება მხოლოდ სურსათით შეიძლება. გამომიგზავნეთ ისეთი სურაათი, რომელიც არ ფუჭდება, შაქარი, კამფეტი, ნამცხვრები და სხვა.

თბილი საცვლების და საერთო ტახსაცმლის გამოგზავნა არ არის მიზანშეწონილი. ისინი ჩემამდე არ მოვა. აქ აბანოში თვეში ერთჯერ ტანზე რომ გვაცვია, იმას ვტოვებთ და გარეცხილს სხვის ნაცვამს, დახეულს და უკვე კარგად ნახმარს ჩვენ ვიცვამთ. ეს ყველაფერი წვრილმანია.

ჩემო კარგებო, თქვენ როგორა ხართ. ხომ ხართ ჯანმრთელად, მე ბევრი ტანჯვა და საზრუნავი შემოვიტანე ჩვენთან ოჯახში, აგაფორიაქეთ და დავჩაგრე ყველა. უნდა მაპატიოთ. ეს ყოველივე ჩემდა უნებურად მოხდა თავიდანვე. ჩემი ბედშავი ბედის წვლილია. სახლში როდისმე დაბრუნების იმედი ამოწურული მაქვს, მაგრამ... არავინ იცის ჩემო კარგებო, მაინც მინდა რომ სიკეთით, სიმშვიდით და ღირსეულად გადაგიხადოთ მიუხედავად გადატანილისა. მე მაინც ასე ვფიქრობ — ძლიერი [illegible] გრძნობა ჯერ კიდევ შემრჩა, მიუხედავად ყოველმხრივ მორალური და ფიზიკური შელახვისა.

ფრთოსანი ფიქრები ზვავივით რომ მოდიან, ძლივს ვიკავებ.

სანდრო როგორ არის, როგორ მუშაობს, მე ეჭვიც არ მეპარება, რომ მას კეთილ შეგზურად გაჰყვა შრომისმოყვარეობა, გამომიწეროს ლიტერატურული გაზეთი და კომუნისტი. ჩვენი ვატკაცი თინა როგორ არის, მასში პირუთვნელად შესანიშნავად არის შერწყმული ყველა ადამიანური თვისებები. მან დიდი საქმე გააკეთა ჩვენთვის ყველასათვის. თუ იქვე მუშაობს, მათ დიდი მადლობა გადაუხადოს ჩვენგან. იქაურ დახმარებას ყოველთვის ვგრძნობდი. ეს იშვიათია და ამიტომ გვიკვირდა, რომ ასეთ დაწესებულებაში თურმე შესაძლებელია კეთილკაცებიც და პატრიოტებიც იყვნენ. ბავშვები თამრიკო და მზია ხომ სწავლობენ, დამიკოცნეთ. ტასოს დიდი მოკითხვა. მადლობა წინდებისათვის, ეხლა სწორედ ძალიან გამომადგა.

თუ მოსახერხებელი იქნება, რაიმე სურსათი მომაშველეთ, მაგრამ ვშიშობ, რომ თქვენც არ იქნებით კარგ დღეში. ჩემმა ამდენი ხნის პატიმრობამ თუ გადასახლებამ მატერიალურად გაგტეხათ წელში, ვფიქრობ, როდესმე გამოჩნდება საბოლოოდ ალბათ გზა მშვიდობისა, ღმერთი მოწმეა. მიმსახურეთ.

გკოცნით. თქვენი ლევანი

ხშირად მომწერეთ, ნუ დამტოვებთ საქართველოს მიღმა ყოველგვარი შემაერთებელი ხიდის გარეშე. ჩემი მისამართია ჯერჯერობით
гор. Ташкент пер-пункт Усб. Н. Л.

რამდენ ხანს ვიქნებით იქ, ჯერ არ ვიცი.

მოკითხვა ნათესავებს და ნაცნობებს.

გკოცნით თქვენი ლევანი.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოტე გრიგოლია

ზოგიერთი მოსაზრება პავლე ინგოროყვას ნაშრომის—„გიორგი მერჩულის" გამო

ცნობილი მეცნიერის კოტე გრიგოლიას ეს წერილი ჟურნალ „ცნობის" 1957 წ. № 3-ში დაიბეჭდა. მაგრამ შეკრული ჟურნალი გარკვეული მიზეზების გამო დაშალეს და მასალა ნომრიდან ამოიღეს.

ოცდაცამეტი წლის „შესვენების" შემდეგ ვაქვეყნებთ წერილს. მოგვიტევოს განსვენებულის სულმა.

პავლე ინგოროყვას ნაშრომი „გიორგი მერჩულე" მრავალმხრივ მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ ხალხთმცოდნეობაში. აქ წარმოდგენილია გარკვეული ცდა გიორგი მერჩულის უკვდავი ქმნილების „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" გამოყენებისა, როგორც ისტორიული წყაროსი, მე-8-10 საუკუნეთა საქართველოს კულტურისა და პოლიტიკური ისტორიის პრობლემათა გასაშუქებლად.

ნაშრომი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაკვეთში, გარდა ძეგლთან უშუალოდ დაკავშირებული საკითხებისა (ავტორის ვინაობა, ძეგლის ეპოქა და მისი ცნობები ისტორიული ქართლ-მეცხეთის სახელმწიფოს შესახებ), სპეციალურად განხილულია ძველი საქართველოს ორი უკიდურესი მხარის — ჩრდილო-დასავლეთისა (აფხაზეთი) და სამხრეთ-დასავლეთის (ტაო-კლარჯეთი, მესხეთი) ისტორიის საკითხებიც, მეორე ნაკვეთში კი შეხწავლილია გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურულ-ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა, საერთოდ, ხარეცენზიო ნაშრომში აღძრულია ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის არაერთი საგულისხმო საკითხი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ნაშრომის მეორე ნაკვეთი თითქმის მთლიანად, სადაც განხილულია გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურულ-ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა, წარმოადგენს ნამდვილ აღმოჩენას და ქართული ხალხთმცოდნეობის მეცნიერების უდავო მიღწევას. ამ ნაწილში პავლე ინგოროყვას ღვაწლი და დამსახურება უთუოდ თვალსაჩინოა, რაც შეეხება ნაშრომის პირველ ნაკვეთში აღძრულ საკითხებს, მათ უფრო ადრეც არაერთხელ მიუქცევიათ ქართველი ხალხის წარსულის მკვლევართა ყურადღება (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ალ. აბულაძე და სხვები).

მიუხედავად ამისა, ამ ნაკვეთშიაც მრავალი ნიმუშია წარმოდგენილი ავტორის გონებამახვილური დაკვირვებისა და საფუძვლიანი მსჯელობისა. პავლე ინგოროყვას მიერ აქაც არა ერთი საკითხია დასმული და გაშუქებული. სანიმუშოდ, შესაძლებელია, ძველი ქართული მწერლობის ბრწყინვალე ძეგლის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" ავტორის მეტსახელი — მერჩული დავასახელოთ. აკად. ნ. მარიდან მოკიდებული, დღემდე საყოველთაოდ შეწყნარებული იყო მოსაზრება, რომ დასახელებული თხზულების ავტორია გიორგი მერჩული. მაგრამ რას ნიშნავდა სიტყვა მერჩული, ცნობილი არ იყო. ყოველშემთხვევაში, მკვლევარებს, მისი განმარტება-დადგენა არ უცდიათ და სპეციალურ ლიტერატურაში ის გარკვეული არ ყოფილა.

პავლე ინგოროყვას ნაშრომის მიხედვით კი ადვილად ირკვევა, რომ საწყისი ფორმაა მერჩული (მერჭული, რჩულ-ხჭულისაგან) და არა „მერჩულის", როგორც ეს დღემდის იყო მიღებული. ავტორის აზრით, ეს უკანასკნელი იგივე მერჩულეა, ოღონდ ნათესაობით ბრუნ-

ვაში დასმული. ამასთან ერთად, ნაშრომში გა ხაზულია დებულება ძველ საქართველოში „შე რჩეულთა“ ანუ ხალხის მეცნიერთა ინსტიტუტის არსებობის შესახებ. რასაკვირველია, ჩვენ ვერ ვიტყვით, ჩვენი მწერალი ამ კორპორაციის წე ვრი იყო თუ არა, მაგრამ საკითხისათვის ამას არსებითი მნიშვნელობა არცა აქვს.

უაღრესად ხაინტერესოა პრობლემა ძველი აფხაზეთის ადრინდელი მოსახლეობის ეთნიკუ რი ვინაობის შესახებ. ამ მხრივ, ხაისტორიო (ცნიერებაში ერთგვარ გაურკვევლობას მართ ლაც ჰქონდა ადგილი. ერთი მხრივ, ცნობილი იყო, რომ აფხაზნი უხსოვარ დროიდან (ქართ ველობის დასაბამითგან) ცხოვრობდნენ ქრათველ ტომებთან — ქართ-მეხს-მეგრელ-ჭან და სვანე ბთან ერთად საქართველოს მიწა-წყალზე და ისტორიის მთელ მანძილზე, მათთან ერთად ბე ლიბელჩაკიდებულნი ქმნიდნენ ქართულ კულ ტურას და აგებდნენ ქართველთა სახელმწი ფოს. მეორე მხრივ, შეწყნარებულად ითვლე ბოდა დებულება იმის შესახებ, რომ აფხაზნი ეთნიკურად ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის მო სახლეობაა. რომელიც გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ჩრდილო კავკასიიდან უნდა იყოს გადმოსახლებულიო. მკვლევარი პ. ინგოროყვა თავის ნაშრომში ცდილობს საკმარო გარკვეულო ბა შეიტანოს ამ პრობლემაში და თავის მხრივ არა ერთხელ გამაზავს დებულებას: „...დასავ ლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო შე ქმნილი იყო ქ ა რ თ ვ ე ლ ი ტომების მიერ და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის იყო ქ ა რ თ ვ ე ლ ი ტ ო მ ი ა ფ ხ ა ზ ე ბ ი“ (ხაზი ავტორისაა. კ. ბ.: იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 294). ამგვარად, მკვლევარს აფხაზნი ეთნიკურადაც ქართველუ რი მოდგმის მოსახლეობად მიაჩნია. ისინი, მისი აზრით, სხვა ქართველ ტომებთან ერთად ცხო ვრობდნენ და მათთან ერთად აშენებდნენ ქარ თულ კულტურას და ქართველთა სახელმწიფოს. ამასთან ერთად, მკვლევარი არ უარყოფს ადი ღეურ-ჩერქეზული მოდგმის მოსახლეობის გად მოსვლასაც და ქედს აქცევ დასახლებას, მაგრამ ეს მას უფრო გვიანდელ მოვლენად მიაჩნია და გარკვეულად მე-17 საუკუნის მეორე ნახევარზე გადაჰქვს. მისი სიტყვით: „ეთნიკური ცვლილე ბანი ამ მხარეში მოხდა ახალ საუკუნეებში. მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებუ ლი“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 182).

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ისტორიულ ფა ქტებს და სათანადო ეკვმოუტანელი სახუთების მიხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენ წინ მართლაც ად მოჩნდება აფხაზ-ქართველთა ურთიერთობის ხა გულისხმო ხურათი. ჩვენ ადვილად დავინახავთ, რომ აფხაზეთის ბედი და სახელმწიფოებრივი ცხოვრება უხსოვარ დროიდან მოკიდებული, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მთელ მანძილზე, ქართულ კულტურასთან და ქართ ველოსთან განუყოფლად დაკავშირებული ჩანს ისევ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ოდესმე ის ტორიული აქციის ინიციატორთა აფხაზეთის მთა ვარი იყო, კეთდებოდა არა მხოლოდ აფხაზეთ ის, არამედ მთლიანად ეგრესის (დას. საქართ ველო) და სამხრეთ ანგარიშით კი, საქართველ ოს საქმე. სანიმუშოდ შესაძლებელია ისევ აფხაზთა მთავრის ლეონ II მოქმედება დავა სახელოო. რასაც მე-8 ს. მიწურულში ჰქონდა ადგილი.

როგორც „მატიანე ქართლისაი“ იუწყება, მე-8 საუკუნის მიწურულში აფხაზეთის მთა ვარი ლეონ II, რომელიც იყო ბიზანტიის მეფის „ახალის წული“, ბიზანტიის მორჩილებაში იმ ყოფებოდა. მან მოხერხებული დრო უპოვა ბიზანტიას „რაკამს მოუძლურდეს ბერძენნი და განუდგა მას“, ე. ი. აუჯანყდა ბიზანტიას. ამის შედეგად კი ბიზანტიის უღლისგან განთავისუ ფლდა არა მარტო აფხაზეთი, არამედ ეგრისი მთლიანად.

აღნიშნული აჯანყების ასეთ განმათავისუფ ლებელ და ზოგადეროვნულ ხასიათს პირველად სწორედ პავლე ინგოროყვამ გაუსვა ხაზი.

ზოგადეროვნული თვალსაზრისით უთუოდ დამაფიქრებელია აფხაზეთის მთავართა საქცი ელი ლეონზე უფრო ადრინდელ ხანაშიაც. ასე, მაგალითად, იოანე სამანისძის თხზულებიდან („ამბო ტფილელის წამება“) ცნობილია, თუ როგორი მზრუნველობით შეიფარა აფხაზთა მთავარმა ქართლიდან (აღმოსავლეთ საქართველ ო) არაბთა მიერ დევნილი ნერსე ერისთავის ოჯახი და მისი თანმხლები პირები, რომელთა შორის იმყოფებოდა ახლად გაქრისტიანებული არაბი — ა ბ ო ც. შემდეგში ტ ფ ი ლ ე ლ ი; კი დევ უფრო საგულისხმოა ის დიალოგი, რომ ლიც გაიმართა აფხაზეთის მთავარსა და ამბოს შორის, როდესაც ამ უკანასკნელმა თავისი პა ტრონის — ნერსე ერისთავის ოჯახთან ერთად, გარკვეული დროის შემდეგ, ქართლში დამ ბრუნება მოისურვა, — იოანე სამანისძის თანა ხმად: „...ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუე ყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ამბოს მიუ წოდა მთავარმან მან და მრქუა: „ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაი იგი ქართლისაი სარკინოზთა უპყრიეს და შენ ბარ ბუნებით სარკინოზ, და არა გიტეონ შენ ქრის ტეანობით მათ შორის: და მეშინის მე შენთჳს...“ და სხვა. ბოლო ამბო თავის მხრივ ემუდარე ბოდა მთავარს: „და აწ შენ ნუ დამაყენებ მე, ღმერთისმსაბურო, რამეთუ რაჲ მადლ არს ყო ფაი ჩემი აქა, ხადა არა არს შიში, არცა ნიკუ დილი ქრისტჳსთჳს?“[1]

ან როგორ შეიძლება აიხსნას ხაქციელი აფ ხაზთა მეფისა, რომელიც იქ ჩასულ გრიგოლ

1. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლი ტერატურა. პროფ. კ. კეკელიძის რედაქ ციით და გამოკვლევით. ტფილისი, 1935. გვ. 67

ბანძთელს შეეგება ხიტყვებით: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელი მოგიძღუა აქ, წმიდაო მამაო...“ და გულმხურვალედ ეეფერებოდა მას: „აწ ბრძანე და ვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და სადაც ხიწმინდენ შენმან ინებოს მონახტრად აღვაშენოთ ადგილი იგი“. როგორც „გრიგოლ ბანძთელის ცხოვრების“ ავტორი იუწყება: „მაშინ მამამან გრიგოლ, ხარწმუნეობისამებრ მეფისა, აღაშენა მონახტერი და უწოდა სახელი მას უბის, და ილარიან ვინმე, იერუსალიმით მოხრული ხარწმუნოი, მოუცებული, დაადგინა მამასახლისად...“ ამ გარემოებას კი მეფის უსაზღვრო სიბრძნული გამოუწვევია. როგორც იგივე მემატიანე აღნიშნავს: „ხოლო ქელმწიფეს იგი სიბრძნულითა აღივსო მონახტრისა მის შენებისათვის და შეწირა საშენებლად მისა ფრიად შესაწირავი და მიანიჭა მამასა გრიგოლს და მოუკუალთა მისთა დრამები ათიათასი და ყოვლითა კეთილითა აღავსნა“.

მართალია, მოტანილი ფაქტების მიხედვით ვერ გაირკვევა აფხაზეთის აკ მოხსენებულ მეხვეურთა ეროვნული კუთვნილება, მაგრამ აქედან ერთი რამ სრულიად ცხადია: ისინი არიან მოშურნე პატრიოტები არა მარტო აფხაზეთისა, არამედ საქართველოსი მთლიანად. და ეს ჯერ კიდევ მე-8-10 საუკუნეში, როდესაც საქართველო პოლიტიკურად გაერთიანებული არ იყო და ყოველგვარი საუბარი ქართლის იდეურ-პოლიტიკური იძულებითი ზეგავლენის შესახებ გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს. ხოლო რამდენად აღნიშნულ მეხვეურთა ასეთი განწყობილება შემთხვევის საქმე არ იყო და მათ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ეს ნიშანი საზოგადოდ ახასიათებდა, მკვლევარს ეძლევა საფუძველი ისინი ეთნიკურადაც ქართულ სამყაროს დაუკავშიროს.

ამასთან ერთად, ცნობილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის გარკვევის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ტოპონიმიკურ მასალას აქვს. ამ მიზნით ხარეცენზიო წიგნის ავტორს, რომელიც ითვლება საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ, ნაშრომში წარმოდგენილი აქვს „სპეციალური ექსკურსი“, სადაც განხილულია აფხაზეთის მიწა-წყალზე გავრცელებული გეოგრაფიული სახელწოდებანი (თავისი პარალელებითურთ).

რასაკვირველია, ჩვენ ზოგიერთი ტოპონიმიკური მასალის განმარტებაში ვერ დავეთანხმებით პავლე ინგოროყვას. ზოგი რამ ამ ექსკურსში სადავოა და შესასწორებელი, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ეს სახელწოდებანი ახსნილია სრულიად მართებულად. „ექსკურსში“, მართლაც, დადგენილია აფხაზეთის მიწა-წყალზე გავრცელებულ გეოგრაფიულ სახელთა თვალსაჩინო რაოდენობა, რომელთა ახსნა-განმარტება მხოლოდ ქართველური ენების [illegible] ზე ხერხდება. ამ გზას კი, ბუნებრივია, ჩვენი მკვლევარი აფხაზეთის ოდინდელი მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის ძიებაში იმავე ქართული სამყაროსაკენ მიმყავს.

უაღრესად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გაცილებით უფრო ადრინდელი, არქეოლოგიური ძეგლების შედარებითი შესწავლაც მტკიცედ უკერს მხარს დასავლეთ საქართველოს ოდინდელი კულტურული ერთიანობის ზემოაღნიშნულ ხურათს. თუ ჩვენ არ ვცდებით, საკუთრივ აფხაზეთის მიწა-წყალზე ჯერჯერობით მაინც არაფერია აღმოჩენილი ისეთი, რომელსაც აღნიშნულ ხურათში რაიმე დისონანსის შეტანა შეეძლოს. პირიქით, არქეოლოგების მიერ იქ ნაპოვნ ყოველ ახალ ნივთს (ენეოლითის ხანიდან მოკიდებული) მკვლევარი ისევ და ისევ ქართული სამყაროსაკენ მიმყავს.

ისტორიული კვლევა-ძიების სწორედ ასეთი მიმართულება და მის შედეგად მიღებული ზოგადი ხასიათის ძირითადი დასკვნა დაბეჯითებით უკარნახებს მკვლევარს, რომ ძველი აფხაზეთის ადრინდელი მოსახლეობა ეთნიკურადაც ქართულ სამყაროს დაუკავშიროს.

ზემოაღნიშნული თვალსაზრისით უთუოდ დამფიქრებელ შედეგებს იძლევა, აგრეთვე, ფეოდალურ ურთიერთობათა შესწავლა გვიან-ფეოდალურ აფხაზეთში, გვიანფეოდალურ აფხაზეთში როგორც ცნობილია, ფეოდალიზმი, მართალია ფეხმოკიდებული იყო, მაგრამ იქ მან მაინც ვერ მიაღწია განვითარების ისეთ დონეს, რომელიც მას ჰქონდა საქართველოს სხვა კუთხეებში. ფეოდალიზმი აფხაზეთში აშკარად პრიმიტიულ ხასიათს ატარებდა, რაც მთავარია, ბატონ-ყმობის მძიმე უღელი მან საერთოდ არ იცოდა. თუმცა მიწა მემამულის საკუთრებას შეადგენდა, მაგრამ გლეხი მიწაზე მიმაგრებული არ იყო და, საერთოდ, მემამულის უფლება გლეხობის მიმართ მკაცრად იყო განსაზღვრული ადათით. გლეხს შეეძლო იქ დასახლებულიყო, სადაც მოისურვებდა. ბევრ შემთხვევაში ის ნებართვასაც არ ეკითხებოდა მიწის მფლობელს. მხოლოდ მიწაზე დასახლების შემდეგ მყარდებოდა გარკვეული ურთიერთობა გლეხსა და მემამულეს შორის. ხოლო ის ბეგარა და სხვა სამბატონო ვალდებულება, რომელსაც გლეხი მიწით სარგებლობისათვის მემამულეს უხდიდა, არ იყო მძიმე, ასე მაგალითად, აფხაზეთში გლეხობის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ფენას ანბაგე შეადგენდა. ეს უკანასკნელი მემამულეს წელიწადში აძლევდა თითო თხას, ხოლო თუ ასეთი არ ჰყავდა, უხდიდა მის საფასურს ფულად. გარდა ამისა, ზამთრის თვეების გამოკლებით ის ყოველკვირა თითო დღე მუშაობდა მემამულის მეურნეობაში. მემამულეს შეეძლო თავისი ანბაგე ან ფიოში სადმე საქმეზედაც გაეგ-

9 „მნათობი“, № 3.

ზავნა. ოღონდ ასეთ შემთხვევაში ის ვალდებული იყო მისთვის ცხენი მიეცა. ხოლო თუ სალაშქროდ იახლებდა მას, მაშინ მემამულეს, მისთვის ცხენის გარდა, შეიარაღება და საკვებიც უნდა მიეცა. ბატონს უფლება ჰქონდა გლეხთან მისულიყო სტუმრად თავისი ამალით. ან, საჭიროების მიხედვით, თავისი სტუმარი გაეგზავნა მისთვის, მაგრამ ასეთ შემთხვევებში გლეხს შეეძლო, რაც ჰქონდა სახლში, იმით გამასპინძლებოდა. როგორც ვხედავთ, აფხაზეთში გლეხობას პირადი თავისუფლება არ ჰქონდა დაკარგული. იქ მემამულეს არ შეეძლო თავისი გლეხი ეცემა, მისთვის ხალანძღავი სიტყვა ეთქვა. ან უბრალოდ ეწყენინებინა რამე. ერთი ზედმეტი სიტყვით, ან იოტის ოდენი ზედმეტის მოთხოვნით მემამულეს შეეძლო ნამდვილი უბედურება აეტეხა თავის თავისთვის. არა მარტო ის ერთი გლეხი, არამედ მთელი მისი ნათესაობა აიყრებოდა და წავიდოდა სხვაგან, სხვა მემამულესთან. გლეხს მემამულე ყოველთვის თავაზიანად უნდა მოპყრობოდა. ხოლო ისეთ შემთხვევაში, როდესაც გლეხი მემამულეს ესტუმრებოდა, ეს უკანასკნელი ვალდებული იყო გვერდით მოესვა თავისი სტუმარი და გულუხვად გამასპინძლებოდა მას.

ერთადერთი ფენა, რომელიც აფხაზეთში მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ა ბ ა შ ა ლ ა (დელმახორე, მოჯალაბე) იყო. ის, მართალია, ნამდვილი მონა იყო თავისი ბატონისა, მაგრამ ისინი, ჩვეულებრივ, გადამუიდველობის თუ მოტაცების წესით სხვა ქვეყნებიდან მოყვანილი ტყვეები იყვნენ.

ასე რომ, აბაშალას მდგომარეობაში აფხაზი გლეხი და არც თავის ნებით თავშესაფრის ხაძებრად მიპული მეგრელი გლეხი ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღმოჩნდებოდა. ამგვარად, ფეოდალიზმი აფხაზეთში იოლად ასატანი, საადგილმამულო ურთიერთობის ხასიათს ატარებდა. ფეოდალური ურთიერთობა იქ ამაზე უფრო ღრმად არ წასულა. სწორედ ამაზე მეტყველებს „აფხაზეთის საკათალიკოზო გლეხების დიდი დავთარიც" (ტფილისი, 1914), რომელშიაც არცერთი უმაგლესი საკუთრივ აფხაზეთიდან მოხსენებული არ არის. აფხაზური ფეოდალიზმის სწორედ ასეთი ხასიათი იყო ის ძლიერი მიმზიდველი ძალა, რომელიც მუდმივ წყაროდ იქცა გვიანფეოდალურ აფხაზეთში მეგრული მოსახლეობის ძლიერი ნაკადის გაჩენისათვის. ოდიშიდან, სადაც ხაბატონყმო უღელი უაღრესად დამძიმებული იყო და ფეოდალური ურთიერთობა გლეხობისათვის ნამდვილ „საშინელებად" იქცა, აურილი გლეხობა აფხაზეთისაკენ ნელ-ნელა, მაგრამ უწყვეტად მიედინებოდა. იქ მას ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები და, რაც მთავარია, „ხანეტარო" სოციალური ურთიერთობა ელოდებოდა.

ფეოდალური ურთიერთობის [illegible] აფხაზეთში, ბუნებრივია, ფეოდალური [illegible] ცხოვრების პირობების [illegible] ხებოდა. ამ მხრივ, ჩვენ საგულისხმოდ გვაჩვენება დომინიკანელი პატერ ი ო ა ნ ე ს ერთი ცნობა, რომელიც შეეხება მის სტუმრობას. აფხაზეთის მთავრის ფ უ თ ო ს სახახლეში 1829 წელს (მთავარმა ფუთომ ის ნავსადგურიდან წაიყვანა, როგორც ექიმი თავისი ავადმყოფი ცოლის მოსარჩენად) და, სხვათაშორის, სიტყვა-სიტყვით იუწყება შემდეგს: „რადგან კარგად დალამებული იყო, ერთსა და იმავე ლოგინში დამაწვინა (იგულისხმება — მთავარმან კ. გ.) თავის ძმასთან".[1] დამახასიათებელი გარემოებაა: ფუთო ბიმ უბრალო მემამულე არ იყო, ის მთავარია აფხაზეთისა და მის სახახლეშიაც კი იძულებულნი ყოფილან ერთი ღამით მისული საპატიო სტუმარი მთავრის ძმასთან ერთ ლოგინში მოესვენებინათ. სხვა საშუალება უფრო ფუფუნებით ცხოვრებისა მას, ეტყობა, არ ჰქონია. ამის მიხედვით, ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ იქნებოდა მოგვარებული ცხოვრება, მაშინ უფრო დაბალი რანგის, ჩვეულებრივი თავადის სახახლეებში!

იბადება კითხვა: რით შეიძლება აიხსნეს ფეოდალური ურთიერთობის ასეთი მარტივი, შედარებით დაბალი დონე გვიანფეოდალურ აფხაზეთში? განა უფრო ადრე (მე-8-13 სს.) ფეოდალურ ხანაში იქ არ იყო იგივე ურთიერთობა უაღრესად განვითარებული? განა აფხაზეთში არ ჩაეყარა საფუძველი ხაჭართველოს ფეოდალურ მონარქიას? მაშ, რა მოხდა, რით შეიძლება ერთსა და იმავე ქვეყანაში სოციალური წყობის ასეთი ცვლილება აიხსნას? ქვეყნის ხამეურნეო ვითარების ხაერთო გაუარესებით, ან კიდევ საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაცემა-დაქუცმაცებით ამ ფაქტის ახსნა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. კარგად ცნობილია, რომ დაცემა-დაქუცმაცების შემდეგ, ყველგან, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობა თვალსაჩინოდ გამწვავდა და გლეხობის ხაბატონყმო უღელიც არაჩვეულებრივად დამძიმდა. მაშასადამე, ამ მოვლენას აფხაზეთში რაღაც სხვა მიზეზი უნდა მოეძებნოს.

ისტორიულ აფხაზეთში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების სწორედ ასეთი დონე გარკვეულად გვიკარნახებს, კავკასიონის აქეთ ადიღეურ-ჩერქეზული მოდგმის ტომების გადმოსვლა და მათ მიერ აფხაზეთის მიწა-წყლის დაკავება ვივარაუდოთ. მართალია, მოსულებმა აქ განიცადეს გავლენა, მაგრამ მათ ერთხანს მაინც შეინარჩუნეს მთიელთათვის დამახასიათებელი ხამეურნეო დონე, როგორც ცნობილია,

---

1. მ ი ქ ე ლ თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათალიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902, გვ. 145.

მთაში ვერც ფეოდალურმა ურთიერთობამ და ვერც მხსმა იდეოლოგიამ — ქრისტიანობის სახით, — ვერ მიაღწიეს თავისი განვითარების უფრო მაღალ საფეხურს, ასე იყო ეს არა მარტო გვიანფეოდალურ აფხაზეთში, არამედ ყველგან საქართველოს მთიანეთში, და სხვაგანაც მთაში.

თუ ჩვენ ყოველივე ამას სათანადოდ გავითვალისწინებთ და ზემოაღნიშნულ მონაცემებსაც ობიექტურად ჩაკუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ პავლე ინგოროყვას დებულება ძველი აფხაზეთის ისტორიული წარსულის შესახებ დამაჯერებელია და ის ძირითადად მაინც შესაწყნარებელი ჩანს.

ჩვენი აზრით, მკვლევარი აღნიშნული პრობლემის მეცნიერული შესწავლის საქმეში სწორ ნიადაგზე დგას და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მიმართულებით წარმოებული შემდგომი კვლევა-ძიება საძიებელი საკითხის საბოლოო გაშუქებით დაგვირგვინდება.

მაგრამ საქმე, რასაკვირველია, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს მოსულებმა მთლიანად მოსპეს აფხაზეთის ადრინდელი მოსახლეობა და კულტურა. თუ ძველი მოსახლეობის ერთი ნაწილი მართლაც გაწყდა, მეორე ნაწილი, ბუნებრივია, გადარჩა, ის შეუთვისდა და შეერწყა ახალმოსულებს. სწორედ ამ გზით ჩამოყალიბდა გვიანფეოდალური აფხაზეთის მოსახლეობა, რომელიც აფხაზეთის ადრინდელ (ქართულ) მოსახლეობასთან ეთნიკურადაც დაკავშირებული აღმოჩნდა და არსებითად მის ღირსეულ მემკვიდრედ იქცა.

მართალია, ჩვენ ვიწუნარებთ პავლე ინგოროყვას ზემოაღნიშნულ მოსაზრებას ადრინდელი აფხაზების ეთნიკური ვინაობის შესახებ, მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს, თითქოს აფხაზთა სატომო სახელი „მოსხი“, იგივე „მეხხი“ ყოფილიყო. ამას, ყოველ შემთხვევაში, მეტი დასაბუთება ესაჭიროება.

გარდა ამისა, ჩვენ ვერ დავეთანხმებით პავლე ინგოროყვას აფხაზეთში ეთნიკური ცვლილებების დათარიღების საქმეშიაც. როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს მას მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარ მოვლენად მიაჩნია. მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩამოსახლებულნი მე-17 საუკუნის პირველ ნახევარშიაც უკვე აფხაზეთში არიან. თურქ-მოგზაურს — ევლია ჩელების თავი რომ გავანებოთ, კათოლიკე მისიონერის, დომინიკანელი პატრი იოანეს მოხსენებითაც ისინი 1629 წლისთვისაც უკვე აფხაზეთში ცხოვრობენ. რაც მთავარია, ისინი არც აღნიშნული თარიღის აბლო ხანებში ჩანან მოსულნი, თუმცა საგულისხმოა, რომ მთავრის სახახლეში ზოგიერთი მათი ძველი წეს-ჩვეულება ჯერ კიდევ ჰქონიათ შემონახული. ასე, მაგალითად, იგივე პატრი იოანე თავის მოხსენებაში აგვიწერს აფხაზთა მთავრის ფუთოს სახახლეში ხტუმრობას და პირველი ვახშმობის შესახებ იუწყება: „სახმელ-საკმელი იმავე წესით მოგვართვეს, რომგორითაც ჩერქეზეთში იციან“[1] (ხაზი ჩვენია, გ.კ.)

თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ხსენებულმა პატრიმ მაშინ, გარდა ოდიშ-აფხაზეთისა, ჩერქეზეთიც მოიარა, გასაგები იქნება მის მიერ ყურადღების გამახვილება ასეთი, შედარებით წვრილმანი, საკითხების მიმართაც.

ჩვენი დაკვირვებით, ადიღეურ-ჩერქეზული მოსახლეობის მოსვლა აფხაზეთში მე-16 საუკუნეში უნდა იყოს მომხდარი და, შესაძლებელია, ცოტა უფრო ადრეც. ყოველშემთხვევაში, ასეთი თარიღის ძებნა მე-16 საუკუნეზე უფრო გვიან ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნია.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება პავლე ინგოროყვას ზემოაღნიშნული ნაშრომის: „გიორგი მერჩულე“-ს გამო.

---

1 მიქელ თამარაშვილი, დასახელებული წიგნი, გვ. 145.

ქართული
ბიბლიოთეკა

ნოდარ კანდელაკი, გურამ ცერცვაძე

ქორონიკონი: მისი ადგილი და როლი ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის

ახლოვდება იესო ქრისტეს დაბადების 2000 წლისთავი, რომელსაც მთელი ქრისტიანული სამყარო დიდი ზეიმით შეხვდება.

ჩვ. წ.-ის VI საუკუნეში შექმნილი თანამედროვე ანუ ჩვენი წელთაღრიცხვა ყოველდღე ამცნობს ყველას, რომ გავიდა ამდენი დღე, თვე და წელი ქრისტეს დაბადებიდან, რომელიც მოევლინა მსოფლიოს, რათა გადაერჩინა კაცობრიობა და ეჩვენებინა ადამიანებისათვის ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა. ქრისტეს ცხოვრებაზე, მოძღვრებაზე, სახწაულებზე, ჯვარცმასა და აღდგომაზე უამრავი წიგნია დაწერილი. მათ შორის ყველაზე ძველებს სახარებები წარმოადგენენ. ისინი ოთხია და მათი ავტორები არიან მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე. მათ მახარებლებს უწოდებენ. მათე და იოანე ქრისტეს მოწაფეები იყვნენ. მათ ჩაიწერეს ყველაფერი, რასაც ხედავდნენ და ისმენდნენ. მარკოზი და ლუკა იწერდნენ იმათგან ვინც უშუალოდ იხილა და მოისმინა.

ქრისტეს დაბადების 2000 წლისთავთან დაკავშირებით ინტერესი ქრონოლოგიის იმ საკითხების მიმართ, რომელთა შორის ქრისტეს ცხოვრების ამსახველი მოვლენების თარიღების დადგენას ცენტრალური ადგილი უკავია, საგრძნობლად გაიზარდა. წერილში ნაჩვენებია, რომ ამ საკითხების ღრმა ანალიზი შეუძლებელია ქართული წელთაღრიცხვის — ქორონიკონის გარეშე. მის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარეს მე-19 საუკუნის ცნობილმა მეცნიერებმა პ. იოსელიანმა, დ. ჩუბინაშვილმა და მ. ბროსემ.

მათ მიერ გამოქვეყნებულ შრომებში ყურადღება გამახვილებულია ქართული წელთაღრიცხვის—ქორონიკონის წარმომავლობისა და შემოღების საკითხებზე. მეცნიერული კვლევა-ძიება შემდგომ პერიოდში ძირითადად ამ მიმართულებით წარიმართა და იგი დღესაც გრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ქორონიკონის წარმომავლობისა და შემოღების შესახებ მეცნიერთა მიერ დღეისათვის გამოთქმული მრავალი მოსაზრება არასრული და ხშირად ურთიერთგამომრიცხავია. საქმე ის არის, რომ ქორონიკონის წარმომავლობის საკითხის მართებულად გადაჭრისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ქრისტიანული არსის დადგენას, რომელიც მდგომარეობს იმაში, თუ როგორ არის მასში გათვალისწინებული ქრისტეს ცხოვრების ამსახველი მოვლენების ქრონოლოგია და საეკლესიო მოთხოვნები „სამყაროს შექმნისა" და „მეორედ მოსვლის" შესახებ. (იხ. [1], გვ. 8-4). ამასთან დაკავშირებით არსებითია ის, რომ ქრონოლოგიაში ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხად მიჩნეული წელთაღრიცხვის ქრისტიანული არსი ქორონიკონისათვის დღემდე გამოკვლეული არ იყო.

წერილში გამოკვლეული და დადგენილია ქორონიკონის, როგორც 582 წლიანი მოქცევებისაგან შედგენილი წელთაღრიცხვის, ქრისტიანული არსი ქართული ასომთავრული ანბანის რიგ-სათვალავის ბაზაზე და, ამრიგად, ბოლომდე ახსნილია მისი წარმომავლობის საკითხი.

რაც შეეხება ქორონიკონის შემოღების თარიღთან დაკავშირებულ საკითხებს, ისინი ჩვენი მეორე წერილის საგანს შეადგენენ.

წერილის დასასრულს ნაჩვენებია, რომ თანამედროვე ანუ ჩვენი წელთაღრიცხვის წარმომავლობის საკითხი უშუალოდ ქორონიკონთან არის დაკავშირებული.

§ 1. ქორონიკონის აღწერა

ქორონიკონი უძველესი ქართული წელთაღრიცხვაა და მიეკუთვნება საეკლესიო წელთაღრიცხვათა რიცხვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქორონიკონი ფუნქციონირებს იულიუსის კალენდრით და წლებს ითვლის „სამყაროს შექმნიდან" ანუ დასაბამიდან. ქრონოლოგიაში ქართუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი დახაბამი ცნობილია, როგორც ჩვ. წ-მდე 5604 წლის 25 მარტი, კვირა დღე. ქრონიკონი შედგება 532 წლიანი კალენდარული ციკლებისაგან — მოქცევებისაგან. ქართულ წელთაღრიცხვაში მიღებულია თარიღის ჩაწერის სხვადასხვა ფორმა. პირველი — უშუალოდ დახაბამიდან. მაგალითად, ქართული დახაბამით 7593 წელი. მეორე — მოქცევის ნომრისა და მისი მიმდინარე წლის მითითებით: მე-15 მოქცევის 145 წელი. მესამე — მიუთითებენ მხოლოდ მოქცევის მიმდინარე წელს ისე, რომ მაბვილი მოქცევის ნომერზე არ კეთდება: ქრონიკონით 145 წელი და ა. შ.

შესაბამისობა

5604 წელი ქართული დახაბამით = 1 წელი ჩვ. წ.-მდე საშუალებას გვაძლევს თარიღი, მოცემული ჩვ. წ-ით, მარტივად გადავიანგარიშოთ ქართულ დახაბამზე და პირიქით. ასე მაგალითად: ჩვ. წ-ით 1989 წლისათვის ქართული დახაბამიდან მიმდინარე წლის გამოსათვლელად უნდა განვიხილოთ ჯამი: 5604 + 1989 = 7593. პირიქით, თუ ვიცით თარიღი ქართული დახაბამით, მაშინ ჩვ. წ.-ზე გადასახვლელად ვიღებთ სხვაობას 7593—5604 = 1989.

შენიშვნა: თუ მოვლენა ქართული დახაბამით მოხდა 5604 წლამდე და მისი ჩათვლით, მაშინ უნდა ვიმოქმედოთ კანონის წესით (იხ. [2] გვ. 251), რომლის თანახმად მოცემული თარიღი აკლდება არა 5604-ს, არამედ 5605-ს. მაგალითად, დავათის ხტელაზე აღნიშნულია ქართული დახაბამით 5320 წელი. თანამედროვე წელთაღრიცხვაზე გადასახვლელად ვიხილავთ სხვაობას 5605—5320 = 285. ამრიგად, ხტელაზე მითითებულია ჩვ. წ.-მდე 285 წელი.

პრაქტიკული ღირებულება აქვს ქრონიკონის მოქცევათა დამამთავრებელი, ე. ი. 532-ე წლების გადათვლას ჩვ. წ.-ის წლებზე:

მე-10 მოქცევის 532 წელი = 285 წ. ჩვ. წ.-მდე.
მე-11 მოქცევის 532 წელი = 248 წ. ჩვ. წ.-ით.
მე-12 მოქცევის 532 წელი = 780 წ. ჩვ. წ.-ით.,
მე-13 მოქცევის 532 წელი = 1312 წ. ჩვ. წ.-ით.
მე-14 მოქცევის 532 წელი = 1844 წ. ჩვ. წ.-ით.

ამ სინქრონიზმების წყალობით ქრონიკონსა და თანამედროვე წელთაღრიცხვას შორის შესაბამისობის დამყარება მარტივად ხდება. მაგალითად, სხვაობა 1989-1844 = 145 გვაძლევს ქრონიკონით მე-15 მოქცევის 145 წელს. პირიქით, თუ ჩვენ ვიცით, რომ ქრონიკონით მე-15 მოქცევის 145 წელია, მაშინ ჯამი 1844 + 145 = 1989 გვაძლევს მონაცემს უკვე ჩვ. წ.-ით.

შენიშვნა: როგორც აღვნიშნეთ, ქრონიკონში წლის დასაწყისად 25 მარტია მიღებული, მეორეს მხრივ, თანამედროვე წელთაღრიცხვაში ახალი წელი 1 იანვარს იწყება. ამიტომ ისეთი მოვლენებისათვის, რომლებიც ხდებიან 1 იანვრიდან 24 მარტამდე ჩათვლით, შესაბამისობა ქრონიკონსა და ჩვ. წ.-ის შორის, ზემოთ უკვანილი შესაბამისობასთან შედარებით, ერთ წლიან სხვაობას იძლევა.

მაგალითად, ზემოთგანხილულ მაგალითში, თუ ჩვენ ვიცით, რომ მოვლენა მოხდა ჩვ. წ.-ით 1989 წლის იანვარში, მაშინ ნაცვლად 145-ისა უნდა აგვეღო 144 წელი.

532 წლიანი მოქცევა წარმოადგენს ცნობილი 19 წლიანი მთვარისა და 28 წლიანი მზის კალენდარული ციკლების ნამრავლს: 19 X 28 = 532. ამ ციკლების საშუალებით უშუალოდ გამოითვლება ქრისტიანთა უმნიშვნელოვანესი მოძრავი დღესასწაული — აღდგომა. საეკლესიო მოთხოვნების თანახმად აღდგომა აღინიშნება გაზაფხულის დღეღამსწორების — 21 მარტის შემდგომი სრულმთვარეობის შემდეგ — უახლოეს კვირა-დღეს. როგორც ვხედავთ, აღდგომის დღის გამოსათვლელად მუდმივ კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს სრულმთვარეობათა მონაცვლეობა კვირა დღეების ცვლილებასთან ერთად. მთვარის ფაზათა მონაცვლეობა პერიოდული პროცესია პერიოდით 19 წელი. ქვემოთ მოყვანილია პასქალური ცხრილი, რომელშიც გაზაფხულის დღეღამსწორების დღედ ნაგულისხმებია ფინა წლის 21 მარტი.

ქრონიკონის მთვარის 19 წლიანი ციკლი:

სრულმთვარეობანი	21 მარტი — 18 აპრილი	
1. (13 ა)	6. (18 ა)	11. (24 მ.) 16. 29 მ.)
2. (2 ა)	7. (7 ა)	12. (12 ა) 17. (17 ა)
3. (22 მ)	8. 27 მ)	13. (1 ა) 18. (6 ა)
4. (10 ა)	9. (25 ა)	14. (21 ა) 19. (25 მ)
5. 30 მ	10. 4 ა	15. 9 ა

ცხრილი I.

სრულმთვარეობის მოსაძებნად ჯერ გამოითვლება მოცემული თარიღის 19-ზე გაყოფის ნაშთი (უნაშთოდ გაყოფის შემთხვევაში ვიღებთ 19-ს), ხოლო შემდეგ ცხრილში ვპოულობთ შესაბამის სრულმთვარეობას. მაგალითად, დავადგინოთ ქრონიკონით 145 წლის სრულმთვარეობა. 145-ის 19-ზე გაყოფის შედეგად ნაშთში ვღებულობთ 12-ს. 12-ის გვერდით ცხრილში 12 ა წერია, რაც 12 აპრილს ნიშნავს. ამრიგად, ქრონიკონით 145 წელს სრულმთვარეობა 12 აპრილს ხდება. მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენ ვიხილავთ იულიუსის კალენდარს. ამიტომ ხაქმე გვექნება მხოლოდ ე. წ. ძველ ხტილთან.

იულიუსის კალენდართან უშუალოდ დაკავშირებულია მზის ციკლი, რომელიც წარმოადგენს 28 წლიან პერიოდულ პროცესს. ამ კალენდრის საფუძველია მზის წელიწადი, რომლის ხანგრძლივობა 365,25 დღეს შეადგენს ვინაიდან კალენდარული წელიწადი შეიძლება შეიცავდეს დღეების მხოლოდ მთელ რიცხვს. ამიტომ იულიუსის კალენდრის სრული ციკლი ბორციელდება 4 წელიწადში 3 უნაკო წელიწადისა და 1 ნაკიანი წელიწადის საშუალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირის 7 დღიანი ციკლის გათვალისწინებით იულიუსის კალენდრის სრული გამეორება ხდება ყოველ 1457 = 28 წელიწადში ერთხელ. ამასთან ერთი და იგივე დღე თავისი რიცხვით ყოველ 28 წელიწადში 4-ჯერ მეორდება წლების შემდეგი ციკლის (ციკლოსის) შესაბამისად:... 3, 8, 11, 6, 3...

გამეორების მიმდევრობა დამოკიდებულია იმაზე, წელი ნაკიანია, თუ უნაკო: უნაკო კი — პირველია ნაკიანის შემდეგ, მეორე, თუ მეხამე. გამონაკლისია 29 ოქტომბერი, რომელიც კვირის ერთხა და იმავე დღეს მოდის მხოლოდ 1-ჯერ ყოველ 28 წელიწადში. ამრიგად, 28 წლიან ციკლს გააჩნია შიდა პერიოდები, რომელთა საშუალებით ციკლის წლები ოთხეულებად იყოფა. ყოველი ასეთი ოთხეული ერთნაირი კალენდრით ხასიათდება. ასე მაგალითად, ციკლის წლებს 1, 7, 12, 18 ერთნაირი კალენდრები გააჩნიათ.

ქორონიკონის 28 წლიანი ციკლი.

კვირა	დღეები	25 მარტი	—	31 მარტი
1. (25)	8. (30)	15. (29)	22. (27)
2. (31)	9. (29)	16. (27)	23. (26)
3. (30)	10. (28)	17. (26)	24. (31)
4. (28)	11. (27)	18. (25)	25. (30)
5. (27)	12. (25)	19. (31)	26. (29)
6. (26)	13. (31)	20. (29)	27. (28)
7. (25)	14. (30)	21. (28)	28. (26)

ცხრილი 2.

კვირა-დღის მოსაძებნად ჯერ გამოითვლება მოცემული თარიღის 28-ზე გაყოფის ნაშთი (უნაშთოდ გაყოფის შემთხვევაში ვიღებთ 28). შემდეგ ცხრილში უშუალოდ ვპოულობთ შესაბამის კვირა-დღეს. მაგალითად ქორონიკონით 145 წლის 28-ზე გაყოფის შედეგად ნაშთში გვექნება 5. ვპოულობთ ციკლში 5-იანს, რომლის გვერდით წერია 27 მარტი — კვირა. ამრიგად, ქორონიკონით 145 წელს 27 მარტს, 8 აპრილს, 10 აპრილს, 17 აპრილს და ა. შ. კვირა დღეებია. აღდგომის მოსაძებნად, როგორც, უკვე აღნიშნული იყო, უნდა გავიხსენოთ ამ წლის სრულმთვარეობის შემდეგი უახლოესი კვირა-დღე. 12 აპრილის შემდეგი უახლოესი კვირაა 17 აპრილი, ამრიგად, ქორონიკონით 145 წელს აღდგომა 17 აპრილს ხდება (ახალი სტილით იგი 30 აპრილზე მოდის. 1989 წელს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღდგომა, მართლაც, 30 აპრილს იზეიმა).

ხაბედნიეროდ, ძველ ქართულ წყაროებში მრავლად არსებობენ ქორონიკონის ფუნქციონირების დამადასტურებელი უტყუარი ხაბუთები. დავიწყოთ ოთხე ხაბანისძის თხზულება „ჰაბოს წამება"-ში მოყვანილი თარიღით:

„დასაბამით გარდასრულთა ექვს ათას ხამას ოთხმეოცდაცხრა წელსა თვესა იანვარსა ექვსსა, დღესა პარასკევსა". როგორც ვხედავთ, თარიღს თან ახლავს კალენდარული მონაცემი — 6 იანვარი, პარასკევი. არსებობ[illegible] იანვარში ხდება. ეს მო[illegible] მოგვცემენ უპირველეს ყოვლისა გადავამოწმოთ თარიღის სისწორე. ხოლო შემდეგ დავრწმუნდეთ იმაში, რომ ქორონიკონის ცვლილება მართლაც, მარტის თვეში ხდება. დავიწყოთ იმით, რომ 6389-ის 28-ზე გაყოფის ნაშთია 5. ქორონიკონის 28 წლიანი ციკლის მიხედვით კვირა-დღე ამ დროს 27 მარტზე მოდის. ეს მონაცემები საკმარისია იმისათვის, რომ მოლიანად აღვადგინოთ ქართული დასაბამიერ 6389 წლის კალენდარი და დავრწმუნდეთ, რომ 6 იანვარს, მართლაც, პარასკევია. ამრიგად, თარიღი სწორია. ქორონიკონი მართლაც მარტში იცვლება და თარიღის თანამედროვე წელთაღრიცხვაზე გადასათვლელად ცნობილ სხვაობას 6389-5604 უნდა დაუმატოთ კიდევ ერთი: ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვ. წ. ით მოვლენა მოიმხდარა 6389—5604 — 1 = 786 წლის 6 იანვარს, პარასკევს.

IX საუკუნის უცნობი ავტორის ნაწარმოებში „ცხოვრებაჲ და წამებაჲ წმინდისა მოწამისა კონსტანტინესი ქართველისაჲ, რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯოჯარის „მიერ" მთავარი მოკმედი პირის კონსტანტის (კახაის) წამებისა და გარდაცვალების თარიღი მოცემულია შემდეგნაირად: „ხოლო აღსრულდა იგი კეთილითა აღსარებითა თვესა ნოემბერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისსა, რომელთა თანაზიარი იქმნა. დღე იყო პარასკევი, დასაბამითგანი წელიწადნი იყვნენ ექუს ათას ოთხას ორმეოცა და ათჩვიდმეტ. ხოლო ზედაწელსა ისმაიტელთასა ორას ოც და ათორმეტსა". მეორეს მხრივ, ცნობილია, რომ ატენის ხიონის კედელზე ახომთავრულად შესრულებულ წარწერაში ფიქსირებულია კონსტანტის (კახაის) დატუვევება შემდეგი თარიღით: „თთუესა აგუსტოსა „ე"-სა დღესა შაბათსა. ქრონიკონსა „ოგ"-სა, ისმაიტელთა წელსა „სლთ"-სა. ქალაქი ტფილისი დაწუა ბუღა და შეიპყრა ამირა ხაჰაკ და მოკლა და მაცვე თთუესა აგუსტოსა „კვ"-სა, დღესა შაბათსავე. ზირაკ შეიპყრა კახა და ძე მისი თარბუკი". ჩვენ გვაქვს ერთი მხრივ, ქართული დასაბამით 6457 წელი — ზედაწელსა ისმაიტელთა 232, 10 ნოემბერი, პარასკევი, ხოლო მეორე მხრივ, ქორონიკონით 73 წელი — ისმაიტელთა 239, 26 აგვისტო, შაბათი. ამრიგად, ჩვენს წინაშეა კალენდარული მონაცემებით გადაჯაჭვული თარიღები, რომლებიც დაპარალელებული არიან ისმაიტელთა წელთაღრიცხვის შესაბამისი მონაცემებით. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ისმაიტელთა 239-ისა და ზედაწელსა ისმაიტელთა 232-ის ურთიერთ დამოკიდებულება. ქრონოლოგიაში კარგად არის ცნობილი მუსულმანური ერა ჰიჯრა, რომელიც დაიწყო ჩვ. წ.-ით 622 წლის 16 ივლისს. ამრიგად, ამ ერის ნულოვანი წელია

621. ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში ჰიჯრა იხმარებოდა საეკლესიო წელთაღრიცხვის პარალელურად (იხ. [1] გვ. 225, 284). მუსულმანური კალენდარი — მთვარის კალენდარია, ამიტომ გადასვლა ჰიჯრიდან იულიუსის კალენდარზე ხდებოდა ფორმულით $1 = H - H/33$, სადაც H ჰიჯრის წლებია, ხოლო 1 იულიუსის. ჩვენი შემთხვევისათვის $1 = 232$, $H = 239$. მართლაც, $232 = 239 - 239/33$. ამრიგად, ზედაწერსა ისმაიტელთა 232 ნიშნავს ჰიჯრას, გადათვლილს უშუალოდ იულიუსის კალენდარზე. ამიტომ კოსტანტინ ქართველის დატუვევება და წამება მომხდარა $621 + 232 = 853$ წელს ჩვ. წ.-ით. იულიუსის კალენდრის ცხრილების გამოყენებით ადვილად დავრწმუნდებით, რომ 853 წელს 5-სა და 26 აგვისტოს შაბათია, ხოლო 10 ნოემბერს — პარასკევი. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ განვიხილოთ სხვაობა $6457 - 853 = 5604$, რაც არსებითად ადასტურებს ქართულ წელთაღრიცხვას დასაბამიდან. კიდევ მეტი. იმდენად მნიშვნელოვანია ისმაიტელთა წლების ზემოთ მოყვანილი ორი თარიღის თანხვდენა, დამოწმებული ორი კალენდარული მონაცემით, რომ ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოთ ჩატარებული მსჯელობა განსაზღვრავს დამოკიდებულებას:

5604 წელი ქართული დასაბამით = 1 წელი ჩვ. წ.-მდე. წარმოვადგინოთ თარიღი 6457 წ. მოქცევების საშუალებით.

ჩვენ გვაქვს: $6457 = 12 \times 532 + 73$, რაც ქორონიკონით 73 წელს შეადგენს. ატენის ხიონის კედელზე სწორედ ეს თარიღია მინიშნებული. ყოველივე ეს ამტკიცებს, რომ ქართული ქორონიკონი და წელთაღრიცხვა დასაბამიდან იდენტური წელთაღრიცხვებია და რომ ქორონიკონის მეთორმეტე მოქცევა დასრულდა $853 - 73 = 780$ წელს ჩვ. წ.-ით. ზემოთმოყვანილ კალენდარულ მონაცემებზე დაყრდნობით გადავამოწმოთ ქორონიკონის მზის 28 წლიანი ციკლი. 73-ის 28-ზე გაყოფის ნაშთია 17. ქორონიკონის 28 წლიან ციკლში (ცხრილი 2) ვნახულობთ, რომ ამ დროს კვირა 26 მარტზე მოდის. ეს მონაცემი, ცხადია, საკმარისია იმისათვის, რომ ჯერ ქორონიკონით 73 წლის კალენდარი მთლიანად აღვადგინოთ, ხოლო შემდეგ დავრწმუნდეთ, რომ ამ წლის 5 აგვისტოს, მართლაც, შაბათია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხრილი 2-ით წარმოდგენილი ქორონიკონის მზის 28 წლიანი ციკლი იულიუსის კალენდრით არის განპირობებული და ამ ციკლის საწყისი, ამოსავალი მონაცემია 25 მარტის კვირა-დღე. როგორც შემდგომ დავინახავთ, ეს კალენდარული მონაცემი არსებითია ქორონიკონის ქრისტიანული არსის დადგენისათვის. რაც შეეხება ქორონიკონის მთვარის 19 წლიან ციკლს, ჩვენ უკვე ჩავატარეთ მისი აპრობაცია ქორონიკონი 145 წელზე.

ამრიგად, ქორონიკონის ემპირიული [illegible] ბოლომდე ჩატარებულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქორონიკონის წარმომავლობის საკითხის გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მასში გათვალისწინებული ქრისტიანული არსის დადგენას. საზოგადოდ, ყოველი საეკლესიო წელთაღრიცხვისათვის ქრისტიანული არსის გარკვევა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ არის გათვალისწინებული მასში ქრისტეს ცხოვრების ქრონოლოგია და საეკლესიო მოთხოვნები „საყაროს შექმნისა" და „მეორედ მოსვლის" შესახებ. ქრონოლოგიაში ეს საკითხი ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა. ჩვენს ძირითად მიზანს წარმოადგენს სწორედ ქორონიკონის ქრისტიანული არსის გარკვევა, რომელიც დღეს-დღეობით უცნობია და სპეციალურ შესწავლას საჭიროებს (იხ. [1], გვ. 152). როგორც ქვემოთ დავინახავთ, ამ პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს ქართული ასომთავრული ასონიშნების რიგსათვალავთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი ცნებებისა და 532 წლიანი პასქალური ციკლის საფუძვლების ღრმა ცოდნას.

§ 2. ასონიშანთა სათვალავები და მათი ინდექსი.

ცნობილია, რომ ძველთაგანვე რიცხვების ჩაწერა ასონიშანთა სათვალავებით ე. ი. მათი რიცხვითი მნიშვნელობებით ხდებოდა. ქართული ანბანისათვის მათ შემდეგ სახე აქვთ:

1. ა—1	10. ი—10	19. რ—100	28. ჩ—1000	
2. ბ—2	11. კ—20	20. ს—200	29. ც—2000	
3. გ—3	12. ლ—30	21. ტ—300	30. ძ—3000	
4. დ—4	13. მ—40	22. ჳ—400	31. წ—4000	
5. ე—5	14. ნ—50	23. ფ—500	32. ჭ—5000	
6. ვ—6	15. ჲ—60	24. ქ—600	33. ხ—6000	
7. ზ—7	16. ო—70	25. ღ—700	34. ჯ—7000	
8. ᲗᲗ—8	17. პ—80	26. ყ—800	35. ჰ—8000	
9. თ—9	18. ჟ—90	27. შ—900	36. ჵ—9000	
			37. ჶ — 10000	

ცხრილი 3.

ასონიშნებს მარჯვნივ მიწერილი აქვთ სათვალავები, ხოლო მარცხნივ სათვალავებით განპირობებული რიცხვები. მათ ჩვეულებრივ წონებს ან ინდექსებს უწოდებენ. ჩვენ უპირატესობას ტერმინ ინდექსს მივანიჭებთ.

შენიშვნა: ხშირ შემთხვევაში ანბანურ მწკრივში ასონიშანთა რიგითი ნომრები ინდექსებს არ ემთხვევიან. ეს ფაქტობრივად ნიშნავს იმას, რომ სათვალავთა ბუნებრივი მიმდევრობა დარღვეულია. ასეთი დისჰარმონიის მაგალითია კლასიკური ბერძნული. არსებითია, რომ ასომთავრულში ამ თვალსაზრისით სრული წესრიგია — ყოველი ასონიშნის რიგითი ნომერი მისი ინდექსის ტოლია.

გავიხსენოთ, რომ ქართული თვლის სისტემაში რიცხვები ითვლება ათობით თანრიგებით.

ერთეულებით, ათეულებით, ასეულებით, ათასეულებით და ა. შ. ყოველი თანრიგი ცხრა პოზიციას შეიცავს ალფაბეტული ხაწყვეტი პოზიციით. რომლის საშუალებით ხდება თანრიგის გავსება. მაგალითად, ასეულების თანრიგისათვის ხაწყვეტი პოზიცია უკავია ასიანს. შემდეგ მოდიან ორასი, სამასი და ა. შ. ცხრაასამდე ჩათვლით. აქვე აღვნიშნოთ, რომ ქართულში სპეციალურად არის გაწყობილი ათეულების თანრიგი, რომელიც ორ ხაწყვეტ პოზიციას შეიცავს — ათსა და ოცს. თანრიგის გავსება შემდეგნაირად ხდება: ათი, ოცი, ოცდაათი, ორმოცი, ორმოცდაათი, სამოცი, სამოცდაათი, ოთხმოცი, ოთხმოცდაათი. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ქართული თვლის სისტემა გარკვეული აზრით ათობით-ოცობითია.

რიცხვების ანბანური ჩაწერა ისევე ხდება როგორც მათი თქმა და პირიქით. როგორც ცხრილი 8-დან ჩანს, ანბანი ასონიშანთა სათვალავების მიხედვით სწორედ ათობით თანრიგებად არის დაშლილი. ერთეულები, ათეულები, ასეულები, ათასეულები და ერთი ათიათასეული. რიცხვის ჩაწერა ხდება კანონიკური ფორმით — უშუალოდ თანრიგების მიხედვით: ყოველი თანრიგისათვის აიღება ასონიშანი შესაბამისი სათვალავით და წარმოქმნილი ერთობლიობა ბუნებრივად ერთმანეთს მიეწერება, რაც შესაბამისი სათვალავების შეკრების ტოლფასია. მაგალითად, გაეიაზროთ და ანბანურად ჩავწეროთ 8746. რიცხვის გააზრება ხდება მაღალი თანრიგიდან დაბალისაკენ. ჩვენ შემთხვევაში იგი შეიცავს 8 — ათასეულს, 7-ასეულს, 4 — ათეულს და 6 — ერთეულს ანბანური ჩაწერა ზუსტად ისევე ხდება, როგორც მისი გააზრება. ვიღებთ ასონიშნებს ხ — 8000, ς — 700, მ — 40, ვ — 6 და მათ ბუნებრივად ერთმანეთს მივაწერთ: „ხღმვ"

რიცხვების ანბანური წარმოდგენის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს კანონიკური ფორმით ჩაწერილი უდიდესი რიცხვი. მასზე მეტი რიცხვის კანონიკური ჩაწერა მოითხოვს ახალი სიმბოლოების შემოღებას, ე. ი. ანბანის გაფართოებას. მაგალითად, 20000-ისათვის ქართულ ანბანში სპეციალური სიმბოლო არ არსებობს, ამიტომ რიცხვების კანონიკური ჩაწერა 19999-ზე წყდება. გარდა ახალი სიმბოლოების შემოღებისა დიდი რიცხვების ჩასაწერად ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ ასონიშანთა სათვალავების შეკრებით, რომელიც მათი ერთობლივი ჩაწერით ხორციელდება. რიცხვის ასეთი წარმოდგენა მისი შემადგენელი ნაწილების შეკრების ტოლფასია და თანრიგის გამეორებასთან არის დაკავშირებული, რაც მას ბუნებრივი თვლისაგან განასხვავებს. კანონიკურ ჩაწერაში კი თანრიგი არ მეორდება. ამიტომ რიცხვი იწერება ასონიშანთა მინიმალური [illegible] ასეთი ჩაწერა ერთადერთია. [illegible] ში მაქსიმუმ ხუთთანრიგა რიცხვებია, მაქსიმალური რიცხვით 19999.

წელთაღრიცხვა ათვლის სისტემაა. ამიტომ წლები მასში უშუალოდ ზრდის მიხედვით არიან დალაგებული. ანუ ისინი კანონიკურად ითვლებიან. ამრიგად, ჩვენ საქმე გვექნება ქართული წელთაღრიცხვის წლების წარმოდგენის მხოლოდ კანონიკურ ფორმასთან, რომელთა ცვლილების დიაპაზონია 1-დან 19999-მდე, რაც ჯორონიკონით შეადგენს 37 მოქცევასა და 315 წელს:

$19999 = 37 \times 532 + 315.$

ჩვენ მას წელთაღრიცხვის დიაპაზონს ვუწოდებთ.

კანონიკურად ჩაწერილი რიცხვებისათვის გაეოფის ნაშთებს განსაზღვრავს ე. წ. კლასიკური გაყოფადობის პრინციპი, რომლის თანაბმად ნებისმიერ 4-ფუძიან სისტემაში რიცხვსა და მის ციფრთა ჯამს ერთნაირი აქვთ 3-1-ზე გაეოფის ნაშთი. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ჯერ ჩვეულებრივი ათობითი სისტემა. ამ შემთხვევაში გაეოფადობის პრინციპი ასეთნაირად ეღერს: მოცემულ რიცხვსა და მის ციფრთა ჯამს ერთნაირი აქვთ 9-ზე გაეოფის ნაშთი. განვიხილოთ მაგალითი. ვთქვათ, ჩვენ გვაინტერესებს 187-ის 9-ზე გაეოფის შედეგად მიღებული ნაშთი. ვიღებთ ციფრთა ჯამს $1 + 8 + 7 = 16$. 187-ის 9-ზე გაეოფის ნაშთია 7. 16-ის 9-ზე გაეოფის ნაშთიც იგივეა. ცხადია, თუ პრინციპს მიმდევრობით გამოვიყენებთ, მივიღებთ 9-ზე გაეოფის ნაშთის პოვნის უმარტივეს ალგორითმს.

მაგალითად, ვინაიდან 187-ის ციფრთა ჯამია $1 + 8 + 7 = 16$, ხოლო 16-ის ციფრთა ჯამია $1 + 6 = 7$, ამიტომ 7 საძიებელი ნაშთია.

პრინციპი ძალაშია რიცხვების კანონიკური ფორმით წარმოდგენის შემთხვევაშიაც. ციფრების როლს აქ ასონიშანთა ინდექსები თამაშობენ, ხოლო ციფრთა ჯამის როლს — მათი ინდექსების ჯამი. ეს უკანასკნელი სიმბოლოთა ერთობლიობის წონის ან ინდექსის სახელითაა ცნობილი. სიმარტივისათვის განვიხილოთ ჯერ კვლავ ანბანური ათობითი სისტემა და ვნახოთ, თუ როგორ მუშაობს აქ კლასიკური გაეოფადობის პრინციპი. განვიხილოთ ისევ რიცხვი 187. ამ რიცხვის კანონიკური ფორმით ჩაწერისათვის ვიღებთ მე-19 ასონიშანს „რ", სათვალავით 100, მე-17 ასონიშანს „პ", სათვალავით 80 და ბოლოს, მე-7 ასონიშანს „ზ", სათვალავით 7. მივიღებთ ერთობლიობას „რპზ", რომლის ინდექსი იქნება $19 + 17 + 7 = 43$. ვიმეორებთ იმავე პროცედურას 43-ის კანონიკური ფორმით ჩასაწერად: ვიღებთ მე-13 ასონიშანს „მ" სათვალავით 40, მე-3 ასონიშანს „გ", სათვალავით 3 და ვდებულობთ ერთობლიობას „მგ", რომ

ლის ინდექსია $13+3=16$. ამ უკანასკნელის 9-ზე გაყოფის ნაშთი კი სწორედ საძიებელი 7-ია.

n-ფუძიანი სისტემის ასაგებად ანბანის ასონიშნები $n-1$-ბად უნდა დავალაგოთ. ამ შემთხვევაში კლასიკური გაყოფადობის პრინციპი მოგვცემს $n-1$-ზე გაყოფის ნაშთებს. მაგალითად, თუ ჩვენ გვინდა 28-ზე გაყოფის ნაშთების პოვნა, უნდა ავაგოთ 29-ობითი სისტემა. ამისათვის კი ანბანის ასონიშნები 28-ებად უნდა დალაგდეს. ამის შემდეგ ასონიშნებს უნდა მივაწეროთ შესაბამისი სათვალავები და, ბოლოს, ნაშთების მისაღებად გამოვიყენოთ კლასიკური გაყოფადობის პრინციპი. რაც შეეხება 19-ზე გაყოფის ნაშთებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ქართველებისათვის ღმერთს უბოძებია. საქმე ის არის, რომ ქართული თვლის სისტემა ათობით-ოცობითია, ამიტომ ინდექსი ავტომატურად ითვლება: ყოველი ოცეულის წვლილი საძიებელ ნაშთში უდრის ერთს. განვიხილოთ მაგალითები.

დავუშვათ, ჩვენ გვსურს გამოვთვალოთ 77-ის 19-ზე გაყოფის ნაშთი. ვინაიდან 77 შეიცავს სამ ოცეულსა და 17-ს, ამიტომ ინდექსია $3+17=20$. ვიმეორებთ იგივეს ამ უკანასკნელისათვის. ვინაიდან 20 ერთ ოცეულს შეიცავს, ამიტომ ინდექსი უდრის ერთს. ეს კი სწორედ საძიებელი ნაშთია.

მართლაც, $77=4\times19+1$ და 19-ზე გაყოფის ნაშთი 1-ია. გამოვთვალოთ ეხლა 145-ის 19-ზე გაყოფის ნაშთი. 145 შეიცავს ერთ ასეულს ანუ 5 ოცეულს, კიდევ ორ ოცეულსა და 5-ს. ამიტომ ინდექსი შესაბამისად იქნება $5+2+5=12$. 145-ის 19-ზე გაყოფის ნაშთი, მართლაც, 12-ია. $145=7\times19+12$.

ამრიგად, კლასიკური გაყოფადობის პრინციპის თანახმად ინდექსებს უნივერსალური ფუნქცია აკისრია: ისინი ინახავენ ნებისმიერ რიცხვზე გაყოფის ნაშთებს. სწორედ ამ შესანიშნავი თვისების გამო ინდექსმა უძველესი ანტიკური ხანის მათემატიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, რაც უპირველეს ყოვლისა დალაგებათა თეორიაში გამოვლინდა. ამ თეორიაში მათემატიკური შესწავლის საგანს წარმოადგენენ მაგიური კვადრატები, სრულყოფილი და მეგობრული რიცხვები, ფიგურალური რიცხვები (სამკუთხა, ოთხკუთხა, ხუთკუთხა და ა. შ.) და მრავალი სხვა.

ასონიშანთა დალაგება მრავალნაირი არსებობს. დალაგების უმარტივესი სახეა ერთ რიგად (ერთ სვეტად) თანმიმდევრულად დალაგებულ ასონიშანთა ერთობლიობა — სეგმენტი. ასე მაგალითად, ასონიშანთა ერთობლიობა

ი ო პ ე რ ს ტ ვ ფ ქ ღ

ქმნის სეგმენტს, რომლის შემადგენელი ასონიშნების შესაბამისი ინდექსებია 14-დან 25-მდე ჩათვლით. არსებობენ ლუწი და კენტი სეგმენტები იმისდა მიხედვით, შეიცავენ ისინი ასონიშანთა ლუწ თუ კენტ რაოდენობას. სეგმენტის ძირითადი მახასიათებლებია:

პირველი ასონიშანი ინდექსით m

ბოლო ასონიშანი ინდექსით n

ასონიშანთა რაოდენობა — სეგმენტის სიგრძე — e

ცენტრი — c

სეგმენტის ინდექსი — l

ადგილი აქვს შემდეგ მარტივ დამოკიდებულებებს

$$e=n-m+1,\ c=(m+n)/2,\ l=ce$$

ცხადია, თუ სეგმენტი კენტია, მაშინ ცენტრი ეწმხვევა გეომეტრიულად ცენტრალური ასონიშნის ინდექსს. სასარგებლოა გვახსოვდეს, რომ კენტი სეგმენტის შემთხვევაში ასონიშანთა ერთობლიობის ინდექსი უდრის ცენტრალური ასონიშნის ინდექსისა და წევრთა რიცხვის ნამრავლს. ზემოთმოყვანილ მაგალითში სეგმენტი 11 ასონიშანს შეიცავს, რომლის ცენტრალური ასონიშანია „ნ" ინდექსით 20. ამიტომ ამ სეგმენტის ინდექსია

$$l=20\times11=220$$

სეგმენტი ასონიშანთა დალაგების უმარტივესი სახეა. არქაულ მათემატიკაში დალაგებათა სხვადასხვა სახეები გვხვდება: სამკუთხა, კვადრატული და ა. შ. ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად ყურადღება მახვილდებოდა მოცემული დალაგების ქვეფიგურების (სტრიქონების, სვეტების, დიაგონალებისა და სხვ.) ინდექსებზე. ასე მაგალითად, თუ კვადრატულ დალაგებაში სტრიქონების, სვეტებისა და დიაგონალების შესაბამისი ინდექსები ტოლია, მაშინ ასეთი დალაგება წარმოადგენს მაგიურ კვადრატს.

მაგალითად, ასონიშანთა კვადრატული დალაგება

ბ ზ ვ
თ ე ა
დ გ ღ

მაგიური კვადრატია. ჩვენ შეგვიძლია ადვილად დავრწმუნდეთ, რომ ამ დალაგების ამსახველი ფიგურის ყოველი სტრიქონის, ყოველი სვეტისა და დიაგონალების შესაბამისი ინდექსები ტოლია და უდრის 15-ს.

ასონიშანთა დალაგების ბრწყინვალე ნიმუშია დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის სტელაზე წარმოდგენილი ქართული ასომთავრული ანბანური მწკრივი:

ა ბ გ დ ე ვ ზ
ღ თ ი კ ლ მ
ნ ჲ ო პ ჟ
რ ს ტ უ ფ ქ ღ
ყ შ ჩ ც ძ წ
ჭ ხ ჯ ჰ
ჵ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადვილი შესამჩნევია, რომ ხტელაზე ასონიშანთა სეგმენტები სიგრძეებით 7, 6, 5, 7, 6, 5, 1 შესაბამისად, იძლევიან ანბანის საინტერესო დაშლებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია სეგმენტი სიგრძით = 19, რ"-დან „ჰ" მდე ჩათვლით. ამ სეგმენტის დეტალური ანალიზი შემდგომ იქნება მოცემული (იხ.§1).

ასონიშანთა დალაგებასთან მჭიდრო კავშირშია სრულყოფილი და მეგობრული რიცხვები (იხ. [3], გვ. 13-15). ნატურალურ რიცხვს ეწოდება სრულყოფილი, თუ მისი საკუთარი გამყოფების ჯამი თვით ამ რიცხვის ტოლია. პირველი სრულყოფილი რიცხვია 6. მისი საკუთარი გამყოფებია 1, 2, 3, რომელთა ჯამი უდრის 6-ს. მეორე სრულყოფილი რიცხვია 28, საკუთარი გამყოფებით 1, 2, 4, 7, 14, რომელთა ჯამი $1+2+4+7+14=28$. შემდეგი სრულყოფილი რიცხვია 496, სამივე სრულყოფილი რიცხვი ცნობილი იყო უძველოვარი დროიდან. სრულყოფილი რიცხვების თეორიაში ცენტრალური ადგილი უკავია ევკლიდეს თეორემას, რომლის თანახმად, თუ ავიღებთ ანბანურ სეგმენტს ასონიშნების ინდექსური მახასიათებლებით $m=1$, $n=2p-1$, სადაც $2p-1$ მარტივი რიცხვია, მაშინ ამ სეგმენტის ინდექსი ლუწი სრულყოფილი რიცხვია: $i=2p-1\ 2p-1)$. აღსანიშნავია, რომ ასომთავრული ანბანის ფარგლებში სამი ასეთი სეგმენტია:

ა ბ გ ,

ა ბ გ დ ე ვ ზ ,

ა ბ გ დ ე ვ ზ . . . . ძ წ .

რომელთა ინდექსებია შესაბამისად 6,28 და 496. მოგვიანებით დამტკიცდა შებრუნებული თეორემაც, რომლის თანახმად ყოველი ლუწი სრულყოფილი რიცხვი ევკლიდეს თეორემით მოიცემა. ღიად არის დარჩენილი საკითხი მათი რაოდენობის შესახებ. დღეს ცნობილია 30 ლუწი სრულყოფილი რიცხვი. კენტი სრულყოფილი რიცხვი ჯერჯერობით უცნობია.

ორი რიცხვი მეგობრულია, თუ ყოველი მათგანის საკუთარი გამყოფების ჯამი უდრის მეორეს. პირველი ასეთი მეგობრული რიცხვების წყვილია 220 და 284. 220-იხ გამყოფებია 1, 2, 4, 5, 10, 11, 20, 22, 44, 55, 110. ხოლო 284-ის 1, 2, 4, 71, 142. 220-ის გამყოფების შეკრებით მივიღებთ 284-ს, ხოლო 284-ის გამყოფების შეკრებით — 220-ს. აღსანიშნავია, რომ უძველესი ცნობები ამ რიცხვების შესახებ პითაგორას სახელთან არიან დაკავშირებული. სწორედ ამიტომ მეგობრული რიცხვების ეს წყვილი პითაგორას წყვილის სახელითაა ცნობილი. ადრექრისტიანულ ხანაში მეგობრული რიცხვების წყვილებიდან მხოლოდ პითაგორას წყვილი იყო ცნობილი. შემდგომ პერიოდში მეგობრული რიცხვების ახალი წყვილების აღმოჩენა დაკავშირებულია უდიდესი მათემატიკოსების ფერმას, დეკარტისა და ეილერის სახელებთან. თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკამ ინტერესი სრულყოფილი და მეგობრული რიცხვების მიმართ ყველა [illegible] ბრივია, რადგან ნატურალური რიცხვების გამყოფებისა და მათი არითმეტიკული ჯამების ღრმა თეორიული ანალიზი ყოველთვის დეკს მათემატიკის გაჯვითარების მთავარ მაგისტრალურ ხაზზე.

ძველად ასონიშანთა ინდექსების უნივერსალური ფუნქცია იმდენად მაღალ რანგში იყო აყვანილი, რომ ეკლესიის მსახურნი თვით ინდექსებს ხშირად საიდუმლო და მაგიურ მნიშვნელობებს ანიჭებდნენ. ახე მაგალითად, ასონიშნები ინდექსებით 1-დან 7-მდე ჩათვლით „ღმერთის რიცხვების" სახელითაა ცნობილი, ხოლო ასონიშნები ინდექსებით 1-დან 19-მდე ჩათვლით „ოქროს რიცხვების" სახელს ატარებენ. აქვე შეიძლება გავიხსენოთ აგრეთვე ე. წ. გასაღები ასონიშნები და სხვა. ბიბლიის ადრექრისტიანული ხანის კომენტატორების აზრით სრულყოფილი რიცხვი 6 იმიტომ არის წმინდა და ღვთაებრივი, რომ ღმერთმა 6 დღეში დაამთავრა „სამყაროს შექმნა". ასევე დიდი უურადღების ცენტრში იყო მეორე სრულყოფილი რიცხვი 28. ამას ადასტურებს ცნობა იმის შესახებ, რომ რომში მიწისქვეშა სამუშაოების შესრულების დროს აღმოაჩინეს დიდი დარბაზი, რომლის ირგვლივ განლაგებული იყო 28 სენაკი. ეს იყო ნეოპითაგორიელების მეცნიერებათა აკადემია, რომელშიც 28 წევრი იყო გაერთიანებული. დროის ამავე პერიოდში იულიუსის კალენდართან დაკავშირებით ინტერესი სრულყოფილი რიცხვის 28-ის მიმართ საგრძნობლად გაიზარდა. იგივე ითქმის მეგობრული რიცხვების პირველი, პითაგორას წყვილის მიმართაც. ბიბლიის ტექსტში მოყვანილია ცნობა იმის შესახებ, რომ იაკობმა ისაბთან შერიგების პიზნით აჩუქა მას ზუსტად 220 ცხვარი და 220 თხა. ბიბლიის შუასაუკუნეების კომენტატორები მორწმუნეებს განუმარტავდნენ რა რიცხვ 220-ის „საიდუმლოს", ეკვმიუტანლად მიაჩნდათ, რომ ჭკვიან და ეშმაკ იაკობს სწორედ ამ რიცხვის მაგიური ზემოქმედების იმედი ჰქონდა. ცნობილია, რომ როდესაც პითაგორას ჰკითხეს, თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს მეგობრად, მან უპასუხა: „ის, ვინც არის ჩემი მეორე მე, როგორც რიცხვები 220 და 284" (იხ. [3], გვ. 15).

ამრიგად, ჩვენ გავეცანით რიცხვების წარმოდგენის კანონიკურ ფორმას, გაყოფადობის კლასიკურ პრინციპს და მასთან დაკავშირებით ასონიშანთა ერთობლიობის ინდექსის მნიშვნელოვან ცნებას, რომელთანაც მჭიდრო კავშირშია სრულყოფილი და მეგობრული რიცხვები.

§ — 3. 532 წლიანი პასქალური ციკლი

532 წლიანი პასქალური ციკლის შემოღებას საფუძველი ჩაუყარეს ჩვ. წ.-ის III საუკუნის

ქრონოლოგ-გამომთვლელებმა ანუ კომპიუტისტებმა. როგორც ცნობილია, ჩვ. წ.-ის II-III საუკუნეებში დოგმად იყო აღიარებული ის, რომ შუალედი „ხამყაროს შექმნიდან" ანუ დასაბამიდან იესო ქრისტეს „მოსვლამდე" 5500 წელს შეადგენს. ამ დოგმას იმდროინდელი ქრისტიანული მოძღვრების იდეოლოგები შემდეგ მოსაზრებას უდებდნენ საფუძვლად: ერთი მხრივ, ისინი ეყრდნობოდნენ დავით წინასწარმეტყველის გამონათქვამს „დღე ერთი, ვითარცა 1000 წელი". ხოლო მეორე მხრივ, ბიბლიურ იდეას, რომლის მიხედვით ღმერთმა 6 დღეში შექმნა სამყარო და მეექვსე დღეს ადამიანი, ამიტომ ქრისტე უნდა „მოვიდეს" მეექვსე ათასწლეულში, სწორედ 5500 წელს და სამყაროს დასასრული 6000 წელზე მოვა (იხ. [1], გვ. 4; [2], გვ. 234). ამრიგად, საეკლესიო წელთაღრიცხვის ორგანიზებისათვის აუცილებელი გახდა ღვთისმშობლის ხარების ან ქრისტეს შობის თარიღების დადგენა, რისთვისაც კომპიუტისტებმა უპირველეს ყოვლისა სახარებებს მიმართეს, რომლებშიც კალენდარული მონაცემები მათ შესახებ, სამწუხაროდ, არ არსებობს. სამაგიეროდ სახარებებში მოიპოვება, მართალია არასრული და ხშირად წინააღმდეგობრივი, პაგრამ გარკვეული აზრით კონკრეტული ინფორმაცია ქრისტეს ჯვარცმასთან დაკავშირებული მოვლენებისა და მისი ცხოვრების ხანგრძლივობის შესახებ. ქვემოთ დავინახავთ, რომ ხსენებული ინფორმაციის კალენდარულ-ქრონოლოგიური გაანზრება III]-IV საუკუნეების კომპიუტისტებმა ითავეს, დავიწყოთ უმნიშვნელოვანესი მოვლენიდან — ქრისტეს ჯვარცმიდან.

მახარებლების მათეს, მარკოზისა და ლუკას მიხედვით დროის მონაკვეთი ქრისტეს ნათლიღებიდან მის ჯვარცმამდე მოიცავს დაახლოებით სამ თვეს. ნათლისღების შემდეგ ქრისტე უდაბნოში იყო 40 დღე. ამის შემდეგ იწყება მისი მოღვაწეობა: ქადაგებანი, ლოცვები, სასწაულები და წინასწარმეტყველებანი. ხოლო შემდეგ ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად შედის იერუსალიმში. ამ დროს მიმდინარეობდა მზადება ებრაელთა საგაზაფხულო ზეიმისათვის — პასექისათვის, რომელიც გაზაფხულის პირველი სრულმთვარეობის დროს აღინიშნება. იმავე კვირის პარასკევ-დღეს ქრისტე ჯვარზე აცვეს, ხოლო ამ მოვლენიდან მესამე დღეს, კვირა-დღეს, ქრისტე მკვდრეთით აღდგა. უველაფერი ეს მოხდა რომის იმპერატორის ტიბერიუსის მეფობის მე-15 წელს, მაშინ როდესაც იერუსალიმში პროკურატორი იყო პილატე.

სახარების ამ მონაცემებზე დაყრდნობით კომპიუტისტების წინაშე დაისვა პრობლემა, რომელიც ქრონოლოგიაში პასქალური ტრიადის სახელწოდებით არის ცნობილი (იხ. [1], გვ. 28). პასქალური ტრიადა წარმოადგენს პასქალურ ხდომილებათა სამეულს, რომელთაგან ერთ-ერთი მუდმივია, ხოლო დანარჩენი ორი ცვალებადი. მუდმივია პარასკევი — ჯვარცმის დღე. პირველ ცვალებად ხდომილებად ადგენს სრულმთვარეობა, ფაქტობრივად პასექი. ამ ხდომილების ცვლილების დიაპაზონი მხოლოდ სამ დღეს შეადგენს და საკითხი შემდეგში მდგომარეობს: სრულმთვარეობას ადგილი ჰქონდა ჯვარცმის დღეს, მის წინა დღეს, თუ მის შემდგომ მომდევნო დღეს? მეორე ცვალებადი ხდომილება დროის შედარებით დიდ შუალედში იცვლება და გაზაფხულის დღეღამსწორების შემდეგ ზემოთხსენებული პარასკევისათვის მარტის თვის რიცხვის მოძებნას საჭიროებს (იხ. [1], გვ. 27).

ჩვ. წ.-ის III საუკუნის დასაწყისში პასქალური ტრიადის პრობლემასთან დაკავშირებით მოსაზრებები ქრონოგრაფებსა და კომპიუტერებს შორის გაიყო. ყველაზე ადრინდელი და, ეჭვგარეშეა, ყველაზე უფრო გავრცელებული ქრისტიანული კონცეფციის მიხედვით ჯვარცმას ადგილი ჰქონდა სრულმთვარეობის დროს. ამ თვალსაზრისს პროპაგანდას უწევდნენ ალექსანდრიელი კომპიუტისტი კლიმენტი ალექსანდრიელი და რომის ეპისკოპოსი იპოლიტე. დასავლეთის ქრისტიანულ სამყაროში დიდი ხნის განმავლობაში პოპულარობით სარგებლობდა ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენლების იპოლიტეს, ტერტულიანისა და ავგუსტინეს მიერ ჯვარცმის თარიღად აღიარებული 25 მარტი, პარასკევი. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ 25 მარტი დასავლეთის საეკლესიო წრეებში რომაული ტრადიციის მიხედვით მიჩნეული იყო გაზაფხულის ბუნიობად ანუ გაზაფხულის დღეღამსწორების დღედ. 25 მარტიდან 23 მარტზე ქრისტეს ჯვარცმის ხდომილების გადატანის ინიციატორი აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროში იყო ალექსანდრიელი ქრონოგრაფი იულიუს აფრიკელი. პასქალური თარიღის ეს გადატანა მოგვიანებით დაფუძნებულ იქნა თვალსაჩინო სირიელი საეკლესიო მოღვაწის ანატოლი ლაოდეკიელის მიერ 19 წლიანი პასქალური ციკლის საშუალებით. ამრიგად, იულიუს აფრიკელისა და ანატოლი ლაოდეკიელის ძალისხმევის შედეგად გამოთვლილი და დადგენილი იქნა შემდეგი: ერთსა და იმავე წლის 23 მარტს, პარასკევს, მოხდა ჯვარცმა, 24 მარტს, შაბათს იყო სრული მთვარე — პასექი და, ბოლოს, 25 მარტს, კვირას ქრისტე აღდგა (იხ. [1], გვ. 28). ამის შემდეგ აღმოსავლეთის ქრისტიანი ღვთისმეტყველები იწყებენ ქადაგებას იმის შესახებ, რომ ქრისტე ჯვარს ეცვა 23 მარტს, პარასკევ დღეს და იგი მკვდრეთით აღდგა 25 მარტს, კვირა დღეს (სწორედ ამაზე წერდა ჩვ. წ.-ის 313 წელს ცნობილი მწერალი დასავლეთიდან ლაქტანციუსი, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა

ქრისტიანულ აღმოსავლეთში). აღმოსავლეთის ეკლესიის ძესვეურთა ასეთი დამოკიდებულება პასქალური ხდომილებისადმი „25 მარტი — ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომა" გასაგები ხდება, თუ გავიხსენებთ, რომ იმ დროისათვის უკვე ჩამოყალიბდა შეხედულება იმის შესახებ, რომ ამ დღეს, 25 მარტს, ღმერთმა „შექმნა სამყარო" და რომ ამავე დღეს მთავარანგელოზმა გაბრიელმა ამცნო ქალწულ მარიამს, რომ მას შეეძინებოდა ძე („ღვთისმშობლის ხარება"). სწორედ ამიტომ 25 მარტის აღდგომა-დღეს უწოდებენ „საუფლოს" და ამით ხაზს უსვამენ პასქალურ ხდომილებათა სამშობლოს (იხ. [2], გვ. 211). შემდგომ ჩვენ დავინახავთ, რომ ანალოგიური სიტუაცია 25 მარტის მიმართ გათვალისწინებულია ქართულ-ქრისტიანულ წელთაღრიცხვაში — ქორონიკოსში. აღსანიშნავია, რომ ჩვ. წ.-ის III-IV საუკუნეების ერთ-ერთი ქრისტიანული სექტა მუდმივად აღნიშნავდა აღდგომა დღეს ყოველი წლის 25 მარტს. დამოუკიდებლად იმისა, რომელ დღეზე მოდიოდა იგი (იხ. [1], გვ. 28; [2], გვ. 211). III საუკუნის შემდეგ ქრისტიანულ ქრონოლოგიაში ბევრი რამ შეიცვლება. გაჩნდება ახალი საეკლესიო წელთაღრიცხვები, დაზუსტდება პასქალური ციკლები. მაგრამ იულიუს აფრიკელისა და ანატოლი ლაოდიკიელის მიერ დადგენილი პასქალური ტრიადა დიდხანს დარჩება როგორც ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის თარიღების განმსაზღვრელი შემდგომი პერიოდის ქრისტიანულ-წელთაღრიცხვებში.

ამრიგად, III საუკუნის კომპიუტისტებისათვის ნათელი გახდა, რომ ქრისტეს ჯვარცმის თარიღის გამოსათვლელად საჭიროა იულიუსის კალენდარის უკან დაბრუნება და ტიბერიუსის მმართველობის პერიოდში დროის იმ მომენტის ფიქსირება, როდესაც 24 მარტს, შაბათ დღეს ადგილი აქვს სრულმთვარეობას. მეორე მხრივ, კარგად იყო ცნობილი, რომ მზისა და მთვარის ფაზათა თანხვდენას ადგილი აქვს ყოველ 19 წელიწადში ერთხელ. ეს ნიშნავს შემდეგს:

თუ გაზაფხულის დღეღამსწორების დღეს ჩვენ გვაქვს ახალი მთვარე, მაშინ იმავე დღეს ახალმთვარეობას ადგილი ექნება მხოლოდ 19 წლის შემდეგ. საქმე ის არის, რომ მთვარის თვე, ე. ი. შუალედი ახალმთვარეობიდან უახლოეს ახალმთვარეობამდე, საშუალოდ 29,5 დღეღამეს შეადგენს. ამრიგად, მთვარის წელიწადი, ანუ 12×29,5 = 354 დღე, საშუალოდ 11 დღით უსწრებს მზის წელიწადს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ვიცით იულიუსის კალენდრით ახალმთვარეობა, მაშინ მომავალი წლის ახალმთვარეობის გამოსათვლელად მიმდინარე წლის ამ მონაცემს უნდა გამოვაკლოთ 11, ან მიუმატოთ 19. ამ ალგორითმით მოქმედების დროს ყოველ 19 წელიწადში ერთხელ მხოლოდ ერთ დღიანი ცდომილება გროვდება. ამიტომ ციკლის რომელიმე წელს შესაბამის პასქალურ მონაცემს ნაცვლად 11-ისა უნდა გამოვაკლოთ 12, ანდა მიუმატოთ 18, ნაცვლად 19-ისა. ... წერილი პროცედურა ზედნაშენების — ... ცნობილი. მისი საშუალებით მიღებული კალენდარული ციკლი წარმოადგენს იულიუსის კალენდართან შეთანხმებულ მთვარის 19 წლიან ციკლს ახალმთვარეობათა თერმებით. სრულმთვარეობაზე გადასვლა მარტივი წესით ხდება: აიღება ახალმთვარეობიდან მე-14 დღე. მთვარის ფაზის აღნიშნულ მდგომარეობას გაზაფხულის დღეღამსწორების შემდეგ პასქალური თერმი ეწოდება. პასქალური თერმების განსაზღვრის ეს წესი ქრისტიანულ სამყაროში დაამკვიდრა იულიუს აფრიველმა. ქორონიკონის მთვარის 19 წლიან ციკლში (იხ. ცხრილი 1) სწორედ ეს პასქალური თერმებია მოყვანილი.

პასქალური თერმებიდან შედგენილი პირველი 19 წლიანი ციკლი დაამუშავა და ქრისტიანულ საეკლესიო წელთაღრიცხვაში დანერგა ანატოლი ლაოდეკიელმა ჩვ. წ.-ით 269 წელს (იხ. [1], გვ. 31). იმ დროისათვის გაზაფხულის დღეღამსწორების დღედ მიღებული იყო 22 მარტი. ამიტომ 19 წლიანი ციკლის საწყის წერტილად ანატოლის მიერ აღებული იქნა მზისა და მთვარის ფაზათა ტოლობა, ანუ დროის ის მომენტი, როდესაც სწორედ 22 მარტს ადგილი აქვს ასტრონომიულ ახალმთვარეობას. ჩვ. წ.-ით დროის ეს მომენტი მოდის 258 წლის 22 მარტზე. აქედან გამომდინარე, ციკლის პირველი წლის სრულმთვარეობად, ანუ პასქალურ თერმად ანატოლიმ 4 აპრილი აიღო და ამ აქტით ფაქტობრივად დააფუძნა პირველი 19 წლიანი პასქალური ციკლი. ამრიგად, ანატოლის პასქალურ ციკლს საფუძვლად უდევს პრინციპი, რომლის მიხედვით ციკლის საწყისი წერტილი ემთხვევა ასტრონომიულ ხდომილებას — გაზაფხულის დღეღამსწორებას. ხდომილებათა თანხვდენის ეს პრინციპი ანატოლის სახელს ატარებს (იხ. [1], გვ. 45).

შემდგომ პერიოდში ანატოლის პრინციპი გადატანილ იქნა სხვა კალენდარულ ციკლებზეც ხდომილებათა სიმრავლის გაფართოებით (ასტრონომიული, ისტორიული, რელიგიური და სხვა). აღსანიშნავია ის, რომ ამ პრინციპმა არსებითი როლი ითამაშა ქრისტიანული წელთაღრიცხვების ორგანიზების საქმეში.

ამრიგად, პასქალური ტრიადიდან გამომდინარე, არავითარ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა 19 წლიანი ციკლისა და იულიუსის კალენდრის უკან დაბრუნებით ტიბერიუსის მმართველობის პერიოდში დროის იმ მომენტის ფიქსირება, როდესაც 24 მარტს, შაბათ დღეს გვაქვს სრულმთვარეობა. ეს მაშინვე გაკეთდა და გამოთვლებით მიღებული შედეგი, გადაანგარიშებული ჩვენს წელთაღრიცხვაზე, მდგომარეობს შემდეგში: ჩვ. წ.-ით 31 წლის 28 მარტს, პარასკევს,

ქრისტე ჯვარზე აცვეს: 24 მარტს, შაბათს, ადგილი ჰქონდა პასქალურ სრულმთვარეობას, ხოლო 25 მარტს, კვირა დღეს, ქრისტე აღდგა (იხ. [1], გვ. 28).

როგორც ცნობილია, ხარება ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა უძრავი ქრისტიანული დღესასწაულია და 25 მარტს მოდის. იგი საეკლესიო კალენდარში ოფიციალურად შეტანილ იქნა მას შემდეგ, როცა ჩვ. წ.-ით 354 წელს ქრისტიანულმა ეკლესიამ საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება ცალ-ცალკე აღენიშნა უძრავი ქრისტიანული დღესასწაულები: შობა — 25 დეკემბერი და ნათლისღება — 6 იანვარი, რომლებსაც ადრე ერთდროულად აღნიშნავდა (იხ. [4], გვ. 287, 278).

ხარებისა და შობის თარიღების გამოთვლისათვის ერთი შეხედვით თითქოს საკმარისია ჯვარცმის ზემოთ დადგენილი თარიღიდან უკან გადაიზომოს ქრისტეს ცხოვრების სავარაუდო ხანგრძლივობა. მაგრამ სამწუხაროდ, ამ ხდომილების მიმართ მახარებელთა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს. როგორც ცნობილია, პირველი სამი მახარებლის აზრით ნათლისღებიდან ჯვარცმამდე გასულია დაახლოებით სამი თვე. მახარებელი ლუკა გვამცნობს, რომ ნათლისღების ჟამს ქრისტე 30 წლის იყო. ამრიგად, გამოდის, რომ ქრისტემ იცოცხლა 30 წელი და სამი თვე. მეორე მხრივ მახარებელ იოანეს მიხედვით, ქრისტე ნათლისღების შემდეგ სამჯერ, შესაძლებელია ოთხჯერაც, დაესწრო ებრაელთა საგაზაფხულო ზეიმს — პასექს, რომელიც, როგორც ცნობილია, წელიწადში ერთხელ ტარდება. ამრიგად, იოანეს მიხედვით ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობა შეადგენს, სულ ცოტა, 33 წელსა და სამ თვეს. ამის გამო ქრისტიანულ სამყაროში წარმოიშვა ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის ორი ვერსია. პირველი ვერსიის მიხედვით, ქრისტე გახდა 30 წლის და იგი გადამდგარი იყო 31-ე წელში, როდესაც ჯვარზე აცვეს. მეორე ვერსიის მიხედვით, ქრისტე გახდა 33 წლის და იგი გადამდგარი იყო 34-ე წელში, როდესაც ჯვარზე აცვეს. III საუკუნეში ქრისტიანული სამყარო ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის პირველ ვერსიას იზიარებდა (იხ. [1], გვ. 27).

ამრიგად, საეკლესიო წელთაღრიცხვის ორგანიზებისათვის საკმარისი იყო შემდეგი: ქრისტეს ჯვარცმის თარიღიდან უკან უნდა გადაზომილიყო ჯერ 31 წელი, ხოლო შემდეგ 5500 და წელთაღრიცხვა დასაბამიდან მზად იქნებოდა. სწორედ ასეთი სქემით იმოქმედა იულიუს აფრიკელმა: მან პირველმა ჩვ. წ.-ით 221 წელს გამოთვალა ქრისტეს ჯვარცმის თარიღი და მას დასაბამიდან თავისი წელთაღრიცხვის 5532 წელი შეუსაბამა. ამრიგად, იულიუს აფრიკელის მიხედვით დასაბამიდან გავა 5500 წელი და ქრისტე მოევლინება კაცობრიობას 5501 წელს. ამიტომ იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვა, ე. ი. ნიმარტება შემდეგი შესაბამისობით:

5501 წელი დასაბამიდან = 1 წელს ჩვ. წ.-ით.

ამ წელთაღრიცხვამ სწრაფი გავრცელება და დიდი პოპულარობა მოიპოვა. მასთან მჭიდრო კავშირშია მეორე უმნიშვნელოვანესი ქრონოლოგიური სისტემა, რომელიც მოგვიანებით ანატოლი ლაოდიკიელმა შექმნა. მან კალენდარული ციკლები შეუთავსა იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვას და იგი რეალური ასტრონომიული მონაცემებით დააფუძნა. შესაბამისობას ამ ორ ქრონოლოგიურ სისტემას შორის აქვს სახე:

5501 წელი იულიუს აფრიკელით = 5500 წელს ანატოლით, რომელსაც საფუძვლად უდევს შემდეგი მოსაზრებები.

გავიხსენოთ, რომ ანატოლის 19 წლიანი ციკლის საწყისი წერტილია ჩვ. წ.-ით 258 წლის 22 მარტი, რაც ანატოლის მიხედვით 5500 + 258 = 5758 წლის 22 მარტს შეადგენს. 5758-ის 28-ზე გაყოფის ნაშთია 18. 28 წლიანი ციკლის მიხედვით (იხ. ცხრილი 2) ნაშთები, 1, 7, 12, 18 ერთსა და იმავე კალენდარს გვაძლევენ. ჩვ. წ.-ით 258 წლის 22 მარტი ორშაბათი დღეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ანატოლის მიხედვით სამყაროს შექმნის კვირეულის პირველი დღეც ორშაბათია. მაგრამ ბიბლიის თანახმად ეს დღე კვირა უნდა იყოს. მზის 28 წლიანი ციკლის მიხედვით ამ დღეს კვირა გვეკნება ზუსტად ერთი წლით ადრე, ანუ იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვის პირველი წლის 22 მარტს, რაც ჩვ. წ.-მდე 5501 წლის 22 მარტს შეადგენს. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვის ეს წელიწადი პრეციკლურის სახელითაა ცნობილი. ამრიგად, ანატოლის ქრონოლოგიურ სისტემაში წლები დასაბამიდან იულიუს აფრიკელის წელთაღრიცხვით ითვლება, ხოლო 19 და 28 წლიანი ციკლები მოქმედებას იწყებენ ერთი წლის დაგვიანებით, ე. ი. ჩვ. წ.-მდე 5500 წელს (იხ. [1], გვ. 136, 137).

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მზის 28 წლიანი ციკლი წარმოადგენს იულიუსის 4 წლიანი და კვირის 7 დღიანი ციკლების ნამრავლს: 28 = 4 X 7. პირველი მათგანი შედგება სამი უნაკო 365 დღიანი და ერთი ნაკიანი 366 დღიანი წლებისაგან. 365-ის 7-ზე გაყოფის ნაშთია 1, ხოლო 366-ისა 2. ამიტომ კვირა განიცდის 1 ან 2 დღიან ძვრას შესაბამისად უნაკო და ნაკიან წლებში. ამრიგად, წლიდან წელზე გადასვლისას მიმდინარე წლის კალენდარულ მონაცემს აკლდება 1 ან 2 იმის და მიხედვით, უნაკოა თუ ნაკიანი მიმდინარე წელი. სწორედ ასეთი ალგორითმის გამოყენებით მიიღება მზის 28 წლიანი ციკლი (იხ. ცხრილი 2). ზემოთ აღნიშნული იყო, რომ კვირა დღე წარმოადგენდა კვირის 7

დღიანი ციკლის დასაწყისს. ამასთან დაკავშირებით სულხან-საბა გვამცნობს: „კეირა ეწოდება ერთსა შვიდეულსა, ხოლო პირველსა დღესა, რომელ არს ერთშაბათი. ბერძნულად ეწოდების კვირიაკე. ხოლო ქართულად ხაუფლო მზისა". შევნიშნოთ, რომ კვირის დღეების დასახელებანი ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი ჩვენში შემორჩენილია უძველესი 7 დღიანი ციკლიდან (იხ. [2], გვ. 48). ხოლო დასახელება შაბათი ებრაული წარმომავლობისაა.

როგორც ცნობილია, ანატოლი ლაოდეკიელი იყო პირველი კომპიუტისტი, რომელმაც შეადგინა 95 წლიან ციკლზე დაფუძნებული პასქალური ცხრილი (იხ. [1], გვ. 190). ცხრილმა მოქმედება დაიწყო ჩვ. წ.-ით 258 წელს, რაც ანატოლის ქრონოლოგიური სისტემის მიხედვით დასაბამიდან 5758 წელს შეადგენს. ეს წელი ანატოლის 19 წლიანი პასქალური ციკლის პირველი წელია. რატომ იქნა აღებული პასქალური ცხრილის სიგრძედ 95 წელი? ამ კითხვაზე პასუხი ერთადერთია: თუკი ანატოლის 95 წლიანმა პასქალურმა ცხრილმა მოქმედება დაიწყო დასაბამიდან 5758 წელს, მაშინ იგი მოქმედებას შეწყვეტს 5757 + 95 = 5851 წელს, რაც ჩვ. წ.-ით 352 წელს შეადგენს. მაგრამ რიცხვი 5852 მოქცევის ანუ 532-იხ ჯერადია: 5852 = 11 X 532. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამთავრდება თერთმეტი 532 წლიანი მოქცევა და მასთან ერთად დასრულდება ანატოლის 95 წლიანი პასქალური ცხრილის მოქმედებაც. ანატოლის გამოთვლებში მინიშნებული 11 მოქცევით ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ 12 მოქცევა უკვე გადააჭარბებს იმ დროისათვის ქრისტიანულ სამყაროში აღიარებულ ზღვრულ სიდიდეს — დასაბამიდან 6000 წელს, „მეორედ მოსვლის" მოლოდინის რიცხვით მაჩვენებელს (იხ. [1], გვ. 137).

ამრიგად, ანატოლის მიერ დადგენილი თანადობა 5757 = 77 X 532 - 95 ერთი მხრივ უზრუნველყოფს წელთაღრიცხვაში დასაბამისათვის ციკლურ თანხვდენებს გაზაფხულის დღეგამსწორების დღეს, ხოლო მეორე მხრივ, საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას მისტიკური რიცხვი 5500 ღვთისმშობლის ხარების ან ქრისტესშობის თარიღისათვის.

როგორც ვხედავთ, 532 წლიანი ციკლი კურსში იყო უკვე ჩვ. წ.-ით 258 წელს და იგი უნდა დასრულებულიყო დასაბამის პრეციკლური წლის გათვალისწინებით 5853 წელს.

ყოველივე ზემოთქმული დასტურია იმისა, რომ III საუკუნის მეორე ნახევრიდან 532 წლიანი პასქალური ციკლი უშუალოდ გამოიყენებოდა დასაბამიდან წელთაღრიცხვის ორგანიზების საქმეში. მაგრამ, სრულიად აშკარაა ისიც, რომ ამ ციკლის საშუალებით შესაძლებელი ხდებოდა პასქალური თარიღების ფიქსაცია. ამაევ მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე ანატოლის 95 წლიანი პასქალური ...

ამრიგად, სირიელი კომპიუტისტი ანატოლი ლაოდეკიელი სრულიად თამამად შეიძლება ჩვ. ითვალოს 532 წლიანი პასქალური ციკლის ორგანიზების ავტორად და მისი შემოღების ინიციატორად. ანატოლის შემდეგ უველაზე ადრინდელი მინიშნებები 532 წლიან პასქალურ ციკლზე დაკავშირებულია ანიანოსის (400 წ.), ვიქტორიუს აქიტანელის (V ს. მეორე ნახევარი) და მეტროდორის (ეპოქა, სამწუხაროდ, უცნობია) სახელებთან.

აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული წელთაღრიცხვების ფორმირების ანატოლი ლაოდეკიელის ქრონოლოგიურ სისტემაში განმსაზღვრელ როლს თამაშობს 532 წლიანი ციკლის პირველი მდგენელი — მთვარის 19 წლიანი ციკლი, მაშინ როდესაც მისი მეორე მდგენელი — მზის 28 წლიანი ციკლი, არსებითად პირველზეა დამოკიდებული და ხდომილებათა პრინციპით არის განპირობებული. დასაბამიდან წელთაღრიცხვების ფორმირების ეს ფუნდამენტალური თვალსაზრისი ანატოლის შემდეგდროინდელ წელთაღრიცხვებში მთლიანად იქნა გათვალისწინებული.

როგორც შემდეგ დავინახავთ, გამონაკლისია ქართული წელთაღრიცხვა — ქორონიკონი, რომელშიც ფუნდამენტალური ბაზის როლს თვით 532 წლიანი ციკლი — მოქცევა ასრულებს ისე, რომ წელთაღრიცხვა დასაბამიდან მოქცევებით იზომება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვ. წ.-ის III საუკუნის მეორე ნახევრამდე პირველი ქრისტიანი ქრონოგრაფები და კომპიუტისტები თეოფილე ანტიოქიელი (ჩვ. წ. 180 წ.), კლიმენტი ალექსანდრიელი (ჩვ. წ. 190 წ.) და დასავლეთის ეკლესიის თვალსაჩინო წარმომადგენელი რომის ეპისკოპოსი იპოლიტე (ჩვ. წ. 200 წ.) დასაბამიდან წელთაღრიცხვების ფორმირებისას ემყარებოდნენ საკმაოდ პრიმიტიულ მთვარის 8 წლიან ციკლს, რომელიც პასქალური თარიღების გამოთვლებისთვისაც გამოიყენებოდა ალექსანდრიულ ეკლესიაში ანატოლის მთვარის 19 წლიანი პასქალური ციკლის მიღებამდე (იხ. [1], გვ. 5-25; [2], გვ. 236). ამრიგად, მათი წელთაღრიცხვები შეთანხმებული არ იყო რეალურ 19 წლიან პასქალურ ციკლთან და, აქედან გამომდინარე, არც 532 წლიან მოქცევებთან.

მაგრამ ჩვ. წ.-ის IV საუკუნის პირველ ნახევარში წარმოჩინდა ისეთი მოვლენები, რომლებმაც ცხადყო იულიუს აფრიკელისა და ანატოლი ლაოდეკიელის ქრონოლოგიური სისტემის სრულყოფის აუცილებლობა შემდეგი 3 ძირითადი მიზეზის გამო:

1. IV საუკუნის დასაწყისში ალექსანდრიული ეკლესიის მოღვაწეებმა შეამჩნიეს, რომ გაზაფხულის დღეგამსწორებას ადგილი ჰქონდა არა 22 მარტს, არამედ 21 მარტს. ამიტომ საჭირო

გახდა აღდგომა დღეთა ანგარიშის სრულყოფის მიზნით ანატოლის 19 წლიანი პასქალური ციკლის გადათვლა 22 მარტიდან 21 მარტზე.

როგორც ცნობილია, იმ დროისათვის ალექსანდრიაში წლებს ითვლიდნენ დიოკლეტიანეს ერით. ეს არის წელთაღრიცხვა რომის იმპერატორის დიოკლეტიანეს მმართველობის დაწყებიდან და ამ ერის საწყის მონაცემებად ქრონოლოგიაში მიჩნეულია ჩვ. წ.-ის 284 წელი, 29 აგვისტო. მიუხედავად იმისა, რომ დიოკლეტიანე ქრისტიანობის მდევნელად ითვლებოდა, მისი ერა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. დიოკლეტიანეს ერით 20 წელს, ანუ ჩვ. წ.-ის 284+20=304 წელს ალექსანდრიაში ჩატარდა კალენდარული რეფორმა, რომელიც ანატოლის 19 წლიანი პასქალური ციკლის მოდერნიზაციაში მდგომარეობდა: დღეღამსწორება 22 მარტიდან გადატანილი იქნა 21 მარტზე და ციკლი გადათვლილ იქნა დიოკლეტიანეს ერის წლებზე ისეთნაირად, რომ ციკლის პირველი წელი გახდა დიოკლეტიანეს მმართველობის პირველი წელი (იხ. [1], გვ. 36). ამ რეფორმის შემდეგ ქრისტიანულ სამყაროში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი 19 წლიანი პასქალური ციკლი: ანატოლის და ალექსანდრიული. ამ დაპირისპირებამ თავი იჩინა ნიკეის 325 წლის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რომელზედაც აღდგომა დღეთა საანგარიშოდ დაკანონებულ იქნა 21 მარტის დღეღამსწორება.

2. IV საუკუნის პირველი ნახევრიდან ქრისტიანულ სამყაროში თანდათანობით ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის მეორე, 33 წლიანი ვერსია იკიდებს ფეხს. ამ ვერსიის დიდი პოპულარიზატორი კომპიუტისტებს შორის იყო ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ევსები კესარიელი. მახარებლებს შორის იგი უპირატესობას ანიჭებდა იოანეს და ამიტომ პროპაგანდას უწევდა ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის მეორე ვერსიას. ევსები კესარიელი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქრისტიანულ სამყაროში და IV საუკუნის პირველ ნახევარში მას ბევრი მომხრე გაუჩნდა (იხ. [1], გვ. 29).

ქრისტეს ცხოვრების ქრონოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხდომილების — ხარების (ან შობის) თარიღის დადგენისათვის მისი ცხოვრების ხანგრძლივობის მეორე ვერსიის მიხედვით საკმარისია ქრისტეს ჯვარცმის თარიღიდან (ჩვ. წ.-ით 31 წლის 23 მარტი, პარასკევი) უკან გადაიზომოს 34 წელი. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ჩვ. წ.-მდე 4 წელს და არა 1 წელს ჩვ. წ-მდე, რომელიც ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის პირველი ვერსიის გათვალისწინებით მიიღებოდა. ამასთან დაკავშირებით არსებითია ის, რომ 25 მარტი, ხარება დღე ჩვ. წ.-მდე 4 წელს კვირა დღეა, მაშინ როდესაც 1 წელს ჩვ. წ.-მდე ამ დღეს ოთხშაბათია. იმის გამო, რომ კვირა დღე წარმოადგენს კვირის 7 დღიანი ციკლის პირველ დღეს, ამიტომ ხდომილებათა თანხვედრა ანატოლის პრინციპის გათვალისწინებით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის მეორე ვერსიით განსაზღვრულ ხარების თარიღს. ამრიგად, დღის წესრიგში დადგა ისეთი წელთაღრიცხვის შემოღების აუცილებლობა, რომელშიც ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის მეორე ვერსია იქნებოდა გათვალისწინებული. ამასთან დაკავშირებით ფაქტია ისიც, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საეკლესიო წელთაღრიცხვისათვის და მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის ხდომილებათა თანხვედნას: 25 მარტი, კვირა, ღვთისმშობლის ხარება და ქრისტეს ჭეშმარიტი აღდგომა.

3. ზემოთ ითქვა, რომ ანატოლის 95 წლიან პასქალურ ცხრილს ვადა გაუდიოდა დასაბამიდან 5852 წელს, რაც ჩვ. წ.-ით 352 წელს შეადგენს. ამავე წელს მთავრდება იულიუს აფრიკელისა და ანატოლის წელთაღრიცხვების მე-11 მოქცევაც და ამიტომ ცხადია, რომ შემდეგი, მე-12 მოქცევის დასასრული გადააჭარბებს დასაბამიდან ათვლილ ზღვრულ სიდიდეს — 6000 წელს. ამრიგად, ერთი მხრივ, ქრისტიანულ წელთაღრიცხვაში დასაბამის დადგენა და აღდგომა დღეთა გამოთვლა 532 წლიანი პასქალური ციკლის უშუალო გამოყენებას მოითხოვს, ხოლო მეორე მხრივ, დასაბამიდან 6000 წლისათვის სამყაროს დასასრულია მოსალოდნელი. ცხადია, რომ ასეთმა წინააღმდეგობრივმა თვალსაზრისმა ჩვ. წ.-ის IV საუკუნეში გარკვეული უნდობლობა გააჩინა წელთაღრიცხვაში გათვალისწინებული რიცხვითი მონაცემების 5500-ისა და 6000-ის მიმართ.

ასეთია 532 წლიანი მოქცევის ნარმომავლობასა და შემოღებასთან დაკავშირებული მოვლენების მოკლე ისტორიული მიმოხილვა ჩვ. წ.-ის 352 წლამდე. გამოვიკვლიოთ ახლა ქორონიკონის, როგორც 532 წლიანი მოქცევებისაგან შედგენილი ქართული წელთაღრიცხვის, ქრისტიანული არსი.

§ 4. ქორონიკონის ქრისტიანული არსი.

ქრისტიანული წელთაღრიცხვის ორგანიზებისათვის სამი ძირითადი ელემენტის გათვალისწინებაა აუცილებელი. პირველ რიგში — ბიბლიური იდეა „სამყაროს შექმნისა" და „მეორედ მოსვლის" შესახებ, მეორე—ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის ქრონოლოგია და, ბოლოს, მესამე—ხდომილებათა თანხვედრის ანატოლის პრინციპზე დაფუძნებული პასკალური ციკლები.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ქორონიკონში, როგორც ქრისტიანულ წელთაღრიცხვაში, ეს სამი ძირითადი ელემენტი მთლიანად გათვალისწინებულია. კიდევ მეტი, ჩვ. წ.-ის III საუკუნის ქრისტიანი კომპიუტისტებისა და ქრონოგრაფებისაგან განსხვავებით, ბიბლიური იდეა

„ხამყაროს შექმნისა" და „მეორედ მოსვლის" შესახებ ქორონიკონში სრულიად ახლებურად არის გააზრებული. როგორც ცნობილია, სწავლება „მკვდრეთით აღდგომის" შესახებ წარმოადგენს ქრისტიანული მოძღვრების უმთავრეს დოგმას და იგი შესულია „რწმენის სიმბოლოში". ადრექრისტიანულსა და მოგვიანებითი ხანის საეკლესიო სწავლებათა შორის განსხვავება სწორედ ამ „მეორედ მოსვლის" ვადის განსაზღვრაში მდგომარეობს. საქმე ის არის, რომ მახარებელ იოანეს „გამოცხადებაში" დაშიფრული ფორმით ჩაწერილი ინფორმაცია ხამყაროსა და კაცობრიობის ეპოკალიფსური მომავლის შესახებ ქრისტიანობის მთელი ისტორიის მანძილზე არაერთგზის იქნა სხვადასხვაგვარად გაგებული. საიდუმლოს ამოცნობის გასაღები ანონიმმა ქართველმა კომპიუტისტმა მახარებელ იოანეს შემდეგ განცხადებაში დაინახა: „მე ვარ ანი და „ჰი. იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს, და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი". (გამოცხ. 1. 8). „მე ვარ ანი და ჰი პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული" (გამოცხ. 22. 13). ქართველმა კომპიუტისტმა მთელი ყურადღება და ძალისხმევა გადაიტანა ხამყაროს დასაბამიდან წლების თვლის ანბანურ სისტემაზე და „ყოველი საიდუმლო" ეროვნულ, წელთაღრიცხვასა და ასომთავრულ ანბანში სამარადისოდ ჩაბეჭდა, რომლის ამოცნობა დასაბამიდან ქორონიკონის წლების დალაგებული მიმდევრობის განხილვით იწყება.

როგორც ვიცით, კანონიკური ფორმით ჩაწერილი წლების დალაგებული მიმდევრობა ქართული დასაბამიდან 19999-ით მთავრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ქორონიკონის დიაპაზონი 37 მოკცევასა და 315 წელს შეადგენს (იხ. §2). ქართულ ასომთავრულში კი 37 ასონიშანია, ამრიგად, ასონიშნებს ქრონოლოგიური ფუნქციაც აკისრიათ — ასონიშნის ინდექსი მოკცევის ნომერაციაა. იბადება კითხვა: რამდენად შემთხვევითია ეს ფაქტი? ჩვენ ეხლა დავინახავთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ასომთავრული ანბანური თვლის სისტემით განპირობებული წელთაღრიცხვა ზუსტად იმდენ მოკცევას მოიცავს, რამდენი ასონიშანიცაა ანბანში. მართლაც, უკვე 36 ასონიშნიან თვლის სისტემაში შესაბამისი წელთაღრიცხვის დიაპაზონი 18 მოკცევასა და 423 წელს შეადგენს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მოკცევათა რაოდენობა ორჯერ ნაკლებია ასონიშანთა რაოდენობაზე. ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ 36-ზე ნაკლებ ასონიშნიანი თვლის სისტემებისათვის მოკცევათა რაოდენობა საგრძნობლად ჩამორჩება ასონიშანთა რაოდენობას. 37-ის ზემოთ ხარისხი დიამეტრულად საწინააღმდეგოა: უკვე 38 ასონიშნიანი თვლის სისტემა 38 მოკცევას შეიცავს. ამრიგად, 37-ზე არც მეტი და არც ნაკლები! ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოკცევების მიმართ 37 ასონიშნიანი [illegible] სისტემა ოპტიმალურია.

მაგრამ ქორონიკონის დიაპაზონი 37 მოკცევის გარდა კიდევ 315 წელს შეიცავს, რომლის კალენდარულ-ქრონოლოგიურ ანალიზსაც ახლა შევუდგებით. ვინაიდან

$$315 = 16 \times 19 + 11,$$
$$315 = 11 \times 28 + 7,$$

ამიტომ 315-ის 19-სა და 28-ზე გაყოფის ნაშთებია შესაბამისად 11 და 7. ქორონიკონის მთვარისა და მზის ციკლების მიხედვით (იხ. ცხრილი 1. 2) ამ წლის 23 მარტი, პარასკევი, ქრისტეს ჯვარცმის დღეა; 24 მარტს, შაბათს, ადგილი აქვს სრულმთვარეობას, ხოლო 25 მარტი, კვირა, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღეა.

ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის ქრონოლოგიასთან დამოკიდებულების გარკვევის მიზნით საჭიროა 315 წლის პასქალურ ხდომილებათა ეს მნიშვნელოვანი სამეული განხილულ იქნას იმ მოკცევაში, რომელშიც აღნიშნული მოვლენებია მოსალოდნელი. ბიბლიური იდეის მიხედვით ისინი დასაბამიდან მე-11 მოკცევაში მოვიძიოთ: $10 \times 532 + 315 = 5635$ წ., რაც თანამედროვე წელთაღრიცხვით შეადგენს $5635 - 5604 = 31$ წელს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქორონიკონის მე-11 მოკცევის 315 წლის პასქალურ ხდომილებათა სამეული

23 მარტი, პარასკევი, ქრისტეს ჯვარცმა;
24 მარტი, შაბათი, სრულმთვარეობა,
25 მარტი, კვირა, ქრისტეს აღდგომა,

წარმოადგენს პასქალურ ტრიადას, რომელიც III საუკუნის თვალსაჩინო კომპიუტისტების იულიუს აფრიკელისა და ანატოლი ლაოდიკელის მიერ იქნა დადგენილი.

ამასთან დაკავშირებით არსებითია ის გარემოება, რომ დასაბამიდან ქორონიკონის წლების დალაგებული მიმდევრობა მოკცევის 315 წლით მთავრდება, რომლის 25 მარტის კვირა დღეს კაცობრიობა უკანასკნელად იზეიმებს ქრისტეს აღდგომას.

ამრიგად, ქორონიკონის ეს უკანასკნელი წელი ქართველი კომპიუტისტის მიერ გააზრებულია როგორც „ხამყაროს დასასრულისა" და „მეორედ მოსვლის" ჟამის დასაწყისი. მოკცევის 315 წლის 25 მარტის კვირა-დღე ბუნებრივად განსაზღვრავს ქართული წელთაღრიცხვის დასაბამსაც: 25 მარტი, კვირა 5604 წ. ჩვ. წ.-მდე. იგი უშუალო შედეგია იმისა, რომ ქრისტეს ჰეშმარიტი აღდგომის თარიღი მე-7 წელია მზის 28 წლიან ციკლში: $315 = 11 \times 28 + 7$. საქმე ის არის, რომ ამ ციკლის წლებს 1, 7, 12, 18 ერთნაირი კალენდარები გააჩნიათ (იხ. ცხრილი 2). ამიტომ დასაბამიდან პირველი მოკცევის პირველი წლის 25 მარტს კვირა დღეა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც „ხამყაროს შექმნის" ბიბლიურ იდეას ზუსტად ახახავს.

ამრიგად, ქორონიკონის სახით ჩვენ ხაქმე გვაქვს უნიკალური ხაბის უძველეს ქრონოლოგიურ ხისტემასთან, რომელიც წლებს ითვლის ქართული ასომთავრული ანბანის რიგ-ხათვალავის ბაზაზე „ხამყაროს დასაბამიდან" მითიურ „მეორედ მოსვლამდე" და რომელშიც ხამარადისოდ ჩაბეკდილია ქრისტეს პეშმარიტი აღდგომის თარიღი. რაც შეეხება ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის ქრონოლოგიას მისი მოკლე და გრძელი ვერსიების შესაბამისად იგი ხისტემაში ალტერნატიული ფორმით არის გათვალისწინებული. პირველი ვერსიის მიხედვით ღვთისმშობლის ბარებას ადგილი უნდა ჰქონოდა დასაბამიდან 5604 წლის 25 მარტს, ორშაბათს, რაც ქორონიკონით შეადგენს მე-11 მოკცევის 284 წელს (5604 = 10X532 + 284). არსებითია, რომ ქრისტეს მოსვლის რიცხვი 284 გვამცნობს (იხ. [5], გვ. 148). ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის მეორე ვერსიის მიხედვით ღვთისმშობლის ბარება უნდა მომხდარიყო დასაბამიდან 5035—34 = 5601 წლის 25 მარტს, კვირა დღეს, რაც ქორონიკონით შეადგენს მე-11 მოკცევის 281 წელს (5101 = 10X532 + 281). ვინაიდან 281 = 10X28 + 1, ამიტომ ბარების ეს თარიღი ემთხვევა ქორონიკონის მზის 28 წლიანი ციკლის დასაწყისს, რაც წარმოადგენს ხდომილებათა თანხვდენის ანატოლის პრინციპის ბრწყინვალე რეალიზაციას ქართულ წელთაღრიცხვაში.

როგორც ვხედავთ, დასაბამიდან ქრისტეს მოსვლამდე მისი ცხოვრების ხანგრძლივობის მოკლე ან გრძელი ვერსიების მიხედვით გასულია შესაბამისად 5603 წ. ან 5600 წ., რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული დასაბამი მთელი ხაუკუნით წინ უსწრებს ტრადიციულ 5500-ს. ეს ფაქტი თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია ქართული ანბანური თვლის ხისტემაზე დაფუძნებული წელთაღრიცხვისათვის. ხაქმე ის არის, რომ მეექვსე ათასწლეულში, ანუ დასაბამიდან 5000 წლის შემდეგ, რასაც ანბანური თვლით ასონიშანი „ჰ" განაბორციელებს, ქრისტეს მოსვლას გუამცნობს არა ასონიშანი „ფ" ხათვალავით 500, არამედ ასონიშანი „კ" ხათვალავით 600, რომელიც ძველთაგანვე ქრისტეს აღნიშნავდა და თავისი მობაზულობით ასომთავრულში გამოსახავს მზისა და ქრისტიანთა სიმბოლოს — ჯვარს.

ამრიგად, ქორონიკონის ქრისტიანული არხი მთლიანად გარკვეულია 87 ასონიშნიანი ანბანური თვლის ხისტემის ბაზაზე, რომელიც თავის მხრივ ოპტიმალურია 532 წლიანი მოკცევების მიმართ. 532-ხა და 87-ს შორის ოპტიმალური დამოკიდებულების ბრწყინვალე დადასტურებაა ის, რომ 532-ის ინდექსი 87-ის ტოლია. მართლაც, 532-ის კანონიკური ფორმით ჩაწერას აქვს ხაბე „ფლბ", ხადაც „ფ"-ს ინდექსია 23, „ლ"-ს ინდექსი 12, ხოლო „ბ"-ს ინდექსი 2, ამიტომ ჯამი 23 + 12 + 2 = 87 — ანბანური ლიობის ინდექსია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ფაქტის არხებობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა 87 ასონიშნიანი ოპტიმალური ანბანური ხისტემისა და ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვის ქორონიკონის ფორმირების ხაქმეში. ამასთან დაკავშირებით არანაკლებ მნიშვნელოვანია 532 = (28X19)-ის წარმოდგენა ანბანური ხეგმენტით „რ"-დან ჰ-მდე. ამ ხეგმენტის პირველი ასონიშნის „რ" ინდექსია 19, ბოლო ასონიშანია „ჰ" ინდექსით 87. ამიტომ ამ მნიშვნელოვანი ანბანური ხეგმენტის ინდექსია 1 = 28X19 = 532. ცხადია, 532-ის სხვა ხეგმენტური წარმოდგენა არ არხებობს, ამიტომ ზემოთაღწერილი წარმოდგენა ერთადერთია. მეორე მხრივ, ასონიშან „ჩ"-ის ინდექსი 28 — სრულყოფილი რიცხვია. ამიტომ თუ 532-ის აღნიშნულ ხეგმენტურ წარმოდგენაში ასონიშან „ჩ"-ის შესაბამის ინდექსს ცალკე შდგენლად გამოვყოფთ, მაშინ გვექნება: 532 = 28 + 504; მაგრამ 504 = 220 + 284! ე. ი. ადგილი აქვს ასეთ ხაინტერესო წარმოდგენას

$$532 = 28 + 220 + 284$$

ამრიგად, ქართული დასაბამიდან „მეორედ მოსვლამდე" განვლილი დროის ხანგრძლივობის ძირითადი ხაზომი ერთეული — 532 წელი არის მეგობრული რიცხვების პითაგორას წყვილისა და სრულყოფილი რიცხვის 28-ის არითმეტიკული ჯამი, რაც წარმოადგენს ცნობილი ბიბლიური იდეის უშუალო განვითარებას, რომლის მიხედვით ხამყაროს 6 დღეში შექმნა რიცხვ 6-ის სრულყოფილობითაა განპირობებული.

როგორც ცნობილია, ხამყაროს შექმნის ბიბლიური კვირეულის მეოთხე დღეს — ოთხშაბათს ღმერთმა შექმნა ციური მნათობები, მათ შორის მზე და მთვარე. III-IV ხაუკუნეების კომპიუტისტები ამ გარემოებას ხშირად პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. დასაბამიდან წელთაღრიცხვების (ერების) ორგანიზებისას ხდომილებათა თანხვდენის ანატოლის პრინციპის გათვალისწინებით აღნიშნული ოთხშაბათი, როგორც წესი, მთვარის ციკლის ათვლის წერტილად ითვლებოდა (იხ. [1], გვ. 80). არსებითია ის ფაქტი, რომ ქორონიკონში ეს ოთხშაბათი სრულყოფილ რიცხვ 28-ზე მოდის (28 მარტი), რაც იმას ნიშნავს, რომ მზისა და მთვარის შექმნის დღე მზის რიცხვით მოიცემა: კანონიკური ფორმით ჩაწერილი მზის რიცხვის ინდექსია 19 — მთვარის რიცხვი.

ამრიგად, ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ ქორონიკონს განსაკუთრებული ადგილი უკავია ქრისტიანულ წელთაღრიცხვებს შორის. იგი სრულიად დამოუკიდებელი და უნიკალური ტიპის ქრონოლოგიური ხისტემაა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელშიც ქრისტეს ცხოვრების ამსახველი მოვლენები ორგანულად არიან დაკავშირებული „ხამყაროს შექმნახა“ და „მეორედ მოსვლასთან“. ამიტომ, ცხადია, ქრისტიანული ქრონოლოგიის განვითარების ისტორია ქორონიკონს გვერდს ვერ აუვლიდა.

§ 5. ქრონიკონი და თანამედროვე წელთაღრიცხვა.

ადრე ქრისტიანულ ხანაში VI საუკუნემდე რომში გამოიყენებოდა დიოკლეტიანეს ერა და წელთაღრიცხვა რომის დაარსებიდან: 752 წ. რომის დაარსებიდან = 1 წ. ჩვ. წ.-მდე. ეს ერა კაპიტოლიურის ხაბელწოდებით არის ცნობილი (იხ. [1], გვ. 215, [6], გვ. 72) 247 წელს დიოკლეტიანეს ერით მთვარის 19 წლიან პასქალურ ციკლს ვადა გაუდიოდა: 247 = 13 X 19, ე. ი. ამ ერით 248 წელს ძალაში უნდა შესულიყო პასქალური ციკლის ახალი 19-ეული. ვინაიდან დიოკლეტიანე ქრისტიანობას დევნიდა, ამიტომ ხასურველი იყო მისი ერის შეცვლა. დროის აღნიშნულ მომენტამდე რამდენიმე წლით ადრე რომის პაპმა იოანე I დაავალა არქივარიუსს და განსწავლულ ბერს დიონისე მცირეს ახალი ხაღდგომო ცხრილების შედგენა. დიონისემ გააანალიზა არსებული კალენდარულ-ქრონოლოგიური ვითარება და ნაცვლად დიოკლეტიანეს ერისა გამოაცხადა ახალი წელთაღრიცხვა, რომელშიც წლები ითვლებოდა ქრისტეს დაბადებიდან: 248 წ. დიოკლ. = 1284 წ. რომის დაარსებიდან = 532 წ. ქრისტეს დაბ. ამ დამოკიდებულებების დამყარებისას რა მოსაზრებებით ხარგებლობდა დიონისე დღესდღეობით უცნობია, ვინაიდან მას არავითარი ხაბუთი არ დაუტოვებია. ამ მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევას ხაუკუნეთა მანძილზე უამრავი გამოკვლევა მიეძღვნა. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ქრონოლოგი ნ. იდელსონი 1925 წელს ხავსებით ხამართლიანად აღნიშნავდა, რომ სრულიად უცნობია ის გამოთვლები, რომლებსაც დიონისე დაეყრდნო თავისი წელთაღრიცხვის შემოღებისას. მკვლევართა აზრით, დიონისეს ზემოთმოყვანილ თანადობებში დიოკლეტიანეს ერის 248 წელთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონაცემს — 1284 წელი რომის დაარსებიდან. ცნობილი თანამედროვე ამერიკელი ისტორიკოსი და ქრონოლოგი ე. ბიკერმანი თვლის, რომ დიონისეს მიერ შემოღებული წელთაღრიცხვა ჯარმოადგენს რომში მიღებული წელთაღრიცხვის უშუალო [illegible] (იხ. [6], გვ. 76). სხვათაშორის [illegible] მონაცემს — 1284 წელი რომის დაარსებიდან გაცილებით ადრე მიაქცია ყურადღება ჟადემიკოსმა პოლაკმა (იხ. [7], გვ. 82). ცნობილი ქრონოლოგი ი. კლიმიშინი თავის მონოგრაფიაში „კალენდარი და ქრონოლოგია“ (იხ. [2]) დიონისეს წელთაღრიცხვასთან დაკავშირებით ხვამს კითხვას: საინტერესოა შემოწმდეს, შეეძლო თუ არა დიონისეს თავისი წელთაღრიცხვის ეპოქის დადგენისას ესარგებლა სხვის უკვე ჩატარებული გამოთვლებით ან ჩამოუალიბებული თვალსაზრისით? დასმულ კითხვაზე პასუხი დადებითია და მდგომარეობს შემდეგში: დიონისეს უეჭველია ისარგებლა ჯართველი ანონიმი კომპიუტისტის მიერ ჩატარებული გამოთვლებით და ქრისტეს ცხოვრების ხანგრძლივობის მოკლე ვადიანი კონცეფციით. ი. კლიმიშინის შეკითხვაზე ასეთი პასუხი განაპირობა ჩვენს მიერ მიგნებულმა ქრონოლოგიურმა სინქრონიზმმა (იხ. [5], გვ. 154):

248 დიოკლეტიანეთი + 284 ქორონიკონით = 532 ჩვ. წ.-ით. ეს თანადობა, ერთი მხრივ, ადასტურებს ქორონიკონის შეხმას დიოკლეტიანეს ერასთან, ხოლო მეორე მხრივ გვიჩვენებს, რომ ქართული წელთაღრიცხვა დიოკლეტიანეს ერის მოპირდაპირე ერაა. რაც შეეხება ხაძიებელ ქრონოლოგიურ სინქრონიზმს, რომის დაარსებიდან 1284 წელთან დაკავშირებით, იგი 532 წლიანი მოკცევების სიზუსტით კვლავ ქორონიკონით განისაზღვრება. ხაქმე ის არის, რომ 1284 = 2 X 532 + 220, რაც ქართული წელთაღრიცხვით მე-11 მოკცევის 284 წელს შეესაბამება.

როგორც ვხედავთ, ქრონოლოგიური სინქრონიზმი განხორციელებულია პითაგორას მეგობრული რიცხვებით 220-ითა და 284-ით. ამრიგად, დიონისეს მიერ შემოღებული წელთაღრიცხვის ეპოქა ცალსახად განსაზღვრულია მეგობრული რიცხვების წყვილით: (532 + 220) წ. რომის დაარსებიდან = (10 X 532 + 284) წ. დასაბამიდან = 1 წ. ჩვ. წ.-მდე.

ამ ჰაქტით დიონისემ კი არ დაუპირისპირა ერთმანეთს ქრისტიანული დასავლეთი და აღმოსავლეთი, არამედ ხამარადისოდ დაამეგობრა ისინი. როგორც რიცხვები 220 და 284.

ლიტერატურა:

1. ვ. გრუმელი. ქრონოლოგია, პარიზი, 1958 (ფრანგ).

2. ი. კლიმიშინი. კალენდარი და ქრონოლოგია. მოსკოვი, 1985 (რუს).

3. ვ. ბორო, დ. ციგარი. ცოცხალი რიცხვები, მოსკოვი, 1985 (რუს).

4. ათეისტის სამაგიდო წიგნი. მოსკოვი 1985 (რუს).

5. ნ. კანდელაკი, გ. ცერცვაძე, მაჩვენებელი „94 წელი“, მნათობი, 2, 1987.

6. ე. ბიკერმანი. ძველი სამყაროს ქრონოლოგია. მოსკოვი, 1976 (რუს).

7. ი. პოლაკი. დრო და ქრონოლოგია. მოსკოვი, 1949 (რუს).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეძვთიმე თაყაიშვილი

ქართული სიძველენი ევროპიელ ანტიქვარეებთან[1]

რევოლიუციამ, ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებამ და აქედან გამოწვეულმა ემიგრაციამ მოახდინა ერთგვარი მობილიზაცია სიძველენისა. გაღატაკებულმან და გაჭირვებულმან ემიგრანტებმა გამოიტანეს ბაზარზე გასაყიდათ რის წამოღება და გადარჩენაც მოახერეს.

რასაკვირველია ამ დარგში ქართული სიძველენიც უნდა მოპყოლოდა, მაგრამ ჩვენ ჯერ ამის რეგისტრაცია არა გვაქვს. ამ უამად მხურს გავაცნო მკითხველს ის ნივთები, რომელნიც ჩვენ შემთხვევით ვნახეთ ან რომლებზედაც ცნობა გვაქვს.

პარიზის ცნობილ ანტიქვარ ა. ზოლოტნიცკისთან ამ ორიოდე წლის წინეთ ჩვენ ვნახეთ ხამი ქართული ნივთი.* შემდეგ მისგან ეს ნივთები მეორე ანტიქვარს ეყიდა და მასაც გაუყიდია უკვე. მაგრამ ვისზე გაუყიდა, არ ამბობს. ეს ნივთები იყო:

1. ხატი ღვთის მშობლისა მილანჭრიანი ქართულ-სპარსული რიგისა ბატონიშვილის ასულის ხვარამზისა.

ამ ხატარა ოქროს ხატის სიმაღლე არის 8,8 სანტიმეტრი, განი 7,5 სანტ. ღვთის მშობელი ხასწაულთა რიგის არის წელს ზევითი, ძითურთ წიაღთა. ღვთისმშობლის ხაბელი ჩვეულებრივის შემოკლებით ბერძნული ასომთავრულით უწერია. ხუროთი შესრულებულია ოქროს ფირფიტებზედ ქართულ-სპარსულ მილანჭრით. ფონი ხულ მწვანეა. ხამოსელი ღვთისმშობლისა მუქი-ლურჯი, ბოლო ურმისა ოქროს ფერია. ღვთისმშობლის ხაბე უფრო კათოლიკური რიგის არის ვიდრე ქართულის. ხატი ეტყობა სპარსი ოქრომჭედლის მიერ არის გაკეთებული და გამკეთებელს კათოლიკური ხატიდან გადმოულია სურათი. ანგელოზი შინაგანი და გარეგანი უბრალო ბლართულებით არის შემკობილი. მეორე გვერდის ოქროს ფირფიტზედ მთელს სიგრძეზედ ჯვარია წარმოდგენილი შუბით და ღრუბლით. ჯვარის ქვემოთ ადამის თავი მოჩანს. ზემოთ ჯვარს ასომთავრულით უწერია: ი ნ ბ ჰ, ესე იგი: „იესო ნაზარეველი მეუფე ბურიათა". ჯვარის მარცხნივ და მარჯვნივ ზემოთ და ქვემოთ: ი ქ ძ მ, რაც ნიშნავს: „იესო ქრისტე, ძლევა მიხი". ხისქვეშედ ხატისა ხამის მხრით უკლის მხედრული წარწერა ორ-ორ მწკრივათ ხევადით შესრულებული შავ ფონზედ:

1. ჩვენ: ბატონის: შვილმა ხვარამზემა: მოვაჭედინეთ

2. ხატი: ესე: და შემგწირე თფილისის: სიონთა

3. ღის: მშობლს: ვითარცა: ჩვენი: ხასურველი: შვილი: თამარ

4. თქვენ: ტაძარში ემარხა: მისის: სულის: სა-ხსრად: ცოდვა

5. თა: ჩვენთა: შეხანდობლად: შეიწირე: შენ: ყო

6. ლად: ხანატრელო: ქალწულო: ქ ალ: ტ ეწ: ანუ

ჩვენ ბატონიშვილმა ხვარამზემა მოვაჭედინეთ ხატი ესე და შემოგწირეთ თფილისის სიონთა ღვთისმშობელს, ვითარცა ჩვენი ხასურველი შვილი თამარ თქვენ ტაძარში ემარხა, მისის სულის სახსრად, ცოდვათა ჩვენთა შეხანდობლად. შეიწირე შენ, ყოვლად ხანატრელო ქალწულო, ქრონიკონს ტ ეწ.

ქრონიკონი უდრის 1710 წელს. აქ მოხსენებული ხვარამზე არის ბატონიშვილის ლევანის ასული, ძმისა გიორგი მეთერთმეტისა

---

1. იხ. გაზ. „საქართველო". პარიზი, 1929, № 1-2.

* ამ ნივთებზე მე მიმითითა და რაც გაეორია წარწერებიც მომაწოდა იხკინერმა ბ-ნმა სიმონ ციციშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას ვსწირავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ქ. ც. 11, გვ. 58). ლევანი იყო ერთ დროს გამგებლად ქართლისა.

ᲔᲒ. ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲘᲡ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲥᲕᲘᲜᲘᲮᲘᲫᲘᲡᲐ.

ხახარება პატარა ტანისაა. ნაწერია მშვენივრად გაეშვულს ქაღალდზე ერთობ წვრილის ნუსხა ხუცურით ორ-სვეტად. რამკებში, რომელნიც ოქროთი არიან შეხრულებულნი. თითო სვეტის სიმაღლე არის 5,8 სანტიმეტრი, განი 1,5 სანტიმეტრი. შემკობილია ხელნაწერი ოთხი მახარობლის ხურათით. ხურათები ფერადებით არის დახატული. ყველა ხახარებას წინ მიუძღვის ხურათი მახარობლისა, შემდეგ სია ხახარების ხათაურთა. ხახარების ბოლოში მოკცეულია ხაჩვენებელი დღიურ საკითხავთა. ხათვალავი რვეულებით არის აღნიშნული, რვეულში რვა ფურცელია, სულ 80 რვეულია და ამას გარდა დღიურ საკითხების ხარჩევს უჭერია 80 ფურცელი. ასე რომ ხელნაწერი სულ შეიცავს 270 ფურცელს. ტექსტი სრულად არის დაცული. ბოლო ბოლოში, დღიურ საკითხავთა შემდეგ, აკლია ერთი რვეული, რომელზედაც ბოლოსიტყვაობა უნდა ყოფილიყო გადამწერისა. ხაბედნიეროდ გადამწერის ხახელი მოხსენებულია პირველი ხამი მახარობელის ხახარების ბოლოში. მათეს ხახარების ბოლოს სწერია:

წ᾽ ომ᾽ თემ᾽ ბობ᾽ლო ᲨᲬᲛ᾽Ბ
მეკმენ წ᾽ეკს᾽ხა ცდვილ
ხა და ფ᾽ დ ხაწყალობლს
ა მწერალს პა
პუნახა
ამინ:
ᲩᲬ ᲤᲬ: —
უკარაგმოთ:
წმიდაო მათე მახარობელო, შენ მეოხ
მეკმენ ,ნინაშე ქრისტესა ცოდვილ —
ხა და ფრიად ხაწყალობელს —
ა მწერალს პა —
პუნახა.
ამინ.
ᲩᲬ ᲤᲬ.

უკანასკნელი სიტყვა იმ ხაიდუმლო ასოებით არის დაწერილი, რომელსაც ანჩინური ეწოდების და ნიშნავს ᲠᲬ Ნ, ესე იგი: ამინ (ვინაიდან Ჩ უდრის ა — ᲮᲐ და ᲤᲬ — ᲮᲐ).

მარკოზის ხახარების ბოლოს:

წ᾽ომ᾽ რკᲮ მᲮ᾽რებელო
ᲨᲬᲛ᾽Ბ მეკმენ ᲤᲬ᾽ დ ცდვ
ილსა და ᲮᲬᲧᲚᲑᲚᲡᲐ Მ
წერალსა პაპუნ᾽Ხ
ᲨᲬᲛ᾽Ჩ ქად᾽ᲒᲔᲑᲚᲡᲐ
წ᾽ე დღესა მᲮ დიდსა Გ
ანკითხვᲮ᾽ᲮᲐᲩᲩ᾽Ფ
ვინცა ეს Ჩ᾽ნი ᲮᲑ᾽ᲚᲘ
აღმოკოცოს: აღიკ
ოცენინ იგი წიგნიხᲒ᾽Ნ
ცᲮოველთასა და მართალთ
ათ᾽ა ნუ დაიწერებედ:
უკარაგმოთ:
წმიდაო მარკოზ მახარებელო
შენ მეოხ მეკმენ ფრიად ცოდვილსა
და ხაწყალობელსა Მ —
წერალსა პაპუნას
შენ მიერ ქადაგებულისა
წინაშე დღესა მას დიდსა Გ
ანკითხვისასა, ამინ ᲩᲬ.
ვინცა ეს ჩემი ხახელი
აღმოკოცოს, აღიკოცენინ იგი
წიგნისაგან
ცᲮოველთასა და მართალთ
ა თანა ნუ დაიწერებედ.

მეშვიდე სტრიკონის უკანასკნელი სიტყვა აქაც ანჩინურის ხახით არის დაწერილი და ნიშნავს „ამინ".

ლუკას ხახარების თავის ოლოს:

წ᾽ოლკ᾽ა მᲮ᾽რებ᾽ლო
Მ᾽Ხ მეᲧᲥᲬ᾽ეკ᾽ᲮᲐ ᲧᲓ
Ც᾽ᲓᲕᲚᲡᲐ ამისსა ᲛᲬ
ერალსა ღᲩᲛᲬᲩᲙ
უკარაგმოთ:
წმიდაო ლუკა მახარებელო,
მეოხ მეᲧᲐᲕ ნინაშე ქრისტესსა ᲧᲝᲕᲚᲐᲓ
ცოდვილსა ამისსა ᲛᲬ —
ერალსა ღᲩᲛᲬᲩᲙ.

უკანასკნელი სიტყვა ანჩინურის ხაიდუმლო ანბანით არის დაწერილი, მაგრამ ერთი შეცდომაა დაშვებული ღ ის მაგიერ Ყ უნდა იყოს ორივე ადგილას და მაშინ სიტყვა უდრის პაპუნას.[1]

შინაგანი უდა ხელნაწერს აქვს ᲧᲐᲕᲘᲡᲤᲔᲠᲘ ტყავისა თხელი. უფიცროთ, შემკობილია ოქროთი გაკეთებულის ბალახის და ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲗᲐ მსგავსი ხლართულებით, ეხლა ეს შინაგანი უდა მოსცილებია ხელნაწერს. შემდეგ ხელნაწერი ამ შინაგანი უდითურთ მოკცეულია მეორე ᲮᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝ უდაში, ბუდის მსგავსად, რომელიც იშლება ჩხირების ამოღებით. ეს უდა ოქროსია, შემკობილი ქართულ-სპარსულ მილანქრით. წინა პირზე უდისა წარმოდგენილია ხურათი ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲘᲡᲐ ქრისტესი ხამი თანამდგომით. ზემოთ გამოხატულია მზე და მთვარე ერთგვარის ხამკბილიანი ნამგლის მსგავსი წრით. ხურათები შეხრულებულია მწვანე და თეთრ-მილანქრით ოქროს ფონზე. აშია ირგვლივ ფურცელ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ოქროს ფერისა მწვანე ფონზე. ქრისტეს თავი მცირეთ მარცხნივ არის მოხრილი, ტანი წელს ზევით და მუხლებს ქვევით ტიტველია. წელზე მწვანე კვართი და ვარდისფერი ხამოსელი ემჩნევა. მეორე პირზე

1 ამის შესახებ იხილე ჩვენი: პარიზის ხაერონალურ ბიბლიოთეკის ხელნაწერები და ოცი ᲮᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ დამწერლობის ნიშანი, გვ. 5 და 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულია წარმოდგენილია ჯოჯოხეთის წარტყვენა, ქრისტეს გამოპყავს მამათ მთავარნი ხელებჩაკიდებით მარჯვნივ და მარცხნივ. ქვემოთ თითო ფიგურა მოჩანს ორივე მხრით. წრის ქვეშ, რომელზედაც ქრისტე დგას, პატარა კაცის ფიგურა არის სულ თეთრ ტანისამოსში, ხელებ აშვერილი. მაგრამ ფენმოკეცით დამჯდარი. სუყველა ფიგურების ტიპი პირწავარდნილი სპარსულია. ასეთ ტიპებს ჯვარცმის და ჯოჯოხეთის წარტყვენის სურათებზე ჩვენ პირველად ვხედავთ. აშია აქაც ისეთია როგორც წინაპირზე. ოთხივე გვერდზე ულია არის მხედრული წარწერა სეკვადით ოქროს ფონზე. ორ-ორ სტრიქონად თითო გვერდზე:

1. ქ. ნებითა: და: შემწევნითა: მღ´თისა: ჩვენ: ფრიად: ცო
2. დვილმან: დიდისა: და ზეშთა: აღ
3. მატებულისა: ქართლისა: მეფეთ: მეფისა: სრულიად: ერ
4. ანისა: სპასალარისა: ყანდაარის: და ქირმნ
5. ის: ბეგლარ: ბეგისა გიორგი: ყოფილისა: პატრონისა შაპნვაზის
6. მონამნ: მდივანმა: კვინიხიძემა
7. გიორგიმ: მოვაჭედინეთ: პატიოსანი: სახარება: ეს:
8. სულითა: და: ხორცითა: საოხად: ამინ: ქ´ს: ტუე

უკარაგმოთ:

ქ. ნებითა და შეწევნით მღვთისათა, ჩვენ ფრიად ცოდვილმან, დიდისა და შეშთა აღმატებულისა ქართლისა მეფეთ მეფისა, სრულიად ერანისა სპასალარისა, ყანდაარის და ქირმანის ბეგლარ ბეგისა, გიორგი ყოფილისა, პატრონისა შ´ანავაზის მონამან, მდივანმა კვინიხიძემა გიორგიმ, მოვაჭედინეთ პატიოსანი სახარება ეს, სულითა და ხორცითა საოხად, ამინ, ქორონიკონს ტუე.

ქორონიკონი უდრის 1707 წელს. ეტყობა მდივანი გიორგი კვინიხიძე ქუთაისიდან გაუყოლია გიორგი მეთერთმეტეს სპარსეთში. სახარების ყდა ეჭვს გარეშე სპარსეთშია გაკეთებული სპარსი მოხელის მიერ და მით აიხსნება სპარსული ტიპები სურათებისა ამ სახარების ყდაზე. გიორგი მეფე, როგორც ვიცით, მოკლულ იქნა ყანდაარს 1709 წელს.

3. ჯვარი ათონურის რიგისა, მაგრამ ქართული ხელობისა.

ეს არის ფრიად გავრცელებული ჩვენში ათონურის რიგის ბის ჯვარი, რომელზედაც ჩვეულებრივ გამოკანდაკებულია ჯვარცმა, ათთორმეტნი საუფლონი, მოციქულები და სხვა სურათები. ასეთი ჯვრების დამზადება და გაკეთება დღემდისაც არ შეწყვეტილა საქართველოში. ჯვარი, რომელზედაც ეხლა გვაქვს საუბარი, არის ბზის ხიდან გაკეთებული, სიმაღლე აქვს უტაროდ 12,5 სანტიმეტრი, განი შუა ნაწილში 6 სანტ. პირველ გვერდზე ჯვარისა ამოკრილია შემდეგი სურათები: დაბადება ქრისტესი, ნათლის ღება, დიდა ღვთისა ჩვილედი [illegible] მოციქული; მეორე გვერდზე ორივ[illegible] ჯვარცმა და ჯვართ ამაღლება. გვერდები ჯვარისა შეკედილია ოქროთი და სპარსულ-კავკასიურ მილანქრით წარმოდგენილია შემკობილებანი ყვავილის და ფოთლების სახით მე-18 საუკუნისა; ფრთებზე სამი მხრით ჯვარს უზის ბუდეებითურთ ზურმუხტები დაბალი ხარისხისა. მე ეს ჯვარი უტაროდ მაჩვენეს, მაგრამ როგორც მერე მიღებული სურათებიდან აღმოჩნდა, ჯვარს ტარიც ჰქონია ორმუხლედი სამი ნასკვით და ამ ტარზე მხედრული წარწერაც ყოფილა, მაგრამ ჩემს სურათზე მარტო ერთი პირი არის წარწერისა, რომელზედაც იკითხება:

ქ: იესო: ჯ დ ძლიერო: და ჯვარო: ცხოველს:. მყოფელო:. შე და:. შეუნდევ. ცოდვილი

მეორე გვერდის დანარჩენი ორი სტრიქონის სურათი არა გვაქვს და ამიტომ არ ვიცით, ვისზეა აქ საუბარი. წარწერის ხასიათი და თვით ხელობა ჯვარისა გულისხმობს, რომ როგორც ჯვარი ისე წარწერაც ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს.

დასასრულ საჭიროთ ვრაცხთ მადლობა გამოვუცხადოთ ა. ზოლოტნიცკის, რომელმაც ამ ნივთების აღწერის უფლება მოგვცა და ნაცვლად წარწერების გარჩევისა და გადათარგმნისა მათი ფოტოგრაფიული სურათებიც მოგვაწოდა.

4. ბრიტანეთის მუზეუმის მიერ შეძენილი ქართული სანაფილე

ცნობილმა ბიზანტოლოგმა ლონდონის პროფესორმა ო. მ. დალტონმა იანვარში 1926 წ. მომაწოდა ფოტოგრაფიული სურათი და მოკლე აღწერილობა ერთი ოქროს ქართული მილანქრიანი სანაფილისა, რომელიც შეეძინა ბრიტანეთის მუზეუმს. და შემეკითხა წერილით, მაქვს თუ არა მე ცნობა სადან წარმოსდგება ეს ნივთი. მე ვუპასუხე, ეს ნივთი პირადად მე არ მინახავს არსად საქართველოში, მაგრამ ერთი ცნობა, რომელიც მე გადმომცეს, შეიძლება ამ ნივთს გულისხმობდეს-მეთქი და უამბე: როდესაც მე და ალ. სარაჯიშვილი კახეთში მოვგზაურობდით მუზეუმისათვის ნივთების შესაგროვებლად, სხვათა შორის ვესტუმრე ყვარელში იური ჭავჭავაძეს და მისგან მივიღეთ მუზეუმისათვის ხელნაწერი ლოცვანი — დაუჯდომელი პატარა ტანისა, რომელიც ქეთევან დედოფალს ხელში ჰქონებოდა წამების დროს და რომელზედაც ემჩნეოდა სისხლის წვეთები. იურიმ გვითხრა, რომ ამ ხელნაწერთან ინახებოდა პატარა გულსაკიდი წმინდა გიორგის ხატი ქეთევან დედოფლისაო, მაგრამ მე არ ვიცი, ეხლა ვისა აქვს ის ნივთიო. იური ჭავჭავაძეს ქეთევან დედოფლის ხელნაწერი მისი ბიძის ნიკო ჭავჭავაძის ქონებიდან ერგო სხვა ნივთებთან ერთად, რომელნიც მან და მისმა ძმამ გაიყვეს.

მე გამოვთქვი მოსაზრება, შეიძლება ეს ნივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი იგულისხმებოდეს იმ გულსაკიდ ხატად, რომელზედაც იური ჯავჯავაძემ გადმოგვცა მეთქი. მართლა ეს პატარა ოქროს ნივთი ნაწილიან მედალიონის მსგავს ხატს წარმოადგენს და გულზე სატარებლად არის დანიშნული. ამისათვის მას ძეწკვის გასაყრელი ყური აქვს ზემოთ. წინა პირი მედალიონისა წარმოადგენს წმიდა გიორგის სურათს მრგვალ მედალიონში, ოქროზე შესრულებულს მშვენიერის ბიზანტიურის რიგის მილანკრით. წმიდა გიორგი წელზევით არის წარმოდგენილი ამოღებული ხმლით მარჯვენა ხელში და ბერძნულის წარწერით— სახელისა (ჰო აგიოს გიორგიოს) მილანკრითვე. ირგვლივ ბიბლიური სტიხია მოყვანილი ბერძნულადვე თეთრის ასოებით. მეორე გვერდზე მილანკრითვე გამოხატულია პატარა სურათი წმიდა დიმიტრისა. მწოლიარე, ლამპარის ქვეშოთ, ბერძნულისავე წარწერით (ჰო აგიოს დემეტრეს), ეს პატარა მილანკარიანი ფირფიტა იხსნება და შით მოჩანს მეორე პატარა სახე ოქროთ ნაკვეთი, ირგვლივ ერთობლივ მოქცეულია ნაწილები და მათ ზემო აშიაზე ირგვლივ ამოკრილია მხედრული წარწერა: ||ქ:ნ ნდა ქეთ ვნ დ ფლის ნაწილი ||ძელი ჯ ტი: ესე იგი წმინდა ქეთევან დედოფლის ნაწილი. ძელი ჯვარისა.

გვერდზე მედალიონისა ირგვლივ კიდევ მეორე ბერძნული ბიბლიური სტიხია მილანკრითვე შესრულებული. მაგრამ უფრო მოსხო ასოებით ვიდრე პირველი პირის წარწერა.

ამ ნაწილის აღწერილობა სურათებითურთ ო. ბ. დალტონმა უკვე დაბეჭდა ნ. კონდაკოვის ხსოვნისთვის მიძღვნილ კრებულში „Seminarium Kondacovianum". Prague. 1926, გვ. 275-277.

ჩემს შეკითხვაზედ თუ საიდან შეიძინა ბრიტანეთის მუზეუმმა ეს ნივთი, დალტონმა მაცნობა, რომ ეს ნაწილი მათთვის მიუძღვნია ერთს უმთავრესს ანტიკვარს ლონდონის ანტიკვარებთა შორის, ხოლო მას უნდა ჰქონდეს შეძენილი ვინმე რუსეთიდან ან საქართველოდან მოსულისაგანო, მეტი ჯერ ამის შესახებ არაფერი ვიცით და თუ შევიტყვე რამე გაცნობებთო.

მე გამოვთქვი მოსაზრება, რომ ეს ნივთი უნდა წარმოადგენდეს გულ-საკიდ ხატს ქეთევან დედოფლისა, წინეთ მასში ალბათ მოქცეული იყო მარტო ძელი ჯვარისა ნაწილი და ქეთევანის წამების შემდეგ მას მიუმატეს ქეთევანის ნაწილიც. თუმცა საჭიროა აღვნიშნოთ, წარწერა ორთავე ნაწილებისა ერთის ხელით არის შესრულებული, მაგრამ ეს გადაკეთების დროს უნდა იყოს ჩადენილი. ყოველ შემთხვევაში თვით წმიდა გიორგის და წმიდა დიმიტრის ბიზანტიური მილანკრის რიგის მედალიონები ძველია, არა უგვიანეს მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნისა.

5. ლექსიკონი საბა სულხან ორბელიანისა.

მხედრული ხელნაწერი in folio [illegible] მომდინარეობს მუზრანიანთ [illegible]. ეს [illegible] გნი მე საქართველოშიც მქონდა ნახული და აღწერილი, დაბა მუხრანში. ჩემ იქ ყოფნის დროს პატრონი სახლში არ დამიხვდა, შემდეგ როდესაც ტფილისში ვნახე, აღმითქვა შემოწირვა საისტორიო-ეთნოგრაფიო მუზეუმისათვის. „მესტუმრეთ მუხრანში და მოგართმევთო", მაგრამ მე ვეღარ მოვახერხე გამგზავრება მასთან სოფელში. ბოლოს მუზრანის ასულს წიგნი პარიზში მოეტანა, მისგან ხელნაწერი შეუძენია ინგლისელ ანტიკვარს ალენს. ტექსტი ხელნაწერისა არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივი ხელნაწერებისაგან, რომელნიც მრავლობით მოიპოვებიან ტფილისის წიგნთსაცავებში. ბოლოში ხელნაწერს გარდა ჩვეულებრივი ხაბას ბიოგრაფიული ცნობებისა და ლექსებისა დართული აქვს შემდეგი ანდერძი გადამწერისა:

აქა ეს დასრულდა, დიდება ღ^ა. ბუნებით ერთსა

დასრულდა ლექსთა კანონი

ღირსმან ჰაო ადრე პოვნანი.

1. აღმაწერინა წიგნი ესე ხახურ ხაწყური სატრფოი

2. მსაჯულმან საქართუ^ველ ლოიასამან ბრძენმან ტომ

3. ორბელითმან მზეკაბუკ. მე უუნდოესსა მონასა

4. სქეს ლარაძესა იოანეს: დაღაცა თუ ხაზოგადოების არა

5. მოსაწონ არს ნაღუან ნაწერი ესე, გარნა შესანდობელ

6. არს ბრალი უსწავლელობისა უკეთუ არა იყოს ნაშვი დაკნინლობისა:

7. მონა ვარ უ მარი და რომელი იგი თანამედვა ყოფად ვჰყავ:

ეს არს ლექსთა კონანი

ვინც სრულობით ჰაო პოვნანი.

შემკვეთელი ხელნაწერისა მდივანბეგი მზეკაბუკ ორბელიანი და გადამწერი იოანე ლარაძე არიან მოღვაწენი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. იოანე ლარაძე შემდეგ მღვდელი იყო და გარდაიცვალა დეკანოზობის ხარისხში ალავერდს 1804 წელს (იხ. ჩემი არქეოლოგიური ექსკურსიები და შენიშვნები. რუსულ ენაზე. წიგნი IV, გვ. 95).

ხოლო მდივანბეგი მზეკაბუკ ორბელიანი გარდაიცვალა 1794 წელს და დამარხულია ტფილისის სიონში.

ამრიგად, ხელნაწერი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშია გადაწერილი.

მაგრამ ხელნაწერი დიდათ საყურადღებოა თავისი მხატვრული ასოებით. თითოეული ანბანის ტექსტს თავში უზის ფერადებით დახატული დიდი მეთაური ასო მხედრული. ზოგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ახო შემკობილია სიმბოლიური ფიგურებით და ამიტომ რთული ხაზე აქვს. მთელი სცენებია წარმოდგენილი. მაგალითად ახო ჯ-ს ახლავს ჯოჯოხეთის ხურათი. ტ-ს უწერია: „ხული მართალი უბრალოდ იტანჯების", დახატულია მუსულმანის ტირანი. რომლის ბრძანებით ჰგვემენ მართალს, ქრისტიანს. ც არის გამომხატველი ცოდვათა და უწერია: „ვაი მწერალთა უკეთურებისათა". ჭ-ს უწერია: „ჰა უგვარო ქმის გაცემა" და სხვა. ახოების შემკობილება ზოგჯერ დამთავრებული არ არის. მაგალითად ფერადებით არ არის შეხრულებული ახოები: ქ, უ. შ. წ. და ჭ.

ერთი ნიმუში ამ ლექსიკონის მხატვრული მეთაური ახოის, სახელდობრ ტ. ალენმა მოათავსა ახლად გამოსულს თავის ხალხტიქვარო კატალოგში, თუმცა ეს ახო აქ ფერადებით არ არის წარმოდგენილი როგორც დედანში, მაგრამ მაინც საუცხოოთ არის შეხრულებული და კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. დიდ სამსახურს გაგვიწევს ალენი რომ ყველა ახოს ამრიგათ გადმოსცემდეს ერთს ალბომად.

6. პატარა გულსაკიდი ხატი ღვთისმშობლისა ნაწილებიანი, ოქროსი, ჩვილედი.

მომდინარეობს ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის ოჯახისაგან. ღვთის მშობლის ხატე ნაჭედი წელს ზევით არის წარმოდგენილი ძოთურთ: წარწერა ხახელისა ხუცურია: ყ დ წ ა. ბოლო მეორე გვერდზე მხედრულად აწერია:

ჰ ი ძელო ცხოველს მყ
ოფელო: და: წმინდანო მო
წამენო შეგამკე მე იმერ
და მეფის სოლომონის:
დამ ბატონიშვილმა მა
რიამ რათა მრჩობლსავე შენ
თა ცხოვრებასა მფარველ
მექნა ძითა და ასულთა ამინ.

აქ მოხსენებული მარიამ ბატონიშვილი არის იმერეთის მეფის სოლომონ II და, რომელიც წინეთ წერეთელს პყავდა ცოლად და შემდეგ 1795 წლიდან მალხაზ ანდრონიკაშვილს, მალხაზის და მარიამის შვილი იყო ივანე „მალხაზიჩაძე" წოდებული, ცნობილი ღენერალი, რომელმაც ყირიმის ომის დროს მდინარე ჩოლოქის პირზედ სახტიკად დაამარცხა ომარ ფაშის ლაშქარი.

ხელობა ხატისა ქართულია, მაგრამ დაცემის ხანისა და ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს. ეს ხატი მე მაჩვენა პირველად ოსხებ დადიანმა, პატრონი ყიდისო მითხრა. შემდეგ გადაეცათ რევაზ გაბაშვილისათვის გასასყიდათ და მისგან უყიდია ბ-ნ გამრეკელს, გიორგი ყაზბეგის ხიძეს.

7. სახარება კათალიკოზ დომენტი მებამისა.

ბ-ნ გამრეკელის სახლობას უნდა ჰქონდეს კიდევ პატარა ტანის ხელნაწერი სახარება. დომენტი III კათალიკოზისა. რომელიც [illegible] გიანთ ოჯახიდან მომდინარეობს, [illegible] მინიატურულია. ოქროს ყდით, ორ ფეტად [illegible] წერი ძლიერ თხელს გაეშვილს ქაღალდზე ერთობ წვლილს, მაგრამ კარგად გახარჩევის ნახსა ხუცურით. ეს სახარება ოცდათხუთმეტი წლის წინ წერაკითხვის საზოგადოების მუზეუმმა შეიძინა ან განსვენებულის მწერლის ალექსანდრე ყაზბეგისაგან. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ჩვენმა მოღვაწემ გენერალმა გიორგი ყაზბეგმა განაცხადა, რომ ეს სახარება საგვარეულოა და ალ. ყაზბეგს არ ჰქონდა უფლება გაეყიდათ და მოითხოვა დაბრუნება ხელნაწერისა. წერაკითხვის საზოგადოების გამგეობამ ილია ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით (მაშინ მეც გამგეობაში ვიყავი) ეს სახარება დაუბრუნა გიორგი ყაზბეგს. დაბრუნების წინ მე აღვწერე ხელნაწერი. ვრცელ ბოლოსიტყვაობაში აღნიშნული იყო ვინაობა გადამწერისა და ქება პატრიარქ-კათალიკოსის დომენტი III, რომლის ბრძანებით და ჯერ ჩინებით გადაეწერათ სახარება მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში. თარიღი აღნიშნული იყო კათალიკოს დომენტის ინდიკტიონის მიხედვით ესე იგი დასაწყისიდან მისი კათალიკოსობისა, რომელსაც ჰქონდა ადგილი 1704 თუ 1705 წელში. ამრიგათ ეს პატარა ტანის სახარება ეკუთვნოდა დომენტი III კათალიკოს-პატრიარქს. ცნობილია, რომ ასეთი წვლილი ხელით წერა და მთელი სახარების ტექსტის მოკცევა მცირე ტანის ხელნაწერში თავის განვითარების უაღრეს წერტილს სწორედ ამ დროს აღწევს, ესე იგი მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან. დომენტი III სახარება ერთი საუკეთესო რიგის წარმომადგენელი იყო ასეთი სახარებისა. ყველას კარგათ მოეხსენება და ყველას კარგათ გვახსოვს, თუ როგორი გულმოდგინე და გულწრფელი საზოგადო მოღვაწე იყო გიორგი ყაზბეგი. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ილია ჭავჭავაძის შემდეგ ის მუდმივი თავმჯდომარე იყო წერაკითხვის საზოგადოებისა და დიდი მოამაგე ყველა ჩვენი საკულტურო დაწესებულებათა. ერთხელ როდესაც მის კაბინეტში თვალი მოვკარი დასახელებულ სახარებას, ვუთხარი. რატომ არ აძლევ წერაკითხვის საზოგადოების წიგნთ საცავს მეოქი, მან მიპასუხა, სად წავა, ბოლოს ბომ მაინც იქ მივალ. ებლა კი ვშიშობ იქ მივიდეს. ჩვეულებრივ ასეა, კაცის სიცოცხლე მოკლეა. რასაც სიცოცხლეში ვერ მოასწრებს მისი განძრახვანი სიკეთილის შემდეგ ეშვიათად სრულდება. ჩვენ გიორგი-ყაზბეგის თანამედროვენი და მისი მეგობარნი დიდათ გულ-ნაკლულნი დავრჩებით, თუ წერაკითხვის საზოგადოების თავმჯდომარის სამუზეუმო წიგნი. მისი განძარცვის წინააღმდეგ, დაეკარგა ქართველ საზოგადოებას. ეს გიორგი ყაზბეგის ხსოვნას მეტად ავნებს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ᲠᲔᲙᲥᲘᲔᲛᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

I

პირველ სიტყვად ის უნდა ვთქვა, რომ ჭალბატონ კეთევან ჯავახიშვილის ესოდენ პოპულარული ნაშრომების შემდგომ მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფია ეგრეთ წოდებული ტრადიციული მანერით ვეღარ დაიწერება. მას ახლა, ალბათ, ეროვნულ-სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ფონზე გაშლილი ფაქტებისა და მოვლენების ესეისტურ-პუბლიცისტური „კომენტარებით" გაჯერებული რეკვიემის პლანი უფრო მიესადაგება.

წარმოდგენილი ნაშრომიც სწორედ ამ რწმენითა და მიზნით იწერება.

მიხეილ ჯავახიშვილის თითქმის მთელმა ცხოვრებამ ტრაგიკულად დაძაბულ ვითარებაში გაიარა: ჭაბუკობიდან მოყოლებული ბოლო ამოსუნთქვამდე განუშორებლად უთვალთვალებდა უკუღმართი ბედი-მდევარი, რომელიც მის ყოველ ფეხის ნაბიჯს ანგარიშობდა და სულ ახალსა და ახალ მახეს უგებდა.

ლიტერატურის ისტორია დიახაც იცნობს მძიმე ხვედრის პირს შემოქმედს, მაგრამ იშვიათად თუ მოიპოვება ხელოვანი, სულის ესოდენ პერმანენტული ფორიაქი რომ განეცადოს. მათ, ყოველი სულიერი დაძაბულობისა და წვა-წამების შემდეგ, რაც ბუნებრივად ძევს შემოქმედების პროცესში, თუ მაინც დაუდგებოდათ ხოლმე ჭეშმარიტი ქმნილების დაბადებითა და აღიარებით მინიჭებული კმაყოფილებისა და ბედნიერების განცდის ეამი, მიხეილ ჯავახიშვილი ამასაც მოკლებული იყო, რადგან მისი ნიჭით შობილ თითქმის ყოველ ახალ ქმნილებას საკუთარი სისხლით დაცვა ესაჭიროებოდა.

გამძლეობის რა უნარით უნდა ყოფილიყო დამუხტული ადამიანი, რომ ამ ორმაგი ტანჯვისათვის გაეძლო, თანაც, როგორც ეროვნული მოღვაწე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალის შუაგულში ყოფილიყო. და ეს იმ პერიოდში, საოცრად რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე და ჯერ არნახული სიხბლიანი ეპოქის სახელით რომ შევიდა ერის მატიანეში!

ფრიად ნიშნეულია, რომ იგი — ამ სიხბლიანი ეპოქის შვილი, საშინელი სოციალური კატაკლიზმების მომსწრე, — მკაცრი რეალისტის თვალით რომ ჭვრეტდა მოვლენებს, თავის ქმნილებებში შეძლებისდაგვარად მაინც ცდილობდა, მთავარი აქცენტი სიხბლის ფენომენზე არ გაეკეთებინა (და თუ ერთხელ მაინც ვერ გაუძლო „ცდუნებას", ახალგის ხაგნად ხმა ეპოქა აიღო და მთავარ მბატკვრულ ხმად ეგრეთ წოდებული უსიხბლო გმირი ორჩია!).

ამ თვალსაზრისით, მისი რეალისტური ხედვა უფრო სოციალური სიხასტიკით გათელილი ადამიანებისადმი თანაგრძნობით, მათს ხვედრზე წუხილით არის გაჯერებული, რაც მთელ მის ბატოვან სისტემაში მეტწილად ობიექტურად (ასეც შეიძლება ვთქვათ) ილანდება.

შესაძლოა, იდოს ამ მოვლენაში წინათგრძნობით ნაკარნახევი რაღაც ჯადო: ადამიანი, რომელსაც სამსხვერპლოზე ზვარაკად საკუთარი თავი უნდა მიეტანა, ნაწარმოებებში, როგორც წესი, აქცენტს უსიხბლო წამების ფენომენზე აკეთებდა.

თვით ის ფაქტი, რომ მიხეილ ჯავახიშვილი უკვე თითქმის გაუცხოვებულ ეროვნულ გარემოცვაში იშვა, თავისთავად, საჭართველოს ტრაგედიის სამწუხარო ნიშანია (იმ დროისათვის ქვეყნა ქართლის ისტორიული მიწაწყალი უკვე ჰკარგავდა თავის პატრონს; მკვიდრდებოდა ხმა ეროვნული ძალა, რომელსაც თავისი წესი, არხებობის თავისი ხორმები შემოჰქონდა; იგი უცხო იყო თავისი სულიერი ყოფით, რწმენით, ადათით და ტრადიციებით; ამასთან — ალბუმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი გამძლეობის საოცარი უნარით და სხვათა დოვლათის მიტაცების ფანატიკური ნება-სურვილით!). მისი უშუალო მზობელი უძველესი ქართული მიწა იმას მოხსწრებოდა, რომ იქ დარჩენილი თითქმის ერთადერთი ეროვნული სოფელი წერაქვი, განგების ნებით, ქრისტიანულ ოაზისად ქცეულიყო. (მართალია, მალე მას გვერდით ამოუდგება მეორე ქართული ბორცვი — თვით მიხეილის მამის მიერ დაარსებული ახალი სიონი, მაგრამ რა ამინდი უნდა შეჭქმნას ორმა პატარა კუნძულმა მუსულმანურ ოკეანეში?!). თუმცა ეს კი, რამდენადაც ვიწრო, შემოზღუდული იყო ამ ოაზისთა სიფრცე, იმდენად დამუხტული იყო მათი ეროვნული შინაგანი ძალა, პოტენცია.

ამას რომ იცნობიერებ, ბუნებრივად გებადება კითხვა — ხომ არ მოხდა ამ პოტენციის კონდენსირებული გაცხადება შემდგომ მიხეილ ჯავახიშვილის ნიჭსა და უნარში? (თამამად შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება, იგი ხავსებით ბუნებრივია: უმაწვილის მიერ იმანენტურად აღქმულმა ეროვნულმა ტრაგედიამ, რასაც თან სდევდა ჯავახიშვილთა ოჯახის კატასტროფული პერიპეტიები, ხოლო უფრო გვიან უკვე შეგნებულად გაცნობიერებულმა დიდმა ეროვნულმა ტკივილებმა, შვეს ამ ადამიანის პოლიტიკური და ესთეტიკური მრწამსი!).

ამ თვალსაზრისით, მიხეილ ჯავახიშვილი თავისი დროის არა მარტო ტიპიური პირმშოა, არამედ მისი ერთერთი მომმართველიცა და ბიძგის მიმცემიც. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება დიდი ძვრებით აღბეჭდილი და იმედებით განათებული, ეროვნული და სოციალური თვითშეგნების საოცარი აფეთქებითა და თავგანწირვის რომანტიკით გამსჭვალული თუ ტრაგიკული წინააღმდეგობებით განწამებული ისტორიის ფრიად საინტერესო მონაკვეთის თავისებური ხარკეა.

ეს, ამავე დროს, არის სიმაღლე, რომელთან მიახლოებაც იგივე ჯვრის აზიდვაა გოლგოთაზე (რაც, როგორც წესი, წამებისათვის შობილ რჩეულთა ბედია).

და თუ ვიხიმე ბიოგრაფია ამის მკაფიო მაგალითად გამოდგება. ეს სწორედ რომ მიხეილ ჯავახიშვილის მთელ ცხოვრებაზე ითქმის. აი, როგორია იგი დაბადებიდან დასასრულამდე:

1884 წლის 9 ნოემბერია მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების დღე. წერაქვი — დაბადების ადგილი.

მიხეილის გვარის ამბავშიც ცნაურდება რაღაც იდუმალი თუ ტრაგიკული მომენტი. თვით მწერალს უთქვამს. ჩემი ადრინდელი წინაპარი ქართველი ჯავახიშვილი ყოფილა, მაგრამ იქ ვიღაც შემოკვდომია, ჭიზიყში გაქცეულა და იქაური გვარი — ტოკლიკიშვილი აუღია. აქ მიხეილის პაპას ჩინებული ხახლკარი გაუმართავს, მაგრამ ადრე დაქვრივებულა და ოჯახის მოვლისა და შვილების აღზრდის [illegible] თი მარტოს უზიდავს. (ალბათ ამ[illegible] ნელი ხახიათი დასჩენებია!). უდედოდ დარჩენილი ვაჟები მკაცრი მამის წესებით იზრდებოდნენ. განსაკუთრებით უფროს ვაჟს სახეს გახეირვებია მამის სისასტიკის ატანა. (იგი, კეთილი და ხამართლიანი გულის პატრონი, მამის ანტიპოდი ყოფილა). კონფლიქტი მამა-შვილს შორის თანდათან ღრმავდებოდა და ოჯახს კვლავ დაემუქრა ახალი უბედურება: ხავარაუდოა, რომ ხანამ ვეღარ გაუძლო მამის სისასტიკეს, ხელი ჩაჭიდა უმცროს ძმას და ხოფლიდან გაიქცა. ხაკმაოდ ბევრი, უიღბლო თუ იღბლიანი, ხეტიალის შემდეგ იგი დაქორწინდა კიდეც და წერაქვში დასახლდა (აქ იგი უკვე ადამაშვილის გვარით არის ცნობილი). მიხეილი მისი მეხუთე შვილი ყოფილა.

ადამა? (რა დღეში უნდა ჩავარდნილიყო მამა, ვინც თავისი შვილების კვალსაც ვეღარ მიაგნო?!). მძიმე ხვედრმა და სინდისის ქენჯნამ მოტეხა და „მოარჯულა" იგი. ამ მწარე ბედის კაცმა სიბერეში მაინც იგემა რაღაც სიხარული — როგორც იქნა, შვილების ამბავი გაიგო. უთუოდ, ეს ღვთისგან ბოძებულ შეწყალებად ჩათვალა, რაც მსხვერპლის შეწირვას მოითხოვდა. მანაც გაიღო იგი: მიწები მეზობელ გლეხებს აჩუქა და შვილს მიეახლა. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მიღებული სიბარულით ტკბობა მაინც არ დასცალდა: აქ შეურილმა ხახადმა იმსხვერპლა.

ვფიქრობ, აქ ხაკირო იქნება ერთგვარი პაუზა.

არ შეიძლება აუხსნელი დავტოვოთ სისასტიკე. ახლა უკვე ხათნო და ხამართლიან პიროვნებად ცნობილი შვილის ქმედებაში რომ გამეღავნდა: შვილების დაკარგვით განწამებული მამა უზომოდ იტანჯება. შვილი კი დუმს, უკვალოდ იმალება. რა არის ეს? ზიში ბავშვობისას განცდილი სიმძიმის კერახთან შესაძლო მიბრუნების წინაშე? ძნელი დასაჯერებელია! შესაძლოა, ეს იყოს ბედისგან ხამაგიეროს მიზღვა, მაგრამ ქრისტიანული მორალისადმი ამგვარი დაპირისპირებით?! იმახაც ფიქრობენ, ხელისუფლებისაგან შევიწროვებული ადამიანების ქომაგი ახალგაზრდა კაცი, შესაძლოა, ადმინისტრაციის თვალს განერიდაო. მაგრამ ესეც ვიკითხოთ, მას მზობელი მამა რატომ უნდა დეხაჯა პირმშოთა მოულოდნელი დაკარგვის ტრაგედიის განცდით?

ვინ იცის, უფრო ხავარაუდო იყოს ჩვენი ნებისა და გონების მიღმა ობიექტურად მოქმედი კანონი, რომელიც დაღვრილი სისხლის გამოსახყიდ ხაზღაურს ითხოვს და, ხანამ იგი სრულად არ არის გადღებული, შთამომავლობასაც არ მოახვევებს (ამის შემდგომაც ხომ განსაცდელი განსაცდელს მოსდევს ადამაშვილების ოჯახში!).

და კიდევ ერთი მომენტი, თითქოსდა ესოდენ უცხო ქართული სულისათვის. ეს არის მშობლიურ კერას საბოლოო მოწყვეტა, უარყოფა ყველაფრისა, რაც კი დაკავშირებულია ჯვართან, მშობელ მიწაზე ფეხის ადგმასთან, ირგვლივი გარემოს პირველ შეცნობასთან (რიმელთა ამოშლა გონებიდან არავითარ ძალას არ უნდა შეეძლოს!). ქართული ტრადიციისათვის არც თუ ისე ნაცნობია მსგავსი რეალიები. თუ, ვთქვათ, მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის ისტორიამ იცის იმის მაგალითები, რომ მამა შვილს ოჯახიდან ერიკება, თანაც ოჯახში შესატანი გარკვეული თანხით ბეგრავს (მაქსიმ გორკის მოთხრობილი აქვს ასეთი განდევნილის — აგაფონოვის შემზარავი ისტორია; ან კიდევ — მისი ეგრეთ წოდებული ფსკერის ადამიანები განა ასეთი განდევნილნი და ლტოლვილნი არ არიან? და რაღა აგაფონოვი და მაწანწალები, თვითონ გორკიც ხომ გაეკცა ბაბუამისის მიერ ჯოჯობეთად ქცეულ მშობლიურ ოჯახსა და გარემოს!), თუ სხვათა ისტორია იცნობს-მეთქი, ასეთი რამ არ იცის ქართულმა სინამდვილემ; ისტორიულად სხვა იყო ჩვენი ტრადიცია, ჩვენა, მიწას შეზრდის განუკარვებელი ნდომა.

მაშ, რა მოხდა მადლიანი მიწითა და დაუმორჩილებელი სულით განთქმულ ქიზიყში? ხომ არ არის ამ ფაქტითაც ნიშანდებული ახალი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების შედეგი — ბზარის გაჩენა ქართული სოფლის მრავალსაუკუნოვან დუღაბ-კედელში?

ასეა თუ ისე, სადა მყარად მკვიდრდება ახალ გარემოში. სრულიად ბედნიერი ჩანს სადას ოჯახი განსაკუთრებით ხიონში გადასვლის შემდეგ: ახალი სახლი, საკუთარი კარ-მიდამო, ჩინებული მამული. უსაზღვრო ცოლქმრული სათნოება და ერთგულება, მრავალშვილიანი ოჯახი, ახალგაჩენილი მეზობლები — მისივე ტომის შვილნი...

ამ გარემოცვაში ყალიბდება ყმაწვილი მიხეილის ხასიათი. საინტერესოა — მშობლების უურადღებას არ ეპარება მისეული აღქმისა და ხილვის გამორჩეულობა. მამის ხიუმაწვილის პერიოდს რომ ეხება, ქ-ნი ქეთევან ჯავახიშვილი თავის პირველ წიგნში ამბობს: „დაჯილდოებული იყო სხარტი და მახვილი გონებით, იშვიათი მეხსიერებითა და ჭკუით. ენამახვილი ბავშვი იყო. მოსწრებული სიტყვა-პასუხი იცოდა... ყოველთვის ლაღი და ხალისიანი იყო. მდიდარი წამოსახვის უნარი ჰქონდა... მისი მდიდარი ფანტაზია და მკრელი თვალი ნანახს თავისებურად აღიქვამდა... უანაში ყოფნისას, ყვითლად აბიბინებულ ყანას რომ გადახედა, რომელსაც ნიავი ნელა არწევდა, სთქვა: ნახეთ, როგორ ეალერსება ნიავი ყანას. ჭოჭორს უვარცნის, სხვა დროს, ძლიერი ქარის შემდეგ, როცა ირგვლივ ყველაფერი მიწუნარდა, მან დედას უთხრა: დედი, ნახე, ქარს ენა ჩავარდნია. ახლად ამოსულ მზეს რომ შეხედა, თქვა: მზე გვიცინიხო“.

არის ამ მოხათხრობში მხიარულებაც, ... და უთუოდ — ავტორის კეთილი ფანტაზიაც. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერებას და მის მომავალზე განსაკუთრებით ზრუნავდნენ.

სიბეს იდეალი იყო კარგი აგრონომი, ვინც ამ გაუცბოვებულ კუთხეში ძარღვიანი სოფლების აუყვავებით ქართველობას თავის ძველ მიწებთან დააბრუნებდა და აქ ღონიერ ეროვნულ სულს აღადგენდა. ამ მიზანს ისახავდა, პრივოლნოესა და ჯილალ-ოღლის სასწავლებლების დამთავრების შემდეგ, ბავშვის გაგზავნა ჯერ წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, ხოლო შემდეგ უფრო შორს — ყირიმში, ნიკიტის სიბაღლსნო-სამეღვინეო სასწავლებელში.

უნდა ჩავთვალოთ, რომ ოჯახს მოშორებული ჭაბუკისათვის განსაკუთრებით შთამბეჭდავი მაინც წინამძღვრიანთკარისა და იალტის პერიოდებია. აქ იგი შეეებება მისთვის აქამდე უშუალოდ უცნობ სამყაროს, რომელში შესვლაც. ხვალრაუდია, გარკვეულ გავლენას იქონიებს მის ხულიერ ფორმირებასა და სიბოლოო ბედზე; თუმცა ჯერ კიდევ ხაკმაოდ გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც რაღაც იდუმალი ძალით მიანიშნებს, რომელი გზა ირჩიოს მომავლისათვის.

იგი ჯერ დიდი ილიას გარემოში მოხვდება (წინამძღვრიშვილი ილიაოიბაზე ჭაიყვანს ხაგურამოში. შეაბვედრებს მის წარმოსახვაში ღმერთად ქცეულ ადამიანს), ხოლო უფრო გვიან, იალტაში ჩასული, იმ სამყაროს გვერდით აღმოჩნდება, რომელიც მისი სათაყვანებელი რუსი ნაღები მხატვრული ინტელიგენციის ხულით ხუნთქავს.

ერთ შემთხვევაში იგი შთაგონებას იღებს ერის მამისაგან, ვისი მთელი მოღვაწეობაც წარმოადგენს მის მიერვე გაღვიძებული საკუთარი ბალბისადმი სამსახურის განუმეორებელ მაგალითს აზროვნებისა და პრაქტიკის ყველა სფეროში, ხოლო მეორე შემთხვევაში — ახალ, დამატებითს იმპულსს შემოქმედებითს ტაძარში მომავალი გაბედული შესვლისათვის.

დარწმუნებული ვარ, ამდენად, მისი ოჯახის მომავალ ტრაგედიას, რომელიც ჭაბუკს სამშობლოში იძულებით აბრუნებს, უკვე აღარ უნდა ჰქონდეს რამდენადმე გადამწყვეტი მნიშვნელობა სიბოლოო გზის არჩევისათვის.

აღნიშნულ ტრაგედიას, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიის გარკვეულ მომენტს, ქვემოთ შევებები. ახლა კი ის უნდა ვთქვა, რომ ახალ ხაუკუნეს, მის განსაკუთრებით მოუსვენარ ხასიათს ახპარეზზე გამოკუავდა ახალი ყალიბის მოღვაწეები. სხვადასხვაგვარი იყო ამ მოღვაწეთა პროგრამა და ხაზრუნავი. ბევრმა მათგანმა ძალა და უნარი ეროვნული ნიჰილიზმის ქადაგებასა და დანერგვას შეალია. პარტიათა გაუთავებელ იდეოლოგიურ ბრძოლასა და პრაქტიკულ ხაქმიანობაში არც თუ იხე ადვილი იყო სწორი ეროვნული ორიენტირის პოვნა. ეროვნულ ხაკითხში ერთგვაროვანი არ იყო არა თუ, ხაერთოდ, [illegible] ქრისტეს ორიენტაცია, არამედ [illegible]თა შორისაც იგი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას იღებდა და მძაფრი პოლემიკის საგანი გაჰხდარიყო .(მაგალითად, თუ ეორდანიას, ნერეთლის, ჩხეიძის ჯგუფი უგულებელყოფდა ეროვნულ მომენტს რევოლუციაში, ჯიბლაძე-რამიშვილის თანამოაზრეთა კონცეფციაში იგი გარკვეულწილად, პრივალირებდა კიდეც!).

მიხეილ ჯავახიშვილისათვის ეროვნული ხაკითხი მთავარი იყო რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. კვლავ ვიმეორებ, დასაშვებად ვთვლი, რომ ხაამისო ბიძგი მან ბავშვობაშივე მიიღო, ეროვნული ეოფის თვალსაზრისით სრულიად გაუბედურებულ გარემოცვაში რომ იზრდებოდა. უთუოდ არ იყო ეს წვრილმანი რამ მისი მომავალი თვალთახედვის ჩამოყალიბებისათვის. ამ მრწამსმა მიიყვანა იგი ფედერალისტთა პარტიაში 1904 წელს და მანვე აიძულა ოთხიოდე წლის შემდეგ პარტიიდან გასვლა, რადგან მიიჩნია, რომ ფედერალისტთა პრაქტიკა და დათმობანი ეროვნულ ხაკითხში არ უთავსდებოდა მის რწმენას.

მე სხვა ადგილას შევეებები მიხეილ ჯავახიშვილის შეხედულებებს ეროვნულ ხაკითხზე, მის მაძფრ პუბლიცისტურ-პოლემისტურ გამოსვლებს ანტიქართული ცარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამიტომაც აქ აღარ შევჩერდები მათზე. ვიტყვი მხოლოდ: ეს არის ამ ხაკითხში ხამოციანელთა ტრადიციების არა მარტო გაგრძელება, არამედ მათი შემდგომი განვრცობა-განვითარება (რაც პრობლემათა ახალი ხამიზნეების აღმოჩენასა და მათთან პირისპირ დგომას ითვალისწინებდა!).

ახლა კვლავ მივუბრუნდეთ მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრების ადრინდელ პერიოდს და გავიხსენოთ ხაბა ადამიშვილის ოჯახში დატრიალებული უბედურება.

მწერლის ყველა ბიოგრაფი იხსენებს მას, ხოლო კ-ნი ქეთევან ჯავახიშვილი ფსიქოლოგიური ანალიზის შესაშური მომარჯვებით გადმოგვცემს ტრაგედიის ყველა დეტალსა და მძიმე შედეგს.

განსაკუთრებული ინტერესი ამ ფაქტისადმი გასაგებია — მიხეილ ჯავახიშვილის პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ მთავრდება მისი თამაშობედთან; იგი პირისპირ აღმოჩნდება წარმოუდგენლად მძიმე სიბამდვილის წინაშე, რომელიც მისდაუნებურად მიღებული მწარე გაკვეთილია ცხოვრებისეული სიხასტიკისა (აქედან მოყოლებული კვალში რომ ჩაუდგება და ხამარის კარამდე მისდევს მას!).

სიხასტიკე კი წარმოუდგენლად დაუნდობელი და, ერთგვარად, ფატალურია კიდეც. ჩვენ ზევით მივანიშნებდით ტოკლიკიშვილ-ადამიშვილ ჯავახიშვილების მოდგმის ტრაგიკულ პერიპეტიებზე, რომლებიც ერთი ჯვის რგოლებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ ამ მოდგმის ბედი თითქოს განპირობებული იყოს რაღაც დრამისა თუ ტრაგედიის ფარული კანონებით.

ჩვენ მას ბევრჯერ შევხვდებით პირისპირ ამ ბიოგრაფიულ ნარკვევში. და მისი ერთადერთი, ყველაზე შემზარავი გამოვლინება სწორედ სიონის კატასტროფაა. იგი შემაძრწუნებელია, უპირველესად, თავისი იმპულსური არსითა და ანტიეროვნული ბუნებით.

მიხეილის დაზე — სოფიოზე უზომოდ შეყვარებული, სხვა ეროვნულ გარემოცვაში აღზრდილი ახალგაზრდა კაცი, ვინც ქალიშვილისა და მისი მშობლებისაგან გადაკრილ უარს მიიღებს, სიბასვე აზერბაიჯანელი მოჯამაგირის ხელშეწყობით, მოახლეებული ახალი წლის წინ, ღამით, სოფიოს გატაცების მიზნით თავს ესხმის სიბას ოჯახს და უმოწყალოდ ამოხოცავს მარტო დარჩენილ, დაუმორჩილებელ დედაშვილს. ამ თავდასხმას ეწირება მოღალატე მოჯამაგირეც. ბოლო თვით თავდამსხმელს სამი თვის შემდეგ მიაკითხავს თავისივე ცოდვა. უბედურება ამითაც არ თავდება. სულიერად და ფიზიკურად განადგურებული სიბა მბოლოდ წლისთავს გადაუხდის მის მიერვე გამართულ სიონის ეკლესიაში დასაფლავებულ საყვარელ ცოლ-შვილს და სულ მალე მათ გვერდით დაწვება საკუთარი ნებით წინასწარ გამზადებული საფლავის ლოდის ქვეშ.

ეს არ არის მბოლოდ ერთი ოჯახის ტრაგედია. იგი დიდი ეროვნული ტკივილია. თვით განსაჯეთ: ქართველ წინაპართა გაპარტახებულ მიწას დაუბრუნდება დიდი ეროვნული სოფლის აღდგენის იმედითა და რწმენით უზომოდ აღვსილი ჯანმაგარი კაცი. ჩადგამს მყარ საძირკველს და ზედ დაუშენებს ქვითა და კირით შეკრულ საშვილიშვილო სახლს. აღადგენს ძველ ქრისტიანულ სამლოცველოს. მეზობლად მოუხმობს თვისტომთ. მიწას დაამკვიდრებს ექვსშვილიან ოჯახს... და აი, ერთი საბედისწერო ღამე მის რწმენა-იმედს ფერფლად და მტვრად აქცევს.

ყირიმიდან ნაადრევად დაბრუნებული მიხეილი სულით ბორცამდე შეძრულია. დედისა და დის სისხლით მორწყულ მიწაზე მას ველარაფერი ამაგრებს. „დაობლებამ ხელი შემიშალა სწავლა დამემთავრებინა. — უთხრა მიხეილმა დავით კასრაძეს, ვინც მისი პორტრეტი 1928 წელს ეურნალ „ქართულ მწერლობაში" (№ 8-9) გამოაქვეყნა, — უკანასკნელი კლასი მივატოვე და იალტიდან ისევ სამშობლოს მოვაშურე. აველ წერაქვში, სიონში, ერთხელ კიდევ თვალი მოვავლე ჩვენს ძველ კერას, სადაც აღვიზარდე და ამდენი რამ მოგონებით მიკრობილი ვარ, როგორც საკუთარი დედის გულზე. ველარ გავძელი, ავიკიდე გუდა-ნაბადი და სამუდამოდ მოვშორდი იქაურობას, რომ მშობლების სისხლით შეთითხნილ ... ბერს შუდამ ... ბაშინელების ხილვით არ ... და მოსვენება".

და თუმცა ამ წასვლას მშობლიური სოფლიდან მიხეილი „გაქცევას" უწოდებს, მაგრამ ეს მისთვის უფრო ადვილ თვისებრივ ვითარებაში გადასვლაა.

ამ სულიერი აფორიაქების ჟამს საბოლოოდ უნდა გადაწყდეს მისი ბედი: რა გზას დაადგეს, საით მიმართოს ნიჯი და ენერგია, როგორ უფრო ზედმიწევნით გამოიყენოს ისინი საკუთარი ერის სამსახურში (ამიტომ უნდა „გაექცეს" იგი ჩვეულ გარემოს, შეჩვეულ ყოფას, რომელიც განძარცვულა ილუზიების სამოსელისაგან!).

ალბათ, შემდგომ სახელმოხვეჭილი ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დამდგარა არსებითი გარდატეხის მომენტი, რომელიც უფრო ზშირად სიკვდილთან გამოთხოვების ჟამს უკავშირდება. ამ დროს სული განიტვირთება ხოლმე ბავშვობისდროინდელი ცნობიერების მიერ შეძენილი მიამიტური შთაბეჭდილებისა და ოცნებებისაგან და კაცობაში, საზრიანობაში შესვლის ბუნებრივი პროცესი გარკვეული ალტერნატივის წინაშე აყენებს პიროვნებას. ეს პროცესი მით უფრო სწრაფია, რაც უფრო მძაფრია და გრძნობადი მისი იმპულსები.

ისეთი კონკრეტული ტრაგიკული კატალიზმი, მიხეილ ჯავახიშვილს რომ დაატყდა თავს, არ შეიძლება გაანგარიშებული იყოს ნეიტრალური შედეგისათვის. იგი თან მოიტანს ან ნების სრულ დამბლას (თუ პიროვნება ადვილად ექვემდებარება კატასტროფის ფატალური გარდუვალობის განცდას) ან მის ისეთ მძაფრ გააქტიურებას, როდესაც იწყება ამ ნებაში კოდირებულ ატომთა თანმიმდევარი აფეთქებანი (თუ სულში ადრიდანვე ძევს უკვე პიროვნებად ჩამოყალიბების რეალური შესაძლებლობანი).

მიხეილის ბავშვობისა და სიკვაბუკისდროინდელი განცდები, ინტერესები, ნების რეალიზაცია, მისეული დამოკიდებულება და რეაქცია იმისადმი, რაც ადრე თავს გადახდომია, ყოველივე ამის მხილველთა თვალში მას გამოარჩევდა საკუთარი ძმისა თუ დებისაგან, თანატოლებისაგან.

ვნახოთ, რა თვისებებია ხაზგასმული მისი ბიოგრაფიის ქვეთევან ჯავახიშვილისეულ მონაკვეთში ჯერ კიდევ ბავშვობაშივე „სხარტი და მახვილი გონებით", „ბუნებისაგან განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული" ამ „წესიერი და ფაქიზი" პიროვნებისა:

ა) „მგრძნობიარე ბუნებისა" და ამასთან — „ჭიუტი ხასიათისა", „თავისუფლად მონავარდე", „მტკიცე ხასიათისა და მაგარი ნებისყოფისა";

ბ) „მეტად მოძრავი, მკვირცხლი და მოუსვენარი", „აფორიაქებული სულის მქონე", „გულადი და უშიშარი ბუნებისა", „ყოველთვის შემართული", „ამაყი და თავმოყვარე", „თავისი სიტყვების გამტანი" და ამავე დროს —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) „თავგადაბალი", „ბალბის მოყვარული", „ადამიანური და კეთილი", „ყველას მიმართ უურადღებიანი", „მგრძნობიარე და ფაქიზი", „გულჩვილი", „შემბრალებელი" და კიდევ ბევრი სხვა რამ, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომავალი მხატვრის ფორმირებისათვის —

დ) „ენამახვილი", „მდიდარი ფანტაზიისა და მკრელი თვალის პატრონი, ცნობისმოყვარე და დაინტერესებული", „იშვიათი მეხსიერებისა" და „მეტად ბეჯითი", „ხწრაფი აზროვნებისა და განსჯის უნარით აღჭურვილი", „სდიდარი წარმოსახვის პატრონი", ვინც „ირგვლივ ყველაფერს განსაკუთრებული თვალით აღიქვამდა"...

კაცმა რომ თქვას, ამ თვისებებში სულიერი გაორებისათვის დამახასიათებელი საპირისპირო პოლუსებიც ილანდება. ჩვეულებრივ შემთხვევაში აქ მართლაც შეიძლება ვივარაუდოთ ხასიათ-ანტიპოდთა შეუთავსებლობა. მაგრამ ჩვენ ხომ საქმე გვაქვს უჩვეულო მოვლენასთან — მრავალმხრივი პიროვნების სულიერი ფორმირების ფაქტთან, ვისი ცნობიერებაც სწორხაზოვნად არ ვითარდება და ვისი შემეცნებითი ფენომენიც წინააღმდეგობათა ჰიდილში ბობინ გამთლიანებულ მსოფლგანცდას [illegible] რაც უფრო მეტადაა იგი დამუხტული ურთიერთწინააღმდეგობრივი იმპულსებით, მით უფრო ვრცელი, მრავალმხრივი და უხვფეროვანია [illegible] სამყარო, რომელშიც ყოველი შესვლა ახალ [illegible] უცნობ ჭეშმარიტებებს აღმოგვაჩენინებს ხოლმე. ამიტომ უნდა იყოს შემოქმედი „კეთილიც" და „ხასტიკიც", „შემბრალეც" და „დაუნდობელიც". ეს ორი მხარე თანაბრად კვებავს მის პუმანიზმს.

და თუ ორი ამგვარი უკიდურესობის სინთეზი ოდესმე კი ყოფილა მიუცილებელი შემოქმედებითს პროცესში, ყველაზე მეტად იგი ჩვენმა საუკუნემ განუმზადა ხელოვანს თავისი ხაოცრად გამძვინვარებული წინააღმდეგობრივი ბასიათის გამო.

მრავალმხრივ წინააღმდეგობათა გაუგონარი გამძაფრების ვითარებაში ყალიბდებოდა —

ჯავახიშვილი — მოღვაწე,

ჯავახიშვილი — მხატვარი,

ჯავახიშვილი — პიროვნება.

ამ წინააღმდეგობებმა შვეს მისი შედევრები და მაოვე შეიწირეს მისი სიცოცხლე.

□დასასრული იქნება□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია არჩვაძე

ჯანსულ ჩარკვიანი

ჩვენი სიმღერა უთუოდ დღეს ვთქვათ,
რა დროს შიშია, და მოკრძალება...

60-იან წლებში ქართულ სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა თაობამ ეროვნულ პოეზიას ახალი შუქი მოჰფინა. უპირველესი და უმთავრესი დამსახურება ის იყო, რომ, ადამიანის სულის მოძრაობა ამ თაობის შემოქმედებაში ახალი პოეტურ-მხატვრული ფორმებთა შესაძლებლობებით გამოიხატა. 60-იანი წლების პოეზიამ ფართოდ გაუღო კარი ლირიკული გმირის აღსარებას, რომლის მზერა შიგნით, საკუთარი თავის შემეცნებისაკენ იყო მიმართული. პოეზიამ ღრმად გამოხატა დიდი სულიერი ტკივილები, ზნეობრივი გაჯანსაღებისა და აღორძინებისაკენ, ეროვნული ჭრილობების გამთლიანებისაკენ სწრაფვა. არჩილ სულაკაურს, ოთარ და თამაზ ჭილაძეებს, ჯანსულ ჩარკვიანს, ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეჭკორს და ამ თაობის სხვა არა ერთსა და ორ შემოქმედს ბევრი რამ აერთიანებს. ამავე დროს, მათ შორის მეტი სხვაობაა, ვიდრე მსგავსება, რაც ლოგიკურია და ეხეც მათს მაღალნიჭიერებაზე მეტყველებს. ეროვნულ ჭრილობათა გამთლიანების, ზნეობრივი გაჯანსაღებისა და აღორძინების აუცილებლობა მათი პოეზიის სასიცოცხლო მოთხოვნილებას წარმოადგენს. „დღევანდელი პოეზიის ცოცხალ იერს სხვადასხვა შემოქმედებითი დიალაზონის სხვადასხვა ნიჭის ოსტატები ქმნიან. მათი დიდი ნაწილი ამჟამად ცეცხლის ერთ ბაზზე დგას. ეს არის ხიმართლისა და სიზუსტის ხაზი. ტონს თვით დრო იძლევა: გადაჭარბება, გაზვიადება, სულიერ შინაარსს მოკლებული სიტყვით ქადილი დღითიდღე პკარგავს ცრუშარავანდედის უკანასკნელ ნაფლეთებს", — წერდა გურამ ასათიანი.

ამ თაობის ტიპიური წარმომადგენელია ჯანსულ ჩარკვიანი. იყო შენი ეპოქის, შენი დროის, შენი თაობის ტიპიური შემოქმედი, ეს იმას ნიშნავს, საკუთარი გზა გაგაჩნდეს და ამ გზაზე ბედისა თუ უბედობის საკუთარი ჯვარი მიგკონდეს, რადგან პოეზია ბედისწერაა, მას ვერსად გაექცევი: „სიტყვა ნაწყვეტი გამოგიცხადებს უფრო მეტს, ვიდრე დიდი მსჯელობა. (გალაკტიონი).

ლექსის განხილვა-გაანალიზება მეტად რთული პროცესია, ძნელია, ამა თუ იმ ლექსს ერთი გასაღები მოარგო და ამ გასაღებით შეძლო პოეზიის იდუმალებით მოცულ სამყაროში შეღწევა. ლექსის განხილვა-გაანალიზება, მისი სხვადასხვა კომპონენტებად დაშლა. ლექსის რაობის ახსნის მიზნით, ერთგვარ მკრეხელობადაც კი მიმაჩნია, რადგან, ჩვენის ღრმა რწმენით, როგორც უნდა ეცადო, სუბიექტურობას თავს ვერაფრით გაიღწევ. „ლექსის ამხსნელები, განმმარტებლები ბევრნი არიან, ზოგი საქვეყნოდაა ცნობილი, ზოგი უსახელოა, მაგრამ ნურავინ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ ლექსის სიღრმეში დანთქმული ხაიდუმლოს ამოხსნა შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ ის არ შეიძლება ყველასათვის ერთი და იგივე იყოს, ერთსა და იმავეს ნიშნავდეს. ანა ახმატოვას უთქვამს, პუშკინის პოეზიის მომხიბვლელობას ვერც ერთი ეიხენბაუმი ვერ ამოხსნისო. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, ვიხენბაუმები ხაჭირონი არ იყვნენ. პირიქით, ჩვენ ერთი თოკით როგორც აპოლინერი იტყოდა: „ძაბილებისაგან დაგრეხილი თოკით" ვართ გადაბმულები.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს ჯანსულ ჩარკვიანის შემოქმედების მთლიანი ანალიზი. წერილს მეტად მოკრძალებული მიზანი აქვს, შეძლებისდაგვარად გვიჩვენოს მისი შემოქმედებითი გზის ზოგიერთი თავისებურება, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან: ცოტათი მაინც მიუახლოვდეს „იმ ცეცხლს შელოცვილს":

1982 წელს გამოვიდა პოეტის კრებული, რომლის სახელწოდებაა „შავი ავაზა". ჯანსულ ჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკვიანის ყოველი ახალი კრებული პოეტის შესაძლებლობებს ახალი კუთხით წარმოაჩენს. ამ თვალსაზრისით, წიგნის უპირველესი ღირსება ისაა, რომ მასში ძალუმად ძგერს ქრისტიანი კაცის გული.

რაც შეეხება კრებულის სათაურს, იგი იმდენად ორაზროვნად შეიძლება გაგებულ იქნას, რამდენი მკითხველიც წიგნს ყავს (ამ წიგნს კი, დამეთანხმებით, ბევრი მკითხველი ყავს). ჩვენი აზრით, „შავი ავაზა" წარმოადგენს პოეტურ ხატს, ცხოვრებისა და სიცოცხლის თანამგზავრს, მთვარის ბინადარს, რომლის შუქზეც უკეთ წარმოჩინდება პოეტის სამშობლო.

მთვარეზე იჯდა ავაზა შავი,
ჩუმს სულში იდგა შენი სითეთრე
და გარმა იყო ლამაზი ფშავი.

ჯანსულ ჩარკვიანმა იცის, ვისი გორისაა, სადან მოდის და სათ უნდა წავიდეს. მან გაითავისა ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციები. შექმნა ლირიკის შესანიშნავი ნიმუშები. დიდია 60-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსული თაობის დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე. გურამ ასათიანი აღნიშნავდა — მე-19 საუკუნის „სამოციანი წლები გრძელდება ქართულ პოეზიაშიო". ამ მართებულ მოსაზრებას მხოლოდ იმას დავუმატებდით, რომ საუკუნეთა მიღმა ჩასახული გენი თაობიდან თაობას გადაეცემოდა და დღეს ისე ბუნებრივად ცოცხლობს და ფეთქავს იგი, როგორც გაზაფხულზე აფეთქებული ატმის ხე. ამიტომაც ვამბობთ, რომ ჩვენი დღევანდელი ქართული პოეზია ბუნებრივი გაგრძელებაა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურისა, რომლის პოეტურობა პროზაშიც კი თვალნათელია. ამ მრავალსაუკუნოვანი გზის ლოგიკური გაგრძელებაა. ჯანსულ ჩარკვიანის მთელი პოეტური შემოქმედება.

ჯანსულ ჩარკვიანი, უპირველესად, დროის ნიშნით აღბეჭდილი პოეტია. მის ლექსებს დროის მსაფრ ხორნელთან ერთად მთიდან ბარად დაშვებული მდინარის ენერგიაც ახლავს, რაც ქვეყნის შუაგულში ტრიალსა და მოძრაობაში გამოიხატება.

მთელი სიცოცხლე უნდა ეიწვალო,
რომ მოგაწვდინო მთიდან ყვირილი,

„რაც არ იწვის, არ ანათებსო", — გვითხრა დიდმა აკაკიმ და ამ შესანიშნავი სტრიქონებით გახსნა მან ქართველი კაცის შემოქმედებითი ბუნება, რომლის ცხოვრება სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანილი გულია, რომელიც სანთელივით იწვის და ანათებს. ჯანსულ ჩარკვიანის პოეტური შემოქმედება ზემოთ მოყვანილ სტრიქონებში ჩადებული დიდებული აზრის ბორცშენხმა და აზნსა-გამართლებაა. „მისი პოეზიის მთავარი ფეხვი — ის მუდმივ აღგზნებული, გავარვარებული, „ძაფი ნერვისაა", რომელიც ... გამუდმებით ფეთქავს (გ. ასათიანი). სიცოცხლე! — აი, მთავარი, რა არის, ... რთხილება, იგი ვისთვის დიდია და ვისთვის კი „ერთი ბეწო":

რადგან ცეცხლივით ერთი ბეწოა,
სიცოცხლეს სული უნდა უბეროო..

სიცოცხლე პოეტისაგან სიფხიზლეს, ფეხზე დგომასა და კოლოსალურ ენერგიას მოითხოვს. პოეტი სიცოცხლის დამკვიდრებისათვის იბრძვის, იცის, სიცოცხლეს სილამაზესთან ერთად ბოროტებაც მოაქვს. შემოქმედის ვალია კალმითაც და პრაქტიკული მოღვაწეობითაც სიკეთის მხარეზე იდგეს. „გარემოების ხაყვირი" ჯანსულ ჩარკვიანთან სიკეთის ცნებასთანაა გაიგივებული და ბოროტების დასათრგუნადაა შემართული. ჯანსულ ჩარკვიანის პოეზია პიროვნებისა და მოქალაქის მაღალი შეგნებით, უბრალოებითა და უშუალობით, მკითხველის ნაფიქრისა და განცდილის, საკმაოდ რთულ კვანძს ხსნის. მან თან მოიყოლა დღევანდელი დღის უკიდურესობამდე გამძაფრებული შეგრძნება. იგი ჩვენთან, ჩვენს გვერდით ცხოვრობს კუჩების აჩქარებულ რიტმსა და რადიაციით გაჟუჟყიანებულ ქალაქში. ამავე დროს, ჩვენგან განსხვავებით, ბოლომდე ენდობა ღრუბლებს, ქარებს, წვიმებსა და გვირილების მინდორს. რა ახლოსაა და რა შორს პოეტი მიზანთან... ძიება ჭეშმარიტებისა მასში ხშირად წარმავლობის განცდას იწვევს, რაც სევდასთანაა თანაზიარი და თვალნათელს ხდის მის პოეტურსა თუ ადამიანურ ღირსებებს. აქვე, პარალელურად, ჩნდება დაუმაყოფილებლობის გრძნობა, „რომ ვერაფერი ვერ მიუმატა ამ ოქროს ხელით დაწერილ წერილს", რასაც ბუნებრივად ერწყმის: „თურმე გარბოდნენ ლამაზი წლები. ჩვენ რომ გვეგონა გავრბოდით მზისაკენ". მხოლოდ წამით დაეჭვდება პოეტი: „თურმე გარბოდნენ ლამაზი წლები" და მაინც კვლავ ცხოვრებას მიუბრუნდება.

„სამშობლო!" ამ სიტყვას დღეს სიამაყესთან ერთად უდიდესი ტკივილითა და შეშფოთებით წარმოვთქვამთ, რადგან სამშობლო არა მარტო წინაპართა ნათელი სახლია, არამედ დღევანდელი მწარე რეალობაცაა. დღეს ქართველთა ცხოვრების შინაარსი უაღრესად რთულია და თუ მის აწმყოსა და მომავალში გარკვევა გვინდა, არცერთ არსებულ პრობლემასა თუ სატკივარზე აღარ შეიძლება თვალის მოხუჭვა. არცერთ ქართველს, მით უმეტეს შემოქმედს, არა აქვს მხოლოდ პირადი ცხოვრებით ცხოვრების უფლება. ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის მიზანი პირადი ცხოვრების გარღვევა უნდა იყოს, რადგან გულგრილობამ, არხეინობამ, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, და ინდიფერენტიზმმა ქართულ სინამდვილეში მოახერხა გარკვეულ ფენათა დაპყრობა. კონფორმიზმმა, ხალმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებისაკენ სწრაფვამ. „მე არ მეგება"-ს პოზიციამ, მთლიანად მოარღვია ჩვენი ზნეობრივი ცხოვრების ბალანსი. დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ქართველი ხალხის მყარი თვითშეგნების, მისი მრავალსაუკუნოვანი შემოქმედებითი გენიის აღორძინება; ეროვნული ძალების შეერთება და მისი ერთი მიზნისაკენ მიმართვა. პოეტისათვის ცხოვრებასთან ყოველდღიური შეხვედრა წარმოსახვის მძლავრ იმპულსად ქცეულა:

ჩემი სიცოცხლე,
ასე მცირედი —
შენს სამსხვერპლოზე მიმიტანია.

„ცხოვრებამ ხავსებით ნათელი გაბადა ჩვენთვის ერთი ძველი კანონზომიერება. ყოველი ბეშმარიტი შემოქმედი, საერთოდ ბუნების მიერ თვისებით გამორჩეული ყოველი პიროვნება, მხოლოდ მაშინ აგნებს ერთადერთ სწორ გამართლებულ გზას, როცა მისი ნაბიჯების შინაგან პათოსს ეროვნული ხათავეებით ნასაზრდოები ხიკეთის და სიმართლის ერთგულება უდევს საფუძვლად" (გ. ახათიანი) ქართველი შემოქმედის უპირველესი ვალი ზნეობრივი ხამშობლოს ძიებაა. ამ ტრადიციადქცეულ გზას არც ჯანსუღ ჩარკვიანი ღალატობს. ქვეყნის წარსული ზნეობრივი ხამშობლოს შემადგენელი ნაწილია. მასთან უშუალო კავშირი ქართული გენიის ერთგულებიდან მოდის. წარსულმა უღალატობითა და თავგანწირვით შემოგვინახა სვანური კოშკები, მაჩუბები, მსუყე ენები და ირიფური მთები. შემოგვინახა მაღალი ზნეობა, კულტურა, ენა, სარწმუნოება...

მეც მქონდა ქვეყნად ჩემი მამული..
შენც ყველილივით გულზე დაგიბნევს
ჩემი გოლგოთა და წიწამური,
ჩემი სიმდიდრე და სიღარიბე

წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ფიქრითაა ნასაზრდოები ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტური შემოქმედება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი ხამშობლოს პოეტია, უფრო ზუსტად, ხამშობლოს ღია ჭრილობების პოეტი. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხამშობლოს ღია ჭრილობაში ცოცხლობს, შფოთავს, იღწვის, უყვარს და სძულს. პოეტი სულით და სხეულით ერთნაირად განიცდის და აღიქვამს ქართულ სიმბოლოებს, ეს ცა იქნება, ფერი, ბახიათი თუ სიბრძნე... სამართლიანად აღნიშნავს მაკა ჯოხაძე, რომ მახთან მოცემულია მამულის არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ ფიზიკური განცდა. ხამშობლო მისი თავშესაფარია, მისი მშობლიური სახლი, სწორედ მას ანდობს თავის ხაიდუმლოებას, მასთან ტირის, მასთან იცინის. ისაა მისი სულის მეხაიდუმლე.

შენგან განათუბულ ცასა
შენგან აღელვებულ ზღვასა
არა თაყვანივცე სხვას,
არცა ემორჩილებდე სხვას.

გრძნობა-გონება ფხიზლობს, მუშაობს, გუგუნებს... ერთგული ჯარიხაციით ხამშობლოს სადარაჯოზე დგას.

შევეცდებით, ნაწილობრივ მაინც გავაანალიზოთ, როგორაა გადმოცემული ხამშობლოს ხიყვარულის გრძნობა ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებაში. მისი შემოქმედების დვრიტა და გზის მკვლევი მაშულია:

„მთავარი მაინც მამული არის.
განსაკვეფრებლად არის მთავარი".

მისი ფიქრი ეძებს დღეყანდელი დღის არსებობის გამართლებას: ეძებს ზნეობრივ ხამშობლოს, ვერ პოულობს, ხული სტკივა... ერთ დღეს კი ათასწლოვანი შრომითა და ჯაფით დაღლილს მოულოდნელად აღმოხდება:

შენ არ გინახავს, მოდი და ნახე,
რომ ეს ტაძარი ჩემი ტანია.
საინოებისა ვარ შენი სახლი,
მორჩილებისა ვარ შენი სახლი,
შენი სხეულის ვარ ბეთანია.

აქ ჩვენს ცნობიერებაში იკრება მეტაფიზიკური განცდა ადამიანად ქცეული ტაძრისა, რომელსაც ხული და სხეული ერთნაირად სტკივა. ლექსში უდიდეს ხათნოებასა და მორჩილებასთან ერთად ამაყი ხულის გაბრძოლებასთან გვაქვს საქმე. ყოველივე ამას კი ხახელად დიდი გრძნობის ნათელ სხივში მოქცევა და ტკივილის გათავისება მქვია. შემდგომში პოეტმა ხაწუთროს გრძელ გზაზე ხაგზლად რომ გაიყოლიოს და ცხოვრების მიზნად გაიხადოს „მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი"...

„ჯანსუღ ჩარკვიანი, როგორც პიროვნება და როგორც პოეტი, ხამშობლოში იწყება და ხამშობლოში მთავრდება იმ გაგებით, რომ ნებისმიერი მარადიული თემა (ქარდინალური, მეტაფიზიკური პრობლემა-სიკვდილი, სიცოცხლე, სიკეთე, სიყვარული) სწორედ ხამშობლოს ფონზე წარმოჩინდება მის პოეზიაში" (მაკა ჯოხაძე).

ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიაში ერთი ძირითადი იდეა, — ხამშობლოს იდეა ბატონობს. ხამშობლო მისი პოეტური შემოქმედების ღერძია. ხვა ყოველივე ამ ღერძის გარშემო ტრიალებს. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ამ იდეის გაშიშვლებასთან გვაქვს საქმე. ყოველ ლექსს პოეტი განსაკუთრებული მზატვრული ხამოსელით ამკობს. ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზია განგვაცდევინებს ეროვნულ გრძნობათა ხიხავსეს, უფრო მეტიც, მის ლექსებში გვეძლევა ამ გრძნობათა ჩამოყალიბების ფსიქოლოგიური სურათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიხარ
ალაგეიდან, ლოიტეიდან,
მოდიხარ
ბორიდან, ენგურიდან...

ხამშობლოს იდეის განსაბორციელებლად მასთან ცალ ეზიდულ მწვერვალებთან, მდინარეებთან, ნეაროებთან, მთვარისფერ მტევნებთან ერთად გაშიშვლებული ბმალიც გამოდის, რადგან: „ხიუვარულამდე მე ხმლით მოვედი". ხამშობლო ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებაში სხვადასხვა ფერითა და ინტონაციით იტვირთება და ერთ მთლიან აზრს უერთდება:

ხაიდან მოდის ქართველი კაცი, როგორია მისი თვალსაწიერი, მისი ზნეობრივი ხამყარო.

ხაქართველოს წარსული პოეტისათვის წმინდათაწმინდა ხალოცავია, რის წინაშეც ქედს იხრის. მართალია, პოეტი ხშირად ხამშობლოს ჩამოყალიბებულ ხატს მიმართავს, მაგრამ ეურადღებას ისეთ მახალაზე აჩერებს, რომელიც პოეტის მიზანდასახულობას უშუალოდ პასუხობს: „მომწყურებია წყარო ანკარა, მომწყურებია შენი წარსული". ხამშობლოს წარსული პოეტისათვის ანკარა წყაროსავით სუფთაა და ამიტომაც, ზნეობრივია ამ წარსულის გამოხმობა, მისით აღმაფრენა. მასზე წერია: ერთი მუჯა მიწიდან, ერთი მუჯა ხალხიდან იზრდებოდნენ მამულისათვის თავდადებული ქართველები, რომელთა ცხოვრების მიზანი ხამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. ხამშობლოს ცადაზიდული მწვერვალები, ანანურის თავზე თეთრი ღრუბლები, ბეთანია, თმოგვი, ლამაზი ცრემლი, შშობლიური მიწის გრილი გული, რომლისთვისაც ქართველ კაცს ასი სიკვდილი გამოუვლია. მარადიულია: „მამულისათვის დამაკვს მათარით სისხლი, რომელიც გულში მოვწურე".

„ხაქართველოთი იწყება დილა" — ასე დაუსათაურებია პოეტს ერთი ლექსი. ლექსის ხათაურში არა მარტო პოეტის შემოქმედებითი კრედო, არამედ მთელი მისი შემოქმედებაა გაბსნილი.

მეც ხაქართველოს
ცაზე ვჩიოდები
მისი მოკაფე და
მისი ეკლოვანი

ჯანსუღ ჩარკვიანს ცხოვრებისეული მასალიდან ამოაკვს იდეა. ლექსის წერის პროცესში კი უშუალოდ განიცდის მას. ყოველ ასეთ ლექსში შეიგრძნობა პოეტის სულიერი მდგომარეობა, როგორც პირობა ლექსის შექმნისა. პოეტის აზრით, ამქვეყნად თუ კი რაძეა თაყვანისცემის ღირსი, ეს უპირველესად, მამულია, მას უნდა მსახურებდეს ყველა, ვისაც როგორ და რითაც შეუძლია. პოეტიც სწორედ მის პირუთვნელ ხამსახურშია ხამყაროს პროექცია მასთან ხამშობლოს პროექციიდან იწყება. მისი აზრით (რასაც შემოქმედებიდან ვკითხულობთ), ქართველი ხალხის ენერგია დაკარგულია [illegible] წვრილმან საქმეებსა და ინტერესებზე [illegible] ნაწილებული, რაც ნამდვილ შემოქმედს არ შეიძლება, არ აწუხებდეს. ხამყარო გაჩენის დღიდან დღევანდელ დღემდე ზნეობრივად გადაგვარდა. ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ზნეობრივი ხაყრდენები მორღვეულია, ისკარიოტელი და შადიმანი კვლავ არიან ჩვენს შორის. ყოველდღე გვზვდებიან და ამას ძალზედ ბუნებრივად აღვიქვამთ, სწორედ ამითაც გამოიხატება ჩვენი ნაწილობრივი დაცემა.

— გამარჯობა,
— გავიმარჯოს, თმაგალარა შადიმანო,
ჩამოგეოთეი ხელი, მაგრამ
ალვე უნდა გაღვიძანო

ჯანსუღ ჩარკვიანი. პირადად, 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გავიცანი. დაღლილი. სხივჩ მჭრალი ჩანდა, „ხაშინელი სულიერი დეპრესია მაქვსო". ყველა ჭეშმარიტი ქართველი კაცის ცხოვრება დღეიდან 9 აპრილის ტრაგედიამდე და 9 აპრილის ტრაგედიის შემდგომდროინდელი პერიოდად განისაზღვრება-მეთქი — გავიფიქრე მაშინ. ეს დღე განსაკუთრებულად საბედისწერო აღმოჩნდა ქართველი ხალხისათვის და, ამავე დროს, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანიც, რადგან ამ დღიდან დაიწყო ქართველი ერის გამოფხიზლება ხამოცდაათწლიანი ბურანიდან. პოეტმა ზუსტად შეიგრძნო და დაინახა ხიტყვისა და ხაქმის აუცილებლობა. ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტური ბილეთები ყოველთვის ამქვეყნიური ცხოვრებით და ამ ცხოვრებით გამოწვეული ხიმძიმეებით იყო დატვირთული.

ახლა ღალატი გაბლავს
ძმეიდი ცხოვრება კაცის

ნუთუ მოყვასის დედის, მამის, შვილის, ძმის, დის დაკარგვა აუცილებელი იყო, ქართველი რომ გონს მოსულიყო?! გამოუცნობია ღვთის განგება... დიდია ქართველების მიერ გაღებული მსხვერპლი. როგორც ჩანს, უმსხვერპლოდ არაფერი გამოდის! არადა: „ხაქართველო შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?!" აპრილის მძიმე დღეებში, ერთი მხრივ, გამძაფრებული ტკივილისა და უსახოობის, მეორე მხრივ, სულიერი ამაღლებისა და განწმენდის გზაზე ამ ხიტყვებმა ახალი ელერადობა შეიძინა. თურმე კიდევ ყოფილა ხაქართველოს შვილები, რომელთაც შესძლებიათ მისთვის თავის გაწირვა როგორც ეტყობა, მამული ჩვენგან მსხვერპლს მოითხოვს, უშწეხის, ხუფთას, — ჩვენი უმეცრების, უზნეობის და ღალატის ხაფასურად. პოლ ვალერის აზრით, ისტორიული ევოლუციის მთელი პროცესი, გარკვეული თვალსაზრისით, სხვა არა არის, თუ არა გზა პირველყოფილი

ბარბაროსობიდან ცივილიზირებულ ბარბაროსობამდე.

ამიტომ იმ სისხლით გულში რომ მდენია,
ეა, სული, მამულო, შენ მოუსყიდველი.

რა არის ზემოთ მოყვანილი სტრიქონები, თუ არა ხოცარი წინათგრძნობა მოახლოებული ხაშიშროებისა, თუ არა მზადყოფნა უყოყმანოდ თავის გაწირვისა. ერთ-ერთ ინტერვიუში პოეტი იტყვის: „ამას არ მოველოდიო". მისთვის, როგორც ადამიანისათვის, მიუღებელი აღმოჩნდა ის არნახული და არგაგონილი ბარბაროსული მეთოდები, რომლებიც გამოიყენა ხალხმწიფომ, მსოფლიოს წინაშე ჰუმანურობითა და ხამართლიანობით რომ იწონებს თავს. ჯანსუღ ჩარკვიანი შემდეგ ერთ-ერთ მიტინგზე ვიხილე. ვიხილე ჩახმახივით შემართული. ისევ მხნე და ისევ მედგარი. ვიხილე უზომოდ გამწარებული ქართველი კაცი, რომელიც ეახუხს ითხოვდა ჩადენილი არაკაცობისა და ბოროტებისათვის:

დოქები სისხლით ამივსე,
ენა წამართვი მართლისა,
დაჭკარ, დამსეტყვე, დამნისლე,
ჯირი მასჩინე ქართლისა.

„წინ ილიასაკენ, წინ ილიასაკენ, წინ ილიასაკენ" — ამ სიტყვებით დაახრულა მან თავისი გამოსვლა და ამ გამოსვლით, კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის ჭეშმარიტება, რომ ქართველმა ერმა გადაუხვია ილიას გზას. პოეტმა იცის, რომ განგება არ აპატიებს ერს მამის დაღვრილ სისხლს, ამიტომ საჭიროა საკუთარი შეცდომებისა და დანაშაულის გაცნობიერება და აღიარება: დიდია ილია ჭავჭავაძის ერისადმი თავდადება და სიყვარული, მისი ბოწამეობრივი სიკვდილი ყველა ქართველს ახალი საქმეებისაკენ უბმობს და ეძახის. ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას კლასიკურ ფიგურას უკავია. პოეტის აზრით, დიდია ერი, რომელიც შოთას, ილიას, ვაჟას შობს.

მარტო ილია რად ღირდა,
რად ღირდა დიდი რუსთველი.

ეროა, სწორად გაანალიზდეს ილიას მოღვაწეობა. ის ხაშიშროება, რაც დღევანდელ დღეს ქართველ ერს ემუქრება, ნაწილობრივ ჩვენი გულარხეინობისა და პოლიტიკური ხიბეცის ბრალია, რასაც თავის დროზე ილიაც უჩიოდა, პოეტი ქედს იხრის დიდი ილიას აჩრდილის წინაშე და დღევანდელი ხალართველოს შემყურე. მართალია, იმედს არ კარგავს, მაგრამ დიდი გულისტკივილით აღნიშნავს:

მაგრამ შენ ჩემო იმედო,
მაინც ვერ დგახარ ამაყად.
ტყვეისთვის რომ გიმეტონ,
ისეთი შვილი არა გყავს.

პოეტისა და პოეზიის დანიშნულებას ჯანსაკუთრებული ადგილი აქვს დათმარ ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებაში. ძველად მეოცნებეობა შემოქმედი, რომელსაც [illegible] აქტუალური თემისათვის თავისებური ხარკი არ გადაეხადოს. ქართველ შემოქმედთა ცხოვრებაში ხაუკუნეთა მახძილზე ხორციელდებოდა უზენაესი სინთეზი: ერთმანეთს ერწყმოდა ღმერთი, შემოქმედი და მოკალაქე. ამ უკანასკნელის ვალი მშობელ ქვეყნის ხამსახური იყო. ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედება აგრძელებს წინაპართა მიერ გაკვალულ გზას. მას მთელი სიგრძე-სიგანით გაუცნობიერებია პოეტისა და პოეზიის დანიშნულება ერისა და ქვეყნის წინაშე.

ვერ დავიმკვიდრე თეთრი ზამთარი,
ვერ გავხდი მაინც მცირედმორწმუნე.
მამულისათვის დამაქვს მათარით
სისხლი, რომელიც გულში მოვწურე.

ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზია მარადეამს დაუკმაყოფილებელი ეინითაა აღსავსე. პოეზია მისთვის ბედისწერასთან ერთად მოძრაობა და სიცოცხლეა. ამიტომაც დაუდგრომელი მდინარის სახეს მის პოეზიაში გარკვეული ადგილი უჭირავს. მისთვის დედა მდინარე არაგვია. არაგვისა და ვაჟას ხატება ავსებს და სრულყოფს მის პოეზიას, რომელიც სავსეა ცხოვრებისეული ხმებითა და უკიდეგანო ხულიერი მღელვარებით.

წვიმს ქართლის გზებზე, წვიმს ქართლის
გზებზე
და გულზე მაწვიმს მეც, მცხეთის ჯვარი...

ჯანსუღ ჩარკვიანი იმდენად ეროვნული ხულისა და ხელწერის მქონე პოეტია, აზრობრივად და ემოციურად იმდენადაა დატვირთული მისი შემოქმედება, რომ სხვისთვის შეიძლება მიუწვდომელიც კი იყოს ამ სტრიქონების აღქმა, გაგება და გათავისება. პოეტისათვის უცხო არაა პირადული და ცხოვრებისეული ტკივილები, რამაც მას მრავალი ლამაზი ლექსი დაუწერინა. თუ კარგად დავუკვირდებით ამ ლექსებს, ხადაც, ერთი შეხედვით, პოეტის ინტიმური გრძნობებია გადმოცემული, აშკარად შეიმჩნევა, რომ ფონი ყველგან ქართულია. „დაბინდულა ისევ ისფერი მთები", — წერს პოეტი, რასაც მოყვება გრძნობათა რაფინირებული გამხელა. ამ უმშვენიერესმა ლექსმა ასოციაციით არ შეიძლება გალაკტიონის შემდეგი სტრიქონები არ გაგვახსენოს: „დაბინდული ქლიავისფერი ჩემი ხამშობლოს მთების ფერია". ასოციაციიდან დაბადებული ხიმბოლო ისფერისა ხამშობლოსთანაა გაიგივებული. ბოლომდე ლამაზისა და ბოლომდე ქართულისათვის ჯანსუღ ჩარკვიანის პოეზიაში თითქმის ყველაფერი სიყვარულის შესატყვისია. სიყვარულიდან იწყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, რაშიც პოეტის სულის უცნაური და განუმეორებელი ძალისხმევა მეღავნდება.

> როგორ ეკლობა მაოილი მაოილს,
> ახლა ჩვენს შუა ხღეაც დაიწოიტა,
> შენი ტუჩების მზეოვალე ალი
> მოდის შენიეკ სულის მიწიდან

ჯანსუღ ჩარკვიანი, — პოეტი და მოკალაქე, გამუდმებით ფიქრობს სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე. სიცოცხლისაგან იმდენს მოითხოვს, რამდენიც საშშობლოს საშსახურისათვის სჭირდება. რაც შეეხება სიცოცხლისა და ცხოვრების აღსასრულს, აქ იგი თავდაჭერილია, რადგან სიკვდილი სიცოცხლის ლოგიკურ დასასრულად გაუცნობიერებია. „რამდენადაც შემართული, მებრძოლი და ხალმარია მისი განწყობილება ბოროტების წინააღმდეგ, იმდენად მშვიდი, გაწონასწორებული და ხმაურს მოკლებულია იგი სიკვდილის მოახლოებისას" (მაკა ჯოხაძე).

> დავდგები ფეხზე, როგორც ადამი,
> ეროს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
> მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
> ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

მისი პოეტური შემოქმედება დიალოგია ხალკუთარ თავთან, მის ხახეს ზოგჯერ ირონიული ელფერიც დაჰკრავს, რაც, პირველ რიგში, მიმართულია საკუთარი თავისადმი და, შემდგომში, მოკვანისაადმი. პოეტის მიზანია, საკუთარი თავის შეცნობის გზით შეიცნოს ადამიანი...

ჯანსუღ ჩარკვიანი თავისი მსოფლგაგებით თანამედროვე პოეტია. მისთვის არ არსებობს ისტორია ცხოვრებისაგან მოწყვეტილად. მის ლექსებში ხალალი წინასწარხედვა, მოვლენებისა და ფაქტების წინასწარგაკვრეტის შესანიშნაღ. უნარი იგრძნობა ცხოვრების შეაგულში ტრიალმა პოეტს ბევრი ტკბილ-მწარე მოგონება დაუგროვა:

> მაგრამ იცოდე, ღმერთიეით კაცს,
> შენ რომ ენდობი,
> მე ვერ ვენდობი,
> რადგან იგი გაძყიდველია.

ადამიანის გაორებული ბუნება აღიზიანებს შემოქმედს. გზაბნეული ხალხის გარდა ძალ ორპირი და გაძყიდველიც შეხვედრია, რომლებიც ცხოვრობენ „გატეხილი ფიცით, ოცდათი ვერცხლით". პოეტს განსაკუთრებით სძულს ისინი, ვინც ადამიანის დამცირებას, მის ეველაზე ნათელ და წმინდათა-წმინდა იდეალებს ფეხქვეშ გათელვას არ ერიდებიან. მისი ეოველდღიური ფიქრის საგანი ხამშობლოა. მისი დაცარიელებული სოფლები, საქმოსნებითა და უსაქმურებით გავსებული ქალაქები, რაზედაც პოეტს არაერთხელ აუტეხია განგაში. ჩვენი არსებობის ხიმწრის, ჩვენი დღეგანდელი ღირებულებების და ეროვნების მიუხედავად, პოეტი ეოველთვის ახარბუნებს მხსნელ ამაღლებულსა და წარუბო

ბითაა შექმნილი. ვის არ ახსოვს მისი პირველი ნაბიჯები პოეზიაში, ძიება, ფიქრით დახერილი გზები, ფერადი ხიზმრებისა და არეული ღრუბლების ფონზე უკვე იკვეთებოდა პოეტის სახე. დრო კი ჩქარობდა, დრო აჩქარებდა პოეტს. წარსული, აწმყო და მომავალი — დროის ეს სამი განზომილება ერთმანეთზეა გადაჯაჭვული, ერთი მთლიანობაა. სწორედ ამ აჩქარებული დროის ფერხულშია პოეტი ჩაბმული და თავის მოვალეობას ერთი წუთით არ ივიწყებს. ამიტომაცაა მისი შემოქმედების პრობლემატიკა აქტუალური და სადღეისო. სწორედ ამ აჩქარებული დროის ფერხულში ჩაბმულს, წამიერი შეყოვნების დროს წამოსცდება:

> ვინც მაცლის ხმლისა ალესვას,
> ანდა თავიდან დაწყებას,
> ან ხელმეორედ გალექსვას,
> ან ხელმეორედ დარწმუნებას.

მკითხველს ამა თუ იმ შემოქმედის პოეტურ სამყაროსთან ერთად პოეტის პიროვნებაც აინტერესებს. ჯანსუღ ჩარკვიანის პიროვნება მოქმედების ნიშნითაა აღბეჭდილი. პოეტი მძაფრად გრძნობს დროს, უფრო სწორედ, იმ დროით ცხოვრობს, რომელ დროშიც ასე თუ ისე შესაძლებელია სულის განახლება-განწმენდა. პოეტი მოდუნებისა და სულიერი დაძაბუნების ნაშუალებას არასოდეს არ აძლევს საკუთარ თავს. იგი არ გახლავთ შინ გამოკეტილი, საკუთარ თავთან დარჩენილი შემოქმედი.

ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედებითი პორტრეტი შესანიშნავად წარმოჩინდა მაკა ჯოხაძის წერილში — „დროის შუაგულში" (ავტორი ამ წერილში „სუბიექტურ თავისუფლებამდე" ამაღლდა. სწორედ ეს „სუბიექტური თავისუფლება" გახდა, პირადად ჩემთვის, გადამდები. მასში გამოთქმულ ცალკეულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს, ჩვენი მოსაზრებები და შეხედულებები დაემთხვა, რაც დაგვეხმარა ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედების ანალიზისას). „ჯანსუღ ჩარკვიანს, როგორც ადამიანს და როგორც პოეტს, ნათელი ადგას. მისი ყოველი ნაბიჯი, ეს იქნება ხაზოგადოებრივი. უაღრესად პირადული თუ პოეტური, თავისი უღალატობის გამო ამ ნათელ რკალშია მოქცეული. თითქოს იმიტომ მოვიდა ქვეყნად, რომ ხამშობლოს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ნახევით კიდევ ერთი დიდი გამოცდა [illegible] დევ ერთი დრამატიული [illegible] პირისპირ, ხელისგულზე. [illegible] რმოეჩინა მისი ადამიანური ღირსებები" (მაკა ჯოხაძე).

ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედება მთლიანად მამულის სიყვარულს ეკვემდებარება. იგი ჩვენი დროის აქტიური შემოქმედია. სიყვარული და სიკეთე ბმალივით მოუმარჯვებია. „სიყვარულამდე მე ბმლით მივედი" — ეს არის პოეტის რეაქცია. ამ მხოფლგანცდამდე დიდი ბრძოლების შედეგად მოვიდა, მაგრამ ამ ბრძოლების აუცილებლობაში ერთხელაც არ დაეჭვებულა. ზოგს შეიძლება ეჩოთირებოდეს კიდეც პოეტის ასეთი აქტიური და ქმედითი ბუნება, რომელსაც ბუნებრივად შეუთვისებია ილია ჭავჭავაძისეული თეზა: „მოძრაობა და მოძრაობა". მაგრამ იმახაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯანსუღ ჩარკვიანი ის კაცია, რომელსაც მტერმოუყვარე ქუავს, მაშინ ყველაფერი ნათელი გახდება.

ჯანსუღ ჩარკვიანმა აქტიური შემოქმედის სახელი სიცოცხლის ფასად დაიმკვიდრა. მან მოახერხა ქართულ ლექსში ჩაქსოვილი სევდისა და იმედის მუსიკალურად აეღლერება. მან ქართულ პოეტურ ტრადიციებზე დაყრდნობით, ისევ და ისევ ტრადიციის გამოხმობით, სულიერ აღსარების გზით, ჩვენი დროისა და ჩვენი თაობის ხვედრი გაიზიარა.

„უცებ შემხვდება მეზობლის ბავშვი, შემომღიმილებს და დამამშვიდებს". ერთი შეხედვით, თურმე რა ადვილად შეიძლება პოეტის გახარება, დამშვიდება, მაგრამ რა გრძნობაა ხაგირო, რომ ამ სტროფონებში მომწყვდეული უბრალოებას მიაღწიო! ძნელია ისაუბრო პოეტზე, რომელიც პოეზიით ცოცხლობს, რომლის არსებაში მამულის ფესვი ღრმადაა გადგმული, რის გამოსახატავად მას ღმერთმა ნიჭი, აღმაფრენა და ტკივილი დაანათლა. ჩვენ კი ცარიელი სიტყვების იმედით ისღა დაგვრჩენია, პოეტს მისივე ლექსით მივმართოთ:

> დაგუბული და გულს ჩაწურული,
> მეც ამ დაგუბულ ხმას გავეყევ,
> და შევიფარე შენი ურმული,
> ცოდეა, საწყალი და გაურყვნელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით გოგოჭური, ივანე ლიქოკელი

ფრთხილად, ეროვნული გმირებია!

ახლახანს გამომცემლობა „მეცნიერებამ" მკითხველს მიაწოდა ვახტანგ ითონიშვილის წიგნი „არაგვი და არაგველები". კრებულში სხვა ნაშრომებთან ერთად შეტანილია გამოკვლევა არაგვსა და არაგველებზე, რაც ძირითადად კრწანისის ომის მონაწილეთა ვინაობის დადგენას ეხება.

ნაშრომის დაწერის საფუძველი ის ყოფილა, რომ, თურმე „კარგა ხნის მანძილზე გაუთავებელ დავას აქვს ადგილი ერეკლე II დროშის ქვეშ დარაზმული სამასი პატრიოტის კუთხური კუთვნილების გარშემო" (78) და ავტორი დიდა გვაიმედებს, რომ „ამ საკითხებზე მკითხველი მიიღებს ზუსტსა და ამომწურავ პასუხს" (2).

ამ თამასუქით დაიმედებულებმა დავიწყეთ ნაშრომის წაკითხვა. მაგრამ ავტორმა ვერ გაგვიხადა საზეიმო დაპირება — ნაშრომის პირველი გვერდიდანვე მკითხველი შეამჩნევს ვ. ითონიშვილის აშკარა ტენდენციას, რადაც უნდა დაუჯდეს, სამას არაგველთა შემადგენლობიდან გამორიცხოს თუშ-ფშაველ-ხევსური მეომრები და ბრძოლის ველზე თავგანწირულ გმირებად მხოლოდ ყოფილ არაგვის საერისთავოს საბძანებელში შემავალი თემების მცხოვრებნი, მათ შორის მთიელები და მობევეები წარმოგვიდგინოს.

ვერ ვიტყვით, რომ ავტორი საკითხთან დაკავშირებულ მასალებს არ ეძებდეს, პირიქით დიდი მონდომებითა და მუყაითობით მოიხმობს მათ. მაგრამ ეძებს ისეთს, რომელიც მის მიერ წინასწარ აკვიატებულ მოსაზრებას დაასაბუთებს.

წერილის მოცულობის გათვალისწინების გამო არ შეგვიძლია, კვალდაკვალ გავყვეთ მკვლევარს და პუნქტობრივად გავცეთ პასუხი მის მცდარ დებულებებსა და დასკვნებს. ამიტომ ამჯერად ნაშრომის მხოლოდ ძირითად მომენტებზე შევჩერდებით.

ვ. ითონიშვილს სურს რა სამას არაგველთა შემადგენლობიდან ფშავლები და ხევსურები გამორიცხოს, საქმეს იმით იწყებს, რომ მკითხველი უნდა დაარწმუნოს, — ფშავ-ხევსურეთში მდინარე არაგვი არ არსებობ: „არაგვის ხეობას არ „მიეწერება" ფშავის არაგვისა და მისი შენაკადი ხევსურეთის არაგვის ხეობა" (76) მთლიანად არაგვის ხეობას „ხელოვნურად ვერ „მივატმასნებთ" ფშავის არაგვის ხეობას" (77) არაგვის ხეობის „რეგიონის მიჯნების გაზრდა მასში ფშავის არაგვის შეყვანის ხარჯზე, დაუშვებელია" (78): „ხახელწოდება „ხაარაგვოს", ცხადია, არაფერი აქვს საერთო ფშავ-ხევსურეთში ფიქსირებულ ხალხურ ტერმინ „ხაარაგვოსთან" (98) „ისტორიული ტრადიცია ფშავსა და ხევსურეთს „არაგვად" სახელდებულ მხარეებად არც წარმოაჩენს" (98): „ხახელწოდება „არაგვისპირელი" არ ვრცელდება მაგ. ფშავლებზე. (და ნიადაგ ხევსურებზეც)" (100): „არაგვის მცხოვრებლებად" ან „არაგველებად" ტრადიციულად არაგვის ხაერისთავოს მოსახლენი ითვლებოდნენ და ამ სახელწოდებით გავრცელების არეალში არ შედიოდა... ფშავი და ხევსურეთი" (101). „...არაგველებად თვლიდნენ თავს არა მარტო მთიულები... მობევეები, არამედ ფშავლებიც და ხევსურებიც" (78).

ვ. ითონიშვილი იმასაც აღუშფოთებია, რომ თურმე ნუ იტყვით, ვაჟა-ფშაველა ბედავს და „დაუფარავი სიამაყით აცხადებს „მე არაგველი გახლავარო"-ო (74).

ამონაწერები ვფიქრობთ, საკმარისია!

გულახდილად რომ ვთქვათ, ვერ წარმოგვედგინა, თუ ჩვენს დროში აღმოჩნდებოდა ქართველი ინტელიგენტი, რომელიც დაიწყებდა იმის მტკიცებას, რომ ფშავ-ხევსურეთში არაგვი არ არსებობს და არც ამ სახელიდან ნაწარმოები „ხაარაგვო", „არაგველნი" და სხვა ფორმები არის ამ კუთხისთვის დამახასიათებელი. უბერხულად მიგვაჩნია, ვამტკიცოთ, რომ არაგვი ნამდვილად არის ფშავ-ხევსურეთში, რომ მარტო არაგვი კი არა, არის „ხაარაგვოს თემი",

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის მცხოვრებლებსაც იმოგზაურეს არაგველები ჰქვია.

ვ. ითონიშვილს ამ ჩხო

ლთან გზა გადაუკეტა ხამახმა ხევსურმა მეომარმა და ერეკლეს მოშორე შაშადიღელ ალი ხულთანის ორას ცხენიან ელთა დახმარებით ხახტიკად შემუსრა მარბიელები.

მოვუსმინოთ ისტორიას: .....მას ჟამსა შეემთხვა ბედნიერება ესე ალი ხულთანსა რომელ ხამახამდე ხევსურნი ქვეითნი კაცნი ხევსურეთით მომავალ იყვნეს თბილისად, რათამცა მივიდეს იგინი ბრძოლასა ზედა ალა-მახმად-ხანისასა მეფესა ირაკლისა თანა და ვითა იხილეს მათ ალი-ხულთანი ადგილსა მას, მკითხეს მას ვითარება ხაკმისა და იუწყეს ყოველივე და იხილეს ესეცა, რომელ მხედარნი ხპარსნი მიეხალნეს მას ადგილსა. მაშინ ერთობლივ რკვეს ალი-ხულთანსა „წამოვედ ჩვენთანა, ვითარცა მხედართმძღვანი მეფისა ჩვენისა და ერთგული და ჩვენ ქვეშე ხელსა შენისა ვებრძოდეთ მტერთა და წარვიკცინეთ იგინი. ხოლო შენ სდევ მათ მხედრობით მაგით ცხენოსანით შენითურთ და დაშთეთ შენ და ყოველივე ელი შენი უვნებლად. სთნდა სიტყვა ესე ხულთანსა და წარუძღვა მხნეთა მათ ხევსურთა და ჰყვეს ბრძოლა ფიცხელი სპარსთა მიმართ. სპარსნი უკვე იყვნეს უმეტეს ოთხიათასისა, ხოლო ესენი არაუმეტეს ხუთასთა. სძლიეს. უკან — აჭცივნეს და იოტნეს სპარსნი და რომელნიმე მათგანი მოსრნეს და რომელნიმე შეიპყრეს და მიუძღვანეს მეფესა".[1]

ეს კი ს. ყინვალთან აღებული კრწანისის რევანშია.

ვ. ითონიშვილის ზოგიერთი ინფორმატორი ასეთ არგუმენტსაც ეყრდნობა: თუ ხევსური მეომრები კრწანისის ომში დაიღუპნენ, მაშინ მათ რამდენიმე დღის შემდეგ ყინვალთან როგორღა გაანადგურეს ქაბალი ხანის ჯარებიო.

მოტანილ წერილობით წყაროში თეიმურაზ ბაგრატიონი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ეს სამასი ხევსური „ქვეითნი კაცნი" იყვნენო". მათ რომ ცხენები არა ჰყავდათ, აგრეთვე იქიდანაც ჩანს, რომ ალი ხულთანს სთხოვენ: ჩვენ დავამარცხებთ ყიზილბაშებს მერე გაქცეულებს კი შენ სდიე შენი ცხენოსანი მხედრობითო.

ამ ომშიც მომხდარა ის, რაც მეფისაგან „ქუდზე კაცის" დაძახებისას ხდებოდა. ვისაც საკუთარი ცხენი ჰყავდა, მოასხდნენ ცხენებს და დაუყოვნებლივ გაქუსლეს მეფის მისაშველებლად. მაგრამ ვისაც ცხენი არ ჰყავდა და თანაც შორს, ან ხულაც მთების გადაღმა ცხოვრობდა, ცხადია, მათ დააგვიანდათ, ასეთია ფაქტები.

ვფიქრობთ, არ დაგვჭირდება იმის მტკიცება, რომ ეს დოკუმენტები (და მრავალი სხვა) ფშაველ-ხევსური „მელექსეთაგან შექმნილი" არ არის და რა საბუნებაროა, რომ ამ ხატივით ხალოცავ თავგანწირულ მამულიშვილთა ნათელ ხსოვნას ჩვენი თანამედროვე მტვერს აყრის ისე, რომ არც უფიქრდება, რას აკეთებს. „კრწანისის ომში დაღუპულ თუშ-ფშავ-ხევსურ[illegible] ნორჩორების გარეშე არ შეეძლო [illegible] დეიმტკიცებინა (თუ კი ასეთივე მასალები გააჩნდა!) რომ ამ ომში მისი კუთხის ხალხიც იღებდა მონაწილეობას? მაგრამ ასეთი მასალები არ არის და მათი არც თითიდან გამოწოვა შეიძლება.

მკვლევარი ცალმხრივად იყენებს ხალხში შემონახულსა და დღემდე ზეპირბრუნვაში არსებულ უმდიდრეს ხალხურიო თქმულება-გადმოცემებსა და სიმღერებს. იგი მოტანის გარეშე უთითებს ისეთ ზეპირსიტყვიერ ტექსტებზე, რომლებიც მის მტკიცებას სრულიადაც არ უჭერს მხარს, ხოლო რაც მოაქვს, ისიც მის მიერ დამახინჯებული და შერყვნილია. მაგალითად, ვეებერთელა ლექსიდან („მთიულებს შემოუთვალეს")[1] მოაქვს ნაწყვეტი ,რომელიც, თითქოს კრწანისის ომში მთიულთა მონაწილეობას უნდა ასახავდეს, მაგრამ იძულებულია ამ ნაწყვეტიდანაც კიდევ ამოგლიჯოს აი ეს სტრიქონები:

...განთავისუფლდა თბილისი,
თათრებს შეუკრეს გზანიო...
გაანადგურეს თათრები
გადააცლიეს მთანიო...

მკითხველი დაგვერწმუნება, რომ ეს ტაეპები არ ეხება კრწანისის ბრძოლას, რადგან ამ ომში არც თბილისი განთავისუფლებულა და არც თათრები გაუნადგურებიათ და გადაურეკიათ მთების გადაღმა. მაგრამ რა ქნას ვ. ითონიშვილმა, რომელსაც კრწანისის ომში მთიულთა და მოხევეთა მონაწილეობის ამსახველი ლექსი ძალიან სჭირდება და ასეთი რამ კი ხალხურ პოეზიაში ვერ აღმოაჩინა, ადგა და ამდენ ბეგის წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი ლექსის ერთი ვარიანტი მიფლით-მოფლითა და „მოაკრწანისულა", თუმცა ხაიდანაც ეს დასასახელებლად გამეტებული ლექსი ამოიღო, წიგნის იმავე გვერდზე ასეთი ლექსიც არის დაბეჭდილი:

— მიშველეთ, ჩემნო ხევსურნო,
უნჯნი ყმანი ხალთ ჩემნია.
ფულს მოგცემთ მაგოდენასა,
რო ვერ ზიდევდეს ცხენია.
— თავს ვერ გაგიბერთ ხევსურნი,
უნჯნი ყმანი ვართ შენია,
თეთრს ვინც აიღებს ხევსური,
ვინაც მაბკიდას ხელია,
გაუწყრეს, ნეფეს ერეკლეს-
ის სალოცავი ჩვენია.
— დაეშხადენით, ხევსურნო
ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა.
თათრების მაღლოდნი გვაქვ,
გან ვსხეულართ ლუდის სმაზედა

1. თეიმურაზ ბაგრატიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 42

1. ქსს. ტ. XI, 1984, გვ. 57

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაგვიძეღ, ნეფე ერეკლეე,
წავდგეთ კრწანისის გზაზეეი.[1]

ეს ლეკნი უფრო ადრე ჩაწერილიცაა, უფრო მხატვრულიც, თანაც, რაც მთავარია, ჩამდგენლად კრწანისის ომს ასახავს, მაგრამ ვ. ითონიშვილს ეს ხელს არ აძლევს. რადგან იგი კრწანისის ომში ხევსური მეომრების მონაწილეობას ადასტურებს, ასეთსავე კეკუმალობას თაბაშობს ვ. ითონიშვილი იმ დიდძალი საგმირო-ისტორიო გადმოცემებისა და ხიმღერების მიმართაც, რომლებიც მეფე-ერეკლეს ომებში თუშ-ფშავ-ხევსურთა გმირულ მონაწილეობას ეძღვნება. თანაც ეს ტექსტები საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩაუწერიათ და კომენტარების დართვით სხვადასხვა დროს გამოუქვეყნებიათ ი. ჯავახიშვილს, ვალა-ფშაველას, ნ. ურბნელს, ვ. უმიკაშვილს, ი. ბეკურაულს. აგრეთვე ჩვენი საუკუნის ცნობილ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს...

ყველა ამ უძვირფასეს მასალას ვ. ითონიშვილი გვერდს უვლის და მათ ნაცვლად ბოლო წლებში (1988) თავის მიერ შეკრებილ, ჯერ გამოუქვეყნებელ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ „რვეულებზე" მიუთითებს. მაგრამ რა უწერია ამ რვეულებში ისეთი, რაც ამ მრავალგზის გამოცემულ, მეცნიერთაგან შესწავლილსა და შეფასებულ ტექსტებს ამათილებდეს, ამის შესახებ კი არაფერს გვიმბელს, ან და რამდენად დასაშვებია, პოლემიკის დროს თავისსავე ჩაწერილ გამოუქვეყნებელ მასალას იმოწმებდე, თანაც ციტირების გარეშე. არ იძლეოდეს ტექსტის „ასლ-პორტს", სად, ვისგან და როდის ჩაიწერე ეს ჯადოსნური ტექსტები? ბოლო მის მიერ „მოპოვებული" და ციტირებული „ხანდო მასალები" კი, საიდანაც მას დასკვნები გამოაქვს, ეი როგორია:

„...ჩვენ გვქვიან არაგველები, არაგვის სათავე'ში ვართ ჩვენა. აქ მთიდან ჩამოდის, თქვეს: „თუ დავიბოცებით, ისე არ დავიბოცებით, თითომ ათი კაცი არ ვისმხვერპლოთო". ის ჩვენი პაპები იყვნენ. არაგვს რა უნდა ხევსურეთში. ფშაველები და ხევსურები წაიყვნეს. მთელი მთიულეთის შრომა იმათზე გადაიტანეს" (75).

მკითხველმა განსაჯოს, რამდენად ობიექტურია, ვ. ითონიშვილი. რომელიც ცდილობს ეს „ხანდო მონაპოვარი" დაუპირისპიროს გამოჩენილი ისტორიკოსის, ერეკლე II შვილიშვილის, ამ ომის მომსწრის თეიმურაზ ბაგრატიონის ხელით დაწერილ ცნობას, იმის შესახებ, რომ კრწანისის ომში თაყვანწირვით იბრძოლეს ფშაველ-ხევსურმა მეომრებმა.

ბოლო საუკუნეებში, ბახტრიონის ომით დაწყებული, არ არის არცერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობა არ მიეღოთ თუშ-ფშაველ-ხევსურთ, რასაც [illegible] არებული წერილობითი თუ [illegible] ტვრული ნაწარმოებები. ეს ითქმის განსაკუთრებით ერეკლე II-ის მიერ წარმოებულ ომებზე. საქართველოს ამ კუთხეების მებრძოლები მეფის დროშის ქვეშ ლვრიან სისხლს ისეთ ბრძოლებში, როგორიც იყო ურრ ფეოდალთა ალაგმვა, თრუხო-დვალეთის შემომტკიცება, ლეკთა თავდასხმების მოგერიება, ამბულ ბეგის განადგურება, გორის ბრძოლა და რომელი ერთი მოვთვალოთ.

ისინი არა თუ აქვე, ობილისის გარეუბანში, მეფეს ახლდნენ ისეთ შორეულ ლაშქრობებშიც კი როგორიც იყო ასპინძის ომი. ამ ლეგენდარულ ბრძოლის ყველაზე მძიმე წუთებში მეფემ „რათდენიმე ჩინებულით და შინა ყმითა თვისითა და შვიდითა ხევსურითა, განწირა თავი თვისი და ეკვეთა ფიცხლად. ვიდრე სიკვდილამდე". ზეპირსიტყვიერი გადმოცემებისა და თვით ბრძოლის მონაწილეთა მიერ შექმნილი სიმღერების მიხედვით ამ ომში განსაკუთრებით გამოუჩენიათ თავი და მეფის ჯილდო დაუმსახურებიათ ამბა გიგაურს, ძაღლიკა ბიმიკაურს (ხევსურები), ჯუღური წონკოლაურს (ფშაველი), გიორგი თილისძეს თუ დილოიძეს (თუშს). უფრო მოგვიანებით თუშ-ფშაველ-ხევსური მეომრები ივანე ელისბარისძის მეთაურობით გურიიდან დევნიდნენ თურქ დამპყრობლებს! მაუ რატომღა ეპარება ვ. ითონიშვილს ეჭვი და რად უნდა მკითხველი დოკუმენტების წინააღმდეგ დაარწმუნოს, რომ აქვე, ობილისის კარიბჭესთან არ ახლდნენ მეფეს თავისი „უნჯანი ყმანი"?

რით ახსნნება ერეკლე II-ისადმი ამ კუთხეთა მეომრების ასეთი ერთგულება? ხაქმე ის გახლდათ, რომ ისინი უბატონო ხალხი იყო და მხოლოდ მეფეს ემორჩილებოდნენ. მეფეც იცავდა მათ, უნარჩუნებდა ტრადიციულ თავისუფლებას. ისინი საკუთარი საბრძოლო დროშებით გადიოდნენ ბრძოლის ველზეც.

რაც შეეხება ფეოდალთა ხაყმოებსა და ხადროშოებს მათი მებრძოლები თავისი მებატონის ხადროშოსთან ერთად ებმებოდნენ ბრძოლაში და მათთან ერთად მოიხსენიებოდა მათი წარმატებაც და მარცხიც.

ეს ტრადიცია თავს იჩენს კრწანისის ომთან დაკავშირებულ მასალებშიც. ისინი ჩამოთვლისას ცალცალკე ასახელებენ თუშ-ფშაველ-ხევსურებსა და არაგველებს.

ვ. ითონიშვილი განგებ აბუნდოვანებს ამ ნრუ ლად მარტივ საკითხებს: არაგველები არიან არაგვის ხეკრისთაოს (შემდეგ ხაუფლისწულოს) მცხოვრებლები, რომელთა რიცხვი უდავოდ ხამასზე მეტი იქნებოდა, რადგან წერილობითი წყაროების მიხედვით ვახტანგ ბატონიშვილის გუნდში მარტო ორასი ეზნაური ეოფილა თავისი

1 ქსს. ტ. XI. შემდგენელი ქს. სიხარულიძე, 1984. გვ. 57.

1 ქსს. XI. გვ. 118

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხით. თითოეული აზნაურის მხლებლად რომ ხულ მცირე 3-4 მეომარიც ვიყარაუდოთ, — ათას კაცამდე ადის.

ვ. ითონიშვილს ვერ მოაქვს ვერცერთი ხაბუთი, რითაც მკითხველს დაარწმუნებდა, რომ ვახტანგ ბატონიშვილის გუნდში მხოლოდ ხაუფლისწულოს ხამახი მეომარი იყო და სწორედ ისინი არიან კრწანისის ველზე თავდადებულნი.

მაგრამ, რაც მთავარია, ის ორახი არაგველი აზნაურიც ვერ იქნებოდა ვერც მთიული და ვერც მოხევე (მით უმეტეს ფშაველი და ხევსური) იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ კუთხეებში თავად-აზნაურობა ჯერ არსებობდა. ეს აზნაურები თავისი მხლებლებით ქვეყნის საარაგოდან იყვნენ და დუშეთიდან გამოვიდნენ, როგორც გ. ორბელიანი მიუთითებს.

რაც შეეხება იმას, რომ წყაროები ცალ-ცალკე ახახელებენ არაგველებსა და ფშაველ-ხევსურებს, აქაც ხაკითხი ნათელია. ამ შემთხვევაში არაგველებად ხაბატონოს (ჯერ არაგვის ერისთავების, შემდეგ უფლისწულის) ხალხი იგულისხმება, ცხადია, მათ შორის, მთიულები და გუდამაყრელებიც. ხოლო ფშავისა და ხევსურეთის მოხახელობა ხაბატონოში არ შედიოდა. ეს ხალხი ხაუკუნეთა მანძილზე უწევდა მედგარ წინააღმდეგობას არაგვის ერისთავებს და თავისუფლება ბოლომდე შეინარჩუნა. ეს კარგად იცოდნენ მაშინდელმა ისტორიკოსებმა (მათ შორის ბატონიშვილებმა) და ამიტომ მათ ცალ-ცალკე ახახელებდნენ. რა თქმა უნდა, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ფშავ-ხევსურეთში არაგვი და არაგველები არ არიან. ამაზე დავა არასერიოზული კაცის საქმედ მიგვაჩნია, ეს ის არაგვია, რომელსაც ასე ეხათუთებოდა დიდი ვეფ-ფშაველა:

..დაწუხებულმა, ალაგვო,
ოო გმაბე, გაეიხალეო,

ან:

არაგვმა ლაჩტი ალო
ამერანისა რახანი,
ყართანს ყარი მოკვლიჯა,
მტკვარს გადინა ყახანი.

ყართანა ფშაშია, ხოლო მტკვარსაც არაგვი ერთვის და არა თერგი.

ნუთუ მკვლევარს აუცილებლად შიგ ფებები უნდა ჩავდგმევინოთ, რომ ფშავ-ხევსურეთში არაგვის არსებობა დაიჯეროს.

დავუბრუნდეთ კრწანისის ბრძოლის ველს. ზემოთ საკმაო და სანდო ხაბუთები მოვიტანეთ იმის ნათელსაყოფად, თუ ფშაველი და ხევსური მეომრები რა მედგრად, გამორჩევითა და თავგანწირვით მუხრავდნენ მტერს, დიახ, ისინი არაგველებიც იყვნენ და კრწანისშიც დაიღუპნენ.

თუ ახეთივე ხაბუთები (წერილობითი წყაროები, ძველად ჩაწერილი გადმოცემები, სიმღერები) სხვა მთის კუთხეთა მიმართაც გაჩნია ვ. ითონიშვილს, გამოგვიმზეურის ისინი და ხეროდეს, რომ გულწრფელად გაგვიხარდება, თუ არა და რახა მგავს ეს! იგი მთელი ნაშრომის სიგრძეზე წელზე ფეებს იდგამს, რომ რამენაირად უარყოს კრწანისის ომში თუშ-ფშაველ-ხევსურთა მონაწილეობა. ამ მიზნის მიხაღწევად, როგორც დავინახეთ, არ ერიდება არც მთელი რიგი ხაბუთების გვერდის ავლახა და მიჩქმალვას, არც ტექსტების გაყალბებას.

ამ თემაზე ნაშრომის ბოლოს რომ გაამართლოს მკვლევარი ჯერ-ცალად მსჯელობს იმის შესახებ, რომ მთის კუთხეთა შორის, თითქოს „კარგა ხნის მანძილზე გაფთავებული დავა და არაჯანსაღი პოლემიკა სწარმოებდეს". მაგრამ ხად არის ეს პოლემიკა? ვინ „აწარმოებს" მას? ჩვენ ამის მსგავსს არაფერს ვიცნობთ და ამ კუთხობანას თამაშს სწორედ თვითონ ვ. ითონიშვილი იწყებს. იგი არ ფიქრობს იმაზე, რომ შეიძლება პოლემიკაში მის პატრონს უფრო მეტი და დამაჯერებელი ხაბუთები აღმოაჩნდეს იმის ხაწინააღმდეგოდ, რისი ცალმხრივად დამტკიცებაც ასე დაბეჯითებით სურს ვ. ითონიშვილს. მერე და ვის სჭირდება ასეთი ვალპოლემიკა?!

თუ ვ. ითონიშვილი იცნობს ავტორს, ვინც თავის ნაშრომში ცდილობს დამტკიცოს, რომ მთიულები და მოხევეები არამცდაარამც კრწანისის ომში არ მონაწილეობდნენო, ედავოს მას არა და რა ჩანაცვლობანას ამაო თამაში მოუნდა იმ კუთხეთა წინააღმდეგ, რომელთა გმირობის შესახებაც ღაღადებს წყაროები?

ნუთუ ჩვენს დროში ქართველ ისტორიკოს ეთნოგრაფს სხვა საქმე აღარაფერი აქვს გარდა იმისა, რომ კუთხეთა შორის კინკლაობას ჩაუდგეს სათავეში? ხანუჩ არის ესე.

ეთერ თოფურიძე

ფაუსტის სახის გაგებისათვის უილიამ ფოლკნერის შემოქმედებაში

ქართველი მკითხველი ხალმაოდ კარგად იცნობს მეოცე საუკუნის შესანიშნავი ამერიკელი მწერლის, უილიამ ფოლკნერის შემკვიდრეობას. ზოგი მისი რომანი, მოთხრობა, ინტერვიუ თარგმნილია ქართულ ენაზე და მწერლის შემოქმედებაზეც არცთუ ცოტა მასალაა გამოკვლეული. ფოლკნეროლოგია მსოფლიო მასშტაბით უზარმაზარი მოცულობისაა. ამერიკელი პროზაიკოსის შემოქმედების შესწავლას დიდძალი გამოკვლევები ეძღვნა. მრავალი კუთხიდანაა გაშუქებული მწერლის მთელი შემოქმედება, მისი პრობლემატიკა, ცალკეული ნაწარმოებები, ცალკეული საკითხები. კვლევა ამ მიმართულებით ალბათ მომავალშიც არ შეწყდება. თანამედროვე ფოლკნეროლოგია უფრო მეტად დაინტერესებულია მწერლის შემოქმედების კერძო საკითხების შემდგომი სიღრმისეული ანალიზით. ერთ-ერთ ამგვარ კერძო საკითხად უნდა ჩაითვალოს ფაუსტის სახის ფოლკნერისეული ინტერპრეტაცია, რომლის დადგენა გარკვეულ წვლილს შეიტანს ამერიკელი მწერლის რთული შემოქმედების შემდგომი შესწავლის პროცესში.

ფოლკნერის შემოქმედებაში ბევრი მითოსური, ბიბლიური, ფოლკლორული, ლიტერატურული სახე გვხვდება, მათ შორის ფაუსტის სახეც. კარგადაა ცნობილი, რომ ფოლკნერს ფაუსტზე ნაწარმოები არ შეუქმნია, მაგრამ ფაუსტის სახეს მაინც გარკვეული ადგილი დაიკავა მის მხატვრულ ნაწარმოებებში.

მეთექვსმეტე საუკუნეში გერმანიაში გამოკვეყნდა ხალხური თქმულება ფაუსტზე. რომელიც ყოველგვარი ფაუსტური ნაწარმოების პირველწყაროდაა მიჩნეული. შემდგომ საუკუნეებში ამ სახის მხატვრულმა თუ არამხატვრულმა აღქმამ, ლიტერატურულმა თუ ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურმა ინტერპრეტაციებმა მრავალი ცვალებადობა განიცადა. მარლოსა და გოეთეს ფაუსტებმა ხალხური თქმულების ფაუსტი აქციეს განსაკუთრებით რთულ, მრავალნიშნა სახედ. მათ შემდეგ ფაუსტის სახის იმდენნაირი ინტერპრეტაცია წარმოიშვა, რომ ძალაუნებურად ისმება კითხვები: როგორ ეხმის ფაუსტის სახე ფოლკნერს? შეიტანა თუ არა რაიმე სიახლე მის გაგებაში? რომელ ინტერპრეტაციას ღებულობს და ეყრდნობა?

ხავერაუდოა, რომ ფოლკნერი ყველა ფაუსტს უარყოფს გარდა მისი პირველ წყაროსი. ის თითქოს უგულვებელყოფს მარლოსა და გოეთეს ფაუსტებს და უბრუნდება ხალხური თქმულების ბახიათს. მეოცე საუკუნეში ფაუსტის სხვადასხვაგვარი, უცნაური, ზშირად უკიდურესად პარადოქსული გაგებაც გვხვდება, მაგრამ, რამდენადაც ცნობილია, მეოცე საუკუნის ფაუსტის სახის არცერთ შემქმნელს იმგვარი გზა არ აურჩევია, როგორიც აირჩია მათმა თანამედროვემ, დიდმა ამერიკელმა პროზაიკოსმა; ფაუსტის სახის გაგებით ფოლკნერი ყველაზე მეტად მოძველებულ, ფაუსტის სახის გაგების ტრადიციამდელ პოზიციაზე დგას.

ფრანკფურტელი მესტამბის, იოჰან შპისის მიერ 1587 წელს გამოცემულ წიგნში „დოქტორ ფაუსტის ტრაგიკული ამბავი" ფაუსტი წარმოდგენილია როგორც შავი მაგიის მიმდევარი, ცოდვილი, უკეთური, ღვთისგან აშკარად განდგომილი ეშმაკთან დაკავშირებული პიროვნება, რისთვისაც ის ხასტიკ სასჯელს იმსახურებს, მისი სული ეშმაკებს მიაქვთ და ჯოჯოხეთში ხვდება. მაგრამ შემდგომში ფაუსტურმა ლიტერატურამ სწორედ იმიტომაც მოიპოვა ღრმა ფილოსოფიური შინაარსი, რომ მასში გაიშიფრა, გაიხსნა და წარმოჩინდა ფაუსტი „თავისი ეპოქის ტიტანურ სულისკვეთებათა, — თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის მძლე აღმაფრენისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უსაზღვრო შესაძლებლობათა. — გამომსახველ სიმბოლოდ".[1] ფაუსტის ეს სიმბოლური მნიშვნელობა მის ლიტერატურულ სახეს კველგან თან ახლავს, იმ იქცა ტრადიციად, ის იქცა შპიხიეული ხალხური ფაუსტის სახისაგან განსხვავებით ლიტერატურული ფაუსტის სახითის ტრადიციულ გაგებად და სიმახვილისებად. ამას განსაკუთრებით მიუთითებენ ფაუსტოლოგები, მან შორის ქართველი ფაუსტოლოგები და გერმანისტები.

„ფაუსტი. — რენესანსის ეპოქის გერმანული ხალხური თქმულების გმირი. თავისი თანამედროვე ადამიანის შესაძლებლობებით დაუკმაყოფილებელი სწავლული. რომელმაც ყურ „არწივის ფრთები 'შეისხა". მერე კი ხელაც ზებუნებრივ ძალებს, „ბოროტ სულს" მიმართა, რათა „ცისა და მიწის ყველა საფუძველს" წვდომოდა. — მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე ღრმაზროვნული. ყველაზე ეპოლიშობილური. ყველაზე ადამიანური სახე. იგი წარმოადგენს ადამიანის ბუნების უდიდებულეს თვისებას: სრულქმნისაკენ შეგზებულ-ტიტანურ სწრაფვას ანე ეოფიერების არსის შეცნობისა და ხმაყარის ხალეთარ-ადამიანური მიზნებისადმი დამორჩილების ნებას, რომლის ძალითაც კაცი მარტო ბუნების უსრულებს ქმნილებად კი არ იჩენს თავს, არამედ აგრეთვე მის ერთადერთ ნამდვილ მეუფედ, ეგზისტენციალურ შემოქმედად და მბრძანებლად, მისი წინსვლის. პროგრესის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად" იქცევა.[2] — წერს ოთარ ჭინჭარაული.

ფაუსტური ცნება, მიხეილ კვესელავას განსაზღვრით, „ისეთ ზოგად იდეებთანაა გაიგივებული, რომ უკვე ლოგიკური განსაზღვრის წესსაც არ ემორჩილება. კეთილშობილების განვითარებისა და საეროელოთა პროგრესის ეოველ იდეაში ფაუსტურის ნიშნს ეძებენ, ანროკენების ეოველგვარ წინსვლასა. და მიღწევაში — ფაუსტურის ცხებების შინაარსს... ამოიგავ. ფაუსტი ხეეოველთაო პროგრესისა და ეეშმარიტების ძიების კომპლექსური ლიტერატურული სახეა. რომელიც დემონური ბნილ ცდილობს დამძლიოს ადამიანური შეზღუდულობა და მიაღწიოს ყველანისა და პროგენების ხრულეოფას".[3] ნოდარ ეკაბაძის განსაზღვრით. „ფაუსტი მარადიული შემოქმედებითი მაძიებლობის, დაუკმაყოფილებლობის, ეეშმარიტების განუწყვეტელი ძიებისა და შინაგანი გარდაქმნისა თუ განვითარების ხიმბოლოა. შპენგლერის მიხედვით, „ფაუსტური ადამიანი" წარმოადგენს შემეცნებისა და მოქმედების მეშვეობით საბოლოო მიზნამდე მივი მისწრაფების განსახიერებ[illegible]

ფოლკნერის ფაუსტი არც ერთი ზემოხსენებული მაღალი ადამიანური თვისებების მატარებელი არაა. ის არც მოაზროვნეა, არც შემოქმედებითი მაძიებელი, ფოლკნერი ფაუსტს აღიქვამს მხოლოდ მორალური. პოზიციიდან. ფოლკნერი კაცობრიობის ხსნის გზას ეძიებს არა ინტელექტში. არამედ ზნეობრივ განწმენდასა და ხრულეოფაში. მას ადამიანი პირველ ეოველისა ინტერესებს როგორც ადამიანური ვნებათა და ზნეობრიობის განსახიერება და არა როგორც ინტელექტუალური პიროვნება. ფოლკნერის გმირები არ არიან ინტელექტუალური გმირები, მის ხასიათთა შორის ხშვეობას ეძნის არა ინტელექტუალური მისწრაფებანი, არამედ გრძნობათა, ვნებათა, ხასიათთა მიდრეკილებანი. ლტოლვები, ინსტინქტები, განცდათა ხამყარო, ადამიანთა შორის ურთიერთობანი. ადამიანის მიმართება ღვთთან, ხაზოგადოებასთან. ცხადია ამ. გვარ ურთიერთობათა პრობლემა მოიცავს ხოციალურ პრობლემატიკასაც. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხოციალურ-ისტორიული პრობლემატიკა ფოლკნერთან მნიშვნელოვანია იმდენად რამდენადაც ზნეობრივს ეკვემდებარება. მოვარია თვით ზნეობრივი. ამიტომ ფოლკნერი უგულებელყოფს ფაუსტის ინტელექტუალურ პოტენციალს. ფაუსტს გამოცლილი აქვს ინტელექტუალურ ნების მმართ. ხოლო ფაუსტი ინტელექტის სარეში, ე. ი. შემოქმედებითი პოტენციალის, ხეეოველის ეეშმარიტების შემეცნებისათვის სწრაფვისა და ხრულქმნის ძიების გარეშე. ცხადია წარმოგვიდგება უბრალოდ ცოდვილ ადამიანად. რომელმაც ეოველგვარ ცოდვათა ხასიათად ამ შეუზღუდავი მოქმედებისათვის სული დაეღვრ ეშმას. უარი თქვა ეოველგვარ ხიკეთეზე.

ამგვარად, ფოლკნერის ფაუსტი უფრო მეტად ეარეოფით გმირად გამოიყურება. რადგანაც მან უარყო ქრისტიანული მრწამსი, დაკარგო ღმერთი. ამდენად ადამიანური ხიკეთე. და მაღალი მორალი.

ფაუსტის სახე ფოლკნერის ნაწარმოებებში გვხვდება შედარების ან ალუზიის სახით, რომელიც უშუალოდ ეპითეტში შეიძლება იყოს გადაზრდილი. ხაზოგადოდ მეოცე ხაუკუნის ლიტერატურისათვის. მათ შორის ფოლკნერის პროზისთვისაც, ნიშანდობლივია მითოსურ, ბიბლიურ. ფოლკლორულ. ლიტერატურულ მოტივთა და სახეთა, ისტორიული ფაქტების ტრაპელი გამოყენება. განსაკუთრებით მეტაფორებსა, შედარებებსა და ალუზიებში სახეთა ოდენა. დაცულია თუ არა გამოყენებულ სახეთა ანრობრივი მნიშვნელობა, მათი შინაარსი? მისახალოდნელია, რომ ისინი თავიანთი გარკვეულ

---

1 ო. ჭინჭარაული. გოეთეს შემოქმედებითი გზა. — თბ.: საბჭოთა საქართველო, 1968. — გვ. 265.

2 იქვე, გვ. 259.

3 მ. კვესელავა. ფაუსტური პარადიგმები. წიგნი პირველი. — თბ.: საბჭოთა საქართველო. 1981. — გვ. გვ. 27, 51.

---

1 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 10. — თბ., 1988. — გვ. 249.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილი მნიშვნელობით გადავა მხატვრულ ტექსტში, ვთქვათ, შედარებისა თუ ალუზიის სახით. ეს უმეტესად ასეც ხდება. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ტროპული გამოყენების პროცესში სახეთა მყარმა მნიშვნელობამ განიცადოს მოდიფიკაცია და ახალი შინაარსითაც დაიტვირთოს, რადგანაც ავტორი, რომელიც მათ მიმართავს, თავად გამოდის მკითხველის, რეცეპტორის როლში და იძლევა ამგვარ სახეთა სუბიექტურ ინტერპრეტაციას, ხშირად მათ თავისუფლადაც ეპყრობა და უფარდებს თავის ჩანაფიქრს. ეს პროცესი უველაზე მეტად შეინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც სახე თავისთავად მრავალნიშნაა, მრავალფენოვანი. მაგრამ მწერალი ირჩევს და ეყრდნობა ერთ რომელიმე გარკვეულ მხარეს, გარკვეულ აზრობრივ შრეს, მას ამძაფრებს და უფარდებს თავის ჩანაფიქრს. სახის ამგვარი ცალმხრივი გაგებაც თავისებურ მოდიფიკაციად შეიძლება ჩაითვალოს. გავრცელებული, ცნობილი მხატვრული სახის თავისუფალი, ცალმხრივი გაგების, მეტიც, მოდიფიკაციის ნიმუშია ფოლკნერის შემოქმედებაში უჩვეულოდ გააზრებული ფაუსტის სახე. ფოლკნერის ფაუსტი ერთნიშნაა და მისი მნიშვნელობა შეევიწროებულ-შემოზღუდულია. მახვილი შეგნებულად გადატანილია მხოლოდ ფაუსტის მორალურ არსზე.

ტრადიციულ მითოსურ-ლიტერატურულ სახეთა მოდიფიკაციის შემჩნევა და ამოცნობა მხატვრულ ნაწარმოებში შესაძლებელია კონტექსტუალური, სახეთა პარალელური ანალიზის მეთოდით. ეპითეტში, მეტაფორაში, შედარებასა თუ ალუზიაში. ნებისმიერ ტროპში მწერალი შეგნებულად ლოგიკურად ირჩევს გარკვეულ მითოლოგიურ, ბიბლიურ, ფოლკლორულ, ლიტერატურულ თუ ისტორიულ სახეს თავისი მხატვრული ნაწარმოების ან მისი რომელიმე ეპიზოდის ან გმირის და ა. შ. რაობის გასაშიფრად, გასაზრებლად, განზოგადებული მნიშვნელობის გამოსაკვეთად. ამავე დროს, მწერლის მიერ შერჩეული სახე ეფარდება და კიდეც ეკვემდებარება იმავე მხატვრული ქმნილების, ეპიზოდის, გმირის მნიშვნელობას. ამიტომ, ამ მნიშვნელობიდან უკუსვლა შედარება-განზოგადების მიზნით მწერლის მიერ ემპირული მახასიათებლის პარალელურად შერჩეული სახისაკენ სახეშეალებას იძლევა დადგინდეს, როგორაა აღქმული, გაგებული თუ შეცვლილი მითოსურ-ბიბლიური, ფოლკლორული თუ ლიტერატურული მოდელი და სახე მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებში. ამგვარი „უკუსვლის" მეთოდით შეიძლება დადგინდეს, თუ როგორაა გაგებული ფოლკნერის მიერ ფაუსტის სახე.

ფოლკნერის „აგვისტოს ნათელში" ფაუსტის სახე მხოლოდ ერთგანაა მოცემული: „ბებერი, მაგრამ, ფერმაში გაჩენილი ცხენი სახლისკენ ნელა-ნელა ჯერით-ჯერითით მტკიცედ მიდიოდა. მის ზურგზე უმაწვილი მსუბუქად ამოდენილიყო. ოდნავ ირწეოდა. ნინა [illegible] ალბათ იმ დროს ფაუსტივით სიხარულით იყო ატაცებული, რადგან უველგვარი მცენებანი ერთხელ და სამუდამოდ დაჰგმო. პატიოსნება და კანონისაგან სამოლოდ განთავისუფლდა. მოძრაობის დროს ცხენის იფლის მძაფრი სამო სუნი ცხვირში სცემდა. გოგირდისებური: უჩინარ ქარს მოაქონდა. მან ხმამაღლა წამოიძახა: „მე ეს მაინც გავაკეთე! მაინც გავაკეთე! აკი ვეუბნებოდი, ამას გავაკეთებ-მეთქი!"

უველგვარი ახსნა-განმარტების გარეშეც ნათელია, რომ ამ ეპიზოდში ფაუსტის სახე გამოყენებულია შედარების მიზნით. აშკარად ჩანს, რომ ფოლკნერის აზრით, ფაუსტი ის კაცია, რომელიც დიდი ზეიმით შეხვდა სატანასთან დადებულ ხელშეკრულებას, მის ხიბრულს საზღვარი აღარა ქონდა, როცა მან ერთხელ და სამუდამოდ დაჰგმო საუფლო მცენებანი: „არა-კაც-ქალა", „არა იმრუშო", „არა იპარო", „არა ცილი სწამო მოყუასსა", „არა..." და სხვა. პატიოსნებაზე, კანონიერებაზე, ადამიანურ მორალზე ერთხელ და სამუდამოდ ხელი აიღო. მოიხსნა უველგვარი პასუხისმგებლობა სხვების მიმართ, ადამიანთა მოდგმის წინაშე. ფაუსტის სახის ამგვარი სწორხაზოვანი გაგება მტკიცდება თვით რომანის შინაარსიდან და იმ კონკრეტული ეპიზოდიდან, სადაც ის შედარებაშია მოტანილი.

„აგვისტოს ნათელი" (1932 წ.) უილიამ ფოლკნერის კარგად ცნობილი „იოკნაპატოფას" ციკლის ერთ-ერთი ცენტრალური ნაწარმოებია და არა მარტო მწერლის ხაუკეთესო რომანების სერიას მიეკუთვნება, არამედ მეოცე საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთ შედევრადაცაა აღიარებული. „აგვისტოს ნათელი" უაღრესად რთული ნაწარმოებია. ამ ხორთულესა ქმნის სამი ურთიერთდამოუკიდებელი ძირითადი სახითი, სამი თავგადასავალი, სამი ურთიერთ მკვეთრად დაშორებული სიმძიმის ცენტრი. ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ ეს რომანი შედგება სამი ურთიერთგანსხვავებული რომანის სინთეზისაგან. „აგვისტოს ნათელში" ურთიერთგადახლართულია და ამავე დროს ერთმანეთისგან გამიჯნულიც ჯო ქრისტმასის ტრაგედია, რომანტიკულ-ინტელექტუალური გეილ ჰაიტაუერის ცხოვრების გზა და ლინა გროუვის კომიკურ-გროტესკული თავგადასავალი. მაგრამ ჯო ქრისტმასის ტრაგედია უნდა იკნეს მიჩნეული რომანის მთავარ ღერძად.

ჯო ქრისტმასი არა მარტო „აგვისტოს ნათელის" ტრაგიკული სახითია, არამედ ფოლკნერის ტრაგიკულ სახითთა შორის უველაზე მეტად ტრაგიკული გმირია. ის რთული და გართულებული სახითია: სახტიკი ბორტმოქმედია და უმოწყალო მხვეერპლიც. ფოლკნერისლოგე-

ბი მას ხშირად „განტევების ვაცს“ უწოდებენ. ქრისტმახი ტრაგიკულია არა მარტო როგორც მსხვერპლი, „განტევების ვაცი“, არამედ როგორც ბოროტმოქმედიც. გარემომ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ვითარებათა ჯაჭვმა, კონკრეტულად რახობრივმა ცრურწმენამ ის აქცია უბედ. სასტიკ, ამორალურ პიროვნებად, მკვლელად და ულმობელ ბოროტმოქმედად. მაგრამ მას მიეზიდა საშინელი სასჯელიც. მას კლავენ, ის იღუპება თავისებური მოწამეობრივი სიკვდილით. რაც ჯვარცმის, წამებისა და განწმენდის დონემდეა აყვანილი. სწორედ ამ თვალსაზრისით მკვლელი და ბოროტმოქმედი ჯო ქრისტმახის სახე გაიგივებულია ქრისტეს სახესთან. ავტორმა ამავე თვალსაზრისით უწოდა მას „ქრისტმახი“, რაც ინგლისური ქრისტეშობის დღის დასახელებიდან მომდინარეობს.

ნიშანდობლივია ფაუსტის სახის ალუზია მთელი ნაწარმოებისა და კონკრეტულად ჯო ქრისტმახის სახიათის კონტექსტში. რაც მოწმობს, რომ ფაუსტი ფოლკნერის წარმოდგენით ანტიქრისტეს უთანაბრდება. მორალურ მრწამსთა უარყოფის, სისასტიკის, დაუნდობლობის, დანაშაულისა და ბოროტმოქმედების დაშვებისა და გამართლების განსახიერებაა. ფაუსტის სახის ასოციაცია ჩნდება სწორედ იმ ეპიზოდში, რომელშიც ჯო წარმოდგენილია არა როგორც მსხვერპლი, „განტევების ვაცი“, არამედ როგორც ანტიქრისტე. ყოველგვარ მორალურ პასუხისმგებლობაზე ბელადებული, რომელმაც პირველად გადადგა ნაბიჯი დანაშაულისაკენ, პირველად ჩადინა მკვლელობა.

უპატრონო ბავშვთა სახლიდან წამოყვანილმა ჯო ქრისტმახმა მაკიერნის სახლში მიიღო მკაცრი კალვინისტურ-პურიტანული აღზრდა. მაკიერნის რელიგიამ შთაგონა მას პასუხისმგებლობის გრძნობაც. თვითგანკითხვის, ცოდვის გრძნობაც, ამასთან ერთად სისასტიკეც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჯო ბოლომდე დეემორჩილა კალვინისტურ რელიგიურ წვრთნასა და დოგმატიზმს. ამას მოწმობს ზსენებული ეპიზოდი. დავაუკაცებულმა ჯომ მალე უარყო მაკიერნის სამყარო. მისგან მიღებული მკაცრი რელიგიური აღზრდიდან ჯოს გამოუმუშავდა სასიათის სიმტკიცე, სისასტიკე, სიმკაცრე, რომელიც მიმართა იმავე რელიგიის წინააღმდეგ: კალვინისტურ-პურიტანული სიმკაცრე და სასასტიკე ჯო ქრისტმახს გამოადგა იმავე რელიგიის უარსაყოფად. ამავე დროს სიმკაცრე-სასასტიკემ ჯო აქცია შეუპოვარ დაუნდობელ პიროვნებად (ამის მიზეზი ხაძიებელია აგრეთვე თვით ჯოს ბედიღბალში, რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჯოს ხავერაუდო ზანგურ წარმოშობას. ზანგურ სისხლს, მაგრამ მაკიერნთან დაკავშირებით ეს არაა მთავარი). მან არ დაინდო აღმზრდელი მაკიერნი.

უმაწვილკაცობაში შესულმა ჯომ დაიწყო ღამ-ღამობით ფერმიდან გაპარვა. დროს სატრიბელად სახლიდან ფულის გატაცება. [illegible] ლოვდა ერთ-ერთი კაფეს მკვიდრ, [illegible] პერნმა, შენიშნა თუ არა ზვილობილის [illegible] რი საქციელი. ერთ მშვენიერ დღეს ფეხდაფეხ მისდია და საცეკვაო მოედანზე თავს წაადგა. ჯომ მაშინვე უყოყმანოდ სკამი დასცხო და ისე ძლიერად დასცა, რომ მაკიერნმა იქვე სული განუტევა. ჯო უსინანულოდ მოაჯდა მამისეულ ცხენს და ფაუსტივით განთავისუფლებული მორალური პასუხისმგებლობისგან, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე აუღელვებლად გაეცალა იქაურობას. აღმზრდელი მამობილის მაკიერნის მოკვლით ჯო ქრისტმახმა მტკიცე პროტესტი გამოუცხადა რელიგიურ აღზრდასა და მორალს. ამ კონკრეტულ ეპიზოდში, გასაგებია, ჯო იმდენადაა შედარებული ფაუსტთან, რამდენადაც მან, ისე, როგორც ფაუსტმა თავისუფლება. მოკმედების შეუზღუდობა, დანაშაულის ჩადენის უფლება მოიპოვა რელიგიის უარყოფით, საუფლო მცნებათა, სათნოების, სიკეთისა და მორალის კატეგორიული უკუგდებით. ასე ეხმის ფაუსტური სახიათი ფოლკნერს „აგვისტოს ნათელში“. ფაუსტის სახის ამგვარი გაგება არსებითად უცვლელი რჩება „აბესალომ, აბესალომში!“.

„აბესალომ, აბესალომის!“ მთავარი სახიათი, ტრაგიკული გმირი ტომას სატპენი გაიგივებულია ფაუსტის სახესთან. „იოკნაპატოფას“ ციკლის არანაკლებ მნიშვნელოვანი რომანია „აბესალომ, აბესალომ!“ (1936 წ.), რომელიც „შუაგულ სამხრეთის“, ე. ი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ შტატების სოციალურ-ისტორიული ვითარებისა და პრობლემატიკის ენციკლოპედიად შეიძლება ჩითვალოს. მისი მთავარი თემაა სამხრეთული პლანტატორული ოჯახის, სატპენების ტრაგიკული აღსასრული.

„აბესალომ, აბესალომ!“ მდიდარ კონკრეტულ ისტორიულ მასალას, ეპიზოდებს, მოვლენებს, მთელ პერიოდებს მოიცავს. მისი მოქმედების დრო ამერიკის სამოქალაქო ომამდელი, თვით ომისა და უშუალოდ ომის შემდგომი პერიოდებია. და მაინც, „აბესალომს“ ისტორიული რომანის ეანრს ვერ მივაკუთვნებთ და მით უფრო „ღრმა“, ანუ „შუაგულ“ სამხრეთზე ვიწრო რეგიონალური სახიათის რომანად ვერ მივიჩნევთ. ამის უფლებას არ იძლევა ის დიდი განზოგადებები, რომელთა გამოც „აბესალომ, აბესალომ!“ ითვლება არა მარტო ამერიკულ, არამედ მეოცე საუკუნის ერთ-ერთ შედევრად.

„აბესალომ, აბესალომ!“ ზოგადი აზრით მორალურ-ფსიქოლოგიური სახიათის დრამაა. სამხრეთელი პლანტატორის, ტომას სატპენის სახით ნაჩვენებია ზოგადად მუმანურობის უკუგდება, მორალური სიბეცე, ადამიანის ტრაგიკული დაცემა. პატივმოყვარული ზრახვებით შეპყრობილმა ტომას

ხატეანმა დაიკიწყა, უარი თქვა იხილ ჩვეულებრივ ადამიანურ გრძნობებზე. როგორიცაა თანაგრძნობა და სიყვარული და ამგვარად ხელუთარ შვილთა შორის დათესა შუღლი და მტრობა. ერთ-ერთი მათგანი, მიბლიერი ანელილმიგეთ, ძმის მკვლელად აქცია და, როგორც ძველს მითებსა და ლეგენდებშია მოთხრობილი ბოლმე, აქაც ძმათა კვლას მოპყვა ხატეანის ხახლის გაპარტახება და მის მემკვიდრეთა ხაზარელი, ფატალური აღსასრული.

ტომას ხატეანისა და მისი საგვარეულოს ამოწყვეტა პირობადებულია თვით ტომას ხატეანის ხასიათით: ყოველი გმირი მისი ბახიათის ბრდეულია მოკცეული, ყოველი მათგანი ეწირება მის ფსიქიურ წყობას. მის მისწრაფებას. მის ე. წ. „პროექტს". — ამ „პროექტის" თანახმად ხატეანს ხურდა შეექმნა ძლიერ პლანტატორთა მოდგმა, ლაძის საბეფო დინასტია. — მის დაწმაულს, ცოდვას, ანუ მის მიერვე შეუცნობად „შეცდომას".

ტომას ხატეანის ცხოვრების კონცეფცია ეყრდნობა პლანტატორული კლასის ანტიუმანურ მორალსა და მიზნებს. ამიტომაც, ხატეანი, თავად გმირული შეგარეთებისა. მაგრამ მიამიტი, ბულუბრუკილო ადამიანი ბრძად ეფიარება ამ მორალს, იმუშავებს მის თანახმად მომზეული „პროექტს". ოგივე თავისი ცხოვრების კრედოს, რომელიც ჭეშმარიტი ადამიანურობის თვალსაზრისით შეიცავს „შეცდომას" (ხატეანი თავად ხაგონებელში ვარდება, ვერაფრით ვერ ხვდება ამად დაუშვა „შეცდომა"), ანუ ცოდვისა და ხაზარელ დანაშაულს. ამ „პროექტისა" და „შეცდომის", რომლებიც ფაქტიურად ერთი და იგივე. ფესვები ღრმად მიდის პლანტატორული ხაზხვეთ შეტრეების სოციალურ და ისტორიულ ხალმეებში.

ხატეანის ტრაგედია ისაა, რომ მას არ შეხვედრია განცდის უნარი, არ გააჩნია გრძნობა, — ეროვნული ... ეწინააღმდეგება მის „პროექტს", — ვერ ხედავს ამჩნევს გრძნობას. ის ეფორჩილება ახსტრაქტულ იდეას, ის ცივი რაციონალისტია, რაც წარმოშვა ყველა მისი დანაშაული და უბედურება. მაგრამ ხატეანი ამავე დროს თანაგრძნობასაც იწვევს. ის თავად უბედურია. ტრაგიკულია თავისი გულუბრყვილობით და სწორხაზოვანი აზროვნებით, ცივი რაციონალიზმით. მას არ ესმის, თუ რა შეცდომას უშვებს. ის იმდენად შეპყრობილია თავისი მიზანსწრაფვით, თავისი „პროექტით", რომ ვერ ხედავს საკუთარი დანაშაულის მიზეზს და იმდენად ყველა თავის დანაშაულს უნებურად კიდეც ამართლებს.

ნიშანდობლივია ის, რომ ფოლკნერი ტომას ხატეანს მაშინ უწოდებს ფაუსტს, მაშინ ადარებს ფაუსტს, როცა ცდილობს განაკეთებდეს წარმოაჩინოს ხატეანის ბოროტებანი, მისი ხასიათის დანაშაულებრივი მხარეები ფაუსტის ხახეს მეტაფორად თუ ეპითეტად ავტორი იშველიებს მხოლოდ და მხოლოდ [illegible] მას. ხატეანი-დემონის, [illegible] ხახის გასაძლიერებლად და გამოსახატავად. კონკრეტულად ხატეანი ფაუსტად იხსენიება იმ მონმენტში ავტორი ხატეანს ფაუსტს უწოდებს მაშინ, როდესაც რომანში მთხრობელთა პირით გადმოცემულია ხატეანის დანაშაულები და გამორჩეულად მისი ბოლო დანაშაული.[1]

ხამოკალაქო ომის დამთავრების შერე გაკოტრებული პლანტატორი, დამარცხებული ხანდაზმული პოლკოვნიკი ტომას ხატეანი დაუბრუნდა თავის გაფერანებულ ხახლ-კარს, ხადაც მისივე წყალობით არც ცოლი დაუხვდა და აღარც მემკვიდრე. მაშინ მან ცოლის დას როზას შესთავაზა ცოლად გამეოლოდა, ოღონდ მას ხატეანმა შეურაცხმყოფელი ულტიმატუმი წაუყენა, მხოლოდ იმ პირობით შეირთავდა, თუ მემკვიდრეს ვეფს გაუჩენდა. ამ წინადადებით შეძრწუნებულმა როზამ ხამუდამოდ დატოვა „ხატეანის ახიანი" და ამიერიდან მის ოჯახს არ გაკარებია. ხატეანის ბოლო ცდაც, როგორმე მემკვიდრე გეჩინა, კვლავ მისი ხამარცხვინო დანაშაულებრივი ხაქციელით დასრულდა. უკვე ხამოცი წლის ასაკს გადაცილებულმა ტომას ხატეანმა აცთუნა მის მიწაწყალზე შეხიზნული ღარიბ-ღატაკი უმწეო თვინერი მისი ბრძად მორჩილი უოშ ჯონზის ერთადერთი შვილიშვილი, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის მილი, რომლისგანაც ქალიშვილი შეეძინა. ეს კი ეწინააღმდეგებოდა მის „პროექტს". მას მემკვიდრედ უსათუოდ ვაჟიშვილი ეხაჭიროებოდა. ამიტომ ხაკუთარი ბოლო შვილიც უარყო (მან თავისი პირველი შვილიც, ჩარლზ ბონიც უარყო. რაცა შეიტყო, რომ მას ზანგის ხისხლი ერია). ამჯერად მთავარი ის არაა, რომ უოშ ჯონზმა პოლკოვნიკ ხატეანს თავი ნამგლით გაუპო და იქვე ხიცოცხლეს გამოახალმა, შვილიშვილი ახლადშობილ ბავშვიანად ამოწყვიტა და თვითონაც დაიღუპა. მთავარია ის, რომ სწორედ ხატეანის ამ უკანასკნელ დანაშაულთან დაკავშირებით, რომელთან ერთად მოხსენებულია მისი წინა დანაშაულებიც, ჩნდება ფაუსტის ალუზია. რომ ყველა ეს დანაშაული ჩაიდინა ხატეანმა, ანუ „დემონმა", „ბელზებულმა", „ფაუსტმა", მეტიც, მთხრობელი უკვე ხატეანს მის კუთვნილ ხახელს აღარ უწოდებს, არამედ მას იხსენიებს ამ ეპითეტებით. ხატეანზე ამბობს — „ეს ფაუსტი", „ეს დემონი", „ეს ბელზებული". ნიშანდობლივია ისიც, რომ ფოლკნერი ერთ მწკრივში აყენებს ბელ-

1 ე. ფოლკნერი. „აბესალომ, აბესალომ!" თარგმანი ზაურ კოლაძისა „საუნჯე", — 1987 — № 3 — გვ. 149-152.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებულს,[1] ანუ ეშმაკთა მთავარს, სატანასა და ფაუსტს.

ფოლკნერის მთელს შემოქმედებაში ფაუსტის სახის გაგება უცვლელად ერთნაირია. ამას მოწმობს მისი უკანასკნელი რომანი „გამტაცებელნი" (1962 წ.), რომელიც „აგვისტოს ნათელიდან" და „ახალგაზრდობიდან!" დაახლოებით სამი ათეული წლის შემდეგ შეიქმნა.

„გამტაცებელნი" ფოლკნერის ყველაზე ნაკლებ ცნობილი რომანია. ის არც ფოლკნერული მხატვრული ექსპერიმენტულობით გვაოცებს, არც ტრაგიკული კოლიზიებითა და დრამატიზმით. ეს წაწარმოები უფრო მსუბუქ კომიკურ-სენტიმენტალურ სტილშია დაწერილი, ადრეული დიკენსის ნაზი იუმორით შეფერილ რომანებს მოგვაგონებს ბავშვების თავგადასავლებით, ხიკეთისა და ბოროტების ჭიდილით, ბოლოს მშვიდობიანი დასასრულითა და ხიკეთის გამარჯვებით.

„გამტაცებელნი" არ სცილდება იოკნაპატოფას ოლქის გეოგრაფიულ საზღვრებს, მის ადმინისტრაციულ ცენტრს ჯეფერსონს. იოკნაპატოფას მკვიდრთა სამყაროს, აქ გვხვდებიან იოკნაპატოფას ნაცნობი გმირებიც ფოლკნერის ზხვა რომანებიდან და მოთხრობებიდან და უველაფერი ეს გარკვეულ ფოლკნერულ სულისკვეთებასა და მიმზიდველობას უნარჩუნებს ამ ნაწარმოებს. რომანი გარკვეულად ავტობიოგრაფიული ბასიათისაა, მასში თვით უილიამ ფოლკნერის მშობლიური კერა, გარემო და ბავშვობაა აღწერილი. რომანი ოპტიმისტური ხასიათისაა. მეტიც, თავისი მშვიდობიანი ბედნიერი დასასრულით პოლივუდის ერთ დროს სახელგანთქმულ ფილმებსაც მოგვაგონებს მათი ბედნიერი დასასრულით. სავარაუდოა, რომ ამ რომანის ატმოსფეროზე თავისებური გავლენა მოახდინა ჰოლივუდში ოცდაათიანელებში ფოლკნერის მუშაობამ სცენარისტად და იქ გატარებულმა წლებმა.

რომანი „გამტაცებელნი" ყველაზე მეტად მარკ ტვენის „პეკლბერი ფინის თავგადასავლის" უშუალო მემკვიდრედ უნდა ჩათვალოს. ამას თვით ფოლკნერიც მიგვანიშნებს. „გამტაცებელნში" მწერალი კვლავ უბრუნდება მის ადრეულ ნაწარმოებებში არცთუ იშვიათად ნამოკრილ ისეთ ხალითებს, რომლებიც ბავშვის ცხოვრებაში გასვლას, ცხოვრებისეული გამოცდილების მიღებას, ბავშვობის, ავნისა და კარგის პირველად შეგრძნებას, გაგებას და გარჩევას, ბიკის დაკაცებას.

„გამტაცებელნი" დაწერილია მოგონებების სახით. ეს რომანის ყველასათაურშივეა მითითებული — „მოგონება". სამოცი წლის ასაკს ავსებდა გადაცილებული ლუშიუს პრიხტი შვილიშვილებს მოუთხრობს თავის ბავშვობას, იხსენებს ერთ მეტად მნიშვნელოვან და მისთვის სამუდამოდ დაუვიწყარ თავგადასავალს, რომელიც მას გადახდა თერთმეტი წლის ასაკში. ეს არის მანქანის გატაცების ამბავი. ლუშიუს პრიხტის მოგონებებს, კონკრეტულ ამბებსა და სიტუაციებს თან ახლავს გამოცდილი, მრავლის მომსწრე, ცხოვრებაში ჩაბედული და ჩაკვირვებული ლუშიუსის შეფასებანი და თვალთახედვა. ამ ავტობიოგრაფიულ რომანში კვლავ ჩნდება ფაუსტის სახის ასოციაციები. ისინი უკვე ხანდაზმულ ლუშიუს პრიხტს ან იგივე ხანდაზმულ ფოლკნერს ეკუთვნის. ფაუსტის სახისადმი მიბრუნება ამ უკანასკნელ რომანში კიდევ ერთხელ ადასტურებს მწერლის დიდ ინტერესს ფაუსტის — ამ ღრმად მორალურ-ფილოსოფიური ხასიათისადმი. რომანში ფაუსტის სახე გამოჩნდება იმ მომენტში ბოლმე, როდესაც ავტორი ცდილობს თავისი გმირის ხასიათისა და განცდებს მისცეს მორალურ-ფსიქოლოგიური შეფასება. მეტიც, ნიშანდობლივია ისიც, რომ ფაუსტის ასოციაცია თავს იჩენს სწორედ მაშინ, როცა პატარა ბიკის დანაშაულის განცდის, ცოუნებისა და ცოუნების კერძოძლეკის განცდები ფსიქოლოგიური პროცესებია გადმოცემული.

თერთმეტი წლის პატარა ლუშიუსს სამშობლოში ჭეშმარიტად ჭენტლმენური, კეთილშობილური აღზრდა აქვს მიღებული. ის გონიერი ბავშვია, უკვე ჩამოყალიბებული აქვს პასუხისმგებლობის, მოვალეობის, კეთილსინდისიერების გრძნობა. მაგრამ ბავშვურადვე აძყვა ბუნის ცოუნებას, რომ პაპამისის მანქანა გაეტაცათ. ამ ცოუნებას ის უწოდებს „არასათნოებას". მის წინაშე წარმოიშვა საზარელი დილემა: ეცოდა თუ არ ეცოდა, „სათნოება" აერჩია თუ „არასათნოება", ჩაედინა დანაშაული თუ არა. ერთ-ერთ მომენტში ცოუნებამ გადასძლია, გადასძლია იმდენად, რომ აირჩია „არასათნოება", კატეგორიულად გადაწყვიტა კიდეც ეცოდა და კიდეც ჩაედინა დანაშაული. ეს გადაწყვეტილება მიიღო თუ არა, მაშინვე ყოველგვარ მეოცნებეობაზე უარი განაცხადა და ბუნაზე უფრო მტკიცედ უეცუმანოდ დაადგა დანაშაულის ჩადენის გზას. ამით მან ერთგვარი აგზნება, აღტაცება, ხიბარული იგრძნო. ხანდაზმული ლუშიუს პრიხტი თავის ამ ბავშვურ ატაცებას ადარებს ფაუსტის ხიბარულს, აგზნებულ მდგომა-

1 ბელზებული, ეშმაკთა მთავარი, „ბიბლიური სახეა (იხ. მათე. 12, §24; მარკოზ, 3, §22; ლუკა, 11, § 15-19). რენესანსის ეპოქის ცხობილი ინგლისელი დრამატურგის ქრ. მარლოს (1564-1593) პიესაში „დოქტორ ფაუსტის ტრაგიკული ისტორია" ბელზებული მეფისტოფელს ხშირად ახლავს. ფაუსტი მას მიჰყავს ჯოჯოხეთში. ჯონ მილტონის (1608-1674) „დაკარგულ სამოთხეში" ბელზებული გვხვდება სატანას გვერდით დაცემული ანგელოზთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეობას იმ მომენტში, როცა ფაუსტმა უყოყმანოდ აირჩია ღვთისმგმობელობა, გზა ჯოჯოხეთისაკენ. დანაშაულებებისაკენ: „მე ბუნებით მიკვირს ფიდი. ყოველ შემთხვევაში შემდგომი ნაბიჯის გადადგმისას მე უფრო მზად ვიყავი დანაშაულის ჩასადენად. — იგონებს ხანდაზმული ლუშიუს პრიხტი თავის ბავშვურ განცდებს. — მე უფრო მტკიცე ვიყავი, ვიდრე ბუნი. მივხვდი, რომ უცებ იმგვარმა ხულითხორცამდე მწველმა გზნებამ ამიტანა, როგორიც ალბათ ფაუსტმა განიცადა: რომ ჩვენს ორთა შორის, განწირულთა და უკანდაუბეველთა შორის მე ვიყავი ბელადი, გამგებელი, მფლობელი". როგორც ვხედავთ, ლუშიუს-ფოლკნერის აზრით, მას მერე, რაც ფაუსტმა ეშმაკისათვის ხულის გაცემა გადაწყვიტა, ანუ დანაშაულებრივ გზას მტკიცედ დაადგა, მან ერთგვარად ძალის მოზღვავება იგრძნო და არნახული სიხარულის გზნებამ აიტაცა. ეს მომენტი მოგვაგონებს „ფაუსტურ" ეპიზოდს „აგვისტოს ნათელიდან", როცა მამობილის მაკიბერნის მოკვლის მერე, დანაშაულის ჩადენის მერე, ყოველგვარი პასუხისმგებლობის მოხსნის მერე ჯო ქრისტმასი ფაუსტივით გალაღდა და არხეინად, აუჩქარებლად მოაჯდა ცხენსა და თავის გზას დაადგა.

მორალური დანაშაულიდან ფაუსტის უკანდაუხევლობა და გამოუსწორებლობა რომანში სხვა ეპიზოდთან დაკავშირებითაც მეორდება. ეს ეპიზოდი შემდეგია: ზანგი მსახური ქალი, დეიდა კოლი ქრისტების ბავშვებთან ერთად — მათ შორის ლუშიუსიც არის — ბუნს მანქანით მიმყავს ნათესავებთან. ლუშიუსი გაიფიქრებს, რომ ადვილად შეიძლებოდა ამ მომენტის გამოყენება გახაკცევად და მერე ბუნთან ერთად მანქანის გატაცება. მაგრამ გაქცევის ეს ვარიანტი მხდლურ საქციელად, ხულმოკლეობის გამოვლენად ეხახება. მას არ ხურს ბოლომდე დაიღუპოს, არ უნდა დარჩეს ბოლომდე წაწყმედილ მატყუარა პიროვნებად. არ უნდა „იყოს ისეთი შეუცვლელი და გამოუსწორებელი, როგორადაც ფაუსტი იქცა". ე. ი. პატარა ლუშიუსს არ ხურდა თავის დაცემაში, დანაშაულის ჩადენაში იმგვარ ურყევ და გამოუსწორებელ პიროვნებად დარჩენილიყო, როგორადაც ხანდაზმულ ლუშიუსს ფაუსტი ეხახება. შემდგომში ლუშიუსი ანერხებს ბუნთან ერთად მანქანის გატაცებას ნაკლებ შეხამჩნევი [illegible] დანაშაულებრივი გზით და [illegible] რად ეს არაა მთავარი. ზემო[illegible] დი კვლავაც მოწმობს, რომ მორალური დანაშაული და გამოუსწორებლობა ფოლკნერს ფაუსტის ხახიათის ერთადერთ ნიშანდობლივ თვისებად მიაჩნია. ხამწუხაროდ მის შემოქმედებაში ფაუსტის სხვა მხარეები მინიშნებულიც არაა, თითქოს ისინი ფოლკნერს არც გაეგოს და არც არსებობდეს. ისინი მწერლის მხრივ შეუმჩნეველი რჩება. ძნელი ხათქმელია, ამას ფოლკნერი განზრახ აკეთებს თუ უნებლიეთ.

ფაუსტის ხახის ფოლკნერული ინტერპრეტაციის ამგვარი თავისებურება ალბათ თვით ფოლკნერის მსოფლმხედველობითა და მწერლური პოზიციით უნდა იქნეს გაგებული და ახსნილი. ფაუსტის ფოლკნერული გაგება კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ მწერალი უარყოფს ცივ ინტელექტს, ხაზოგადოდ ინტელექტის ძალას, როგორც ცივი პრაქტიციზმის, მექანიკური ცივილიზაციის, ავტომატიზაციის, პიროვნების გაუფასურების, ამდენად ბოროტებისა და არაადამიანურობის ხაწყისთა ხაწყისს. ფოლკნერის მთელი შემოქმედების ამოხავალი წერტილია ბუმანური მრწამსის და მორალური ხისტეტაკის შთაგონება. ის იმდენად დიდი რწმენით ეკიდება თავის მიხიას, რომ ფაუსტში არ მოსწონს ღმერთის, ანუ, ფოლკნერის გაგებით, ადამიანური მაღალი მორალის უარყოფა. ამდენად, ის ფაუსტს ინტელექტუალურ, მეცნიერულ, შემოქმედებით, შემეცნებითს მისწრაფებებს წარმატებად კი არ უთვლის, ფაუსტში ახალ, პროგრესისაკენ მსწრაფ ადამიანს კი არ ხედავს, არამედ ერთ თავზე ხელაღებულ ამორალურ პიროვნებას, მაგრამ ძლიერ, ურყევ, მტკიცე ხახიათს, რომელიც გვერდში უდგას ეშმას, ხატანას, ბელზებულს. ფოლკნერის გაგებით, ხათნოების, სიკეთის, მაღალი მორალის, ადამიანურობის პოზიციიდან ფაუსტი მაუღებელი ხახიათია.

ფაუსტის ხახის ამგვარი ცალმხრივი, ერთი შეხედვით შეზღუდული გაგება ფოლკნერთან მოტივირებულია მისი წრფელი ბუმანური ძიებებით და მისწრაფებებით.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-14, პ/მგ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 6. 02. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14. 03. 90 წ. ანაწყობის ზომა 7¹/₄X12. ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,53.

უე 07877. ტირაჟი 30.700. შეკვ. 324 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

в 110/43.

ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ